

# საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სამოქალაქო-სამეწარმეო და სხვა კატეგორიის საქმეებზე

2012, №2

## ვალდებულებითი სამართალი

### საძიებელი

**ვალდებულების არსებობის პრეზუმფცია**

**ვალის არსებობის აღიარება**

**ვალდებულების შესრულება**

**ზიანის ანაზღაურება**

- ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა ვალდებულების დარღვევისას
- ზიანის ანაზღაურება მიუღებელი შემოსავლისათვის
- ზიანის ანაზღაურება საგნის უკან დაბრუნების შეუძლებლობისას
- ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის ხანდაზმულობა

**პირგასამტეხლოს დაკისრება**

**პირგასამტეხლოს შემცირება სასამართლოს მიერ**

**კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობანი**

- საზიარო უფლების გაუქმება ნატურით გაყოფისას
- საზიარო საგანზე გაწეული ხარჯების ანაზღაურების მოთხოვნა
- ხანდაზმულობის ვადა

**უსაფუძვლო გამდიდრება**

- ვითომ-კრედიტორისგან მოთხოვნის საფუძვლები
- ფულად ვალზე პროცენტის გადახდის ვალდებულება
- შეცდომით ხარჯების გაწევა სხვა პირის ქონებაზე

**დელიქტური ვალდებულებანი**

- ხანძრის ჩაქრობის დროს წარმოშობილი ზიანის ანაზღაურება
- საწარმოო ტრავმის გამო დანიშნული სარჩოს გადახდევინება
- სატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციის შედეგად დამდგარი ზიანის ანაზღაურება
- ავტოსატრანსპორტო შემთხვევის დროს ავტომანქანის მესაკუთრის ბრალის გარეშე პასუხისმგებლობა
- სამედიცინო დაწესებულების მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურება
- ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადა

# ვალდებულების არსებობის პრეზუმფცია

## განჩინება

ას-711-670-2011

15 სექტემბერი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ვ. როინიშვილი,  
თ. თოდრია

დავის საგანი: თანხის ანაზღაურება

### აღწერილობითი ნაწილი:

ქ. ფ-ამ სარჩელი აღძრა სასამართლოში მ. ხ-ის მიმართ თანხის დაკისრების შესახებ შემდეგი საფუძველით: 2008 წლის 20 ოქტომბერს მოსარჩელემ მოპასუხის თხოვნითა და მის მიერ დასახელებული პირის საბანკო რეკვიზიტებზე გადააგზავნა 10000 აშშ დოლარი დიდი ბრიტანეთის გაერთიანებულ სამეფოში. აღნიშნული თანხის გადახდა უნდა დაეკისროს მ. ხ-ს.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და განმარტა, რომ ქ. ფ-ა სადავო თანხის სესხად გადაცემის ფაქტს ვერ ადასტურებს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 8 ოქტომბრის გადაწყვეტილებით ქ. ფ-ას სარჩელი დაკმაყოფილდა, მ. ხ-ს მის სასარგებლოდ დაეკისრა 10 000 აშშ დოლარის გადახდა, რაც მოპასუხემ გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 22 მარტის განჩინებით სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გასაჩივრებული გადაწყვეტილება გაუქმდა და ქ. ფ-ას სარჩელი არ დაკმაყოფილდა შემდეგ გარემოებათა გამო:

სასამართლომ დაადგინა, რომ ქ. ფ-ას მიერ მ. ხ-ისათვის სესხის სახით 10 000 აშშ დოლარის გადაცემის ფაქტი საქმის მასალებით არ დასტურდება.

პალატამ აღნიშნა, რომ მოსარჩელის მოთხოვნა ეფუძნება მ. ხ-თან სესხის ხელშეკრულების დადებასა და მისთვის ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულების შესრულებას – სესხის სახით თანხის მოპასუხისათვის გადაცემას. ვინაიდან დასახელებული გარემოების არსებობა განაპირობებს ხელშეკრულებიდან გამომდინარე საპირისპირო ვალდებულების – სესხის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას, მოსარჩელეს ეკისრება აღნიშნულ გარემოებათა მტკიცების ტვირთი.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლი განსაზღვრავს იმ მტკიცებულებათა ნუსხას, რომლებიც მხარეებს შეუძლიათ თავიანთი მოთხოვნების დასადასტურებლად გამოიყენონ. ჩამოთვლილ მტკიცებულებათაგან არც ერთს არ აქვს უპირატესი იურიდიული მნიშვნელობა. თუმცა, რიგ შემთხვევებში, მტკიცებულების არჩევის აუცილებლობას თვით მატერიალურ-სამართლებრივი ნორმა ითვალისწინებს. დასახელებული ნორმისა და სამოქალაქო კოდექსის 624-ე მუხლის თანახმად, პალატამ მიიჩნია, რომ სამოქალაქო სამართალსა და საპროცესო სამართალში არსებობს მტკიცების ტვირთის სამართლიანი და ობიექტური განაწილების სტანდარტი. აღნიშნული სტანდარტის თანახმად, მტკიცების ტვირთი უნდა განაწილდეს იმგვარად, რომ მოსარჩელესა და მოპასუხეს დაეკისროთ იმ ფაქტების დამტკიცება, რომელთა მტკიცება მათთვის უფრო მარტივი და ობიექტურად შესაძლებელია. სამოქალაქო სამართალური თეორიაში მტკიცების ტვირთის განაწილების საფუძველზე სესხის ხელშეკრულების დადების ფაქტის მტკიცების ტვირთი გამსესხებელს ეკისრება. წერილობითი ხელშეკრულების არსებობის პირობებში, მტკიცებულების სახით წარდგენილ უნდა იქნეს სესხის ხელშეკრულება. რაც შეეხება ზეპირი ფორმით დადებულ სესხის ხელშეკრულებას, აღნიშნული ხელშეკრულების რეალური ბუნებიდან გამომდინარე, კონკლუდენტურ მოქმედებაში, სესხის სახით თანხის გადაცემაში გამოიხატება ხელშეკრულების დადება.

მოცემულ შემთხვევაში, სასამართლომ ჩათვალა, რომ მოსარჩელის მიერ სესხის ხელშეკრულების დადების დადასტურების მიზნებისათვის წარმოდგენილ იქნა თანხის გადარიცხვის საბანკო ამონაწერი, სადაც ფიქსირდება, რომ თანხის მიმღები ვინმე მ. კ-აა და არა მ. ხ-ი, ამდენად, მოსარჩელემ ვერ დაადასტურა არა თუ სესხის სახით ხელშეკრულების დადების ფაქტი, არამედ ხელშეკრულების მხარე, რომლის წინაშეც მან ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულება შეასრულა.

სამოქალაქო კოდექსის 316-ე მუხლის პრიველი ნაწილი, 317-ე მუხლის პირველი ნაწილი, 327-ე მუხლის პირველი ნაწილი, 623-ე მუხლი და 361-ე მუხლის პირველი ნაწილი პალატამ არ განმარტა იმგვარად, რომ ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობის გარეშე მხოლოდ შესრულება იძლეოდეს ურთიერთობის სამართლებრივი კვალიფიკაციის შესაძლებლობას. მხარეები ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობის არსებით პირობებზე შეთანხმებულნი არიან და შესრულება ნიშნავს აღნიშნული სამართალური თეორიიდან გამომდინარე ვალდებულების აღიარებას, ხოლო ნებისმიერი შესრულება კვალიფიცირებულ უნდა იქნეს ამა თუ იმ სამართალური თეორიიდან მხარის მიხედულობით.

სასამართლოს მითითებით, საქმის მასალებით არ დასტურდება ქ. ფ-ასა და მ. ხ-ს შორის რაიმე სახის ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობის არსებით პირობებზე შეთანხმების ფაქტი. შესაბამისად, არ არსებობს ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობა, საიდანაც იკვეთება ქ. ფ-ას მიერ თავისი ვალდებულების შესრულება და მისი მოთხოვნის უფლება საპასუხო ვალდებულების შესრულებაზე. რაც შეეხება ქ. ფ-ას მიერ თანხის

გადარიცხვის ფაქტს, ვალდებულებით-სამართლებრივი საფუძვლის გარეშე თანხის გადაცემა ექვევა სამოქალაქო კოდექსის 976-ე მუხლის პირველი ნაწილის «ა» ქვეპუნქტის რეგულირების რეჟიმში. აღნიშნულ სამართალურთიერთობაში ვითომ კრედიტორი თანხის მიმღები მ. კ-აა, რომელსაც ქ. ფ-ამ თანხა გადაურიცხა. ამდენად, უსაფუძვლო გამდიდრებიდან გამომდინარე ქ. ფ-ას მოთხოვნის უფლება გააჩნია მ. კ-ას და არა მ. ხ-ის მიმართ.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება ქ. ფ-ამ გასაჩივრა საკასაციო წესით, მოითხოვა მისი გაუქმება და საქმის დაბრუნება იმავე სასამართლოსათვის ხელახლა განსახილველად შემდეგი საფუძვლებით:

სააპელაციო პალატამ არასწორად და არასრულად შეაფასა საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებანი. სათანადო ფაქტობრივ დასაბუთებას გასაჩივრებული განჩინება არ შეიცავს.

პალატამ არასწორად შეაფასა 2009 წლის 13 ივლისს შს მცხეთის რაიონულ სამმართველოში მ. ხ-ის აღიარება, რომ 2008 წლის სექტემბერ-ოქტომბერში ლონდონში ყოფნისას მისმა რძალმა – ქ. ფ-ამ მოპასუხის მიერ მოძიებული ადვოკატის – მ. კ-ას ანგარიშზე გადაურიცხა 10 000 აშშ დოლარი, რათა მ. ხ-ს გაეკეთებინა დიდი ბრიტანეთის რეზიდენტის საბუთები. აღნიშნული აღიარება სასამართლომ შეაფასა მოსარჩელის განმარტებად და არასწორად გაათავისუფლა მოპასუხე თავისივე აღიარების უარყოფის მიზეზების მტკიცების ტვირთისაგან.

სასამართლოს საერთოდ არ უმსჯელია მოწმე თ. ლ-ს ახსნა-განმარტებაზე, რომ ამ უკანასკნელმა თანხა გადაურიცხა მ. ხ-ს მის მიერ მითითებული პირის ანგარიშზე და არა ქ. ფ-ას მითითებით.

რეალურად მხარეთა შორის დაიდო ზეპირი სესხის ხელშეკრულება, რაც სამოქალაქო კოდექსის 624-ე მუხლით დასაშვებია. ამავე კოდექსის 327-ე მუხლის შესაბამისად, ზეპირი ფორმით სესხის ხელშეკრულების დადება დასტურდება გადარიცხვის ქვითრით.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ განიხილა საქმის მასალები, გაეცნო საკასაციო საჩივრის საფუძვლებს და თვლის, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო პალატამ გააკეთა დასკვნა იმის თაობაზე, რომ ქ. ფ-ას მიერ მ. ხ-ისათვის სესხის სახით 10000 აშშ დოლარის გადაცემის ფაქტი საქმის მასალებიდან არ დასტურდება. სააპელაციო სასამართლოს მითითებით, სესხის ხელშეკრულების დადების დადასტურების მიზნით წარმოდგენილი თანხის გადარიცხვის საბანკო ამონაწერით დასტურდება, რომ თანხის მიმღები ვინმე მ. კ-აა, და არა მ. ხ-ი. ამდენად, მოსარჩელემ ვერ დაადასტურა არა თუ სესხის სახის ხელშეკრულების დადების ფაქტი, არამედ ხელშეკრულების მხარე, რომლის წინაშეც მან ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულება შესარულა.

საკასაციო სასამართლო სააპელაციო პალატის ამ მოსაზრებას ვერ გაიზიარებს. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც მას გამოაქვს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ.

მ. ხ-ისათვის თანხის გადახდის ფაქტის უარყოფისას სასამართლო მსჯელობს მხოლოდ ბანკის მეშვეობით თანხის გადარიცხვის ქვითარზე და საერთოდ არ აფასებს მოსარჩელის მიერ სასამართლოში წარდგენილ სხვა მტკიცებულებებს, თუნდაც წინასწარი გამოძიების დროს მ. ხ-ის მოწმედ დაკითხვის ოქმს. ამ დოკუმენტიდან გარკვევით ჩანს თუ ვინ არის აღნიშნული თანხის გადაცემის ადრესატი და რა არის ამ თანხის გადახდის მიზანი. აღნიშნული მტკიცებულება ჩვეულებრივი წერილობითი მტკიცებულებაა, რომელიც ადასტურებს თანხის გადაცემის ფაქტს მ. ხ-ის და არა ქ. ფ-ას საჭიროებიდან გამომდინარე. სასამართლო ვალდებულია შეაფასოს ეს მტკიცებულება და უარყოს ან გაიზიაროს იგი. როგორც მ. ხ-ი სასამართლოს სხდომაზე განმარტავს, ის ვერ მიხვდა, რატომ დაუსვეს კითხვა ამ 10 000 აშშ დოლარის შესახებ, ამასთან, იგი გაფრთხილებული იყო ყალბი ჩვენების მიცემის გამო დამდგარ შედეგებზე, რაც ადასტურებს იმ გარემოებას, რომ მ. ხ-ს მოტივაცია რაიმე მიზნით არასწორი ჩვენების მიცემისა არ ჰქონდა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე პალატა მიიჩნევს, რომ აღნიშნული მტკიცებულება შეიცავს ფაქტობრივ გარემოებებთან მიმართებაში სერიოზულ ინფორმაციას და საჭიროებს შეფასებას სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის საფუძველზე. სასამართლოს მიერ იგი შეიძლება მიჩნეულ იქნეს სარწმუნო მკიცებულებად ან გაბათილდეს სხვა მტკიცებულებების შეფასების შედეგად გაკეთებული დასაბუთებული დასკვნის საფუძველზე. პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ მტკიცებულებები სრულყოფილად არ არის გამოკვლეული, შესაბამისად ფაქტობრივი გარემოება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის დარღვევითაა დადგენილი, რამაც საქმეზე არასწორი გადაწყვეტილების მიღება განაპირობა. აღნიშნული კი, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველია.

ამასთან, პალატა განმარტავს, რომ მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელის მტკიცების ტვირთს შეადგენს მოპასუხისათვის თანხის გადაცემის დადასტურება, რაც თავისთავად ვალდებულების არსებობას გულისხმობს (სამოქალაქო კოდექსის 361-ე მუხლი). მოპასუხემ კი მის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე უნდა უარყოს თანხის გადაცემის ფაქტი ან დაადასტუროს გადაცემის ფაქტი, მაგრამ გამორიცხოს სამოქალაქო კოდექსის 361-ე მუხლით გათვალისწინებული მისი ვალდებულების არსებობა ამ შესრულების მიმართ. იმ პირობებში, თუ დადასტურდება მოსარჩელის მიერ თანხის გადაცემის ფაქტი, იგულისხმება, რომ არსებობს მოპასუხისაგან ამ თანხის გადახდის ვალდებულება, ხოლო თუ მითითებული თანხის გადაცემით არ წარმოშობილა მისი დაბრუნების ვალდებულება, მოპასუხემ აღნიშნული ფაქტი სარწმუნოდ უნდა დაადასტუროს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე პალატა მიიჩნევს, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს და საქმე ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდეს იმავე პალატას. პალატამ საქმეში არსებული მტკიცებულებების შეფასებით უნდა დაადგინოს მხარეთა შორის ვალდებულების არსებობის ან არარსებობის ფაქტი.

**სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

**და ა დ გ ი ნ ა:**

ქ. ფ-ას საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.  
გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 22 მარტის განჩინება და საქმე დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს ხელახლა განსახილველად.  
საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

**ვალის არსებობის აღიარება**

**ერთობლივი საქმიანობის ხელშეკრულება**

1ას-839-890-2011

8 ნოემბერი, 2011 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის  
შემადგენლობა: ნ. კვანტალიანი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
პ. ქათამაძე,  
ბ. ალავეიძე**

**დავის საგანი:** ვალდებულების შესრულება

**აღწერილობითი ნაწილი:**

ვ. მ-მა სარჩელი აღძრა სასამართლოში ვ. ა-ის მიმართ 7 000 აშშ დოლარის დაკისრების შესახებ შემდეგი დასაბუთებით: 2008 წლის ზაფხულში მოპასუხემ ურჩია, რომ გაეყიდა გარდაცვლილი ქალიშვილის ბინა, რომელსაც აქირავებდა და ამ თანხით ვ. ა-ი შეიძენდა მაღაზიას, საიდანაც უფრო მეტი სარგებელი ექნებოდა. ბინა გაიყიდა 30000 აშშ დოლარად, აქედან 2000 დოლარი გადაუხადა მაკლერს. დარჩენილი 28 000 აშშ დოლარი მოსარჩელემ გადასცა მოპასუხეს მაღაზიის შესაძენად, თუმცა მოგვიანებით მოპასუხემ განუცხადა, რომ შესაძენი ნივთი ბევრად მეტი ღირდა და, თუ იგი ისარგებლებდა მიღებული თანხით, მცირეოდენის მოსარჩელესაც გადაუხდოდა, ხოლო შემდეგ ვალს უკლებლივ დაუბრუნებდა. მოგვიანებით მოსარჩელეს ეჭვი გაუჩნდა, რომ მოპასუხე მის გარეშე სარგებლობდა და ფული შეიძლება მიეთვისებინა კიდევაც, ამიტომ ვ. მ-მა დაჟინებით მოსთხოვა მოპასუხეს თანხის უკან დაბრუნება. ვ. ა-ი მას თანხას ნაწილ-ნაწილ უბრუნებდა. 2009 წლის 26 აპრილს მოპასუხემ მოსარჩელეს დაუწერა ხელწერილი დარჩენილი თანხის დაბრუნების შესახებ. 2010 წლის 24 აპრილს ვ. ა-მა უკანასკნელად გადასცა მოსარჩელეს თანხა და დარჩა დასაბრუნებელი 7 000 აშშ დოლარი.

მოპასუხე ვ. ა-მა სარჩელი არ ცნო შემდეგი დასაბუთებით: 2009 წლის 26 ივნისის მდგომარეობით მოპასუხეს მოსარჩელის მიმართ გააჩნდა მხოლოდ 17 000 აშშ დოლარისა და არა სარჩელში მითითებული 28 000 აშშ დოლარის გადახდის ვალდებულება. აღნიშნული დასტურდება მოსარჩელის მიერ წარმოდგენილ ერთადერთი მტკიცებულებით. ამავე დოკუმენტიდან ნათლად ჩანს, რომ სესხის ხელწერილის შესაბამისად, მოპასუხემ ნაწილ-ნაწილ სრულად შეასრულა მისთვის დაკისრებული ვალდებულება, შესაბამისად, მოპასუხეს მოსარჩელის მიმართ ვალდებულება აღარ გააჩნია.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 4 აგვისტოს გადაწყვეტილებით ვ. მ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რაც ვ. მ-მა სააპელაციო წესით გაასაჩივრა.

2010 წლის 24 მარტის გადაწყვეტილებით ვ. მ-ის საპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გაუქმდა პირველი ინსტანციის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც ვ. ა-ს ვ. მ-ის სასარგებლოდ დაეკისრა 7 000 აშშ დოლარის გადახდა შემდეგი დასაბუთებით: პალატამ უდავოდ მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: 2008 წლის ივნისში მოსარჩელე ვ. მ-მა მოპასუხე ვ. ა-ს გადასცა 28 000 აშშ დოლარი, რითაც ამ უკანასკნელს უნდა შეეძინა მაღაზია, რომლის საქმიანობის შედეგად მიღებული მოგებიდან მოსარჩელისთვის უნდა ეხადა სარგებელი. მოპასუხემ მაღაზია ვერ შეიძინა. 2009 წლის 26 ივნისის ხელწერილით ვ. ა-მა ვ. მ-ის წინაშე 17 000 აშშ დოლარის გადახდის ვალდებულება აღიარა. ვ. ა-მა ვ. მ-ს ხელწერილის შედგენამდე დაუბრუნა 4000 აშშ დოლარი, ხოლო ხელწერილის შედგენის შემდეგ, 17000 აშშ დოლარი, მთლიანად ვ. მ-ს ვ. ა-მა დაუბრუნა 21 000 აშშ დოლარი. ა-ს მ-ისთვის 7000 აშშ დოლარის დაბრუნების ვალდებულება დარჩა.

სააპელაციო პალატამ განმარტა, რომ ერთობლივი საქმიანობის (ამხანაგობის) ხელშეკრულებისთვის დამახასიათებელია შემდეგი ნიშნები: ამხანაგობის მონაწილე უნდა იყოს არა ნაკლებ ორი პირი, რომლებიც მოქმედებენ ერთობლივად, შესაბამისად, ერთმანეთის მიმართ არ წარმოეშობათ დაპირისპირებული ინტერესები, როგორც მოვალესა და კრედიტორს. ხელშეკრულების ინტერესებიდან გამომდინარე, მის მონაწილეებს შორის შეიძლება გადანაწილდეს უფლება-მოვალეობები, თუმცა ეს ხორციელდება არა როგორც დამოუკიდებელ პირთა შორის, რომელთაც ერთმანეთის საწინააღმდეგო ინტერესები და მოვალეობები გააჩნიათ, არამედ, როგორც სუბიექტებს შორის, რომელთა შორის უფლება-მოვალეობების გადანაწილება ხდება ამხანაგობის ხელშეკრულების პირობების შესრუ-

ლების მიზნით. ამხანაგობის მონაწილეთა შეთანხმება და ერთიანობის გამოვლენა უნდა მოხდეს საერთო სამეურნეო ან სხვა მიზნის მისაღწევად. საერთო მიზნის არსებობა გარიგების მთავარ წინაპირობას წარმოადგენს. ამხანაგობისთვის დამახასიათებელი ნიშანია ასევე ისიც, რომ მონაწილეები ერთობლივი მიზნის მისაღწევად მოქმედებენ ხელშეკრულებით განსაზღვრული საშუალებებით და იურიდიული პირის შექმნეულად. ამდენად, ერთობლივი საქმიანობა იქმნება მონაწილეთა შენატანების საფუძველზე. შენატანები შეიძლება იყოს როგორც მატერიალური ისე არამატერიალური ქონებრივი სიკეთე. ხელშეკრულების მონაწილეთა უფლება-მოვალეობების წილობრივი მოცულობა განისაზღვრება შენატანების შესაბამისად. ამხანაგობის საქმიანობას ყველა მონაწილე მართავს ერთობლივად. ამა თუ იმ საკითხზე გადაწყვეტილების მიღება და მისი განხორციელება ხდება ყველას თანხმობით. საერთო სარგებელი და შემოსავალი, რომელიც მიღებულ იქნა ამხანაგობის საქმიანობიდან, მონაწილეებს შორის ნაწილდება მათი შენატანების პროპორციულად. თუ ხელშეკრულების მონაწილეებმა ხელშეკრულებით არ განსაზღვრეს წილები და შენატანები, მაშინ სარგებელი მათ შორის ნაწილდება თანაბრად. ამხანაგობა სახელშეკრულებო გაერთიანებას წარმოადგენს, რომელიც გარე ურთიერთობებში გამოდის არა როგორც ერთიანი მთლიანი სუბიექტი (იურიდიული პირი), არამედ ყველა გარიგებები სრულდება ყველა მონაწილის ინტერესში და სახელით, ამიტომ, პასუხისმგებლობა კრედიტორების წინაშე ამხანაგობის ხელშეკრულების ჩარჩოებში განხორციელებულ მოქმედებებზე ყველა მონაწილეს ეკისრება წილობრივად ან სოლიდარული წესით. ამხანაგობის ხელშეკრულების მონაწილეთა მიზნის მისაღწევად წარმოებული საქმიანობის შედეგად წარმოიშობა არა მხოლოდ სარგებელი, არამედ გარკვეული გასავალი და ზიანიც. გასავალი ამხანაგობის სართო საქმიანობის განხორციელების პროცესში წარმოშობილი ხარჯია. გასავალი ამხანაგობის საერთო შენატანისგან განსხვავდება იმით, რომ გასავლის ზუსტი ოდენობის დადგენა წინასწარ, ხელშეკრულების დადების დროს შეუძლებელია. სასამართლომ დაასკვნა, რომ განსახილველ შემთხვევაში, საქმეში არსებული მასალებით არ დასტურდება, რომ ვ. ა-სა და ვ. მ-ს გააჩნდათ ჯართის ბიზნესის წარმოების ერთობლივი მიზანი. საქმეში წარმოდგენილი არ არის მტკიცებულება, რომლითაც დადასტურდებოდა ვ. მ-ის მონაწილეობა ჯართის ბიზნესის წარმოებაში, კერძოდ, არ დგინდება ვ. მ-ის მონაწილეობა «ამხანაგობის» გადაწყვეტილებების მიღებაში და ერთობლივი საქმიანობიდან მიღებული მოგების განაწილებაში, ასევე არ დასტურდება ვ. ა-ის მიერ «ამხანაგობაში» შენატანის განხორციელების და, შესაბამისად, მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის წილების გადანაწილების ფაქტი. ამასთან, როგორც საქმის მასალებით ირკვევა, ვ. მ-სა და ვ. ა-ს ერთმანეთის მიმართ თავიდანვე ჰქონდათ ურთიერთდაპირისპირებული ინტერესები, როგორც კრედიტორსა და მოვალეს, რასაც ადასტურებს მხარეთა შორის 2009 წლის 26 ივნისის გაფორმებული ხელწერილიც.

სამოქალაქო კოდექსის 930-ე, 932-ე, 934-ე, 935-ე, 937-ე მუხლების თანახმად, პალატამ მიიჩნია, რომ ვ. მ-სა და ვ. ა-ს შორის არსებული სამართალურთიერთობა არ წარმოადგენს ერთობლივი საქმიანობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ურთიერთობას, შესაბამისად, სადავო 7000 აშშ დოლარი არ უნდა იქნას მიჩნეული ერთობლივი საქმიანობიდან წარმოშობილ ვალად. იმის გათვალისწინებით, რომ მხარეთა შორის არ დასტურდება ერთობლივი საქმიანობის (ამხანაგობის) ხელშეკრულებიდან გამომდინარე ურთიერთობების არსებობა, პალატამ დაასკვნა, რომ 7000 აშშ დოლარი არ წარმოადგენს საერთო ვალს. პალატამ არ გაიზიარა მოპასუხის მტკიცება, რომ მოსარჩელი-სათვის დაბრუნებული აქვს სადავო 7000 აშშ დოლარი. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, კონკრეტულ შემთხვევაში, იმ გარემოების მტკიცების ტვირთი ეკისრება მოპასუხეს, რომელმაც აღნიშნული გარემოება სათანადო მტკიცებულებებით ვერ დაამტკიცა. პირველი ინსტანციის სასამართლოში დაკითხული მოწმეების: მ. გ-ის, ლნ. მ-ისა და ლ. მის ჩვენებებით დადასტურდა, რომ 2009 წლის 26 ივნისის მდგომარეობით ვ. ა-ს ლ. მ-ისთვის სადავო 7000 აშშ დოლარი არ დაუბრუნებია. პალატამ მიუთითა, რომ სამოქალაქო კოდექსის 316-ე მუხლის თანახმად, ვალდებულების ძალით კრედიტორი უფლებამოსილია, მოსთხოვოს მოვალეს რაიმე მოქმედების შესრულება. იმავე კოდექსის 317-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ვალდებულების წარმოშობისათვის აუცილებელია მონაწილეთა შორის ხელშეკრულება, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ვალდებულება წარმოიშობა ზიანის მიყენების (დელიქტის), უსაფუძვლო გამდიდრების ან კანონით გათვალისწინებული სხვა საფუძველებიდან. განსახილველ შემთხვევაში პალატამ დადგინდა, რომ მხარეთა შორის სამართალურთიერთობა წარმოიშვა არა ერთობლივი საქმიანობის ხელშეკრულებიდან, არამედ სესხის ხელშეკრულების საფუძველზე. მოცემულ შემთხვევაში დადგინდა, რომ მოპასუხემ ნაწილობრივ შეასრულა მისთვის დაკისრებული ვალდებულება, კერძოდ, მოსარჩელეს გადაუხადა 21 000 აშშ დოლარი, შესაბამისად, გადასახდელი დარჩა 7000 აშშ დოლარი. ამდენად, ვ. ა-ს ვ. მ-ის სასარგებლოდ უნდა დაეკისროს 7000 აშშ დოლარის გადახდა. საპელაგიო პალატამ მიიჩნია, რომ ვ. ა-ის მიერ ვ. მ-ის წინაშე ვალის 17000 აშშ დოლარის აღიარებით დარჩენილი 7000 აშშ დოლარის ნაწილში ვალდებულება არ შეწყვეტილა. უდავოა, რომ 2009 წლის 26 ივნისის ხელწერილით ვ. ა-მა აღიარა, რომ ვ. მ-ისგან 2009 წლის 26 ივნისს მიიღო 17000 აშშ დოლარი ვალად, რომელსაც გაისტუმრებს ნაწილ-ნაწილ 6 თვის განმავლობაში. მხარეთა შორის დავას არ იწვევს, რომ 2008 წლის ივნისში მოსარჩელე ვ. მ-მა მოპასუხე ვ. ა-ს გადასცა 28 000 აშშ დოლარი. სადავო არ არის ასევე ის გარემოება, რომ 17000 აშშ დოლარის გადახდის ვალდებულების აღიარება გამომდინარეობს მხარეთა შორის 2008 წლის ივნისში წარმოშობილ ვალდებულებით სამართლებრივი ურთიერთობიდან. სამოქალაქო კოდექსის 341-ე მუხლის თანახმად, პალატამ განმარტა, რომ ვალის აღიარება თავისი შინაარსითა და გამოხატვის ფორმით შეიძლება იყოს სხვადასხვა სახის, კერძოდ, კონსტიტუციური ან დეკლარაციული. კონსტიტუციური ხასიათის ვალის არსებობის აღიარებით იდება ახალი ხელშეკრულება, რაც იმას ნიშნავს, რომ ვალის აღიარების ხელშეკრულებით დგინდება ახალი დამოუკიდებელი ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობა, წარმოიშობა ახალი მოთხოვნა, მიუხედავად ძველი ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობის არსებობისა თუ ნამდვილობისა. ახალი ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობის სამართლებრივი ძალა არ არის დამოკიდებული ძველი ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობის სამართლებრივ ძალასა თუ შინაარსზე. სწორედ აღნიშნული სახის ვალის არსებობის აღიარებას ითვალის-

წინებს სამოქალაქო კოდექსის 341-ე მუხლის პირველი ნაწილი, რომლისთვისაც, სავალდებულოა მარტივი ან რთული წერილობითი ფორმის დაცვა. ვალის არსებობის აღიარებად ხელშეკრულების შეფასება, თანმდევი სამართლებრივი შედეგებით, ინდივიდუალურია და ერთმნიშვნელოვნად, ხელშეკრულების შინაარსიდან უნდა მომდინარეობდეს, კერძოდ, ვალის არსებობის ხელშეკრულებით პირი უნდა აღიარებდეს გარკვეულ ვალდებულებით სამართლებრივი ურთიერთობის არსებობას და კისრულობდეს მისი შესრულების ვალდებულებას. ვალის არსებობის აღიარების ხელშეკრულების თავისებურება სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ მასში ძველი ვალდებულების შესრულების მზაობა იკვეთება. ამდენად, 2009 წლის 26 ივნისის ხელწერილი წარმოადგენს ვალდებულების აღიარების შესახებ ხელშეკრულებას, რომელიც, მიუხედავად იმისა, რომ გამომდინარეობს მხარეთა შორის მანამდე არსებული სესხის ხელშეკრულებიდან, სამართლებრივად სრულიად დამოუკიდებელია და ეს ორი ხელშეკრულება ერთმანეთისგან დამოუკიდებლად წარმოშობენ სამართლებრივ შედეგს. შესაბამისად, 2009 წლის 26 ივნისის მხარეთა შორის ვალდებულების აღიარების შესახებ ხელშეკრულების გაფორმებით არ გაუქმებულა მხარეთა შორის მანამდე არსებული სესხის ხელშეკრულება და 17000 აშშ დოლარის გადახდის ვალდებულების აღიარება არ გამორიცხავს ზემოაღნიშნული სესხის ხელშეკრულების საფუძველზე მოსარჩელის მოთხოვნას იმ თანხის გადახდაზე, რომელიც აღნიშნულ ხელწერილში არ იქნა გათვალისწინებული. ზემოაღნიშნულით პალატამ მიიჩნია, რომ საქმეში არსებული მასალებით არ დგინდება მხარეთა შორის ვალდებულების შეწყვეტა არც შესრულებით, როგორც ამას მოპასუხე უთითებს და არც ვალის პატივით, როგორც ეს პირველი ინსტანციის სასამართლოს მოტივაციიდან იკვეთება.

გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა ვ. ა-მა შემდეგი დასაბუთებით: სასამართლო თავის გადაწყვეტილებას დასაბუთებს იმ მოტივით, რომ მხარეებს შორის «სამართალურთიერთობა წარმოიშვა არა ერთობლივი საქმიანობის ხელშეკრულებიდან, არამედ სესხის ხელშეკრულების საფუძველზე». მოცემულ შემთხვევაში სასამართლოს არ გააჩნია იმის მტკიცებულება, რომ კასატორმა 28 000 აშშ დოლარი ისესხა. სასამართლო მხარეებს შორის სასესხო ურთიერთობის არსებობის ფაქტს აფუძნებს იმ გარემოებას, რომ თითქოს არ არსებობს ერთობლივი საქმიანობა, რითაც 623-ე მუხლის მოთხოვნებს უგულებელყოფდა. მხარეებს შორის სასესხო სამართლებრივი ურთიერთობა არ შეიძლება წარმოიშვას მხოლოდ იმიტომ, რომ მათ შორის არ არსებობდა ერთობლივი საქმიანობის სამართალურთიერთობა. სასამართლო ერთობლივი საქმიანობის ურთიერთობის არარსებობის დასაბუთებისას მცდარად ასკვნის, კერძოდ: ერთობლივი საქმიანობის ხელშეკრულება არის კონსესუალური, ესე იგი ხელშეკრულების არსებით პირობებზე შეთანხმების მომენტიდან იგი უკვე ძალაშია. ძ-ი და ა-ი შეთანხმდნენ, რომ შეიძენდნენ მაღაზიას, რომლის საერთო ღირებულება შეადგენდა 45000 აშშ დოლარს და მისი ფუნქციონირებიდან მიღებულ შემოსავალს გაინაწილებდნენ თანაბრად. ვ. ძ-ს შენატანის სახით უნდა შეეტანა 28 000 აშშ დოლარი, ხოლო დანარჩენი თანხა უნდა გადაეხადა კასატორს. ამასთან, მაღაზია იყო სარემონტო, რომლის ხარჯებსაც კისრულობდა ვ. ა-ი. შესაბამისად, აშკარაა, რომ მხარეთა შორის წარმოიშვა ერთობლივი საქმიანობის ხელშეკრულება და 28 000 აშშ დოლარი წარმოადგენს ძ-ის - როგორც ამხანაგობის წევრის შენატანს. მიუხედავად იმისა, რომ მაღაზიის შექმნა ვერ მოხერხდა, მხარეთა შორის მაინც არსებობდა ერთობლივი საქმიანობის ხელშეკრულება. ეს საქმიანობა გამოიხატა ჯართის ბიზნესში, რასაც ადასტურებს საქმეში არსებული მტკიცებულებები, კერძოდ, მოწმეთა ჩვენებები. სასამართლო მიუთითებს, რომ თითქოს მხარეებს თავიდანვე გააჩნდათ ურთიერთდაპირისპირებული ინტერესები, როგორც კრედიტორსა და მოვალეს, რასაც ადასტურებს 2009 წლის 26 ივნისის ხელწერილი. აღნიშნული მოტივაცია ყოველგვარ სამართლებრივ საფუძველს მოკლებულია, რადგანაც ერთობლივი საქმიანობის ურთიერთობის ერთ-ერთი თავისებურება ის არის, რომ მხარეთა შორის არსებული ურთიერთობა განისაზღვრება დადებული ხელშეკრულების შესაბამისად და, რაც მთავარია, იგი შეიძლება დაიდოს ზეპირი ფორმითაც. ამასთან, შენატანი მხარემ შეიძლება განახორციელოს, როგორც ქონებით, ასევე მომსახურების გაწევით და სამოქალაქო კოდექსის 934-ე მუხლის შინაარსიდან ნათელია, რომ ყველა პარტნიორის მონაწილეობა ამხანაგობის მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესში არაა აუცილებელი და ყველა კონკრეტულ შემთხვევაში ეს საკითხი წყდება მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულების შესაბამისად. მოცემულ შემთხვევაში მხარეებს შორის ხელშეკრულება ზეპირი ფორმით დაიდო, რომლის თანახმად, ვ. ა-ის შესატანი განისაზღვრა თავდაპირველად, როგორც გარკვეული თანხით, ისე მომსახურების გაწევით, ხოლო შემდგომ ჯართის ბიზნესის წარმოებისას - მომსახურების გაწევით. ამასთან, ყველა გადაწყვეტილების მიღება ეკისრებოდა კასატორს, ხოლო ვ. ძ-ს მოგების ნახევარი უნდა მიეღო, რასაც ვ. ა-ი კეთილსინდისიერად ასრულებდა. გადაწყვეტილება დაუსაბუთებელია, ვინაიდან სამოტივაციო ნაწილში არაფერია ნათქვამი პირველი ინსტანციის სასამართლოში გამოკვლეულ მტკიცებულებებთან დაკავშირებით, კერძოდ: მოწმეთა ჩვენებები მოწმობს, რომ მხარეთა შორის არსებობდა ერთობლივი საქმიანობის ხელშეკრულება. სასამართლო იგნორირებას უკეთებს მოწმეთა ჩვენებებს, მაშინ, როცა, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 249-ე მუხლის თანახმად, სასამართლო ვალდებულია, თავის გადაწყვეტილებაში მიუთითოს დასკვნები, მოსაზრებანი, რომლებითაც უარყოფს ამა თუ იმ მტკიცებულებას. მოცემულ შემთხვევაში, საერთოდ გაურკვეველია, ცნობს თუ არა სასამართლო პირველი ინსტანციით საქმის განხილვისას გამოკვლეულ მტკიცებულებებს მთლიანად ან ნაწილობრივ და, თუ უარყოფს, რა საფუძველითა და მოტივაციით იხელმძღვანელა მან. სასამართლოს უნდა გამოეყენებინა სამოქალაქო კოდექსის 50-ე, 52-ე, 931-ე და 934-ე მუხლები.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საკასაციო საჩივრის საფუძველების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ვ. ა-ის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს გასაჩივრებული გადაწყვეტილება და ახალი გადაწყვეტილებით ვ. ძ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძვლები. ამავე კოდექსის 407-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება).

სააპელაციო პალატამ დადგენილად ცნო შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: 2008 წლის ივნისში მოსარჩელე ვ. ძ-მა მოპასუხე ვ. ა-ს გადასცა 28 000 აშშ დოლარი, რითაც ამ უკანასკნელს უნდა შეეძინა მაღაზია, რომლის საქმიანობის შედეგად მიღებული მოგებიდან მოსარჩელისთვის უნდა ეხადა სარგებელი. მოპასუხემ მაღაზია ვერ შეიძინა. 2009 წლის 26 ივნისის ხელწერილით ვ. ა-მა ვ. ძ-ის წინაშე 17 000 აშშ დოლარის გადახდის ვალდებულება აღიარა. ვ. ა-მა ვ. ძ-ს ხელწერილის შედგენამდე დაუბრუნა 4000 აშშ დოლარი, ხოლო ხელწერილის შედგენის შემდეგ – 17000 აშშ დოლარი, მთლიანად ვ. ძ-ს ვ. ა-მა დაუბრუნა 21 000 აშშ დოლარი.

გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველს წარმოადგენს დადგენილი ფაქტობრივი გარემოების არსწორი სამართლებრივი შეფასება, კერძოდ:

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად ცნო და თვით ვ. ძ-ს სადავოდ არ მიუჩნევია ის გარემოება(იხ. სასარჩელო განცხადების ფაქტობრივი დასაბუთება), რომ მხარეთა შორის შეთანხმებული შედეგის – მოგების მიუღებლობის გამო ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობა დასრულდა 2009 წლის 26 ივნისის ხელწერილით, რომლითაც ვ. ა-მა ვ. ძ-ის წინაშე 17 000 აშშ დოლარის გადახდის ვალდებულება აღიარა. სააპელაციო პალატის შეფასებით 2009 წლის 26 ივნისის ხელწერილი წარმოადგენს ვალდებულების აღიარების შესახებ ხელშეკრულებას, რომელიც, მიუხედავად იმისა, რომ გამომდინარეობს მხარეთა შორის მანამდე არსებული სესხის ხელშეკრულებიდან, სამართლებრივად სრულიად დამოუკიდებელია და ეს ორი ხელშეკრულება, სამოქალაქო კოდექსის 341-ე მუხლის შესაბამისად, ერთმანეთისგან დამოუკიდებლად წარმოშობენ სამართლებრივ შედეგს.

საკასაციო სასამართლო არ ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს აღნიშნულ დასკვნას და განმარტავს:

სამოქალაქო კოდექსის 341-ე მუხლის თანახმად, იმ ხელშეკრულების ნამდვილობისათვის, რომლითაც აღიარებულ იქნა ვალდებულებითი ურთიერთობის არსებობა (ვალის არსებობის აღიარება), აუცილებელია წერილობითი აღიარება. აღნიშნული ნორმით გათვალისწინებული ვალის არსებობის აღიარება ძირითადი ვალდებულებითი ურთიერთობისაგან დამოუკიდებლად ახალ მოთხოვნას ქმნის. ვალის არსებობის აღიარება ძირითადი ვალდებულებითი ურთიერთობის არსებობა სადავოობის შემთხვევაშიც შესრულების ვალდებულებას წარმოშობს და კრედიტორს მოთხოვნის უფლებას ანიჭებს. ამასთან, ვალის აღიარება იმით განსხვავდება ნებისმიერი სხვა ფორმით გათვალისწინებული მოთხოვნის აღიარებისაგან, რომ იგი ახალი ხელშეკრულებაა და არა სხვა სახელშეკრულებო ურთიერთობის ფარგლებში ნების გამოვლენა.

ვალის არსებობის აღიარება არის ცალმხრივი და აბსტრაქტული ხელშეკრულება, რომლის თანახმად ერთი მხარე მეორე მხარის სასარგებლოდ დამოუკიდებლად კისრულობს გარკვეულ მოქმედებების შესრულებას და, ამდენად, საკმარისია ერთი პირის მიერ ნების გამოვლენა. თუ მხარეები უკვე არსებული ვალდებულების შინაარსიდან გამომდინარე ან ადასტურებენ მას, ან მხარეები არსებული ვალდებულების შესასრულებლად ახალი ვალდებულების შესრულებას კისრულობენ, ვალის აღიარებად არ მიიჩნევა. ვალის არსებობის აღიარებას ადგილი აქვს მხოლოდ მაშინ, თუ იგი დამოუკიდებელია ძირითადი ვალდებულებითი ურთიერთობისაგან და ახალ, დამოუკიდებელ მოთხოვნას წარმოშობს. ამდენად, იგი არ უნდა უკავშირდებოდეს ძირითადი ვალდებულებიდან გამომდინარე შესრულების მოთხოვნას. იმ შემთხვევაში, თუ მხარეები არსებული ვალდებულების შესასრულებლად ახალი ვალდებულების შესრულებას კისრულობენ და აღნიშნული გარიგებით გათვალისწინებული მოთხოვნის მიზანია ძირითადი ვალდებულებიდან გამომდინარე შესრულების მოთხოვნა და ამდენად, ვალის აღიარება არ არსებობს, აღნიშნული ურთიერთობის შეფასებისას უნდა გავითვალისწინოთ სამოქალაქო კოდექსის 319-ე მუხლის პირველი ნაწილის მეორე წინადადებით აღიარებული ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპი, რაც გულისხმობს ხელშეკრულების დადების თავისუფლებას და მისი შინაარსის თავისუფლად განსაზღვრის შესაძლებლობას. ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპის ეს უკანასკნელი ელემენტი ასევე გულისხმობს იმასაც, რომ მხარეებს შეუძლიათ, დადონ ნებისმიერი ხელშეკრულება, მათ შორის ისეთიც, რომელიც არ არის კანონით გათვალისწინებული, მაგრამ არ ეწინააღმდეგება მას.

ამდენად, მოცემულ შემთხვევაში მხარეთა მიერ შედგენილი ხელწერილი სამოქალაქო კოდექსის 341-ე მუხლით გათვალისწინებული ვალის არსებობის აღიარების ხელშეკრულებად არ შეიძლება შეფასდეს, რადგან, როგორც მხარეთა განმარტებებით, ასევე ხელწერილის შედგენის დამსწრე მოწმეთა ჩვენებებით უტყუარადაა დადგენილი, რომ ხელწერილით განისაზღვრა მხარეთა შორის უკვე არსებული ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე და სამომავლოდ შესასრულებელი ვალდებულების ფარგლები. ხელწერილით მხარეები შეთანხმდნენ, რომ ვ. ა-ი ვ. ძ-ს ექვსი თვის განმავლობაში გადაუხდის 17 000 აშშ დოლარს. დადგენილია, რომ ვ. ა-მა ვალდებულება შეასრულა, რაც გამორიცხავს ვ. ძ-ის სარჩელის დაკმაყოფილების საფუძვლიანობას.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს სააპელაციო პალატის მოსაზრებას, რომ ვ. ძ-სა და ვ. ა-ს შორის ერთობლივი საქმიანობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ურთიერთობა არ დგინდება, შესაბამისად, სადავო 7000 აშშ დოლარი არ უნდა იქნას მიჩნეული არა ერთობლივი საქმიანობიდან წარმოშობილ ვალად, არამედ სესხად.

სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობის სამართლებრივი შეფასებისათვის უნდა დადგინდეს მატერიალურ სამართლებრივი ნორმით გათვალისწინებული გარკვეული იურიდიული ფაქტების (იურიდიული შემადგენლობის) უტყუარად არსებობა, რაც შესაძლებელია სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით აღიარებული მტკიცებულებებით. ამასთან, ამა თუ იმ ფაქტობრივი გარემოებების დასადგენად მტკიცებულებათა მიღება და

შეგროვება უნდა განხორციელდეს განკუთვნიანობისა და დასაშვებობის პრინციპების მოთხოვნათა გათვალისწინებით. კანონი დაუშვებელ მტკიცებულებათა რიგს, გარდა კანონის დარღვევით მოპოვებული მტკიცებულებებისა, მიაკუთვნებს ასევე ისეთ მტკიცებულებებს, რომლებიც, მიუხედავად მათი შინაარსისა, არ არის ვარგისი ამა თუ იმ გარემოების სამტკიცებლად, ვინაიდან ამ გარემოების დამამტკიცებელი დოკუმენტის სახე თვითონ კანონმა – კონკრეტულმა ნორმამ განსაზღვრა, ანუ ეს ის შემთხვევაა, როდესაც კანონი ითვალისწინებს გარკვეული გარემოების გარკვეული მტკიცებულებით დამტკიცებას. საქმის გარემოებები, რომლებიც კანონის თანახმად უნდა დადასტურდეს გარკვეული სახის მტკიცებულებებით, არ შეიძლება დადასტურდეს სხვა მტკიცებულებებით (სსკ-ის 102-ე მუხლის მესამე ნაწილი).

სამოქალაქო კოდექსის 623-ე მუხლის შესაბამისად, სესხის ხელშეკრულებით, გამსესხებელი საკუთრებაში გადასცემს მსესხებელს ფულს ან სხვა გვაროვნულ ნივთს, ხოლო მსესხებელი კისრულობს, დააბრუნოს იმავე სახის, ხარისხისა და რაოდენობის ნივთი. ამავე კოდექსის 624-ე მუხლის თანახმად კი, სესხის ზეპირი ხელშეკრულების დროს მისი ნამდვილობა არ შეიძლება დადგინდეს მხოლოდ მოწმეთა ჩვენებებით. მითითებული ნორმების ანალიზი ცხადყოფს, რომ სესხის სახელშეკრულებო ურთიერთობის დასადგენად კანონმდებელი მოსარჩელის მტკიცების ტვირთს გარკვეულწილად აძლიერებს. სასესხო ურთიერთობაში თანხის სესხად გადაცემის ფაქტის მტკიცების ტვირთი თანხის გამცემის – მოსარჩელის მხარეზეა, რომელმაც, გარდა თავისი განმარტებისა, სხვა მტკიცებულებით დამაჯერებლად უნდა დაადასტუროს სესხის ხელშეკრულების დადება. მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლო სასესხო ურთიერთობას ყოველგვარი ფაქტობრივი დასაბუთების გარეშე ადგენს და ასეთ დასკვნას მხოლოდ მოსარჩელის განმარტებას აყრდნობს, რაც ეწინააღმდეგება კანონს.

მოცემულ შემთხვევაში სადავოს არ წარმოადგენს ის ფაქტი, რომ ურთიერთშორის უფლებებსა და ვალდებულებებზე მხარეები ზეპირად შეთანხმდნენ. გასაჩივრებული განჩინებით სასამართლომ დადგენილად ცნო, რომ 2008 წლის ივნისში ვ. ძ-მა ვ. ა-ს გადასცა 28 000 აშშ დოლარი, რითაც ამ უკანასკნელს უნდა შეეძინა მაღაზია, რომლის ამოქმედების შედეგად მიღებული მოგებიდან მოსარჩელისთვის უნდა ეხადა სარგებელი. სასამართლოს მიერ დადგენილი ამ ფაქტებიდან და თვით მხარეთა განმარტებებიდანაც ნათლად არის გამოკვეთილი ვ. ძ-ის მიერ ვ. ა-ისათვის თანხის გადაცემის მიზანი – მაღაზიის შექმნით მოგების მიღება, ხოლო შემდგომში ჯარათის ბიზნესის წარმოება. ამ გარემოებას ადასტურებენ ვ. ძ-ის შუამდგომლობით დაკითხული მოწმეებიც (იხ. სასარჩელო განცხადება, სხდომის ოქმები მხარეთა განმარტებების და მოწმეთა ჩვენებების შესახებ).

სამოქალაქო კოდექსის 930-ე მუხლის თანახმად, ერთობლივი საქმიანობის (ამხანაგობის) ხელშეკრულებით ორი ან რამდენიმე პირი კისრულობს, ერთობლივად იმოქმედოს საერთო სამეურნეო ან სხვა მიზნების მისაღწევად ხელშეკრულებით განსაზღვრული საშუალებებით, იურიდიული პირის შეუქმნელად, ხოლო, 932-ე მუხლის თანახმად, მონაწილეებმა უნდა შეიტანონ ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესატანები. ამავე კოდექსის 935-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ ხელშეკრულება სხვა რამეს არ ითვალისწინებს, შემოსავლები მონაწილეებს შორის ნაწილდება მათი წილის შესაბამისად.

საკასაციო სასამართლო სრულად იზიარებს სააპელაციო პალატის განმარტებას ზემოაღნიშნულ ნორმებთან დაკავშირებით, კერძოდ:

ერთობლივი საქმიანობის (ამხანაგობის) ხელშეკრულებისთვის დამახასიათებელია შემდეგი: ამხანაგობის მონაწილე უნდა იყოს არა ნაკლებ ორი პირი, რომლებიც მოქმედებენ ერთობლივად, შესაბამისად, ერთმანეთის მიმართ არ წარმოეშობათ დაპირისპირებული ინტერესები, როგორც მოვალესა და კრედიტორს. ხელშეკრულების ინტერესებიდან გამომდინარე, მის მონაწილეებს შორის შეიძლება მოხდეს უფლება-მოვალეობების გადანაწილება, თუმცა ეს ხორციელდება არა როგორც დამოუკიდებელ პირთა შორის, რომელთაც ერთმანეთის საწინააღმდეგო ინტერესები და მოვალეობები გააჩნიათ, არამედ, როგორც სუბიექტებს შორის, რომელთა შორის უფლება-მოვალეობების გადანაწილება ხდება ამხანაგობის ხელშეკრულების პირობების შესრულების მიზნით. ამხანაგობის მონაწილეთა შეთანხმება და ერთიანობის გამოვლენა უნდა მოხდეს საერთო სამეურნეო ან სხვა მიზნის მისაღწევად, რაც გარიგების მთავარ წინაპირობას წარმოადგენს. მონაწილეები ერთობლივი მიზნის მისაღწევად მოქმედებენ ხელშეკრულებით განსაზღვრული საშუალებებით მათ მიერ განხორციელებული შენატანების საფუძველზე და იურიდიული პირის შეუქმნელად. ამასთან, ერთობლივი საქმიანობის მართვა ყველა მონაწილის მიერ ერთობლივად ხორციელდება, რაც ამ საქმიანობასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების ყველა მონაწილის თანხმობით მიღებას გულისხმობს. ამავდროულად, გადაწყვეტილებათა განხორციელება შეიძლება ერთ-ერთ მონაწილეს ან სხვა მესამე პირსაც დაევალოს, რაც გარიგების შინაარსს არ ცვლის. ამხანაგობის საქმიანობიდან მიღებული სარგებელი და ზიანი მონაწილეთა მიერ განხორციელებული წილების შესაბამისად გადანაწილდება, რისთვისაც რაიმე მნიშვნელობა არა აქვს შენატანი ქონებით თუ მომსახურების გაწევით იქნა განხორციელებული.

ამდენად, საერთო საქმიანობის (ამხანაგობის) წევრების ინტერესები მიმართულია საერთო მიზნის მიღწევისაკენ, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ერთმანეთის მიმართ ისინი არ შეიძლება გამოდიოდნენ როგორც კრედიტორი და მოვალე. მონაწილეებს, ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობების საფუძველზე, პასუხისმგებლობა წარმოეშობათ როგორც მესამე პირებთან, ასევე ერთმანეთთან მიმართებით. აღნიშნულს ადასტურებს სამოქალაქო კოდექსის 937-ე მუხლის პირველი ნაწილი, რომლის ძალითაც, ხელშეკრულების მონაწილეები ერთობლივი საქმიანობიდან წარმოშობილი ვალებისათვის პასუხს აგებენ სოლიდარულად. ერთმანეთთან ურთიერთობაში პასუხისმგებლობის ოდენობა განისაზღვრება მონაწილეთა წილის შესაბამისად, თუ ხელშეკრულება სხვა რამეს არ ითვალისწინებს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო ასკვნის, რომ, მოცემულ შემთხვევაში, მოდავე მხარეთა შორის არსებობდა ერთობლივი საქმიანობის ხელშეკრულება მოგების მიღების მიზნით გარკვეული მოქმე-



დებების განხორციელებაზე, რისთვისაც ვ. ძ-მა განახორციელა ფულადი შენატანი 28000 აშშ დოლარის ოდენობით, ხოლო ვ. ა-ს მომსახურების გაწევით – ბიზნეს-ეკონომიკური საქმიანობის განხორციელებით.

ამდენად, ვ. ა-ის საკასაციო საჩივარი საფუძვლიანია, უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს გასაჩივრებული გადაწყვეტილება და ახალი გადაწყვეტილებით ვ. ძ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდეს.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

#### **გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:**

ვ. ა-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.

გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 24 მარტის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება.

ვ. ძ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდეს.

ვ. ძ-ს დაეკისროს ვ. ა-ის სასარგებლოდ ვ. ა-ის მიერ საკასაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – 590 ლარის გადახდა.

საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

#### **ვალდებულების შესრულება**

##### **განჩინება**

1ას-1388-1224-10

23 ივნისი, 2011 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),**

**ბ. ალაგიძე,**

**თ. თოდრია**

**დავის საგანი:** ხელშეკრულების არაჯეროვანი შესრულებით გამოწვეული ზიანისა და პირგასამტეხლოს ანაზღაურება

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

შპს «ს. რ-ამ» სარჩელი აღძრა სასამართლოში შპს «ა-ის» მიმართ და მოითხოვა 2006 წლის 13 თებერვალს მხარეთა შორის გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების შეწყვეტით გამოწვეული ზიანის – 322951,55 ლარის, პირგასამტეხლოს, ხელშეკრულების ღირებულების 1%-ის – 306898 ლარისა და სასამართლო ხარჯების ანაზღაურება შემდეგი საფუძვლებით: 2006 წლის 13 თებერვალს მხარეთა შორის დაიდო სახელმწიფო შესყიდვების შესახებ 1... ხელშეკრულება, რომლის საგანს წარმოადგენდა ფოთის სალიანდაგე კვანძის რეკონსტრუქცია. ხელშეკრულებით განისაზღვრა მისი პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში ფინანსური სანქციის დაკისრების წესი. გარიგების ღირებულება შეადგენდა 1 549 999 ლარს და უნდა შესრულებულიყო მისი დადებიდან 230 დღეში.

მხარეთა შეთანხმებით, შესრულების მიზნით მოსარჩელემ მოპასუხეს სხვადასხვა დროს გადაურიცხა 990305 ლარი, თუმცა შპს «ა-მა» ვალდებულება ჯეროვნად არ შეასრულა. 2007 წლის 16 აპრილს აღნიშნულის გამო მოსარჩელემ წერილით მიმართა მოპასუხეს ხელშეკრულების შეწყვეტისა და მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო შემდეგი დასაბუთებით: ხელშეკრულების დადგენილ ვადაში შეუსრულებლობა, გარკვეულწილად განაპირობა მოსარჩელის მოქმედებამ, რომელმაც დროულად არ გაათავისუფლა ლიანდაგები მოძრავი შემადგენლობისაგან, სადაც უნდა შესრულებულიყო ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოები და არ მიაწოდა მენარდეს პროექტით გათვალისწინებული სამუშაო მასალა.

მოსარჩელემ ხელშეკრულება 2007 წლის 16 აპრილს, ანუ ისეთ დროს შეწყვიტა, როდესაც 2006 წლის 13 თებერვლის ხელშეკრულების მოქმედების ვადა ამოწურული იყო.

დაუსაბუთებელია მოსარჩელის მოთხოვნა ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით, ვინაიდან, გარდა იმისა, რომ სადავოა მისი ოდენობა, მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულების სპეციფიკური პირობების 7.4 მუხლი უშვებს ზიანის ანაზღაურებას ზღვრულ ოდენობამდე. კერძოდ, შეუსრულებელი ვალდებულების 5%-ის ოდენობით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 5 ნოემბრის გადაწყვეტილებით შპს «ს. რ-ის» სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, შპს «ა-ს» შპს «ს. რ-ის» სასარგებლოდ დაეკისრა პირგასამტეხლო – 12399,92 ლარი, ხოლო დანარჩენ ნაწილში უარი ეთქვა მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება მოსარჩელემ სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 16 ივნისის განჩინებით შპს «ს. რ-ის» სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო პალატამ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი შემდეგი ფაქტობრივი გარემოებანი: 2006 წლის 13 თებერვალს შპს «ს. რ-ას» და შპს «ა-ს» შორის დაიდო <sup>1</sup>... ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ, რომლის საგანი იყო ფოთის კვანძის რეკონსტრუქცია. ხელშეკრულების ღირებულება, დღეს ჩათვლით, შეადგენდა 1 549 999 ლარს. ხელშეკრულებით განსაზღვრული სამუშაოები უნდა შესრულებულიყო ხელშეკრულების ხელმოწერის მომენტიდან 230 დღეში, ანუ 2006 წლის 3 ოქტომბრამდე.

ხელშეკრულების საერთო პირობების 18.1 მუხლით, თუ მხარეები ხელშეკრულების შესრულების პროცესში წააწყდებოდნენ რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდებოდა ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარეს დაუყოვნებლივ უნდა ეცნობებინა წერილობით მეორე მხარისათვის შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამოწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებ მხარეს რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა ეცნობებინა მეორე მხარისათვის თავისი გადაწყვეტილება მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

იმ ადგილას, სადაც მოპასუხეს უნდა მოეწყო მიწის ვაკისი და დაეგო რელსები იდგა შპს «ს. რ-ის» ვაგონები და, შესაბამისად, ლიანდაგები არ იყო გათავისუფლებული მოძრავი შემადგენლობისაგან. სწორედ ამიტომ, 2006 წლის 17 მარტს, მოპასუხემ წერილობით აცნობა მოსარჩელეს მოძრავი შემადგენლობისაგან ლიანდაგების გათავისუფლების თაობაზე, რათა სამუშაოები შესრულებულიყო ხელშეკრულებით გათვალისწინებულ დროში.

რ-ის სადგურ ფოთის დირექტორ რ. კუპას მიერ ხელმოწერილი ცნობით დადასტურდა, რომ შპს «ა-ის» ზემოთ ხსენებული მოთხოვნა 2006 წლის 20 აპრილს შესრულდა.

2006 წლის 20 მარტის წერილით შპს «ა-ის» დირექტორმა ლ. მ-ძემ შპს «ს. რ-ას» მოსთხოვა 325 ტონა ძველვარგისი რ-65 ტიპის რელსის გადაცემა, ვინაიდან, მისი განცხადებით, პროექტით გათვალისწინებული აღნიშნული რელსები საქართველოში შპს «ს. რ-ის» გარდა სხვა ორგანიზაციას არ გააჩნდა, ხოლო მისი სხვა ქვეყნიდან შემოტანა პროექტის გაძვირებას გამოიწვევდა.

2006 წლის 11 ოქტომბერს შპს «ა-მა» წერილობით აცნობა შპს «ს. რ-ას», რომ, ამ უკანასკნელის მხრიდან სამშენებლო მოედნის ვაგონებისაგან დაგვიანებით (2006 წლის აპრილის ბოლოს) გათავისუფლების გამო, სამუშაოთა წარმოება სრულად მოპასუხემაც სამი თვის დაგვიანებით – აპრილის ბოლოს დაიწყო, რის გამოც მოსარჩელისაგან ითხოვა ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და, შესაბამისად, სამუშაოების შესრულების ვადის წლის ბოლომდე გადაწევა. მოპასუხის აღნიშნულ მოთხოვნაზე შპს «ს. რ-ას» საკუთარი მოსაზრება არ გამოუთქვამს.

სასამართლომ მიიჩნია, რომ 2006 წლის 13 თებერვლის ხელშეკრულება შეწყდა (მისი მოქმედების ვადა დასრულდა) 2006 წლის 3 ოქტომბერს. ხელშეკრულებით განსაზღვრული სამუშაოების შესრულების მიზნით, შპს «ს. რ-ამ» შპს «ა-ს» სხვადასხვა დროს გადაურჩევა 990 305 ლარი.

2007 წლის 16 აპრილს შპს «ს. რ-ამ» წერილობით აცნობა შპს «ა-ს», რომ ამ უკანასკნელის მხრიდან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების არაჯეროვნად შესრულების გამო, წყვეტდა ხელშეკრულებას.

სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, დადასტურებულად ვერ იქნება მიჩნეული ის ფაქტობრივი გარემოება, რომ შპს «ა-ს» შეეძლო ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს დროულად შესრულება შპს «ს. რ-ის» მიერ ლიანდაგების გამოთავისუფლების გარეშე, აპელანტის მიერ სათანადო მტკიცებულებების წარუდგენლობის გამო.

სამოქალაქო კოდექსის მე-8 მუხლის მესამე ნაწილისა და 361-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ, მართალია, შპს «ს. რ-ის» მიერ შპს «ა-ისათვის» ძველვარგისი ლიანდაგების მიყიდვის ვალდებულება არ გამომდინარეობდა მხარეთა შორის დადებული ნარდობის ხელშეკრულებიდან, მაგრამ აღნიშნული ვალდებულების წარმოშობის საფუძველია კეთილსინდისიერების პრინციპი, რომელიც გამომდინარეობს კოდექსის ზოგადი ნორმებიდან და თავის თავში მოიცავს თითოეული მხარის მოვალეობას, მაქსიმალურად შეუწყონ ხელი ერთმანეთს ვალდებულების შესრულებაში.

ამდენად, სასამართლომ შპს «ს. რ-ის» მიერ ძველვარგისი რელსების მიუწოდებლობა მიჩნეულ უნდა იქნეს კეთილსინდისიერების პრინციპის დარღვევად, ვინაიდან საქმის მასალებით დასტურდება, რომ მას გააჩნდა რელსების შპს «ა-ისათვის» მიყიდვის შესაძლებლობა, მაგრამ მან აღნიშნული მოქმედება არ განახორციელა და რელსები მიჰყიდა სხვა შემსრულებელს – ბროწეულას მექანიზირებულ ბაზას.

სააპელაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო კოდექსის 369-ე მუხლით და მიიჩნია, რომ შპს «ა-ის» მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს დროულად შეუსრულებლობა გამოწვეული იყო შპს «ს. რ-ის» მიერ მასზე დაკისრებული ვალდებულების შეუსრულებლობით, კერძოდ, კი მის მიერ ლიანდაგების გამოთავისუფლება მოხდა შპს «ა-ის» შეტყობინებიდან 1 თვისა და 3 დღის შემდეგ, რამაც დააყოვნა სამუშაოს დაწყება. ასევე, შპს «ს. რ-ამ» არ მიჰყიდა შპს «ა-ს» ძველვარგისი ლიანდაგები, რაც ხელს შეუწყობდა ვალდებულების დროულად შესრულებას.

სააპელაციო პალატამ ჩათვალა, რომ შპს «ა-ს» არ უნდა დაეკისროს პირგასამტეხლო. 2006 წლის 13 თებერვლის ხელშეკრულების 7.1 მუხლის შესაბამისად, მხარეთა მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში მხარეებს ეკისრებათ პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0,1%-ის ოდენობით. ამდენად, უსაფუძვლოა აპელანტის მოთხოვნა შპს «ა-ისთვის» 198 დღეზე პირგასამტეხლოს დაკისრების ნაწილში.

სასამართლომ არ გაიზიარა აპელანტის მოთხოვნა ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებითაც, ვინაიდან შპს «ა-ის» მიერ შესრულებული სამუშაოს ღირებულება შეადგენს 935 344 ლარს, ხოლო შპს «ს. რ-ამ» მოწინააღმდეგე

მხარეს გადასცა თანხა **990 305** ლარის ოდენობით. ასევე დადგინდა, რომ შპს «ა-მა» შპს «ს. რ-ას» **106 260** ლარი დაუბრუნა, შესაბამისად, პალატამ ჩათვალა, რომ შესრულებული სამუშაოსა და გადაცემული თანხის სხვაობით გამოწვეული ზიანი უკვე ანაზღაურებულიყო შპს «ა-ის» მიერ.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება შპს «ს. რ-ამ» გაასაჩივრა საკასაციო წესით, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის სრულად დაკმაყოფილება შემდეგი საფუძვლებით: სასამართლომ არ გაითვალისწინა, რომ მხარეთა შეთანხმების **18.1** პუნქტიდან გამომდინარე, სწორედ შპს «ა-ს» უნდა გამოეჩინა წინდახედულობა ხელშეკრულების შესრულების შეფერხების თავიდან ასაცილებლად და დროულად ეცნობებინა კასატორისათვის შესაბამისი პრობლემის შესახებ. აღნიშნულის ნაცვლად მოპასუხემ ლიანდაგის მოძრავი შემადგენლობისაგან გათავისუფლების თაობაზე მოსარჩელეს წერილით **2006** წლის **17** მარტს – ვალდებულების შესრულების ვადის დაწყებიდან ერთი თვის შემდეგ აცნობა. მართალია, საქმეში წარმოადგენილია მტკიცებულება, რომ საბოლოოდ ლიანდაგი რ-ამ **2006** წლის **20** აპრილს გაათავისუფლა, მაგრამ აღნიშნული არ შეიძლება ცალსახად შეფასდეს მოწინააღმდეგე მხარის მიერ ვალდებულების შესრულების ვადის ბრალის გარეშე გადაცილებად.

იმ შემთხვევაში თუ საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ შპს „ს. რ-ამ“ ლიანდაგი დაგვიანებით გაათავისუფლა, რამაც საბოლოოდ ასახვა ჰპოვა შპს «ა-ის» მიერ ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილებაში, მაშინ უნდა შეფასდეს მოწინააღმდეგე მხარის **2006** წლის **11** ოქტომბრის წერილიც, რომლის მიხედვით იგი ითხოვდა სამუშაოების შესრულების ვადის გადავადებას **2006** წლის ბოლომდე. ამრიგად, კასატორს დაუყოვნებლივაც რომ მოეხდინა რეაგირება მოწინააღმდეგე მხარის **2006** წლის **17** მარტის წერილზე, შპს „ა-ი“ მაინც ვერ ჩაეტეოდა ვალდებულების შესრულების სახელშეკრულებო ვადაში. შესაბამისად, შპს „ს. რ-ა“ სრულიად კანონიერად ითხოვდა სადავო ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილებისათვის პირგასამტეხლოს დაკისრებას **294498,08** ლარის ოდენობით.

სასამართლომ აღნიშნული საკითხის გადაწყვეტისას უნდა გამოეყენებინა სამოქალაქო კოდექსის მე-**400** მუხლის „ა“ ქვეპუნქტი, **402-ე** და **417-ე** მუხლები, რაც უკანონოდ არ განხორციელდა.

გარდა ზემოაღნიშნულისა, შპს „ს. რ-ა“ ვადაგადაცილებისათვის დაკისრებულ პირგასამტეხლოსთან ერთად ასევე ითხოვდა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების არაჯეროვანი შესრულებისათვის პირგასამტეხლოს შეუსრულებელი ვალდებულების **5%-ის** ოდენობით, რაც შეადგენს **35 701** ლარს. დადგენილია, რომ შპს „ა-მა“ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაო ჯეროვნად არ შეასრულა, ამდენად, არსებობდა აღნიშნული პირგასამტეხლოს გამოყენების უდავო საფუძველი.

სასამართლომ არასწორად მიუთითა, რომ შპს „ს. რ-ამ“ რელსები მიჰყიდა სხვა შემსრულებელს – ბროწეულის მექანიზირებულ ზაზას. ეს უკანასკნელი არის არა მესამე პირი, არამედ რკინიგზის სამახური და, შესაბამისად, შპს „ა-ის“ მიერ შეუსრულებელი სამუშაოების დასრულება რკინიგზამ თავადვე საკუთარი ძალებით უზრუნველყო.

კასატორს სრულად ჰქონდა დასაბუთებული ხელშეკრულების შეუსრულებლობით გამოწვეული ზიანი, რასაც შპს „ა-ის“ მიერ დაბრუნებული **106 260** ლარი იმთავითვე გამოაკლდა. სააპელაციო პალატამ არ გამოიყენა სამოქალაქო კოდექსის **394-ე**, **412-ე** და **419-ე** მუხლები და უკანონოდ არ გაიზიარა შპს „ს. რ-ის“ მოთხოვნა ზიანის ანაზღაურების თაობაზე.

სასამართლომ არასწორად გამოიყენა სამოქალაქო კოდექსის მე-**8** მუხლის მესამე ნაწილი და **369-ე** მუხლი, როდესაც სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილების ერთ-ერთ საფუძვლად მიუთითა მენარდისათვის ძველვარგისი რელსების მიუწოდებლობაზე. მოსარჩელემ თავად ვერ უზრუნველყო ვალდებულების შესრულებისათვის საჭირო პირობების შექმნა. ხელშეკრულების საგანი მისთვის იმთავითვე ცნობილი იყო და შემსყიდველისათვის ოფერტის გაკეთებისას უნდა შეეთავაზებინა ძველვარგისი რელსების მისგან მიწოდება.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საკასაციო საჩივრის საფუძვლები, შეამოწმა გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთება და მიაჩნია, რომ შპს «ს. რ-ის» საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს, სააპელაციო პალატის გასაჩივრებული განჩინება გაუქმდეს და საქმე დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს ხელახლა განსახილველად შემდეგი საფუძვლებით:

კასატორის მითითებით, სააპელაციო სასამართლომ გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების ერთ-ერთ არგუმენტად მიუთითა ის გარემოება, რომ შპს «ს. რ-ამ» ვერ შესძლო დაედასტურებინა ის ფაქტი, რომ შპს «ა-ს» შეემძლო სამუშაოების შესრულება «ს. რ-ის» მიერ ლიანდაგების გამოთავისუფლების გარეშე. კასატორი თვლის, რომ ხელშეკრულების საერთო პირობების მე-**18.1** პუნქტისთანახმად, მხარეებს ევალებოდათ ერთმანეთისათვის ეცნობებინათ ხელშეკრულების შესრულების ხელშემშლელ გარემოებებთან დაკავშირებით. აღნიშნული პუნქტის თანახმად, კასატორი თვლის, რომ შპს «ა-ი» ვალდებული იყო, ეცნობებინა შპს «ს. რ-ისათვის» სამუშაოების დაწყების შეუძლებლობის თაობაზე. აღნიშნულის თაობაზე კასატორი უთითებდა სააპელაციო საჩივარშიც, სადაც აღნიშნავდა, რომ შპს «ა-ს» გარდა ახალი ლიანდაგის დაგებისა ევალებოდა «ე...-ს» შენობის აგება, რასაც ლიანდაგების აყრა არ ჰქონდა და მოპასუხეს შეემძლო შესრულებინა ეს სამუშაოები ლიანდაგის აყრის გარეშე.

სააპელაციო სასამართლომ ისე გაიზიარა პირველი ინსტანციის მოსაზრება აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით, რომ სააპელაციო საჩივრის ამ პრეტენზიის თაობაზე საერთოდ არ უმსჯელია. აღნიშნულთან მიმართებაში სააპელაციო სასამართლოს მიერ დარღვეულია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის **377-ე** მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვნა, რომლის მიხედვითაც სააპელაციო სასამართლო ამოწმებს გასაჩივრებულ გადაწყვეტილებას სააპელაციო საჩივრის ფარგლებში ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით. პალატა თვლის, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილება სააპელაციო საჩივრის ფარგლებში ფაქტობრივი თვალსაზრისით შემოწმებული არ არის.

ანალოგიური უნდა ითქვას სააპელაციო საჩივრის სხვა არგუმენტებთან მიმართებაშიც, იქნება ეს ხელშეკრულების შეწყვეტის დროსთან და ვადაგადაცილების გამო პირგასამტეხლოსთან მიმართებაში თუ ძველვარგის ძელებთან დაკავშირებით.

საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს სააპელაციო სასამართლოს სამართლებრივ მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ შპს «ს. რ-ის» მიერ ძველვარგის ძელების მიუწოდებლობა უნდა შეფასდეს, როგორც კეთილსინდისიერების პრინციპის დარღვევა. სამოქალაქო კოდექსის 317-ე მუხლის პირველი ნაწილი ადგენს, რომ ვალდებულების წარმოშობისათვის აუცილებელია მონაწილეთა შორის ხელშეკრულება. ამდენად, სახელშეკრულებო ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობისას მხარეთა მოვალეობები მოქცეულია ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოქმედებათა ფარგლებში. მოცემულ შემთხვევაში სადავო არ არის, რომ შპს «ა-ისათვის» სადავო ძველვარგისი რელსების მიწოდების ვალდებულება შპს «ს. რ-ის» არ უკისრია. სამოქალაქო კოდექსის მე-8 მუხლის მე-3 ნაწილი შეიცავს მითითებას კეთილსინდისიერებასთან მიმართებაში. აღნიშნული ნორმის თანახმად, სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეები ვალდებული არიან კეთილსინდისიერად განახორციელონ თავიანთი უფლებები და მოვალეობები ანუ კეთილსინდისიერება უკავშირდება პირისათვის დაკისრებული ვალდებულების შესრულებას და არა იმის შესრულებას, რაც მას არც ხელშეკრულებით და არც სხვა სახით (ასეთი რამ საქმის მასალებით არ დასტურდება) მხარის მიმართ არ უკისრია. ხოლო ბროწეულას მექანიზებული ბაზა, კასატორის განმარტებით, წარმოადგენს რ-ის სამსახურს და შეუძლებელია მისი მიჩნევა სხვა შემსრულებლად. იმ შემთხვევაში, თუ რელსები თვით მოსარჩელეს ესაჭიროებოდა, შეუძლებელია იგი მიეცა სხვისთვის, მითუმეტეს თუ ამისი ვალდებულება მას არც კანონით და არც გარიგების საფუძველზე არავის წინაშე არ გააჩნდა. ამდენად, სააპელაციო სასამართლომ ისე მოიშველია აღნიშნული გარემოება შპს «ს. რ-ის» არაკეთილსინდისიერების დამადასტურებელ გარემოებად, რომ ამ ფაქტის ნამდვილობა არ გადაუმოწმებია.

საკასაციო პალატა თვლის, რომ სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებანი შპს «ს. რ-ის» არაკეთილსინდისიერებისა და მხოლოდ მისი ბრალით შპს «ა-ის» მიერ ვალდებულების შეუსრულებლობის თაობაზე გასაზიარებელი არ არის.

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს და საქმე ხელახლა იქნეს განხილული. საქმის ხელახალი განხილვისას სააპელაციო საჩივრის პრეტენზიების გათვალისწინებით უნდა დადგინდეს მხარეთა ბრალი ხელშეკრულების შეუსრულებლობაში და, შესაბამისად, განისაზღვროს შეუსრულებელ სამუშაოთა და მიყენებული ზიანისა ოდენობა.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

#### **და ა დ გ ი ნ ა:**

შპს «ს. რ-ის» საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს.

გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 16 ივნისის განჩინება და საქმე დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს ხელახლა განსახილველად.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

### **ვალდებულების შესრულება**

#### **განჩინება**

1ას-323-307-2011

1 დეკემბერი, 2011 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: ბ. ალავეიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),**

**ვ. როინიშვილი,**

**ნ. კვანტალიანი**

**დავის საგანი:** ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით მიყენებული ზიანის ანაზღაურება

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრომ სარჩელი აღძრა სასამართლოში სპს «თ-ის» მიმართ და სამოქალაქო კოდექსის 316-ე მუხლის პირველი ნაწილის, 361-ე მუხლის მე-2 ნაწილის, 394-ე, მე-400, 402-ე, 404-ე, 408-ე, 414-ე, 417-ე, 418-ე და 419-ე მუხლების, 403-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, მხარეთა შორის 2005 წლის 23 ივნისის დადებული '61 სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის გამო მოითხოვა სპს «თ-ისათვის» ზიანის ანაზღაურების დაკისრება, კერძოდ, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობისათვის – 28400 ლარის, პირგასამტეხლოს სახით – 23657.20 ლარის დაკისრება, ასევე სადაო თანხის პროცენტის გადახდა ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ფიქსირებული ზღვრული ოდენობის მიხედვით შემდეგი გარემოებების გამო:

«2005 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ» საქართველოს კანონის საფუძველზე მიზნობრივი პროგრამა «ჩა-ის» ფარგლებში ღია ტენდერის საფუძველზე პერსპექტიული ჩაის პლანტაციის მძიმედ გასხვლისათვის საჭირო მომსახურების თაობაზე ტენდერში გამარჯვებულ სპს «თ-ესთან» 2005 წლის 23 ივნისს გაფორმდა სახელმწიფო შესყიდვების შესახებ 161 ხელშეკრულება. მომსახურების გაწევის მიზნით, სპს «თ-ეს» გადაიხდა 28400 ლარი.

ხელშეკრულების მე-3 და მე-4 პუნქტების თანახმად, მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას, შემსყიდველს შეუსრულოს სამუშაოები ხელშეკრულების პირობების შესაბამისად და სამუშაოების შესრულება ხორციელდება მიმწოდებლის სატენდერო წინადადებაზე დართული გრაფიკის მიხედვით. მომსახურების ვადების დარღვევის შემთხვევაში, მიმწოდებელს ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე დაეკისრება დაგვიანებით შესრულებული სამუშაოს ღირებულების 0.1%.

ხელშეკრულების სპეციფიკური პირობების მე-5 პუნქტის თანახმად, შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება მოხდება პერიოდულად, რეგიონების მიხედვით მომსახურების შესრულების საფუძველზე ამ მიზნით შექმნილი ინსპექტირების ჯგუფის მიერ და მიღება-ჩაბარების თაობაზე გაფორმდება შესაბამისი აქტი. ასეთი ფორმის მიღება-ჩაბარების აქტი კი მხარის მიერ არ არის შედგენილი.

მოსარჩელემ მოპასუხე გააფრთხილა ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხის – როგორც შესრულებული მომსახურების ღირებულების გადახდის ვალდებულებაზე, ისე პირგასამტეხლოს სახით გეგმა-გრაფიკში ასახული, დაგვიანებით შესრულებული მომსახურების ღირებულების 0.1% გადახდის თაობაზე, თუმცა, მოპასუხეს ამ მიმართვაზე რეაგირება არ მოუხდენია და არც თანხა გადაუხდია საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროსათვის.

ამდენად, სპს «თ-ემ» 2005 წლის 23 ივნისის 161 ხელშეკრულების სპეციფიკური პირობების მე-3 პუნქტის თანახმად, სატენდერო წინადადებაზე დართული გრაფიკით ნაკისრი ვალდებულება დაარღვია, რაც ამავე ხელშეკრულების მე-7 პუნქტით გათვალისწინებულ სანქციებს ითვალისწინებს.

სპს «თ-ემ» სარჩელი არ ცნო და მოითხოვა მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა შემდეგი დასაბუთებით:

საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის 2005 წლის 11 ივლისის 12-167 ბრძანებით შექმნილ მონიტორინგის ჯგუფს დაევალა შესრულებული სამუშაოების შემოწმება და მიღება-ჩაბარების აქტების შედგენა. 2005 წლის პირველ დეკემბერს შედგენილი და მონიტორინგის ჯგუფის ყველა წევრის მიერ ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე მოსარჩელემ ჩაიბარა 13840 ლარის ღირებულების სამუშაო.

ა/რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2007 წლის 16 აპრილის 01-07/9 წერილით დასტურდება, რომ ხელშეკრულებით გათვალისწინებული 30 ჰა ჩაის გასხვლის სამუშაოებიდან დადგენილ ვადაში შესრულებულია 20 ჰა, ხოლო 10 ჰა სამუშაოების ჩატარდა დადგენილი ვადის დარღვევით, თუმცა სამუშაოს შესრულების ვადის გაგრძელებაზე მოასუხეს თანხმობა განუცხადეს საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სპეციალისტებმა, რომლებმაც გადაამოწმეს შესრულებული სამუშაოები, რის თაობაზე შედგენილია შესაბამისი აქტები.

შესრულებული სამუშაოს მიღება-ჩაბარების აქტის შედგენის ვალდებულება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს მონიტორინგის ჯგუფს ევალებოდა. ამასთან, რადგანაც მოსარჩელე სადავოდ ხდის მიღება-ჩაბარების აქტების შედგენას და არა სამუშაოების შესრულებას, აღნიშნული საკითხი უნდა გაირკვეს მონიტორინგის ჯგუფთან.

მოპასუხემ მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 316-ე მუხლის მე-2 ნაწილზე, მე-400, 401-ე მუხლებზე და განმარტა, რომ ვინაიდან სამუშაოს მიღება-ჩაბარების აქტის შედგენის ვალდებულება ინსპექტირების ჯგუფს ეკისრებოდა, რომელმაც არ განახორციელა შესრულებული სამუშაოს წარმოჩენა და შესაბამის აქტში ასახვა, ამასთან, მან შეამოწმა ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესრულება, არ არსებობს სარჩელის დაკმაყოფილების წინაპირობა.

ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 30 დეკემბრის გადაწყვეტილებით საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, სპს «თ-ეს» საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სასარგებლოდ დაეკისრა 14560 ლარის გადახდა, სპს «თ-ეს» საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სასარგებლოდ დაეკისრა ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე (2006 წლის პირველი იანვრიდან 2008 წლის 30 დეკემბრამდე) 14560 ლარის 0.1% – 15943.20 ლარის გადახდა.

რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა სპს «თ-ემ».

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 28 დეკემბრის განჩინებით სპს «თ-ის» სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 30 დეკემბრის გადაწყვეტილება შემდეგი გარემოებების გამო:

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად ცნო, რომ 2005 წლის 23 ივნისს საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და სპს «თ-ეს» შორის გაფორმდა სახელმწიფო შესყიდვების 161 ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც სპს «თ-ემ» (მიმწოდებელმა) 30 ჰექტარ ფართობზე ჩაის პლანტაციის მძიმე გასხვლისა და მისი ეკლიანი მავთულითა და ხის ბომბებით შემოღობვის ვალდებულება იკისრა, ხოლო საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრომ აღნიშნულ სამუშაოთა შესრულებისათვის სპს «თ-ეს» გადასცა შესასრულებელი სამუშაოს ღირებულება – 28000 ლარი. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრა 2006 წლის პირველ იანვრამდე. 2005 წლის პირველი დეკემბრის მიღება-ჩაბარების აქტის შესაბამისად, სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ სპს «თ-ის» მიერ შესრულდა მხოლოდ 13840 ლარის სამუშაო, ხოლო შეუსრულებელი დარჩა 14 560 ლარის ღირებულების სამუშაო. ხელშეკრულების მე-7 პუნქტით ნაკისრ ვალდებულებათა შეუსრულებლობისათვის გათვალისწინებულ იქნა გარკვეული სახის სანქციები, კერძოდ, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე დაგვიანებით შესრულებული მომსახურების ღირებულების 0,1 პროცენტის გადახდა.

სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 629-ე მუხლზე და მიიჩნია, რომ ხელშეკრულების დამრღვევი მხარე ვალდებულია, აუნაზღაუროს ხელშემკვერელ მხარეს ხელშეკრულების შეუსრულებლობით მიყენებული ზი-

ანი. სასამართლომ ასევე იხელმძღვანელა სამოქალაქო კოდექსის 316-ე-317-ე, 361-ე მუხლებით და განმარტა, რომ მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულება შესრულებული სამუშაოს მიღება-ჩაბარების სპეციალურ წესს ითვალისწინებდა, ამდენად, არ გაიზიარა აპელანტის მითითება, რომ ხელშეკრულებით ნაკისრი პირობები მისი მხრიდან შესრულებულია, რადგან დასახელებული ხელშეკრულების მე-5 მუხლის თანახმად, შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება უნდა მომხდარიყო პერიოდულად, მომსახურების შესრულების მიხედვით ამ მიზნით შექმნილი ინსპექტირების ჯგუფის მიერ, რის შესახებაც უნდა გაფორმებულიყო მიღება – ჩაბარების აქტები. ამასთან, სპს «თ-ის» მიერ 14560 ლარის სამუშაოს შესრულების ფაქტი არ გაიზიარა დაუსაბუთებლობის გამო, ასევე არ იქნა გაზიარებული აპელანტის მითითება, რომ საქმეში განთავსებული წერილით, რომელსაც ინსპექტირების ჯგუფის ხელმძღვანელი წერს საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს გენერალური ინსპექციის უფროსის მოადგილეს და შიდა აქტები, რომელსაც ხელს აწერს, ერთი მხრივ, თავად სპს «თ-ე» და, მეორე მხრივ, ესა თუ ის ფიზიკური პირი, ადასტურებს მის მიერ ვალდებულების შესრულებას, რადგანაც ზემოხსენებულ წერილში ინსპექტირების ჯგუფის ხელმძღვანელი საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს გენერალური ინსპექციის უფროსის მოადგილეს ატყობინებს, რომ ხელშეკრულების ვადა, ზეპირი შეთანხმების საფუძველზე უნდა გაგრძელებულიყო 2006 წლის იანვრის ბოლომდე, მაგრამ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ ოფიციალურად უარი განაცხადა ხელშეკრულების ვადის გაგრძელებაზე, რის გამოც ხელშეკრულებით გათვალისწინებულ შესრულებულ სამუშაოზე მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება არ განხორციელდა ხელშეკრულების ვადის გასვლის მიზეზით. პალატამ მიუთითა, რომ ამ მტკიცებულებით არ დგინდება ხელშეკრულების ვადის გაგრძელების თაობაზე სოფლის მეურნეობის სამინისტროს უფლებამოსილ პირთან ზეპირი შეთანხმების არსებობა.

სასამართლომ ასევე მიუთითა, რომ სადავო ხელშეკრულებას სოფლის მეურნეობის სამინისტროდან ხელს მინისტრის პირველი მოადგილე აწერს, რაც იმას ადასტურებს, რომ კონკრეტულ სამართლებრივ ურთიერთობაში სამინისტროს მხრიდან უფლებამოსილი სწორედ ის იყო და არა სამინისტროს აპარატის პასუხისმგებელი მუშაკებისაგან შემდგარი ჯგუფი, წინააღმდეგ შემთხვევაში, ვადის გაგრძელების თაობაზე შეთანხმების საწმუნოობა წერილობითი მტკიცებულების, ანუ წერილობითი ხელშეკრულების გარეშე დადასტურებულად ვერ მიიჩნევა, რადგან ერთმანეთთან ურთიერთობისთვის მხარეებმა, თანახმად ხელშეკრულებისა, სწორედ წერილობითი ფორმა აირჩიეს.

სპს «თ-ის» მიერ მითითებული შიდა აქტები დათარიღებულია 2005 წლის 28 დეკემბრით, ანუ ამ პერიოდის მდგომარეობის ამსახველია და ვერ გამოდგება იმის დასტურად, რომ ვადის გადაცილებით, ანუ 2006 წლის იანვარში სპს «თ-ის» მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი სამუშაოები დაგვიანებით, მაგრამ მაინც შესრულდა. აპელანტს შეეძლო მსგავსი ტიპის აქტების წარმოდგენა 2006 წლის იანვარში დაგვიანებით შესრულებულ სამუშაოზეც, მაგრამ იანვრის თვეში დაგვიანებით შესრულებულ სამუშაოთა შესახებ მსგავსი მტკიცებულება აპელანტს სასამართლოსათვის არ წარუდგენია.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის მე-3 ნაწილზე, ამავე კოდექსის მე-4 და 103-ე მუხლებზე და აღნიშნა, რომ, იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ სპს «თ-ის» მიერ სამუშაოები სრულად არ შესრულებულა, არ არსებობს ინსპექტირების აქტი, ანუ კანონშესაბამისი მტკიცებულება, რომელიც სარჩელის საფუძვლიანობას დაადასტურებდა.

პალატის მითითებით, დადგენილი ფაქტობრივი გარემოებაა, რომ 2005 წლის 23 ივნისის ხელშეკრულების მე-7 პუნქტით ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დარღვევისათვის მხარეთა მიერ განისაზღვრა პირგასამტეხლოს ოდენობა, ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის შესრულებული მომსახურების ღირებულების 0.1 პროცენტის ოდენობით. ხელშეკრულების სრულად შესრულების ბოლო ვადა 2006 წლის პირველი იანვარი იყო, აღნიშნული დროისათვის, ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა მიიჩნევა ვალდებულების დარღვევად, რაც ამავე თარიღიდან წარმოიშობს კრედიტორის უფლებას მოთხოვნაზე. მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულების მე-7 მუხლის თანახმად, რომლითაც გათვალისწინებული იყო ხელშეკრულების დარღვევისათვის პირგასამტეხლო და მისი ოდენობა – პალატამ ჩათვალა, რომ მოსარჩელის მოთხოვნა მოპასუხისათვის პირგასამტეხლოს დაკისრების თაობაზე, სამოქალაქო კოდექსის 416-ე მუხლის შესაბამისად, კანონშესაბამისად დაკმაყოფილდა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ და მისი გაუქმების სამართლებრივი საფუძველები არ არსებობს.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გასაჩივრა სპს «თ-ემ», მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა შემდეგი საფუძველებით:

გასაჩივრებული განჩინებით სააპელაციო სასამართლომ დაარღვია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის მეორე ნაწილის „გ“ ქვეპუნქტი, მე-3 ნაწილი და 394-ე მუხლი, რადგანაც არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, კერძოდ, სამოქალაქო კოდექსის მე-400 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტისა და 401-ე მუხლის მოთხოვნები, გამოიყენა კანონი და არასწორად განმარტა მისი არსი და მნიშვნელობა, კერძოდ, სამოქალაქო კოდექსის 361-ე მუხლი, რის გამოც გამოიტანა კანონშესაბამო გადაწყვეტილება. სარჩელის მიხედვით, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო მოითხოვდა 2005 წლის 23 ივნისის 161 ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის 28400 ლარის, პირგასამტეხლოს 23657.20 ლარის და სადავო თანხის პროცენტის – 52057.20 ლარის გადახდას.

სასამართლომ გასაჩივრებული გადაწყვეტილების მიღებისას დადგენილად ცნო, რომ საქმეში წარმოდგენილი 2005 წლის 23 ივნისის სახელმწიფო შესყიდვების შესახებ 161 ხელშეკრულების თანახმად, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და სპს „თ-ეს“ შორის დაიდო შეთანხმება 28400 ლარის ღირებულების სამუშაოების შესრულებაზე. სპს „თ-ემ“ იკისრა 30 კა პლანტაციის მიმდებარე გასხვლის ვალდებულება, მისი ეკლიანი მავთულითა და ხის ბოძებით შემოღობვა. ასევე დადგენილად ცნო, რომ 2005 წლის პირველი დეკემბრის მიღება-ჩაბარების აქტის თანახმად, შესრულებულ იქნა 13840 ლარის სამუშაო. სასამართლომ შეფასება არ მისცა იმ ფაქტს, რომ მიღება-

ჩაბარების აქტების შედგენის უფლებამოსილება საქმეში წარმოდგენილი საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის 2005 წლის 12-167 ბრძანებით შექმნილი სამუშაოების შესრულებაზე კონტროლის განმახორციელებელ ინსპექტირების ჯგუფს ჰქონდა და მათ ვალდებულებას სწორედ მიღება-ჩაბარების აქტის შედგენა წარმოადგენდა, სასამართლომ ასევე არ შეაფასა საქმეში წარმოდგენილი ინსპექტირების ჯგუფის ხელმძღვანელის 2008 წლის 31 ივლისის 101-13/152 წერილი, რომლითაც დასტურდება, რომ გარდა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ნაკვეთის შემოღობვის – 13840 ლარის ღირებულების სამუშაოს შესრულებისა, სპს „თ-ემ“ შეასრულა ხელშეკრულებით გათვალისწინებული 30 ჰა ჩაის პლანტაციის გასხვლის სამუშაოები, მაგრამ ინსპექტირების ჯგუფმა არ შეადგინა მიღება-ჩაბარების აქტი, თითქოს ხელშეკრულების ვადის გასვლის მიზეზით. აღნიშნული წერილით დადასტურებულია, რომ 20 ჰექტარზე სამუშაოები დასრულდა ხელშეკრულებით დადგენილ ვადაში, ხოლო 10 ჰექტარზე – ხელშეკრულების ვადის გასვლიდან 20 დღის ვადაში, ამდენად, დადასტურებულია, რომ ნაკისრი ვალდებულება შესრულებულია სრულად, თუმცა ინსპექტირების ჯგუფმა არ შეადგინა მიღება-ჩაბარების აქტი არც 20 ჰექტარზე და არც 10 ჰექტარზე.

ინსპექტირების ჯგუფის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობა სასამართლოს არ უნდა მიეჩნია სპს „თ-ის“ მიერ ვალდებულების შეუსრულებლობად.

სასამართლოს განმარტებით, სამოქალაქო კოდექსის 361-ე მუხლით გათვალისწინებული შესრულება გულისხმობს ვალდებულების არსებობას, ხოლო ვალდებულება უნდა შესრულდეს ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილს, მაგრამ ვალდებულების შესრულების მტკიცების ტვირთი არასწორად დააკისრა სპს „თ-ის“, მაშინ, როდესაც აღნიშნული ინსპექტირების ჯგუფის ვალდებულებას წარმოადგენდა.

სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, კერძოდ, სამოქალაქო კოდექსის 316-ე მუხლის მეორე ნაწილი, რომლითაც დადგენილი მეორე მხარის უფლებებისა და ქონებისადმი განსაკუთრებული გულისხმიერება ინსპექტირების ჯგუფის მიერ იგნორირებულ იქნა.

კასატორმა მიუთითა სამოქალაქო კოდექსის მე-400 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტზე, 401-ე მუხლზე და აღნიშნა, რომ სპს „თ-ის“ მიერ სრულად შესრულდა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულება კრედიტორის მიერ გაფრთხილებისა და დამატებითი ვადის დანიშვნის გარეშე და აღნიშნული დადასტურებულია საქმეში წარმოდგენილ ინსპექტირების ჯგუფის ხელმძღვანელ ვ. გ-ძის 2007 წლის 16 აპრილის 1001-09/19 წერილით. აღნიშნული მტკიცებულებით, ინსპექტირების ჯგუფი საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს აცნობებს სპს „თ-ის“ მიერ ვალდებულების შესრულებას, მოპასუხის მიერ ნაკისრი ვალდებულების შესრულებას ადასტურებს საქმეში წარმოდგენილი 2008 წლის 31 ივლისის 101-13/152 წერილიც, აღნიშნულიდან გამომდინარე, დადასტურებულია, რომ მოსარჩელის მიერ სადავოდ გამხდარი მიღება-ჩაბარების აქტის შედგენა საქმეში წარმოდგენილი 2005 წლის 23 ივნისის 161 ხელშეკრულების მეხუთე პუნქტისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2005 წლის 11 ივლისის 1167 ბრძანების თანახმად, ევალებოდა ინსპექტირების ჯგუფს. საქმეში წარმოდგენილი ინსპექტირების ჯგუფის ხელმძღვანელის წერილობითი დასკვნით დადასტურებულია, რომ ხელშეკრულებით დადგენილი ვალდებულება სპს „თ-ის“ მიერ შესრულდა ჯეროვნად და კეთილსინდისიერად და რომ არა ინსპექტირების ჯგუფის სამსახურებრივი გულგრილობა და მოსარჩელის მხრიდან ვალდებული პირისადმი მოთხოვნის არქონა და შემდგომ კი ამ ფაქტის თავის სასარგებლოდ გამოყენების მცდელობა, სპს „თ-ის“ არ მიადგებოდა ეკონომიკური და მორალური ზიანი. საქმეში წარმოდგენილ შესაგებელსა და 2008 წლის 4 აგვისტოს წერილით სპს „თ-ე“ ჰქმნართების დასადგენად შუამდგომლობდა ინსპექტირების ჯგუფის წევრების დაკითხვის თაობაზე, რაც სასამართლომ უსაფუძვლოდ არ დააკმაყოფილა და საქმისადმი მნიშვნელობის მქონე ფაქტობრივი გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების გარეშე მიიღო გადაწყვეტილება. ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესრულებული სამუშაოების მიღება-ჩაბარების აქტების ინსპექტირების ჯგუფის მიზეზით შეუსრულებლობის გამო სპს „თ-ის“ ნაკისრი ვალდებულება შეუსრულებლად ეთვლება. როგორც პირველი ინსტანციის სასამართლომ, ისე სააპელაციო სასამართლომ შეფასებისა და გამოკვლევის გარეშე დააკმაყოფილა მოსარჩელის მოთხოვნა პირგასამტეხლოს მოთხოვნის ნაწილში, კერძოდ, ინსპექტირების ჯგუფი წერილობით ადასტურებს სამუშაოს სრულად შესრულების ფაქტს, ამავე ჯგუფის მიერ მიღება-ჩაბარების აქტის შეუდგენლობისათვის პირგასამტეხლოს თანხას სასამართლო სპს „თ-ის“ აკისრებს.

სააპელაციო სასამართლომ საქმე განიხილა მნიშვნელოვანი საპროცესო დარღვევით, რომელსაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე, რაც, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საკასაციო საჩივრის დასაშვებად ცნობის, ხოლო ამავე კოდექსის 393-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტის, ასევე 394-ე მუხლის „ე“ პუნქტის თანახმად, საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილებისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძველია.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 30 მაისის განჩინებით სპს „თ-ის“ საკასაციო საჩივარი ცნობილ იქნა დასაშვებად სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად დასაშვებობის შესამოწმებლად.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთებისა და სპს „თ-ის“ საკასაციო საჩივრის საფუძვლების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ მოცემული საკასაციო საჩივრი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, უნდა გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 28 დეკემბრის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება).

მოცემულ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლომ სრულად გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს დასკვნები და დადგენილად მიიჩნია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

2005 წლის 23 ივნისს საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და სპს «თ-ეს» შორის გაფორმდა სახელმწიფო შესყიდვების 161 ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც სპს «თ-ემ» (მიმწოდებელმა) 30 ჰექტარ ფართობზე ჩაის პლანტაციის მძიმე გასხვლისა და მისი ეკლიანი მავთულითა და ხის ბოძებით შემოღობვის ვალდებულება იკისრა, ხოლო საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრომ აღნიშნულ სამუშაოთა შესრულებისათვის სპს «თ-ეს» გადასცა შესასრულებელი სამუშაოს ღირებულება – 28000 ლარი.

ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრა 2006 წლის პირველ იანვრამდე. 2005 წლის პირველი დეკემბრის მიღება-ჩაბარების აქტის შესაბამისად, სპს «თ-ის» მიერ შესრულდა მხოლოდ 13840 ლარის სამუშაო, ხოლო ვინაიდან მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულება შესრულებული სამუშაოს მიღება-ჩაბარების სპეციალურ წესს ითვალისწინებდა, რაც არ იქნა მოპასუხის მიერ წარმოდგენილი, შეუსრულებელი დარჩა 14 560 ლარის ღირებულების სამუშაო.

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა აპელანტის მითითება, რომ საქმეში განთავსებული წერილით, რომელსაც ინსპექტორების ჯგუფის ხელმძღვანელი წერს საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს გენერალური ინსპექციის უფროსის მოადგილეს და შიდა აქტები, რომელსაც ხელს აწერს, ერთი მხრივ, თავად სპს «თ-ე» და მეორე მხრივ, ესა თუ ის ფიზიკური პირი, ადასტურებს მის მიერ ვალდებულების შესრულებას.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, საკასაციო საჩივარი შეიძლება ეფუძნებოდეს მხოლოდ იმას, რომ გადაწყვეტილება კანონის დარღვევითაა გამოტანილი. ამავე მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრულია ის შემთხვევები, თუ რა მიიჩნევა კანონის დარღვევად, ხოლო მესამე ნაწილი აზუსტებს საპროცესო სამართლის ნორმათა დარღვევის შედეგებს, კერძოდ, საპროცესო სამართლის ნორმათა დარღვევა მხოლოდ მაშინ შეიძლება გახდეს გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი, თუ ამ დარღვევის შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი. ამავე კოდექსის 412-ე მუხლის «ა» ქვეპუნქტი ითვალისწინებს გასაჩივრებელი გადაწყვეტილების გაუქმებასთან ერთად საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნებას იმავე სასამართლოსათვის, თუ საქორაო მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა.

კასატორი არ ეთანხმება რა სააპელაციო სასამართლოს დასკვნებს მისი მხრიდან ვალდებულების მხოლოდ ნაწილობრივ შესრულების თაობაზე, მიიჩნევს, რომ სასამართლომ სათანადოდ არ შეაფასა ის მტკიცებულებები, რომლებიც ასაბუთებდნენ მოპასუხის პოზიციას, კერძოდ, საქმეში წარმოდგენილი ინსპექტორების ჯგუფის ხელმძღვანელის 2008 წლის 31 ივლისის 101-13/152 წერილით დასტურდება, რომ გარდა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ნაკვეთის შემოღობვის – 13840 ლარის ღირებულების სამუშაოს შესრულებისა, სპს «თ-ემ» შეასრულა ხელშეკრულებით გათვალისწინებული 30 (ოცდაათი) ჰა ჩაის პლანტაციის გასხვლის სამუშაოები. ასევე ინსპექტორების ჯგუფის ხელმძღვანელის 2007 წლის 16 აპრილის 11001-09/19 წერილით, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ეცნობა, რომ სპს «თ-ის» მიერ ვალდებულება შესრულებულია. აღნიშნული წერილებით დადასტურებულია, რომ 20 ჰექტარზე სამუშაოები დასრულდა ხელშეკრულებით დადგენილ ვადაში, ხოლო 10 ჰექტარზე – ხელშეკრულების ვადის გასვლიდან 20 დღის ვადაში, ამდენად, დადასტურებულია, რომ ნაკისრი ვალდებულება შესრულებულია სრულად, თუმცა, ინსპექტორების ჯგუფმა არ შეადგინა მიღება-ჩაბარების აქტი არც 20 ჰექტარზე და არც 10 ჰექტარზე. კასატორის განმარტებით, გარდა ზემოაღნიშნული მტკიცებულებებისა, იგი საკუთარი პოზიციის დასაბუთებას ცდილობდა მოწმეთა ჩვენებებით, თუმცა არც პირველი ინსტანციის სასამართლომ და არც სააპელაციო სასამართლომ უსაფუძვლოდ არ დააკმაყოფილა მოპასუხე მხარის შუამდგომლობა.

საკასაციო პალატა მიუთითებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის პირველ და მეორე ნაწილებზე, რომელთა მიხედვითაც დადგენილია, რომ სასამართლოსათვის არავითარ მტკიცებულებას არა აქვს წინასწარ დადგენილი ძალა. სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც მას გამოაქვს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ. აღნიშნული ნორმის ანალიზი ცხადყოფს, რომ მტკიცებულებები შეფასებულ უნდა იქნეს როგორც დამოუკიდებლად სხვა მტკიცებულებებისაგან, ასევე საქმეში არსებულ სხვა მტკიცებულებებთან ერთობლიობაში. ამასთან, ყურადღება უნდა მიექცეს იმ გარემოებას, რამდენად აკმაყოფილებს ესა თუ ის მტკიცებულება როგორც საპროცესო ნორმით განსაზღვრულ დასაშვებობის, ასევე მატერიალური ნორმით დადგენილ დასაშვებობის მოთხოვნებს.

სააპელაციო სასამართლოს შეფასებიდან ირკვევა, რომ სააპელაციო სასამართლომ აპრიორად მხარეთა შორის გაფორმებული წერილობითი ხელშეკრულების ის პირობები მიიჩნია, რომლის თანახმადაც, შესრულებული სამუშაოს მიღება-ჩაბარება უნდა მომხდარიყო ინსპექტორების ჯგუფის მიერ მიღება-ჩაბარების აქტის შედგენით. ამ პრინციპით იქნა დადასტურებული სპს «თ-ის» მიერ 13840 ლარის სამუშაოს შესრულების ფაქტი. ამდენად, სააპელაციო სასამართლომ ვალდებულების შესრულება დაუკავშირა მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის შედგენას და მისი არარსებობის პირობებში კატეგორიულად გამორიცხა შესრულების დადასტურება სხვა საშუალებით.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის მე-3 ნაწილზე, რომლის მიხედვით, საქმის გარემოებები, რომლებიც კანონის თანახმად უნდა დადასტურდეს გარკვეული სახის მტკიცებულებებით, არ შეიძლება დადასტურდეს სხვა სახის მტკიცებულებებით. საკასაციო პალატის მოსაზრებით, მოცემული ნორმა არ შეიძლება განმარტებულ იქნეს იმდენად ვიწროდ, რომ მხარეს შეეზღუდოს კანონით მისთვის მინი-



ჭებული დაცვის შესაძლებლობანი. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქმეში წარმოდგენილი ინსპექტირების ჯგუფის ხელმძღვანელის 2007 წლის 16 აპრილის '1001-09/19 და 2008 წლის 31 ივლისის '01-13/152 წერილების სწორად შეფასებას არსებითი მნიშვნელობა აქვს დაცვის გადაწყვეტისათვის, ვინაიდან მასში ასახულია ინსპექტირების ჯგუფის პოზიცია მიღება-ჩაბარების აქტის შედგენასთან დაკავშირებით. ორივე წერილში ვკითხულობთ, რომ გასხვლითი სამუშაოები 20 ჰექტარზე დასრულებულ იქნა ხელშეკრულებით დადგენილ ვადაში, ხოლო 10 ჰექტარზე უამინდობის გამო სამუშაოები გაგრძელდა 2005 წლის 28 დეკემბრამდე. ამასთან, ინსპექტირების ჯგუფმა ხელშეკრულებით შესრულებულ სამუშაოებზე მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება არ განახორციელა ხელშეკრულების ვადის გასვლის მიზეზით.

საკასაციო პალატის შეფასებით, სააპელაციო სასამართლომ ისე უარყო ინსპექტირების ჯგუფის ხელმძღვანელის წერილები, რომ არ შეუმოწმებია მათი დასაშვებობა მატერიალურ-სამართლებრივ ნორმებთან შესაბამისობაში, კერძოდ, სააპელაციო სასამართლომ მხარეთა შორის არსებული ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობა შეაფასა როგორც ნარდობის ხელშეკრულების არსებობა. თუმცა, საგულისხმოა, რომ ნარდობის ხელშეკრულების მარეგულირებელი ნორმების (სამოქალაქო კოდექსის 629-ე-656-ე მუხლები) არც ერთი დანაწესით კანონმდებელი იმპერატიულად არ აწესებს ვალდებულების შესრულებულად მიჩნევის შესაძლებლობას მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის შედგენის გზით. მართალია ხელშეკრულების მხარეები შეთანხმდნენ შესრულებული სამუშაოს მიღება-ჩაბარების ფორმაზე, მაგრამ მიღება-ჩაბარების აქტის შეუდგენლობა, იმ შემთხვევაში, თუ სხვა მტკიცებულებით უტყუარად დადასტურდება ვალდებულების შესრულების ფაქტი, არ შეიძლება გახდეს სარჩელზე უარის თქმის საფუძველი.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს სამოქალაქო კოდექსის 361-ე მუხლის მე-2 ნაწილზე, რომლის თანახმად, ვალდებულება უნდა შესრულდეს ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას. დასახელებული ნორმისა და იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ ნარდობა, იურიდიული ბუნებით ორმხრივი ხელშეკრულებაა, რომელიც ორივე მხარეს უწესებს გარკვეულ ვალდებულებას, პალატა თვლის, რომ შემკვეთს მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად, ეკისრებოდა შესრულებული სამუშაოს მიღების ვალდებულება. უფრო მეტიც, ამავე კოდექსის 429-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, კრედიტორმა მოვალის მოთხოვნით შესრულების მთლიანად ან ნაწილობრივ მიღების შესახებ უნდა გასცეს ამის დამადასტურებელი დოკუმენტი. ამდენად, სააპელაციო სასამართლოს არც ამ კუთხით შეუფასებია კასატორის მიერ დასახელებული მტკიცებულებები. რაც შეეხება, პირგასამტეხლოს, როგორც ზიანის ანაზღაურების ერთ-ერთ საშუალებას, ამ საკითხზე მსჯელობა შესაძლებელია მხოლოდ ვალდებულების შესრულების საკითხის გადაწყვეტის შემდეგ. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ კასატორმა საქმის გარემოებებთან დაკავშირებით წარმოადგინა დასაშვები და დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია (შედავება), რის გამოც საჭიროა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა. საკასაციო პალატა დამატებით აღნიშნავს, რომ კასატორს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების ვადასთან დაკავშირებით არ წარმოუდგენია დასაბუთებული პრეტენზია, შესაბამისად ამ ნაწილში სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილი გარემოება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407.2 მუხლის გათვალისწინებით სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსთვის.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ გადაწყვეტილებას საკასაციო სასამართლომ საფუძველად უნდა დაუდოს სამართლებრივი შეფასება, რომელიც სავალდებულოა სააპელაციო სასამართლოსათვის. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ საქმის ხელახლა განხილვისას უნდა დაადგინოს საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოება, სპს «თ-ის» მიერ ვალდებულების შესრულების ფაქტი, რაც სასამართლოს მისცემს შესაძლებლობას სწორი გადაწყვეტილების გამოტანისათვის.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე, 412-ე მუხლებით და

### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. სპს «თ-ის» საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს.
2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 28 დეკემბრის განჩინება და საქმე დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს ხელახლა განსახილველად.
3. საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

### **ვალდებულების შესრულება**

#### **გადაწყვეტილება საქართველოს სახელით**

<sup>1</sup>ას-341-325-2011

12 ოქტომბერი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ბ. ალავეძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი)  
ვ. როინიშვილი,

### პ. ქათამაძე

**დავის საგანი:** უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობა, უძრავი ქონების გამოთხოვა, ხელშეშლის აღკვეთა

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

ბ. ჭ-ამ სარჩელი აღძრა სასამართლოში ლ. ჭ-ას (კანონიერი წარმომადგენელი ლ. ხ-ა) მიმართ 2009 წლის 24 ნოემბერს დადებული ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობის, მოპასუხის უკანონო მფლობელობიდან სადავო უძრავი ნივთის გამოთხოვისა და ხელშეშლის აღკვეთის მოთხოვნით შემდეგ გარემოებებზე მითითებით:

2009 წლის 24 ნოემბერს ბ. ჭ-ამ ლ. ჭ-ას მიჰყიდა ქ.თბილისში, ... მეორე შესახვევის 122-ში მდებარე საცხოვრებელი ფართი. ნასყიდობის საგნის ფასი ხელშეკრულებით განისაზღვრა 30 000 ლარით, რაც მყიდველს უნდა გადაეხადა ხელშეკრულების სანოტარო წესით დამოწმებისთანავე. ლ. ჭ-ას კანონიერ წარმომადგენელ ლ. ხ-ას აღნიშნული ვალდებულება არ შეუსრულებია. მიუხედავად ამისა, მოპასუხე მხარე ნასყიდობის საგანს ფლობს როგორც საკუთარს, რითაც დაირღვა მისი უფლებები. მოსარჩელემ მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 352-ე და 405-ე მუხლებზე, რომელთა შესაბამისად მხარეს უფლება აქვს, უარი თქვას ხელშეკრულებაზე და მიღებული შესრულება და სარგებელი მხარეებს უნდა დაუბრუნდეთ ნატურით.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და მოითხოვა მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა შემდეგი საფუძველებით: ნასყიდობის თანხის გადაცემა მოხდა ხელშეკრულების სანოტარო წესით დამოწმებისთანავე, რაც დასტურდება სადავო ნასყიდობის ხელშეკრულებითა და საჯარო რეესტრის ამონაწერით. საჯარო რეესტრის მონაცემების უტყუარობის გათვალისწინებით, მოსარჩელის მტკიცების ტვირთს წარმოადგენს თანხის გადაუცემლობის ფაქტის დადასტურება, ამასთან, რადგანაც მოსარჩელე ვერ ადასტურებს, რომ მას ნასყიდობის თანხა არ მიუღია, სარჩელი არ არის დასაბუთებული და არ არსებობს მისი დაკმაყოფილების საფუძველი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 23 აპრილის გადაწყვეტილებით ბ. ჭ-ას სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რაც სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოსარჩელემ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 30 დეკემბრის გადაწყვეტილებით ბ. ჭ-ას სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 23 აპრილის გადაწყვეტილების შეცვლით მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც ბ. ჭ-ას სარჩელი დაკმაყოფილდა, გაუქმდა ბ. ჭ-ასა და ლ. ხ-ას (ლ. ჭ-ას კანონიერ წარმომადგენელს) შორის 2009 წლის 24 ნოემბერს დადებული ნასყიდობის ხელშეკრულება და ბ. ჭ-ას საკუთრებაში დაუბრუნდა ქ.თბილისში, ... ქუჩის მე-2 შესახვევში მდებარე 122 ბინა (საჯარო რეესტრის მონაცემები: ზონა – თბილისი 01, სექტორი – ნაძალადევი – ..., კვარტალი – ..., ნაკვეთი – ..., დაზუსტებული ფართობი: 159.00 კვ.მ) შემდეგი საფუძველებით:

სააპელაციო პალატამ დადგენილად ცნო, რომ 2009 წლის 24 ნოემბერს ბ. ჭ-ასა და არასრულწლოვან ლ. ჭ-ას კანონიერ წარმომადგენელ ლ. ხ-ას შორის დაიდო ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც ბ. ჭ-ამ ლ. ჭ-ას მიჰყიდა საცხოვრებელი ფართი მდებარე ქ.თბილისში, ... ქუჩის მე-2 შესახვევის 122-ში. ხელშეკრულების მე-5 და მე-6 პუნქტების შესაბამისად, ნასყიდობის საგნისათვის შეთანხმებული ფასი განისაზღვრა 30 000 ლარით, რაც მყიდველს უნდა გადაეხადა ხელშეკრულების სანოტარო წესით დამოწმებისთანავე, ხოლო გამყიდველს ნასყიდობის საგანი მყიდველისათვის უნდა გადაეცა 2009 წლის 24 ნოემბერს.

2009 წლის 24 ნოემბრის ხელშეკრულება დამოწმდა სანოტარო წესით და მის საფუძველზე ნასყიდობის საგანი აღირიცხა ლ. ჭ-ას საკუთრებად 2009 წლის 26 ნოემბერს. აღნიშნული ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხა – 30 000 ლარი ბ. ჭ-ას ლ. ჭ-ას მხრიდან, კანონიერი წარმომადგენლის მეშვეობით, არ მიუღია.

პალატამ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის თანახმად, არ გაიზიარა აპელანტის მოწინააღმდეგე მხარის მითითება, რომ თანხის გადაუხდელობის მტკიცების ტვირთი ეკისრება მოსარჩელე მხარეს. მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელის მოთხოვნა ეფუძნება მას და მოპასუხეს შორის ნასყიდობის ხელშეკრულების დადების ფაქტსა და მისთვის ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულების შესრულებას – უძრავი ქონების მყიდველისათვის გადაცემას. ვინაიდან დასახელებული გარემოების არსებობა განაპირობებს ხელშეკრულებიდან გამომდინარე საპირისპირო ვალდებულების შესრულების მოთხოვნის უფლებას, მოსარჩელეს მხოლოდ ამ გარემოებათა მტკიცების ტვირთი ეკისრება, თანახმად 102-ე მუხლის დანაწესისა. რაც შეეხება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების მოპასუხის მიერ შესრულების ფაქტს, მისი მტკიცება უნდა განახორციელოს მოპასუხე მხარემ, რადგანაც სწორედ ამ გარემოებას ეფუძნება მისი შესაგებელი და შესაბამისი მოთხოვნა – არ დაკმაყოფილდეს სარჩელი.

2009 წლის 24 ნოემბრის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების – 30 000 ლარის ოდენობით ნასყიდობის საგნის გადახდის ფაქტის მტკიცება უნდა განხორციელებინა მოპასუხე მხარეს – ლ. ჭ-ას კანონიერ წარმომადგენელს, რომელმაც თანხის გადახდის დასადასტურებლად მიუთითა, რომ ნასყიდობის საგნის გადახდის ფაქტი დასტურდება დადებული ხელშეკრულებით, მოწმეთა ჩვენებებითა და მის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებით, რომლებიც ასახავს ლ. ხ-ას საკუთრებაში ხელშეკრულების დადების დროს თანხის არსებობას, ხოლო თანხის გადახდის დამადასტურებელ სხვა მტკიცებულებებზე მხარეს არ მიუთითებია.

სასამართლოს მითითებით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლი განსაზღვრავს ნუსხას იმ მტკიცებულებებისა, რომლებიც მხარეებს შეუძლიათ გამოიყენონ თავიანთი მოთხოვნების დასადასტურებლად. დასახელებული ნორმის მე-2 ნაწილით ჩამოთვლილ მტკიცებულებათაგან არც ერთს არ გააჩნია უპირატესი იურიდიული მნიშვნელობა. მატერიალურ-სამართლებრივი ნორმით მოცემული გარემოებების დამტკიცებისათვის ამა თუ იმ მტკიცებულების არჩევის აუცილებლობას ზოგ შემთხვევაში კარნახობს ურთიერთობის მომწესრიგებელი მატე-

რიალურ-სამართლებრივი ნორმა, ასე მაგალითად, სასესხო ვალდებულების დროს, სამოქალაქო კოდექსის 624-ე მუხლის თანახმად, ზეპირი სესხის ხელშეკრულების შემთხვევაში მისი ნამდვილობა არ შეიძლება დადგინდეს მხოლოდ მოწმეთა ჩვენებებით. კონკრეტულ შემთხვევაში, სადავო სამართლებრივი ურთიერთობის არსებობის პირობებში, რაც უკავშირდება სამოქალაქო კოდექსის 477-ე მუხლით განსაზღვრულ გარემოებებს, დასახელებული მატერიალური ნორმა არ ითვალისწინებს ფაქტობრივ გარემოებათა დადგენის კონკრეტულ სამართლებრივ მექანიზმს, თუმცა, რადგან საქმე ეხება ფულადი ვალდებულების შესრულებას, რომლის განხორციელების შემდეგაც წყდება ვალდებულებითი ურთიერთობა, სადავოობის შემთხვევაში, ვალდებულების შესრულების დასადასტურებლად უნდა ყოფილიყო წარმოდგენილი მტკიცებულებები, რომლებიც პირდაპირ მიუთითებდა თანხის გადახდის ფაქტზე, მაგალითად, როგორცაა თანხის მიმღების ხელწერილი, თანხის გადარიცხვის ამსახველი დოკუმენტი ან სხვა. აღნიშნული გამომდინარეობს სამოქალაქო კოდექსის 429-ე მუხლის პირველი ნაწილიდან, რომლის მიხედვითაც, კრედიტორმა მოვალის მოთხოვნით შესრულების მთლიანად ან ნაწილობრივ მიღების შესახებ უნდა გასცეს ამის დამადასტურებელი დოკუმენტი. მოცემული ნორმით განსაზღვრული იურიდიული შემადგენლობის შედეგად წარმოშობილ ურთიერთობათა დასადასტურებლად ამავე ნორმით გათვალისწინებულია შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტი, რაც უდავოდ გულისხმობს წერილობითი სახის მტკიცებულებას. კონკრეტულ შემთხვევაში ასეთი სახის მტკიცებულება წარმოდგენილი არ ყოფილა. მოპასუხე დაეყრდნო მხოლოდ სიტყვიერ განმარტებას. მისი მოსაზრებით, თანხის გადახდის ფაქტზე მეტყველებს გარემოებები, რომლებმაც განაპირობა, ხ. ჭ-ას გაეყიდა კუთვნილი ქონება, ანუ გამყიდველის მოტივაცია, ასევე სიტყვიერი მითითება ხელშეკრულების გაფორმების დღეს განვითარებულ მოვლენებზე. თანხის გადაცემის ფაქტის დასადასტურებლად მტკიცებულების სახით კი მოყვანილ იქნა მოწმის ჩვენება, რომლებიც არ შეიძლება შეფასდეს როგორც თანხის გადახდის ამსახველი მტკიცებულება, რადგანაც მოწმის სახით დაკითხულმა პირმა – ბ. ო-შვილმა აღნიშნა, რომ მას უშუალოდ თანხის გადაცემის ფაქტი არ უნახავს, არამედ, მხარეთა მოქმედებებიდან გამომდინარე, შეექმნა წარმოდგენა, რომ ლ. ხ-ამ გადასცა თანხა ხ. ჭ-ას მას შემდეგ, რაც მხარეები გამოვიდნენ სანოტარო ბიუროდან და ჩასხდნენ მანქანაში. დასახელებული ჩვენებიდან გამომდინარე, მოწმეს არ შეეძლო, უტყუარი წარმოდგენა შექმნიოდა თანხის გადაცემის ფაქტზე, ვინაიდან იგი უშუალოდ არ შესწრებია თანხის გადაცემის პროცესს, მისთვის ასევე უცნობი იყო შესრულებული ვალდებულების მოცულობასთან დაკავშირებული ინფორმაცია. ამდენად, სასამართლომ მიიჩნია, რომ მოწმის ჩვენება საჭირო ინფორმაციას საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებებთან დაკავშირებით არ იძლევა, რის გამოც თანხის გადაცემის დამადასტურებელ უტყუარ მტკიცებულებად სასამართლომ არ მიიჩნია.

სასამართლომ შემძენის მიერ ნასყიდობის საფასურის გადახდის დამადასტურებლად არ მიიჩნია არც სადავო ხელშეკრულების საფუძველზე საჯარო რეესტრში უძრავ ნივთზე მყიდველის საკუთრების უფლების რეგისტრაციის ფაქტი. პალატის მოსაზრებით, იგი გავლენას ვერ ახდენს ნასყიდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე მხარეთა ვალდებულებებზე და არ წარმოადგენს ამ ვალდებულებათა შეწყვეტის საფუძველს. კონკრეტულ შემთხვევაში ნასყიდობის ხელშეკრულება დაიდო სანოტარო წესით, რის შემდეგაც მყიდველს თავისუფლად შეეძლო, ერთპიროვნულად, გამყიდველისაგან დამოუკიდებლად, მოეხდინა ამ ხელშეკრულების საჯარო რეესტრში რეგისტრაცია. სასამართლოს მითითებით, საჯარო რეესტრის ჩანაწერი იძლევა პრეზუმციას მესამე პირთათვის, რომ რეგისტრაციის საფუძველად არსებული ხელშეკრულება შესრულებულია და ჩანაწერი ნამდვილია, მაგრამ იგი არ პრეზუმირებს თავად ხელშეკრულების დამდებ მხარეთა შორის.

სააპელაციო სასამართლომ მოცემული დავის გადაწყვეტისას იხელმძღვანელა სამოქალაქო კოდექსის 405-ე მუხლით და მიიჩნია, რომ 2009 წლის 24 ნოემბრის ნასყიდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულება შემძენს არ შეუსრულებია. ამასთან, მოპასუხის პოზიციის შესაბამისად, დასახელებული ვალდებულების შესრულება არც მომავალშია მოსალოდნელი გამომდინარე იქიდან, რომ იგი ამ ვალდებულებას შესრულებულად მიიჩნევს. ამასთან, სადავო ვალდებულების შესრულება წარმოადგენს ხელშეკრულების არსებით პირობას, მასზეა დამოკიდებული მხარეთა შორის განხორციელებული გარიგების რეალიზაცია და არც საპირისპირო ვალდებულების შესრულებაზე არსებობს რაიმე სახის პრეტენზია. ამდენად, მოსარჩელის უფლება, უარი თქვას ხელშეკრულებაზე მოპასუხის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობის გამო, საფუძველიანია სამოქალაქო კოდექსის 352-ე მუხლის შესაბამისად.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა ლ. ჭ-ას კანონიერმა წარმომადგენელმა ლ. ხ-ამ, მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილებს გაუქმება და ხ. ჭ-ასათვის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა შემდეგი საფუძველებით:

სააპელაციო სასამართლომ, ფაქტობრივი გარემოებების არასწორი შეფასებისა და სამართლის ნორმის არასწორი განმარტების გამო, დადგენილად მიიჩნია მოპასუხის მიერ ნასყიდობის ფასის გადაუხდელობა. კასატორმა მითითა სამოქალაქო კოდექსის 72-ე და 73-ე მუხლებზე და განმარტა, რომ გარიგების ბათილად ცნობა შეცდომის საფუძველზე დასაშვებია მხოლოდ მაშინ, როდესაც შეცდომა არსებითი ხასიათისაა და ნების გამოვლენა სწორედ შეცდომის შედეგად მოხდა. მოცემულ ურთიერთობაში უნდა გაიმიჯნოს ვალდებულების შეუსრულებლობა და ნების გამოვლენის ნაკლი, ამდენად, სასამართლოს მიერ ნასყიდობის ფასის გადაუხდელობის ფაქტის დადგენის შემთხვევაშიც კი, ფაქტის შეფასება უნდა მომხდარიყო არა მოტყუებით დადებულ გარიგებად, არამედ ვალდებულების შეუსრულებლობად, რის გამოც სააპელაციო სასამართლოს დასკვნა ნივთის ხ. ჭ-ას საკუთრებაში დაბრუნების თაობაზე უსაფუძველოა.

სააპელაციო სასამართლომ არ გამოიყენა სამოქალაქო კოდექსის 79-ე მუხლის დებულება, რომელიც ადგენს, რომ შეცილება დასაშვებია შეცილების საფუძველის შეტყობიდან ერთი თვის ვადაში. საქმის მასალებით დასტურდება, რომ სადავო ხელშეკრულება დაიდო 2009 წლის 24 ნოემბერს, ხოლო მოსარჩელემ სასამართლოს მიმართა

2010 წლის თებერვალს, შესაბამისად, სასამართლოს მოსარჩელისათვის უარი უნდა ეთქვა სარჩელის დაკმაყოფილებაზე შეცილების ვადის გასვლის გამო.

სააპელაციო სასამართლომ გადაწყვეტილების მიღებისას იხელმძღვანელა სამოქალაქო კოდექსის 427-ე, 429-ე, 477-ე, 624-ე მუხლებით, რითაც დაარღვია ამავე კოდექსის მე-5 მუხლის პირველი და მე-3 ნაწილები, ვინაიდან აღნიშნული ნორმები წარმოადგენს სპეციალურ ნორმებს, მათი ანალოგიის წესით გამოყენება დაუშვებელია, ამასთან, ნასყიდობის ხელშეკრულება ამომწურავადაა დარეგულირებული სამართლის შესაბამისი ნორმებით. კანონი არ ითვალისწინებს ნასყიდობის ხელშეკრულებისას საბუღალტრო დოკუმენტებისა და სხვა მტკიცებულებების არსებობის სავალდებულებას, წინააღმდეგ შემთხვევაში, ყველა ფულადი ურთიერთობის ნამდვილობა საეჭვო გახდებოდა.

სასამართლომ არასწორად განმარტა 429-ე მუხლის დებულება და არასწორად დაადგინა ვალდებულების შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტის მოპასუხის მიერ წარმოდგენის აუცილებლობა, რადგანაც კანონი ასეთი მტკიცებულების გაცემას კრედიტორს ავალებს და მისი სასამართლოსათვის წარდგენის მოვალისათვის დაკისრება არღვევს საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებულ სამართლიანი სასამართლოს უფლებას.

სააპელაციო სასამართლომ დაარღვია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 248-ე მუხლი, მოცემული დავის საგანი 2009 წლის 24 ნოემბრის ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობა, უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვა და ხელშეშლის აღკვეთა იყო, სააპელაციო სასამართლომ სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებისას გააუქმა სადავო ნასყიდობის ხელშეკრულება და უძრავი ნივთი დაუბრუნა ხ. ჭ-ას საკუთრებაში.

სააპელაციო სასამართლომ არასწორად დაადგინა თანხის გადაუცემლობის ფაქტი. აღნიშნული ფაქტის არასწორად დადგენა განაპირობა სამოქალაქო კოდექსის 429-ე მუხლის არასწორმა ინტერპრეტაციამ და მოწმის ჩვენების არასწორმა გაზიარებამ, კასატორის მითითებით, სააპელაციო სასამართლომ გადაწყვეტილება მიიღო საპროცესო ნორმების დარღვევით, ამასთან მიღებული გადაწყვეტილება განსხვავდება ამ კატეგორიის საქმეებზე უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 11 აპრილის განჩინებით ლ. ჭ-ას კანონიერ წარმომადგენელ ლ. ხ-ას საკასაციო საჩივარი ცნობილ იქნა დასაშვებად და საქმის განხილვა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე დაინიშნა ზეპირი მოსმენის გარეშე.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, გასაჩივრებული გადაწყვეტილების იურიდიული დასაბუთების შემოწმებისა და მხარის საკასაციო პრეტენზიების ანალიზის საფუძველზე მიიჩნევს, რომ ლ. ჭ-ას კანონიერ წარმომადგენელ ლ. ხ-ას საკასაციო საჩივარი საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგი გარემოებების გამო:

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება).

სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმეზე დადგენილია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

2009 წლის 24 ნოემბერს ხ. ჭ-ასა და არასრულწლოვან ლ. ჭ-ას კანონიერ წარმომადგენელ ლ. ხ-ას შორის დაიდო ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც ხ. ჭ-ამ ლ. ჭ-ას მიჰყიდა საცხოვრებელი ფართი მდებარე ქ.თბილისში, ... ქუჩის მე-2 შესახვევის 122-ში. ხელშეკრულების მე-5 და მე-6 პუნქტების შესაბამისად, ნასყიდობის საგნისათვის შეთანხმებული ფასი განისაზღვრა 30 000 ლარით, რაც მყიდველს უნდა გადაეხადა ხელშეკრულების სანოტარო წესით დამოწმებისთანავე, ხოლო გამყიდველს ნასყიდობის საგანი მყიდველისათვის უნდა გადაეცა 2009 წლის 24 ნოემბერს.

2009 წლის 24 ნოემბრის ხელშეკრულება დამოწმდა სანოტარო წესით და მის საფუძველზე ნასყიდობის საგანი აღირიცხა ლ. ჭ-ას საკუთრებად 2009 წლის 26 ნოემბერს.

2009 წლის 24 ნოემბრის ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხა – 30 000 ლარი ხ. ჭ-ას ლ. ჭ-ას მხრიდან, კანონიერი წარმომადგენლის მეშვეობით, არ მიუღია. სასამართლომ მითითებული გარემოების სამართლებრივი დასაბუთებისას იხელმძღვანელა სამოქალაქო კოდექსის 477-ე, 624-ე მუხლებით და განმარტა, რომ ნასყიდობის ფასის გადახდის მტკიცების ტვირთი შემძენს ეკისრება.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ ნასყიდობის ხელშეკრულება არის ორმხრივი, კონსენსუალური და სასყიდლიანი ხელშეკრულება. იგი ორმხრივ მავალდებულებელი გარიგებაა, რაც გამოიხატება ერთი მხრივ გამყიდველის ვალდებულებაში, გადასცეს მყიდველს საკუთრების უფლება ქონებაზე, მასთან დაკავშირებული საბუთები და მიაწოდოს საქონელი, ხოლო მეორეს მხრივ მყიდველის ვალდებულებაში, გადაუხადოს გამყიდველს შეთანხმებული ფასი და მიიღოს ქონება. სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილია, რომ მყიდველს (მოპასუხეს) ნასყიდობის ფასი უნდა გადაეხადა ხელშეკრულების სანოტარო წესით დამოწმებისთანავე, ხოლო გამყიდველს ნასყიდობის საგანი მყიდველისათვის უნდა გადაეცა ხელშეკრულების დადების დღეს, 2009 წლის 24 ნოემბერს. ამდენად მხარეებმა ხელშეკრულებით განსაზღვრეს როგორც საკუთრების უფლების მყიდველზე დაუყოვნებლივ გადაცემის, ასევე გამყიდველისთვის ნასყიდობის ფასის დაუყოვნებლივ გადახდის ვალდებულება. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ ვალდებულების დაუყოვნებლივ შესრულება გულისხმობს მოვალის უშუალო რეაქციას, იმდენად, რამდენადაც ეს შესაძლებელია ობიექტური გარემოებების გათვალისწინებით.

საკასაციო პალატა მიუთითებს სამოქალაქო კოდექსის 369-ე მუხლზე, რომლის მიხედვით, იმ პირს, რომელსაც ვალდებულება აკისრია ორმხრივი ხელშეკრულებიდან გამომდინარე, შეუძლია უარი თქვას ვალდებულების შესრულებაზე საპასუხო მოქმედების განხორციელებამდე, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა იგი ვალდებული იყო თა-

ვისი ვალდებულება წინასწარ შეესრულებინა. საქმეში წარმოდგენილი ნასყიდობის ხელშეკრულების სიტყვა-სიტყვითი, ლოგიკური და შინაარსობრივი განმარტებიდან ნათლად ჩანს, რომ გამყიდველის მიერ ნასყიდობის საგნის მყიდველზე გადაცემას წინ უძღოდა მყიდველის ვალდებულება, გადაეხადა ნასყიდობის ფასი. ამდენად, მოსარჩელეს შეემლო ხელშეკრულების ნოტარიალურად დამოწმებისთანავე განეცხადებინა უარი თავის მხრივ ვალდებულების შესრულებაზე (ნასყიდობის საგნის გადაცემაზე), სანამ არ მიიღებდა საპასუხო შესრულებას (ნასყიდობის ფასის გადახდას). როგორც საქმის მასალებითაა დადგენილი, სადავო ქონება საკუთრების უფლებით აღრიცხულია მოპასუხის სახელზე. თვით მოსარჩელეც არ უარყოფს იმ ფაქტს, რომ იგი მოპასუხე ლ. ჭ-ას კანონიერ წარმომადგენელ ლ. ხ-ასთან ერთად იმყოფებოდა საჯარო რეესტრში.

საკასაციო პალატა სრულად იზიარებს სააპელაციო სასამართლოს დასკვნას ნასყიდობის ხელშეკრულების დადებისას მტკიცების სტანდარტთან დაკავშირებით, თუმცა, მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, ნასყიდობის ფასის გადახდის მტკიცების ტვირთი შემქმნმა იკისრა თავისი ქმედებით, რაც გამოიხატა ნასყიდობის საგნის მყიდველისათვის გადაცემაში. მოსარჩელე სარჩელში აღნიშნავდა, რომ მან რამოდენიმეჯერ სთხოვა მოპასუხეს ნასყიდობის თანხის გადახდა, ლ. ხ-ა კი პირდებოდა მას, რომ უახლოეს ხანში მისცემდა თანხას, შემდეგ კი ლ. ხ-ამ უარი განაცხადა თანხის გადახდაზე, თუმცა, საპელაციო სასამართლოს არ დაუდგენია აღნიშნული გარემოებები. ამდენად კასატორის პრეტენზია იმასთან დაკავშირებით, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად დაადგინა მოპასუხის მიერ თანხის გადაუცემლობის ფაქტი საფუძვლიანი და დასაბუთებულია, ხოლო მოსარჩელემ ვერ დაამტკიცა ნასყიდობის ფასის მიუღებლობის ფაქტი.

საკასაციო პალატა დამატებით მიუთითებს საქართველოს უზენაესი სასამართლო პრაქტიკაზე, კერძოდ, ერთ-ერთ საქმეზე, სადაც მოსარჩელე ითხოვდა უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობას და ქონების დაბრუნებას, სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატამ განმარტა, რომ ნასყიდობის გარიგების დადებისას ნასყიდობის ფასის გადაუხდელობა, მყიდველის მიერ ვალდებულების შესრულების მოთხოვნის საფუძველია და არა გარიგების ბათილობის (იხ.სუსგ 23.03.2004წ., საქმე 1ას-881-1504-03). ამდენად სააპელაციო პალატის გადაწყვეტილება წინააღმდეგობაში მოდის საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ დადგენილ პრაქტიკასთანაც.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველები. ვინაიდან სახეზე არ არის საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული წინაპირობები, საკასაციო სასამართლოს შეუძლია თვითონ მიიღოს გადაწყვეტილება.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის პირველი წინადადების თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე განთავისუფლებული იყოს სახელმწიფოს ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან, ამავე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად კი, თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო შეცვლის გადაწყვეტილებას ან გამოიტანს ახალ გადაწყვეტილებას, იგი შესაბამისად შეცვლის სასამართლო ხარჯების განაწილებასაც.

იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ წინამდებარე გადაწყვეტილებით უნდა დაკმაყოფილდეს ლ. ჭ-ას კანონიერი წარმომადგენლის – ლ. ხ-ას საკასაციო საჩივარი, ხოლო მოსარჩელეს უარი უნდა ეთქვას სარჩელის დაკმაყოფილებაზე, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ ხ. ჭ-ას, ლ. ჭ-ას კანონიერი წარმომადგენლის – ლ. ხ-ას სასარგებლოდ, უნდა დაეკისროს ამ უკანასკნელის მიერ საკასაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – 1500 ლარის ანაზღაურება.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე, 411-ე მუხლებით და

#### **გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:**

1. ლ. ჭ-ას კანონიერი წარმომადგენლის – ლ. ხ-ას საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 30 დეკემბრის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნას ახალი გადაწყვეტილება.
3. ხ. ჭ-ას სარჩელი არ დაკმაყოფილდეს.
4. ხ. ჭ-ას ლ. ჭ-ას კანონიერი წარმომადგენლის – ლ. ხ-ას სასარგებლოდ დაეკისროს ლ.ხ-ას მიერ საკასაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟი – 1500 ლარი.
5. საკასაციო პალატის გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება

#### **ვალდებულების შესრულება**

#### **განჩინება**

**შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი)**  
**ვ. როინიშვილი,**  
**თ. თოდრია**

**დავის საგანი:** ვალდებულების შესრულება

**აღწერილობითი ნაწილი:**

ინდივიდუალურმა მეწარმე «ჯ. ჯ-მა» სარჩელი აღძრა სასამართლოში შპს «... ქ. პ-ის» მიმართ ნასყიდობის საგნის ღირებულების დარჩენილი ნაწილის – **23361** ლარის ანაზღაურების დაკისრების მოთხოვნით. მოსარჩელემ განმარტა, რომ მოპასუხეს ეტაპობრივად მიაწოდა კარაქი. პროდუქციის ღირებულების ნაწილი მოსარჩელემ გადაიხადა, დანარჩენის გადახდაზე კი უარი განაცხადა.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს **2010** წლის **21** მაისის გადაწყვეტილებით ინდივიდუალურ მეწარმე «ჯ. ჯ-ის» სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება მოსარჩელემ გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის **2010** წლის **9** სექტემბრის გადაწყვეტილებით ინდივიდუალურ მეწარმე «ჯ. ჯ-ის» სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გასაჩივრებული გადაწყვეტილება გაუქმდა და სარჩელი დაკმაყოფილდა, შპს «... ქ. პ-ს» მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა **23361** ლარის გადახდა შემდეგ გარემოებათა გამო:

სასამართლომ დაადგინა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებანი:

მხარეებს შორის არსებობდა სახელშეკრულებო ურთიერთობა. შპს «... ქ. პ-ი» მოსარჩელისაგან ყიდულობდა კარაქს. საგადასახადო ანგარიშფაქტურებით, სასაქონლო ზედნადებებით დასტურდება და მოპასუხეს სადავო არ გაუხდია, რომ **2008** წლის **25** მარტიდან ივლისამდე მოსარჩელემ მას მიაწოდა **85550** ლარის პროდუქტი.

მხარის ახსნა-განმარტებითა და საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებების შეფასებით პალატამ მიიჩნია, რომ შპს «... ქ. პ-ის» დავალიანება ინდივიდუალურ მეწარმე «ჯ. ჯ-ის» მიმართ შეადგენს **23361** ლარს.

სასამართლოს მოსაზრებით, საქართველოს კონსტიტუციის **85**-ე მუხლის მესამე ნაწილის, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 და **102**-ე მუხლების შესაბამისად, მოპასუხეს უნდა წარმოედგინა სასამართლოსათვის იმ ფაქტობრივი გარემოების დამადასტურებელი მტკიცებულება, რომ მიწოდებული პროდუქციისათვის მან თანხა გადაიხადა. აღნიშნული საპროცესო ვალდებულება მოპასუხეს არ შეუსრულებია.

სააპელაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო კოდექსის **316**-ე და **317**-ე მუხლების პირველი ნაწილებით, **477**-ე მუხლით და მიიჩნია, რომ მოპასუხეს მხარეთა შორის არსებული ხელშეკრულების პირობები არ შეუსრულებია, რის გამოც სასარჩელო მოთხოვნა საფუძვლიანია.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება შპს «... ქ. პ-მა» გაასაჩივრა საკასაციო წესით და მოითხოვა მისი გაუქმება შემდეგი საფუძვლებით: სასამართლომ არ გამოიყენა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის **102**-ე მუხლის მესამე ნაწილი და არ გაითვალისწინა, რომ მოცემულ შემთხვევაში საქონლის ღირებულების გადაუხდელობა უნდა დადასტურებულიყო განვადებით დადებული ნასყიდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე შედარების აქტებით ან მათი შემოსავლის ორდერებით.

სააპელაციო პალატამ სათანადოდ არ გამოიკვლია, მიაწოდა თუ არა მოსარჩელემ კასატორს **85550** ლარის ღირებულების პროდუქცია, ვინაიდან უმეტეს ანგარიშ-ფაქტურებზე მ. ნ-მე ხელს არ აწერს და შესაძლოა, მისი ხელმოწერები გაყალბებული იყოს.

სადავო ურთიერთობა რეგულირდება სამოქალაქო კოდექსის **477**-ე მუხლით და პროდუქციის ღირებულების გადახდა ხდებოდა წინასწარ, მის მიწოდებამდე. წინააღმდეგ შემთხვევაში მხარეთა შორის იარსებებდა განვადებით დადებული ნასყიდობის ხელშეკრულება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის **2010** წლის **10** დეკემბრის განჩინებით შპს «... ქ. პ-ის» საკასაციო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში სამოქალაქო საპროცესო კოდექსის **396**-ე მუხლით და ამავე კოდექსის **391**-ე მუხლის შესაბამისად დასაშვებობის შესამოწმებლად.

**სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ განიხილა საქმის მასალები, გაეცნო საკასაციო საჩივრის საფუძვლებს და თვლის, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლომ შპს «... ქ. პ-ის» ვალის არსებობა ი.მ. «ჯ. ჯ-ის» მიმართ დაადგინა საქმეში განთავსებული საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურებითა და სასაქონლო ზედნადებების მეშვეობით. უნდა აღინიშნოს, რომ საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურები არ წარმოადგენს შესასრულებელი ვალდებულების არსებობის დამადასტურებელ მტკიცებულებას. ეს არის საგადასახადო ორგანოებისათვის განკუთვნილი დოკუმენტაცია, რომლის საფუძველზეც ხდება სახელმწიფოს მიერ დადგენილი საგადასახადების გადახდევინება. აღნიშნული დოკუმენტით შეიძლება დადასტურება მხოლოდ იმ ფაქტისა, რომ მხარეთა შორის ნამდვილად არსებობდა სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობა, სხვა რაიმე დასკვნის გაკეთება ამ დოკუმენტით შეუძლებელია.

რაც შეეხება სასაქონლო ზედნადებს, ეს მტკიცებულება ნამდვილად ადასტურებს საქონლის მიწოდების ფაქტს. ამ თვალსაზრისით ვერ იქნება გაზიარებული კასატორის მოსაზრება იმის თაობაზე, რომ თანხის გადაუხდელობა შეიძლება დადასტურდეს ან განვადებით ნასყიდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე შედარების წერილობითი

აქტით ან მათი შემოსავლის ორდერებით, რომლითაც დადასტურდებოდა, ათუ საქონლის ღირებულების რა ნაწილია გადახდილი მათ მიერ.

სამოქალაქო კოდექსის 672-ე მუხლის თანახმად, გადაზიდვის ხელშეკრულება ფორმდება ზედნადების სახით. მითითებული მტკიცებულება ადასტურებს, რომ ტვირთი მიეწოდა კასატორს (აღნიშნული ფაქტი სადავოდ მხარეს არ გაუხდია). გამყიდველის მტკიცების ტვირთი მხოლოდ ამ გარემოების დადასტურებით შემოიფარგლება. რაც შეეხება მყიდველს ანუ ამ პროდუქციის მიმღებს წარმოშობა ვალდებულება დაადასტუროს, რომ მან მიღებული პროდუქციის საფასური გადაიხადა. ასეთ შემთხვევაში მან უნდა წარმოადგინოს გასავლის ორდერი, შედარების აქტი ან სამოქალაქო კოდექსის 429-ე მუხლით გათვალისწინებული დოკუმენტი, რომელსაც კრედიტორი მოვალის მოთხოვნით შესრულების მთლიანად ან ნაწილობრივ მიღებისას გასცემს ვალდებულების შესრულების დასადასტურებლად. შეიძლება წარმოდგენილ იქნეს სხვა მტკიცებულებაც, მაგრამ კასატორის მიერ თანხის გადახდის დამადასტურებელი არანაირი მტკიცებულება წარდგენილი არ არის. ზედნადები კი არ შეიცავს ინფორმაციას მიღებული საქონლის ღირებულების გადახდის თაობაზე. გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის გარეშე ანგარიშწორება შეიძლება განპირობებული იყოს მხარეთა შორის არსებული ნდობის მაღალი ხარისხით. ასეთ გარემოებაზე არ უთითებს მხარე. არც მიწოდების ფაქტს უარყოფს. ასეთ შემთხვევაში კი შეუძლებელია გამყიდველს არ აუნაზღაურდეს მიწოდებული საქონლის ღირებულება, რაც მართებულად დაეკისრა კიდევ ი.მ «ჯ. ჯ-ს».

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე პალატა მიიჩნევს, რომ არ არსებობს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი და იგი უცვლელად უნდა დარჩეს.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

### **და ა დ გ ი ნ ა:**

შპს «... ქ. პ-ის» საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 9 სექტემბრის გადაწყვეტილება დარჩეს უცვლელად.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## **ვალდებულების შესრულება**

### **განჩინება**

1ას-951-989-2011

10 ნოემბერი, 2011 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: თ. თოდრია (თავმჯდომარე, მომხსენებელი),**

**ვ. როინიშვილი,**

**ბ. ალავიძე**

**დავის საგანი:** ფულადი ვალდებულების შესრულება

### **აღწერილობითი ნაწილი:**

ზ. ზ-ემ სარჩელი აღძრა სასამართლოში ი. გ-ის მიმართ და მოითხოვა, მის სასარგებლოდ, მოპასუხისათვის 2009 წლის 21 ოქტომბრის ვალის აღიარების ხელშეკრულებიდან გამომდინარე, 4000 აშშ დოლარისა და პირგასამტეხლოს 3636 აშშ დოლარის დაკისრება შემდეგი საფუძველებით:

სარჩელის თანახმად, 2009 წლის 21 ოქტომბერს სანოტარო წესით დამოწმდა ვალის აღიარების შესახებ ხელშეკრულება, რომლის თანახმად, ი. გ-ს ზ. ზ-ისათვის 2010 წლის პირველ თებერვლამდე უნდა გადაეხადა ვალი – 4000 აშშ დოლარი. მოსარჩელის განმარტებით, მიუხედავად მისი არაერთგზის სიტყვიერი მოთხოვნისა, რომ დაეზრუნებინა კუთვნილი თანხა, მოპასუხე არ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებას, რის გამოც მოითხოვს მისთვის აღიარებული 4000 აშშ დოლარისა და, ასევე ხელშეკრულების მე-4 პუნქტის შესაბამისად, ყველი ვადაგადაცილებული დღისათვის ძირითადი თანხის (4000 აშშ დოლარის) 0,3%-ის მოპასუხისათვის დაკისრებას, სულ 7636 აშშ დოლარის ოდენობით.

მოპასუხე ი. გ-მა სარჩელი არ ცნო და შესაგებელში განმარტა, რომ, მართალია არსებობს ვალის აღიარების ხელშეკრულება, მაგრამ აღნიშნული მან გამოუვალი ვითარების გამო დაწერა, რაშიც ზ. ზ-ის გამო აღმოჩნდა თვითონ და თავისი ოჯახი. მოპასუხის განმარტებით, მოსარჩელემ ავტომანქანა რეალურად მიჰყიდა მის შვილს – თ. გ-ს ვალის აღიარებამდე ხუთი თვით ადრე, ავტომანქანის რეალურ ღირებულებაზე ძვირად. სულ გადაიხადეს 12 500 აშშ დოლარი, თავიდან 8000, შემდეგ 500 და ბოლოს 4000 აშშ დოლარი, შესაბამისად, მოპასუხის აზრით, სარჩელი არ უნდა დაკმაყოფილდეს უსაფუძველობის გამო.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 23 თებერვლის გადაწყვეტილებით ზ. ზ-ის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა. ი. გ-ს ზ. ზ-ის სასარგებლოდ დაეკისრა 3212 აშშ დოლარის ანაზღაურება. (2000 აშშ დოლარი

ძირი თანხა. 1212 აშშ დოლარი პირგასამტეხლო ვადაგადაცილებისთვის 0.2%). ზ. ზ-ის უარი ეთქვა 4424 აშშ დოლარის ანაზღაურებაზე. ი. გ-ს ზ. ზ-ის სასარგებლოდ დაეკისრა ზ. ზ-ის მიერ სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი თანხიდან 171.52 ლარის ანაზღაურება. ზ. ზ-ის მიერ სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი 235.48 ლარი ჩაითვალა სახელმწიფო ბიუჯეტში გადახდილად. ზ. ზ-ის ი. გ-ის სასარგებლოდ დაეკისრა ი. გ-ის მიერ ადვოკატის მომსახურებისათვის გადახდილი თანხიდან 250 ლარის ანაზღაურება.

სასამართლომ დადგინდა მიიჩნია, რომ 2009 წლის 21 ოქტომბერს სანოტარო ფორმის დაცვით გაფორმდა ვალის არსებობის აღიარების შესახებ ხელშეკრულება. მოპასუხე ი. გ-მა მოსარჩელე ზ. ზ-ის მიმართ აღიარა 4000 აშშ დოლარის ოდენობით ვალის არსებობის ფაქტი.

ვალის აღიარების ხელშეკრულების მე-2 პუნქტით სასამართლომ დაადგინა, რომ ი. გ-ის დავალიანება ზ. ზ-ის მიმართ წარმოიშვა 2008 წლის ივნისში ზ. ზ-ის მიერ ი. გ-ისათვის მანქანის მიყიდვის შემდეგ. მანქანის ნასყიდობის ფასი შეადგენდა 12000 აშშ დოლარს და აქედან ი. გ-ს გადახდილი აქვს ზ. ზ-ისათვის ნასყიდობის ფასის ნაწილი 8000 აშშ დოლარი, ხოლო დარჩენილ ნასყიდობის ფასის 4000 აშშ დოლარის გადახდის ვალდებულებას ი. გ-ი ზ. ზ-ის მიმართ კისრულობდა 2010 წლის 1 თებერვლამდე. სასამართლომ ვალის აღიარების ხელშეკრულების მე-4 პუნქტით, დადგინდა მიიჩნია, რომ ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულებისას ი. გ-ი იღებდა ვალდებულებას გადაეხადა ზ. ზ-ისათვის პირგასამტეხლო ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის ვალის ძირითადი თანხის 0,3 %-ის ოდენობით. სასამართლომ დადგინდა მიიჩნია, რომ ვალის აღიარების ხელშეკრულების გაფორმებიდან ერთ კვირაში ი. გ-მა ზ. ზ-ეს გადაუხადა 2000 აშშ დოლარი. სასამართლომ დადგინდა მიიჩნია, რომ ვალის დარჩენილი ნაწილი 2000 აშშ დოლარი ი. გ-ს ზ. ზ-ისათვის არ დაუბრუნებია. სასამართლომ სხდომაზე მოწმე თ. კ-ემ განმარტა, რომ ი. გ-ის შვილმა 4000 აშშ დოლარი ნაწილ-ნაწილ გადასცა მას, რადგან ის იყო ზ. ზ-ის მეუღლე. იმ დროისათვის მეუღლეები ერთად აღარ ცხოვრობდნენ და აღნიშნული თანხა მოახმარა შვილებს, რომელთა მიმართ მამა ზ. ზ-ე არ იჩენდა მზრუნველობას.

სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 131-ე მუხლზე და დადგინდა ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ვინაიდან ზ. ზ-ემ დაადასტურა ვალის არსებობის აღიარების ხელშეკრულების გაფორმებიდან ერთ კვირაში ი. გ-ის მიერ 2000 აშშ დოლარის გასტუმრების ფაქტი, შესაბამისად, მოპასუხეს ზ. ზ-ისათვის დასაბრუნებელი თანხა დარჩა არა 4000 აშშ დოლარი, როგორც ამას მოსარჩელე ითხოვს, არამედ 2000 აშშ დოლარი.

სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 316.1-ე და 317-ე მუხლებზე და აღნიშნა, რომ განსახილველ შემთხვევაში, ი. გ-ის ვალდებულება ზ. ზ-ის მიმართ წარმოშობილია 2009 წლის 21 ოქტომბრის ვალის აღიარების შესახებ ხელშეკრულების საფუძველზე, რომლითაც გათვალისწინებულია ვალის დაბრუნების წესი და პირობები.

მოპასუხის მტკიცება მასზე, რომ ვინაიდან ი. გ-მა ვალი გადაუხადა ზ. ზ-ის მეუღლეს, მას ზ. ზ-ის მიმართ ნაკისრი ვალდებულება შესრულებულად უნდა ჩაეთვალოს, სამოქალაქო კოდექსის 361.2-ე და 341.2-ე, 373-ე, მუხლების დანაწესიდან გამომდინარე, სასამართლომ არ გაიზიარა და აღნიშნა, რომ, როგორც სასამართლო სხდომაზე აღინიშნა, ზ. ზ-ის თანხმობა თანხის თ. კ-ისათვის გადაცემის შესახებ არ გაუცია, მით უფრო რომ მეუღლეები იმ დროისათვის უკვე ცალ-ცალკე ცხოვრობდნენ. ამდენად, სასამართლომ მიიჩნია, რომ ი. გ-ი ვალდებული იყო სრულად შეესრულებინა ზაზა ზიზივადის მიმართ 2009 წლის 21 ოქტომბრის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება.

სამოქალაქო კოდექსის 417-ე-148-ე და 420-ე მუხლებზე მითითებით სასამართლომ მიიჩნია, რომ სარჩელით მოთხოვნილი პირგასამტეხლო (0,3%) როგორც შეუსაბამოდ მაღალი, უნდა შემცირებულიყო დარჩენილი ძირითადი თანხის 2000 აშშ დოლარის 0,2%-მდე.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს დასახელებული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ზ. ზ-ემ, მოითხოვა მისი ნაწილობრივ გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის სრულად დაკმაყოფილება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 2 მაისის გადაწყვეტილებით ზ. ზ-ის სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გაუქმდა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 23 თებერვლის გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომლითაც ზ. ზ-ეს უარი ეთქვა 4424 აშშ დოლარის ანაზღაურებაზე, ზ. ზ-ის მიერ სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი 235,48 ლარი ჩაითვალა სახელმწიფო ბიუჯეტში გადახდილად და ზ. ზ-ეს ი. გ-ის სასარგებლოდ დაეკისრა ი. გ-ის მიერ ადვოკატის მომსახურებისათვის გადახდილი თანხიდან 250 ლარის ანაზღაურება და ამ ნაწილში მიღებულ იქნას ახალი გადაწყვეტილება, ზ. ზ-ის- სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, ი. გ-ს ზ. ზ-ის სასარგებლოდ დამატებით დაეკისრა 2606 აშშ დოლარის გადახდა.

სასამართლომ დადგინდა მიიჩნია შემდეგი გარემოებები:

2009 წლის 21 ოქტომბერს ი. გ-სა და ზ. ზ-ის შორის დაიდო ხელშეკრულება ვალის აღიარების შესახებ, რომლის თანახმად, ი. გ-მა იკისრა ვალდებულება, აპელანტისათვის, 2010 წლის 1 თებერვლამდე გადაეხადა 4000 აშშ დოლარი.

ხელშეკრულების მე-4 პუნქტის თანახმად, ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, ი. გ-ს უნდა გადაეხადა პირგასამტეხლო ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის ვალის ძირითადი თანხის 0,3%-ის ოდენობით.

ი. გ-ს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება არ შეუსრულებია და აპელანტისათვის თანხა არ გადაუხდია.

სააპელაციო სასამართლომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102.1-ე მუხლზე მითითებით აღნიშნა, რომ იმის მტკიცების ტვირთი, რომ ვალდებულება სრულად ან ნაწილობრივ შესრულდა, ეკისრებოდა ი. გ-ს, მას კი არ წარმოუდგენია აღნიშნულის დამადასტურებელი მტკიცებულებები.



პალატამ აღნიშნა, რომ ეს არ უღიარებია აპელანტს, ხოლო საქალაქო სასამართლოს სხდომის ოქმებიდან არ დგინდება ზ. ზ-ის მიერ მოწინააღმდეგე მხარის მხრიდან ვალდებულების ნაწილობრივ შესრულების დადასტურების ფაქტი. საქალაქო სასამართლოში საქმის განხილვის დროს, ზ. ზ-ემ, მართალია, აღიარა, რომ მოწინააღმდეგე მხარემ 2000 აშშ დოლარი მართლაც გადასცა, ოღონდ განმარტა, რომ ეს თანხა არ შედიოდა ხელშეკრულებით გათვალისწინებული 4000 აშშ დოლარის ანგარიშში. მისი თქმით, მოწინააღმდეგე მხარეს მისთვის გადასახდელი ჰქონდა, სულ 12000 აშშ დოლარი, საიდანაც გადაუხადა 8000 აშშ დოლარი და სწორედ ეს თანხა შეიცავდა ზემოხსენებულ 2000 აშშ დოლარს, შესაბამისად, პალატის მოსაზრებით, ამით არ დასტურდებოდა, რომ მოწინააღმდეგე მხარემ აპელანტის წინაშე ვალის აღიარების ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულება ნაწილობრივ შეასრულა და ეს არ დასტურდება თავად მოწინააღმდეგე მხარის განმარტებითაც.

პალატამ აღნიშნა, რომ საქალაქო სასამართლოში საქმის განხილვის დროს, მოპასუხეს არ უთქვამს, რომ ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხა 4000 აშშ დოლარი ან მისი ნაწილი მაინც გადაუხადა უშუალოდ, აპელანტს. მოპასუხის განცხადებით, 4000 აშშ დოლარი მან გადასცა მოსარჩელის მეუღლეს და არა მოსარჩელეს, თუმცა ჩათვალა, რომ ამით ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები შეასრულა. აქედან გამომდინარე, ის, რომ ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხის ნაწილი მოვალემ გადასცა პირადად კრედიტორს, არ განუცხადებია თავად ი. გ-საც, შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, საქალაქო სასამართლომ შეცდომით დაადგინა მოწინააღმდეგე მხარის მიერ აპელანტის სასარგებლოდ ვალდებულების ნაწილობრივ შესრულების ფაქტი.

პალატის აზრით, საქალაქო სასამართლომ სწორად განმარტა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 373-ე მუხლის მე-2 ნაწილი და მართებულად მიუთითა, რომ არაუფლებამოსილი პირისათვის თანხის გადახდა არ ათავისუფლებდა ი. გ-ს აპელანტის სასარგებლოდ შესრულების ვალდებულებისაგან, რადგან საქმის მასალებით არ დასტურდებოდა, რომ აპელანტი დაეთანხმა ამგვარ შესრულებას ან ამ შესრულებისაგან მიიღო სარგებელი. ამის გამო, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 341-ე მუხლის 1-ელი ნაწილისა და 361-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, პალატამ მიიჩნია, რომ ი. გ-ი ვალდებული იყო, გარდა გადაწყვეტილებით უკვე დაკისრებული თანხისა, აპელანტისათვის გადაეხადა დარჩენილი თანხა 2000 აშშ დოლარი. გარდა ამისა, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 417-ე მუხლის მიხედვით, ი. გ-ი ვალდებული იყო აპელანტისათვის, ვალდებულების შეუსრულებლობის გამო, გადაეხადა პირგასამტეხლო. თუმცა, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 420-ე მუხლზე მითითებით, პალატამ განმარტა, რომ მოცემულ შემთხვევაში, მოწინააღმდეგე მხარის მიერ აპელანტისათვის გადასახდელი თანხა შეადგენდა 4000 აშშ დოლარს. საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით, ი. გ-ს უკვე დაკისრებული ჰქონდა პირგასამტეხლო 1212 აშშ დოლარი. ამ შემთხვევაში, პალატამ ჩათვალა, რომ დარჩენილ 2000 აშშ დოლარზე გადასახდელი პირგასამტეხლო უნდა შემცირებულიყო და განისაზღვრულიყო ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის 2000 აშშ დოლარის 0,1%-ით. ვინაიდან აპელანტი ითხოვდა მოწინააღმდეგე მხარისათვის პირგასამტეხლოს გადახდის დაკისრებას 303 დღის განმავლობაში ( $2000 \times 0,1\% = 2$ ), შესაბამისად, პალატის განმარტებით, ი. გ-ს ზ. ზ-ის სასარგებლოდ დამატებით უნდა დაკისრებოდა პირგასამტეხლო, ყოველდღიურად 2 აშშ დოლარის ოდენობით, ( $2 \times 303 = 606$ ). ასეთ შემთხვევაში, ძირითად თანხაზე, 4000 აშშ დოლარზე დაკისრებული პირგასამტეხლო 303 დღის ვადაგადაცილებისათვის შეადგენდა  $1212 + 606 = 1818$  დოლარს, რაც, პალატის აზრით, სავსებით გონივრული იყო. ამდენად, სააპელაციო სასამართლომ ჩათვალა, რომ საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება იურიდიულად არ იყო საკმარისად დასაბუთებული, რის გამოც, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის «ე» ქვეპუნქტის თანახმად, გასაჩივრებულ ნაწილში გაუქმებას ექვემდებარებოდა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს დასახელებული გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა ი. გ-მა და მოითხოვა მისი გაუქმება შემდეგი საფუძვლებით:

კასატორის განმარტებით, სააპელაციო სასამართლომ 2000 აშშ დოლარის გადაცემის აღიარება სხვაგვარად შეაფასა და არა ისე როგორც სასამართლოს სხდომის ოქმშია და როგორც კანონი ითვალისწინებს. საქალაქო სასამართლოს შეცდომით არ დაუდგენია ვალდებულების ნაწილობრივ შესრულების ფაქტი და გადაწყვეტილების მიღებისას იხელმძღვანელა მოქმედი საკანონმდებლო ნორმებით.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ი. გ-ის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს და უცვლელად უნდა დარჩეს სააპელაციო სასამართლოს მიერ გამოტანილი განჩინება შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილია, რომ 2009 წლის 21 ოქტომბერს ი. გ-სა და ზ. ზ-ეს შორის დაიდო ხელშეკრულება ვალის აღიარების შესახებ, რომლის თანახმად, ი. გ-მა იკისრა ვალდებულება ზ. ზ-ისათვის 2010 წლის 1 თებერვლამდე გადაეხადა 4000 აშშ დოლარი.

სააპელაციო სასამართლომ, ასევე დადგენილად მიიჩნია, რომ ხელშეკრულების მე-4 პუნქტის თანახმად, ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, ი. გ-ს უნდა გადაეხადა პირგასამტეხლო ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის ვალის ძირითადი თანხის 0,3%-ის ოდენობით.

სააპელაციო სასამართლოს მიერ, ასევე დადგენილია, რომ ი. გ-ს თანხა ზ. ზ-ისათვის არ გადაუხდია.

სააპელაციო სასამართლო უთითებს, რომ, ი. გ-ის განცხადებით, 4000 აშშ დოლარი მან გადასცა მოსარჩელის მეუღლეს და არა მოსარჩელეს, თუმცა ჩათვალა, რომ ამით ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება შეასრულა.

საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რომ მხარეთა დავას არ იწვევს ის გარემოება, რომ ვალის აღიარების ხელშეკრულებას წინ უსწრებდა მხარეთა შორის (ი. გ-ის შვილსა და ზ. ზ-ის შორის) ავტომატურად დადგენილი ნასყიდობის ხელშეკრულება. ავტომატურად დადგენილი ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე ნასყიდობის ფასის ნაწილის

გადახდის შემდეგ ი. გ-მა და ზ. ზ-ემ დადეს ვალის აღიარების ხელშეკრულება, რომლითაც ი. გ-ი კისრულობდა ზ. ზ-ისათვის 4000 აშშ დოლარის (დარჩენილი ნაწილის) გადახდას.

შეიძლება თუ არა მივიჩნიოთ, რომ ი. გ-ის მიერ ზ. ზ-ეს მეუღლისათვის თანხის გადახდით, ი. გ-მა ვალდებულება შეასრულა ზ. ზ-ეს წინაშე.

ამ კითხვას უნდა გავცეთ უარყოფითი პასუხი.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 373-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით მოვალე ვალდებულია შესრულოს ვალდებულება კრედიტორს ან იმ პირს, რომელიც, კანონით ან სასამართლო გადაწყვეტილებით უფლებამოსილია, მიიღოს შესრულება, მაგალითად, როდესაც სასამართლოს გადაწყვეტილებით შესრულების მიღების უფლებას ანიჭებს არასრულწლოვანის მშობლებს ან მეურვეებს და ა.შ.

ამ მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, არაუფლებამოსილი პირის მიერ მიღებული შესრულება მხოლოდ მაშინ ჩაითვლება შესრულებულად, თუკი კრედიტორმა ამის თანხმობა განაცხადა ან მიიღო შესრულებისგან სარგებელი. კონკრეტულ შემთხვევაში არ არსებობს ზ. ზ-ის თანხმობა მის მეუღლეს მიეღო შესრულება.

ასევე, არ დასტურდება, რომ ზ. ზ-ის მეუღლემ 4000 აშშ დოლარი მიიღო კრედიტორისათვის (ზ. ზ-ისათვის) გადასაცემად. პირიქით თ. კ-ემ (ზ. ზ-ის ყოფილი მეუღლე) ეს თანხა მიიღო, არა ზ. ზ-ისათვის გადასაცემად, არამედ, როგორც მეუღლეთა თანასაკუთრებიდან გამომდინარე, მისი წილი.

ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობა ფარდობითი (რელატიური) ურთიერთობაა, შესაბამისად, კრედიტორის მოთხოვნა შეზღუდულია მოვალეთა. მოვალე ვალდებულებას ასრულებს კრედიტორის წინაშე.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 373-ე მუხლი ითვალისწინებს იმ სამართლებრივ მარეგულირებელ მექანიზმს, რომელიც განსაზღვრავს ერთი მხრივ უფლებამოსილ პირებს, ვის მიმართაც, მოვალემ უნდა შეასრულოს ვალდებულება, კერძოდ, ეს პირები არიან უშუალოდ კრედიტორი, ასევე კანონით ან სასამართლოს გადაწყვეტილებით დადგენილი შესრულების მიღების უფლებამოსილი პირები, ხოლო მეორე მხრივ კანონი განსაზღვრავს არაუფლებამოსილი პირების მიერ ვალდებულების შესრულების მიღების წესებს, რა დროსაც ვალდებულება შესრულებულად ითვლება, კერძოდ, ეს ის შემთხვევებია, როდესაც არსებობს არაუფლებამოსილი პირის მიერ ვალდებულების შესრულების მიღების კრედიტორის თანხმობა ან როდესაც ამ შესრულებით კრედიტორი იღებს სარგებელს. განსახილველ შემთხვევაში არც პირველ და არც მეორე შემთხვევას ადგილი არა აქვს.

იმ შემთხვევაში, თუ მივიჩნევთ, რომ სადავო ავტომანქანა წარმოადგენდა მეუღლეთა თანასაკუთრებას, ერთ-ერთ მეუღლეს აქვს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 172-ე მუხლის უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვის (ვინდიკაციის) ან ხელშეშლის აღკვეთის უფლება. მაგრამ იმ პირობებში, როდესაც გამოკვეთილია ის გარემოება, რომ თ. კ-ის მიერ თანხის მიღება არ იყო განპირობებული კრედიტორის (ზ. ზ-ის) თანხმობით და არც სარგებელი იღებდა ეს უკანასკნელი (თ. კ-ემ ეს თანხა მიიღო, არა ზ. ზ-ისათვის გადასაცემად, არამედ როგორც მეუღლეთა თანასაკუთრებიდან გამომდინარე - მისი წილი). შეიძლება აღვნიშნოთ, რომ ზ. ზ-ის მეუღლეს არა აქვს ამ ავტომანქანის მყიდველისაგან (ი. გ-ისაგან) საფასურის მოთხოვნის უფლება, რაც ფარდობითი უფლებაა და გამომდინარეობს მხოლოდ განსახილველი ხელშეკრულებიდან, რომლის მხარეს არ წარმოადგენს ზ. ზ-ის მეუღლე.

ასევე გასათვალისწინებელია, რომ ზ. ზ-ე და მისი მეუღლე სადავო ურთიერთობაში არ იყვნენ სოლიდარული კრედიტორები (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 455-ე მუხლი), რადგან არ არსებობს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 456-ე მუხლით დადგენილი წინაპირობები. კონკრეტულ შემთხვევაში მხარეთა უფლება-ვალდებულებები განსაზღვრა ხელშეკრულებით, სადაც კრედიტორს წარმოადგენდა მხოლოდ ზ. ზ-ე.

საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1160-ე მუხლის მე-2 ნაწილის დანაწესზე, რომლის თანახმად მეუღლეთა თანასაკუთრებაში არსებული ქონების განკარგვასთან დაკავშირებით ერთის მიერ დადებული გარიგება ვერ იქნება ბათილად ცნობილი მეორის მოთხოვნით იმ საფუძველზე, რომ მან არ იცოდა გარიგების შესახებ ან ის არ ეთანხმება გარიგებას. აღნიშნული დანაწესი მიუთითებს იმაზე, რომ საერთო საკუთრებაში არსებული ქონების განკარგვასთან დაკავშირებით ერთი მეუღლის მიერ მეორის თანხმობის გარეშე დადებული გარიგებიდან ამ უკანასკნელს დამოუკიდებელი მოთხოვნა არ წარმოეშობა.

შესაბამისად არც წარმომადგენლობის ინსტიტუტს (სკ 103-ე მუხლი) და არც სასამართლოს გადაწყვეტილებას არა აქვს ადგილი, რაც მეორე მეუღლის მიერ ვალდებულების მიღებას ვალდებულების შესრულებად მივიჩნევდით. (სკ 373-ე მუხლი).

საკასაციო პალატა, ასევე არ იზიარებს კასატორის მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ ზ. ზ-ემ აღიარა დარჩენილი 4000 აშშ დოლარიდან 2000 აშშ დოლარის მიღების ფაქტი. კონკრეტულ შემთხვევაში კასატორის მოსაზრება განპირობებულია პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ ზ. ზ-ის მიერ მიცემული ახსნა-განმარტებით.

ამასთან დაკავშირებით, საკასაციო პალატა იზიარებს სააპელაციო სასამართლოს შეფასებებს და განმარტავს, რომ ზ. ზ-ემ შესაძლებელია 2000 აშშ დოლარი მიიღო ვალის აღიარების ხელშეკრულების დადების შემდეგ, მაგრამ აღნიშნული თანხა წარმოადგენდა იმ 8000 აშშ დოლარის შემადგენელს, რომელიც ზ. ზ-ემ მიიღო ვალის აღიარების ხელშეკრულების დადების შემდეგ. ამდენად, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ სწორად შეაფასა მხარის (ზ. ზ-ის) ახსნა-განმარტება (იხ. პირველი ინსტანციის სხდომის ოქმი), რომლის ანალიზიდან ირკვევა შემდეგი, კერძოდ, ზ. ზ-ემ განაცხადა, რომ, მიუხედავად იმისა, რომ ვალის აღიარების ხელშეკრულება მიუთითებდა 12000 აშშ დოლარიდან 8000 აშშ დოლარის მიღების ფაქტზე, მას მიღებული ჰქონდა 6000 აშშ დოლარი, ხოლო ვალის აღიარების ხელშეკრულების დადების შემდეგ მიიღო, ასევე 2000 აშშ დოლარი, შესაბამისად მხარეს დარჩა მისაცემი 4000 აშშ დოლარი.

ამდენად, საკასაციო პალატის აზრით, ზ. ზ-ის მიერ მიცემული ახსნა-განმარტებიდან არ ვლინდება, რომ მის მიერ მღებული 2000 აშშ დოლარი წარმოადგენდა დარჩენილი 4000 აშშ დოლარიდან მიღებულ თანხას.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება).

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ კასატორის მიერ წარმოდგენილი არ არის დასაბუთებული პრეტენზია. კონკრეტულ შემთხვევაში დასაშვებ და დასაბუთებულ პრეტენზიაში იგულისხმება მითითება იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაშვებული იყო სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს, რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება და სამართლებრივ-მატერიალური ნორმის არასწორად გამოყენება ან განმარტება.

კასატორი ვერ უთითებს ისეთ გარემოებებზე, რომლებიც კონკრეტული სადავო ურთიერთობის ზემოაღნიშნული თავისებურებებიდან გამომდინარე, მიუთითებს მის მიერ კრედიტორის წინაშე ნაკისრი ვალდებულების შესრულების ფაქტზე. ამდენად, საქმეში არ მოიპოვება ისეთი მტკიცებულებები, რომლებიც, საქართველოს საქმოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის თანახმად, გამორიცხავდა სასამართლოს მიერ დადგენილ გარემოებებს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიიჩნევს, რომ არ არსებობს საკასაციო საჩივრების დაკმაყოფილების საფუძველი, რადგან, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ მითითებული კანონი არ დარღვეულა. სააპელაციო სასამართლოს მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებას საფუძველად არ უდევს კანონის დარღვევა.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. ი. გ-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 2 მაისის გადაწყვეტილება;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

### **ზიანის ანაზღაურება**

#### **ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა ვალდებულების დარღვევისას**

#### **განჩინება**

1ას-908-856-2010

16 თებერვალი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ნ. კვანტალიანი (თავმჯდომარე, მომხსენებელი)

ვ. როინიშვილი,

პ. ქათამაძე

**დავის საგანი:** დანაშაულით მიყენებული ზიანის ანაზღაურება

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

დ. მ-შვილმა და ქ. ხ-ავამ სარჩელი აღძრეს სასამართლოში სს «ა. ბანკის» მიმართ დანაშაულით მიყენებული ზიანის ქ. ხ-ავასთვის 26236 აშშ დოლარისა და დ. მ-შვილისათვის 20771 აშშ დოლარის ანაზღაურების მოთხოვნით შემდეგი საფუძველებით: მოსარჩელები სს ბ. ბანკის 13 ფილიალთან დადებული ინდივიდუალური სეიფების იჯარის ხელშეკრულების საფუძველზე სარგებლობდნენ სს «ბ. ბანკის» ინდივიდუალური სეიფებით, რომელშიც ინახებოდა ქ. ხ-ავას კუთვნილი 48000 აშშ დოლარი, ხოლო დ. მ-შვილის 37000 აშშ დოლარი. მოსარჩელების კუთვნილი თანხები 2004 წლის 13 აპრილს დანაშაულებრივი გზით იქნა გატაცებული. 2006 წელს სს «ა. ბანკმა» შეიძინა სს «ბ. ბანკის» აქტივები და პასივები, ამასთან, მოსარჩელებისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების მიზნით, მოსარჩელებს საბანკო კრედიტის სახით გადასცა 19000 და 14000 აშშ დოლარი. მოსარჩელებს დროულად არ გადაეცათ კუთვნილი თანხები და მიუღებელი შემოსავლის სახით მოითხოვენ მოპასუხე ქ. ხ-ავას, სასარგებლოდ დაეკისროს 26236, ხოლო დ. მ-შვილის სასარგებლოდ – 20771 აშშ დოლარი.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო შემდეგი საფუძველებით: თბილისის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 28 დეკემბრის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით, სასამართლომ დააკმაყოფილა მოსარჩელეთა მოთხოვნა და ბანკს მთლიანად გადასახდელად დაეკისრა 131 000 აშშ დოლარი. გაურკვეველია, თუ რის საფუძველად მოითხოვენ მოსარჩელები ზიანის ანაზღაურებას. ზიანი უკვე ანაზღაურებულია, რასაც თავად მოსარჩელებიც აღიარებენ. დავის საგანს წარმოადგენდა ინდივიდუალური სეიფების საიჯარო ხელშეკრულებებიდან წარმომობილი თანხის ანაზღაურება, რაც ამჟამად ანაზღაურებულია და თანხის ანაზღაურების რაიმე სხვა საფუძველი არ არსებობს, რადგან, მოსარჩელებმა დაკარგული თანხა აიღეს სრულად და ის გარემოება, რომ ისინი ანაზღაურების გახსნით მიიღებდნენ შემოსავალს, არ გამომდინარეობს სამოქალაქო კოდექსის 411-ე მუხლის მოთხოვნებიდან. რაც შეეხება საკრედიტო ხელშეკრულებებს, ბ. ბანკის 13 ფილიალში გაქურდვის შემდეგ, მოსარჩელებთან გაფორმდა საკრე-

დიტო ხელშეკრულება უპროცენტო შეღავათიანი პირობებით და, ამ ხელშეკრულებებიდან გამომდინარე, არ არსებობს რაიმე სახის ზიანის მოთხოვნის საფუძველი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 13 ნოემბრის გადაწყვეტილებით ქ. ხ-ავასა და დ. მ-შვილის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, სს «ა. ბანკს» ქ. ხ-ავას სასარგებლოდ 15950 აშშ დოლარის, ხოლო დ. მ-შვილის სასარგებლოდ 12650 აშშ დოლარის გადახდა დაეკისრა. გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა სს «ა. ბანკმა».

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 11 ივნისის განჩინებით სს «ა. ბანკს» სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 13 ნოემბრის გადაწყვეტილება შემდეგი საფუძველებით: სასამართლომ დადგინდა, რომ მოსარჩელები სს „ბ. ბანკის“<sup>13</sup> ფილიალთან დადებული ინდივიდუალური სეიფების იჯარით აღების ხელშეკრულების საფუძველზე სარგებლობდნენ სს ბ. ბანკის ინდივიდუალური სეიფებით, რომელშიც ინახებოდა ქ. ხ-ავას კუთვნილი 48000 აშშ დოლარი, ხოლო დ. მ-შვილის 37 000 აშშ დოლარი. მოსარჩელების კუთვნილი თანხები 2004 წლის 13 აპრილს დანაშაულებრივი გზით იქნა გატაცებული. 2004 წლის 15 და 17 სექტემბრის საკრედიტო ხელშეკრულებების საფუძველზე ქ. ხ-ავასა და დ. მ-შვილს შეღავათიანი კრედიტის სახით გადაეცათ 19000 და 14000 აშშ დოლარი. აღნიშნული ხელშეკრულების 1.3 პუნქტის შესაბამისად, მხარეებს შორის საბოლოო ანგარიშსწორება განხორციელდება ბანკის 13 ფილიალში მომხდარ დანაშაულთან დაკავშირებით სასამართლოს მიერ სამოქალაქო სამართალწარმოების წესით საქმის განხილვისა და სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ. 2006 წლის 11 აგვისტოს სს „ა. ბანკსა“ და სს „ბ. ბანკს“ შორის გაფორმდა ხელშეკრულება აქტივებისა და ვალდებულებების გადაცემის შესახებ. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 28 დეკემბრის გადაწყვეტილებით სს „ა. ბანკს“ ქ. ხ-ავასა და დ. მ-შვილის სასარგებლოდ დაეკისრა შესაბამისად 48 000 აშშ დოლარისა და 37 000 აშშ დოლარის ანაზღაურება. აღნიშნული გადაწყვეტილება უცვლელად იქნა დატოვებული ზემდგომი ინსტანციის სასამართლოების მიერ, იგი შესულია კანონიერ ძალაში და ამავე გადაწყვეტილების აღსრულების შედეგად მოსარჩელებს 2008 წლის 6 ნოემბერს ჩაერიცხათ 48 000 და 37 000 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარი.

პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო კოდექსის 763-ე მუხლით და მიუთითა, რომ, ერთი მხრივ, სს „ბ. ბანკსა“ და, მეორე მხრივ, დ. მ-შვილსა და ქ. ხ-ავას შორის არსებობდა მიზარების სახელშეკრულებო ურთიერთობა. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 28 დეკემბრის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დადგინდა იქნა ცნობილი, რომ მხარეთა შორის ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობის დარღვევა განპირობებული იყო სს „ბ. ბანკის“<sup>13</sup> ფილიალის თანამშრომლის მართლსაწინააღმდეგო მოქმედებით, რომელიც მიზეზობრივად უკავშირდებოდა მოსარჩელებისათვის მიყენებულ ზიანს. სს „ა. ბანკი“ წარმოადგენდა სს „ბ. ბანკის“ უფლებამონაცვლეს და, შესაბამისად, იმ პირს, ვინც ვალდებული იყო, მოსარჩელებათვის აენაზღაურებინა ზიანი. პალატამ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 106-ე მუხლის «ბ» ქვეპუნქტიდან გამომდინარე, გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მოსაზრება იმის თაობაზე, რომ სს «ბ. ბანკისა» და მოსარჩელებს შორის გაფორმებული მიზარების სახელშეკრულებო სამართლებრივ ურთიერთობებში სს «ბ. ბანკის» უფლებამონაცვლეს წარმოადგენდა სს «ა. ბანკი».

პალატამ აპელანტის მითითება იმის თაობაზე, რომ სს «ა. ბანკსა» და მოსარჩელებს შორის ვალდებულებითი ურთიერთობის საფუძველს წარმოადგენს სს «ბ. ბანკთან» გაფორმებული საკრედიტო ხელშეკრულებებიდან წარმოშობილი მოთხოვნები, რომლის 1.3 პუნქტით ნაკისრი ვალდებულება სს «ა. ბანკს» არ დაურღვევია უსაფუძვლოდ, მიიჩნია და განმარტა, რომ მხარეთა შორის სამართლებრივი ურთიერთობა გამომდინარეობს მიზარების სახელშეკრულებო ურთიერთობიდან და ამ ურთიერთობებში უფლებამონაცვლეს წარმოადგენს სს «ა. ბანკი». მხარეთა შორის სამართლებრივი ურთიერთობა გამომდინარეობს მიზარების სახელშეკრულებო ურთიერთობიდან და ამ ურთიერთობებში უფლებამონაცვლეს წარმოადგენს სს „ა. ბანკი“. ამდენად, არ გაიზიარა აპელანტის მითითება, რომ საკრედიტო ხელშეკრულებით (1.3 პუნქტი) დადგენილ ვადაში შესრულა ვალდებულება, კერძოდ, ანაზღაურა ფაქტობრივად დამდგარი ზიანი, რადგან მიიჩნია, რომ აღნიშნული მოსარჩელებს არ ართმევს უფლებას, მოითხოვოს მიუღებელი შემოსავალიც. მიუღებელი შემოსავლის ანაზღაურება მოვალის კანონისმიერი ვალდებულება და მხოლოდ კრედიტორის მიერ მასზე უარის თქმის შემთხვევაში (ვალის პატიება) თავისუფლდება მოვალე ასეთი პასუხისმგებლობისაგან, რაც არ გამომდინარეობს საკრედიტო ხელშეკრულებებიდან.

სააპელაციო სასამართლო დაეთანხმა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და მიიჩნია, რომ სასამართლომ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 411-ე და 412-ე მუხლებზე მითითებით, სწორად დააკმაყოფილა სარჩელი. სასამართლომ გონივრულ ფარგლებში განსაზღვრა მიუღებელი შემოსავლის ოდენობა, კერძოდ, მოსარჩელები მათი კუთვნილი თანხიდან (19 000 აშშ დოლარიდან და 14 000 აშშ დოლარიდან) ყოველთვის მიიღებდნენ: ქ. ხ-ავა - 290 აშშ დოლარს, ხოლო დ. მ-შვილი - 230 აშშ დოლარს. პალატამ განმარტა, რომ მხარეთა შორის არსებული სახელშეკრულებო ურთიერთობიდან გამომდინარე ვალდებულება სს „ბ. ბანკის“ მხრიდან დაირღვა 2004 წლის 13 აპრილს და ვალდებულებითი ურთიერთობა შეწყდა მოვალის მიერ ვალდებულების შესრულებით - 2008 წლის 6 ნოემბერს (სამოქალაქო კოდექსის 427-ე მუხლი). ამდენად, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული მიუღებელი შემოსავლად უნდა აღნაზღაურდეს ვალდებულების დარღვევიდან მის შეწყვეტამდე, რომლის მოთხოვნის კანონიერი უფლება კრედიტორს სრულად გააჩნია.

პალატამ აპელანტის მითითება საქმის შეწყვეტასთან დაკავშირებით უსაფუძვლოდ მიიჩნია და განმარტა, რომ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, სასამართლო, მხარეთა განცხადებით ან თავისი ინიციატივით, შეწყვეტს საქმის წარმოებას, თუ არსებობს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გა-

დაწყვეტილება ან განჩინება, რომელიც გამოტანილია დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძვლით მოსარჩელის მიერ სარჩელზე უარის მიღების ან მხარეთა მორიგების დამტკიცების შესახებ. მოცემულ შემთხვევაში სარჩელი აღძრულია იმავე მხარეებს შორის, ასევე ორივე შემთხვევაში მოთხოვნას წარმოადგენს ზიანის ანაზღაურება, თუმცა სხვადასხვა მოთხოვნის ფაქტობრივ-სამართლებრივი საფუძველი, კერძოდ, განსახილველი სარჩელით მოსარჩელები ითხოვენ მიუღებელი შემოსავლის ანაზღაურებას, ხოლო უკვე განხილულ სარჩელში მოსარჩელეთა მოთხოვნას წარმოადგენდა ფაქტობრივად დამდგარი ზიანის ანაზღაურება.

სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე საკასაციო საჩივარი შეიტანა სს «ა. ბანკმა», რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა შემდეგი საფუძვლებით: სასამართლომ არასწორად შეაფასა საქმეში არსებული მტკიცებულებები, კერძოდ, თბილისის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 28 დეკემბრის გადაწყვეტილება, სს «ბ. ბანკსა» და დ. მ-ვილს შორის 2004 წლის 15 სექტემბერს გაფორმებული საკრედიტო ხელშეკრულება, ასევე სს «ბ. ბანკსა» და ქ.ხ-ავას შორის 2004 წლის 17 სექტემბერს გაფორმებული საკრედიტო ხელშეკრულება, ასევე ინდივიდუალური სეიფების იჯარის ხელშეკრულებები. დაუსაბუთებელია სასამართლოს დასკვნა იმის თაობაზე, რომ ბანკის მიერ საკრედიტო ხელშეკრულების 1.3 პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულება – ფაქტობრივად დამდგარი ზიანის ანაზღაურება არ ართმევს მოსარჩელებს უფლებას, მოითხოვონ მიუღებელი შემოსავალიც. მოცემულ შემთხვევაში არანაირი მტკიცებულებით არ დასტურდება, რომ მოსარჩელებმა განიცადეს ზიანი მიუღებელი შემოსავლის სახით. დაუსაბუთებელია სასამართლოს მოსაზრება იმის თაობაზე, რომ მოსარჩელებმა თანხები დაკარგეს სს «ბ. ბანკში» და არა სს «ა. ბანკში», მართალია, სს «ა. ბანკი» წარმოადგენდა უფლებამონაცვლეს საიჯარო და საკრედიტო ხელშეკრულებების ნაწილში, მაგრამ სს «ა. ბანკზე» იმ პასუხისმგებლობის დაკისრება, რომ სს «ბ. ბანკში» არ იყო დაცული სეიფებში სხვადასხვა ნივთების შენახვის (მიბარების) პირობები და წესები, უსაფუძვლოა.

სასამართლო მიუთითებს ზიანზე, მაგრამ არ აზუსტებს, თუ მოპასუხის რა მოქმედებამ გამოიწვია და რა გარემოების გამო გაუჩნდათ მოსარჩელებს მიუღებელი შემოსავლის მოთხოვნის უფლება. აღნიშნავს, რომ ხელშეკრულება დაიდვა 2004 წლის 13 აპრილს და ვალდებულებითი ურთიერთობა შეწყდა 2008 წლის 6 ოქტომბერს ვალდებულების შესრულებით, მაგრამ არ მსჯელობს, იმის თაობაზე, რომ 2004 წლის 13 აპრილის საიჯარო ხელშეკრულებები პირდაპირ არის დაკავშირებული საკრედიტო ხელშეკრულებებთან, რადგან სწორედ საკრედიტო ხელშეკრულებები წარმოადგენდა საიჯარო ხელშეკრულებების ერთგვარ გაგრძელებას სადავო საკითხებთან დაკავშირებით. ყველა საკრედიტო ხელშეკრულების 1.1 პუნქტი ერთმნიშვნელოვნად განსაზღვრავს, რომ ხელშეკრულების დადების საფუძველს წარმოადგენს ბანკსა და ინდივიდუალური სეიფის მოიჯარეს შორის ურთიერთობის დასრულება, სასამართლოს გადაწყვეტილებით მხარეთა ურთიერთვალდებულებებისა და მათი მოცულობის საბოლოოდ განსაზღვრამდე. სასამართლომ არ დაუკავშირა ერთმანეთს საიჯარო და საკრედიტო ხელშეკრულებები და მთლიანობაში სათანადოდ არ შეაფასა, რითაც უგულებელყო საკრედიტო ხელშეკრულებების 1.1, 1.2 და 1.3 პუნქტებით გათვალისწინებული პირობები.

სასამართლომ უსაფუძვლოდ დაადგინა ის გარემოება, რომ ბანკისთვის მოსალოდნელი ზიანი სავარაუდო იყო. ბანკს გააჩნდა ხელშეკრულებით მინიჭებული უფლება, ედავა სამოქალაქო სამართალწარმოების წესით და მან ეს უფლება გამოიყენა. 2004 წლის 13 აპრილის ხელშეკრულებების დარღვევის შემთხვევაშიც კი, სს «ა. ბანკი», შეთანხმების თანახმად, არ იყო ვალდებული, აენაზღაურებინა რაიმე თანხები მოსარჩელებისათვის, ვიდრე არ დასრულებოდა სასამართლო დავა. სამოქალაქო კოდექსის 411-ე მუხლის თანახმად, ზიანი უნდა ანაზღაურდეს არა მხოლოდ ფაქტობრივად დამდგარი ქონებრივი ზიანისათვის, რაც მოცემულ შემთხვევაში უკვე ანაზღაურებულია, არამედ მიუღებელი შემოსავლებითაც. მიუღებლად ითვლება შემოსავალი, რომელიც არ მიუღია პირს და, რომელსაც იგი მიიღებდა, ვალდებულება ჯეროვნად, რომ შესრულებულიყო. მოცემულ შემთხვევაში ბანკმა ვალდებულება შეასრულა ჯეროვნად. სამოქალაქო კოდექსის 394-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მოვალის მიერ ვალდებულების დარღვევისას კრედიტორს შეუძლია მოითხოვოს ამით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება. ეს წესი არ მოქმედებს მაშინ, როცა მოვალეს არ ეკისრება პასუხისმგებლობა ვალდებულების დარღვევისათვის. სამოქალაქო კოდექსის 401-ე მუხლის თანახმად კი, ვადა გადაცილებულად არ ჩაითვლება, თუკი ვალდებულება არ შესრულდა ისეთ გარემოებათა გამო, რაც მოვალის ბრალით არ არის გამოწვეული. სს «ა. ბანკმა» თავიდანვე იმიტომ არ აანაზღაურა მოსარჩელეთა თანხები, რომ ბანკმა სადავო გახადა მოსარჩელის მიმართ, როგორც ვალდებულების არსებობა, ასევე საიჯარო ხელშეკრულებების ნაწილში უფლებამონაცვლეობის საკითხი და მან ეს ვალდებულება შეასრულა საკრედიტო ხელშეკრულებების გათვალისწინებული წესების დაცვით, მას შემდეგ, რაც სასამართლოს გადაწყვეტილებით სს «ა. ბანკი» ცნობილ იქნა უფლებამონაცვლედ, სეიფებში მიბარებული ნივთების დაბრუნების ნაწილში, რაც იმის მიმანიშნებელია, რომ სს «ა. ბანკს» მოსარჩელეთა მიმართ ვალდებულება არ დაურღვევია, ხოლო სს «ბ. ბანკის» გაქურდვასთან დაკავშირებულ სხვა ვალდებულებებზე, სს «ა. ბანკი» უფლებამონაცვლეს არ წარმოადგენს.

დაუსაბუთებელია სასამართლოს მოსაზრება იმის თაობაზე, რომ მოსარჩელებს საკუთარი ქონების გამოყენებით შეეძლოთ მინიმალური სარგებლის მიღება. მოსარჩელებს არავითარი მტკიცებულებები მიუღებელ შემოსავალთან დაკავშირებით არ წარმოუდგენიათ, ხოლო ის ვარაუდი, რომ მოსარჩელები ფულს ბიზნესში გამოიყენებდნენ ან ბანკში შეინახავდნენ და მოგებას მიიღებდნენ, უსაფუძვლოა. მოსარჩელები ზიანის ანაზღაურებას ითხოვენ იმავე საფუძვლებიდან გამომდინარე, რაზედაც სარჩელით მათი მოთხოვნა დაკმაყოფილდა და თანხები ანაზღაურებულ იქნა. სასამართლომ ბანკის სეიფებში შენახული თანხები სრულიად უსაფუძვლოდ მიიჩნა ანაზღაურად, როდესაც საანაზღაურო ურთიერთობა ბანკსა და მოსარჩელებს შორის არ არსებობდა.

სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა სამოქალაქო კოდექსის 411-ე მუხლი, რადგან აღნიშნული მუხლი მიუთითებს, რომ ზიანი უნდა ანაზღაურდეს არა მხოლოდ ფაქტობრივად დამდგარი ქონებრივი დანაკლი-

სათვის, არამედ მიუღებელი შემოსავლისთვისაც. მიუღებლად ითვლება შემოსავალი, რომელიც არ მიუღია პირს, და რომელსაც იგი მიიღებდა, ვალდებულება ჯეროვნად რომ შესრულებულიყო. მოცემულ შემთხვევაში ვალდებულების ჯეროვნად შესრულება დამოკიდებული იყო საკრედიტო ხელშეკრულებების 1.3 პუნქტით განსაზღვრულ პირობაზე – სამოქალაქო სამართალწარმოების წესით სასამართლოს გადაწყვეტილების ძალაში შესვლაზე. მხარეებმა თავისუფლად გამოხატეს საკუთარი ნება და დადეს საკრედიტო ხელშეკრულებები, მიანიჭეს ერთმანეთს უფლება, ედავათ სამოქალაქო წესით, რომლის თანახმადაც მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილების ძალაში შესვლის შემდეგ უნდა მომხდარიყო საბოლოო ანგარიშსწორება, რომელიც გულისხმობდა ბანკის მხრიდან მიზარებული ნივთის – ფულის დაბრუნებას, ხოლო მსესხებელთა მხრიდან საბანკო კრედიტის დაბრუნებას და, ვინაიდან მიზარებული ნივთი თანხას წარმოადგენდა, საბოლოო ანგარიშსწორებაც ნაღდი გადახდით განხორციელდებოდა. ხელშეკრულების შესრულება დამოკიდებული იყო შეთანხმებულ სამომავლო პირობაზე და პირობის დადგომისთანავე, სამოქალაქო კოდექსის 368-ე მუხლის შესაბამისად, შესრულდა ვალდებულებაც. სასამართლოს გადაწყვეტილება ძალაში შევიდა 2008 წლის 10 ნოემბერს, ხოლო თანხები მოსარჩელებს ჩაერიცხათ 6 ნოემბერს, ამდენად, სს «ა. ბანკს» საკრედიტო ხელშეკრულებათა 1.3 პუნქტით განსაზღვრული პირობა არ დაურღვევია ანუ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულება შესრულდა ჯეროვნად.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების სამართლებრივი დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს და გასაჩივრებული განჩინება დარჩეს უცვლელი შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლის პირველი ნაწილის «ა» და «ბ» ქვეპუნქტების თანახმად, საკასაციო სასამართლო არ დაკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ კანონის მითითებულ დარღვევას არა აქვს ადგილი და სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა. საკასაციო პალატის აზრით, სააპელაციო სასამართლომ სამართლებრივად სწორად შეაფასა დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები და საკასაციო საჩივარში მითითებული კანონის დარღვევა არ დგინდება.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება), კასატორებს დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია არ წარმოუდგენიათ, ხოლო სააპელაციო სასამართლომ დადგენილად ცნო შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

მოსარჩელები სს „ბ. ბანკის“ 13 ფილიალთან დადებული ინდივიდუალური სეიფების იჯარით აღების ხელშეკრულების საფუძველზე სარგებლობდნენ სს ბ. ბანკის ინდივიდუალური სეიფებით, რომელშიც ინახებოდა ქ.ხ-ავას კუთვნილი 48000 აშშ დოლარი, ხოლო დ.მ-შვილის 37 000 აშშ დოლარი. მოსარჩელების კუთვნილი თანხები 2004 წლის 13 აპრილს დანაშაულებრივი გზით იქნა გატაცებული. 2004 წლის 15 და 17 სექტემბრის საკრედიტო ხელშეკრულებების საფუძველზე ქ. ხ-ავასა და დ.მ-შვილს, შეღავათიანი კრედიტის სახით გადაეცათ 19000 და 14000 აშშ დოლარი. აღნიშნული ხელშეკრულების 1.3 პუნქტის შესაბამისად, მხარეებს შორის საბოლოო ანგარიშსწორება განხორციელდება ბანკის 13 ფილიალში მომხდარ დანაშაულთან დაკავშირებით სასამართლოს მიერ სამოქალაქო სამართალწარმოების წესით საქმის განხილვისა და სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ. 2006 წლის 11 აგვისტოს სს „ა. ბანკსა“ და სს „ბ. ბანკს“ შორის გაფორმდა ხელშეკრულება აქტივებისა და ვალდებულებების გადაცემის შესახებ. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 28 დეკემბრის გადაწყვეტილებით სს „ა. ბანკს“ ქ. ხ-ავასა და დ.მ-შვილის სასარგებლოდ დაეკისრა შესაბამისად 48 000 აშშ დოლარისა და 37 000 აშშ დოლარის ანაზღაურება. აღნიშნული გადაწყვეტილება უცვლელად იქნა დატოვებული ზემდგომი ინსტანციის სასამართლოების მიერ, იგი შესულია კანონიერ ძალაში და ამავე გადაწყვეტილების აღსრულების შედეგად მოსარჩელებს 2008 წლის 6 ნოემბერს ჩაერიცხათ 48 000 და 37 000 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარი.

საკასაციო სასამართლო თვლის, რომ სააპელაციო სასამართლომ სწორი შეფასება მისცა ზემოაღნიშნულ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და მართებულად გამოიყენა სამოქალაქო კოდექსის 411-ე და 412-ე მუხლები.

უსაფუძვლოა კასატორის მოსაზრება, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად შეაფასა ის გარემოება, რომ მოსარჩელებმა ზიანი მიიღეს სს «ბ. ბანკისგან» და არა მოპასუხე სს «ა. ბანკისგან». სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილებით დადგენილია, რომ მოპასუხე წარმოადგენს სს «ბ. ბანკის» უფლებამონაცვლეს. ამ გარემოების საწინააღმდეგოდ კასატორს დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია არ წარმოუდგენია. მატერიალური სამართალი ითვალისწინებს ორი სახის უფლებამონაცვლეობას: უნივერსალური ანუ ზოგადი უფლებამონაცვლეობა, როდესაც უფლებამონაცვლეზე გადადის მისი წინამორბედის ყველა უფლება-მოვალეობა (მემკვიდრეობა, იურიდიული პირის რეორგანიზაცია და სხვა) და სინგულარული (კერძო) უფლებამონაცვლეობა, როდესაც უფლებამონაცვლეზე გადადის მხოლოდ ცალკეული უფლება-მოვალეობანი (მოთხოვნის დათმობა). უფლებამონაცვლეობა არსებობს, როდესაც პირს წინამორბედისაგან რომელიმე სამართლებრივი (მემკვიდრეობითი, საოჯახო, ვალდებულებითი) საფუძვლით შეძენილი აქვს უფლება-მოვალეობანი. ამავდროულად, სინგულარული ანუ მხოლოდ კონკრეტულ უფლებასა თუ ვალდებულებაზე უფლებამონაცვლეობა სარწმუნოდ უნდა დადგინდეს და მისი დამტკიცება, რასაკვირველია, მხარის ვალდებულებას, ის, რომ სს «ა. ბანკს» 2006 წლის 16 აგვისტოს ხელშეკრულებით სს «ბ. ბანკის» ვალდებულებაზე პასუხისმგებლობა გამოერიცხებოდა დადგენილი არ არის, რაც საკასაციო საჩივრის ზემოაღნიშნული არგუმენტის უსაფუძვლობაზე მიუთითებს.

ასევე უსაფუძვლოა კასატორის არგუმენტი, რომ მოდავე მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულებით განი-საზღვრა ზიანის ანაზღაურების წესი და ვადები, სამოქალაქო კოდექსის 394-ე და 401-ე მუხლის თანახმად, არსე-ბობდა მნიშვნელოვანი საფუძველი, რომ მოვალეს ვალდებულება არ შეესრულებინა, რადგანაც სასამართლოს გა-დაწყვეტილება ზიანის დადგენაზე კანონიერ ძალაში არ იყო შესული. კასატორის მიერ მითითებული საკრედიტო ხელშეკრულების 1.3 მუხლის თანახმად, კასატორმა მოწინააღმდეგე მხარეებზე გასცა რა სესხი «მხარეებს შორის საბოლოო ანგარიშსწორება მოხდება ბანკის 13 ფილიალში მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით სასამართლოს მიერ სამართალწარმოების წესით საქმის გახილვისა და სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემ-დეგ».

სამოქალაქო კოდექსის 52-ე მუხლის თანახმად: ნების გამოვლენის განმარტებისას ნება უნდა დადგინდეს გო-ნივრული განსჯის შედეგად, და არა მარტოდენ გამოთქმის სიტყვასიტყვითი აზრიდან.

ამდენად, აღნიშნული ნორმის ანალიზიდან გამომდინარე, მხარეთა ნება უნდა განიმარტოს იმ შემთხვევაში, როდესაც არსებობს ეჭვის საფუძველი ნების არასწორ ან არასრულ გამოხატვაში. მოცემულ შემთხვევაში, ასეთი ვი-თარება არ აღინიშნება, ვინაიდან მხარეები არაოარაზროვნად, ცალსახად უთითებენ საბოლოო ანგარიშსწორებაზე, რომელიც საკრედიტო ხელშეკრულებიდან მომდინარეობს და არ გამოირიცხავენ ან ზღუდავენ რომელიმე მხარის ვალდებულებას. ამასთან, საგულისხმოა, რომ იმ დროს მოქმედი სამოქალაქო კოდექსის 410-ე მუხლით ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებაზე უარის თქმა წინასწარ შეთანხმებით დაუშვებელი იყო. ამავე მუხლის 2009 წლის 4 დეკემბერს შეტანილი ცვლილებით კანონმდებელმა გააუქმა ასეთი აკრძალვა და დაუშვა ზიანის ანაზღაუ-რების მოთხოვნის უფლებაზე წინასწარ უარის თქმა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს გათვალისწინებულია კანო-ნით ან მხარეთა შეთანხმებით.

რაც შეეხება, კასატორის მიერ მითითებულ სამოქალაქო კოდექსის 394-ე მუხლის პირველ ნაწილს, რომლის ძა-ლითაც მოვალის მიერ ვალდებულების დარღვევისას კრედიტორს შეუძლია მოითხოვოს ამით გამოწვეული ზია-ნის ანაზღაურება. ეს წესი არ მოქმედებს მაშინ, როცა მოვალეს არ ეკისრება პასუხისმგებლობა ვალდებულების დარღვევისათვის. ხოლო ამავე კოდექსის 401-ე მუხლით ვადა გადაცილებულად არ ჩაითვლება, თუკი ვალდებუ-ლება არ შესრულდება ისეთ გარემოებათა გამო, რაც მოვალის ბრალით არ არის გამოწვეული.

აღნიშნული ნორმების დანაწესები გულისხმობს მოვალის პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლებას განსა-კუთრებულ შემთხვევებში: დაუძლეველი ძალა, შესრულების შეუძლებლობა – ეს ის შემთხვევებია, როდესაც, მი-უხედავად მოვალის კანონშესაბამისი და გულისხმიერი მოქმედებისა, მოვალის ნებისგან დამოუკიდებელ ობიექ-ტურ გარემოებათა გამო ვალდებულების შესრულება შეუძლებელი ხდება. ამდენად, მოვალის პასუხისმგებლობი-საგან გათავისუფლებას კანონი მხოლოდ იმ შემთხვევაში უშვებს, როდესაც წარმოიშევა შესრულების ხელშემ-შლელი ისეთი გარემოებები, რომელთა გათვალისწინება და თავიდან აცილება მოვალისათვის შეუძლებელია.

კასატორი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების საფუძვლად მიუთითებს იმ გარემოებას, რომ მას გააჩნდა შესაგებელი მოსარჩელეთა წინააღმდეგ საიჯარო ხელშეკრულების ნაწილში უფლებამონაცვლეობისა და საერ-თოდ, ვალდებულების არსებობის თაობაზე და აღნიშნულთან დაკავშირებით სასამართლოში დავა მიმდინარეობ-და.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ კასატორის მითითებული არგუმენტი თავისთავად არ გამოირიცხავს ზი-ანის დადგომაში მოვალის ბრალეულობას. ამასთან, საკასაციო სასამართლო ასევე არ ეთანხმება კასატორის შეფა-სებას, რომ მოვალის მიერ ვალდებულების ვადაში შეუსრულებლობისას მოვალე ვადის გადამცილებლად არ ჩა-ითვლება, თუ მოვალესა და კრედიტორს შორის სასამართლო წესით დავა მიმდინარეობს და მოვალეს შესაგებელი გააჩნია.

როგორც გადაწყვეტილების კვლევით ნაწილში დასაბუთდა, კასატორის უფლებამონაცვლეობა და ვალდებუ-ლების არსებობა ფაქტობრივად და იურიდიულად ეჭვს არ იწვევს. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დისპოზი-ციურობის პრინციპიდან გამომდინარე (მე-3 მუხლი) მხარეს უფლება აქვს, ცნოს ან არ ცნოს სარჩელი, მაგრამ მოპა-სუხის მიერ სარჩელის არ ცნობა არ ათავისუფლებს მას დარღვეულ უფლებაზე პასუხისმგებლობისაგან და ავტომა-ტურად არ ამცირებს იმ ზიანის ოდენობას, რომელიც მოსარჩელეს (კრედიტორს) შეიძლება მიადგეს სასამართლო-ში დავის წარმოების განმავლობაში.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო პალატის გასაჩივრებული გადაწყვეტილება კანონიერია და მისი გაუქმების სამართლებრივი საფუძველი არ არსებობს.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

#### **და ა დ გ ი ნ ა:**

სს «ა. ბანკის» საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 11 ივნისის განჩინება დარჩეს უცვლელად.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

**ზიანის ანაზღაურება მიუღებელი შემოსავლისათვის**

**გადაწყვეტილება  
საქართველოს სახელით**

1ას-307-291-2011

24 ოქტომბერი, 2011 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: ბ. ალავეიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),**

**ვ. როინიშვილი,**

**პ. ქათამაძე**

**დავის საგანი:** გაწეული მომსახურების ღირებულების, მიუღებელი შემოსავლისა და პროცენტის ანაზღაურება

**აღწერილობითი ნაწილი:**

შპს «ნ. კ-მა» სარჩელი აღძრა სასამართლოში შპს «ს. რ-ის» მიმართ, მოპასუხისათვის მიუღებელი შემოსავლის სახით – **7514.62** ლარის, გადაუხდელი დღგ-ის თანხის სახით – **4780.24** ლარის, ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების გამო **2008** წლის **1** ნოემბრიდან ყოველთვიურად, გადასახდელი თანხის **2.5%-ის** (სულ – **12304,86** ლარი) დაკისრების თაობაზე, შემდეგ გარემოებებზე მითითებით:

**2007** წელს შპს «ნ. კ-მა» გაიმარჯვა შპს «ს. რ-ის» მიერ გამოცხადებულ ტენდერებში. აღნიშნულის შედეგად მასა და შპს «ს. რ-ის» შორის დაიდო **1**შს/**07-287** ხელშეკრულება, რომლის თანახმად მოსარჩელეს ერთი წლის განმავლობაში უნდა ჩაეტარებინა **693707**კვ.მ ფართობის დეზინფექცია. წლის განმავლობაში მოსარჩელე სრულად ამუშავებდა რ-ის მიერ მიწოდებულ ფართობებს, რ-ა კი ყოველთვიურად აკლებდა დასამუშავებლად მისაწოდებელ ფართს. რ-ამ მოსარჩელეს სულ დასამუშავებლად მიაწოდა **605946**კვ.მ, მიუწოდებელი დარჩა **87761**კვ.მ, რომლის დამუშავების ღირებულება დღგ-ის გარეშე შეადგენს **7898,49** ლარს, ხოლო დღგ-ის ჩათვლით – **9320,22** ლარს. აღნიშნული ფართის დამუშავების ხარჯი შეადგენს **88** ლიტრ პრეპარატ სოკრენას ღირებულებას – **1689,6** ლარს და წყლის ღირებულებას **116** ლარის ოდენობით, ანუ რ-ის მიერ ვალდებულების დარღვევის შედეგად მოსარჩელემ ვერ მიიღო მოგება **7514,62** ლარის ოდენობით (**9320,22-116-1689,6=7514,62**). ხელშეკრულების პირობებთან შედარებით ნაკლები ფართის მოსარჩელის მიერ დაუმუშავებლობა გამოწვეულია მხოლოდ რ-ის მიერ ფართის მიუწოდებლობით.

მოსარჩელემ, საგადასახადო კოდექსის შესაბამისად, ბიუჯეტში გადაიხადა დღგ-ის სახით **4780,24** ლარი, რომელიც, თავის მხრივ, ჩაითვაა რ-ამ. დღგ-ის აღნიშნული თანხა რ-ას მოსარჩელისათვის არ გადაუხდია.

სარჩელის დაკმაყოფილების სამართლებრივ საფუძვლად მოსარჩელემ მიუთითა სამოქალაქო კოდექსის **394-ე, 411-ე, 403-ე** მუხლებზე, ასევე საგადასახადო კოდექსის **247-ე** მუხლზე.

მოპასუხე შპს «ს. რ-ამ» სარჩელი არ ცნო და მოითხოვა მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა შემდეგი საფუძვლებით:

მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულების თანახმად, რ-ის ერთადერთ მოვალეობას წარმოადგენდა გაწეული მომსახურების ღირებულების სრული და დროული ანაზღაურება, ანუ მოსარჩელესთან დროული ანგარიშსწორება. სხვა რაიმე ვალდებულება, ხელშეკრულებიდან გამომდინარე, რ-ას არ ეკისრებოდა. რ-ა ანგარიშსწორებას ახორციელებდა დათქმულ ვადაში, ფაქტობრივად გაწეული მომსახურების შესაბამისად. რაც შეეხებოდა ხელშეკრულებაში მითითებული დასასუფთავებელი ფართის ოდენობას, აღნიშნული წარმოადგენდა დაუზუსტებელ ფართს. რ-ამ მოსარჩელეს დასასუფთავებლად გამოუყო ის ფართი, რაც რეალურად საჭიროებდა დასუფთავებას. ხელშეკრულების სპეციფიკური პირობების **6.3** პუნქტიც სწორედ ამიტომ ითვალისწინებდა მოსარჩელესთან ანგარიშსწორებას შესრულებული სამუშაოს შესაბამისად, ხოლო შესრულებული სამუშაო რ-ამ დროულად და კეთილსინდისიერად აანაზღაურა.

რაც შეეხება დღგ-ის სადავო თანხას, შპს «ს. რ-ამ» მოსარჩელის მიერ მითითებული ანგარიშ-ფაქტურებით ვერ მოახერხა დღგ-ის ჩათვლა, რადგან, საგადასახადო კოდექსის **248-ე** მუხლის პირველი ნაწილის მოთხოვნათა დარღვევით, შპს «ნ. კ-ის» მიერ აღნიშნული ანგარიშ-ფაქტურები წარდგენილი იყო დაგვიანებით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის **2009** წლის **6** მაისის გადაწყვეტილებით შპს «ნ. კ-ის» სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, შპს «ს. რ-ას» მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა **4780.24** ლარის გადახდა, შპს «ნ. კ-ის» მოთხოვნა მოპასუხისათვის მიუღებელი შემოსავლის სახით **7514.60** ლარისა და პროცენტის დაკისრების შესახებ არ დაკმაყოფილდა.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში სააპელაციო წესით გაასაჩივრა შპს «ს. რ-ამ», ხოლო სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში ამავე გადაწყვეტილებაზე სააპელაციო საჩივარი შეიტანა შპს «ნ. კ-მა».

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის **2009** წლის **7** დეკემბრის განჩინებით შპს «ნ. კ-ისა» და შპს «ს. რ-ის» სააპელაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის **2009** წლის **6** მაისის გადაწყვეტილება, რაც შპს «ს. რ-ის» მიმართ შევიდა კანონიერ ძალაში საკასაციო სასამართლოს **2010** წლის **8** იანვრის განჩინებით შპს «ს. რ-ის» საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის გამო, ხოლო შპს «ნ. კ-ის» საკასაციო პრატენზია ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, შპს «ნ. კ-ის» სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში გაუქმდა სააპელაციო სასამართლოს განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის **2010** წლის **18** ნოემბრის გადაწყვეტილებით შპს «ნ. კ-ის» სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალა-



ქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 6 მაისის გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომლითაც არ დაკმაყოფილდა შპს «ნ. კ-ის» სარჩელი მოპასუხისათვის მიუღებელი შემოსავლის სახით 7514,60 ლარის დაკისრების თაობაზე და ამ ნაწილში მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც შპს «ნ. კ-ის» სარჩელი მიუღებელი შემოსავლის ანაზღაურების თაობაზე დაკმაყოფილდა, შპს «ს. რ-ას» შპს «ნ. კ-ის» სასარგებლოდ დაეკისრა 7514,60 ლარის ანაზღაურება შემდეგი დასაბუთებით:

სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, უდავო გარემოებაა, რომ შპს «ს. რ-ამ» ჩაატარა ტენდერი დეზინფექციის, დეზინსექციისა და დერატიზაციის მომსახურების შესყვიდვაზე, რომელშიც 11 და 13 ლოტებში გამარჯვებულად მიჩნეულ იქნა შპს «ნ. კ-ის» სატენდერო წინადადება. წინადადების თანახმად, მიმწოდებელმა აიღო ვალდებულება, განეხორციელებინა შემსყიდველის სასარგებლოდ შემდეგი სახის მომსახურებები: ლოტი 11 – 693707 კვ.მ სამგზავრო ვაგზლების, სადგურების, სამგზავრო ვაგონებისა და ელექტრომატარებლების, ასევე მათი ტუალეტების დეზინფექცია თანხაზე – 62433,63 ლარი დღგ-ის გარეშე. ლოტი 13 – 7000 კომპლექტი სამგზავრო ვაგონების რბილი მოსახსნელი ინვენტარის კამერული დეზინფექცია თანხაზე – 35000 ლარი დღგ-ის გარეშე. ხელშეკრულების საერთო ღირებულება განისაზღვრა 97433,63 ლარით დღგ-ის გარეშე. 2007 წლის 15 ივნისს შპს «ს. რ-ას» და შპს «ნ. კ-ს» შორის გაფორმდა ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ 'შს/07-287, რომლის თანახმად, შპს «ნ. კ-მა» აიღო ვალდებულება, განეხორციელებინა შპს «ს. რ-ის» სასარგებლოდ სამგზავრო ვაგზლების, სადგურების, სამგზავრო ვაგონებისა და ელექტრომატარებლების, ასევე მათი ტუალეტების დეზინფექცია. ამავე ხელშეკრულების მიხედვით, მისი განუყოფელი შემადგენელი ნაწილებია: მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადება, ხელშეკრულების საერთო პირობები, ხელშეკრულების სპეციფიკური პირობები, ხელშეკრულების შესრულების საგარანტიო უზრუნველყოფა. ხელშეკრულების საერთო პირობების მე-11 მუხლის შესაბამისად, მიმწოდებლის სატენდერო წინადადებაში დაფიქსირებული გასაწევი მომსახურების ფასი წარმოადგენს ხელშეკრულების ღირებულებით პარამეტრს. ხელშეკრულების ღირებულებითი პარამეტრის შეცვლა ხელშეკრულების მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში დაუშვებელია ან ხელშეკრულების ღირებულებითი პარამეტრის შეცვლა დასაშვებია მხარეთა შეთანხმებით, მხოლოდ ხელშეკრულების სპეციფიკურ პირობებში მითითებულ შემთხვევებში და ზომით. ხელშეკრულების საერთო პირობების 12.1 მუხლით ხელშეკრულების დამდებ არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება, ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები, ხოლო 12.3 მუხლის თანახმად, ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად. პალატამ მიუთითა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილია და სადავოდ არ არის გამხდარი შპს «ს. რ-ის» მიერ, ზემოაღნიშნული ხელშეკრულების ფარგლებში, შპს «ნ. კ-ისათვის» დასასუფთავებლად საერთო ჯამში 605946 კვ.მ ფართის გადაცემა. ამდენად, დადგენილია, რომ, ნაცვლად სატენდერო წინადადებებით გათვალისწინებული 693707 კვ.მ ფართისა, ჯამში მიწოდებულ იქნა 605946 კვ.მ ფართი, ანუ არ იქნა მიწოდებული 87761 კვ.მ ფართი, შესაბამისად, დადგენილია, რომ შპს «ს. რ-ის» მიერ, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ 'შს/07-287 ხელშეკრულებიდან გამომდინარე, ვალდებულება შესრულებულია არაჯეროვნად. უდავო გარემოებაა, რომ შპს «ს. რ-ის» მიერ, ზემოაღნიშნული ხელშეკრულების ფარგლებში, შპს «ნ. კ-ისათვის» ანაზღაურებულ იქნა ფაქტობრივად მიწოდებული ფართის დასუფთავების საფასური დამატებითი ღირებულების გადასახადის – 4780,24 ლარის გამოკლებით – 54535,14 ლარი.

სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო კოდექსის 361-ე მუხლის მე-2 ნაწილით და განმარტა, რომ წინამდებრე საქმესთან მიმართებით თბილისის საქალაქო სასამართლოს არ უნდა გამოეყენებინა სამოქალაქო კოდექსის 636-ე მუხლი, აღნიშნული ნორმის გამოყენების საფუძველი არსებობს იმ შემთხვევაში, თუკი საქმეზე დგინდება მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულების მოშლის ფაქტობრივი გარემოება. მხოლოდ ის გარემოება, რომ შპს «ს. რ-ამ» მოსარჩელეს დასასუფთავებლად მიაწოდა ხელშეკრულებით შეთანხმებულზე ნაკლები ფართი, არ ნიშნავს შპს «ს. რ-ის» მიერ ხელშეკრულების მოშლას, აღნიშნული მიუთითებს იმაზე, რომ არ არის დაცული სამოქალაქო კოდექსის 361-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ხელშეკრულების ჯეროვანი შესრულების ვალდებულება. ანუ, მოცემულ შემთხვევაში, სახეზეა არა ხელშეკრულების მოშლა, არამედ, ხელშეკრულების პირობების არაჯეროვანი შესრულება. აღსანიშნავია, რომ თავად შპს «ნ. კ-იც» სადავოდ ხდის შპს «ს. რ-ის» მიერ სწორედ ხელშეკრულების ჯეროვანი შეუსრულებლობით მიყენებული ზიანის (მიუღებელი შემოსავლის) ანაზღაურებას და არა ხელშეკრულების მოშლით მიყენებული ზიანის ანაზღაურებას. პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო კოდექსის 394-ე, 411-ე მუხლებით და აღნიშნა, რომ ზიანი უნდა ანაზღაურდეს არა მხოლოდ ფაქტობრივად დამდგარი ქონებრივი დანაკლისისთვის, არამედ მიუღებელი შემოსავლისთვისაც. მიუღებლად ითვლება შემოსავალი, რომელიც არ მიუღია პირს და რომელსაც იგი მიიღებდა, ვალდებულება ჯეროვნად რომ შესრულებულიყო.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გასაჩივრა შპს «ს. რ-ამ», მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით შპს «ნ. კ-ის» სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა შემდეგი დასაბუთებით:

კასატორის განმარტებით, თბილისის სააპელაციო სასამართლომ ისე გამოიტანა გადაწყვეტილება, რომ საქმესთან დაკავშირებული დავის გადაწყვეტისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებებზე საერთოდ არ უმსჯელია, როგორც ეს საკაციო სასამართლომ მოითხოვა მოცემულ საქმეზე 2010 წლის 8 ივნისის განჩინებით და რის გამოც საქმე უკან დაბრუნდა ხელახლა განსახილველად, კერძოდ, სასამართლოს არ გამოუკვლევიან ისეთი ფაქტები, როგორცაა ხელშეკრულების მიმდინარეობა და მისი დასრულება. საქმეში არის მტკიცებულებები, რომლებიც საერთოდ არ არის ნახსენები გადაწყვეტილებაში, სასამართლოს ასევე არ შეუფასებია ბრალულობის საკითხი, რომელიც მსჯელობის განუყოფელი კომპონენტია ზიანის ანაზღაურების და საერთოდ ვალდებულების დარღვევის საკითხის განხილვისას, ასევე არ არის განმარტებული ხელშეკრულების შინაარსი, რომელიც ცხადყოფს მის მიზანს. კასატორის განმარტებით, სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 18 ნოემბრის გადაწყვეტილების

გაუქმების სხვა საფუძვლებთან ერთად, არსებობს მისი გაუქმების აბსოლუტური საფუძვლებიც, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის «ე» და «ე¹» ქვეპუნქტების შესაბამისად.

შპს «ს. რ-ის» განმარტებით, სააპელაციო სასამართლომ 2010 წლის 18 ნოემბრის გადაწყვეტილება კანონშესაბამოა, რადგან, სასამართლომ გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოიყენებინა, ასევე არასწორად განმარტა გამოყენებული სამართლის ნორმები, სასამართლომ არასწორად გამოიყენა ზიანის ანაზღაურების მავალდებულებული ნორმები, კერძოდ, სამოქალაქო კოდექსის 394-ე და 411-ე მუხლები. სასამართლომ არ გაითვალისწინა ის, რომ შპს «ს. რ-ის» ვალდებულებას მხარეთა შორის გაფორმებული 2007 წლის 15 ივნისის 1შს/07-287 ხელშეკრულების თანახმად, წარმოადგენდა მხოლოდ გაწეული მომსახურების საფასურის ანაზღაურება, რაც შეეხება დასასუფთავებლად მისაწოდებელი ფართების მოცულობას, შპს «ნ. კ-ი» მომსახურებას ახორციელებდა ყოველდღიურად და ანაზღაურებასაც ის იღებდა თვითონ გაანგარიშებით, ფიქსირებული თანხით, ფაქტიურად განხროციელებული მომსახურების შესაბამისად და ის მოცულობა, რომელიც ხელშეკრულებაშია მითითებული, წარმოადგენდა მისაწოდებელი ფართების მაქსიმუმს, რომლის დასუფთავება შპს «ს. რ-ას» შეეძლო დაევალებინა კონტრაქტისათვის. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ფართების მოცულობის დასუფთავება წარმოადგენდა მენარდის «ნ. კ-ს» ოფერტს, ვალდებულებას, რომ ის ამ მოცულობის ფართებს დასუფთავებდა, შპს «ს. რ-ა» კი აღჭურვილი იყო უფლებით, მოეთხოვა კონტრაქტისათვის ფართების დასუფთავება «ნ. კ-ის» მიერ აღებული ვალდებულების შესაბამისად ხელშეკრულებაში აღნიშნული მოცულობის ფარგლებში. იმის წინასწარ განსაზღვრა, თუ ფართების რა მოცულობის დასუფთავება დასჭირდებოდა შპს «ს. რ-ას» შეუძლებელი იყო. სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა ხელშეკრულების ღირებულების საკითხი, კერძოდ, მხარეებს შორის გაფორმებული ხელშეკრულების 1.2. პუნქტის თანახმად, «ხელშეკრულების ღირებულება ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის». ღირებულების ცვლილება გულისხმობს იმავე მოცულების სამუშაოს შესრულების ტარიფის ცვლილებას, ანუ ფასის ცვლილებას, რომლის შეცვლაც მხარეთა შეთანხმებას საჭიროებს. არასწორია სასამართლოს განმარტება, რომ მენარდე, თუ უფრო ნაკლებ სამუშაოს შეასრულებს, ამით ხელშეკრულების ღირებულება იცვლება. სამუშაოს ღირებულება სატენდერო წინადადების თანახმად, განსაზღვრულია კვადრატული მეტრობით, სათითაოდ, სხვადასხვა ობიექტებზე, რაც წარმოადგენს ღირებულებით პარამეტრს და რომლის შეცვლა მხარეთა შეთანხმების გარეშე დაუშვებელია. კასატორის განმარტებით, მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულების პირობების შინაარსიდან დგინდება, რომ შპს «ს. რ-ას» არ ევალებოდა ყოველდღიურად იმ მოცულობის ფართი მიეწოდებინა მენარდისათვის, რაც ხელშეკრულებაშია მოცემული მაქსიმალური მოცულობით ხელშეკრულების სპეციფიკური პირობების 2.2 პუნქტის თანახმად. მომსახურების მოცულობას განსაზღვრავდა რ-ა. სააპელაციო სასამართლომ არ გაითვალისწინა მხარეთა შორის გაფორმებული 1შს-07-287 ხელშეკრულების პრეამბულის მე-4 პუნქტი, რომლის თანახმად, განისაზღვრა ხელშეკრულების მოქმედების ვადა და პირობები. ხელშეკრულების მოქმედება გრძელდებოდა მის სრულ შესრულებამდე, ამდენად, «ნ-ის» მოსაზრება, ხელშეკრულების პირობების შპს «ს. რ-ის» მიერ დაარღვევის თაობაზე, უსაფუძვლოა. 2008 წლის 21 ოქტომბერს, შპს «ს. რ-ამ» და შპს «ნ-იმ» ურთიერთშეადარების აქტის საფუძველზე ერთობლივად დაასრულეს სახელშეკრულებო ურთიერთობა. მოცემულ აქტში ჩამოთვლილია აბსოლუტურად ყველა ვალდებულება, რომელიც მხარეებს გააჩნდათ ერთმანეთის მიმართ 2007 წლის 15 ივნისის ხელშეკრულების შესახებ კი, აღნიშნულია, რომ შს/07-287 ხელშეკრულება შესრულებულია, სამუშაო 105737,36 ლარის დღგ-ის ჩათვლით, დაკავებულია ელექტროენერჯისა და წყლის ღირებულების თანხა 806,74 ლარი, დაკავებულია დღგ-ის თანხა 4975,66 ლარი, გადარიცხულია 99 954,96 ლარი». შედეგინილი აქტი არ შეიცავს მითითებას, რომ შპს «ს. რ-ამ» ხელშეკრულება არ შეასრულა ან შეასრულა არაჯეროვნად. აღნიშნული დოკუმენტი ორმხრივი დოკუმენტია და მასზე ხელი აქვს მოწერილი ორივე კონტრაქტის უფლებამოსილ წარმომადგენელს. მიუღებელ შემოსავალთან მიმართებით, კასატორმა განმარტა, რომ შპს «ს. რ-ის» ვალდებულება მიუღებელი შემოსავლის ანაზღაურებაზე, როგორც ამას მოსარჩელე უთითებს, გარდა ზემოაღნიშნული გარემოებებისა, ასევე გამოირიცხება იმ თვალსაზრისითაც, რომ მიუღებელი შემოსავალი წარმოადგენს ისეთ შემოსავალს, რომელსაც მხარე მიიღებდა ვალდებულება ჯეროვნად რომ შესრულებულიყო, ვალდებულების არაჯეროვანი შესრულების გამო შემოსავლის დაკარგვა კი, ნარდობის ხელშეკრულების შემთხვევაში, ნიშნავს იმას, რომ მენარდემ გაწია სამუშაო და კონტრაქტმა არ გადაუხადა შესაბამისი თანხა ან, როდესაც შემკვეთი არ შეასრულებს ვალდებულებას ჯეროვნად და მენარდეს შემკვეთთან დაკარგული დროისა და ენერჯის გამოყენების შედეგად შეეძლო სხვა პირისგან მიეღო უფრო მეტი შემოსავალი. შპს «ნიუ ტექნოლოჯი» ითხოვს სამუშაოს ანაზღაურებას, რომელიც მას არ შეუსრულებია და მას არც სხვა პირთან შეეძლო იმავე დროისა და სამუშაოს იმავე მოცულობის გაწევის შემთხვევაში მიეღო უფრო მეტი ანაზღაურება, რომელიც შეიძლება, რ-ის მიერ ვალდებულების დაარღვევის გამო, ვეღარ მიეღო. აღნიშნულის მტკიცების ტვირთი კი აწევს მოსარჩელეს, რადგან ამას დადასტურება სჭირდება. კასატორის განმარტებით, იმ ვალდებულების შესრულების ღირებულების დაკისრება, რაც მოწინააღმდეგე მხარეს არ შეუსრულებია, გამოიწვევს უსაფუძვლო გამდიდრებას. მხარეებს შორის გაფორმებული ხელშეკრულების მე-9 მუხლისა და ამავე ხელშეკრულების სპეციფიკური პირობების მე-4 პუნქტის თანახმად კი თანხის ანაზღაურების საფუძველი იყო სამუშაოს შესრულების შესახებ გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტი და დროულად, კანონით გათვალისწინებულ ვადაში და წესით გამოწერილი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა, რომელიც უნდა დართოდა მენარდის წერილობით მოთხოვნას თანხის ანაზღაურებაზე.

სამუშაოების შესრულების თაობაზე გაფორმებულ აქტში აღნიშნულია, რომ ხელშეკრულება მხარეთა მიერ შესრულდა. 2007 წლის 15 ივნისის 1შს/07-287 ხელშეკრულების 18.6 პუნქტის თანახმად, ანაზღაურებულია ფაქტიურად გაწეული მომსახურების ღირებულება. იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ რ-ას არ შეეძლო ფართების იმ მოცულობის მიწოდება რასაც მოსარჩელე უთითებს, ხელშეკრულების 18.5-18.6 პუნქტების საფუძველზე კასა-

ტორს არ ეკისრება სხვა ვალდებულება, გარდა ფაქტიურად გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურებისა. კასატორის მითითებით, ხელშეკრულებიდან გამომდინარე, გადასახდელი თანხა მხოლოდ მაშინ შეიძლება იქნეს მიჩნეული მიუღებელ შემოსავლად, როდესაც მას საფუძვლად უდევს სამუშაოს შემსრულებლის მხრიდან თანხის ანაზღაურების სანაცვლოდ სამუშაოს შესრულება, რაც მოცემულ შემთხვევაში სახეზე არ არის. იმ შემთხვევაშიც კი, თუ შპს «ს. რ.-ა» ვალდებული იქნებოდა, მენარდისათვის მიეწოდებინა ფართები იმ მოცულობით როგორც ამას მოსარჩელე მოითხოვს, არ იარსებებდა ხელშეკრულების ბრალეული დარღვევა, რაც აუცილებელი ელემენტია ზიანის ანაზღაურების ვალდებულების წარმოშობისა, კერძოდ, შპს «ს. რ.-ის» მიერ ფართების მიწოდება კონტრაქტისათვის ფაქტობრივად შეუძლებელი იყო, მათი დასუფთავების საჭიროება არ არსებობდა. კასატორის განმარტებით, სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, შესრულების შეუძლებლობა არ წარმოშობს მოვალის ვალდებულებას ზიანის ანაზღაურებაზე, არ არსებობს იმ თანხის ანაზღაურების ვალდებულება, რომლის სანაცვლოდ სამუშაო მოსარჩელეს არ შეუსრულებია და არც რაიმე ზიანი განუცდია, ზიანის არსებობის მტკიცების ტვირთი დაზარალებულს აწევს და მხარე ვერ ადასტურებს, რომ თანხას, რომელსაც ითხოვს და, რომელსაც ის მიიღებდა ხელშეკრულების დაუსრულებლობის შემთხვევაში, ნამდვილად შეასრულებდა ამ თანხით გათვალისწინებულ სამუშაოს. არსებული ურთიერთობის შინაარსიდან გამომდინარე, მიუღებელ შემოსავალზე დავა უადგილოა.

კასატორმა მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 636-ე მუხლზე და აღნიშნა, რომ მითითებულ ნორმაში არ იგულისხმება ზიანის ანაზღაურება მიუღებელი შემოსავლისთვის. ამგვარი განმარტება კანონის შინაარსს ეწინააღმდეგება. ნარდობის სპეციფიკითაა განპირობებული რომ შემკვეთს ზემოთ მოყვანილი საფუძვლით ენიჭება უფლება, ნებისმიერ დროს მოშალოს ხელშეკრულება, აღნიშნულ შემთხვევაში კი თუ მას ეკისრება ფაქტობრივი ზიანის ანაზღაურების პარალელურად მიუღებელი შემოსავლის ანაზღაურებაც, თავისთავად შესრულებული სამუშაოს ანაზღაურებასთან ერთად, მაშინ უფლება, მოშალოს ხელშეკრულება სამართლებრივად აზრს კარგავს. სასამართლომ არასწორად მიიჩნია, რომ შემკვეთს არ ჰქონია ხელშეკრულების მოშლის უფლება, რადგან მას ყველა გადასახადსა და ფაქტობრივად მიყენებულ ზიანთან ერთად, ეკისრება ყველა იმ სიკეთის ანაზღაურება რაც ხელშეკრულების შეუწყვეტლობისა და დასრულების შემთხვევაში გადახდებოდა. სამოქალაქო კოდექსის 636-ე მუხლის შინაარსის ამგვარი განმარტება ეწინააღმდეგება «უფლების» ცნებას. სააპელაციო სასამართლომ დაარღვია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 377-ე მუხლის მოთხოვნა და მტკიცებულებები სათანადოდ არ გამოიკვლია არც ფაქტობრივად და არც სამართლებრივად თვალსაზრისით, რაც განხილვა საფუძვლიანი არასწორი გადაწყვეტილების მიღებისა. კასატორის მითითებით, სააპელაციო სასამართლომ არასწორად მიიჩნია დადგენილად შპს «ს. რ.-ის» ვალდებულება ფართების იმ რაოდენობით მიწოდებაზე რა რაოდენობასაც მოსარჩელე მიუთითებს, გასაჩივრებული გადაწყვეტილებით არასწორადაა განმარტებული ხელშეკრულების ღირებულების საკითხი, ასევე ხელშეკრულების მიმდინარეობა და ის, თუ როგორ შესრულდა ვალდებულება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 30 მაისის განჩინებით შპს «ს. რ.-ის» საკასაციო საჩივარი ცნობილ იქნა დასაშვებად სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის «ა» ქვეპუნქტის შესაბამისად და საქმის განხილვა დაინიშნა ზეპირი მოსმენის გარეშე.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების, საკასაციო საჩივრის საფუძვლებისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ შპს «ს. რ.-ის» საკასაციო საჩივარი საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება).

საკასაციო სასამართლო ყურადღებას გაამახვილებს საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე იმ გარემოებებზე, რომლებიც საფუძვლად დაედო სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას, კერძოდ:

შპს «ს. რ.-ამ» ჩაატარა ტენდერი დეზინფექციის, დეზინსექციისა და დერატიზაციის მომსახურების შესყვიდვაზე, რომელშიც 11 და 13 ლოტებში გამარჯვებულად მიჩნეულ იქნა შპს «ნ. კ.-ის» სატენდერო წინადადება. წინადადების თანახმად, მიმწოდებელმა აიღო ვალდებულება, განეხორციელებინა შემსყიდველის სასარგებლოდ შემდეგი სახის მომსახურებები: ლოტი 11 – 693707 კვ.მ სამგზავრო ვაგზლების, სადგურების, სამგზავრო ვაგონებისა და ელექტრომატარებლების, ასევე მათი ტუალეტების დეზინფექცია თანხაზე – 62433,63 ლარი დღგ-ის გარეშე. ლოტი 13 – 7000 კომპლექტი სამგზავრო ვაგონების რბილი მოსახსნელი ინვენტარის კამერული დეზინფექცია თანხაზე – 35000 ლარი დღგ-ის გარეშე. ხელშეკრულების საერთო ღირებულება განისაზღვრა 97433,63 ლარით დღგ-ის გარეშე. 2007 წლის 15 ივნისს შპს «ს. რ.-ას» და შპს «ნ. კ.-ს» შორის გაფორმდა ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ.

ზემოაღნიშნული ხელშეკრულების ფარგლებში, შპს «ნ. კ.-ს» დასასუფთავებლად ნაცვლად სატენდერო წინადადებებით გათვალისწინებული 693707 კვ.მ ფართისა, გადაეცა 605946 კვ.მ ფართი, ანუ არ იქნა მიწოდებული 87761 კვ.მ ფართი. შპს «ს. რ.-ის» მიერ შპს «ნ. კ.-ისათვის» ანაზღაურებულ იქნა ფაქტობრივად მიწოდებული ფართის დასუფთავების საფასური დამატებითი ღირებულების გადასახადის – 4780,24 ლარის გამოკლებით – 54535,14 ლარი. სასამართლოს შეფასებით, საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების ანალიზი ადასტურებს იმას, რომ შპს «ს. რ.-ის» მიერ, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ შს/07-287 ხელშეკრულებიდან გამომდინარე, ვალდებულება შესრულებულია არაჯეროვნად. მხოლოდ ის გარემოება, რომ შპს «ს. რ.-ამ» მოსარჩელეს დასასუფთავებლად მიაწოდა ხელშეკრულებით შეთანხმებულზე ნაკლები ფართი, არ ნიშნავს შპს «ს. რ.-ის» მიერ ხელშეკრულების მოშ-

ლას, აღნიშნული მიუთითებს იმაზე, რომ არ არის დაცული სამოქალაქო კოდექსის 361-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ხელშეკრულების ჯეროვანი შესრულების ვალდებულება.

საკასაციო პალატა ყურადღებას მიაქცევს კასატორის იმ პოზიციას, რომლის თანახმად, იგი სადავოდ არ ხდის მოსარჩელისათვის ხელშეკრულებით გათვალისწინებულზე უფრო ნაკლები ფართის მიწოდების ფაქტს, თუმცა ამ მოქმედების გამართლებას ცდილობს იმით, რომ შპს «ს. რ-ის» მიერ ფართების მიწოდება კონტრაქტისათვის ფაქტობრივად შეუძლებელი იყო, მათი დასუფთავების საჭიროება არ არსებობდა. კასატორი ასევე ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ 2008 წლის 21 ოქტომბერს, შპს «ს. რ-ამ» და შპს «ნ. ტ-მ» ურთიერთშეადარების აქტის საფუძველზე ერთობლივად დაასრულეს სახელშეკრულებო ურთიერთობა, ხოლო მოცემულ აქტში ჩამოთვლილია აბსოლუტურად ყველა ვალდებულება, რომელიც მხარეებს გააჩნდათ ერთმანეთის მიმართ, მათ შორის 2007 წლის 15 ივნისის ხელშეკრულება, რომელთან დაკავშირებითაც აღნიშნულია, რომ შს/07-287 ხელშეკრულება შესრულებულია, სამუშაო 105737,36 ლარის დღგ-ის ჩათვლით, დაკავებულია ელექტროენერჯისა და წყლის ღირებულების თანხა 806,74 ლარი, დაკავებულია დღგ-ის თანხა 4975,66 ლარი, გადარიცხულია 99 954,96 ლარი.

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში, შპს «ს. რ-ის» მიერ მოსარჩელისათვის ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოს ღირებულების ანაზღაურება, ასევე მხარეებს შორის ურთიერთშეადარების აქტის შედგენა ავტომატურად არ ნიშნავს, რომ ვალდებულება შესრულებულია ჯეროვნად, ვანაიდან თვით კასატორი არ უარყოფს იმ ფაქტს, რომ მან მოსარჩელეს ვერ მიაწოდა ხელშეკრულებით განსაზღვრული ფართი. როგორც საქმის მასალებიდან ირკვევა, შპს «ს. რ-ა» სარჩელისაგან თავის დაცვას ცდილობდა იმის აღნიშვნით, რომ დასასუფთავებელი ფართი წარმოადგენდა დაუზუსტებელ ფართს და მოცულობის წინასწარ განსაზღვრა შეუძლებელი იყო. საკასაციო პალატა მიუთითებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 და 102-ე მუხლებზე და განმარტავს, რომ მე-4 მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, სამართალწარმოება მიმდინარეობს შეჯიბრებითობის საფუძველზე. მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებებითა და შესაძლებლობებით, დაასაბუთონ თავიანთი მოთხოვნები, უარყონ ან გააქარწყლონ მეორე მხარის მიერ წამოყენებული მოთხოვნები, მოსაზრებები თუ მტკიცებულებები. 102-ე მუხლით დადგენილია მტკიცების სტანდარტი, კერძოდ, პირველი ნაწილის შესაბამისად, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს. საკასაციო პალატის შეფასებით, შპს «ს. რ-ამ» სათანადოდ ვერ დაამტკიცა მის მიერ შესაგებელში მითითებული გარემოებანი, ამასთან, კასატორმა ვერ წარმოადგინა დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება), რის გამოც სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოება იმის შესახებ, რომ შპს «ს. რ-ის» მიერ არაჯეროვნად იქნა შესრულებული ვალდებულება სავალდებულო საკასაციო სასამართლოსთვის.

კასატორის მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა ზიანის ანაზღაურების მავალდებულებული ნორმები, კერძოდ, სამოქალაქო კოდექსის 394-ე და 411-ე მუხლები. საკასაციო სასამართლო კასატორის სამართლებრივ პრეტენზიასთან დაკავშირებით განმარტავს შემდეგს:

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 394-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მოვალის მიერ ვალდებულების დარღვევისას კრედიტორს შეუძლია მოითხოვოს ამით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ვალდებულების დარღვევა ზოგადი ფორმულირებაა და იგი შეიძლება სხვადასხვა ფორმით იქნეს გამოხატული, მათ შორის არაჯეროვან შესრულებაში. მტკიცების ტვირთის ობიექტურად და სამართლიანად განაწილების პირობებში, როგორც ზიანის მიყენების ფაქტის, ასევე განცილი ზიანის ოდენობის დამტკიცების ტვირთი მოსარჩელის (კრედიტორის) მხარეზეა. ამასთან, ზიანი ობიექტური მოცემულობით უნდა შეფასდეს და არა სუბიექტური დამოკიდებულებით. სამოქალაქო კოდექსის 411-ე მუხლის მიხედვით, ზიანი უნდა ანაზღაურდეს არა მხოლოდ ფაქტობრივად დამდგარი ქონებრივი დანაკლისისთვის, არამედ მიუღებელი შემოსავლისთვისაც. ამავე მუხლითაა განმარტებული მიუღებელი შემოსავალი, კერძოდ, მიუღებლად ითვლება შემოსავალი, რომელიც არ მიუღია პირს და რომელსაც იგი მიიღებდა, ვალდებულება ჯეროვნად რომ შესრულებულიყო. როგორც მოცემულ საქმეზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2010 წლის 8 ივნისის განჩინებიდან ირკვევა, საქმის ხელახლა განხილვისას, სააპელაციო სასამართლოს უნდა დაედგინა არა მხოლოდ ის, ხელშეკრულების ჯეროვან შესრულებას ჰქონდა თუ არა ადგილი, არამედ ისიც, არსებობდა თუ არა სამოქალაქო კოდექსის 411-ე მუხლით გათვალისწინებული მიუღებელი შემოსავლის დაკისრების საფუძველი (იხ.სუსგ 08.06.2010წ., 'ას-87-82-2010).

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, დადგენილია, რომ შპს «ს. რ-ამ» ნაწილობრივ დაარღვია ვალდებულება, რაც გამოიხატა იმაში, რომ მენარდემ (შპს «ნ. კ-ს») ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაო სრულად ვერ შეასრულა, თუმცა, მხარეთა შორის სადავო არ არის ის გარემოება, რომ მენარდის მიერ ფაქტობრივად შესრულებული სამუშაო ანაზღაურებულია, ამასთან, შესრულების ანაზღაურების დროისა და მოცულობის შესახებ მხარეებს პრეტენზია არ განუცხადებიათ, თუ არ ჩავთვლით დღგ-ის თანხას, რომელიც კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დაეკისრა შპს «ს. რ-ას». ამდენად, დავა ეხება იმ ანაცდენ მოგებას, რომელიც მენარდემ ვერ მიიღო შემკვეთის ბრალით. როგორც ზემოთ ვახსენეთ, მიუღებელი შემოსავლის ანაზღაურების საკითხის გადაწყვეტისას მხოლოდ ობიექტური კრიტერიუმებით უნდა განისაზღვროს ზიანის ანაზღაურება, ისე, რომ ამას არ მოჰყვეს დაზარალებულის უსაფუძვლო გამდიდრება. როგორც სარჩელის საფუძველებიდან ირკვევა, მოსარჩელემ ზიანის ოდენობა გამოთვალა მისაღები შემოსავლიდან და გასაწვევი ხარჯებიდან, თუმცა, სააპელაციო სასამართლოს არცერთი მსჯელობა არ შეიცავს მითითებას იმ მტკიცებულებებზე, რომელიც უტყუარად დაადასტურებდა მოსარჩელის მიერ განსაზღვრული ზიანის ოდენობას. საკასაციო სასამართლო მიუთითებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 249-ე მუხლის მე-3 ნაწილზე, რომლის მიხედვით, გადაწყვეტილების აღწერილობით ნაწილში მოკლედ უნდა მიეთითოს სასამართლოს მიერ დადგენილი გარემოებანი, მტკიცებულებანი, რომლებსაც ემყარება სასამართლოს დასკვნები, მოსაზრებანი, რომლებითაც სასამართლო უარყოფს ამა თუ იმ მტკიცებულებას. ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის მოთხოვ-

ნათა დაცვით არ დაუდგენია ზიანის მიყენებისათვის პასუხისმგებლობის ერთ-ერთი მთავარი საფუძველი, ზიანის არსებობის ფაქტი, რაც მაკვალიფიცირებელი ნიშანია სამოქალაქო კოდექსის 411-ე მუხლის გამოყენებისათვის. ამდენად, კასატორის პრეტენზია გასაჩივრებული გადაწყვეტილების სამართლებრივ დასაბუთებულობასთან დაკავშირებით საფუძვლიანია და გაზიარებული უნდა იქნეს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის მიხედვით, საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველები. ვინაიდან საკასაციო განაცხადი ეხება სასამართლოს მიერ ახალი გადაწყვეტილების მიღებას, ამასთან, გადაწყვეტილება იურიდიულად არ არის საკმარისად დასაბუთებული, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები იურიდიულად არ ამართლებენ სასარჩელო მოთხოვნას, რის გამოც საკასაციო საჩივარი საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის პირველი წინადადების თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე განთავისუფლებული იყოს სახელმწიფოს ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. ამავე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილების თანახმად კი, ამ მუხლში აღნიშნული წესები შეეხება აგრეთვე სასამართლო ხარჯების განაწილებას, რომლებიც გასწიეს მხარეებმა საქმის სააპელაციო და საკასაციო ინსტანციებში წარმოებისას. თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო შეცვლის გადაწყვეტილებას ან გამოიტანს ახალ გადაწყვეტილებას, იგი შესაბამისად შეცვლის სასამართლო ხარჯების განაწილებასაც.

მოცემული საქმის მასალებით დასტურდება, რომ მოპასუხე შპს «ს. რ-ამ» საქმის სააპელაციო წესით განხილვისას სახელმწიფო ბაჟის სახით გადაიხადა 192 ლარი, ხოლო საკასაციო საჩივარზე თავდაპირველად – 300 ლარი, ხოლო შემდგომ – 375.73 ლარი. იმის გათვალისწინებით, რომ საკასაციო პალატამ შეცვალა გადაწყვეტილება და შპს «ნ. კ-ს» უარი ეთქვა სარჩელის დაკმაყოფილებაზე, სასამართლო თვლის, რომ ამ უკანასკნელს შპს «ს. რ-ის» სასარგებლოდ უნდა დაეკისროს კასატორის მიერ გაწეული სასამართლო ხარჯები 867.73 (192+300+375.73) ლარის ოდენობით.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე, 411-ე მუხლით და

#### **გ ა დ ა წ ვ ე ტ ა :**

1. შპს «ს. რ-ის» საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 18 ნოემბრის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნას ახალი გადაწყვეტილება.
3. შპს «ნ. კ-ის» სარჩელი არ დაკმაყოფილდეს.
4. შპს «ნ. კ-ს» შპს «ს. რ-ის» სასარგებლოდ დაეკისროს კასატორის მიერ გაწეული სასამართლო ხარჯები 867.73 ლარი.
5. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

### **ზიანის ანაზღაურება საგნის უკან დაბრუნების შეუძლებლობისას**

#### **გ ა დ ა წ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს სა ხ ე ლ ი თ**

1ას-1237-1087-2010

27 ივნისი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: პ. ქათამაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი)  
მ. სულხანიშვილი,  
ბ. ალაგვიძე

დავის საგანი: სატელეფონო მომსახურების ანაზღაურება

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

2009 წლის 13 აგვისტოს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას სარჩელით მიმართა შპს «ა. ე-მა» მოპასუხე საქართველოს ... სამინისტროს მიმართ. მოსარჩელემ მოითხოვა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულება და მოპასუხისათვის 16639.12 ლარის დაკისრება.

სარჩელის თანახმად, 2008 წლის 22 იანვარს მოდავე მხარეებს შორის გაფორმდა ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ 174. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენდა მოსარჩელის ვალდებულება, განეხორციელებინა სატელეფონო მომსახურება ... სამინისტროს სახელზე რიცხულ შესაბამის ნომრებზე. ამავე ხელშეკრულების 2.1 პუნქტის მიხედვით, მიმწოდებელი იღებდა ვალდებულებას, გაეწია ... სამინისტროს საკვეთუწყებო დაწესებულებებისათვის სატელეფონო მომსახურება, ხოლო 4.2 პუნქტის მიხედვით, ანგარიშსწორება მოხდებოდა ფაქტიურად

გაწეული მომსახურების მიხედვით მხარეთა შორის შეთანხმებული პრეისკურანტის საფუძველზე, რომელიც წარმოადგენდა ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს. მოსარჩელის განმარტებით, **2009 წლის 16 იანვარს** შედგა შედარების აქტები, რომლებითაც დასტურდებოდა, რომ ბათუმის რეგიონალურ ცენტრს (საგადასახადო ინსპექცია) გააჩნია სატელეფონო მომსახურების დავალიანება **8588.36** ლარის ოდენობით, რეგიონალურ ხაზინას აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში – **672.23** ლარის ოდენობით, საგამოძიებო დეპარტამენტის აჭარის სამმართველოს – **7270.37** ლარის ოდენობით, მსხვილ გადამხდელთა ინსპექციის ბათუმის განყოფილებას – **108.16** ლარის ოდენობით. დასახელებულ ორგანიზაციებზე გაწეული სატელეფონო მომსახურების მთლიანი ღირებულება შეადგენდა **16639.12** ლარს, რასაც მოპასუხე საქართველოს ... სამინისტრო ნებაცხოვლობით არ ანაზღაურებდა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის **2009 წლის 20 ოქტომბრის** განჩინებით მოცემული საქმე განსჯადობით განსახილველად გადაეცა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას, რომელმაც **2010 წლის 10 თებერვლის** განჩინებით საქმე განსჯადობით განსახილველად გადააგზავნა ბათუმის საქალაქო სასამართლოში.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის **2010 წლის 16 ივნისის** გადაწყვეტილებით შპს «ა. ე-ის» სარჩელი დაკმაყოფილდა, მოპასუხე საქართველოს ... სამინისტროს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა **16639.12** ლარის გადახდა, მასვე დაეკისრა შპს «ა. ე-ისათვის» **499.18** ლარის ანაზღაურება ამ უკანასკნელის მიერ წინასწარ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის სანაცვლოდ.

საქალაქო სასამართლომ საქმეზე დაადგინა, რომ მხარეთა შორის **2008 წლის 22 იანვარს** გაფორმდა სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება **174**. ამ ხელშეკრულების თანახმად, შპს «ა. ე-ს» სატელეფონო მომსახურება უნდა გაეწია საქართველოს ... სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულებებისათვის. მითითებული ხელშეკრულების საფუძველზე მათ შორის წარმოიშვა ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობა. როგორც დადგინდა, შპს «ა. ე-მა» საქართველოს ... სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულებებს გაუწია სატელეფონო მომსახურება, მათ შორის, სადავოდ გამხდარი საქალაქთაშორისო სატელეფონო მომსახურება. აღნიშნულმა დაწესებულებებმა ეს მომსახურება მიიღეს. გაწეული სატელეფონო მომსახურების საფასური არ ანაზღაურებულა.

საქალაქო სასამართლომ არ გაიზიარა მოპასუხის პოზიცია საქალაქთაშორისო სატელეფონო მომსახურებაზე მხარეთა შორის შეთანხმების არარსებობის შესახებ და მიუთითა ხელშეკრულების **4.2 პუნქტზე**, რომლის შესაბამისად, ანგარიშსწორება მოხდება ფაქტიურად გაწეული მომსახურების მიხედვით, მხარეთა შორის შეთანხმებული პრეისკურანტის საფუძველზე, რომელიც წარმოადგენს ამ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს. სასამართლომ მიიჩნია, რომ თავად ხელშეკრულება და მისი დანართი **12**, აგრეთვე, საქმეზე წარდგენილი მიღება-ჩაბარების აქტები, **1181/7, 1223/7, 1254/7** წერილები, მოპასუხის მიერ **2008 წლის აპრილში**, მაისში, ივნისში, ივლისში, აგვისტოში, სექტემბერსა და ოქტომბერში საქალაქთაშორისო სატელეფონო მომსახურებისათვის გადახდილი თანხები, საქმეში არსებულ სხვა მტკიცებულებებთან ერთობლიობაში, წარმოადგენდა სადავო გარემოებების დამადასტურებელ სარწმუნო მტკიცებულებებს. საქალაქო სასამართლოს მითითებით, მოპასუხისადმი გაგზავნილ **1181/7, 1223/7, 1254/7** წერილებში მითითებული იყო საქალაქთაშორისო სატელეფონო მომსახურების თაობაზე. მოპასუხე დათანხმდა ამგვარი შინაარსის მომსახურების გაწევას ანუ ოფერტს (სამოქალაქო კოდექსის **335-ე მუხლი**), რაც შესაბამის სამართლებრივ შედეგებს წარმოშობდა.

საქალაქო სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო კოდექსის **349-ე, 361-ე და 115-ე მუხლებზე**, რომელთა თანახმად, მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულების შესრულება შეიძლება მოითხოვოს როგორც კრედიტორმა, ასევე მესამე პირმა, თუ კანონით ან ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, ანდა თვით ვალდებულების არსიდან სხვა რამ არ გამომდინარეობს; ყოველი შესრულება გულისხმობს ვალდებულების არსებობას. ვალდებულება უნდა შესრულდეს ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას. ამ მოთხოვნის შეუსრულებლობა იწვევს ვალდებულების დარღვევას; სამოქალაქო უფლებები უნდა განხორციელდეს მართლზომიერად. საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ საქართველოს ... სამინისტროს შპს «ა. ე-ის» მიმართ გააჩნდა შესასრულებელი ვალდებულება – ანაზღაურებინა გაწეული სატელეფონო მომსახურების საფასური..

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს ... სამინისტრომ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის **2010 წლის 6 ოქტომბრის** გადაწყვეტილებით საქართველოს ... სამინისტროს სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გაუქმდა ბათუმის საქალაქო სასამართლოს **2010 წლის 16 ივნისის** გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, შპს «ა. ე-ის» სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა: საქართველოს ... სამინისტროს შპს «ა. ე-ის» მიმართ დაეკისრა **1425.96** ლარის გადახდა, მასვე დაეკისრა სახელმწიფო ბაჟის გადახდა სახელმწიფო ბიჯეტის სასარგებლოდ **57** ლარის ოდენობით, ამავე გადაწყვეტილებით შპს «ა. ე-ს» დაეკისრა სახელმწიფო ბაჟის სახით **608.52** ლარის გადახდა.

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა საქალაქო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოება იმის თაობაზე, რომ საქმეში განთავსებული მიღება-ჩაბარებისა და შედარების აქტები ადასტურებდნენ საქართველოს ... სამინისტროს დავალიანებას მოსარჩელის წინაშე. სასამართლოს მოსაზრებით, აღნიშნული მიღება-ჩაბარებისა და შედარების აქტებით დადასტურებულად ვერ მიიჩნეოდა ვალის არსებობის ფაქტი, რადგან მითითებული მტკიცებულებები არ შეიცავდნენ კონკრეტულად მითითებას იმის შესახებ, თუ რომელი ხელშეკრულების საფუძველზე გაეწია ორგანიზაციას სატელეფონო მომსახურება, კონკრეტულად რა სახის მომსახურება გაეწია და ა.შ., რაც რეალურს გახდიდა მოპასუხეზე თანხის დარიცხვას.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მხოლოდ ისეთი რეკვიზიტები, როგორცაა წარმოადგენდა ხელშეკრულების ნომერი, გაწეული მომსახურების სახე (საქალაქთაშორისო, საბონენტო თუ სხვა) და ა.შ. გახდიდა სამარ-

თლებრივად სრულყოფილ და სარწმუნო დოკუმენტებად მითითებულ მიღება-ჩაბარების აქტებს, რამდენადაც ეს ის კონკრეტული რეკვიზიტებია, რომელთა არსებობის შემთხვევაშიც იქნებოდა შესაძლებელი მხარეთა შორის წარმოშობილი ურთიერთობების რეალურად გარკვევა. სააპელაციო სასამართლომ საკითხის ამგვარად შეფასების საფუძველად მიუთითა იმ უდავოდ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებაზე, რომ მხარეთა შორის დავის საგანს წარმოადგენდა კონკრეტული, მათ შორის გაფორმებული **174 ხელშეკრულების** ფარგლებში გაწეული მომსახურების ანაზღაურება და არა სხვა ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულების შესრულება. **174 ხელშეკრულების** გარდა, მხარეთა შორის სხვა ხელშეკრულებებიც იყო გაფორმებული, ამიტომ მიღება-ჩაბარების აქტები, რომლებზედაც არ არის კონკრეტული მითითება იმისა, თუ რომელი ხელშეკრულების ფარგლებში ხდებოდა შესრულება, და რომელსაც ხელს აწერს ... სამინისტროს მხრიდან არაუფლებამოსილი პირი, და გარდა ამისა, შესრულებული მოსახურება მოიცავდა საქალაქთაშორისო საუბრების ღირებულებასაც, რომელიც **174 ხელშეკრულებით** არ იყო გათვალისწინებული, პალატა ვერ მიიჩნევს ვალდებულების არსებობის დამადასტურებელ მტკიცებულებებად.

რაც შეეხებოდა გაწეულ მომსახურებას, სააპელაციო სასამართლომ მოსაზრებით, იგი უნდა განსაზღვრულიყო საქმეზე წარდგენილი ინსპექტირების ჯგუფის დასკვნის საფუძველზე, რომლის თანახმადაც მომსახურებისათვის გაწეული თანხა შეადგენდა **513.82** ლარს და მიღება-ჩაბარების აქტების საფუძველზე, რომელთა მიხედვითაც, გადახდას ექვემდებარებოდა **472.44** ლარი და **439.70** ლარი. მითითებული თანხების ჯამი შეადგენდა **1425.96** ლარს.

ამდენად, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ საქართველოს ... სამინისტროს დავალიანება შპს «ა. ე-ის» მიმართ, **2008 წლის 22** იანვარს გაფორმებული **174 ხელშეკრულების** საფუძველზე შეადგენდა **1425.96** ლარს.

სააპელაციო სასამართლომ გადაწყვეტილებაზე საკასაციო საჩივარი წარადგინა საქართველოს ... სამინისტრომ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში და ამ ნაწილში ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა. საკასაციო საჩივრის საფუძველები შემდეგში მდგომარეობს:

სააპელაციო სასამართლო გასაჩივრებული გადაწყვეტილებით საქართველოს ... სამინისტროსათვის **1425.96** ლარის დაკისრებისას დაეყრდნო ... სამინისტროს ინსპექტირების ჯგუფის დასკვნებს. დასახელებულ დასკვნებში მითითებულია, რომ **12631798** ანგარიშ-ფაქტურით გათვალისწინებული თანხიდან გადახდას ექვემდებარება **472.44** ლარი, **12703768** ანგარიშ-ფაქტურიდან – **439.70** ლარი და **12631356** ანგარიშ-ფაქტურიდან – **513.82** ლარი. აქედან გამომდინარე, საქართველოს ... სამინისტროს დავალიანება შპს «ა. ე-ის» მიმართ **2008 წლის 22** იანვარს გაფორმებული **174 ხელშეკრულების** საფუძველზე შეადგენდა **1425.96** ლარს;

კასატორი მიიჩნევს, რომ სასამართლომ არასწორად შეაფასა საქმეში წარდგენილი მტკიცებულებები და არასრულად გამოიკვლია ფაქტობრივი გარემოებები. კერძოდ, საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით ცალსახად დასტურდება, რომ საქართველოს ... სამინისტროს გადახდილი აქვს შპს «ა. ე-ისათვის» გადასახდელი თანხები;

კასატორის მითითებით, უპირველეს მტკიცებულებას, რომელიც ადასტურებს, რომ საქართველოს ... სამინისტრომ შპს «ა. ე-ის» გადაუხადა ზემოაღნიშნული თანხები, წარმოადგენს შპს «ა. ე-ის» სარჩელი და მასზე თანდართული დოკუმენტები. მოსარჩელე სარჩელში მიუთითებს, რომ საქართველოს ... სამინისტრომ უსაფუძვლოდ განაცხადა უარი გარკვეული თანხების გადახდაზე, თუმცა იკისრა **472.44** ლარისა და **439.70** ლარის გადახდა. გარდა ამისა, მოსარჩელე სარჩელში აღნიშნავს, რომ ... სამინისტრო თანხებს იხდიდა, უბრალოდ, დავის საგანს წარმოადგენს ის გარემოება, რომ ... სამინისტრომ არ გადაიხადა თანხა, რომელსაც მოსარჩელე უსაფუძვლოდ ითხოვდა, ზემოთ დასახელებული თანხები რომ გადახდილია, ეს დავის საგანი არაა. წინააღმდეგ შემთხვევაში სადავო თანხა იქნებოდა უფრო დიდი.

კასატორის მოსაზრებით, სარჩელზე თანდართული დოკუმენტებით დასტურდება ... სამინისტროს მხრიდან **1425.96** ლარის გადახდა. მოსარჩელე თავის სარჩელში, შემდეგ მოსაზრებებში, რომელიც მან წარადგინა ... სამინისტროს წერილობითი პასუხის თაობაზე, ასევე სააპელაციო შესაგებელში, ეყრდნობა **2009 წლის 16** იანვრის შედარების აქტს, სადაც დაფიქსირებულია მოთხოვნა **16639.12** ლარის ოდენობით. შედარების აქტს ერთვის უწყისი, სადაც დათვლილია, თუ რა საფუძველიდან გამომდინარეობს სარჩელის მოთხოვნა. ამ უწყისშივეა მითითებული, რომ იანვრის, თებერვლის და მარტის გადახდებს შეადგენს შესაბამისად – **519.82** ლარი, **472.44** ლარი და **439.7** ლარი. ამდენად, დასახელებული მტკიცებულებებით ცალსახად დასტურდება, რომ საქართველოს ... სამინისტროს გადახდილი აქვს ეს თანხები.

სააპელაციო სასამართლომ გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში საკასაციო წესით გასაჩივრა შპს «ა. ე-ის», რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის სრულად დაკმაყოფილება, კერძოდ, მოპასუხისათვის მის სასარგებლოდ **16639.12** ლარის დაკისრება. საკასაციო საჩივარი ეფუძნება შემდეგს:

სააპელაციო სასამართლომ მხედველობაში უნდა მიიღოს ის გარემოება, რომ საქალაქთაშორისო სატელეფონო საუბრების ანაზღაურება წარმოადგენდა **174 ხელშეკრულების** საგანს. ამას ადასტურებს ხელშეკრულების შინაარსი, აღნიშნული ხელშეკრულების **12** დანართში დაფიქსირებულია მოსარჩელის მხრიდან განსახორციელებელი სატელეფონო მომსახურების ყველა ტარიფი, მათ შორის, საქალაქთაშორისო სატელეფონო მომსახურების საუბრის ტარიფები. ხელშეკრულებასა და დანართებზე ხელი მოწერილი აქვს მოპასუხეს, რაც დამოწმებულია სამინისტროს ბეჭდით. აღნიშნული თვალსაზრისით საკითხის შეფასებისას საყურადღებოა საქართველოს ... მინისტრის მოადგილისათვის გაგზავნილი **29.02.2008წ.**, **20.03.2008წ.** და **4.04.2008წ.** წერილების შინაარსი, რომლებშიც მითითებულია საქალაქთაშორისო სატელეფონო მომსახურების თაობაზე. მოპასუხეს პასუხი არ გაუცია ამ წერილებზე. შესაბამისად, იგი თავისი დუმილით დათანხმდა ამგვარი შინაარსის მომსახურების გაწევას, რასაც მოჰყვა შესაბამისი სამართლებრივი შედეგი, რაც გათვალისწინებულია სამოქალაქო კოდექსის **330-ე**, **335-ე** მუხლებით. გარდა ამისა, საქმეში წარმოდგენილია **2008 წლის 14** თებერვალს, **10** მარტს და **2** აპრილს შედგენილი მიღება-ჩაბარების

აქტები. ამ აქტებიდან ჩანს მოპასუხის მიერ გადაუხდეელი საქალაქთაშორისო საუბრების ღირებულება. ამასთან, 2008 წლის 29 თებერვალს, 20 მარტს და 4 აპრილს საქართველოს ... მინისტრის მოადგილეს გაეგზავნა 1181/7, 1223/7 და 1254/7 წერილები, რომლებშიც მითითებულია მიღება-ჩაბარების აქტებში აღნიშნულ ორგანიზაციებზე გაწეული მომსახურების შესახებ, მათ შორის, საქალაქთაშორისო სატელეფონო მომსახურების შესახებ. სასამართლომ უნდა შეაფასოს ის ფაქტი, რომ მოპასუხეს პასუხი არ გაუცია მოცემულ მიმართვაზე. ამდენად, მან თავისი დუმილით კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ მოსარჩელის მხრიდან მითითებულ ორგანიზაციებზე საქალაქთაშორისო სატელეფონო მომსახურების განხორციელება მოხდა კანონის სრული დაცვით. ამ საკითხთან დაკავშირებით გასათვალისწინებელია ასევე ის გარემოება, რომ მოსარჩელემ 2008 წლის აპრილში, მაისში, ივნისში, ივლისში, აგვისტოში, სექტემბერსა და ოქტომბერში იმავე ხელშეკრულების საფუძველზე განხორციელა შესაბამისი ღირებულების საქალაქთაშორისო სატელეფონო მომსახურება და მოპასუხემ სხვა სატელეფონო მომსახურებასთან ერთად სრულად გადაიხადა ამჟამად სადავოდ გამხდარი საქალაქთაშორისო ღირებულებაც. სატელეფონო მომსახურება განხორციელდა სწორედ 2008 წლის 22 იანვრის 174 ხელშეკრულების საფუძველზე. მოპასუხის მხრიდან ამ პერიოდებში თანხების გადახდა და აღნიშნულ მიმართვებზე პასუხის გაუცემლობა ნიშნავს იმის აღიარებას, რომ სრულად უნდა ანაზღაურდეს წინა თვეებში (იანვარი, თებერვალი, მარტი) გაწეული საქალაქთაშორისო საუბრების ღირებულება;

მოპასუხეს საერთოდ არ გადაუხდია 2008 წლის ნოემბერში, დეკემბერში და 2009 წლის იანვრამდე განხორციელებული სატელეფონო მომსახურების ღირებულება;

2008 წლის 14 თებერვალს, 10 მარტს და 2 აპრილს შედგენილი მიღება-ჩაბარების აქტები, ასევე 2009 წლის 16 იანვარს შედგენილი შედარების აქტები ადასტურებენ იმ გარემოებას, რომ 2009 წლის 16 იანვრის მდგომარეობით შპს «ა. ე-ის» წინაშე: ბათუმის რეგიონალურ ცენტრს (საგადასახადო ინსპექცია) გააჩნია სატელეფონო მომსახურების დავალიანება 8588.36 ლარის ოდენობით; რეგიონალურ ხაზინას აჭარის ა/რ-ში გააჩნია სატელეფონო მომსახურების დავალიანება 672.23 ლარის ოდენობით; საგამოძიებო დეპარტამენტის აჭარის სამმართველოს გააჩნია სატელეფონო მომსახურების დავალიანება 7270.37 ლარის ოდენობით; მსხვილ გადაამხდელთა ინსპექციის ბათუმის განყოფილებას გააჩნია სატელეფონო მომსახურების დავალიანება 108.16 ლარის ოდენობით. 2009 წლის 16 იანვარს მოსარჩელე ორგანიზაციამ შეადგინა ზემომითითებული შედარების აქტების საფუძველზე ერთიანი მონაცემების შემცველი შედარების აქტი, სადაც დაფიქსირდა 2009 წლის 16 იანვრის მდგომარეობით საერთო დავალიანების თანხა – 16639.12 ლარი. ეს თანხა წარმოშობილია 2008 წლის იანვრის, თებერვლის, მარტის თვეებში საქალაქთაშორისო საუბრების ღირებულების, აგრეთვე, 2008 წლის ნოემბერში, დეკემბერში, 2009 წლის 16 იანვრამდე დარიცხული როგორც საქალაქთაშორისო საუბრების, ისე სხვა სახის სატელეფონო მომსახურების თანხების გადაუხდელობის გამო.

ამდენად, კასატორი მიიჩნევს, რომ საქმეში არსებული მასალები ადასტურებს მის მიერ სატელეფონო მომსახურების გაწევის ფაქტს, მოპასუხეს კი მიღებული შესრულების ღირებულება არ გადაუხდია.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, საკასაციო საჩივრების საფუძვლიანობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ საქართველოს ... სამინისტროს საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ, ხოლო შპს «ა. ე-ის» საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის მასალების თანახმად, 2008 წლის 22 იანვარს საქართველოს ... სამინისტროსა (შემსყიდველი) და შპს «ა. ე-ის» (მიმწოდებელი) შორის გაფორმდა 174 ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ. ხელშეკრულების მიხედვით, შეთანხმების საგანს წარმოადგენდა მოსარჩელის (შპს «ა. ე-ის») ვალდებულება, ამ ხელშეკრულების პირობების თანახმად, გაეწია სატელეფონო მომსახურება საქართველოს ... სამინისტროს სახელზე რიცხულ ტელეფონის ნომრებზე სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულებებისათვის.

მოსარჩელის (კასატორი შპს «ა. ე-ის») მოთხოვნაა ზემოაღნიშნული ხელშეკრულების საფუძველზე საქართველოს ... სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულებებისათვის გაწეული სატელეფონო მომსახურების ღირებულების – 16639.12 ლარის ანაზღაურება.

მითითებული ოდენობით სატელეფონო მომსახურების გაწევის ფაქტის დასადასტურებლად მოსარჩელის მიერ წარმოდგენილია 2008 წლის 14 თებერვლის, 10 მარტის, 2 აპრილის, 8 დეკემბრის და 2009 წლის 6 იანვრის მიღება-ჩაბარების აქტები, ასევე 2009 წლის 16 იანვრის შედარების აქტები, რომლებიც ხელმოწერილია საქართველოს ... სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულებების ხელმძღვანელების მიერ. 2008 წლის 14 თებერვლის, 10 მარტის, 2 აპრილის, 8 დეკემბრის და 2009 წლის 6 იანვრის მიღება-ჩაბარების აქტების თანახმად, მოსარჩელემ მოპასუხეს გაუწია 18119.69 ლარის ღირებულების სატელეფონო, მათ შორის, საქალაქთაშორისო საუბრების მომსახურება. ამ თანხიდან მოპასუხის მიერ გადახდილია 1425.96 ლარი, რასაც მოსარჩელე სადავოდ არ ხდის. შესაბამისად, დარჩენილი თანხა შეადგენს 16639.12 ლარს. სწორედ ეს თანხაა მითითებული 2009 წლის 16 იანვრის შედარების აქტებში.

მოპასუხის (საქართველოს ... სამინისტროს) შესაგებელი ეფუძნება იმ გარემოებას, რომ იგი არაა ვალდებული ანაზღაუროს მოსარჩელის მიერ მოთხოვნილი სატელეფონო მომსახურების ღირებულება, ვინაიდან მოსარჩელის მიერ გაწეული იქნა სატელეფონო მომსახურება, რომელიც 2008 წლის 22 იანვრის სახელმწიფო შესყიდვის შესახებ 174 ხელშეკრულებით არ იყო გათვალისწინებული.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს მოპასუხის აღნიშნულ მოსაზრებას და, უპირველესად, ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებას, რომ საქართველოს ... სამინისტრომ თავის შესაგებელში დაადასტურა ის გარემოება, რომ მისმა საქვეუწყებო დაწესებულებებმა მოსარჩელისგან მიიღეს როგორც ხელშეკრულებით გათვალისწინებული,



ასევე ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი სატელეფონო მომსახურება. კერძოდ, მოპასუხის პასუხის (შესაგებ-ლის) მიხედვით, საქართველოს ... სამინისტროს ხელშეკრულების შესაბამისად მიღებული აქვს **1425.96** ლარის ღირებულების სატელეფონო მომსახურება, რაც მის მიერ ანაზღაურებულია. მიღება-ჩაბარების აქტებით გათვალისწინებული დანარჩენი ღირებულების ანაზღაურებაზე მოსარჩელეს უარი ეთქვა, ვინაიდან მის მიერ გაწეული იქნა სატელეფონო მომსახურება, რომელიც **2008** წლის **22** იანვრის სახელმწიფო შესყიდვის შესახებ **174** ხელშეკრულებით არ იყო გათვალისწინებული, კერძოდ, შპს «ა. ე-ის» მიერ თვითნებურად, საქართველოს ... სამინისტროსთან შეუთანხმებლად, სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულებებისათვის გაწეული იქნა საქალაქთაშორისო, საერთაშორისო და მობილურ ოპერატორებთან სატელეფონო მომსახურება, რაც ხელშეკრულებით გათვალისწინებული არ ყოფილა. ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი სატელეფონო მომსახურების მოპასუხის მიერ მიღების ფაქტი პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვისას (**2010** წლის **16** ივნისის სასამართლო სხდომაზე) დადასტურა ასევე მოპასუხე საქართველოს ... სამინისტროს წარმომადგენელმა. ამ უკანასკნელს არც მოსარჩელის მიერ მოთხოვნილი თანხის ოდენობა გაუხდია სადავოდ და განმარტა, რომ თანხის ოდენობა სადავოდ არ იყო, ვინაიდან მოპასუხის მიერ განხორციელებული ზარები ამოღებული და მითითებული იყო მოსარჩელის მიერ წარმოდგენილ მიღება-ჩაბარების აქტებში. ამასთან, წარმომადგენლის განმარტებით, მოპასუხე არ იყო ვალდებული გადაეხადა იმ სატელეფონო მომსახურების ღირებულება, რაც ხელშეკრულებით არ იყო გათვალისწინებული.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის **131**-ე მუხლის თანახმად, ერთი მხარის მიერ ისეთი გარემოების არსებობის ან არარსებობის დადასტურება (აღიარება), რომელზედაც მეორე მხარე ამყარებს თავის მოთხოვნებსა თუ შესაგებელს, სასამართლომ შეიძლება საკმარის მტკიცებულებად ჩათვალოს და საფუძვლად დაუდოს თავის გადაწყვეტილებას.

მოცემულ შემთხვევაში, მოპასუხის მიერ როგორც წერილობით (მოპასუხის შესაგებელი), ასევე ზეპირად (სასამართლო სხდომაზე) აღიარებულია ის ფაქტი, რომ მან მოსარჩელისგან მიიღო ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი **16639.12** ლარის ღირებულების სატელეფონო მომსახურება. მართალია, სააპელაციო საჩივარში მოპასუხემ უარყო მითითებული ფაქტი, მაგრამ მას არ მიუთითებია აღიარების გამაქარწყლებელ იმ გარემოებებზე, რაც გათვალისწინებულია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის **133**-ე მუხლით. შესაბამისად, საკასაციო სასამართლო ვერ მიიღებს მოპასუხის მიერ აღიარების უარყოფას.

აღნიშნული გარემოების უარსაყოფად ვერ გამოდგება მოპასუხის მიერ მითითებული შემდეგი არგუმენტები: მიღება-ჩაბარების აქტებს ხელს აწერენ სამინისტროს არაუფლებამოსილი პირები, ხელშეკრულება მოქმედებდა მხოლოდ **2008** წლის **22** მარტამდე და, შესაბამისად, გადახდაც მხოლოდ ამ პერიოდამდე გაწეული მომსახურებისათვის უნდა განხორციელებულიყო, ხელშეკრულების ფასი შეადგენდა **1500** ლარს. საკასაციო პალატის მოსაზრებით, განსახილველ შემთხვევაში გადაამწყვეტია ის გარემოება, რომ მოპასუხემ აღიარა მოსარჩელისგან ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი **16639.12** ლარის ღირებულების სატელეფონო მომსახურების მიღების ფაქტი. ამიტომ, თუნდაც მიღება-ჩაბარების აქტებზე ხელმოწერი პირები არაუფლებამოსილი იყვნენ, ან ხელშეკრულების მოქმედების ვადა **2008** წლის **22** მარტამდე იყოს განსაზღვრული ან კიდევ ხელშეკრულების ფასი **1500** ლარს შეადგენდეს, ეს გარემოებები არ ცვლის იმ ფაქტს, რომ საქართველოს ... სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულებებმა შპს «ა. ე-ისგან» მიიღეს ხელშეკრულებით გაუთვალისწინებული **16639.12** ლარის ღირებულების სატელეფონო მომსახურება. ის გარემოება, რომ ამ მომსახურების მიღება არ იყო გათვალისწინებული მხარეთა შორის დადებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ **174** ხელშეკრულებით, არ ნიშნავს იმას, რომ მოსარჩელეს მის მიერ გაწეული მომსახურების მოთხოვნის უფლება არ გააჩნია. ხელშეკრულების გარეშე გადაცემულის უკან დაბრუნების შესაძლებლობას ითვალისწინებს სამოქალაქო კოდექსის **976**-ე მუხლი. ამავე კოდექსის **979**-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად კი, თუ უკან დაბრუნება შეუძლებელია გადაცემული საგნის მდგომარეობის გამო, მაშინ მიმღებმა უნდა აანაზღაუროს მისი საერთო ღირებულება. ვინაიდან, მოცემულ შემთხვევაში, შეუძლებელია გადაცემული საგნის (გაწეული სატელეფონო მომსახურების) უკან დაბრუნება, ამიტომ მოპასუხე ვალდებულია გადაიხადოს მიღებული საქონლის ღირებულება.

საკასაციო სასამართლო იზიარებს კასატორ საქართველოს ... სამინისტროს მოსაზრებას იმის შესახებ, რომ მას გადახდილი აქვს სააპელაციო სასამართლოს მიერ დაკისრებული **1425.96** ლარი. საკასაციო პალატა ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებას, რომ მითითებული თანხის მოპასუხისათვის დაკისრებას მოსარჩელე არც მოითხოვდა, ეს თანხა არ შედიოდა მის მიერ გაანგარიშებულ მოთხოვნაში (**16639.12** ლარი). ზემოთ აღნიშნა, რომ **2008** წლის **14** თებერვლის, **10** მარტის, **2** აპრილის, **8** დეკემბრის და **2009** წლის **6** იანვრის მიღება-ჩაბარების აქტების თანახმად, მოსარჩელემ მოპასუხეს გაუწია **18119.69** ლარის ღირებულების სატელეფონო მომსახურება. ამ თანხიდან მოპასუხის მიერ გადახდილია **1425.96** ლარი, რასაც მოსარჩელე სადავოდ არ ხდის. შესაბამისად, დარჩენილი თანხა შეადგენს **16639.12** ლარს. აღნიშნულს ადასტურებს ასევე ... სამინისტროს შემოსავლების სამსახურის ანგარიშსწორების **2008** წლის უწყისი, რომელიც ხელმოწერილია შპს «ა. ე-ის» კომერციული ანალიზისა და ოპერატორებთან ურთიერთობის სამსახურის უფროსის მიერ. ამ უწყისის თანახმად, საქართველოს ... სამინისტროს მხრიდან გადახდილად არის მიჩნეული **2008** წლის იანვრის, თებერვლის და მარტის თვის სატელეფონო მომსახურების ღირებულების ნაწილი, კერძოდ, იანვარში – **519.82** ლარი, თებერვალში – **472.44** ლარი, ხოლო მარტში – **439.7** ლარი, რომელთა ჯამიც შეადგენს **1425.96** ლარს. მოსარჩელე, სწორედ ამ თანხის გამოკლებით, მოითხოვდა მოპასუხისაგან **16639.12** ლარის ანაზღაურებას. ამდენად, მოსარჩელის მიერ მოპასუხისათვის გაწეული სატელეფონო მომსახურების ღირებულებიდან (**18119.69** ლარი) მოპასუხის მიერ გადახდილია **1425.96** ლარი, შესაბამისად, გადასახდელია **16639.12** ლარი.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში განახილველად დაბრუნების საფუძვლები.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ ფაქტობრივი გარემოებები სამართლებრივად სწორად არ შეაფასა, რამაც განაპირობა საქმეზე არასწორი გადაწყვეტილების მიღება. აღნიშნულის გამო გასაჩივრებული გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს და მიღებული ახალი გადაწყვეტილებით შპს «ა. ე-ის» სარჩელი უნდა დაკმაყოფილდეს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის 1-ელი ნაწილის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე განთავისუფლებული იყოს სახელმწიფო ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ამ მუხლში აღნიშნული წესები შეეხება, აგრეთვე, სასამართლო ხარჯების განაწილებას, რომლებიც გასწიეს მხარეებმა საქმის სააპელაციო და საკასაციო ინსტანციებში წარმოებისას, ხოლო ამავე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო შეცვლის გადაწყვეტილებას ან გამოიტანს ახალ გადაწყვეტილებას, შესაბამისად, შეცვლის სასამართლო ხარჯების განაწილებასაც.

განსახილველ შემთხვევაში, მართალია, მოპასუხე საქართველოს ... სამინისტრო განთავისუფლებულია სახელმწიფო ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან, მაგრამ ეს არ ათავისუფლებს მას მოგებული მხარის სასარგებლოდ ამ უკანასკნელის მიერ გაწეული ხარჯების ანაზღაურებისაგან. საქმის მასალებით დასტურდება, რომ შპს «ა. ე-ის» სარჩელზე გადახდილი აქვს 499.18 ლარი, ხოლო საკასაციო საჩივარზე – 760.66 ლარი, სულ 1259.84 ლარი. აქედან გამომდინარე, საქართველოს ... სამინისტროს შპს «ა. ე-ის» სასარგებლოდ უნდა დაეკისროს ამ უკანასკნელის მიერ სააპელაციო და საკასაციო საჩივრებზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – 1259.84 ლარის გადახდა.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

#### **გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :**

1. საქართველოს ... სამინისტროს საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს;
2. შპს «ა. ე-ის» საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
3. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 6 ოქტომბრის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
4. შპს «ა. ე-ის» სარჩელი დაკმაყოფილდეს;
5. საქართველოს ... სამინისტროს შპს «ა. ე-ის» სასარგებლოდ დაეკისროს 16639.12 ლარის გადახდა;
6. საქართველოს ... სამინისტროს შპს «ა. ე-ის» სასარგებლოდ დაეკისროს ამ უკანასკნელის მიერ სარჩელზე და საკასაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – 1259.84 ლარის გადახდა.
7. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

#### **ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის ხანდაზმულობა**

#### **განჩინება**

<sup>1</sup>ას-169-163-2011

23 ივნისი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

მ. სულხანიშვილი,

ბ. ალავიძე

**დავის საგანი:** ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულება

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

2009 წლის 11 ნოემბერს შპს ქ. თბილისის მერიის სამკურნალო პროფილაქტიკურმა ცენტრმა «შ. ქ-ი» თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში რ. ს-შვილის წინააღმდეგ სარჩელი აღძრა. მოსარჩელემ მოითხოვა მოპასუხისათვის 2009 წლის 1 ნოემბრის მდგომარეობით საიჯარო ქირის სახით 4508,25 ლარის, ასევე იჯარის ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტისა და სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებამდე საიჯარო ქირის შესაბამისი კომპენსაციის დაკისრება.

მოსარჩელის განმარტებით, შპს ქ. თბილისის მერიის სამკურნალო პროფილაქტიკური ცენტრი «შ. ქ-ი» შპს თ. <sup>1</sup> ... პ-კის სამართლმემკვიდრე იყო. 2003 წლის 22 სექტემბერს შპს «თ. <sup>1</sup> ... პ-ასა» და რ. ს-შვილს შორის 12 საიჯარო ხელშეკრულება გაფორმდა, რომლის თანახმად 10 წლის ვადით, იჯარით გაიცა ქ. თბილისში, ... ქუჩის 18-ში მდებარე შპს «თ. <sup>1</sup> ... პ-კის» საწესდებო კაპიტალში რიცხული შენობის 84.8 კვ.მ ფართობი. მხარეებს შორის 2003 წლის 22 სექტემბერს მიღება-ჩაბარების აქტი გაფორმდა. მოიჯარე საიჯარო ქირას დროულად არ იხდიდა, რის გამოც მეიჯარისაგან წერილობით იქნა გაფრთხილებული. მოსარჩელის განმარტებით, მოიჯარე რ. ს-შვილი ხელს არ

აწერს საიჯარო ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის შესახებ შეთანხმებას, არ აბრუნებს საიჯარო ქონებას და არ იხდის დარჩენილ საიჯარო ქირას.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 18 თებერვლის გადაწყვეტილებით შპს ქ. თბილისის მერიის სამკურნალო პროფილაქტიკური ცენტრის შ. ქ-ი» სარჩელი დაკმაყოფილდა. რ. ს-შვილს მოსარჩელის სასარგებლოდ 4508,25 ლარის გადახდა დაეკისრა. მასვე დაეკისრა შპს ქ. თბილისის მერიის სამკურნალო პროფილაქტიკური ცენტრის «შ. ქ-ი» სასარგებლოდ საიჯარო ქონების დაბრუნებამდე, მაგრამ არა უგვიანეს 2013 წლის 22 სექტემბრისა, მიუღებელი შემოსავლის სახით ყოველდღიურად 5 ლარისა და 3 თეთრის გადახდა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ დადგენილად შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები მიიჩნია:

1. შპს ქ. თბილისის მერიის სამკურნალო პროფილაქტიკური ცენტრი «შ. ქ-ი» შპს «თ. 1 ... 3-კის» სამართალმემკვიდრეა.

2. 2003 წლის 22 სექტემბერს შპს «თ. 1... 3-კისა» და რ. ს-შვილს შორის 12 საიჯარო ხელშეკრულება გაფორმდა, რომლის თანახმად, რევაზ სადალაშვილს 10 წლის ვადით გადაეცა შპს «თ. 1 ... 3-კის» საწესდებო კაპიტალში რიცხული შენობის 84.8 კვ.მ. ფართობი;

3. ხელშეკრულების თანახმად, მოიჯარე ვალდებული იყო დათქმული ქირა გადაეხადა კვარტალში ერთხელ 438.75 ლარის ოდენობით, სულ წელიწადში 1935 ლარი;

4. 2003 წლის 22 სექტემბერს მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების აქტი გაფორმდა;

5. ხელშეკრულების გაფორმებისას საიჯარო ფართის 8 კვ.მ ზ. და ს. გ-ძეებს ჰქონდათ დაკავებული;

6. 2005 წლიდან რ. ს-შვილი პირველი ჯგუფის ინვალიდია.

7. 2003 წლის 22 სექტემბერს მხარეთა შორის დადებული 12 ხელშეკრულება სინამდვილეში ქირავნობის და არა იჯარის ხელშეკრულებას წარმოადგენს;

სასამართლოს განმარტებით, მართალია მხარეთა შორის ურთიერთობა იჯარის ხელშეკრულების დასახელების გარიგებით იყო მოწესრიგებული, მაგრამ მათ რეალურ მიზანს ქირავნობის ხელშეკრულების დადება წარმოადგენდა, რადგანაც ქირავნობისაგან განსხვავებით, იჯარის ხელშეკრულება მოიჯარეს ანიჭებს დამატებით უფლებას, მიიღოს ნაყოფი (შემოსავალი) ხელშეკრულებით განსაზღვრული ნივთიდან, ხოლო მეიჯარეს ეკისრება დამატებითი ვალდებულება, მთელი საიჯარო დროის განმავლობაში უზრუნველყოს ნაყოფის მიღების შესაძლებლობა. იჯარის საგანს უნდა გააჩნდეს გარკვეული სამეურნეო დანიშნულება. სასამართლომ, ასევე, საფუძვლიანად მიიჩნია მოსარჩელის მოთხოვნა იჯარის ხელშეკრულების შეწყვეტისა და საიჯარო ქირის დაკისრების შესახებ. რაც შეეხება მოპასუხის არგუმენტს, რომ ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო ვერ მოახერხა ქონებით სარგებლობა, აღნიშნულთან დაკავშირებით სასამართლომ მიუთითა, რომ რ. ს-შვილს შეეძლო ხელშეკრულება ვადამდე მოეშალა, რაც მას არ განუხორციელებია. სასამართლომ უსაფუძვლოდ მიიჩნია მოპასუხის არგუმენტი, რომ მას არ უსარგებლოა დაქირავებული ნივთით, ვინაიდან იგი უფლებრივად ნაკლოვანს წარმოადგენდა, კერძოდ, ფართში ცხოვრობდნენ და დღესაც აგრძელებენ ცხოვრებას ამავე ცენტრის მომუშავე დიასახლისი და მისი მეუღლე. სასამართლომ აღნიშნა, რომ რ. ს-შვილისათვის ცნობილი იყო დაქირავებული ფართიდან 8 კვ.მ-ის ზ. და ს. გაბოძების მიერ დაკავების ფაქტი, თუმცა, ეს არ გამხდარა ხელშეკრულების დადების დამაბრკოლებელი გარემოება, უფრო მეტიც, მან 2003 წლის 22 სექტემბერს გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტით სარგებლობაში მიიღო შპს «თ. 1 ... 3-კის» საწესდებო კაპიტალში არსებული შენობის 84,8 კვ.მ. ისე, რომ გამქირავებლისათვის არანაირი პრეტენზია არ განუცხადებია იქ მყოფი პირების გამოსახლებაზე. გრადა ამისა, რ. ს-შვილი 2003 წლის 22 სექტემბრიდან 2007 წლის მე-3 კვარტალამდე ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებას ასრულებდა.

აღნიშნული გადაწყვეტილება რ. ს-შვილმა სააპელაციო წესით გაასაჩივრა. აპელანტის მითითებით, სარჩელი ხანდაზმული იყო, რადგანაც გასული იყო სამოქალაქო კოდექსის 573-ე მუხლით განსაზღვრული 6-თვიანი ვადა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 9 დეკემბრის განჩინებით, რ. ს-შვილის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 18 თებერვლის გადაწყვეტილება უცვლელად დარჩა.

სააპელაციო პალატა სრულად დაეთანხმა პირველი ინსტანციის სასამართლოს დასკვნებს საქმის ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით, ხოლო სააპელაციო საჩივრის პრეტენზიებთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ სამოქალაქო კოდექსის 573-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, ხანდაზმულობის ვადის დენა იწყება გაქირავებული ნივთის დაბრუნების მომენტიდან. მოცემულ შემთხვევაში კი გაქირავებული ქონება სასამართლოში დავის განხილვის დროისთვისაც არ იყო დაბრუნებული გამქირავებლისათვის.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება რ. ს-შვილმა საკასაციო წესით გაასაჩივრა. კასატორის მითითებით, სასამართლომ იურიდიულად დაუსაბუთებელი გადაწყვეტილება მიიღო. სასამართლომ არ გაითვალისწინა ის გარემოება, რომ მოსარჩელეს არ მოუთხოვია ხელშეკრულების გაუქმება. მიუღებელი შემოსავლის ანაზღაურების მოთხოვნა კი, მხოლოდ ხელშეკრულების მოშლის შემთხვევაში იქნებოდა საფუძვლიანი.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ განიხილა საკასაციო საჩივარი, შეისწავლა საქმის მასალები, გასაჩივრებული განჩინების სასამართლოებრივი დასაბუთებულობა და მიიჩნია, რომ რ. ს-შვილის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

1. შპს ქ. თბილისის მერიის სამკურნალო პროფილაქტიკური ცენტრი «შ. ქ-ი» შპს «თ. 1... 3-კის» სამართალმემკვიდრეა.

2. 2003 წლის 22 სექტემბერს შპს «თ. 1 ... 3-კასა» და რ. ს-შვილს შორის 12 საიჯარო ხელშეკრულება გაფორმდა, რომლის თანახმად, რ. ს-შვილს 10 წლის ვადით გადაეცა შპს «თ. 1 ... 3-კის» საწესდებო კაპიტალში რიცხული შენობის 84.8 კვ.მ. ფართობი;

3. ხელშეკრულების თანახმად, მოიჯარე ვალდებული იყო დათქმული ქირა გადაეხადა კვარტალში ერთხელ 438.75 ლარის ოდენობით, სულ წელიწადში 1935 ლარი;

4. 2003 წლის 22 სექტემბერს მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების აქტი გაფორმდა;

5. ხელშეკრულების გაფორმებისას საიჯარო ფართის 8 კვ.მ ზ. და ს. გ-ძეებს ჰქონდათ დაკავებული;

6. 2005 წლიდან რ. ს-შვილი პირველი ჯგუფის ინვალიდია.

7. 2003 წლის 22 სექტემბერს მხარეთა შორის დადებული 12 ხელშეკრულება სინამდვილეში ქირავნობის და არა იჯარის ხელშეკრულებას წარმოადგენს

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მიხედვით, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია წარმოადგენს მხარის მითითებას პროცესუალურ-სამართლებრივ დარღვევებზე, რომლებმაც ფაქტობრივი გარემოებების არასწორად დადგენა განაპირობეს. კასატორს ამგვარი პრეტენზია არ წარმოუდგენია, შესაბამისად, ზემოაღნიშნული ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო პალატისათვის.

საკასაციო სასამართლო იზიარებს ქვედგომი სასამართლოების პოზიციას, რომ მხარეთა შორის დადებული 12 ხელშეკრულება თავისი სამართლებრივი ბუნებით ქირავნობაა და არა იჯარა. აღნიშნული ორი ხელშეკრულება იმდენად წააგავს ერთმანეთს, რომ იჯარის მიმართ გამოიყენება ქირავნობის ხელშეკრულების შესახებ ნორმები, თუ სამოქალაქო კოდექსის იჯარის თავი განსხვავებულ დებულებებს არ ადგენს. მიუხედავად ამისა, ამ ორი ტიპის ხელშეკრულების არსებითი განმასხვავებელი ნიშანი არის, ის, რომ იჯარის ხელშეკრულება ყველა შემთხვევაში მიმართულია მეურნეობის სწორად გაძღოლის გზით ნივთიდან ნაყოფის მიღებისაკენ, მაშინ, როდესაც, ქირავნობის საგანი შეიძლება სულაც არ გამოიყენებოდეს სამეურნეო დანიშნულებით. აღნიშნულის გათვალისწინებით, სამოქალაქო კოდექსის 581-ე მუხლის საფუძველზე, იჯარის ხელშეკრულება მოიჯარეს ანიჭებს დამატებით უფლებას, მიიღოს ნაყოფი (შემოსავალი) ხელშეკრულებით განსაზღვრული ნივთიდან, ხოლო მეიჯარეს ეკისრება დამატებითი ვალდებულება, მთელი საიჯარო დროის განმავლობაში უზრუნველყოს ნაყოფის მიღების შესაძლებლობა. მოცემულ შემთხვევაში, გაქირავებული ფართის რაიმე დანიშნულება ხელშეკრულების დადების დროისათვის არ იკვეთებოდა, არც მხარეები შეთანხმებულან ნაყოფის მიღების თვალსაზრისით რაიმე კონკრეტულ მოქმედებებზე.

საკასაციო სასამართლო ასევე სრულად იზიარებს ქვედგომი სასამართლოების პოზიციას ხელშეკრულების მოშლის, გადაუხდელი ქირის, ასევე მიუღებელი შემოსავლის დაკისრების ნაწილში და აღნიშნავს, რომ გაუგებარია კასატორის მითითება იმის თაობაზე, რომ ამ მოთხოვნების დაკმაყოფილება მხოლოდ ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში იქნებოდა საფუძვლიანი, სასამართლოს კი იჯარის ხელშეკრულება შეწყვეტილად არ უღიარებია.

როგორც საქმიდან ირკვევა, 2003 წლის 22 სექტემბერს 12 ხელშეკრულების მოშლა ერთ-ერთ სასარჩელო მოთხოვნას წარმოადგენდა. საქმის განხილვისას მხარეს აღნიშნულ მოთხოვნაზე უარი არ უთქვამს. პირველი ინსტანციის სასამართლომ თავისი გადაწყვეტილებით ზემოაღნიშნული მოთხოვნის შესახებ სხვა სასარჩელო მოთხოვნებთან ერთად იმსჯელა, საფუძვლიანად მიიჩნია და სარჩელი სრულად, მათ შორის ხელშეკრულების მოშლის ნაწილშიც, დააკმაყოფილა, აღნიშნულის გათვალისწინებით, კასატორის მითითება უსაფუძვლოა.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლის «გ» ქვეპუნქტის თანახმად სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არსებითად სწორია, მიუხედავად იმისა, რომ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი არ შეიცავს შესაბამის დასაბუთებას.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ გასაჩივრებული განჩინება არსებითად სწორია. რაც შეეხება სამართლებრივ დასაბუთებას, პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს არასწორად აქვს განმარტებული სამოქალაქო კოდექსის 573-ე მუხლი.

როგორც საქმიდან ირკვევა, რ. ს-შვილმა სააპელაციო საჩივარში მიუთითა, რომ სარჩელი ხანდაზმული იყო, რადგანაც გასული იყო სამოქალაქო კოდექსის 573-ე მუხლით განსაზღვრული 6-თვიანი ვადა.

აღნიშნულთან დაკავშირებით საკასაციო პალატა უპირველეს ყოვლისა აღნიშნავს, რომ, ზოგადად, ხანდაზმულობა არის დარღვეული უფლების იძულებით დაცვის ვადა, ამასთან, ხანდაზმულობის ვადის გასვლა კი არ აქარწყლებს მოთხოვნას, არამედ მას განუხორციელებლად აქცევს. სწორედ ამ გარემოების გათვალისწინებით, სასამართლოს ხანდაზმულობის საკითხის გამოკვლევა შეუძლია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას სადავოდ მხარე ხდის. გარდა ამისა, სასარჩელო ხანდაზმულობის შედეგი პროცესუალური ხასიათის უფროა, ვიდრე მატერიალური, რადგან ხანდაზმულობა არის სარჩელისაგან თავის დაცვის ერთ-ერთი ფორმა და თავისთავად მოთხოვნის გაქარწყლებას არ იწვევს. სასარჩელო ხანდაზმულობის შესახებ კანონმდებლობა ადგენს საშუალებას და არა უფლებას, ამასთან ხანდაზმულობას არ აქვს ეფექტი, მხარის მითითების გარეშე. სწორედ აღნიშნულიდან გამომდინარე, ხანდაზმულობა განიხილება, როგორც საქმის ფაქტობრივი გარემოება. მხარე კი, საპროცესო კანონმდებლობით შეზღუდულია მიუთითოს ახალი ფაქტებსა და მტკიცებულებებზე ზემდგომ ინსტანციებში, ამდენად მიჩნეულია, რომ ხანდაზმულობის საკითხის დაყენება შესაძლებელია მხოლოდ პირველი ინსტანციის სასამართლოში. მოთ-

ხოვნის ხანდაზმულობის შესახებ მითითება პირველად სააპელაციო ან საკასაციო ინსტანციაში ისევე დაუშვებელია, როგორც ახალ ფაქტებსა და გარემოებებზე მითითება.

განსახილველ შემთხვევაში მხარემ ხანდაზმულობის თაობაზე პირველად სააპელაციო საჩივარში მიუთითა. ამ გარემოების გათვალისწინებით, სააპელაციო სასამართლო არ იყო უფლებამოსილი სარჩელის ხანდაზმულობის საკითხზე ემსჯელა.

გარდა ამისა, როგორც ზემოთ აღინიშნა, სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა სამოქალაქო კოდექსის 573-ე მუხლი. აღნიშნული ნორმის მიხედვით, გაქირავებული ნივთის შეცვლის ან გაუარესების გამო გამქირავებელს უფლება აქვს მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, ხოლო დამქირავებელს უფლება აქვს წაუყენოს მას პრეტენზია გაწეული ხარჯების ანაზღაურების თაობაზე ექვსი თვის განმავლობაში. ზიანის ანაზღაურების გამო გამქირავებლის მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადის დენა იწყება გაქირავებული ნივთის დაბრუნების მომენტიდან, ხოლო დამქირავებლის მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადისა – ქირავნობის ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტიდან. პალატა მიიჩნევს, რომ მითითებულ ნორმაში პრეტენზიის წარდგენა არ გულისხმობს სასარჩელო ხანდაზმულობის ვადას. როგორც თვით ნორმიდან ირკვევა, პრეტენზიას წარუდგენს დამქირავებელი გამქირავებელს და აღნიშნულ მუხლში საუბარი არ არის ამ ვადაში სარჩელის სასამართლოში წარდგენის თაობაზე, შესაბამისად, ასეთ შემთხვევებში სასარჩელო ხანდაზმულობის ვადა შეადგენს ექვს წელს, თანახმად სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლის პირველი ნაწილისა, გარდა ამისა, მითითებული ნორმა ითვალისწინებს გამქირავებლის უფლებას გაქირავებული ნივთის შეცვლის ან დაზიანების გამო ზიანის ანაზღაურება მოითხოვოს, ამდენად, განსახილველ დავასთან მას კავშირი არ აქვს, რაზეც უნდა გაემახვილებინა სააპელაციო სასამართლოს ყურდაღება და არ გამოერკვია უძრავ ნივთს ისევე დამქირავებელი ფლობდა თუ არა.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მიუხედავად ზემოაღნიშნული სამართლებრივი უსწორობებისა, დავა არსებითად სწორადაა გადაწყვეტილი, რის გამოც სააპელაციო სასამართლოს განჩინების გაუქმების საფუძველი არ არსებობს.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე, 410-ე მუხლებით და

#### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. რ. ს-შვილის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
  2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 9 დეკემბრის განჩინება;
- საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

### **პირგასამტეხლოს დაკისრება**

#### **გადაწყვეტილება საქართველოს სახელით**

ას-1326-1346-2011

17 ოქტომბერი, 2011 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი)**

**მ. სულხანიშვილი,**

**ბ. ალავეძე**

**დავის საგანი:** ხელშეკრულებიდან გასვლა და თანხის დაბრუნება, პირგასამტეხლოს დაკისრება

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

2009 წლის 3 ნოემბერს გ. მ-მემ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში შპს «რ. გ-ის» წინააღმდეგ სარჩელი აღძრა. მოსარჩელემ მოითხოვა მოპასუხისათვის 512 096 ევროს, ასევე პირგასამტეხლოს სახით 51 209 ევროს დაკისრება.

მოსარჩელის განმარტებით, 2008 წლის 1 ივნისს მხარეებს შორის გაფორმდა ბინისა და ავტოფარების ნასყიდობის წინარე ხელშეკრულებები. ხელშეკრულებების საფუძველზე, მოპასუხემ იკისრა ვალდებულება გ. მ-მის მიერ თანხის სრულად გადახდის შემდეგ, მოსარჩელისათვის საკუთრებაში გადაეცა ქ. თბილისში, ... 15-ში არსებული მე-2 ბლოკის მე-7 სართულზე მდებარე 144 ბინა (საერთო ფართობი 313,1 კვ.მ, ტიხრებით და აივნის ჩათვლით) და 173 ავტოფარები. ხელშეკრულების თანახმად, მოპასუხე ვალდებული იყო ქონების საკუთრებაში გადაეცემა განეხორციელებინა შენობის ექსპლუატაციაში მიღებიდან არა უგვიანეს 2 თვისა. შენობის ექსპლუატაციაში მიღების ვადად განისაზღვრა 2008 წლის 31 დეკემბერი. მოპასუხემ ვალდებულება დათქმულ ვადაში ვერ შეასრულა, რის გამოც, 2009 წლის 30 აპრილის წერილით, მოსარჩელემ თანხის დაბრუნება მოითხოვა. მოპასუხემ საპასუხოდ აცნობა, რომ ვადის გადაცილება გამოწვეული იყო 2008 წლის მოვლენებით და ვალდებულება იკისრა ნასყიდობის

ხელშეკრულება გაეფორმებინა არაუგვიანეს 2009 წლის 30 ივლისისა. 2009 წლის 15 ოქტომბერს მოპასუხემ მზადყოფნა განაცხადა ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებაზე და წერილს ხელშეკრულების პროექტი დაურთო. 2009 წლის 16 ოქტომბერს მოსარჩელემ შპს «რ. გ-ს» წერილობით მიმართა და, მათი მხრიდან პირგასამტეხლოს გადახდის შემთხვევაში, ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებაზე თანხმობა განაცხადა. მოპასუხემ დაარღვია ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები, კერძოდ, ვალდებულება არ შეასრულა დათქმულ ვადაში, გარდა ამისა, წერილზე თანდართული ხელშეკრულების პროექტში აღნიშნულია სხვა ბინა, რომლის ფართი 300 კვ.მ-ს შეადგენს. აღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე, მოსარჩელემ ხელშეკრულების დადების ინტერესი დაკრგა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 8 აპრილის გადაწყვეტილებით გ. მ-ის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, მოპასუხე შპს «რ. გ-ს» დაეკისრა 512 096 ევროს ეკვივალენტი ლარის, ასევე პირგასამტეხლოს სახით 26 116,89 ევროს ეკვივალენტი ლარის გადახდა გ. მ-ის სასარგებლოდ, მოპასუხე შპს «რ. გ-ს» დაეკისრა მოსარჩელის მიერ ადვოკატისათვის გაწეული ხარჯის – 5382,12 ევროს გ. მ-ისათვის ანაზღაურება.

აღნიშნული გადაწყვეტილება მოპასუხემ სააპელაციო წესით გაასაჩივრა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 7 ივნისის გადაწყვეტილებით შპს «რ. გ-ს» სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 8 აპრილის გადაწყვეტილება და საქმეზე მიღებული ახალი გადაწყვეტილებით გ. მ-ეს უარი ეთქვა შპს «რ. გ-ზე» ძირითადი თანხის სახით 512 096 ევროს, პირგასამტეხლოს სახით 51 209,6 ევროს, საადვოკატო მომსახურების საფასურის – 20487,85 ევროს დაკისრებაზე.

სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

1. 2008 წლის 1 ივნისს შპს «რ. გ-სა» და გ. მ-ეს შორის საცხოვრებელი ბინის ნასყიდობის წინარე ხელშეკრულება 12-ბ-44 გაფორმდა, ბინის ფართი განისაზღვრა 313 კვ.მ-ით, 1 კვ.მ ფართის ფასი განისაზღვრა 1600 ევროთი. ნასყიდობის ფასი შეადგენს 500 960 ევროს ეკვივალენტს ლარს;

2. 2008 წლის 1 ივნისის ხელშეკრულების მუხლი 5.1.1-ის თანახმად, გამყიდველი ვალდებულია მყიდველთან ნასყიდობის ძირითადი ხელშეკრულება დადოს მშენებარე ობიექტის დადგენილი წესით ექსპლუატაციაში მიღებიდან ორი თვის განმავლობაში. ობიექტი ექსპლუატაციაში მიღებული უნდა ყოფილიყო 2008 წლის დეკემბრის ბოლოს. მუხლი 7.1.-ის თანახმად, ვალდებულების (ძირითადი ხელშეკრულების დადების) დროულად შეუსრულებლობის შემთხვევაში, გამყიდველს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ნასყიდობის ფასის 0,1%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, მაგრამ არაუმეტეს ნასყიდობის ფასის 10%-ისა. ამასთან, აღნიშნული ვალდებულების 1 თვის ვადაში შეუსრულებლობის შემთხვევაში, მყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოითხოვოს გადახდის თანხის უკან დაბრუნება, ასევე ზიანის ანაზღაურება;

3. 2008 წლის 1 ივნისს შპს «რ. გ-ს» და გ. მ-ეს შორის ავტოფარების ნასყიდობის წინარე ხელშეკრულება 1ა-73 გაფორმდა, რომლის თანახმად, შპს «რ. გ-ი» გადასცემს გ. მ-ეს ქ. თბილისში, ... 15-ში მდებარე საცხოვრებელი კომპლექსის ტერიტორიაზე არსებულ 173 ავტოფარებს. ნასყიდობის ფასი განისაზღვრა 12 000 ევროს ეკვივალენტი ლარით;

4. მოსარჩელე გ. მ-ემ სრულად გადაიხადა 2008 წლის 1 ივნისის ბინის და ავტოფარების ნასყიდობის წინარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ნასყიდობის ფასი;

5. 2009 წლის 30 აპრილს გ. მ-ემ წერილით მიმართა შპს «რ. გ-ს» და, 12-ბ-44 ხელშეკრულების 5.1.1, 7.1, 7.3 მუხლების საფუძველზე, გადახდილი თანხის უკან დაბრუნება მოითხოვა;

6. შპს «რ. გ-ის» 2009 წლის 20 მაისის წერილის საფუძველზე მხარეები შეთანხმდნენ, რომ ძირითადი ხელშეკრულების დადება მოხდებოდა არაუგვიანეს 2009 წლის 30 ივლისისა;

7. 2009 წლის 11 სექტემბრისათვის ქ. თბილისში ... 15-ში მდებარე უძრავ ქონებაზე, ყადაღა ან იპოთეკის უფლება არ არის რეგისტრირებული.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ აღნიშნული ფაქტობრივი გარემოებები არასწორად შეაფასა. სასამართლომ განმარტა, რომ მოცემულ შემთხვევაში მხარეები შეთანხმდნენ შესრულების ახალ ვადაზე – 2009 წლის 30 ივლისზე, 2009 წლის 12 ივნისს უძრავი ნივთი მიღებულ იქნა ექსპლუატაციაში და 2009 წლის 15 სექტემბრისათვის უძრავი ნივთი მზად იყო საკუთრების უფლებით გ. მ-ისათვის გადასაცემად. ამ გარემოებების გათვალისწინებით კი, ხელშეკრულებიდან გასვლა დაუშვებელი იყო. სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, გ. მ-ემ ვერ დაამტკიცა, რომ ხელშეკრულების შესრულების მიმართ ინტერესი დაკარგა, ამასთან, ვინაიდან მოცემულ შემთხვევაში ვალდებულების დარღვევა უმნიშვნელო იყო, ხელშეკრულების მოშლა დაუშვებელი იყო. სასამართლომ ასევე განმარტა, რომ, თუნდაც ნასყიდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ბინის ფართი ნაკლები ყოფილიყო წინარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ფართზე, აღნიშნული ზედმეტად გადახდილი თანხის დაბრუნების მოთხოვნის საფუძველია და არა ხელშეკრულების მოშლის. რაც შეეხება პირგასამტეხლოს დაკისრებას, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ პირგასამტეხლო აქცესორული უფლებაა და ვინაიდან ძირითადი მოთხოვნის დაკმაყოფილების საფუძველი არ არსებობდა, არც აღნიშნული მოთხოვნა უნდა დაკმაყოფილებულიყო.

აღნიშნული გადაწყვეტილება გ. მ-ემ საკასაციო წესით გაასაჩივრა, მისი გაუქმებისა და საქმეზე ახალი გადაწყვეტილების მიღების მოთხოვნით.

კასატორის მტკიცებით, სააპელაციო სასამართლომ მხარეთა განმარტების საფუძველზე მიიჩნია, რომ შესრულების ვადა 2008 წლის 30 ივლისი იყო, რეალურად კი, მხარეები შესრულების ახალ ვადაზე არ იყვნენ შეთანხმებული, არამედ მოვალემ თავად შესთავაზე ახალი ვადა და ისიც დაარღვია, გარდა ამისა, სააპელაციო სასამარ-

თლოს წარმომადგენლის მიერ სასამართლო სხდომაზე გაკეთებული განმარტება მხარის აღიარებად არ უნდა მიეჩინოს. სააპელაციო სასამართლომ ასევე არასწორად მიიჩნია, რომ 2009 წლის 15 სექტემბერს ბინა მზად იყო საკუთარებაში გადასაცემად, რადგანაც საქმეში წარმომადგენელი საჯარო რეესტრის ამონაწერი 2009 წლის 17 და არა 15 სექტემბერსაა გაცემული.

კასატორის მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლოს არ უნდა გამოეყენებინა სამოქალაქო კოდექსის 405-ე მუხლი, რადგანაც მოცემულ შემთხვევაში ნაწილ-ნაწილ შესასრულებელ ვალდებულებაზე არ იყო საუბარი. რაც შეეხება სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას, რომ, 2009 წლის 16 ოქტომბრის წერილიდან გამომდინარე, გ. მ-ეს არ დაუკარგავს ხელშეკრულების დადების ინტერესი, აღნიშნული სინამდვილეს არ შეესაბამება, რადგანაც წერილში ნათლადაა დაფიქსირებული, რომ კასატორი მხოლოდ პირგასამტეხლოს გადახდის შემთხვევაში იყო თანახმა ხელშეკრულება გაეფორმებინა.

### სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ განიხილა საკასაციო საჩივარი, შეისწავლა საქმის მასალები, გასაჩივრებული გადაწყვეტილების სამართლებრივი დასაბუთებულობა და მიიჩნია, რომ გ. მ-ის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

განსახილველ საქმეზე სააპელაციო სასამართლომ დადგინდა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები მიიჩნია:

1. 2008 წლის 1 ივნისს შპს «რ. გ-სა» და გ. მ-ეს შორის საცხოვრებელი ბინის ნასყიდობის წინარე ხელშეკრულება 12-ბ-44 გაფორმდა, ბინის ფართი განისაზღვრა 313 კვ.მ-ით, 1 კვ.მ ფართის ფასი განისაზღვრა 1600 ევროთი. ნასყიდობის ფასი შეადგინა 500 960 ევროს ეკვივალენტ ლარს;

2. 2008 წლის 1 ივნისის ხელშეკრულების მუხლი 5.1.1-ის თანახმად, გამყიდველი ვალდებულია მყიდველთან ნასყიდობის ძირითადი ხელშეკრულება დადოს მშენებარე ობიექტის დადგენილი წესით ექსპლუატაციაში მიღებიდან ორი თვის განმავლობაში. ობიექტი ექსპლუატაციაში მიღებული უნდა ყოფილიყო 2008 წლის დეკემბრის ბოლოს. მუხლი 7.1.-ის თანახმად, ვალდებულების (ძირითადი ხელშეკრულების დადების) დროულად შეუსრულებლობის შემთხვევაში, გამყიდველს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ნასყიდობის ფასის 0,1%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, მაგრამ არაუმეტეს ნასყიდობის ფასის 10%-ისა. ამასთან, აღნიშნული ვალდებულების 1 თვის ვადაში შეუსრულებლობის შემთხვევაში, მყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოითხოვოს გადახდილი თანხის უკან დაბრუნება, ასევე ზიანის ანაზღაურება;

3. 2008 წლის 1 ივნისს შპს «რ. გ-ს» და გ. მ-ეს შორის ავტოფარების ნასყიდობის წინარე ხელშეკრულება 1ა-73 გაფორმდა, რომლის თანახმად, შპს «რ. გ-ი» გადასცემს გ. მ-ეს ქ. თბილისში, ... 15-ში მდებარე საცხოვრებელი კომპლექსის ტერიტორიაზე არსებულ 173 ავტოფარებს. ნასყიდობის ფასი განისაზღვრა 12 000 ევროს ეკვივალენტი ლარით;

4. მოსარჩელე გ. მ-ემ სრულად გადაიხდა 2008 წლის 1 ივნისის ბინის და ავტოფარების ნასყიდობის წინარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ნასყიდობის ფასი;

5. 2009 წლის 30 აპრილს გ. მ-ემ წერილით მიმართა შპს «რ. გ-ს» და, 12-ბ-44 ხელშეკრულების 5.1.1, 7.1, 7.3 მუხლების საფუძველზე, გადახდილი თანხის უკან დაბრუნება მოითხოვა;

6. შპს «რ. გ-ის» 2009 წლის 20 მაისის წერილის საფუძველზე მხარეები შეთანხმდნენ, რომ ძირითადი ხელშეკრულების დადება მოხდებოდა არაუგვიანეს 2009 წლის 30 ივლისისა;

7. 2009 წლის 11 სექტემბრისათვის ქ. თბილისში ... 15-ში მდებარე უძრავ ქონებაზე, ყადაღა ან იპოთეკის უფლება არ არის რეგისტრირებული.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მიხედვით, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია წარმოადგენს მხარის მითითებას პროცესუალურ-სამართლებრივ დარღვევებზე, რომლებმაც ფაქტობრივი გარემოებების არასწორად დადგენა განაპირობეს. კასატორს ამგვარი პრეტენზია არ წარმოუდგენია, რის გამოც ზემოაღნიშნული ფაქტობრივი გარემოებები საკასაციო სასამართლოსათვის სავალდებულოა.

საკასაციო სასამართლო არ იზიარებს კასატორის მტკიცებას, რომ მხარეები ვალდებულების შესრულების ახალ ვადაზე შეთანხმებულები არ ყოფილან.

როგორც საქმის მასალებიდან და თავად მხარეთა განმარტებებიდან ირკვევა, შპს «რ. გ-მა» 2009 წლის 20 მაისის წერილით გ. მ-ეს ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმების ახალი ვადა – 2009 წლის 30 ივლისი შესთავაზა. აღნიშნულის შემდეგ, გ. მ-ეს ხელშეკრულებიდან გასვლა და თანხის დაბრუნება აღარ მოუთხოვია, იგი ჩვეულებრივად აგრძელებდა მოპასუხესთან თანამშრომლობას, წარადგინა ელექტრო-ტექნიკური სამონტაჟო სამუშაოების პროექტი და ა.შ. სამოქალაქო სამართალი ითვალისწინებს ნების გამოვლენას როგორც სიტყვიერად, ისე კონკლუდენტური მოქმედებებითაც. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში გ. მ-ე დაეთანხმა კონტრაქტის მიერ შეთავაზებულ შესრულების ახალ ვადას.

საკასაციო პალატა იზიარებს სააპელაციო სასამართლოს პოზიციას, რომ მოცემულ შემთხვევაში ხელშეკრულებაზე უარის თქმის საფუძველი არ არსებობს.

სამოქალაქო კოდექსის 352-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარე 405-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების არსებობისას უარს იტყვის ხელშეკრულებაზე, მაშინ მიღებული შესრულება და სარგებელი მხარეებს უბრუნდებათ (ნატურით დაბრუნება).

საკასაციო სასამართლო არ იზიარებს კასატორის მტკიცებას, რომ სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო კოდექსის 405-ე მუხლი არ უნდა გამოეყენებინა, ვინაიდან მხარეთა შორის არსებული ხელშეკრულება არ ითვალისწინებდა ვალდებულების ნაწილ-ნაწილ შესრულებას.

მართალია, მხარეთა შორის არსებული სამართლებრივი ურთიერთობა გულისხმობს ვალდებულების ერთჯერადად შესრულებას (თანხის მიღების სანაცვლოდ ბინის საკუთრებაში გადაცემას), მაგრამ, აღნიშნულის მიუხედავად, ამ ტიპის ხელშეკრულებაზე უარის თქმასთან დაკავშირებული საკითხები გრძელვადიანი სახელშეკრულებო ვალდებულებების ანალოგიურად წესრიგდება. ერთდერეთი განსხვავება, პირველ შემთხვევაში ორმხრივი რესტიტუციის ვალდებულების არსებობაა. აღნიშნულს თავად სამოქალაქო კოდექსის 352-ე მუხლი ადასტურებს, რომელიც 405-ე მუხლის პირობებზე მოუთითებს, ამასთან, მითითებული ნორმის დანაწესი «405-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების არსებობისას» გულისხმობს როგორც ხელშეკრულებაზე უარის თქმის საფუძველებზე, ისე აღნიშნულის გამომრიცხავ გარემოებებზე მითითებას.

სამოქალაქო კოდექსის 405-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, თუ ხელშეკრულების ერთი მხარე არღვევს ორმხრივი ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია უარი თქვას ხელშეკრულებაზე ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ. თუ ვალდებულების დარღვევის ხასიათიდან გამომდინარე, არ გამოიყენება დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება. თუკი ვალდებულება მხოლოდ ნაწილობრივ დაირღვა, მაშინ კრედიტორს შეუძლია უარი თქვას ხელშეკრულებაზე მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ვალდებულების დარღვევით ნაწილის შესრულებამ მისთვის დაკარგა ინტერესი.

იმავე მუხლის მე-3 ნაწილის «ა» ქვეპუნქტის მიხედვით კი, ხელშეკრულებაზე უარი დაუშვებელია, თუ ვალდებულების დარღვევა უმნიშვნელოა.

საკასაციო პალატა ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს მითითებას, რომ გ. მ-მ მისი მხრიდან ვალდებულების შესრულების მიმართ ინტერესის დაკარგვა ვერ დაადასტურა.

საკასაციო პალატა ასევე იზიარებს სააპელაციო სასამართლოს პოზიციას, რომ ვალდებულების დარღვევა იმდენად მნიშვნელოვანი არ იყო, რომ ხელშეკრულებაზე უარის თქმის საფუძველი გამხდარიყო.

მოცემულ შემთხვევაში მხარემ ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმება თვენახევრით დააგვიანა. ვალდებულების დარღვევის მნიშვნელობა სასამართლოს შესაფასებელია. ამ შემთხვევაში გასათვალისწინებელია თავად ხელშეკრულების ხასიათი, აგრეთვე ის ზიანი და ობიექტური სირთულეები, რაც ხელშეკრულების მეორე მხარეს მოვალის მიერ ვადის გადაცილებით შეექმნა. საკასაციო სასამართლო ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს, რომ ვალდებულების შესრულება ერთი თვისა და თხუთმეტი დღის დაგვიანებით, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის აშენებისა და ფართზე საკუთრების უფლების გადაცემის თაობაზე დადებულ გარიგებებზე სამოქალაქო კოდექსის 405-ე მუხლის მე-3 ნაწილით განსაზღვრული უმნიშვნელო დარღვევაა.

მოსარჩელე აგრეთვე პრეტენზიას გამოთქვამდა, რომ გადაცემული ბინის ფართი ხელშეკრულებით გათვალისწინებულზე ნაკლები იყო, ამასთან, ჩატარებული არ იყო იმ სახის რემონტი, რაზეც მხარეები შეთანხმდნენ. საკასაციო პალატა ამ შემთხვევაშიც იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას, რომ აღნიშნული გარემოებები ხელშეკრულებაზე უარის თქმის კი არაა, ფასის შემცირების და ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის წარმოშობის საფუძველია. ნასყიდობის წინარე ხელშეკრულების მე-3.1 მუხლის დარღვევის შემთხვევაში გ. მ-ეს შეეძლო მოეთხოვა ამავე ხელშეკრულების მე-4.4 მუხლით განსაზღვრული ზედმეტი ფართისათვის გადახდილი თანხის დაბრუნება, ხოლო მე-5.1.4 მუხლის დარღვევის შემთხვევაში – ზიანის ანაზღაურება.

საკასაციო სასამართლო არ იზიარებს სააპელაციო სასამართლოს პოზიციას, რომ ვინაიდან არ არსებობს ნასყიდობის თანხის დაბრუნების საფუძველი, არც პირგასამტეხლოს დაკისრების შესახებ სასარჩელო მოთხოვნა უნდა დაკმაყოფილდეს.

სამოქალაქო კოდექსის 419-ე მუხლის თანახმად, კრედიტორს არ შეუძლია ერთდროულად მოითხოვოს პირგასამტეხლოს გადახდაც და ვალდებულების შესრულებაც, თუკი პირგასამტეხლო არ არის გათვალისწინებული იმ შემთხვევებისათვის, როცა მოვალე თავის ვალდებულებებს არ ასრულებს დადგენილ დროში. კრედიტორს ყოველთვის აქვს უფლება მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება.

აღნიშნული ნორმიდან გამომდინარე, ნათელია, რომ პირგასამტეხლოს დაკისრება ყველა შემთხვევაში დამოკიდებული არ არის ხელშეკრულებიდან გასვლაზე. თუ პირგასამტეხლო გათვალისწინებულია შესრულების ვადის დარღვევისათვის, კრედიტორს ყველა შემთხვევაში შეუძლია მოითხოვოს მისი დაკისრება, მიუხედავად იმისა, იღებს თუ არა ვადაგადაცილებულ შესრულებას. მხარეთა შორის გაფორმებული ნასყიდობის წინარე ხელშეკრულების მუხლი 7.1.-ის მიხედვით, პირგასამტეხლო სწორედ ვადის გადაცილებისთვისაა გათვალისწინებული, აქედან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლოს მითითება აქცესორულ უფლებებზე უსაფუძველოა.

ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა სამოქალაქო კოდექსის 153-ე მუხლი, ასევე არ გამოიყენა 419-ე მუხლი, რაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის «ა» და «გ» ქვეპუნქტების თანახმად, გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძველია.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის მიხედვით, საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველები.

ვინაიდან მოცემულ საქმეზე დავის გადაჭრისათვის აუცილებელი ფაქტობრივი გარემოებები სააპელაციო სასამართლოს მიერ სწორადაა დადგენილი, ამასთან საქმეში არ არის მტკიცებულება, რომელიც სასამართლოს არ გამოუკვლევია ან არ შეუფასებია, საკასაციო სასამართლო უფლებამოსილია, თავად მიიღოს გადაწყვეტილება.



საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ გ. მ-ის მოთხოვნა პირგასამტეხლოს დაკისრების შესახებ უნდა დაკმაყოფილდეს.

წინარე ხელშეკრულების მიხედვით, ვალდებულების დროულად შეუსრულებლობის შემთხვევაში, გამყიდველს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ნასყიდობის ფასის 0,1%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, მაგრამ არაუმეტეს ნასყიდობის ფასის 10%-ისა. მოცემულ შემთხვევაში ვადა 47 დღითაა გადაცილებული, შესაბამისად პირგასამტეხლოს ოდენობა 23545,12 ევროს შეადგენს.

სამოქალაქო კოდექსის 420-ე მუხლის თანახმად, სასამართლოს შეუძლია საქმის გარემოებათა გათვალისწინებით შეამციროს შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლო.

პირგასამტეხლოს ოდენობის შესაბამისობის გათვალისწინებისას, სასამართლომ მხედველობაში უნდა მიიღოს ვალდებულების დარღვევის ხასიათი, აღნიშნულით გამოწვეული ზიანი, აგრეთვე სხვა ობიექტური ფაქტორები. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ განსახილველ შემთხვევაში ვადის გადაცილების მნიშვნელობისა და იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ მოსარჩელე შესრულებასაც იღებს და პირგასამტეხლოსაც, 10 000 ევროს ეკვივალენტი ლარი სამართლიანი ოდენობაა.

გარდა ამისა, გ. მ-ის ერთ-ერთი მოთხოვნა ადვოკატის მომსახურების საფასურის მოპასუხისათვის დაკისრება.

საქმეში არსებული იურიდიული მომსახურების შესახებ ხელშეკრულების 3.1. მუხლის მიხედვით, გაწეული მომსახურებისათვის დამკვეთი გადაუხდის შემსრულებელს გ. მ-ის სარჩელის დაკმაყოფილების თაობაზე სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან 7 დღის ვადაში მოპასუხეზე დაკისრებული თანხის 4%-ს, რაც შეადგენს 21528 ევროს ეკვივალენტ ლარს.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ 21 528 ევრო მოსარჩელის მიერ მთლიანად მოთხოვნილი თანხის 4%-ია, საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით კი, მოპასუხეს 10000 ევროს ეკვივალენტი ლარი ეკისრება, შესაბამისად, სწორედ აღნიშნული თანხის 4% – 400 ევრო უნდა დაეკისროს მოპასუხეს გ. მ-ის მიერ ადვოკატის მომსახურებისათვის გაწეული ხარჯების ანაზღაურების სახით.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო შეცვლის გადაწყვეტილებას ან გამოიტანს ახალ გადაწყვეტილებას, იგი შესაბამისად შეცვლის სასამართლო ხარჯების განაწილებასაც.

იმავე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე გათავისუფლებული იყოს სახელმწიფოს ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. თუ სარჩელი დაკმაყოფილებულია ნაწილობრივ, მაშინ მოსარჩელეს ამ მუხლში აღნიშნული თანხა მიეკუთვნება სარჩელის იმ მოთხოვნის პროპორციულად, რაც სასამართლოს გადაწყვეტილებით იქნა დაკმაყოფილებული, ხოლო მოპასუხეს – სარჩელის მოთხოვნათა იმ ნაწილის პროპორციულად, რომელზედაც მოსარჩელე უარი ეთქვა.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ შპს «რ. გ-მა» გ. მ-ეს უნდა აუნაზღაუროს ამ უკანასკნელის მიერ პირველ და საკასაციო ინსტანციაში გადახდილი სახელმწიფო ბაჟის 2%, სულ 180 ლარი, ხოლო გ. მ-ემ შპს «რ. გ-ს» უნდა აუნაზღაუროს ამ უკანასკნელის მიერ სააპელაციო ინსტანციაში გადახდილი სახელმწიფო ბაჟის 98% – 6860 ლარი.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

#### **გ ა დ ა წ ვ ე ტ ა :**

1. გ. მ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 7 ივნისის გადაწყვეტილება და საქმეზე მიღებულ იქნას ახალი გადაწყვეტილება;
3. გ. მ-ის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს;
4. შპს «რ. გ-ს» დაეკისროს გ. მ-ის სასარგებლოდ პირგასამტეხლოს სახით 10000 ევროს ეკვივალენტი ლარი;
5. შპს «რ. გ-ს» დაეკისროს გ. მ-ის ადვოკატის მომსახურების საფასური – 400 ევროს ეკვივალენტი ლარი;
6. დანარჩენ ნაწილში გ. მ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდეს;
7. შპს «რ. გ-ს» დაეკისროს გ. მ-ის მიერ პირველ და საკასაციო ინსტანციაში გადახდილი სახელმწიფო ბაჟის 2%-ის – 180 ლარის ანაზღაურება;
8. გ. მ-ეს დაეკისროს შპს «რ. გ-ის» მიერ სააპელაციო ინსტანციაში გადახდილი სახელმწიფო ბაჟის 98%-ის – 6860 ლარის ანაზღაურება;
9. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

#### **პირგასამტეხლოს შემცირება სასამართლოს მიერ**

#### **გადაწყვეტილება საქართველოს სახელით**

**შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ვ. როინიშვილი,  
თ. თოდრია**

**დავის საგანი:** თანხის ანაზღაურება

**აღწერილობითი ნაწილი:**

სს «...ბანკმა» სარჩელი აღძრა სასამართლოში ქ. დ-ის მიმართ **101606,43** აშშ დოლარის გადახდისა და იპოთეკით დატვირთული ქონების რეალიზაციის შესახებ შემდეგი საფუძვლებით: **2008** წლის **7** მაისს მხარეთა შორის დაიდო **№1-503** საკრედიტო და იპოთეკის ხელშეკრულებები. გაფრთხილების მიუხედავად მოპასუხემ აღნიშნული ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულება არ შეასრულა.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და განმარტა, რომ მხარეთა შორის შეთანხმებული გრაფიკით იხდიდა კრედიტის თანხას. ბანკს არსებული დავალიანების შესახებ დეტალური ინფორმაცია მისთვის არ მიუწოდებია.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის **7** ოქტომბრის განჩინებით იპოთეკის საგნის რეალიზაციასთან დაკავშირებით მოთხოვნაზე საქმის წარმოება შეწყდა საარბიტრაჟო შეთანხმების არსებობის გამო. ამავე სასამართლოს **2010** წლის **26** ნოემბრის გადაწყვეტილებით კი სარჩელი დაკმაყოფილდა, ქ. დ-ს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა **96606,43** აშშ დოლარის გადახდა და სს «...ბანკის» მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – **5000** ლარის ანაზღაურება, რაც მოპასუხემ გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის **2011** წლის **8** აპრილის განჩინებით ქ. დ-ის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, ხოლო გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლო დადგინდად მიიჩნევს შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებს:

**2008** წლის **7** მაისს სს «...ბანკსა» და ქ. დ-ს შორის დაიდო **№1-503** საკრედიტო ხელშეკრულება, რომლის საფუძველზე ბანკმა მსესხებელ ქ. დ-ის სახელზე გასცა კრედიტი **90 000** აშშ დოლარის ოდენობით **60** თვის ვადით წლიური **20%** სარგებლის დარიცხვით. ხელშეკრულებით გათვალისწინებულია პირგასამტეხლო ვადაგადაცილებული თანხის **1.5%** ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე. მხარეები შეთანხმდნენ იმაზეც, რომ თანხის დაფარვა შეთანხმებული გრაფიკის მიხედვით მოხდებოდა.

ხელშეკრულების შეწყვეტისა და დავალიანების თანხის გადახდის თაობაზე მოპასუხე ქ. დ-ი ბანკის მიერ გაფრთხილებულ იქნა ოფიციალურად **2008** წლის **30** ოქტომბერსა და **2009** წლის **4** მარტს.

თანხის გადახდის გრაფიკი ქ. დ-მა პირველად **2008** წლის **7** სექტემბერს დაარღვია. გადახდის გრაფიკის აღნიშნული დარღვევა არ იყო ერთადერთი შემთხვევა ბანკისა და ქ. დ-ის ურთიერთობაში. აპელანტი ადასტურებს, რომ თანხის შეტანისას გადახდის გრაფიკით გაწერილი ვადები არაერთგზის დაარღვია.

მხარეთა პოზიციების გათვალისწინებით სასამართლოს მიერ უდავოდ დადგინდა ფაქტობრივ გარემოებად არის მიჩნეული, რომ **2008** წლის **7** მაისს, ბანკის მიერ ზედმეტად იქნა ჩამოჭრილი ქ. დ-ისათვის სესხის გაცემის საკომისიო თანხა – **450** აშშ დოლარი. აღნიშნული თანხის ჩამოჭრის უკანონობა ბანკმა აღიარა.

ბათუმის საქალაქო სასამართლოში მიმდინარეობს დავა ქ. დ-ის სარჩელის გამო სს «...ბანკთან», სადაც დავის საგანს სწორედ ბანკის მიერ **2008** წლის მაისში ქ. დ-ისათვის უკანონოდ ჩამოჭრილი **450** აშშ დოლარი და ამის გამო ქ. დ-ის მიერ განცდილი ზიანი წარმოადგენს.

სასამართლოს მითითებით, აპელანტი სადავოდ არ ხდის იმ გარემოებას, რომ მის მიერ ვადის დარღვევით ბანკში განხორციელებული შენატანები სრულად ფიქსირდებოდა შესაბამის ანგარიშზე, არამედ დავობს მხოლოდ იმაზე, რომ ვადის დარღვევით განხორციელებული შენატანისას იგი ფარავდა როგორც ძირ თანხას, ისე ვადაგადაცილების გამო პროცენტსა და საურავს სრულად. აღნიშნული კი გამორიცხავს მისი მხრიდან ბანკის წინაშე დავალიანების არსებობას პროცენტის, საურავისა და პირგასამტეხლოს სახით.

უდავო ფაქტობრივი გარემოებაა, რომ დავალიანების ძირითადი თანხის ოდენობის და გადახდის ვადაგადაცილებით სულ **61 549,06** აშშ დოლარს აპელანტი სადავოდ არ მიიჩნევს, ის დავობს მხოლოდ დარიცხულ პროცენტზე, ვადაგადაცილებულ პროცენტზე, ჯარიმასა და ვადაგადაცილების ძირ თანხაზე.

დადგენილი ფაქტობრივი გარემოებაა, რომ მოპასუხის მიერ ბანკში განხორციელებული შენატანები საკრედიტო ხელშეკრულებით გათვალისწინებული რიგითობის მიხედვით მიემართებოდა დავალიანების დასაფარავად და ნაწილდებოდა პროგრამულად, სადაც თანამშრომელთა ჩარევის შესაძლებლობა გამოირიცხება.

საქმეში წარმოდგენილი, ბანკის მიერ გაცემული ცნობის თანახმად, ქ. დ-ს სს «...ბანკში» **2010** წლის **4** აგვისტოს მდგომარეობით სასესხო ანგარიშზე ერიცხება დავალიანება **101 606,43** აშშ დოლარი. საიდანაც **61 549,06** არის ძირითადი, ვადაგადაცილებული ძირითადი თანხა – **13617,06** აშშ დოლარი, დარიცხული პროცენტი – **978,78** აშშ დოლარი, ვადაგადაცილებული პროცენტი და ჯარიმა კი – **25 460,88** აშშ დოლარი.

საქმეში წარმოდგენილია **2010** წლის **18** დეკემბრის დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა, რომელიც ქ. დ-ის მოთხოვნის საფუძველზე იქნა შედგენილი. აუდიტის წინაშე გადასაწყვეტად შემკვეთი ქ. დ-ი აყენებდა საკითხს **2010** წლის **10** მარტის მდგომარეობით დააბრუნა თუ არა სს «...ბანკმა» **450** აშშ დოლარი ქ. დ-ის მიმდინარე სავალუტო ანგარიშზე და მოახდინა თუ არა დაბრუნებული თანხის მიხედვით სესხისა და მასთან დაკავშირებული ანგარიშების კორექტირება **2008** წლის **7** სექტემბრის მდგომარეობით, **2008** წლის **8** მაისის **№ 1-503** საკრედიტო ხელშეკრულების პირობების ფარგლებში. დასკვნის თანახმად, ქ. დ-ის მიერ დასმულ შეკითხვებზე მოსაზრების გამოთქმაზე აუდიტმა უარი განაცხადა იმ მოტივით, რომ ბანკის მიერ ქ. დ-ისათვის გადაცემული დოკუმენტები იყო

ბუნდოვანი და გაუგებარი, ამასთან, აუდიტი დასკვნით ითხოვდა გარკვეულ დოკუმენტებს, რომელიც მას სრულყოფილი დასკვნის გაკეთების შესაძლებლობას მისცემდა.

სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვისას დაკმაყოფილდა ქ. დ-ის წარმომადგენლის შუამდგომლობა სააპელაციო საჩივარზე დართული და დამატებით მტკიცებულებათა ბანკიდან გამოთხოვის თაობაზე და სს «...ბანკიდან» გამოთხოვილ იქნა დამატებითი მტკიცებულებები, სესხის ამონაწერი და გადახდის ის გრაფიკი, კონკრეტული თანხების მითითებით, რომლითაც ქ. დ-ი ახდენდა სასესხო ანგარიშზე თანხების შეტანას. აღნიშნულ მტკიცებულებათა წარდგენის შემდეგ ქ. დ-ს (მის წარმომადგენელს) არ წარმოუდგენია სასამართლოსათვის საპირისპირო მტკიცებულებები (აუდიტის დასკვნა), რომლის მოპოვებაც მას ახალი მტკიცებულებების საფუძველზე შეეძლო და რომელიც დაადასტურებდა აპელანტის პოზიციას მითითებულ საკითხთან დაკავშირებით, შესაბამისად, გააბათილებდა ბანკის პოზიციას გადაუხდელ თანხებთან დაკავშირებით.

პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვისას დაიკითხა სპეციალისტი, რომელმაც განმარტა, რომ 450 აშშ დოლარი არ შედის იმ დავალიანების თანხაში, რომლის დაკისრებაც ამჟამად მოსარჩელე მოპასუხისაგან ითხოვს. სპეციალისტმა განმარტა, რომ 2009 წლის 10 მარტის მდგომარეობით, სრულად იქნა გამორკვეული 450 აშშ დოლარის მოძრაობა, მისი ჩათვლა დასაფარავ სესხში და აღნიშნული თანხის დანაკლისით გამოწვეული პროცენტები, და მასზე დარიცხული ჯარიმები გამოაკლდა გადასახდელ თანხას. განმარტებულ იქნა ისიც, რომ დღეის მდგომარეობით მოთხოვნილ დავალიანების თანხაში არ შედის 450 აშშ დოლარის მოპასუხის მიერ შეუტანლობით დარიცხული რაიმე სახის სანქცია, პროცენტი და 2009 წლის 10 მარტის მდგომარეობით ის დავალიანების სახით გათვალისწინებული არ არის.

სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ მხარეთა შორის წარმოშობილი სამართლებრივი ურთიერთობა ვალდებულებითი სამართლის, კერძოდ, სესხის ხელშეკრულებიდან გამომდინარე სამართლებრივი ნორმებით უნდა მოწესრიგდეს. სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო კოდექსის 316-ე მუხლის პირველი ნაწილით, 317-ე მუხლის პირველი ნაწილით, 623-ე მუხლით, 867-ე, 873-ე მუხლებით და მიუთითა, რომ ქ. დ-მა არაერთგზის გადააცილა გრაფიკით გათვალისწინებულ ვადაში თანხის გადახდას (რასაც არც აპელანტი უარყოფს), შესაბამისად, მოსარჩელეს საკმარისი საფუძველი გააჩნდა, ვალდებულება დარღვეულად მიეჩნია მსესხებლის მხრიდან და შეეწყვიტა მასთან ხელშეკრულება.

სამოქალაქო კოდექსის 50-ე მუხლის თანახმად, 2008 წლის 7 მაისს '81-503 საკრედიტო ხელშეკრულებით მხარეებმა სწორედ თავიანთი ნების საფუძველზე ურთიერთშორის სესხის ხელშეკრულება დადეს, რომელიც ითვალისწინებდა პროცენტს, ხოლო ვადაგადაცილების და არაჯეროვანი შესრულებისათვის გარკვეულ სანქციებს. პალატამ გაითვალისწინა ის ფაქტობრივი გარემოება, რომ ქ. დ-ი არაჯეროვნად ასრულებდა 2008 წლის 7 მაისის '81-503 საკრედიტო ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს და ჩათვალა, რომ ბანკმა სწორად შეუწყვიტა ხელშეკრულება ქ. დ-ს და მართებულად დააყენა მოთხოვნა ხელშეკრულების შეწყვეტის დროისათვის შესასრულებელ ვალდებულებებთან დაკავშირებით.

სპეციალისტის განმარტებითა და ბანკიდან წარმოდგენილი ამონაწერებით სასამართლომ დაადგინა, რომ 2009 წლის 10 მარტის მდგომარეობით 450 აშშ დოლარი (2008 წლის მაისში ქ. დ-ისათვის უსაფუძვლოდ ჩამოჭრილი) ჩათვალა დასაფარ სესხში და აღნიშნული თანხის დანაკლისით გამოწვეული ნებისმიერი სანქცია, პროცენტები და ჯარიმა განულებულ იქნა, რის გამოც იგი არ არის გათვალისწინებული იმ თანხაში, რასაც მოსარჩელე ქ. დ-ს ედავება.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის, 105-ე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად, სასამართლომ დადასტურებულად მიიჩნია მოსარჩელის მოთხოვნა ქ. დ-ისათვის 2010 წლის 4 აგვისტოს მდგომარეობით 101606,43 აშშ დოლარის დაკისრების თაობაზე.

რაც შეეხება პირგასამტეხლოს, პალატა მიიჩნევს, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ იგი გონივრული ოდენობით შეამცირა და მასში რაიმე კორექტივის შეტანის საფუძველი სამოქალაქო კოდექსის 420-ე მუხლის გათვალისწინებით არ არსებობს.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება ქ. დ-მა გაასაჩივრა კასაციო წესით, მოითხოვა მისი გაუქმება და საქმის დაბრუნება იმავე სასამართლოსათვის ხელახლა განსახილველად შემდეგ გარემოებათა გამო: სს «...ბანკს» კეთილსინდისიერად არ განუხორციელებია თავისი მოვალეობები კასატორის წინაშე და უკანონოდ ჩამოაჭრა 450 აშშ დოლარი, რის შესახებაც ბანკისათვის ჯერ კიდევ 2008 წლის სექტემბერში იყო ცნობილი (ბანკის წარმომადგენლები ამას სააპელაციო სასამართლოს სხდომებზეც ადასტურებდნენ), თუმცა 2009 წლის მარტამდე თანხა არ დაუბრუნებია და, '81-503 საკრედიტო ხელშეკრულების 4.8 პუნქტის შესაბამისად, ამ თანხის კრედიტის დასაფარად სრულად ჩარიცხვის შესახებ საკითხი კვლავ ღიადაა დარჩენილი.

ბანკი კასატორს არ აწვდიდა საკრედიტო ხელშეკრულების 4.3, 8.1, 8.3 და 12.7 პუნქტებით გათვალისწინებულ ინფორმაციებს, რითაც შეცდომაში შეჰყავდა იგი და ხელოვნურად უქმნიდა მძიმე მატერიალურ მდგომარეობას კრედიტთან დაკავშირებით.

სამოქალაქო კოდექსის 115-ე მუხლის დანაწესიდან გამომდინარე, ბანკი ბოროტად იყენებდა თავის უფლებას, მიეღო კასატორისაგან საკრედიტო ხელშეკრულებით გათვალისწინებული სარგებელი. მოწინააღმდეგე მხარის პოზიციის გათვალისწინების შემთხვევაში, კასატორი ვადას აცილებდა 2009 წლის აპრილიდან, მაშინ 2008 წლის 30 ოქტომბრის და 2009 წლის 4 მარტის გაფრთხილებები აზრს კარგავს და სწორედ 2009 წლის აპრილიდან ბანკი, კასატორის საქმის კურსში ჩაუყენებლად, მიმართავდა მის მიერ ბანკში შეტანილ თანხებს პირგასამტეხლოსა და სხვა საჯარიმო დავალიანებების დასაფარად და 2010 წლის აგვისტომდე არ დაუყენებია საკითხი კრედიტის უზრუნველსაყოფად იპოთეკით დატვირთული ქონების რეალიზაციის თაობაზე. ამდენად, ბანკი მაქსიმალურად ცდილობდა, კასატორისაგან დაფარულად, საკრედიტო ხელშეკრულების უგულებელყოფით, პირგასამტეხლოს

და სხვა სახის ჩათვლების მიღების გზით მიეღო სარგებელი. ამასთან, საბოლოოდ მოეხდინა იპოთეკის საგნის რეალიზაცია, რის საფუძველიც მას წარმოექმნა 2009 წლის აპრილში, ხოლო მოთხოვნა წარადგინა 16 თვის შემდეგ და ამ ხნის განმავლობაში სავალდებულო ინფორმაციის გაუცემლობით კასატორს წინასწარ განზრახვლად უქმნიდა მძიმე მდგომარეობას.

სასამართლომ არ გაითვალისწინა, რომ ბანკი ვალდებულებას, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 361-ე მუხლის შესაბამისად, არ ასრულებდა. დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ ბანკს «კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ» საქართველოს კანონის მე-19 მუხლის მესამე ნაწილის მიხედვით, კანონის საფუძველზე წარმოშობილი ვალდებულება კასატორის წინაშე საერთოდ უგულებელყოფილი აქვს.

კასატორს კრედიტის დასაფარად პრობლემა შეექმნა 2008 წლის 7 სექტემბერს. მან 1758 აშშ დოლარი გადაიხადა 2008 წლის 15 სექტემბერს (გრაფიკის მიხედვით კრედიტის დასაფარად თანხა ბანკში უნდა შესულიყო ყოველი თვის 7 რიცხვში 2384,45 აშშ დოლარის ოდენობით), ბუნებრივია აქ ფაქტობრივი დარღვევაა, მაგრამ სასამართლოს უნდა გაეთვალისწინა, რომ 2008 წლის 7 სექტემბერს კასატორის ანგარიშზე უნდა ყოფილიყო ბანკის მიერ უკანონოდ ჩამოჭრილი 450 აშშ დოლარი და ეს თანხა საკრედიტო ხელშეკრულების პირობის მიხედვით ავტომატურად ჩარიცხულიყო კრედიტის დასაფარად, ამასთან, წინა სამი თვის გადასახადი კასატორმა 46,65 აშშ დოლარით მეტი გადაიხადა (2008 წლის ივნისი, ივლისი, აგვისტო; ამ თვეებში გრაფიკით დადგენილი 2384,45 აშშ დოლარის ნაცვლად ბანკში გადახდილი იყო 2400 აშშ დოლარი) და ეს თანხაც მას კრედიტის დასაფარად უნდა ჩათვლოდა. ამდენად, 2008 წლის სექტემბერში გადახდილია 1758+450+46,65=2254,65 აშშ დოლარი.

2008 წლის აგვისტოს მოვლენების (რუსეთ-საქართველოს ომი) პერიოდში და მისი თანმდევი გარემოებების არსებობისას ბანკსა და კასატორს შორის ამოქმედდა საკრედიტო ხელშეკრულების 11.2 პუნქტის პირობები, რადგან 2008 წლის 7 სექტემბერს ხდებოდა აგვისტოს გადასახადის გადახდა, ამდენად, დანაკლისის შესავსებად შესატანზე მხარეები ერთმანეთში დამატებით უნდა მორიგებულიყვნენ, თუმცა ამ პროცედურებს ბანკმა აგრესიული პოზიციის დაფიქსირებით აარიდა თავი და არათუ დავალიანების დაუყოვნებლივ, არამედ მთლიანი კრედიტის დაბრუნება მოითხოვა ორი კვირის განმავლობაში. ბანკმა თავისი ბრალეული ქმედებებით გამოიწვია იმ სავარაუდო ზიანის წარმოშობა, რაზედაც თავად აცხადებს პრეტენზიას.

სააპელაციო სასამართლომ არ გამოიყენა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 160-ე მუხლი, ვინაიდან 2008 წლის აგვისტოში საქართველოში განვითარებული მოვლენები იყო 7 სექტემბრის გადასახადთან დაკავშირებით წარმოშობილი პრობლემის საფუძველი და არა კასატორის მხრიდან საკრედიტო ხელშეკრულების ბრალეულად დარღვევა.

ბათუმის საქალაქო სასამართლოში მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომლის მიხედვითაც სს „...ბანკს« დაეკისრა ქ. დ-ის სასარგებლოდ 560,25 აშშ დოლარის გადახდა და რადგან მხარეს ამ გადაწყვეტილების ფორმალურად გასაჩივრების უფლება ჰქონდა, მხარემ მოითხოვა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 279-ე მუხლის „დ« პუნქტის მიხედვით საქმის შეჩერება გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე ან სხვა რაიმე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე.

სასამართლომ არასწორად განმარტა სამოქალაქო კოდექსის 873-ე მუხლის დანაწესი. 2008 წლის 30 ოქტომბრის და 2009 წლის 4 მარტის გაფრთხილებები შესრულდა არასწორად. ბანკი ამტკიცებს, რომ კასატორმა ვადა გადააცილა 2009 წლის აპრილიდან და ბუნებრივია, მანამდე გაფრთხილების წერილების არსებობას არანაირი იურიდიული მნიშვნელობა არა აქვს. სხვა გაფრთხილება კასატორს არ ჩაბარებია. სამოქალაქო კოდექსის 873-ე მუხლის შინაარსიდან გამომდინარე, გაფრთხილება ორკვირიანი ვადის მიცემით უნდა მოხდეს წარმოშობილი დავალიანების დაფარვის მიზნით და არა მთლიანი კრედიტის დაფარვის მოთხოვნით. 2008 წლის 30 ოქტომბრის გაფრთხილების წერილში გადასახდელი თანხა საერთოდ არ იყო მითითებული, ხოლო 2009 წლის 4 მარტის ხელმოწერილ და აბსურდული შინაარსის წერილში ბანკი 5000 აშშ დოლარამდე ზედმეტი თანხის გადახდას ითხოვდა კასატორისაგან. სწორედ აღნიშნულით გამოწვეული დაპირისპირების გამო დააბრუნა უკანონოდ მითვისებული 450 აშშ დოლარი და არა ნებაყოფლობით.

### სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საკასაციო საჩივრის საფუძველების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ქ. დ-ის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 404-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება).

მოცემულ შემთხვევაში საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო პალატამ სწორად დაადგინა და კასატორს დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია არ წარმოუდგენია საქმისათვის მნიშვნელოვან შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით:

2008 წლის 7 მაისს სს „... ბანკსა« და ქ. დ-ს შორის დაიდო №1-503 საკრედიტო ხელშეკრულება, რომლის საფუძველზე ბანკმა მსესხებელ ქ. დ-ის სახელზე გასცა კრედიტი 90 000 აშშ დოლარის ოდენობით 60 თვის ვადით წლიური 20% სარგებლის დარიცხვით. ხელშეკრულებით გათვალისწინებულ იქნა პირგასამტეხლო ვადაგადაცილებული თანხის 1.5% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე. თანხა უნდა დაფარულიყო შეთანხმებული გრაფიკის მიხედვით. აღნიშნული გრაფიკი ქ. დ-მა პირველად 2008 წლის 7 სექტემბერს, ხოლო შემდეგ კიდევ არა ერთხელ დაარღვია.

ხელშეკრულების შეწყვეტისა და დავალიანების თანხის გადახდის თაობაზე მოპასუხე ქ. დ-ი ბანკის მიერ გაფრთხილებულ იქნა ოფიციალურად **2008 წლის 30 ოქტომბერსა და 2009 წლის 4 მარტს**.

საკასაციო სასამართლო თვლის, რომ სააპელაციო პალატამ მართებულად გამოიყენა სამოქალაქო კოდექსის **873-ე** მუხლი, რომლის მიხედვით კრედიტის გამცემს შეუძლია შეწყვიტოს საკრედიტო ურთიერთობა, თუ გათვალისწინებულია კრედიტის დაბრუნება ნაწილ-ნაწილ და კრედიტის ამღებმა გადააცილა ზედიზედ, სულ ცოტა, ორ ვადას. შეწყვეტა ძალაში შედის მაშინ, თუ ორკვირიანი დამატებითი ვადის მიცემის შემდეგაც არ მოხდება გადახდა.

დასახელებული ნორმა კრედიტის ნაწილ-ნაწილ დაბრუნებისას საკრედიტო ურთიერთობის შეწყვეტას დასაშვებად მიიჩნევს იმ შემთხვევაში, თუ კრედიტის ამღები ნაკისრ ვალდებულებას ზედიზედ ორჯერ მაინც არ შეასრულებს.

საკასაციო სასამართლო იზიარებს კასატორის მითითებას და თვლის, რომ შესაძლოა, **2008 წლის აგვისტოში** საქართველოში განვითარებულ მოვლენებს გავლენა მოეხდინა ქ. დ-ის მიერ **2008 წლის სექტემბერში** ბანკის მიმართ შესრულების განხორციელებაზე, თუმცა პალატა განმარტავს, რომ აღნიშნული ფაქტი მხარეთა შორის ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობის შეწყვეტის საფუძველი არ გამხდარა. როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, ქ. დ-მა კრედიტის ნაწილ-ნაწილ შეტანის ვალდებულება არაერთხელ დაარღვია. მართალია, მას თანხა პერიოდულად შეჰქონდა, მაგრამ არა დროულად და გრაფიკით გათვალისწინებულ ვადებში. მიუხედავად ასეთი ვალდებულების არარსებობისა, ბანკმა კრედიტის ამღები ორჯერ უშედეგოდ გააფრთხილა ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე.

ამდენად, მხარეთა შორის არსებული ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობა მართლზომიერად შეწყდა და სრულიად დასაბუთებულია ბანკის მოთხოვნა საკრედიტო ხელშეკრულების შეწყვეტის დროისათვის შესასრულებელ მოვალეობათა შესრულების თაობაზე.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს კასატორის მოსაზრებებს სს «... ბანკის» მხრიდან ხელშეკრულებების არაჯეროვნად შესრულებისა და უფლების ბოროტად გამოყენების შესახებ, რადგან მითითებული გარემოებანი, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის **102-ე** მუხლის შესაბამისად, სათანადოდ დასაბუთებული არ არის. რაც შეეხება ბანკის მიერ უკანონოდ ჩამოჭრილ **450 აშშ დოლარს**, გასაჩივრებული განჩინებით დადგენილია, რომ **2009 წლის 10 მარტის** მდგომარეობით **450 აშშ დოლარი** ჩაითვალა დასაფარ სესხში და აღნიშნული თანხის დანაკლისით გამოწვეული ნებისმიერი საჩქეია, პროცენტი და ჯარიმა განულდა, შესაბამისად, იგი სადავო თანხაში გათვალისწინებული არ არის.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო ძირითადად ეთანხმება სააპელაციო პალატის დასაბუთებას, თუმცა მიიჩნევს, რომ ქვედგომი ინსტანციის სასამართლოებმა არასწორად განსაზღვრეს პირგასამტეხლოს ოდენობა, კერძოდ:

სამოქალაქო კოდექსის **417-ე** მუხლის თანახმად, პირგასამტეხლო – მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრული ფულადი თანხა – მოვალე უნდა გადაიხადოს ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის. ამავე კოდექსის **418-ე** მუხლის მიხედვით, ხელშეკრულების მხარეებს შეუძლიათ თავისუფლად განსაზღვრონ პირგასამტეხლო, რომელიც შეიძლება აღემატებოდეს შესაძლო ზიანს. ამავე კოდექსის **420-ე** მუხლების შესაბამისად კი, სასამართლოს შეუძლია საქმის გარემოებათა გათვალისწინებით შეამციროს შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლო.

ხსენებული ნორმების შინაარსიდან გამომდინარე, ხელშეკრულების დადებისას მხარეებს უფლება აქვთ, შეთანხმდნენ გარკვეული თანხის – პირგასამტეხლოს გადახდაზე იმ შემთხვევაში, თუ მოვალე არ შეასრულებს ან არაჯეროვნად შეასრულებს ნაკისრ ვალდებულებას. მითითებული თანხის ოდენობის განსაზღვრას კანონმდებელი მხარეთა შეთანხმებას მიაწოდებს, თუმცა აღნიშნული არ ნიშნავს, რომ პირგასამტეხლოს დაკისრებით კრედიტორმა არათანაზომიერად დიდი სარგებელი მიიღოს. ამდენად, პირგასამტეხლოს ოდენობა შეუზღუდავი არ არის. სასამართლო უფლებამოსილია, შეამციროს იგი დავის კონკრეტული გარემოებების შესაბამისად.

განსახილველ შემთხვევაში მხარეთა შორის დადებული საკრედიტო ხელშეკრულების **8.1** მუხლის მიხედვით, ბანკი უფლებამოსილია, გადახდევინოს მსესხებელს პირგასამტეხლო შესაბამისი გადასახდელი თანხის **1,5%-ის** ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

როგორც პირველი ინსტანციის, ისე სააპელაციო სასამართლოებმა მხარეთა თანასწორობის პრინციპზე დაყრდნობით შეამცირეს სასარჩელო განცხადებით ბანკის მიერ მოთხოვნილი პირგასამტეხლოს ოდენობა – **25460,88 აშშ დოლარი 20460,88 აშშ დოლარამდე**.

საკასაციო პალატა ეთანხმება იმ მოსაზრებას, რომ მოსარჩელის მიერ პირგასამტეხლოს სახით მოთხოვნილი თანხა შეუსაბამოდ დიდია მოცემული ტიპის სასესხო ვალდებულების გათვალისწინებით და იგი უნდა შეამცირდეს, თუმცა **5000 აშშ დოლარით** მისი შემცირება არ არის საკმარისი. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემული დავისათვის პირგასამტეხლოს მხარეთა მიერ შეთანხმებული თანხის **1,5%-ით** გაანგარიშება არამართლზომიერია და მის გონივრულ და სამართლიან ოდენობას წარმოადგენს **11000 აშშ დოლარი**.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო პალატის გასაჩივრებული განჩინება უნდა გაუქმდეს ქ. დ-ისათვის პირგასამტეხლოს ოდენობის განსაზღვრის ნაწილში და ამ ნაწილში მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება, სს «... ბანკის» სარჩელი ქ. დ-ისათვის პირგასამტეხლოს დაკისრების თაობაზე დაკმაყოფილდეს მხოლოდ **11000 აშშ დოლარის** ნაწილში, დანარჩენ ნაწილში კი გასაჩივრებული განჩინება უნდა დარჩეს უცვლელად.

**სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე, 410-ე მუხლებით და

### გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

ქ. დ-ის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს.  
გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 8 აპრილის განჩინება ქ. დ-ისათვის პირგასამტეხლოს ოდენობის განსაზღვრის ნაწილში და ამ ნაწილში მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება.

სს «... ბანკის» სარჩელი პირგასამტეხლოს დაკისრების შესახებ ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს.

ქ. დ-ს სს «... ბანკის» სასარგებლოდ დაეკისროს პირგასამტეხლო 11000 აშშ დოლარის ოდენობით.

დანარჩენ ნაწილში განჩინება დარჩეს უცვლელად.

საკასაციო პალატის გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობანი

### საზიარო უფლების გაუქმება ნატურით გაყოფისას

#### განჩინება

1ას-1125-1389-09

26 მარტი, 2010 წ., ქ.თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),

ნ. კვანტალიანი (მომხსენებელი),

ლ. ლაზარაშვილი

**დავის საგანი:** საზიარო უფლების გაუქმება

#### აღწერილობითი ნაწილი:

თ. ჟ-მ სარჩელი აღძრა სასამართლოში ტ. კ-ოვის მიმართ საზიარო უფლების გაუქმებისა და მიწის ნაკვეთის გამოჯვანის, ასევე უკანონოდ აგებული შენობის აღების შესახებ შემდეგი საფუძვლებით: 1996 წლის 5 მარტის ხელშეკრულების საფუძველზე მოსარჩელემ მოპასუხისაგან შეიძინა ქ.თბილისში, ... ქ.16-ში მდებარე სახლის 1/3 საკარმიდამო მიწის ნაკვეთითურთ, ხოლო მოპასუხეს ეკუთვნის აღნიშნული უძრავი ქონების 2/3. 1999 წლის 28 ოქტომბრის უძრავი ქონების სარეგისტრაციო მოწმობის თანახმად, მთლიანი ნაკვეთი 902 კვ.მ-ს შეადგენს და არის მხარეთა თანასაკუთრება. მხარეები თავიდანვე შეთანხმდნენ, რომ გზა, რომლითაც მოპასუხე სარგებლობდა, დარჩებოდა საერთო სარგებლობაში, რადგან იგი მოსარჩელის სახლამდე მისასვლელად ერთადერთი საშუალება იყო. მოპასუხემ შეთანხმება დაარღვია და თ. ჟ-ს ხსენებული გზით სარგებლობის შესაძლებლობას არ აძლევს. ტ. კ-ოვმა გადაღობა შესასვლელი გზა ბეტონის კონსტრუქციით და მოსარჩელის კუთვნილ ფართზე წამოიწყო მშენებლობა. კუთვნილი რეალური წილის დადგენის მიზნით მოსარჩელემ მიმართა შპს «პ-ს», რომელმაც ზუსტად დაადგინა თითოეული მხარის წილის საზღვრები. ურთიერთგამიჯვნის სქემატური ნახაზის მიხედვით, ტ. კ-ოვის მიერ ახლად აშენებული შენობა მთლიანად თ. ჟ-ის ფართში მოექცა, რის გამოც იგი აღებულ უნდა იქნეს, ხოლო მიწის ნაკვეთი უნდა გაიმიჯნოს ზემოხსენებული ნახაზის შესაბამისად.

მოგვიანებით მოსარჩელემ დააზუსტა სასარჩელო მოთხოვნა და მოითხოვა სადავო მიწის ნაკვეთების გამიჯვნა ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2008 წლის 1 დეკემბრის ექსპერტის დასკვნის მიხედვით.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო შემდეგი მოტივებით: დასკვნების საფუძველზე მხარეთა თანასაკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე საზიარო უფლების გაუქმება შეუძლებელია. ექსპერტმა მიწის ნაკვეთის პირველად აზომვით თ. ჟ-ის კუთვნილ ნაწილად მიუთითა 281 კვ.მ, ხოლო მეორე აზომვისას მოსარჩელის კუთვნილი ნაწილის ქვედა საზღვარი ვერ დაადგინა. ამდენად, მიწის ნაკვეთის ზომა არასწორადაა დადგენილი. ექსპერტი გასცდა თავისი კომპეტენციის ფარგლებს და დასკვნაში იმსჯელა ისეთ საკითხებზე, რაც სასამართლოს არ დაუვალება. დასკვნა არ უნდა იქნეს გაზიარებული, რადგან მის საფუძველზე თ. ჟ-ს უკანონოდ მიეკუთვნა ტ. კ-ოვის კუთვნილი ნაკვეთი.

ტ. კ-ოვმა, ს. ი-ოვამ და ს. ა-ოვამ შეგებებული სარჩელით მიმართეს სასამართლოს თ. ჟ-ისა და ნოტარიუს თ. გ-შვილის მიმართ ტ. კ-ოვსა და თ. ჟ-ს შორის დადებული ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობისა და ახალი გარიგების დადების დავალდებულების თაობაზე. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 25 ოქტომბრის განჩინებით შეგებებული სარჩელი დარჩა განუხილველად, რაც უცვლელად დარჩა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 17 მარტის განჩინებით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 26 დეკემბრის გადაწყვეტილებით თ. ჟ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რაც მოსარჩელემ გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 29 ივლისის გადაწყვეტილებით თ. ჟ-ის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გასაჩივრებული გადაწყვეტილება გაუქმდა და თ. ჟ-ის სარჩე-

ლი დაკმაყოფილდა, გაუქმდა საზიარო უფლება ქ.თბილისში, ... ქ'6-ში მდებარე ტ. კ-ოვისა და თ. ჟ-ის თანასაკუთრებაში არსებულ 902 კვ.მ მიწის ნაკვეთსა და მასზე განთავსებულ შენობა-ნაგებობებზე. 2008 წლის 1 დეკემბრის საინჟინრო-ტექნიკური ექსპერტიზის დასკვნის 12 დანართის შესაბამისად, თ.ჟ-ის საკუთრებაში აღირიცხა ქ.თბილისში, ... ქ'6-ში მდებარე 300.66 კვ.მ მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობები, როგორც ეს მოცემულია ამავე დასკვნის დანართ 12-ში, ყვითელ ფერში, ტ. კ-ოვის საკუთრებაში აღირიცხა ქ. თბილისში, ... ქ'6-ში მდებარე 601,34 კვ.მ მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობები, რაც საინჟინრო-ტექნიკური ექსპერტიზის დასკვნის დანართ 12-ში აღნიშნულია ლურჯ ფერში, მოხდა ქ.თბილისში, ... ქ'6-ში მდებარე 902 კვ.მ მიწის ნაკვეთში მოწყობილი ბლოკის კაპიტალური ღობის დემონტაჟი, რომელიც მითითებული ექსპერტიზის დასკვნის დანართ 11-ში მოცემულია წითელ ფერში და მის ნაცვლად მოეწყო ახალი კაპიტალური ღობე, დანართ 12-ში მითითებული ზომების დაცვით, რომელიც ამავე დანართში მითითებულია წითელ ფერში. გაუქმდა ტ.კ-ოვის ფაქტობრივ მფლობელობაში არსებული 11 შენობა-ნაგებობის (საცხოვრებელი სახლის) უკანა საყრდენ კედელში მოწყობილი ფანჯრის ღობი საინჟინრო-ტექნიკური ექსპერტიზის დასკვნის დანართ 11-ის მიხედვით. მითითებული სამუშაოების ხარჯების ანაზღაურება თანაბარწილად დაეკისრათ მოსარჩელესა და მოპასუხეს შემდეგ გარემოებათა გამო: სასამართლომ დაადგინა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებანი: 1996 წლის 5 მარტის ნასყიდობის ხელშეკრულებით თ.ჟ-მა ტ.კ-ოვისაგან იყიდა ქ.თბილისში, ... ქუჩის 16-ში მდებარე 895 კვ.მ მიწის ნაკვეთზე განლაგებული საცხოვრებელი სახლის (სასარგებლო ფართი – 129,97 კვ.მ) 1/3 ნაწილი. 1999 წლის 7 ოქტომბრის 13511/99 მიწის საკუთრების სარეგისტრაციო მოწმობის თანახმად, ამ მისამართზე მდებარე 902 კვ.მ მიწის ნაკვეთისა და მასზე განლაგებული 129,97 კვ.მ შენობა-ნაგებობების 2/3-ის მესაკუთრეა ტ.კ-ოვი, ხოლო 1/3 ნაწილის – თ.ჟ-ი. პალატამ არ გაიზიარა ტ.კ-ოვის მოსაზრება, რომ მან თ.ჟ-ს მიჰყიდა სადავო უძრავი ქონების 1/4 და არა – 1/3 ნაწილი და მიიჩნია, რომ ხსენებული გარემოება მოპასუხის მიერ მითითებული 1996 წლის 5 მარტის ნასყიდობის ხელშეკრულებით არ დასტურდება და ზემოხსენებული მიწის საკუთრების სარეგისტრაციო მოწმობის მონაცემთა საწინააღმდეგოდ მოპასუხეს რაიმე მტკიცებულება არ წარმოუდგენია. სასამართლომ ასევე დაადგინა, რომ «ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს» 2008 წლის 1 დეკემბრის საინჟინრო-ტექნიკური ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილება და საზიარო უფლების გამიჯვნა შესაძლებელია. „დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების დამტკიცების თაობაზე“ ეკონომიკური განვითარების სამინისტროს 2008 წლის 8 ივლისის 11-1/1254 ბრძანების 26-ე მუხლის მე-15 პუნქტიდან გამომდინარე, სასამართლომ მიიჩნია, რომ მიწის ნაკვეთის გამიჯვნის შემთხვევაში 11 შენობის უკანა საყრდენ კედელში მოწყობილი ერთი ფანჯრის ღობის დატოვებით დაირღვევა დასახლებული აქტის მოთხოვნები, შესაბამისად, ეს ფანჯარა უნდა გაუქმდეს, ვინაიდან შენობის საყრდენი კედელი, რომელშიც აღნიშნული ფანჯარაა მოწყობილი, მიწის ნაკვეთის მოცემული ვარიანტით გამიჯვნის შემთხვევაში ორ მეზობელს შორის არსებულ საზღვარს წარმოადგენს. პალატის მითითებით, მხარეები არ დაობენ მათ მიერ ფაქტობრივად დაკავებულ შენობა-ნაგებობებზე, გარდა 14 ნაგებობისა, რომელიც მოპასუხე ტ. კ-ოვის ფაქტობრივ მფლობელობაში იმყოფება და 2008 წლის 1 დეკემბრის საინჟინრო-ტექნიკური ექსპერტიზის დასკვნის 11 დანართში მითითებულია, როგორც საცხოვრებელი ოთახი. სასამართლომ მხარეთა ახსნა-განმარტებებით დაადგინა, რომ მათ თანასაკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის გამყოფი ბლოკის კაპიტალური ღობე მოპასუხე ტ. კ-ოვმა მოაწყო მოსარჩელესთან შეთანხმების გარეშე. სამოქალაქო კოდექსის 953-ე, 961-ე და 963-ე მუხლებზე დაყრდნობით პალატამ მიიჩნია, რომ მითითებული დასკვნა საინჟინრო-ტექნიკური ნორმების დაცვით, ტექნიკურად შესაძლებლად მიიჩნევს ქ.თბილისში, ... ქუჩის 16-ში მდებარე თანასაკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის გაყოფას მოსარჩელისა და მოპასუხის კუთვნილი წილების შესაბამისად, ექსპერტიზის დასკვნის 12 დანართის მიხედვით. პალატა არ დაეთანხმა პირველი ინსტანციის სასამართლოს მოსაზრებას, რომ თ. ჟ-ის სასარჩელო მოთხოვნას წარმოადგენს მხოლოდ საერთო საკუთრების მიწის ნაკვეთის ნატურით გაყოფა, რაც შეუძლებელია, ვინაიდან ამ ნაკვეთის სხვადასხვა ადგილზე მდებარე შენობა-ნაგებობები კვლავ საერთო საკუთრების ობიექტად რჩება.

გადაწყვეტილება ტ. კ-ოვმა გაასაჩივრა საკასაციო წესით, მოითხოვა მისი გაუქმება და საქმის დაბრუნება იმავე სასამართლოსათვის ხელახლა განსახილველად შემდეგ გარემოებათა გამო: სასამართლომ არ გაითვალისწინა, რომ მხარეთა შორის სადავო ნასყიდობის ხელშეკრულება დაიდო კანონდარღვევით. ტ. კ-ოვს აქვს საშუალო სკოლის ოთხი კლასის განათლება, მან ქართულად წერა-კითხვა არ იცის და ხელს მხოლოდ რუსულად აწერს. გარიგების გაფორმებისას მხარეს მისი შინაარსი არ ეთარგმნა. ტ. კ-ოვმა სასამართლოს მოსამზადებელ სხდომაზე შეიტყო, რომ თ. ჟ-თან დადებული ხელშეკრულებით მან გაასხვისა ქონებიდან არა 1/4 წილი, როგორც თავად ვარაუდობდა, არამედ – 1/3. სასამართლოს ბოლო სხდომას არ დასწრებია ტ. კ-ოვის ადვოკატი, თუმცა სასამართლომ, კასატორის მოთხოვნის მიუხედავად, სხდომა არ გადადო და მხარემ ვერ შეძლო თავის დაცვა. საქმეში არსებული 2008 წლის 31 ივნისისა და 14 ნოემბრის დასკვნები განსხვავდება ერთმანეთისაგან. ექსპერტიზამ განმარტა, რომ მიწის ნაკვეთს აქვს ორი დამოუკიდებელი შესასვლელი და მხარეები დაკავებულ მიწის ნაკვეთებს უკავშირდებიან დამოუკიდებლად, მეზობელი მიწის ნაკვეთისგან იზოლირებულად. ნაკვეთს ... ქუჩის მხრიდან საზღვარი არ გააჩნია. თ. ჟ-ს დაკავებული აქვს 268 კვ.მ ნაკვეთი მაშინ, როცა მანამდე გაცემული ექსპერტიზის დასკვნით აღნიშნული ნაკვეთის ოდენობად მითითებული იყო 281 კვ.მ. აღსანიშნავია, რომ თ. ჟ-ის მიერ შპს «პ-ში» დაკვეთილი აზომვითი ნახაზის მიხედვით, ის ფლობს 301 კვ.მ-ს. აღნიშნულზე სასამართლოს არ უმსჯელია. პალატამ 2008 წლის 17 მარტის განჩინებით არ დააკმაყოფილა ტ. კ-ოვის, ს. ი-ოვასა და ს. ა-ოვას კერძო საჩივარი შეგებებული სარჩელის წარმოებაში მიღების შესახებ. სასამართლომ არ გაითვალისწინა, რომ შეგებებული სარჩელი შეიცავდა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებებს. სასამართლოს საქმეზე უნდა დაენიშნა მოსამზადებელი სხდომა. პალატას არ შეუფასებია ტ. კ-ოვის მიერ წარდგენილი არასამთავრობო კვლევითი ცენტრის «ა.-ე.-ს» დასკვნა, რომელიც, მართალია, იდეალურად არ ასახავს სადავო მდგომარეობას, მაგრამ სხვა დასკვნებთან შედარებით ობიექტუ-

რია. კასატორმა საჩივრით მიმართა ვაკე-საბურთალოს რაიონის პროკურატურას ექსპერტ ბ. ბ-მის მიერ დასკვნის გაყალბების გამო. აღნიშნული დასკვნის თანახმად, კასატორი ფლობს 281 კვ.მ ფართს, ხოლო «ა.-ე-ს» მითითებით – 321,10 კვ.მ-ს. სასამართლომ თავისი დასაბუთება დააფუძნა მხოლოდ ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნას, რითაც დაარღვია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის პირველი ნაწილის «ა» ქვეპუნქტი. სადავო ნაკვეთის გაყიდვამდე მხარეები შეთანხმდნენ, რომ თ. ჟ-ი თავის სახლს ააშენებდა ნ. კ-ოვის ნასახლარზე. მან ნამდვილად დაანგრია ნ. კ-ოვის სახლი, მაგრამ მშენებლობა დაიწყო «ნაკვეთების საზღვარზე, საზღვართან საცხოვრებელი სახლების, დამხმარე და სხვა ნაგებობების მშენებლობის წესის დამტკიცების შესახებ» საქართველოს ურბანიზაციისა და მშენებლობის მინისტრის 157 ბრძანების მე-3 მუხლის პირველი და მეორე პუნქტების დარღვევით.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს და საქმე დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს ხელახლა განსახილველად შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო არ მსჯელობს საკასაციო საჩივარში წარმოდგენილ მოთხოვნაზე თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 17 მარტის განჩინების გაუქმების თაობაზე, ვინაიდან აღნიშნული განჩინებით არ დაკმაყოფილდა ტ. კ-ოვის, ს. ი-ოვას, ს. ა-ოვასა და ნ. კ-ოვის კერძო საჩივარი თბილისის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 25 ოქტომბრის განჩინებაზე. მითითებული განჩინებით მხარეებს უარი ეთქვათ შეგებებული სარჩელის წარმოებაში მიღებაზე.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე მუხლის შესაბამისად, ზემდგომი სასამართლოს განჩინება კერძო საჩივრის თაობაზე არ გასაჩივრდება. დასახილველი ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, ზემდგომი სასამართლოს მიერ კერძო საჩივარზე მიღებული განჩინება საბოლოოა და საკასაციო წესით მისი გასაჩივრების შესაძლებლობას საპროცესო კანონმდებლობა არ ითვალისწინებს.

განსახილველ შემთხვევაში საკასაციო საჩივარში მითითებული თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 17 მარტის განჩინება სწორედ ზემოხსენებული კანონის დანაწესით გათვალისწინებულ კერძო საჩივარზე ზემდგომი სასამართლოს მიერ მიღებულ განჩინებას წარმოადგენს, რის გამოც საკასაციო საჩივრის შეტანის გზით მისი გასაჩივრება დაუშვებელია.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის თანახმად, გასაჩივრებული გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს, ვინაიდან მოცემულ დავაზე მტკიცებულებები საკმარისად და სათანადოდ არ არის გამოკვლეული და, შესაბამისად, საჭიროა მათი ხელახალი გამოკვლევა ფაქტობრივი გარემოებების სწორად დადგენის მიზნით.

საკასაციო სასამართლო, უპირველეს ყოვლისა, აღნიშნავს, რომ დაუსაბუთებელია საკასაციო საჩივრის არგუმენტი მხარეთა შორის დადებული ნასყიდობის ხელშეკრულების კანონდარღვევით შედგენისა და მისი პირობათა გაუთვალისწინებლობის თაობაზე. კასატორის ეს მოსაზრება მხოლოდ მის განმარტებას ეფუძნება და იგი რაიმე მტკიცებულებით გამყარებული არ არის. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის თანახმად კი მხარის მიერ მითითებულ გარემოებათა მტკიცების ვალდებულება თვით ამ მხარეს აკისრია და მისი შეუსრულებლობა ასეთი გარემოების არარსებულად მიჩნევის საფუძველია.

ასევე ყოველგვარ სამართლებრივ დასაბუთებასა მოკლებული საკასაციო საჩივრის პრეტენზია სასამართლოს მიერ მოსამზადებელი სხდომის მოუწვევლობით, ადვოკატის გამოუცხადებლობის მიუხედავად სხდომის ჩატარებითა და განუხილველად დატოვებულ შეგებულ სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებების გაუთვალისწინებლობით საპროცესო ნორმათა დარღვევებზე. საკასაციო საჩივარი ამ მიმართებით სრულიად დაუსაბუთებელია და იგი იურიდიულ არგუმენტაციას არ ემყარება.

გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველია მტკიცებულებათა არასრული გამოკვლევა და მის საფუძველზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების არასარწმუნოობა, კერძოდ:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლოსათვის არავითარ მტკიცებულებას არა აქვს წინასწარ დადგენილი ძალა. ამავე კოდექსის 172-ე მუხლის მიხედვით, ექსპერტის დასკვნა სასამართლოსათვის სავალდებულო არ არის და მისი შეფასება ხდება 105-ე მუხლით დადგენილი წესით, ხოლო 105-ე მუხლის მეორე ნაწილით სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც მას გამოაქვს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ.

აღნიშნული ნორმები იმპერატიულად ავალდებულებს სასამართლოს, საქმეში წარმოდგენილი ყველა მტკიცებულების როგორც ინდივიდუალურად, ასევე ერთობლივად სრულყოფილ და ობიექტურ გამოკვლევას და რაიმე გამონაკლისს რომელიმე მტკიცებულებისათვის უპირატესობის მინიჭების თაობაზე კანონი არ ითვალისწინებს. მტკიცებულების სრულყოფილად გამოკვლევა გულისხმობს თავდაპირველად მისი შინაარსის სრულყოფილ შესწავლა-ანალიზს, ხოლო შემდეგ მისი იურიდიული ძალის (დამაჯერებლობის, სარწმუნოობის) შემოწმებას.

მოცემულ შემთხვევაში დავის საგანს წარმოადგენს საზიარო უფლების ნატურით გაყოფა, რის მოსაწესრიგებლად სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება მთლიანად ეფუძნება ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2008 წლის 1 დეკემბრის საინჟინრო-ტექნიკური ექსპერტიზის დასკვნას და მიიჩნევს, რომ საზიარო ქონება ნატურით უნდა გაიყოს ექსპერტის დასკვნის შესაბამისად. მითითებული ექსპერტის დასკვნის კვლევით ნაწილში ექსპერტი აღწერს რა გამოსაკვლევი ობიექტის შესწავ-



ლის შედეგებს, უთითებს, რომ: «თანასაკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე დღეისათვის წარმოებულია რიგი მშენებლობები როგორც მოსარჩელის, ასევე მოპასუხის მხრიდან, რითაც გაზრდილია მათ მიერ დაკავებული მიწის ნაკვეთის გაბარიტული ზომები, ასევე ფაქტიური მდგომარეობით მოსარჩელის მიერ დაკავებულ თანასაკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე აღარ არის განთავსებული მე-2 და მე-6 ნაგებობები, ხოლო მოპასუხის მიერ თანასაკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე განთავსებული მე-4 ნაგებობის გაბარიტული ზომები და კონფიგურაცია არის შეცვლილი, ასევე 1-ელი და მე-4 ნაგებობებს შორის მოწყობილია სამშენებლო ბლოკით ნაშენი ღობე, რითაც გამოიწვია აღნიშნული მიწის ნაკვეთი. არსებულ მიწის ნაკვეთს აქვს ორი დამოუკიდებელი შესასვლელი, დღეისათვის მხარეები დაკავებულ მიწის ნაკვეთებთან დასაკავშირებლად სარგებლობენ დამოუკიდებლად, მეზობელი მიწის ნაკვეთისაგან იზოლირებულად».

იმ მოტივით, რომ ნაკვეთის უკანა მხარეს საზღვარი არ ფიქსირდება, ექსპერტი უთითებს, რომ შეუძლებელია მიწის ნაკვეთის საერთო ფართის დადგენა. აღნიშნულიდან გამომდინარე, ექსპერტი მოდავე მხარეთა წილების განსაზღვრასა და გამოიჯენას ახორციელებს არა მხარეთა მიერ რეალურად დაკავებული ფართების, არამედ საქმეში წარმოდგენილი საკადასტრო რუკის მიხედვით.

ამავდროულად, ექსპერტი გამოიჯენის მიზნით უკვე არსებული ფანჯრის ამოქოლვის აუცილებლობაზე უთითებს ნორმატიულ აქტს – ეკონომიკის სამინისტროს ბრძანება "1-1/1254-ს დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების დამტკიცების თაობაზე, რომლის 26-ე მუხლის მე-15 პუნქტის თანახმად: «სამშენებლო მიწის ნაკვეთის მიჯნის ზონაში შენობაზე შესაძლებელია მოეწყოს კარი, ფანჯარა, სამტრედე და კედელში არსებული სხვა ღია ნაწილი, ასევე აივანი და ერკერი თუ შენობის საანგარიშო ზედაპირი (რომლებზეც ასეთი ნაწილი არის განლაგებული) სამეზობლო საზღვრის შვეულ წარმოსახვით სიბრტყესთან ქმნის 75 გრადუსიდან 90 გრადუსამდე კუთხეს და სამეზობლო საზღვრიდან დაშორებულია არანაკლებ 0,6 მეტრით». აღნიშნულიდან გამომდინარე, ექსპერტი ასკვნის: «მიწის ნაკვეთის გამოიჯენის შემთხვევაში შენობა-ნაგებობა 1-ის უკანა საყრდენ კედელში მოწყობილი ერთი ფანჯრის ღობის დატოვებით დაირღვევა ზემოთაღნიშნულ ნორმატიულ აქტში მოცემული მოთხოვნები, შესაბამისად, აღნიშნული ფანჯარა უნდა გაუქმდეს (ამოშენდეს), ვინაიდან საყრდენი კედელი, რომელშიც მოწყობილია აღნიშნული ფანჯარა მიწის ნაკვეთის მოცემული ვარიანტით გამოიჯენის შემთხვევაში წარმოადგენს ორ მეზობელს შორის არსებულ საზღვარს».

ექსპერტის მიერ წარმოებული კვლევა და ზემოთ აღნიშნული დასკვნები ცხადად წარმოშობს საეჭვოობას, ვინაიდან ექსპერტი ასკვნის ისეთი ნივთის გამოიჯენის შესაძლებლობას, რომლის რეალურად არსებული ზომების დადგენას შეუძლებლად მიიჩნევს.

სამოქალაქო კოდექსის 963-ე მუხლის თანახმად, საზიარო უფლება უქმდება ნატურით გაყოფისას, თუ საზიარო საგანი (საგნები) შეიძლება დაიყოს ერთგვაროვან ნაწილებად ღირებულების შემცირების გარეშე.

მითითებული ნორმის გამოყენების აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს საზიარო საგნის ერთგვაროვან ნაწილებად გაყოფის რეალური შესაძლებლობა მათი ღირებულების შემცირების გარეშე. დავის შემთხვევაში სასამართლომ თავისი გადაწყვეტილებით უნდა დაასაბუთოს ასეთი წინაპირობის რეალურად არსებობა და გამორიცხოს ნივთის ღირებულების შემცირების საეჭვოობა. მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლომ უკრიტიკოდ გაიზიარა რა ექსპერტის დასკვნა, საზიარო უფლება მიწის ნაკვეთზე ნატურით იმგვარად გაყო, რომ არ დაადგინა ამავე მიწის ნაკვეთზე არსებული შენობა-ნაგებობების გაყოფის შესაძლებლობა მხარეთა მიერ რეალურად დაკავებული ფართების მიხედვით; ამავდროულად, არ შეუმოწმებია ამ შენობა-ნაგებობების განთავსების შესაბამისად მიწის ნაკვეთის გამოიჯენის შესაძლებლობა; ასევე არ დაუდგენია ექსპერტის დასკვნით წარმოდგენილი საზიარო საკუთრების ნატურით მხოლოდ ამ ვარიანტით გაყოფის აუცილებლობა.

საგულისხმოა ის გარემოება, რომ თ. ჟ-ს შეძენილი აქვს რა საზიარო ქონების 1/3 ნაწილი, ის სარჩელით ითხოვს არსებული მიწის ნაკვეთიდან სწორედ 1/3-ის მიკუთვნებას. შესაბამისად, ექსპერტის დასკვნით ვერ დგინდება რა რეალურად არსებული სადავო მიწის ნაკვეთის ფართის ოდენობა, სასამართლოს უნდა შეეფასებინა ამ დასკვნის საფუძველზე საზიარო ნივთის გამოიჯენის შესაძლებლობა.

გასაჩივრებული გადაწყვეტილებით სააპელაციო სასამართლომ დაადგინა რა საზიარო უფლების ნატურით გაუქმება, არ შეუფასებია სარჩელში მითითებული და მოპასუხე მხარის მიერ დადასტურებული გარემოება, რომ მოდავე მხარეები ნასყიდობის ხელშეკრულების დადებისას შეთანხმებული იყვნენ, თუ კონკრეტულად მიწის ნაკვეთის რომელი ნაწილი მასზე არსებული კონკრეტული შენობა-ნაგებობით უნდა გადასცემოდა შემძენს – თ. ჟ-ს. სამოქალაქო კოდექსის 958-ე მუხლი განიხილავს და უშვებს საზიარო საგნის მოწილეების მიერ საზიარო საგნის მართვისა და სარგებლობის წესის განსაზღვრას. აღნიშნული გარემოების გამორკვევას და დადგენას არსებითი მნიშვნელობა აქვს მოცემული დავის გადაწყვეტისათვის, ვინაიდან სააპელაციო სასამართლომ ისე დაადგინა მხარეთა თანასაკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთისა და მასზე არსებული შენობა-ნაგებობის გაყოფის კანონიერება, რომ არ გამოურიცხავს შენობა-ნაგებობების ღირებულების შემცირება. ამ ეჭვს წარმოშობს გაყოფის შედეგად ერთ-ერთ შენობაზე ფანჯრის ღობის ამოქოლვის დადგენა. ამ კუთხით სასამართლოს უნდა შეემოწმებინა, მითითებული ნაგებობა ფანჯრის ამოქოლვის შედეგად ხომ არ კარგავს თავის ღირებულებას და ვარგისია თუ არა იმავე დანიშნულებით გამოსაყენებლად, რა დანიშნულებითაც იგი ადრე იყო გამოყენებული. ამ საკითხთან დაკავშირებით ასევე საგულისხმოა, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ მითითებული ნორმატიული აქტი ადგენს სამშენებლო მიწის ნაკვეთის მიჯნის ზონაში შენობაზე განსათავსებელი ფანჯრის, და არა უკვე განთავსებული და არსებული შენობის ფანჯრის, დაცილების სტანდარტებს. საქმის მასალებით და არც გასაჩივრებული გადაწყვეტილებით არ დგინდება, რომ ფანჯრის ღობის შენობაზე განთავსების დრო – თ. ჟ-ის მიერ ნივთის შეძენამდე არსებობდა თუ არა.

სამოქალაქო კოდექსის 955-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, თითოეულ მოწილეს უფლება აქვს ისარგებლოს საზიარო საგნით ისე, რომ ზიანი არ მიადგეს დანარჩენ მოწილეთა სარგებლობას. ანუ აღნიშნული ნორმა საზიარო უფლების მქონე პირს აძლევს, დაიცვას საზიარო საგნით თავისი სარგებლობის უფლება, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ საგნის სარგებლობის რაიმე განსაზღვრული წესია დადგენილია (სამოქალაქო კოდექსის 958-ე მუხლის), მხარეს შეუძლია, სადავოდ გახადოს ამ წესის დარღვევა. მოცემულ შემთხვევაში დადგენილია რა ტ. კ-ვის სარგებლობაში არსებული 14 შენობა-ნაგებობის თ. ჟ-ის სარგებლობაში გადაცემა, სასამართლოს არ დაუდგენია ამ შენობის აშენების პერიოდი. ასევე გამოსარკვევია, მხარეთა მიერ შეთანხმებული მიწის ნაკვეთის სარგებლობის წესიდან გამომდინარე, მითითებული შენობა ვის სარგებლობაში არსებულ მიწის ნაკვეთზე იქნა აშენებული; მითითებული შენობის საერთო სარგებლობის მიწის ნაკვეთზე აშენების შემთხვევაში გამოსარკვევია თანამესაკუთრის პოზიცია, ანუ უნდა გამოირიცხოს მისი თანხმობის ფაქტი.

დაუსაბუთებელია სააპელაციო სასამართლოს მოსაზრება, რომ მითითებული დასკვნა საინჟინრო-ტექნიკური ნორმების დაცვით, ტექნიკურად შესაძლებლად მიიჩნევს ქ.თბილისში, ... ქუჩის 16-ში მდებარე თანასაკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის გაყოფას მოსარჩელისა და მოპასუხის კუთვნილი წილების შესაბამისად. ნივთის გაყოფის ტექნიკური შესაძლებლობა იმავდროულად არ ნიშნავს ამ ნივთის ზემოთ დასახელებული კანონის იმპერატიულ მოთხოვნათა დაცვით გაყოფის შესაძლებლობას. ნატურით გაყოფის კანონზომიერების შემოწმება კი მხოლოდ სასამართლოს კომპეტენციაა და იგი კანონთან შესაბამისობაში უნდა დადგინდეს.

ასევე გასათვალისწინებელია და შესაფასებელი ის ფაქტი, რომ საქმეში წარმოდგენილია იმავე ექსპერტიზის ბიუროს იმავე ექსპერტის მიერ ჩატარებულ კვლევაზე 2008 წლის 1 აგვისტოს დასკვნა, რომლითაც ექსპერტმა შექმნილი მიწის ნაკვეთის აზომვითი სამუშაოების ჩატარება და 2008 წლის 1 დეკემბრის საინჟინრო-ტექნიკური ექსპერტიზის დასკვნისაგან განსხვავებული ფაქტები აღწერა.

საქმის ხელახლა განმხილველმა სასამართლომ მხოლოდ ზემოაღნიშნულ გარემოებათა გამოკვლევისა და დადგენის შემდეგ უნდა მისცეს სამართლებრივი შეფასება და გადაწყვიტოს საზიარო უფლების ნატურით გაყოფის კანონიერება.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

#### **და ა დ გ ი ნ ა:**

გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 29 ივლისის გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს. საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

### **საზიარო უფლების გაუქმება ნატურით გაყოფისას**

#### **განჩინება**

1ას-332-309-2010

28 ოქტომბერი, 2010 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: თ. თოდრია (თავმჯდომარე, მომხსენებელი)**

**ვ. როინიშვილი,**

**მ. სულხანიშვილი**

**დავის საგანი:** საზიარო უფლების გაუქმება

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

2008 წლის 31 დეკემბერს ვ. მ-მემ სარჩელის მიმართ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას მოპასუხე ტ. კ-ძის მიმართ და მოითხოვა ნატურით გამოყოფის გზით საზიარო უფლების გაუქმება მოსარჩელესა და მოპასუხის საკუთრებაში არსებულ შენობა-ნაგებობაზე და მოსარჩელისათვის, იდეალური წილის შესაბამისად, შენობის მეოთხე და მესამე სართულის სათავსების მიკუთვნება.

მოსარჩელემ განმარტა, რომ თბილისში, ... ქ. 146-ში მდებარე ქონება საკუთრების უფლებით ირიცხება მას და მოპასუხე ტ. კ-ძის სახელზე. მოსარჩელემ მიუთითა, რომ მხარეები თანასაკუთრებაში არსებულ ქონებას ფლობდნენ და სარგებლობდნენ შეთანხმებულად, თუმცა მოპასუხე რამოდენიმე თვეა ცდილობს ქონება თვითონ მისაკუთროს. აღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელემ მოითხოვა ქონებიდან მისი კუთვნილი წილის რეალურად გამოყოფა.

2009 წლის 27 თებერვალს ტ. კ-ძემ შეგებებული სარჩელი წარადგინა სასამართლოში და განმარტა, რომ, მართალია, ქ.თბილისის სახელმწიფო ქონების მართვის სამმართველოს 2003 წლის 18 აპრილის საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის თანახმად, აღნიშნული უძრავი ქონება საკუთრებაში გადაცემული აქვს ორ ფიზიკურ პირს, ვ. მ-ძესა და ტ. კ-ძეს და ეს ქონება საჯარო რეესტრში აღრიცხულია ორივეს სახელზე, მაგრამ ქონების ღირებულება

მთლიანად გადახდილია მხოლოდ ტ. კ-ძის მიერ, ხოლო მის მიმართ წარმოშობილი ფულადი ვალდებულება ვ. მ-ძეს დაფარული აქვს. აღნიშნულიდან გამომდინარე, შეგებებული სარჩელის ავტორმა მოითხოვა ვ. მ-ძეს დაეკისროს მის მიმართ არსებული დავალიანების – **378 000** აშშ დოლარის შესაბამისი ეკვივალენტი ლარის გადახდა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის **2009 წლის 4 მარტის განჩინებით** ტ. კ-ძეს უარი ეთქვა შეგებებული სარჩელის მიღებაზე.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის **2009 წლის 4 მარტის განჩინება** კერძო საჩივრით გაასაჩივრა ტ. კ-ძემ და მოითხოვა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის **2009 წლის 4 მარტის განჩინების გაუქმება და საქმის განახლება** სასარჩელო წარმოების სტადიიდან.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის **2009 წლის 31 მარტის განჩინებით** ტ. კ-ძის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის **2009 წლის 4 მარტის განჩინება**.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის **2009 წლის 22 ივნისის გადაწყვეტილებით** ვ. მ-ძის სარჩელი დაკმაყოფილდა, ნატურით გაყოფის გზით გაუქმდა საზიარო უფლება ვ. მ-ძისა და ტ. კ-ძის თანასაკუთრებაში არსებულ შენობა-ნაგებობაზე მდებარე ქ.თბილისში, ... ქ. **146-ში**, მოსარჩელე ვ. კ-ძეს ქ. თბილისში, ... ქ. **146-ში** მდებარე შენობა-ნაგებობიდან ინდივიდუალურ საკუთრებაში გამოეყო მისი კუთვნილი იდეალური წილის შესაბამისი რეალური წილი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს **2009 წლის 24 თებერვლის 1კ-242/18** ექსპერტის დასკვნის შესაბამისად, ვ. მ-ძესა და ტ. კ-ძეს საერთო სარგებლობაში დარჩათ მესამე სართულზე არსებული დერეფანი, საერთო ფართობით **3,44 კვ.მ.**

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის **2009 წლის 22 ივნისის გადაწყვეტილება** სააპელაციო წესით გაასაჩივრა ტ. კ-ძემ და მოითხოვა აღნიშნული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის **2009 წლის 25 დეკემბრის განჩინებით** ტ. კ-ძის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის **2009 წლის 22 ივნისის გადაწყვეტილება**.

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ თბილისში, ... ქ. **146-ში** მდებარე **631,00** კვ.მ არასაცხოვრებელი ფართი, საჯარო რეესტრის მონაცემების საფუძველზე, ირიცხება ვ. მ-ძისა და ტ. კ-ძის თანასაკუთრებაში. ქ.თბილისში, ... ქ. **146-ში** მდებარე არასაცხოვრებელი ფართის საერთო ოდენობა, ტექნიკური უჯრედების გათვალისწინებით, შეადგენს **659,08** კვ.მ-ს ქ. თბილისში, ... ქ. **146-ში** მდებარე არასაცხოვრებელი ფართის მეოთხე სართულზე ჩატარებული გარკვეული სარემონტო სამუშაოები, რომელიც, მოპასუხის განმარტებით, მას არ უწარმოებია. მოპასუხემ პირველი ინსტანციის სასამართლოში განმარტა, რომ ქონების გაუმჯობესებასა და ხარჯების გაწვევაზე მოსარჩელეს არ დათანხმებულა, შესაბამისად, პალატამ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილ გარმეზა არასაცხოვრებელი ფართის მეოთხე სართულზე მოსარჩელის მიერ სარემონტო სამუშაოების შეუსრულებლობასთან დაკავშირებით.

სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ საზიარო უფლების საგანს წარმოადგენს არასაცხოვრებელი ფართი, რომელიც მდებარეობს ... ქ. **146-ში** და განთავსებულია შენობის მესამე და მეოთხე სართულზე. ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს **2009 წლის 23 თებერვლის ექსპერტის დასკვნაში** შესაბამისად დგინდება, რომ შესაძლებელია აღნიშნულ საგანზე საზიარო უფლების გაუქმება, ისე, რომ თითოეული არ დაკარგავს არასაცხოვრებელი ფართისათვის დამახასიათებელ სამეურნეო დანიშნულებას ანუ ამგვარი გაყოფით შესაძლებელია თითოეული წილის სრულფასოვანი, დანიშნულებით გამოყენება.

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ ნივთის გაუმჯობესებისათვის ტ. კ-ძეს ხარჯი არ გაუწევია და, შესაბამისად, გაუმჯობესებული ნაწილის მოსარჩელისათვის მიკუთვნება არ გამოიწვევს მოსარჩელის უსაფუძვლო გამდიდრებას მოპასუხის ხარჯზე. პალატამ მიუთითა, რომ თითოეული ნაწილის საგნობრივი ღირებულება არ მცირდება, პირველი ინსტანციის სასამართლომ სწორად დაადგინა ქონების განაწილების საკითხი.

სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა მოპასუხის მოსაზრება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის **248-ე** მუხლის მოთხოვნათა დარღვევის შესახებ, ვინაიდან მიიჩნია, რომ საზიარო უფლების ნატურით გაყოფის შემთხვევაში სასამართლო განსაზღვრავს თითოეული თანამესაკუთრის რეალურ წილს საზიარო უფლებაში, რომელიც უნდა აისახოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილშიც.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის **2009 წლის 25 დეკემბრის განჩინება** საკასაციო წესით გაასაჩივრა ტ. კ-ძემ და მოითხოვა აღნიშნული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

კასატორმა განმარტა, რომ სააპელაციო სასამართლომ უდავო ფაქტობრივ გარემოებად მიიჩნია და დადგენილად ჩათვალა გარემოება იმის შესახებ, რომ .... ქუჩა **146-ში** მოსარჩელემ მიერ ჩაატარა გარკვეული სარემონტო სამუშაოები და ფართის გაუმჯობესებისათვის გასწია ხარჯები, თუმცა აღნიშნულის დამადასტურებელი მტკიცებულება არ გააჩნია.

კასატორმა ასევე მიუთითა, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა სამოქალაქო კოდექსის **963-ე** მუხლი, ვინაიდან ამ ნორმის მიხედვით, თუ გასაყოფი ფართის ღირებულება არის სხვადასხვა, აღნიშნული წარმოადგენს საზიარო უფლების ნატურით გაყოფის გზით გაუქმებაზე უარის საფუძველს. სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, თუ საზიარო უფლება არ იყოფა ნატურით თითოეული ნაწილის ღირებულების შემცირების გარეშე, საზიარო უფლება გაუქმდება, მაგრამ არა ნატურით, არამედ ნივთის გაყიდვით. რაც შეეხება საზიარო უფლების გა-

უქმებაზე უარს, სამოქალაქო კოდექსის 961-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, საზიარო უფლების გაუქმებაზე უარი დაუშვებელია.

კასატორის განმარტებით, მართალია, მოსარჩელემ ქონების გაყოფა მოითხოვა ნატურით და მის მიერ წარმოდგენილ იქნა ექსპერტის დასკვნა 'კ-242/18, სადაც ასახულია ქონების ორ ნაწილად გაყოფის ვარიანტები და სასამართლომაც გადაწყვეტილება მასზე დააფუძნა, მაგრამ სასამართლოს მხედველობიდან გამორჩა, რომ ქონების გაყოფა შესაძლებელი უნდა იყოს ერთგვაროვან ნაწილებად, თითოეული მათგანის ღირებულების შემცირების გარეშე.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ განიხილა საქმის მასალები, გაეცნო საკასაციო საჩივრებს და მიიჩნია, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 25 დეკემბრის განჩინება გასაჩივრებულ ნაწილში და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე პალატას შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილია, რომ თბილისში, ... ქ. 146-ში მდებარე 631.00 კვ.მ არასაცხოვრებელი ფართი, საჯარო რეესტრის მონაცემების საფუძველზე, წარმოადგენს ვ. მ-ძისა და ტ. კ-ძის თანასაკუთრებას. ზემოაღნიშნულ მისამართზე მდებარე ფართი ტექნიკური უჯრედების გათვალისწინებით შეადგენს 659,08 კვ.მ-ს ამ დავის სპეციფიკიდან გამომდინარე, მნიშვნელობა ენიჭება სამოქალაქო კოდექსით მოცემული საზიარო უფლებების ინსტიტუტს, კერძოდ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 953-ე მუხლით განსაზღვრულია საზიარო სასამართლებრივი ურთიერთობების ცნება, რომლის თანახმად, თუ უფლება რამდენიმე პირს ერთდროულად ეკუთვნის, მაშინ გამოიყენება ამ თავის წესები, თუკი კანონიდან სხვა რამ არ გამომდინარეობს. კონკრეტულ შემთხვევაში, საკუთრების უფლება სადავო ქონებაზე მხარეებს ერთდროულად ეკუთვნით. დავას იწვევს საზიარო უფლების გაუქმების საკითხი, კერძოდ, სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ საზიარო უფლების საგანს წარმოადგენს არასაცხოვრებელი ფართი მდებარე თბილისში, ... ქ. 146-ში და განთავსებულია შენობის მესამე და მეოთხე სართულზე.

ამასთან ერთად, სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ სადავო გაუმჯობესებული ნივთის მიკუთვნების ნაწილი, კერძოდ, სადავო შენობის მეოთხე სართულზე ვ. მ-ძის მიერ ჩატარებულ იქნა სარემონტო სამუშაოები, ტ. კ-ძის ახსნა-განმარტებით, დასტურდება, რომ ამ უკანასკნელს არ უწარმოებია სარემონტო სამუშაოები და არც ამის თაობაზე ნებართვა მიუცია ვ.მ-ძისათვის. აქედან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ გაუმჯობესებულ ნაწილის მიკუთვნების საკითხი სასამართლოს მიხედულებით წყდება, რადგან მ-ძის მიერ გაუმჯობესებული ნაწილის მოსარჩელესათვის მიკუთვნება არ გამოიწვევს მოსარჩელის უსაფუძვლოდ გამდიდრებას მოპასუხის ხარჯზე.

საკასაციო პალატა არ იზიარებს სააპელაციო სასამართლოს ზემოაღნიშნულ მოსაზრებას და განმარტავს, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 963-ე მუხლი მიუთითებს ორ აუცილებელ ფაქტორზე, რომლის არსებობა იწვევს ამ ნორმით გათვალისწინებულ იურიდიულ შედეგს. საზიარო უფლება უქმდება საზიარო საგნის (საგნების) ნატურით გაყოფისას მხოლოდ იმ შემთხვევაში: 1) თუ საზიარო საგანი (საგნები) შეიძლება დაიყოს ერთგვაროვან ნაწილებად; 2) მათი დაყოფა შესაძლებელია ღირებულების შემცირების გარეშე. როგორც პირველი, ასევე მეორე ელემენტი უნდა არსებობდეს ერთდროულად იმისათვის, რომ დადგეს ამ ნორმით გათვალისწინებული შედეგი. განსახილველი დავასთან მიმართებაში, როგორც პირველ, ასევე მეორე შემთხვევაში უნდა ვიგულისხმოთ ის, რომ ნატურით გამოყოფილმა საგანმა არ უნდა დაკარგოს ის დანიშნულება, რასაც ის ასრულებდა გაყოფამდე, ე.ი. არ უნდა წაერთვას ის ფუნქცია და მნიშვნელობა, რასაც იგი ასრულებდა მესაკუთრისათვის.

უპირველეს ყოვლისა, გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ სადავო ქონება წარმოადგენს არასაცხოვრებელ ფართს და, აქედან გამომდინარე, უნდა ვიფიქროთ, რომ შესაძლებელია მისი ეკონომიკური მიზნებისათვის გამოყენება. აღნიშნული თავისებურებების გათვალისწინებით სადავო ქონების ნატურით გაყოფისას გაყოფილი ნაწილები უნდა ინარჩუნებდნენ ერთმანეთთან მიმართებაში (და არა მთლიანად საზიარო საგანთან მიმართებაში) თანაბარ ღირებულებას რა დროსაც უნდა გათვალისწინებულ იქნეს ის ეკონომიკური ინტერესი, რომელიც გააჩნიათ საზიარო უფლების მქონე პირებს.

ერთ-ერთი მონაწილის მიერ თვითნებურად (შეთანხმების გარეშე) წილის გამოყოფა, თუნდაც მასზე სარემონტო სამუშაოების განხორციელებით ან სხვა გზით, ნიშნავს საზიარო უფლებების ინსტიტუტით დაცული ურთიერთობის უგულებელყოფას, რაც კანონისმიერი ვალდებულებით ურთიერთობებს მიეკუთვნება და წესრიგდება კანონით. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ საზიარო უფლების მონაწილეთა თანხმობა არ არის საჭირო მხოლოდ საგნის შენახვის საჭირო ღონისძიებების განხორციელებისას (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 956-ე მუხლის მე-2 ნაწილი), რასაც კონკრეტულ შემთხვევაში ადგილი არა აქვს. მაგრამ, მიუხედავად ამისა, მნიშვნელოვანია ის, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 961-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თითოეულ მონაწილეს შეუძლია ნებისმიერ დროს მოითხოვოს საზიარო უფლების გაუქმება. ამის საწინააღმდეგო შეთანხმება ბათილია (ამავე მუხლის მე-3 ნაწილი). იმ შემთხვევაშიც, თუ საზიარო უფლების ერთ-ერთი მონაწილე შეთანხმების გარეშე დაეუფლა საზიარო საგნის ერთ ნაწილს და მოითხოვს მის გამოყოფას სასამართლო წესით სასამართლომ უნდა შეაფასოს საზიარო საგნის ნატურით გაყოფის მართებულება.

კონკრეტულ შემთხვევაში მეოთხე სართულზე განხორციელებული გაუმჯობესებები თავისთავად არ შეიძლება გახდეს ამ გაუმჯობესებებით აღჭურვილი ნაწილის ნატურით გამოყოფის წინაპირობა.

საკასაციო პალატა თვლის, რომ სააპელაციო სასამართლომ სპეციალური ცოდნის გამოყენებით უნდა გამოიკვლიოს მესამე და მეოთხე სართულების გაუმჯობესებამდე არსებული მდგომარეობა. სააპელაციო სასამართლოს

მიერ სადავო საგნის დაყოფის წესი შეიძლება გაზიარებულ იქნეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მეოთხე სართულზე ჩატარებული სარემონტო სამუშაოებით გაუმჯობესებამდე არსებული მდგომარეობა და მესამე სართული ინარჩუნებდნენ თანაბარ ღირებულებით მნიშვნელობას (რამაც მოიაზრება ასევე მისი ფუნქციონალური დანიშნულება, ეკონომიკური ინტერესი). ამრიგად, საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სააპელაციო სასამართლომ უნდა გამოიკვლიოს და დაადგინოს სადავო ქონების მეოთხე სართული, ვ.მ-ის მიერ სარემონტო სამუშაოების განხორციელებამდე, იყო თუ არა იმავე ღირებულების რაც მესამე სართული და, აქედან გამომდინარე, შესაძლებელია თუ არა მესამე და მეოთხე სართულების გაყოფით საზიარო საგნის ერთგვაროვანი ნაწილებად დაყოფა. წინააღმდეგ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლომ უნდა იმსჯელოს საზიარო საგნის დაყოფის სხვა შესაძლებლობების არსებობის კუთხით.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

#### **და ა დ გ ი ნ ა:**

ტ. კ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;  
გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 25 დეკემბრის განჩინება გასაჩივრებულ ნაწილში და საქმე ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდეს იმავე პალატას;  
საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

### **საზიარო უფლების გაუქმება ნატურით გაყოფისას**

#### **სახელმწიკრულებო მოთხოვნათა ხანდაზმულობის ვადა**

#### **განჩინება**

1ას-759-1085-07

2 ნოემბერი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ნ. კვანტალიანი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ლ. ლაზარაშვილი,  
პ. ქათამაძე

დავის საგანი: ხელმწიკრულების ბათილად ცნობა, წილის გამოყოფა

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

ა. უ-მემ სარჩელი აღძრა სასამართლოში გ. დ-ის, ნოტარიუს ნ. ა-ისა და თ. ჯ-ელის მიმართ ერთი პირის საწარმო «შ-სა» და გ. დ-მეს შორის 1996 წლის 12 სექტემბერს დადებული ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების ბათილად ცნობის, შენობა-ნაგებობის აღებისა და საერთო სარგებლობის მიწის თავისუფალ მდგომარეობაში ჩაბარების შესახებ შემდეგი საფუძვლებით: 1996 წლიდან მოსარჩელე ცხოვრობდა ქ.ბათუმში, ... ქ.116-ში მდებარე ხ. კ-იას კუთვნილ სახლში, 1999 წელს კი, აღნიშნული სახლთმფლობელობა სადავო მიწის ფართთან ერთად ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე შეიძინა საკუთრების უფლებით. ბინის შეძენის დროისათვის სახლის შესასველელ ეზოში იდგა ერთსართულიანი სავაჭრო ნაგებობა, რომელიც, სახლის ყოფილი მესაკუთრე ხ. კ-იას განცხადებით, აიგო კოოპერატივ „შ-ს“ მიერ ხ.კ-იას მამის გ. კ-იას მიერ „შ-სთვის“ იჯარით მიცემულ მიწის ფართში. აღნიშნული შენობით სარგებლობდა გ. დ-მე, რომელსაც მოსარჩელე კოოპერატივ „შ-ს“ წარმომადგენლად თვლიდა. ა. უ-მემ უშედეგოდ სცადა ამ უკანასკნელთან მოლაპარაკება. 2004 წელს მოსარჩელისათვის ცნობილი გახდა, რომ კოოპერატივმა „შ-ს“ 1996 წლის 12 სექტემბრის ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე მის საკუთრებაში არსებული მიწის ფართში არსებული შენობა გ. დ-მეს გადასცა. ამ ხელშეკრულების მხარეები არიან, ერთი მხრივ, ერთი პირის საწარმო „შ-ს“ მინდობილი პირი ზ. მ-მე და, მეორე მხრივ, გ. დ-მე. აღსანიშნავია, რომ ზ. მ-მეს არ ჰქონდა უფლება, მონაწილეობა მიეღო გარიგების დადებაში და გამოსულიყო იურიდიული პირის წარმომადგენლად მისი ხელახლა რეგისტრაციაში გაუტარებლობის გამო. სადავო ხელშეკრულება დაიდო მესაკუთრე გ. კ-იას გარეშე. ამასთან, გ. კ-იასა და „შ-ს“ შორის დადებულ ხელშეკრულებაში საკარმიდამო მიწის ნაკვეთში არსებული შენობის სხვა პირისათვის მიყიდვის უფლების თაობაზე მითითებული არ არის.

გ. დ-მემ შეგებებული სარჩელით მიმართა სასამართლოს ა. უ-მის მიმართ სადავო მიწის ნაკვეთიდან 1/12 წილის გამოყოფის მოთხოვნით შემდეგი დასაბუთებით: 1996 წლის 12 სექტემბერს ნოტარიუსის მიერ დამოწმებული ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე გ. დ-მემ შეიძინა ... ქ.116-ში 910 კვ.მ საერთო საკუთრების ეზოში მდებარე სახლთმფლობელობის 1/2 წილი – ერთსართულიანი ნაგებობა. მისთვის ცნობილი არ იყო „შ-სა“ და კ-იას შორის არსებულ იჯარის ხელშეკრულების თაობაზე, რადგან საჯარო რეესტრის ჩანაწერებიდან გამომდინარე, სადავო ფართის მესაკუთრე იყო „შ.ს“. ამდენად, გ. დ-მე კეთილსინდისიერი შემძენია. ამასთან, ხ. კ-იასათვის გ.დ-მე-

სა და „შ-ს« შორის ნასყიდობის ხელშეკრულების დადების თაობაზე ცნობილი იყო ნოტარიუსისაგან, მაგრამ ხ. კ-იას უპირატესი შესყიდვის უფლება არ გამოუყენებია.

დამოუკიდებელი მოთხოვნის მქონე მესამე პირმა ხ. კ-იამ ასევე მიმართა სასამართლოს სარჩელით თ. ჯ-ელის, გ. დ-მისა და ნოტარიუს ნ. ა-მის მიმართ ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობის შესახებ შემდეგი მოტივებით: ქ.ბათუმში, ... ქ.116-ში ხ. კ-იასა და მამამის გ. კ-იას საკუთრების უფლებით გააჩნდათ საცხოვრებელი ფართი, რომელიც ირიცხებოდა ჯერ მამის, ხოლო 1992 წელს მამის გარდაცვალების შემდეგ, მის სახელზე. 1999 წელს ხ. კ-იამ საცხოვრებელი ფართი მიჰყიდა ა. უ-ძეს.

1991 წელს გ. კ-იამ ხელშეკრულება დადო კოოპერატივ „შ-თან«, რომლითაც კოოპერატივს კომერციული საქმიანობისათვის 10 წლის ვადით იჯარით გადაეცა მას სარგებლობაში არსებული 24 კვ.მ მიწის ნაკვეთი. სადავო საცხოვრებელ ფართს, ისევე, როგორც სახლთმფლობელობის სხვა მობინადრეებს, გააჩნია ურთიერთგამიჯნული, თავ-თავიანთ ბინებში ცალკე შესასვლელი მიწის ფართი. გ. კ-იამ იჯარით გასცა სწორედ თავისი საეზოვე ფართი, სადაც კოოპერატივმა ააშენა შენობა და გარკვეული დროის განმავლობაში იხდიდა საიჯარო ქირას, თუმცა შემდეგ ქირის გადახდა შეწყვიტა. მოგვიანებით ხ. კ-იამ შეიტყო, რომ 1996 წლის 12 სექტემბერს თ. ჯ-ელმა კოოპერატივის სახელით სავაჭრო შენობა მიჰყიდა გ. დ-ძეს, რაც უკანონოა, რადგან, გ. კ-იასთან დადებული შეთანხმების თანახმად, თ. ჯ-ელს საიჯარო ვადის გასვლის შემდეგ თავისი ნაგებობა უნდა აეღო ან მიეყიდა კ-იებისათვის. ამასთან, ხ. კ-იამ ა. უ-ძეს საცხოვრებელი ფართი იმ პირობით მიჰყიდა, რომ ეს უკანასკნელი შესყიდვის შედეგად მიიღებდა მიწის ნაკვეთს იმ მოცულობით, როგორც ეს იყო მამამისის მიერ თ.ჯ-ელის ფირმასთან ხელშეკრულების დადებამდე.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2006 წლის 7 აპრილის გადაწყვეტილებით ა. უ-ძეს, როგორც არასათანადო მოსარჩელეს, უარი ეთქვა მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე, ხ. კ-იას დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა, ხოლო გ. დ-მის შეგებებული სარჩელი დაკმაყოფილდა, გ. დ-ძეს გამოეყო ქ.ბათუმში, ... ქ.116-ში საერთო სარგებლობის ეზოდან რეალურად 1/12 წილი 50 კვ.მ ოდენობით შესასვლელიდან მის საკუთრებაში არსებული ნაგებობის (ლიტერ «კ» სქემის მიხედვით) მარცხენა მხრიდან ლობემდე.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს ა. უ-ძემ და ხ. კ-იამ. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 12 ივლისის განჩინებით ა.უ-მისა და ხ.კ-იას სააპელაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდა, გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად შემდეგ გარემოებათა გამო: სააპელაციო სასამართლომ დაადგინა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: 1991 წლის 5 ოქტომბერს ხ. კ-იას მამამ – გ. კ-იამ „შ-ს« დირექტორ თ. ჯ-ელს 10 წლის ვადით იჯარით გადასცა მის სარგებლობაში არსებული 24 კვ.მ მიწის ნაკვეთი. 1992 წელს გ. კ-ია გარდაიცვალა. 1999 წელს მისმა მემკვიდრე ხ. კ-იამ ა. უ-ძეს მიჰყიდა ქ.ბათუმში, ... ქ.116-ში მდებარე სახლთმფლობელობა. 1996 წლის 12 სექტემბერს „შ-სა« და გ. დ-ძეს შორის გაფორმდა ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც ფირმა „შ-მ« გ. დ-ძეს მიჰყიდა ქ.ბათუმში, ... ქ.116-ში მდებარე სახლთმფლობელობის 1/12. 1999 წლის 23 აპრილს გ. დ-ძე დაეთანხმა ხ. კ-იას, გაეყიდა თავისი წილი.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატამ ჩათვალა, რომ ქ.ბათუმში, ... ქ.116-ში მდებარე სახლთმფლობელობის 1/12-ის მესაკუთრეს წარმოადგენდა რომ გ. დ-ძე და არა „შ-ს« ხ. კ-იასათვის ცნობილი გახდა 1996 წელს, ხოლო სარჩელით დარღვეული უფლების აღსადგენად მას სასამართლოს მიმართა 2005 წელს. სასარჩელო მოთხოვნა ხანდაზმულია და მას გაშვებული აქვს სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული როგორც სამწლიანი, ასევე უძრავ ნივთებთან დაკავშირებული 6-წლიანი ხანდაზმულობის ვადა. სამოქალაქო კოდექსის 130-ე მუხლზე მითითებით, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ ხ. კ-იასათვის ქ.ბათუმში, ... ქ.116-ში მდებარე სახლმფლობელობის 1/12 წილის გასხვისების შესახებ ცნობილი იყო ჯერ კიდევ მისი გასხვისების დროიდან, მას არანაირი პრეტენზია ამის შესახებ არ გამოუთქვამს და არც ხანდაზმულობის ვადის შეჩერების ან შეწყვეტის საფუძველზე არ მიუთითებია.

სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილით და ჩათვალა, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილებით ა. უ-ძის სარჩელი სწორად დაკმაყოფილდა, ვინაიდან მოცემულ დავაში იგი სათანადო მოსარჩელეს არ წარმოადგენს. პალატამ მიიჩნია, რომ ა. უ-ძის უფლებები „შ-სა« და გ. დ-ძეს შორის გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულებით არ დარღვეულა, რადგან აღნიშნული ხელშეკრულება გაფორმდა 1996 წელს, ხოლო ა. უ-ძემ ხ. კ-იასთან ნასყიდობის ხელშეკრულება გააფორმა 1999 წელს. ამდენად, გ. დ-მის მიმართ მოთხოვნის უფლება გააჩნდა ხ. კ-იას, რომელმაც გაუშვა კანონით გათვალისწინებული ხანდაზმულობის ვადა, ხოლო ა. უ-ძე კი წარმოადგენს არასათანადო მოსარჩელეს.

პალატამ გ. დ-მის შეგებებულ სარჩელი დასაბუთებულად მიიჩნია და ჩათვალა, რომ, სამოქალაქო კოდექსის 185-ე მუხლის თანახმად, იგი კეთილსინდისიერ შემქმენს წარმოადგენს. 1996 წელს „შ-სა« და გ. დ-ძეს შორის გაფორმებულ ნასყიდობის ხელშეკრულებაზე დართული ცნობა-დახასიათებითა და ტექნიკური პასპორტით ქ.ბათუმში, ... ქ.116-ში არსებულ სახლმფლობელობაში 1/12 წილის მესაკუთრეს წარმოადგენდა „შ-ს«. საქმეში არსებული ექსპერტიზის დასკვნით პალატამ დაადგინა, რომ გ. დ-ძეს საერთო საკუთრებაში არსებული ეზოდან შესაძლებელია გამოეყოფოს 50 კვ.მ მიწის ფართი. ამდენად, მისი მოთხოვნა საზიარო უფლების გაუქმებისა და წილის გამოყოფის შესახებ, სამოქალაქო კოდექსის 963-ე მუხლის თანახმად, საფუძვლიანია, ვინაიდან მას ხელი ეშლება თავისი საკუთრებით სარგებლობაში.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება ა. უ-ძემ და ხ. კ-იამ გაასაჩივრეს საკასაციო წესით, მოითხოვეს მისი გაუქმება, ახალი გადაწყვეტილებით მათი სასარჩელო მოთხოვნების დაკმაყოფილება და გ. დ-მის შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა შემდეგი საფუძვლებით: გასაჩივრებული განჩინება გამოტანილია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე, 89-ე, 90-ე და 91-ე მუხლების უხეში დარღვევით. მისი გაუქმების ერთ-ერთი აბსო-

ლუტური საფუძველია ის გარემოება, რომ სასამართლომ გ. დ-მეს გამოუყო სულ სხვა პირის – თ. უ-მის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთი, სათანადოდ არ გამოიკვლია საქმის გარემოებები და, მიუხედავად ერთ-ერთი მხარის შუამდგომლობისა, თ. უ-მე საქმეში მხარედ არ ჩააბა. სააპელაციო პალატამ არ გაითვალისწინა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ საქმის განხილვისას ერთ-ერთი სხდომა გადაიდო სადავო ქონების კიდევ ერთი მესაკუთრის – თ. უ-მის მესამე პირად საქმეში ჩაბმის მოტივით, თუმცა შემდეგ პროცესზე თ. უ-მე არც მესამე პირად ჩაუბამს და არც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე-78-ე მუხლების დაცვით საქმის განხილვაზე არ მიუწვევია.

სააპელაციო პალატამ არ გამოიყენა სამოქალაქო კოდექსის 1507-ე მუხლი, რომელიც უნდა გამოეყენებინა და დაარღვია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 249-ე მუხლის მეოთხე ნაწილი, ვინაიდან არ მიუთითა იმ მტკიცებულებებზე, რომელსაც სასამართლოს სამართლებრივი დასკვნები დააფუძნა და კანონი, რომლითაც პალატამ სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმისას იხელმძღვანელა. სასამართლოს სათანადოდ არ გამოუკვლევია ა. უ-მის მოთხოვნა მიუღებელი საიჯარო შემოსავლის ნაწილში და დაუსაბუთებელია პალატის მსჯელობა იჯარის ხელშეკრულების შეუსრულებლობით მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის დაუკმაყოფილებლობის ნაწილში, ვინაიდან მიუღებელი შემოსავლის დასადასტურებლად საქმეში წარმოდგენილია მოპასუხე გ. დ-მის ჩანაწერები ხ.კ-იასათვის გარკვეული დროის განმავლობაში საიჯარო ქირის გადახდის შესახებ. იჯარის თანხის გადახდის ფაქტი ასევე დაადასტურა საქმის განხილვისას დაკითხულმა ზ. მ-მემ. სააპელაციო პალატის გასაჩივრებული გადაწყვეტილება გ. დ-მისათვის საერთო (საზიარო) საკუთრების მიწის ნაკვეთიდან რეალურად ფართის გამოყოფა-გამიჯვნის შესახებ ეწინააღმდეგება საქართველოს უზენაესი სასამართლოს რეკომენდაციებს. მოცემულ შემთხვევაზე უნდა გავრცელდეს «ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ» საქართველოს კანონი, რომლითაც თანასაკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის გაყოფა არ დაიშვება. აღნიშნული კანონი ვრცელდება ე.წ «იტალიურ სახლებზე», რაც სასამართლომ არ გაითვალისწინა.

საკასაციო სასამართლოში საქმის განხილვისას კასატორებმა უარი განაცხადეს თ. უ-მის საქმეში მესამე პირად ჩაბმის შესახებ საკასაციო პრეტენზიაზე.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საკასაციო საჩივრის საფუძველების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ა. უ-მისა და ხ. კ-იას საკასაციო საჩივრები ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 12 ივლისის განჩინება გ. დ-მის შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში და ამ ნაწილში საქმე განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს, ხოლო დანარჩენ ნაწილში გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩეს უცვლელი შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლის «ა» და «ბ» ქვეპუნქტების თანახმად, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ კანონის მითითებულ დარღვევას არა აქვს ადგილი და სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას საფუძველად არ უდევს კანონის დარღვევა.

მოცემულ დავაზე სააპელაციო სასამართლომ დადგენილად ცნო შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

1991 წლის 5 ოქტომბერს ხ. კ-იას მამამ გ. კ-იამ „შ-ს“ დირექტორ თ. ჯ-ელს 10 წლის ვადით იჯარით გადასცა მის სარგებლობაში არსებული 24 კვ.მ მიწის ნაკვეთი. გ. კ-ია გარდაიცვალა 1992 წელს. 1999 წლის 23 აპრილს გ. კ-იას მემკვიდრე ხ. კ-იამ ქ.ბათუმში, ... ქ.116-ში მდებარე სახლთმფლობელობა მიჰყიდა ა. უ-მეს. 1996 წლის 12 სექტემბერს „შ-სა“ და გ. დ-მეს შორის გაფორმდა ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც ფირმა „შ-მ“ გ. დ-მეს მიჰყიდა ქ.ბათუმში, ... ქ.116-ში მდებარე სახლთმფლობელობის 1/12. 1999 წლის 23 აპრილს გ. დ-მემ თანხმობა მისცა ხ. კ-იას, გაეყიდა თავისი წილი.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 404-ე მუხლის პირველი ნაწილის საკასაციო სასამართლო ამოწმებს გადაწყვეტილებას საკასაციო საჩივრის ფარგლებში. კასატორები ძირითადი სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველად უთითებენ იმ გარემოებას, რომ სასამართლომ არასწორად დაადგინა ა. უ-მის არასათანადოობა მოცემულ დავაზე.

საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო პალატის დასკვნას ხ. კ-იას სარჩელის ხანდაზმულობის თაობაზე იმ ფაქტობრივ გარემოებაზე დაყრდნობით, რომ ხ. კ-იამ 1999 წლის 23 აპრილს მიიღო რა გ. დ-მის თანხმობა თანასაკუთრებაში არსებული წილის გაყიდვაზე, მისთვის ამ პერიოდიდან ცნობილი გახდა, რომ ქ.ბათუმში, ... ქ.116-ში მდებარე სახლთმფლობელობის 1/12-ის მესაკუთრეს წარმოადგენდა გ. დ-მე და არა „შ-ს“. ხ. კ-იამ სარჩელით გ. დ-მის საკუთრების უფლების მიღების კანონიერება და ამ მიმართებით მისი უფლების დარღვევა სასამართლოსათვის მიმართვის გზით სადავო გახადა 2005 წლის 22 ნოემბერს.

სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლის პირველი ნაწილით სახელშეკრულებო მოთხოვნების ხანდაზმულობის ვადა შეადგენს სამ წელს, ხოლო უძრავ ნივთებთან დაკავშირებული სახელშეკრულებო მოთხოვნებისა – ექვს წელს. ამავე კოდექსის 130-ე მუხლით ხანდაზმულობა იწყება მოთხოვნის წარმოშობის მომენტიდან. მოთხოვნის წარმოშობის მომენტად ჩაითვლება დრო, როცა პირმა შეიტყო ან უნდა შეეტყო უფლების დარღვევის შესახებ. მოცემულ დავაზე დადგენილია დრო, როდესაც ხ. კ-იამ შეიტყო სადავო ფაქტის – გ. დ-მის საკუთრებაში ნივთის გადაცემის თაობაზე. ამ გარემოების საწინააღმდეგო დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია ხ. კ-იას არ წარმოუდგენია. შესაბამისად, მართებულია სააპელაციო სასამართლოს დასკვნა ხ. კ-იას სასარჩელო მოთხოვნის ხანდაზმულობის თაობაზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სავსებით სწორია სასამართლოს მსჯელობა ა. უ-მის მოთხოვნის დაუსაბუთებულობაზეც. სამოქალაქო კოდექსის 494-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, მყიდველს არ წარმოეშობა უფლებები ნივთის ნაკლის გამო, თუ ხელშეკრულების დადების მომენტში მან იცოდა ამის შესახებ.

საქმეში არსებული მტკიცებულებებით დასტურდება ის გარემოება, რომ ა. უ-მე ნასყიდობის ხელშეკრულებით ბ. კ-ისაგან შეიძინა ქ.ბათუმში, ... ქ.116-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის 3/11 ნაწილი, შესაბამისად, მან უფლებები შეიძინა სწორედ ნასყიდობის ამ საგანზე და გ. დ-მის საკუთრებაში გადასულ ნივთზე უფლებებს ზემოაღნიშნული ნასყიდობის ხელშეკრულება არ ადგენს.

საკასაციო სასამართლო იზიარებს კასატორების მოსაზრებას ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 12 ივლისის განჩინების გ. დ-მის შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში გაუქმების თაობაზე შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის პირველი ნაწილის «ბ» ქვეპუნქტის თანახმად, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად დააბრუნებს სააპელაციო სასამართლოში, თუ გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია. კანონის ეს დანაწესი საქმის ხელახლა განსახილველად დააბრუნების საფუძვლად მიუთითებს ისეთ გარემოებას, როდესაც ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილების სამართლებრივი დასაბუთება არ ეფუძნება სწორ ფაქტობრივ დასაბუთებას.

მოცემულ დავაზე გ. დ-მის შეგებებული სასარჩელო მოთხოვნა დაკმაყოფილდა და მას გამოეყო ქ.ბათუმში, ... ქ.116-ში მდებარე მდებარე 910 კვ.მ საერთო სარგებლობის ეზოდან რეალურად 1/12 წილი – 50 კვ.მ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 22 სექტემბრის გადაწყვეტილებით კი დადგინდა, რომ ქ.ბათუმში, ... ქ.116-ში მდებარე მიწის ნაკვეთის ფართობი 608 კვ.მ და არა 910 კვ.მ. ამასთან, მოდავე მხარეთა განმარტებებით ირკვევა, რომ ამავე მისამართზე საერთო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის თანამესაკუთრეს წარმოადგენს სხვა პირიც – სავარაუდოდ ქ. ბ-ი.

საკასაციო სასამართლო თვლის, რომ სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება საზიარო უფლების გაუქმების ნაწილში დაუსაბუთებელია, კერძოდ:

საზიარო უფლებების არსებობისას, სამოქალაქო კოდექსის 957-ე მუხლის მესამე ნაწილის შესაბამისად, ცალკეული მოწილის თანხმობის გარეშე არ შეიძლება სარგებლობის წილზე მისი უფლების შემცირება, ხოლო, ამავე კოდექსის 963-ე მუხლის მიხედვით, საზიარო უფლება უქმდება ნატურით გაყოფისას, თუ საზიარო საგანი შეიძლება დაიყოს ერთგვაროვან ნაწილებად ღირებულების შემცირების გარეშე.

საზიარო უფლებებთან მიმართებით გასათვალისწინებელია «ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ» საქართველოს კანონის მე-3 მუხლის «გ» ქვეპუნქტის თანახმად, მრავალბინიან სახლად მიიჩნევა სახლი, რომელიც შედგება ორზე მეტი ინდივიდუალური საკუთრების საგნისაგან (ბინისაგან). ამავე კანონის მე-11 მუხლის 1-ელი ნაწილის მიხედვით, ამ კანონის ამოქმედებით დაფუძნებულად ითვლება ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა ისეთ მრავალბინიან სახლში, რომელიც განთავსებულია ერთ მიწის ნაკვეთზე და რომელშიც მდებარეობს ორზე მეტი ინდივიდუალურ საკუთრებაში არსებული ბინა. საგულისხმოა ამავე კანონის მე-8 მუხლის პირველი ნაწილის დანაწესი, რომლითაც ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრთა საერთო ქონების ერთობლივად მართვა ეკისრებათ მესაკუთრეებს, ხოლო, მე-10 მუხლის 1-ელი ნაწილის თანახმად, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრთა საერთო ქონების ისეთი განვითარება, რომელიც მნიშვნელოვნად ცვლის ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრთა საერთო ქონებას და გავლენას ახდენს სხვა ბინის მესაკუთრეთა მიერ საერთო ქონების გამოყენებაზე, ხორციელდება ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრთა კრებაზე, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის ყველა წევრის მიერ ერთხმად მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 86-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სარჩელი შეიძლება წარდგენილი იქნეს რამდენიმე მოპასუხის წინააღმდეგ, თუ სარჩელის საგანს წარმოადგენს საერთო უფლება. აღნიშნული ნორმიდან გამომდინარე, თანამონაწილეობა სავალდებულოა, თუ მატერიალურ-სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე, შეუძლებელია ამ ურთიერთობის ყველა სუბიექტის მონაწილეობის გარეშე საქმის განხილვა, ვინაიდან გადაწყვეტილების კანონიერი ძალა მხოლოდ მოდავე მხარეებზე გავრცელდება.

ზემოაღნიშნულ ნორმათა გათვალისწინებით საქმის ხელახლა განმხილველმა სასამართლომ უნდა გამოარკვიოს საერთო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის თანამესაკუთრეთა ვინაობა და მათი ამ დავაში თანამონაწილეობის აუცილებლობა. მხოლოდ აღნიშნულის შემდეგ უნდა გაირკვეს, მხარეთა შორის დავა უნდა მოწესრიგდეს სამოქალაქო კოდექსით თუ «ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ» საქართველოს კანონით. აღნიშნულს გადაწყვეტი მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან საზიარო უფლების გაუქმების საკითხი მითითებული კანონებით სხვადასხვაგვარად წყდება.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე, 412-ე მუხლებით და

### **და ა დ გ ი ნ ა:**

ა. უ-მისა და ბ. კ-ის საკასაციო საჩივრები ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს;  
გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 12 ივლისის განჩინება გ. დ-მის შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში და ამ ნაწილში საქმე განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.



## საზიარო უფლების გაუქმება ნატურით გაყოფისას

### განჩინება

1ას-954-992-2011

22 ნოემბერი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ნ. კვანტალიანი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ბ. ალავიძე,

პ. ქათამაძე

დავის საგანი: საზიარო უფლების გაუქმება

#### აღწერილობითი ნაწილი:

ი. პ-ამ სარჩელით მიმართა სასამართლოს ლ. კ-ასა და ს. ტ-ის წინააღმდეგ საზიარო უფლების გაუქმებისა და რეალური წილის გამოყოფის მოთხოვნით შემდეგი საფუძვლებით: ქ.თბილისში, ... ქ. 18-ში არსებული სახლ-მფლობელობის 1/2 ნაწილი ეკუთვნოდა მოსარჩელის დედის ძმას – ი. ტ-ს, ხოლო დანარჩენი მოსარჩელის დედას, გ. ტ-ს, რომლის გარდაცვალების შემდეგ, 1999 წლიდან, უძრავი ქონება მოსარჩელემ მემკვიდრეობით მიიღო. ი. ტ-ის გარდაცვალების შემდგომ, 1988 წლიდან, მის წილზე აღირიცხა ტ. ტ-ის საკუთრებად, ხოლო მისი გარდაცვალების შემდგომ, 2008 წლიდან, სახლმფლობელობის 1/2 წილის მემკვიდრეები გახდნენ ლ. კ-ა და ს. ტ-ი. შესაბამისად, ამჟამად, ქ. თბილისში, ... ქ. 18-ში მდებარე უძრავი ქონების 1/2 წილის მესაკუთრედ საჯარო რეესტრში აღრიცხულია მოსარჩელე, ხოლო 1/4-1/4 წილი ს. ტ-ისა და ლ. კ-ას სახელზეა რეესტრირებული. ს. ტ-ის წინააღმდეგობის გამო, მოსარჩელე მოკლებულია შესაძლებლობას, თავისუფლად ფლობდეს და სარგებლობდეს თავის საკუთრებაში არსებული ქონებით.

მოპასუხე ს. ტ-მა სარჩელი არ ცნო შემდეგი დასაბუთებით: მისი განმარტებით, 1989 წლის ნოემბერში სასამართლომ განიხილა ტ. ტ-ას სასარჩელო განცხადება მოპასუხე გ. ტ-ას მიმართ თბილისში, ... ქ. 18-ში მდებარე სახლ-მფლობელობიდან რეალური წილის გამოყოფის თაობაზე. 1989 წლის 4 დეკემბრის საინჟინრო-ტექნიკური ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე სასამართლომ დააკმაყოფილა სარჩელი და ტ. ტ-ას რეალურად გამოეყო 11 საცხოვრებელი ოთახი, 12 საცხოვრებელი ოთახი, 18 და 19 დამხმარე სათავსი, რაც იდეალურ წილად შეადგენდა 5/8-ს. გ. ტ-ას რეალურად გამოეყო 13 საცხოვრებელი ოთახი, 15 საცხოვრებელი ოთახი, დამხმარე ფართები 14 და ლიტ. «ბ», რაც იდეალურ წილად შეადგენს 3/8-ს. ამასთან, ვინაიდან ტ. ტ-ას ფართმა შეადგინა 7,24კვ.მ-ით მეტი, მას სასამართლომ მოპასუხის სასარგებლოდ თანხის გადახდა დააკისრა. 1990 წლის 18 აპრილის აღნიშნული გადაწყვეტილება შევიდა კანონიერ ძალაში. მოსარჩელეს არ უცხოვრია მემკვიდრეობით მიღებულ ოთახებში და არც მათი მდგომარეობით დაინტერესებულა, რის გამოც რეალურად წარმოიქმნა მათი დანგრევის საფრთხე, აქედან გამომდინარე, ს. ტ-მა მიიჩნია, რომ მის მიერ გარემონტებული ოთახები მასვე ეკუთვნის. ამასთან, იმ 1/2 ნაწილზე, რომელიც 1990 წლის 18 აპრილის გადაწყვეტილებით გამოეყო გ. ტ-ას და მემკვიდრეობით მიიღო მოპასუხემ, იმყოფება მის მფლობელობაში. იგი ფლობს იმ საკუთრებას, რაც გადაეცა მემკვიდრეობით დედისაგან, ამიტომ, რამდენადაც არსებობს სასამართლო გადაწყვეტილება, რომლის თანახმად გ. და ტ. ტ-ებს შორის იდეალური წილის შესაბამისად გამოეყო რეალური წილები, რომლებიც შემდგომ მემკვიდრეობით გადაეცათ დავის მხარეებს, აღნიშნული გათვალისწინებულია სამოქალაქო კოდექსის 186-ე მუხლის «გ» და «ბ» ქვეპუნქტებით, რის გამოც ი. პ-ას უარი უნდა ეთქვას სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე.

მოპასუხე ლ. კ-მა სარჩელი ცნო და განმარტა, რომ ეთანხმება მოსარჩელეს, რადგან მის უფლებას მართლაც არღვევს ს. ტ-ი. ამ უკანასკნელმა მოსარჩელეს არ მისცა შესაძლებლობა, შეესრულებინა აზომვითი სამუშაოები, რათა გაერკვია, იყო თუ არა რეალურად შესაძლებელი სადავო უძრავი ქონების გაყოფა, ამასთანავე მან დაიკავა საცხოვრებელი ფართის უმეტესი ნაწილი, ი. პ-ას დაუკეტა წყლის მილები, ჩაუჭრა ელექტროენერგია, არ დართო ბუნებრივი აირის შეყვანის ნება, უზღუდავს საცხოვრებელი ფართით სარგებლობას, ოთახებს ადებს ბოქლომს, ქმნის კონფლიქტურ სიტუაციებს და მასთან შეთანხმების გარეშე ატარებს სარემონტო სამუშაოებს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 6 მაისის გადაწყვეტილებით ი. პ-ას სარჩელი დაკმაყოფილდა, ნატურით გაუქმდა ი. პ-ას, ს. ტ-ისა და ლ. კ-ას საზიარო უფლება ქ. თბილისში, ბ-ის ქუჩა 18-ში მდებარე უძრავ ნივთზე; მოსარჩელე ი. პ-ას რეალურად გამოეყო 450 კვ.მ მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობები, კერძოდ, 11 შენობა-ნაგებობის პირველი, მე-7 და მე-8 ოთახები, 12 ნაგებობა, 13 ნაგებობა, 14 ნაგებობა; მიწის ნაკვეთის დარჩენილი ფართი, აგრეთვე, დარჩენილი შენობა-ნაგებობები და ოთახები დარჩა ს. ტ-ისა და ლ. კ-ას საერთო სარგებლობაში.

გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მოპასუხეებმა ს. ტ-მა და ლ. კ-ამ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 28 აპრილის გადაწყვეტილებით ს. ტ-ისა და ლ. კ-ას სააპელაციო საჩივრები დაკმაყოფილდა და გაუქმდა გასაჩივრებული გადაწყვეტილება. სააპელაციო პალატამ სრულად გაიზიარა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: ი. პ-ა წარმოადგენს 1999 წლის 27 ივლისს გარდაცვლილი გ. ტ-ას კანონიერ მემკვიდრეს; გ. ტ-ას სამკვიდრო ქონებას, რაზედაც გაცემულია შესაბამისი სამკვიდრო მოწმობა, შეადგენს: ქ.თბილისში, ... ქ. 18-ში მდებარე მთელი საცხოვრებელი სახლის ლიტ «ა»-ს 1/2 წილი. მთელი საცხოვრებელი სახლის ლიტ «ა» ერთსართულიანია, შედგება 56,52 კვ.მ 4 საცხოვრებელი ოთახისაგან, დამხმარე ფართი 2.57 კვ.მ-ია, სასარგებლო ფართი - 59.09 კვ.მ, რომელიც 900 კვ.მ მიწის ნაკვეთზე მდებარეობს. ი. პ-ა წარმოადგენს ... ქ. 18-ში სახლმფლობელობის 1/2-ნაწილის თანამესაკუთრეს, ტ. ტ-ა კი - არსებული სახ-

ლმფლობელობის 1/2-ის თანამესაკუთრეებს; ს. ტ-ი და ლ. კ-ა ტ. ტ-ას მემკვიდრეები არიან, რომელთაც მემკვიდრეობით მიიღეს სამკვიდროს 1/2 წილი. თბილისში, ... ქუჩა 18-ში მდებარე მიწის ნაკვეთისა და შენობა-ნაგებობების იდეალური წილების თანამესაკუთრეები არიან: ი. პ-ა – 1/2 ნაწილის; ს. ტ-ი – 1/4 ნაწილის, ლ. კ-ა კი – 1/4 ნაწილის.

პალატამ არ გაიზიარა საქალაქო სასამართლოს განმარტებები საზიარო უფლების ნატურით გამოყოფის გზით გაუქმებასთან დაკავშირებით და დაეყრდნო რა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ლ. სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 15.02.2011 წლის დასკვნას, დადგენილად მიიჩნია, რომ ქ. თბილისში, ... ქუჩა 18-ში მდებარე სახლთმფლობელობიდან ი. პ-ას, ს. ტ-ისა და ლ. კ-ის 1/2, 1/4 და 1/4 იდეალური წილის შესაბამისი ფართის გამოყოფა შენობა-ნაგებობებიდან და მიწის ნაკვეთიდან ისე, რომ თითოეულის რეალურმა წილმა შეინარჩუნოს ერთგვაროვნება (წილის მოცულობის შესაბამისად) და ღირებულება, შეუძლებელია, რადგან ერთი თანამესაკუთრისათვის რეალური წილის გამოყოფა მაშინ, როცა მთელ საგანზე საზიარო უფლების გაუქმება შეუძლებელია, არაერთგვაროვან პირობებში აყენებს საზიარო უფლების მქონე პირებს და საზიარო უფლების გაუქმების თაობაზე სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველს ქმნის.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით არ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს დასკვნები და დაეყრდნო რა სამოქალაქო კოდექსის 953-ე, 961-ე, 963-ე მუხლებს, განმარტა, რომ, ვინაიდან ქ. თბილისში, ... ქუჩა 18-ში მდებარე სახლთმფლობელობიდან ი. პ-ას, ს. ტ-ისა და ლ. კ-ის 1/2, 1/4 და 1/4 იდეალური წილის შესაბამისი ფართის გამოყოფა შენობა-ნაგებობებიდან და მიწის ნაკვეთიდან ისე, რომ არ დაირღვეს «სამშენებლო ნორმები და წესები» და «ნაკვეთების საზღვარზე, საზღვართან საცხოვრებელი სახლების, დამხმარე და სხვა ნაგებობების მშენებლობის წესის» მოთხოვნები, ტექნიკურად შეუძლებელია, შესაბამისად, საზიარო უფლების გაუქმებაც ქონების ნატურით გაყოფით შეუძლებელი იქნება, რის გამოც ი. პ-ას სარჩელი ნატურით გაყოფით საზიარო უფლების გაუქმების თაობაზე უსაფუძველავა.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა ი. პ-ამ და მოითხოვა განჩინების გაუქმება და სარჩელის დაკმაყოფილება, შემდეგი საფუძველებით: ვინაიდან მოსარჩელეს არ მიეცა საშუალება, ს. ტ-ის ხელშემშლის გამო, ჩატარებინა ექსპერტიზა საზიარო უფლების გაუქმების შესაძლებლობასთან დაკავშირებით და ასევე სასამართლოს მიერ დანიშნულმა ექსპერტმა ვერ განახორციელა ექსპერტიზის ჩატარება, პირველი ინსტანციის სასამართლომ დააკმაყოფილა სარჩელი და მოსარჩელეს 900 კვ.მ-დან რეალურად გამოუყო 450 კვ.მ მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობები, ხოლო დარჩენილი მიწის ნაკვეთი შენობა-ნაგებობებთან ერთად დატოვა მოპასუხეების საერთო სარგებლობაში. სააპელაციო სასამართლომ მოცემული გადაწყვეტილება გააუქმა მის მიერ დანიშნული საინჟინრო-ტექნიკური ექსპერტიზისა და სამოქალაქო კოდექსის 953-ე, 961-ე, 963-ე მუხლებზე დაყრდნობით, რომლებიც არასწორად განმარტა. აღნიშნულ ნორმათა ანალიზი ცხადყოფს, რომ საზიარო უფლების გაუქმებისთვის საჭიროა საზიარო უფლების გაუქმების მოთხოვნა, რომელიც შეუძლია განახორციელოს ნებისმიერმა მონაწილემ და ასევე სავალდებულო პირობაა საზიარო საგნის ერთგვაროვან ნაწილებად დაყოფის შესაძლებლობა, მათი ღირებულების შემცირების გარეშე. მოცემული დანაწესი გაგებულ უნდა იქნეს შემდეგნაირად: ერთგვაროვან ნაწილებად უნდა გაიყოს საზიარო საგნის ის ნაწილები, რომელზედაც რომელიმე მონაწილე განაცხადებს პრეტენზიას. მოცემულ დავაში მხოლოდ ი. პ-ამ მოითხოვა საზიარო საგნიდან თავისი 1/2 წილის გამოყოფა, რაზედაც ექსპერტმა გასცა ამომწურავი პასუხი, რომ ასეთი გაყოფა შესაძლებელია და ამ დროს თავის დანიშნულებასა და ღირებულებას ინარჩუნებს თითოეული 1/2 ნაწილი. სწორედ ეს დასკვნა უნდა გამხდარიყო სარჩელის დაკმაყოფილების საფუძველი და არ უნდა გათვალისწინებულიყო ექსპერტის დასკვნის ის ნაწილი, სადაც მითითებულია, რომ სახლთმფლობელობიდან მოსარჩელისა და მოპასუხეების იდეალური წილის შესაბამისი ფართის გამოყოფა ისე, რომ არ დაირღვეს სამშენებლო ნორმები და წესები, ტექნიკურად შეუძლებელია. კასატორი უთითებს, რომ პალატის მიერ დასკვნის მოცემული ნაწილის გათვალისწინება კანონშეუსაბამოა, რადგან ასეთი სასარჩელო მოთხოვნა სასამართლოს წინაშე არავის დაუყენებია, შესაბამისად, მასზე მსჯელობა ცდება სასარჩელო მოთხოვნის ფარგლებს.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების სამართლებრივი დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). კასატორს დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია არ წარმოუდგენია, ხოლო სააპელაციო პალატამ დადგენილად ცნო შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

ქ. თბილისში, ... ქუჩა 18-ში მდებარე მიწის ნაკვეთისა და შენობა-ნაგებობების თანამესაკუთრეები არიან: ი. პ-ა – 1/2 ნაწილის, ს. ტ-ი – 1/4 ნაწილის, ხოლო ლ. კ-ა კი – 1/4 ნაწილის.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ლ. სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 15.02.2011 წლის დასკვნით, ქ. თბილისში, ... ქუჩა 18-ში მდებარე სახლთმფლობელობიდან ი. პ-ას, ს. ტ-ისა და ლ. კ-ის 1/2, 1/4 და 1/4 იდეალური წილის შესაბამისი ფართის გამოყოფა შენობა-ნაგებობებიდან და მიწის ნაკვეთიდან მათი დანიშნულებისა და ღირებულების შემცირების გარეშე ისე, რომ არ დაირღვეს «სამშენებლო ნორმები და წესების» და «ნაკვეთების საზღვარზე, საზღვართან საცხოვრებელი სახლების, დამხმარე და სხვა ნაგებობების მშენებლობის წესის» მოთხოვნები შეუძლებელია.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს კასატორის მოსაზრებას, რომ მოცემულ დავაში რადგან მხოლოდ ი. პ-ს ამ მოითხოვა საზიარო საგნიდან თავისი 1/2 წილის გამოყოფა, რაზედაც ექსპერტმა გასცა დადებითი პასუხი, შესაბამისად, მისი მოთხოვნა უნდა დაკმაყოფილდეს.

სამოქალაქო კოდექსის 961-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თითოეულ მოწილეს შეუძლია, ნებისმიერ დროს მოითხოვოს საზიარო უფლების გაუქმება. ამავე კოდექსის 963-ე მუხლით კი, საზიარო უფლება უქმდება ნატურით გაყოფისას, თუ საზიარო საგანი შეიძლება დაიყოს ერთგვაროვან ნაწილებად ღირებულების შემცირების გარეშე. აღნიშნული ნორმების ანალიზი ცხადყოფს, რომ საზიარო უფლების მესაკუთრეს ნატურით გაყოფით შეუძლია საზიარო უფლების გაუქმება, თუმცა, ამ სამოქალაქო უფლების განხორციელებამ არ უნდა შელახოს არც თანამესაკუთრეთა და არც სხვა მესამე პირთა ინტერესები.

სამოქალაქო კოდექსის 170-ე მუხლის მიხედვით, მესაკუთრეს შეუძლია, კანონისმიერი ან სხვაგვარი, კერძოდ, სახელშეკრულებო შეზღუდვის ფარგლებში თავისუფლად ფლობდეს და სარგებლობდეს ქონებით, არ დაუშვას სხვა პირთა მიერ ამ ქონებით სარგებლობა, განკარგოს იგი, თუკი ამით არ ილახება მეზობლების მიერ ან სხვა მესამე პირთა უფლებები ანდა, თუ ეს მოქმედება არ წარმოადგენს უფლების ბოროტად გამოყენებას. ამავე კოდექსის 173-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, საერთო (თანაზიარო, წილადი) საკუთრება წარმოიშობა კანონის ძალით ან გარიგების საფუძველზე.

კანონის ზემოთ მოყვანილი ნორმებიდან გამომდინარე, მესაკუთრე თავის ქონებასთან მიმართებაში თავისუფალია, მაგრამ ამასთან, მისი უფლებამოსილებანი შესაძლოა, შეზღუდული იყოს ან კანონით, ან ხელშეკრულებით. მესაკუთრის მოქმედებით არ უნდა ილახებოდეს მეზობლების ან მესამე პირთა უფლებები. მოცემულ შემთხვევაში საკუთრების ბუნებიდან (საზიარო საკუთრებიდან) გამომდინარე ნივით სარგებლობის თავისუფლება გარკვეულწილად იზღუდება, რაც სხვა თანამესაკუთრეთა არსებობით და მათი ინტერესების გათვალისწინებითაა გამოწვეული.

განსახილველ დავაში, მართალია, ექსპერტის დასკვნით, მხოლოდ ი. პ-ს 1/2 ნაწილის გამოყოფა შესაძლებელია, მაგრამ ამავე დასკვნით დადგენილია, რომ აღნიშნულით ილახება დანარჩენი 1/4-1/4 ნაწილის თანამესაკუთრების ს. ტ-ისა და ლ. კ-ის უფლებები. როგორც ზემოთ აღინიშნა, საზიარო უფლების ნატურით გაყოფისათვის აუცილებელი წინაპირობა საგნის ღირებულების გარეშე ერთგვაროვან ნაწილებად გაყოფის შესაძლებლობაა. ამ წინაპირობის არარსებობა კი, გამორიცხავს მოცემული სასარჩელო მოთხოვნის კანონიერებას.

საკასაციო სასამართლო აქვე აღნიშნავს, რომ საზიარო საგნის ნატურით გამიჯვნის შეუძლებლობა არ უკარგავს პირს უფლებას, საზიარო საგანზე საკუთრების უფლება დაიცვას კანონით გათვალისწინებული სხვა წესით – საზიარო საგნის გაყიდვის შედეგად ამ უფლების გაუქმებით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო საჩივარი უსაფუძვლოა და არ უნდა დაკმაყოფილდეს.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

#### **და ა დ გ ი ნ ა:**

ი. პ-ს საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 28 აპრილის გადაწყვეტილება დარჩეს უცვლელად.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

### **საზიარო უფლების გაუქმება ნატურით გაყოფისას**

#### **განჩინება**

1ას-446-421-2011

5 ივლისი, 2011წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: ნ. კვანტალიანი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),**

**პ. ქათამაძე,**

**ბ. ალავეძე**

**დავის საგანი:** საზიარო ქონებიდან წილის გამოყოფა

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

თ. ჯ-მემ სარჩელი აღძრა სასამართლოში ე. მ-ძის მიმართ და მოითხოვა საზიარო ქონებიდან წილის გამოყოფა შემდეგი დასაბუთებით: 1996 წლის 29 აპრილს ჩუქების ხელშეკრულებით მოპასუხის მეუღლე ი. ბ-შვილმა გადასცა ქ..., ..... ქუჩა 1...-ში მდებარე სახლის 2\3, ხოლო იმავე დღის ანდერძით მის შვილს – გ. ჯ-ძეს უანდერძა სახლის 1\3 ნაწილი. მოპასუხემ 2007 წელს სასამართლოში შეიტანა სარჩელი ჩუქების ხელშეკრულებისა და ანდერძის ბათილად ცნობის შესახებ. აღნიშნულ დავაზე საბოლოო გადაწყვეტილება მიღებულ იქნა სააპელაციო სა-

სამართლოში 2008 წლის 17 აპრილს. აღნიშნული გადაწყვეტილებით ჩუქების ხელშეკრულება ძალაში დარჩა, ხოლო ანდერძის ნაწილში ცვლილება შევიდა და ე. მ-მეს მიეცა სახლის 1/3-ის ნახევარი, რაც შეადგენს მთლიანი სახლის 1/6-ს. მთლიანი სახლის საერთო ფართობი არის 209 კვ.მ, რადგანაც სასამართლოს გადაწყვეტილება ძალაში იქნა შესული, მის მიერ საჯარო რეესტრში ცვლილება იქნა შეტანილი და საცხოვრებელი სახლი დარეგისტრირდა მის სახელზე, ასევე შვილის – გ. ჯ-მის საკუთრება, მისივე თანხმობით, რეგისტრირებულ იქნა მოსარჩელის სახელზე. სახლს ამჟამად ჰყავს ორი მესაკუთრე, მოპასუხე ე. მ-მე, რომლის საკუთრებასაც წარმოადგენს საცხოვრებელი სახლის 1/6 და მოსარჩელე, რომლის საკუთრებაცაა სახლის 5/6. მიუხედავად იმისა, რომ უდიდესი ნაწილის მესაკუთრე არის თავად, ე. მ-მე არ უშვებს მას საცხოვრებელ სახლში.

მოპასუხემ წარმოადგინა შესაგებელი, რითაც სარჩელი არ ცნო და აღნიშნა, რომ ჩუქების ხელშეკრულებისა და ანდერძის ბათილად ცნობის შესახებ სასამართლო დავა ამ ეტაპზე არ არის საბოლოოდ გადაწყვეტილი, 2008 წლის 17 აპრილის გადაწყვეტილება გასაჩივრებულია საკასაციო საჩივრით, რის გამოც შეუძლებელია საქმეზე გადაწყვეტილების მიღება უზენაესი სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე.

გორის რაიონულ სასამართლოში სარჩელი აღძრა ე. მ-ემ მოპასუხე თ. ჯ-მის მიმართ და ითხოვა 1996 წლის 29 აპრილის ჩუქების ხელშეკრულების გაუქმება. გორის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 8 აპრილის განჩინებით სამოქალაქო საქმე, ე. მ-მის სარჩელისა გამო, მოპასუხე თ. ჯ-მის მიმართ, 1996 წლის 29 აპრილის ჩუქების ხელშეკრულების გაუქმების თაობაზე და თ. ჯ-მის სასარჩელო განცხადება, მოპასუხე ე. მ-მის მიმართ, იდეალური წილიდან რეალური წილის გამოყოფის თაობაზე გაერთიანდა ერთ წარმოებად. სასამართლომ დადგინდა ცნო შემდეგი: გორის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 30 აპრილის გადაწყვეტილებით თ. ჯ-მის სარჩელი დაკმაყოფილდა, ე. ...., ..... ქუჩა 1.....-ში მდებარე საცხოვრებელი ბინა გაიყო შემდეგნაირად: პირველ სართულზე მდებარე ოთახები '1, '2, '3 და '6 სათავსობი მიეკუთვნა მოსარჩელე ე. ჯ-მეს, ხოლო მეორე სართულზე '1, '2 და '3 სათავსობი მოპასუხე – თ. მ-მეს. გაყოფისათვის უნდა ამოშენდეს გამყოფი ტიხარი და '1 და '2 ოთახებს შორის მდებარე კარის ღიობი მოიშალოს და მოეწყოს გვერდით. '5 ოთახში ფანჯრის ღიობის ნაცვლად გაკეთდეს კარის ღიობი. 1996 წლის 29 აპრილს ჩუქების ხელშეკრულებით მოპასუხის მეუღლე – ი. ბ-შვილმა გადასცა ე. ...., ..... ქუჩა 1....-ში მდებარე სახლის 2/3 ნაწილი, ხოლო იმავე დღეს ანდერძით მის შვილს, გ. ჯ-მეს უანდერძა სახლის დანარჩენი ნაწილი, ე.ი. 1/3 ნაწილი. ე. მ-მემ 2007 წელს სარჩელით მიმართა სასამართლოს ჩუქების ხელშეკრულების და ანდერძის ბათილად ცნობის მოთხოვნით თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 17 აპრილის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით ჩუქების ხელშეკრულება ძალაში იქნა დატოვებული, ხოლო ანდერძის ნაწილში შეტანილი იქნა ცვლილება და ე. მ-მეს მიეცა სახლის 1/3-ის ნახევარი, რაც შეადგენს მთლიანი სახლის 1/6-ს.

სისპ ცვლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2009 წლის 16 თებერვლის 113-685 დასკვნის თანახმად, მოპასუხე მხარე არ გამოცხადდა გამოსაკვლევი ობიექტზე, სახლის ეზოს კარი იყო დაკეტილი, ვერ მოხერხდა ეზოში შესვლა, რის გამოც ექსპერტიზა ჩატარდა სამოქალაქო საქმეში არსებული საინვენტარიზაციო გეგმის თანახმად. ექსპერტიზის ბიუროს დასკვნის თანახმად, საცხოვრებელი სახლის საერთო ფართი, საინვენტარიზაციო გეგმის თანახმად, შეადგენს 208 კვ.მ-ს, საიდანაც საცხოვრებელი ფართია 144.6 კვ.მ, ხოლო არასაცხოვრებელი – 64,3 კვ.მ საცხოვრებელი სახლის გაყოფა მხარეთა წილების შესაბამისად შესაძლებელია ისე, როგორც ეს დანართ '2-ზეა ნაჩვენები, რა დროსაც მოსარჩელე მხარეს დარჩება პირველ სართულზე '1, '2, '3 და '6 სათავსობი, მეორე სართულზე '1, '2 და '3 სათავსობი, საერთო ფართით 172,14 კვ.მ, რაც მისი 5/6 წილის შესაბამის 174,1 კვ.მ-ზე 1,96 კვ.მ-ით ნაკლებია. ხოლო მოპასუხე მხარეს დარჩება პირველ სართულზე '5, '4 და '2 სათავსოები საერთო ფართით 35,05 კვ.მ. რაც მისი 1/6 წილის შესაბამის ფართზე 34,8 კვ.მ-ზე 0,25 კვ.მ-ით მეტია. საცხოვრებელი სახლის ასეთი წესით გაყოფისას საჭიროა პირველი სართულის '2 ოთახში ამოშენდეს გამყოფი ტიხარი და '1 და '2 ოთახებს შორის მდებარე კარის ღიობი მოიშალოს და მოეწყოს გვერდით, '5 ოთახში ფანჯრის ღიობის ნაცვლად მოეწყოს კარის ღიობი.

სასამართლომ არ გაიზიარა მოპასუხის ე. მ-მის განმარტება, იმის თაობაზე, რომ ექსპერტიზის დასკვნა არ უნდა იქნეს გაზიარებული, ვინაიდან ექსპერტიზა ჩატარდა მხარეთა დასწრების გარეშე, ყოველგვარი აზომებითი სამუშაოების ჩატარების გარეშე, საინვენტარიზაციო გეგმისა და მოსარჩელე თ.ჯ-მის მითითების მიხედვით. სასამართლომ მიუთითა, რომ ე. ...., ..... ქუჩა 1....-ში მდებარე სახლის გაყოფა განხორციელდა საქმეში დაცული ზემოხსენებული უძრავი ქონების საინვენტარიზაციო გეგმის თანახმად. აღნიშნულ გეგმაში ასახული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი ფართის განლაგებისა და დღევანდელი ფაქტობრივი მდგომარეობით არსებული განლაგების იდენტურობა მოპასუხე მხარის მიერ სადავო არ გამხდარა. სამოქალაქო კოდექსის 963-ე მუხლის თანახმად, საზიარო უფლების გაუქმების დროს, მნიშვნელოვანია საზიარო საგანი დაიყოს ერთგვაროვან ნაწილებად ღირებულების შემცირების გარეშე. სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურომკანონის საფუძველზე განხორციელა სადავო ბინის გაყოფა დამოუკიდებელ წილებად, ამასთან საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ მოპასუხეს ექსპერტიზის დასკვნის შესაბამისად, მიეკუთვნა მეტი ფართი, ვიდრე ამას მოიცავდა მისი წილი ბინაში. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ მიიჩნია, რომ ექსპერტიზის დასკვნით წილების გაყოფის შესახებ, დაცულია სამოქალაქო კოდექსის 963-ე მუხლის მოთხოვნა. სასამართლომ ასევე ვერ გაიზიარა მოპასუხის განმარტება იმის თაობაზე, რომ ექსპერტიზის დასკვნით გამოკვლეულია არა მხარეთა თანასაკუთრებაში არსებული საცხოვრებელი სახლი, არამედ სულ სხვა ობიექტი, მდებარე ე. ...., ..... 1....-ში.

სასამართლომ აღნიშნა, რომ ექსპერტიზის დასკვნაში მითითებულია შემდეგი: «სასამართლოს მიერ წარმოდგენილი განჩინებიდან ირკვევა, რომ გამოსაკვლევი ობიექტი მდებარეობს ე. ...., ..... ქ.1....-ში». ამრიგად, ექსპერტიზის დასკვნას საფუძველად დაედო გორის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 15 დეკემბრის განჩინება, ხოლო აღნიშნული განჩინებით, ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს დაევა ე. ...., ..... ქუჩა 1....-ში თ. ჯ-მისა და ე. მ-მის საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი სახლის ფართის გაყოფა. დადგენილია, რომ ექსპერტიზის ბიურომ ფართის გაყოფა

ფისათვის იხელმძღვანელა საქმის ფურცელ 20-ზე მდებარე შენობის საინვენტარიზაციო გეგმით. აღნიშნული გეგმით დასტურდება, რომ მასზე ასახული შენობა-ნეგებობა წარმოადგენს ჯ-მისა და ბ-შვილის თანასაკუთრებაში არსებულ საცხოვრებელ სახლს. სასამართლომ მიიჩნია, რომ ექსპერტიზის დასკვნაში არასწორი მისამართის მითითება წარმოადგენს მექანიკურ შეცდომას, ექსპერტიზის ბიუროს მიერ რეალურად განხორციელდა ქ. ..., ... ქუჩა 1...-ში საცხოვრებელი ბინის გაყოფა წილების მიხედვით.

სასამართლომ მიიჩნია, რომ განსახილველ შემთხვევაში არსებობს კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობანი საზიარო უფლებების სახით. ვინაიდან მოსარჩელის მოთხოვნა, თანასაკუთრებაში არსებული ქონების გაყოფის შესახებ, თავისი შინაარსიდან გამომდინარე გულისხმობს საზიარო უფლების გაუქმებას, შესაბამისად, გამოყენებულ უნდა იქნეს საზიარო უფლების გაუქმებისათვის დადგენილი ნორმები. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 961-ე მუხლის პირველი ნაწილის და 963-ე მუხლის ანალიზით, საზიარო უფლების გაუქმებისათვის საკმარისია ერთ-ერთი მონაწილის მოთხოვნა. ამასთან, საზიარო უფლების გაყოფა ხდება მაშინ, როცა საზიარო საგანი შეიძლება დაიყოს ერთგვაროვან ნაწილებად ღირებულების შემცირების გარეშე. სსიპ-ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2009 წლის 16 თებერვლის 113-685 დასკვნის თანახმად, საცხოვრებელი სახლის გაყოფა მხარეთა წილების შესაბამისად, შესაძლებელია.

მოცემულ შემთხვევაში ექსპერტიზა დაინიშნა მოსარჩელე მხარის შუამდგომლობის საფუძველზე, ექსპერტიზის ხარჯები სრულად იქნა უზრუნველყოფილი მის მიერ. ამრიგად, სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელემ წარმოდგინილი ექსპერტიზის დასკვნით შესრულა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლით მასზე დაკისრებული მტკიცების ტვირთის მოვალეობა ქ. ..., ... ქუჩა 1...-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის წილების შესაბამისად გაყოფის შესაძლებლობების შესახებ. საწინააღმდეგო სახის მტკიცებულება მოპასუხემ ვერ წარმოადგინა, რის გამოც გაზიარებულ იქნა ზემოხსენებული მტკიცებულება და სადავო საცხოვრებელი სახლი გაიყო სსიპ – ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2009 წლის 16 თებერვლის 113-685 დასკვნის თანახმად.

გორის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 30 აპრილის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ე. მ-მემ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 21 ოქტომბრის განჩინებით ე. მ-მის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად. პალატამ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: 1996 წლის 29 აპრილს ჩუქების ხელშეკრულებით მოპასუხის მეუღლე-ი. ბ-შვილმა გადასცა ქ. ..., ... ქუჩა 1...-ში მდებარე სახლის 2/3 ნაწილი, ხოლო იმავე დღეს ანდერძით თავის შვილს – გ. ჯ-მეს უანდერძა სახლის დანარჩენი 1/3 ნაწილი. ე. მ-მემ 2007 წელს სარჩელით მიმართა სასამართლოს ჩუქების ხელშეკრულების და ანდერძის ბათილად ცნობის მოთხოვნით თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 17 აპრილის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით ჩუქების ხელშეკრულება ძალაში იქნა დატოვებული, ხოლო ანდერძის ნაწილში შეტანილ იქნა ცვლილება და ე. მ-მეს მიეცა სახლის 1/3-ის ნახევარი, რაც შეადგენს მთლიანი სახლის 1/6-ს. საცხოვრებელ სახლს ჰყავს ორი მესაკუთრე მოპასუხე ე. მ-მე, რომლის საკუთრებას წარმოადგენს საცხოვრებელი სახლის 1/6 ნაწილი და მოსარჩელე, რომლის საკუთრებას სახლის 5/6.

პალატამ არ გაიზიარა აპელანტის მოსაზრება, რომ საზიარო უფლება გაუქმდა და რეალური წილი გაიყო საექვო მტკიცებულების – საექსპერტო დასკვნის საფუძველზე, და განმარტა, რომ საქმეში არსებული მასალების თანახმად, ექსპერტმა გამოიკვლია ქ. ..., ... ქუჩა 1...-ში მდებარე სადავო საცხოვრებელი სახლის და არა ქ. ..., ... ჩიხი 1...-ში მდებარე საცხოვრებელი სახლი. ვინაიდან მოპასუხე არ გამოცხადდა გამოსაკვლევ ობიექტზე და საცხოვრებელი სახლის ეზოს კარი იყო დაკეტილი, ვერ მოხერხდა ეზოში შესვლა და ექსპერტიზისათვის საჭირო, საცხოვრებელი სახლის აზომვითი სამუშაოების ჩატარება. ექსპერტმა სახლი გაყო სამოქალაქო საქმის ფურცელ 20-ზე არსებული საინვენტარიზაციო გეგმის მიხედვით. საქმის ფურცელ 20-ზე მართლაც განთავსებულია ქ. ..., ... ქ. 1...-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის საინვენტარიზაციო გეგმა, ექსპერტის მიერ ექსპერტიზა ჩატარებულ იქნა არა ქ. ..., ... ჩიხი 1...-ში მდებარე უძრავ ქონებაზე, არამედ, ქ. ..., ... ქ. 1...-ში მდებარე სადავო საცხოვრებელ სახლზე. აღნიშნულიდან გამომდინარე პალატა დაეთანხმა გორის რაიონულ სასამართლოს მოსაზრებას, რომ ექსპერტიზის დასკვნაში არასწორი მისამართის მითითება მექანიკური შეცდომაა. პალატამ ასევე მიუთითა, რომ ზემოაღნიშნული გარემოების საწინააღმდეგო, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის თანახმად, საწინააღმდეგო სახის მტკიცებულება მოპასუხე მხარემ ვერ წარმოადგინა. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 169-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, პალატამ ასევე განმარტა, რომ, თუ მხარე არასაპატიო მიზეზით არ ასრულებს ექსპერტიზის მითითებებს ან სხვაგვარად ხელს უშლის ექსპერტიზის ჩატარებას, მოწინააღმდეგე მხარის პოზიცია ჩაითვლება დადასტურებულად.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 21 ოქტომბრის განჩინება საკასაციო საჩივრით გაასაჩივრა ე. მ-მემ და მოითხოვა მისი გაუქმება შემდეგი საფუძველებით: მხარეს არ წარმოდგენია არავითარი მტკიცებულება იმის შესახებ, რომ ექსპერტის მოსვლის შესახებ ე. მ-მისათვის ცნობილი იყო, ამრიგად ის, რომ ექსპერტი ვითომცდა გამოსული იყო და კასატორი სახლში არ დახვდა, არ შეეფერება სინამდვილეს. კასატორს არავითარი უწყება თუ შეტყობინება არ ჩაჰბარებია, არც საჯაროდ გამოცხადებული არ ყოფილა, რაც დასკვნის გაუქმების საფუძველია. ექსპერტის მიერ ექსპერტიზა ჩატარებულ იქნა ქ. ..., ... რაც ფაქტობრივად მიუთითებს იმაზე, რომ ექსპერტი საერთოდ არ ყოფილა მისული ადგილზე და კვლევა ჩაატარა თავის კაბინეტში.

**სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების სამართლებრივი დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლის პირველი ნაწილის «ა» და «ბ» ქვეპუნქტების თანახმად, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ კანონის მითითებულ დარღვევას არ აქვს ადგილი და სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა. საკასაციო პალატის აზრით, სააპელაციო სასამართლომ სამართლებრივად სწორად შეაფასა დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები და საკასაციო საჩივარში მითითებული კანონის დარღვევა არ დგინდება.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). კასატორებს დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია არ წარმოუდგენიათ, ხოლო სააპელაციო სასამართლომ დადგენილად ცნო შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: ქ. ..., ... ქუჩა 1...-ში მდებარე სადავო საცხოვრებელი სახლის 1/6 ნაწილი ეკუთვნის ე. მ-ძეს, ხოლო 5/6 – ნაწილი თ. ჯ-ძეს.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო პალატამ სწორი სამართლებრივი შეფასება მისცა დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს, კერძოდ: სამოქალაქო კოდექსის 961-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, თითოეულ მონაწილეს შეუძლია ნებისმიერ დროს მოითხოვოს საზიარო უფლების გაუქმება, ხოლო ამავე კოდექსის 963-ე მუხლით, საზიარო უფლების ნატურით გაყოფა დასაშვებია, თუ საზიარო საგანი შეიძლება დაიყოს ერთგვაროვან ნაწილებად ღირებულების შემცირების გარეშე.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლის თანახმად, სამართალწარმოება მიმდინარეობს შეჯიბრებითობის საფუძველზე. შეჯიბრებითობის პრინციპის საფუძველზე მოდავე მხარეებს აქვს თანაბარი უფლებები და შესაძლებლობები, განკარგონ ფაქტობრივი გარემოებების დადგენის საპროცესო საშუალებები, აგრეთვე, წარმოადგინონ მტკიცებულებები მითითებული ფაქტების დასადასტურებლად. ამასთანავე, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის თანახმად, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს. ამრიგად, მტკიცების ტვირთი ერთნაირად ეკისრებათ მხარეებს და ეს ტვირთი თანაბრად ნაწილდება მათ შორის. სამოქალაქო პროცესში სასამართლო შეზღუდულია არა მარტო მხარეთა სასარჩელო მოთხოვნისა თუ შესაგებლის ფარგლებით, არამედ მხარეთა მითითებით, თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძვლად მათ მოთხოვნებს ან რომელი მტკიცებულებებით უნდა იქნეს დადასტურებული ეს ფაქტები.

საქმის მასალებით დადგენილია, რომ მოცემულ შემთხვევაში ექსპერტიზა დაინიშნა თ. მ-ძის შუამდგომლობის საფუძველზე და ექსპერტიზის ხარჯები მის მიერ სრულად იქნა უზრუნველყოფილი. სადავო საცხოვრებელი სახლი გაყოფის სსიპ – ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2009 წლის 16 თებერვლის 113-685 დასკვნის საწინააღმდეგო მტკიცებულება ე. მ-ძეს არ წარმოუდგენია.

კასატორს ასევე არ წარმოუდგენია მტკიცებულება, რომლითაც დადასტურდებოდა, რომ ექსპერტის დასკვნის საფუძველზე მიღებული სასამართლო გადაწყვეტილებით სადავო საცხოვრებელ სახლზე მისი წილი შემცირდა ან დარღვეულია რაიმე კონკრეტული უფლება. კასატორი ასევე ვერ ასაბუთებს, ექსპერტიზის ჩატარებაში მისი მონაწილეობის შემთხვევაში რა განსხვავებული და მისთვის მისაღები შედეგი დადგებოდა, ან რა შეიცვლებოდა დადგენილი წესით გამოიკვანა. საგულისხმოა, რომ სადავო ექსპერტის დასკვნის საფუძველზე ეთერ მახათაძეს ნატურით 1/6 წილზე მეტი მიეკუთვნა.

ამრიგად, კასატორი ვერ ასაბუთებს გასაჩივრებული გადაწყვეტილების არაკანონიერებას, რის გამოც საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

#### **და ა დ გ ი ნ ა :**

ე. მ-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.  
თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 21 ოქტომბრის განჩინება დარჩეს უცვლელად.  
საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

### **უსაფუძვლო გამდიდრება**

#### **ვითომ-კრედიტორისგან მოთხოვნის საფუძველები**

#### **განჩინება**

1ას-23-18-2011

24 მაისი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ნ. კვანტალიანი (თავმჯდომარე, მომხსენებელი)

**ბ. ალავიძე,  
პ. ქათამაძე**

**დავის საგანი:** სესხის დაბრუნების შესახებ

**აღწერილობითი ნაწილი:**

თ. ტ-მემ სარჩელი აღძრა სასამართლოში მ. დ-იას მიმართ სესხის დაკისრების მოთხოვნით შემდეგი საფუძველებით: მ. ტ-მემ 2009 წლის ოქტომბერში მ. დ-იას ასესხა 2 900 ევრო უპროცენტოდ იმ პირობით, რომ მოპასუხე მ. დ-ია უახლოეს დღეებში სამუშაოდ ჩავიდოდა იტალიაში და გადაიხდიდა ვალს. სამოქალაქო კოდექსის 624-ე მუხლის თანახმად, მხარეებს შორის დაიდო სესხის ზეპირი ხელშეკრულება. მ. დ-იას, სამოქალაქო კოდექსის 361-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, დაეკისრა ვალდებულება დათქმულ დროსა და ადგილას კეთილსინდისიერად გადაეხადა ვალი – ამავე კოდექსის 386-ე მუხლის თანახმად, კრედიტორის მოსარჩელე მ. ტ-მის ადგილსამყოფელის მიხედვით, იტალიაში, ჩაერიცხა თანხა მოსარჩელის საბანკო ანგარიშზე. მოპასუხემ შეიძინა თვის განმავლობაში არ გადაიხადა ვალი, არ ჩავიდა სამუშაოდ იტალიაში, ნასესხები თანხა კი, გამოიყენა სხვა პირადი საჭიროებისათვის. მოსარჩელის ქონებრივი მდგომარეობა არსებითად გაუარესდა და საფრთხე შეექმნა სესხის დაბრუნებას, რაც უფლებას აძლევს გამსესხებელს, სამოქალაქო კოდექსის 627-ე მუხლის თანახმად, მოითხოვოს ვალის დაუყოვნებლივ დაბრუნება. ამავე კოდექსის 404-ე მუხლის თანახმად, კრედიტორს, მოსარჩელეს უფლება აქვს, მოპასუხისაგან დამატებით მოითხოვოს ვადის გადაცილებით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება, გასესხებული თანხის 10%-ის – 290 ევრო ეროვნული ვალუტით.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და შემდეგი საფუძველებით: მოსარჩელისაგან ნამდვილად მიღებული აქვს 1999 ევრო, რომელიც იყო მის მიერ თ. ტ-მისათვის რამდენიმე წლის წინ ნასესხები თანხის ნაწილი და იგი უკან დაუბრუნა მოსარჩელემ, რომელსაც კიდევ დარჩა მოპასუხის ვალი. 800 ევრო კი, მას გამოუგზავნა ს. დ-იამ და არა მოსარჩელემ.

სამტრედიის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 7 ივლისის გადაწყვეტილებით თ. ტ-მის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, მ. დ-იას თ. ტ-მის სასარგებლოდ დაეკისრა 2198,9 ევროს გადახდა, რაც სააპელაციო წესით გაასაჩივრა მ. დ-იამ და თ. ტ-მემ.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 5 ოქტომბრის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით მ. დ-იას წარმომადგენლის, მ. ს-მის, შუამდგომლობა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის თაობაზე დაკმაყოფილდა, მ. დ-იას სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, თ. ტ-მის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, გაუქმდა სამტრედიის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 7 ივლისის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, თ. ტ-მის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლოს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების მოთხოვნით საჩივარი შეიტანა თ. ტ-მის წარმომადგენელმა ჯ. შ-იამ.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 9 ნოემბრის განჩინებით თ. ტ-მის საჩივარი დაკმაყოფილდა, გაუქმდა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 5 ოქტომბრის დაუსწრებელი გადაწყვეტილება და განახლდა საქმის წარმოება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 9 ნოემბრის განჩინებით მ. დ-იასა და თ. ტ-მის სააპელაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა სამტრედიის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 7 ივლისის გადაწყვეტილება შემდეგი საფუძველებით: სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები და სამართლებრივი შეფასებები, კერძოდ, დადგენილად ცნო მ. დ-იას მიერ თ. ტ-მისაგან 1999 ევროსა და შემდეგ ს. დ-იასაგან 800 ევროს გამოგზავნისა და მიღების ფაქტი და აღნიშნა, რომ მ. დ-იამ ვერ დაადასტურა, რომ თ. ტ-მის მიერ გამოგზავნილი 1999 ევრო მის მიერ მ. დ-იას ოჯახისაგან ადრე აღებული ვალის დასაფარავად იქნა გამოგზავნილი, შესაბამისად, სასამართლომ მიიჩნია, რომ თ. ტ-მემ მ. დ-იას გამოუგზავნა 1999 ევრო, რაც შეეხება 800 ევროს თ. ტ-მისათვის კუთვნილების ფაქტს, სასამართლომ სანოტარო აქტზე დაყრდნობით მიიჩნია, რომ ს. დ-იას მიერ მ. დ-იასათვის გამოგზავნილი თანხა თ. ტ-მეს არ ეკუთვნოდა, ხოლო ს. დ-ია კი, ამ თანხის მხოლოდ გამომგზავნი იყო. სააპელაციო პალატამ გადაწყვეტილება დაასაბუთა სამოქალაქო კოდექსის 623-ე, 624-ე, 317-ე, 316-ე მუხლის პირველი ნაწილით, 361-ე მუხლის მეორე ნაწილით და 411-ე მუხლით.

სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე საკასაციო საჩივარი შეიტანა მ. დ-იამ, მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელზე უარის თქმა შემდეგი საფუძველებით: სააპელაციო სასამართლოს განჩინება იურიდიულად იმდენად არასრული და დაუსაბუთებელია, რომ მისი სამართლებრივი საფუძველიანობის შემოწმება შეუძლებელია. სასამართლომ გამოიყენა რა სამოქალაქო კოდექსის 316-ე, 317-ე, 623-ე, 624-ე მუხლები, ვერ დაასაბუთა, თუ რა სახელშეკრულებო ურთიერთობაში იმყოფებოდა მ. დ-ია თ. ტ-მისთან. სამოქალაქო კოდექსის 341-ე მუხლის შესაბამისად, იმ ხელშეკრულების ნამდვილობისათვის, რომლითაც აღიარებულ იქნა ვალდებულებითი ურთიერთობის არსებობა (ვალის არსებობის აღიარება), აუცილებელია წერილობითი აღიარება, სააპელაციო სასამართლოს კი, ასეთი მტკიცებულება არ მოუპოვებია. ამავე კოდექსის 624-ე მუხლის იმპერატიული მოთხოვნაა, რომ ზეპირი ხელშეკრულების ნამდვილობა არ დასტურდება მხოლოდ მოწმეთა ჩვენებებით. მოცემულ შემთხვევაში არც წერილობით და არც ზეპირი გარიგებები არ არსებობდა, მხოლოდ საფოსტო გზავნილით არ შეიძლება დადასტურდეს თანხის სესხად მიღების ფაქტი.

**სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ მ. დ-იას საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო სააპელაციო პალატის გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩეს უცვლელად შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლის პირველი ნაწილის «გ» ქვეპუნქტის თანახმად, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არსებითად სწორია, მიუხედავად იმისა, რომ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი არ შეიცავს შესაბამის დასაბუთებას.

საკასაციო სასამართლო თვლის, რომ სააპელაციო პალატამ კანონის მოთხოვნათა დაცვით დაადგინა ფაქტობრივი გარემოებები, არსებითად სწორი განჩინება მიიღო, მაგრამ არასწორი სამართლებრივი შეფასებით, კერძოდ:

განსახილველ შემთხვევაში უდავოა ის გარემოება, რომ თ. ტ-მე გადასცა და მ. დ-იამ მიიღო 1999 ევრო. სადავოს წარმოადგენს და სასამართლოს უნდა დაედგინა, თანხის გადაცემის საფუძველი. სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ მ. დ-იამ ვერ დაამტკიცა, რომ სადავო თანხა მან ასესხა თ. ტ-მეს, ხოლო ამ უკანასკნელმა სესხი დააბრუნა. აღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ვინაიდან მ. დ-იამ აღიარა თანხის მიღების ფაქტი, თანხა მას ზეპირი გარიგების შედეგად სესხად გადაეცა და მ. დ-ია ვალდებულია, დააბრუნოს.

საქმეზე დადგენილია ფაქტობრივი გარემოებები, რომ თ. ტ-მე გადასცა და მ. დ-იამ მიიღო 1999 ევრო. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის თანახმად, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს.

მოცემულ დავაში მოსარჩელე თ. ტ-მე სარჩელს თანხის დაბრუნების თაობაზე ამყარებს იმ ფაქტობრივ გარემოებაზე, რომ მ. დ-იას სესხად გადასცა თანხა და ითხოვს გადაცემული თანხის უკან დაბრუნებას.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 178-ე მუხლის «თ» ქვეპუნქტი ავალდებულებს მოსარჩელეს, სარჩელში მიუთითოს იმ სამართლებრივ საფუძვლებზე, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებს, თუმცა ასეთის მიუთითებლობა ან ფაქტობრივი გარემოებების არასწორი სამართლებრივი შეფასება არ შეიძლება იყოს სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველი. მხარის მიერ სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებების კონკრეტულ მატერიალურ-სამართლებრივ ნორმასთან შესაბამისობის დადგენა სასამართლოს უფლებაცაა და ვალდებულებაც.

დავის სამართლებრივი შეფასებისას მოსამართლე სრულიად დამოუკიდებელია, განსხვავებით პროცესის ფაქტობრივ საფუძვლებზე მუშაობისაგან და არ არის შეზღუდული დისპოზიციურობის ან შეჯიბრებითობის პრინციპებით.

შეჯიბრებითობისა და დისპოზიციურობის პრინციპიდან გამომდინარე, მხარეებს შეუძლიათ თავად განსაზღვრონ, აღძრან თუ არა დავა სასამართლოში, როგორ წარმართონ ან როგორ დაასრულონ იგი. მათ ასევე შეუძლიათ თავად გადაწყვიტონ საქმის რომელი ფაქტობრივი გარემოებები მოახსენონ და რომელი მტკიცებულებები წარუდგინონ სასამართლოს. მხარეთა მიერ წარდგენილი მოთხოვნებისა და მოხსენებული ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება კი მხოლოდ მოსამართლის პრეროგატივაა.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 178-ე მუხლით გათვალისწინებული წინაპირობების შესრულებასთან ერთად მხარეებმა მოსამართლეს უნდა მოახსენონ: საქმის ფაქტობრივი გარემოებები, რომლებზეც მხარე თავის მოთხოვნას ამყარებს და მოთხოვნის შინაარსი. მიზანშეწონილია, მაგრამ არაა აუცილებელი, თუ მხარეები მოთხოვნის იმ სამართლებრივ საფუძველზე – ნორმაზე მიუთითებენ, რომელსაც მათი მოთხოვნა ან, შესაბამისად, შესაგებელი ემყარება, თუმცა სასამართლოსათვის შემზღვევადი არ არის. მოსამართლისათვის სავალდებულო არ არის მხარეთა მოსაზრებები, თუ მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად რა სამართლებრივი საფუძველი უნდა იქნეს გამოყენებული და არც კანონის იმპერატიული დათქმაა, გამოტანილი გადაწყვეტილება დაეფუძნოს მხარეთა მიერ მითითებულ მოთხოვნის საფუძველს. მაშინაც კი, თუ მხარეები განსაზღვრულ საკითხებთან მიმართებით არასწორ ან არამყარ სამართლებრივ პოზიციას ირჩევენ, თუ საქმის მასალებზე დაყრდნობითა და სხვაგვარი დასაბუთებით, კანონიერი გადაწყვეტილების გამოტანა შესაძლებელია, მოსამართლეს სხვა გზის არჩევის უფლება აქვს. სწორედ აღნიშნული წარმოადგენს სამოსამართლო საქმიანობას, რაც უზრუნველყოფს კერძო სამართლის სუბიექტთა დარღვეული უფლებებისა და ინტერესების სრულყოფილად და ეფექტურად დაცვას.

მოცემულ დავაში ვერც თ. ტ-მე ამტკიცებს თანხის გასესხებას კანონით გათვალისწინებული მტკიცებულებებით (სამოქალაქო კოდექსის 624-ე მუხლი) და ვერც მ. დ-ია ამტკიცებს თ. ტ-მისგან სადავო თანხის მათ შორის არსებული ვალდებულების შესრულების მიზნით მიღებას (სამოქალაქო კოდექსის 624-ე მუხლი, 429-ე-431-ე მუხლები). აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს სააპელაციო პალატის დასკვნას მხარეთა შორის სასესხო ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობის არსებობის შესახებ.

თანხის გამცემი თ. ტ-მე ითხოვს, გადაცემულის უკან დაბრუნებას, იმ მოტივით, რომ მას მ. დ-იას მიმართ რაიმე შესრულების ვალდებულება არ გააჩნდა. საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი და სამართლებრივი რეალობის პირობებში საკასაციო სასამართლოს კანონშესაბამისად მიაჩნია თ. ტ-მის მოთხოვნა, კერძოდ:

ყველა მართლწესრიგი სამართლის სუბიექტთა ქცევის წესს კეთილსინდისიერების პრინციპზე აფუძნებს და ამ პრინციპს ნორმატიულ კონცეფციად განიხილავს. კეთილსინდისიერების ინსტიტუტი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სამოქალაქო სამართლისათვის და იგი მთლიანად კერძო სამართლის უმთავრეს პრინციპს წარმოადგენს. ამის ნათელ დადასტურებას წარმოადგენს სამოქალაქო კოდექსის მე-8 მუხლის მესამე პუნქტის დანაწესი, რომლის შესაბამისად სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილენი ვალდებული არიან, კეთილსინდისიერად განახორციელონ თავიანთი უფლებები და მოვალეობანი. გარდა აღნიშნულისა, კერძო სამართლებრივ ურთიერთობათა კეთილსინდისიერად წარმართვის ვალდებულებას სამოქალაქო კოდექსის არაერთი ნორმა ზოგჯერ პირდაპირ ადგენს, ხოლო ნორმათა უმრავლესობა, მართალია, პირდაპირ არ უთითებს მასზე, მაგრამ მაინც მას ეფუძნება. კე-



თილსინდისიერების პრინციპის ძირითადი ფუნქცია სამართლიანი შედეგების დადგომა და ამავე დროს, აშკარად უსამართლო შედეგის თავიდან აცილებაა, რაც პირდაპირ უკავშირდება სამოქალაქო ურთიერთობათა სტაბილურობასა და სიმყარეს. სწორედ კეთილსინდისიერების პრინციპს ემყარება უსაფუძვლოდ გამდიდრების ინსტიტუტი, რომლის მიზანს წარმოადგენს საფუძვლის გარეშე, უსამართლოდ შექმნილი ქონების (წამატი, უპირატესობა, უფლება, შეღავათი) ამოღება, ანუ სამართლებრივი წონასწორობის აღდგენა. ამ ინსტიტუტის უმთავრესი ნიშანია «ვითომ-კრედიტორის» მიერ ქონების მიღება და, შესაბამისად, მისი გამდიდრება სამართლებრივი საფუძვლის გარეშე.

სამოქალაქო კოდექსის 316-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ვალდებულების ძალით კრედიტორი უფლებამოსილია, მოსთხოვოს მოვალეს რაიმე მოქმედების შესრულება, ხოლო ამავე კოდექსის 317-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად ვალდებულების წარმოშობისათვის აუცილებელია მხარეთა შორის ხელშეკრულება, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ვალდებულება წარმოიშობა ზიანის მიყენების (დელიქტის), უსაფუძვლო გამდიდრების ან კანონით გათვალისწინებული სხვა საფუძვლებიდან.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში მხარეთა შორის ვალდებულება უსაფუძვლო გამდიდრებიდან არის წარმოშობილი, კერძოდ, მოსარჩელე თ. ტ-მემ მოპასუხეს სამართლებრივი საფუძვლის გარეშე გადასცა 1999 ევრო. ვინაიდან მოპასუხე მ.დ-ია ვერ ადასტურებს თანხის მიღების კანონიერ საფუძველს და ამ ფაქტის მტკიცების ტვირთი კანონით მას ევალებოდა (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლი), ხოლო თანხის გადაცემის ფაქტი უდავოა, მ. დ-იას უნდა დაეკისროს უსაფუძვლოდ მიღებული თანხის უკან დაბრუნება.

სამოქალაქო კოდექსის 976-ე მუხლის პირველი პუნქტის «ა» ქვეპუნქტით, პირს, რომელმაც სხვას ვალდებულების შესასრულებლად რაიმე გადასცა, შეუძლია მოსთხოვოს ვითომ-კრედიტორს (მიმღებს) მისი უკან დაბრუნება, თუ ვალდებულება გარიგების ბათილობის ან სხვა საფუძვლის გამო არ არსებობს, არ წარმოშობილია ან შეწყდა შემდგომში. მითითებული ნორმის ანალიზით უსაფუძვლო გამდიდრების სწორი კვალიფიკაციისათვის კანონმდებელი აუცილებლად მიიჩნევს რამდენიმე პირობის ერთდროულად არსებობას, სახელდობრ:

მიმღები უნდა გამდიდრდეს შემსრულებლის ხარჯზე, რაც გამოიხატება მისი ქონების შექმნაში ან დაზოგვაში; ქონების შექმნას კანონიერი საფუძველი არ უნდა გააჩნდეს;

მიმღების უკანონო გამდიდრებით ზიანი უნდა მიაღგეს შემსრულებელს, რაც მისი ქონების შემცირებაში, შემდგომი სარგებლის მიუღებლობაში გამოიხატება.

განსახილველ შემთხვევაში დადგენილია დასახელებული ნორმის გამოყენების წინაპირობები: მ. დ-იას ქონებრივი უპირატესობა – ქონების მატება მიღებული აქვს; მ. დ-იას ქონების მატება – შესრულება განხორციელებულია თ.ტ-მის მიერ; სადავო შესრულებას იურიდიული საფუძველი წამდვილი ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობის სახით არ გააჩნია. დადასტურებულია ის ფაქტობრივი გარემოებაც, რომ მ.დ-იამ მიიღო მოსარჩელის ფული, ანუ უკანონოდ გამდიდრდა, რითაც ზიანი მიაღგა თ.ტ-მეს, რადგან ფულის გადაცემით შემცირდა მისი ქონება და ამ გადაცემით რაიმე სარგებელი არ მიუღია.

ამდენად, უფლებამოსილი პირის – თ.ტ-მის მოთხოვნა, უსაფუძვლოდ გადაცემულის უკან დაბრუნების თაობაზე, სამოქალაქო კოდექსის 976-ე მუხლის პირველი პუნქტის «ა» ქვეპუნქტის საფუძველზე კანონიერია და იგი უნდა დაკმაყოფილდეს. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის გასაჩივრებული განჩინების გაუქმების კანონიერი საფუძველი არ არსებობს.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

#### **და ა დ გ ი ნ ა:**

მ. დ-იას საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 9 ნოემბრის განჩინება დარჩეს უცვლელად.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

### **ფულად ვალზე პროცენტის გადახდის ვალდებულება**

#### **განჩინება**

1ას-188-177

11 ივლისი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის  
შემადგენლობა: ნ. კვანტალიანი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
პ. ქათამაძე,  
ბ. ალავიძე

დავის საგანი: უსაფუძვლო გამდიდრებით მიღებულის დაბრუნება

აღწერილობითი ნაწილი:

თ. ლ-მემ სარჩელი აღძრა სასამართლოში მ. მ-შვილის მიმართ ქონების გაუმჯობესებისათვის გაწეული ხარჯებისა და ზიანის ანაზღაურების შესახებ შემდეგი დასაბუთებით: 2004 წლის 30 ივლისს თ. ლ-მემ მოპასუხე მ. მ-შვილს გადასცა ბინის ნასყიდობის თანხა – 5000 აშშ დოლარი, ხოლო მან თ. ლ-მეს გადასცა სარგებლობაში ქ. თბილისში, ... ქ. 18-ში მდებარე 134ა ბინა. მოსარჩელემ ბინაში ჩაატარა 2444 ლარის სარემონტო სამუშაოები, გაიყვანა 200 ლარის ღირებულების ბუნებრივი აირი, ტელეფონის დადგმაში დახარჯა 400 ლარი, რის შემდეგაც მ. მ-შვილმა აღარ შეასრულა 2004 წლის 30 ივლისის ხელწერილის შესაბამისად აღიარებული პირობა და უარი განუცხადა ბინის საკუთრებაში გადაცემაზე. იმის გათვალისწინებით, რომ მას და მ. მ-შვილს შორის დადებული შეთანხმება წარმოადგენდა სამოქალაქო კოდექსის 59-ე მუხლის შესაბამისად, უძრავ ნივთებთან დაკავშირებით ფორმის დაუცველად დადებულ ბათილ გარიგებას. ამავე კოდექსის 987-ე მუხლის თანახმად, მას უნდა აუნაზღაურდეს ბინის კეთილმოწყობის ხარჯები. ასევე მოპასუხეს უნდა დაეკისროს 5000 აშშ დოლარის უსაფუძვლო განკარგვით მიყენებული ზიანი – თანხის 2,5%, სულ 7875 აშშ დოლარი.

მოპასუხე მ. მ-შვილმა სარჩელის მოთხოვნები ცნო 5000 აშშ დოლარის დაკისრების, ქონების გაუმჯობესების ხარჯების, 2444 ლარის, ბუნებრივი აირის, ტელეფონის გაყვანის ხარჯების – 600 ლარის ნაწილში, ხოლო მოთხოვნა ზიანის ანაზღაურების ნაწილში არ ცნო და განმარტა, რომ მოსარჩელემ მას ბინის ნასყიდობის თანხა შეთანხმებით გათვალისწინებული ვადის გასვლის შემდეგ გადასცა, რითაც მოპასუხეს თავად მიადგა ზიანი. ამასთან, მოსარჩელე ვერ ასაბუთებს ზიანის მიყენების ფაქტს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 21 ივნისის გადაწყვეტილებით თ. ლ-მის სარჩელი დაკმაყოფილდა, მ. მ-შვილს დაეკისრა მოსარჩელე თ. ლ-მის სასარგებლოდ 5000 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის და მიყენებული ზიანის ასანაზღაურებლად 7875 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის გადახდა, ასევე მოსარჩელე თ. ლ-მის სასარგებლოდ 3044 ლარის გადახდა. გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მ. მ-შვილმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 6 დეკემბრის გადაწყვეტილებით მ. მ-შვილის სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 21 ივნისის გადაწყვეტილება მ. მ-შვილისათვის 7875 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარისა და სახელმწიფო ბაჟის –789 ლარის დაკისრების ნაწილში და ამ ნაწილში მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, თ. ლ-მის სარჩელი მიყენებული ზიანის ასანაზღაურებლად მ. მ-შვილისათვის 7875 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის დაკისრების ნაწილში არ დაკმაყოფილდა, მ. მ-შვილს თ. ლ-მის სასარგებლოდ დაეკისრა ამ უკანასკნელის მიერ სარჩელზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის 739.00 ლარის ნაწილის – 323.00 ლარის ანაზღაურება, დანარჩენ ნაწილში გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად.

პალატამ დადგინდად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: 2004 წლის 30 ივლისს თ. ლ-მემ მ. მ-შვილს გადასცა ქ. ..., ... 1...-ში, მდებარე 1... ბინის ნასყიდობის თანხა – 5000 დოლარი. აღნიშნულ ბინაში თ. ლ-მის მიერ ჩატარებული სარემონტო სამუშაოებისა და რემონტისთვის შეძენილი მასალების საორიენტაციო საბაზრო ღირებულება 2444 ლარს შეადგენს. ბინაში ტელეფონის დადგმისა და ბუნებრივი აირის გაყვანაზე თ. ლ-მის მიერ გაწეულმა ხარჯმა შეადგინა 600 ლარი. სადავო ბინა 2008 წლის 8 დეკემბრიდან საკუთრების უფლებით რეგისტრირებულია მ. მ-შვილის სახელზე.

პალატამ გასაჩივრებული გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომლითაც მოპასუხე მ. მ-შვილს მოსარჩელე თ. ლ-მის სასარგებლოდ დაეკისრა 3044 ლარის გადახდა, მიიჩნია დასაბუთებულად ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით. რაც შეეხება აპელანტის მოსაზრებას, რომ მ. მ-შვილს არ უცვნია სარჩელი ქონებისათვის გაწეული ხარჯების, 2 444 ლარის ნაწილში, პალატა არ იზიარებს და მიუთითებს პირველი ინსტანციის სასამართლო სხდომის ოქმზე, სადაც აღნიშნულია მოპასუხის წარმომადგენლის განმარტება, რომ მისი მარწმუნებელი სარჩელს ცნობდა 5000 აშშ დოლარის, ექსპერტიზის დასკვნის მიერ დადგენილი თანხის ნაწილში და ასევე აღიარებდა ბუნებრივი აირის, ელექტროენერჯისა და ტელეფონის შეყვანის ხარჯებს, სარჩელს კი, არ ცნობდა პროცენტის მოთხოვნის ნაწილში (ანუ 7875 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის დაკისრების ნაწილში). იქვე დაფიქსირებულია თვით მოპასუხე მ. მ-შვილის განმარტებაც, რომ იგი ეთანხმებოდა თავის წარმომადგენელს. სააპელაციო საჩივრით სადავო 2444 ლარი არის სწორედ ექსპერტიზის დასკვნით დადგენილი ბინაზე ჩატარებული სარემონტო სამუშაოების ღირებულება.

პალატამ არასწორად მიიჩნია, მ. მ-შვილისათვის თ. ლ-მის სასარგებლოდ მიყენებული ზიანის ასანაზღაურებლად 7875 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის გადახდის დაკისრება. კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილებით მ. მ-შვილს დაეკისრა თ. ლ-მისათვის 5000 აშშ დოლარის დაბრუნება. პალატამ სრულად გაიზიარა აპელანტის პრეტენზია მოცემულ სამართალურთიერთობაზე სამოქალაქო კოდექსის 981-ე მუხლის მეორე პუნქტის არასწორად შეფარდებასთან დაკავშირებით და განმარტა, რომ მითითებული ნორმა უნდა განიმარტოს ამ მუხლის პირველ პუნქტთან ერთად, რომელიც აღნიშნული ვალდებულების წარმოშობას უკავშირებს ქონების მიმღების ბრალს – განზრახვას ან, უხეშ გაუფრთხილებლობას. ასეთ შემთხვევაში წარმოიშობა ვალდებულება ზიანის მიყენებისათვის და არ ქონების უსაფუძვლო შეძენის ან დაზოგვისათვის. სწორედ ზემოაღნიშნული ედება საფუძვლად განსახილველი მუხლის პირველი ნაწილის ნორმას, რომლის მიხედვითაც ქონების უსაფუძვლოდ მიმღებს ზიანის ანაზღაურებისათვის პასუხისმგებლობა მხოლოდ მაშინ დაეკისრება, თუ ქონების მიღებისას იცოდა ან უხეშ გაუფრთხილებლობის გამო, უცნობი იყო ქონების სამართლებრივი საფუძვლის ხარვეზის არსებობა და ამის შესახებ მოგვიანებით შეიტყო. მოცემულ შემთხვევაში მითითებული წინაპირობები არ არსებობს, რადგან მ. მ-შვილი ვარაუდობდა, რომ მას მოსარჩელემ გადაუხადა ბინის ნასყიდობის საფასური. ამასთან, სასამართლომ მიიჩნია, რომ კონკრეტულ შემთხვევაში არ არსებობს სამოქალაქო კოდექსის 981-ე მუხლის მეორე პუნქტით მოწესრიგებული ურთიერთობა, რადგან თ. ლ-მეს მოპასუხისათვის 5000 აშშ დოლარი არ გადაუცია უნაცვალგებოდ, მან ეს

თანხა მ. მ-შვილს გადასცა გარიგების საფუძველზე, რის საფუძველზეც მფლობელობაში მიიღო მოპასუხის კუთვნილი საცხოვრებელი ბინა. პალატამ მიიჩნია, რომ უსაფუძვლოა სარჩელის მოთხოვნაც მოპასუხისათვის მიუღებელი შემოსავლის სახით მითითებული თანხის იმ საპროცენტო განაკვეთის დაკისრების შესახებაც, რასაც მოსარჩელე მიიღებდა ამ თანხის ბაკში შეტანით, შესაბამისად, არასწორად იქნა გამოყენებული სამოქალაქო კოდექსის 411-ე და 412-ე მუხლებიც. პალატამ დაასკვნა, რომ უსაფუძვლოა გასაჩივრებული გადაწყვეტილების მოსაზრება იმის შესახებ, რომ მ.მესაბლიშვილს უნდა გაეთვალისწინებინა, რომ, ვალდებულების გარეშე თანხის განკარგვის გამო, თ. ლ-ძეს მიადგებოდა ზიანი, რადგან ის სხვაგვარად გამოიყენებდა თანხას და მიიღებდა სარგებელს იმ პირობებში, როდესაც მ. მ-შვილი ვარაუდობდა, რომ მისთვის თანხა გადაცემული იყო ნამდვილი უფლების საფუძველზე.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გასაჩივრა თ. ლ-ძემ და მოითხოვა მისი ნაწილობრივ გაუქმება შემდეგი დასაბუთებით: პალატამ დასაბუთებულად მიიჩნია სააპელაციო საჩივარი გადაწყვეტილების იმ ნაწილზე, რომლითაც მოპასუხე მ. მ-შვილს მოსარჩელე თ. ლ-ძის სასარგებლოდ დაეკისრა მიყენებული ზიანის ასანაზღაურებლად 7875 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის გადახდა. შესაბამისად, პალატამ გაიზიარა საჩივრის პრეტენზია მოცემულ სამართალურთიერთობაზე სამოქალაქო კოდექსის 981-ე მუხლის მე-2 ნაწილის არასწორად გამოყენებასთან დაკავშირებით. პალატის აზრით, მოცემულ შემთხვევაში მითითებული წინაპირობები არ არსებობს, რადგან მ. მ-შვილი ვარაუდობდა, რომ მოსარჩელისაგან მიღებული ჰქონდა ბინის ნასყიდობის საფასური და მას სრული უფლება ჰქონდა, ევარაუდა, რომ მისთვის გადაცემული თანხა წარმოადგენდა მის საკუთრებას, შესაბამისად, იგი უფლებამოსილი იყო, განეკარგა იგი საკუთარი შეხედულებისამებრ. პალატამ თავადაც გაიზიარა პირველი ინსტანციის მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებანი და საქმის მასალებით უდავოდ დადგენილად მიიჩნია, რომ 2004 წლის 30 ივლისს დადებული ბათილი გარიგების საფუძველზე თ. ლ-ძემ მ. მ-შვილს გადასცა 5000 აშშ დოლარი ბინის ნასყიდობის საფასურად, ხოლო სანაცვლოდ მას მფლობელობაში გადაეცა მია მესაბლიშვილის საკუთრებაში რიცხული ბინა, რომელიც დღემდე ამ უკანასკნელის საკუთრებაშია და 2010 წლის მაისიდან თ. ლ-ძის მფლობელობიდანაც გამოთავისუფლებულია. ცხადია, რომ კონკრეტულ შემთხვევაში, გარიგების ბათილობის გამო, არ არსებობს სამართლებრივი ვალდებულება და ლ-ძემ მ-შვილს ქონება გადასცა ვალდებულების გარეშე, ანუ მ-შვილი 2004 წლის 30 ივლისიდან დღემდე სამართლებრივი საფუძვლის გარეშე ფლობს ლ-ძისგან მიღებულ 5000 აშშ დოლარს და ამდენად, გარიგების დადების მომენტიდან მისთვის ცნობილი იყო, რომ მას და თ. ლ-ძეს შორის ბინის ნასყიდობის ხელშეკრულება არ იდებოდა კანონის მოთხოვნათა დაცვით, რაც ნიშნავს იმას, რომ მისთვის ცნობილი იყო გარიგების ხარვეზის შესახებ. აღნიშნულის საწინააღმდეგო თვალსაზრისი მოკლებულია იურიდიულ დასაბუთებას, რადგან ბინის საკუთრებაში გადაუცემლობა გამორიცხავს თეორიულ შესაძლებლობასაც კი, რომ გამყიდველმა ვალდებულების შეუსრულებლად მიიჩნოს და ივარაუდოს, რომ მყიდველისაგან განხორციელებული შესრულება ნამდვილი უფლების საფუძველზე იქნა მისი მხრიდან მიღებული. ან შეიძლება გაზიარებულ იქნას სასამართლოს თვალსაზრისი, რომლითაც ჩათვალა, რომ კონკრეტულ შემთხვევაში არ არსებობს სამოქალაქო კოდექსის 981-ე მუხლის მე-2 ნაწილით მოწესრიგებული ურთიერთობა, რადგან თ. ლ-ძეს მოპასუხისათვის 5000 აშშ დოლარის ოდენობით არ გადაუცია უნაცვალგებოდ, რადგან მან ეს თანხა მ. მ-შვილს გადასცა გარიგების (ბინის საკუთრებაში და არა მფლობელობაში გადაცემის) საფუძველზე, რის საფუძველზეც მფლობელობაში მიიღო მოპასუხის კუთვნილი საცხოვრებელი ბინა. რა თქმა უნდა, არ შეიძლება იმ ფაქტობრივი გარემოების უარყოფა, რომ ლ-ძემ ამ ბათილი გარიგების საფუძველზე მ-შვილისაგან არა საკუთრებაში, არამედ მფლობელობაში მიიღო ბინა, მაგრამ აღნიშნული არ წარმოადგენს მისგან მ-შვილისათვის გადაცემული ქონების ადეკვატურ და ტოლფას ნაცვალგებას და ამ თვალსაზრისით, ნათლად ჩანს არსებითი განსხვავება თ. ლ-ძის მიერ მიღებულ და მ. მ-შვილის მიერ ამ უკანასკნელისაგან არამართლზომიერად მიღებულ სიკეთეს შორის. პალატის აზრით, მესაბლიშვილს სრული უფლება ჰქონდა, ევარაუდა, რომ მისთვის გადაცემული თანხა წარმოადგენდა მის საკუთრებას და იგი უფლებამოსილი იყო, განეკარგა იგი მაშინ, როდესაც ანალოგიური (განკარგვის) უფლებით არ აღიჭურვა თ. ლ-ძე და, სამწუხაროდ, იგი უბრალო ვარაუდის დონეზე ვერ დაუშვებდა ამ ქონების განკარგვის შესაძლებლობას. პირველი ინსტანციის სასამართლო გადაწყვეტილების გაუქმებისას სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ სასამართლომ არასწორად გამოიყენა კანონი, მაშინ, როდესაც ახალი გადაწყვეტილების მიღებისას თავად შემოიფარგლა მხოლოდ პროცესუალურ ნორმებზე მითითებით და ისე უარყო პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღების საფუძველად მიჩნეული მატერიალური სამართლის ნორმები, რომ თავად არ გამოუყენებია მატერიალური სამართლის არც ერთი ნორმა. შესაბამისად, გაუგებარია, პალატამ განსახილველი ურთიერთობა საერთოდ განაკუთვნა თუ არა უსაფუძვლო გამდიდრების ნორმებით (სამოქალაქო კოდექსის 976-ე – 991-ე მუხლები) მოსაწესრიგებელ დავათა კატეგორიას. მატერიალური სამართლის ნორმების გამოყენების გარეშე დასაბუთება კი, იმდენად არასრულია, რომ მართლაც შეუძლებელია გადაწყვეტილების სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება. მართალია, პალატამ მიუთითა, რომ კონკრეტულ შემთხვევაში არ არსებობს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 981-ე მუხლის მე-2 ნაწილით მოწესრიგებული ურთიერთობა, მაგრამ არ მიუთითა იმ ნორმაზე, რომლითაც უნდა მოწესრიგდეს ეს ურთიერთობა. უფრო მეტიც, მან მიუთითა, რომ მოცემული ნორმა აუცილებლად უნდა განიმარტოს ამ მუხლის პირველ ნაწილთან ერთობლიობაში, მაგრამ ასეთ შემთხვევაშიც, თუნდაც გაზიარებულ რომ იქნას პალატის ზემოხსენებული თვალსაზრისი, გაუგებარია, სასამართლომ მის მიერვე მოხმობილი ნორმის საფუძველზე შეფასების მიღმა რატომ დატოვა ისეთი ფაქტობრივი გარემოება, რაც საქმის მასალებში იყო წარმოდგენილი. მოცემული გადაწყვეტილების მიღებისას სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოიყენებინა, სახელდობრ, სამოქალაქო კოდექსის 976-ე მუხლის 1-ელი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი, 979-ე მუხლის 1-ელი ნაწილი და 981-ე მუხლის მე-2 ნაწილი, ანუ სამართლის ის ნორმები, რომლებიც არეგულირებს განსახილველ სამართლებრივ ურთიერთობას. კონდიციური ვალდებულებ

ბის ძირითადი შინაარსი არ შემოიფარგლება მხოლოდ უსაფუძვლოდ მიღებული ქონების უკან დაბრუნებით და ე.წ პირვანდელი მდგომარეობის აღდგენით, როგორც ამას პალატა განმარტავს, არამედ კრედიტორის მოთხოვნა ამ შემთხვევაში გაცილებით ფართოა და იგი ერთობლივად მოიცავს უსაფუძვლოდ მიღებულისა და მასთან დაკავშირებული ყოველგვარი შემოსავლის ოდენობას. კონკრეტულ შემთხვევაში სადავო ურთიერთობის თავისებურებიდან გამომდინარე, ყურადღებას ვამახვილებთ სამოქალაქო კოდექსის 979-ე მუხლის 1-ელ და მე-2 ნაწილებზე, რომლებიც ითვალისწინებენ როგორც იურიდიული პასუხისმგებლობის უფლებააღდგენით (მათ შორის საკომპენსაციო), ასევე საჯარიმო ფუნქციებს. ამ შემთხვევაში აღნიშნული პასუხისმგებლობის დაკისრებისათვის, ზემოაღნიშნულის გარდა, უნდა არსებობდეს უსაფუძვლოდ მიღებული ქონებით შეძენილი, მიღებული სარგებელი იურიდიული პასუხისმგებლობის, ე.წ საჯარიმო და უფლებააღდგენით ფუნქციას ზემოხსენებული ნორმის გარდა, ასევე ითვალისწინებს სამოქალაქო კოდექსის 981-ე მუხლის მე-2 ნაწილი. აღნიშნული მუხლით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის უმთავრესი განსხვავება მდგომარეობს იმაში, რომ მისი რეალიზაციისას დაზარალებულს უნდა აუნაზღაურდეს ის სარგებელი, რომელიც მიმღებმა ვერ მიიღო მეურნეობის არასათანადო გაძღოლის გამო და ამაში მიმღებს მიუძღვის ბრალი. კონკრეტულ შემთხვევაში მხედველობაში მისაღება ის შემოსავალი, რომელიც უნდა მიღებულიყო სამოქალაქო ბრუნვის ნორმალური განვითარების შემთხვევაში. სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა სამოქალაქო კოდექსის 981-ე მუხლის მე-2 ნაწილი. თ. ლ-ძისაგან მიიღო რა თანხა, მ. მ-შვილს თავად უნდა ეზრუნა იმაზე, რომ აღნიშნულის უნიკალური თვისება გამოეყენებინა სწორად და შესაბამისი სარგებელიც უნდა მიეღო, რაც განსახილველ შემთხვევაში ეჭვგარეშეა, რომ მიიღო კიდეც და ამავე მიზეზით დღემდე არ აზრუნებს თანხას, თუმცა ამის არარსებობის შემთხვევაშიც ის ვერ მოიხსნის საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 981-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული იმპერატიული ხასიათის მქონე დანაწესით განსაზღვრულ პასუხისმგებლობას. ზუსტად ამ ქმედების შედეგად არმიღებული შემოსავალი, რაც უნდა მიღებულიყო ფულადი სახსრების სათანადო გაძღოლის გზით, წარმოადგენს თ. ლ-ძისათვის მიყენებულ ზიანს. ამრიგად, განსახილველი ნორმა განსხვავდება უსაფუძვლო გამდიდრების ინსტიტუტისათვის დამახასიათებელი საერთო მიზნისაგან. აღნიშნული ნორმა ითვალისწინებს ისეთ შემთხვევას, როდესაც უსაფუძვლოდ გამდიდრებულ პირს ეკისრება არმიღებული ქონების ანაზღაურება. 981-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული პროცენტი წარმოადგენს უსაფუძვლოდ მიღებული თანხის სარგებელს მისი სწორად გამოყენების შემთხვევაში და ამდენად, განსახილველ საკანონმდებლო დანაწესთან დაკავშირებით სააპელაციო პალატის განმარტება აბსოლუტურად არასწორია.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ თ. ლ-ძის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება და მ. მ-შვილს თ. ლ-ძის სასარგებლოდ დაეკისროს მიყენებული ზიანის ასანაზღაურებლად 7875 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის გადახდა შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძვლები.

მოცემული გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველს წარმოადგენს კანონის არასწორი განმარტება (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის პირველი პუნქტის «გ» ქვეპუნქტი), რის შედეგადაც საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი, კერძოდ:

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად ცნო და კასატორს სადავოდ არ გაუხდია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: 2004 წლის 30 ივლისს თ. ლ-ძემ მ. მ-შვილს გადასცა ქ. ..., ... ქ. ...-ში, 1... ბინის ნასყიდობის თანხა – 5000 აშშ დოლარი. აღნიშნულ ბინაში თ. ლ-ძის მიერ ჩატარებული სარემონტო სამუშაოებისა და რემონტისთვის შეძენილი მასალების საორიენტაციო საბაზრო ღირებულება 2444 ლარს შეადგენს. ბინაში ტელეფონის დადგმისა და ბუნებრივი აირის გაყვანაზე თ. ლ-ძის მიერ გაწეულმა ხარჯმა შეადგინა 600 ლარი. სადავო ბინა 2008 წლის 8 დეკემბრიდან საკუთრების უფლებით რეგისტრირებულია მ. მ-შვილის სახელზე.

სააპელაციო სასამართლომ გასაჩივრებული გადაწყვეტილებით მიიჩნია, რომ კონკრეტულ შემთხვევაში არ არსებობს სამოქალაქო კოდექსის 981-ე მუხლის მეორე პუნქტით მოწესრიგებული ურთიერთობა, რადგან თ. ლ-ძეს მოპასუხისათვის 5000 აშშ დოლარი არ გადაუცია უნაცვალგებოდ, მან ეს თანხა მ. მ-შვილს გადასცა გარიგების საფუძველზე, რის საფუძველზეც მფლობელობაში მიიღო მოპასუხის კუთვნილი საცხოვრებელი ბინა. პალატამ მიიჩნია, რომ უსაფუძვლოა სარჩელის მოთხოვნა მოპასუხისათვის მიუღებელი შემოსავლის სახით მითითებული თანხის იმ საპროცენტო განაკვეთის დაკისრების შესახებაც, რასაც მოსარჩელე მიიღებდა ამ თანხის საბანკო დაწესებულებაში განთავსებით. შესაბამისად, არასწორად იქნა გამოყენებული სამოქალაქო კოდექსის 411-ე და 412-ე მუხლებიც. პალატამ დაასკვნა, რომ მ. მ-შვილი ვარაუდობდა, რომ მისთვის თანხა გადაცემული იყო ნამდვილი უფლების საფუძველზე, შესაბამისად, იგი ვერ გაითვალისწინებდა, რომ ვალდებულების გარეშე თანხის განკარგვის გამო, თ. ლ-ძეს მიადგებოდა ზიანი.

საკასაციო სასამართლო არ იზიარებს სააპელაციო პალატის ზემოაღნიშნულ დასკვნას და მოცემულ საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასებით განმარტავს, რომ მოდავე მხარეთა შორის ფორმის დაუცველად დადებული უცილოდ ბათილი გარიგების შედეგად წარმოშობილია კანონისმიერი ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობა (სამოქალაქო კოდექსის 59-ე, 316-ე-317-ე მუხლები), რომლის ძალითაც მხარეები ვალდებული არიან, აღადგინონ პირვანდელი მდგომარეობა და ერთმანეთს დაუბრუნონ ის, რაც მათ

არარა გარიგებით მიიღეს. ასეთ სამართლებრივ შედეგს ითვალისწინებს სამოქალაქო კოდექსის 976-ე მუხლის პირველი ნაწილის «ა» ქვეპუნქტი, რომლის თანახმად, პირს, რომელმაც სხვას ვალდებულების შესასრულებლად რაიმე გადასცა, შეუძლია, მოსთხოვოს ვითომ-კრედიტორს (მიმღებს) მისი უკან დაბრუნება, თუ ვალდებულება, გარიგების ბათილობის ან სხვა საფუძვლის გამო, არ არსებობს, არ წარმოიშობა ან შეწყდა შემდგომში.

მსგავს საკითხზე – უსაფუძვლო გამდიდრების შემთხვევაში ზიანის ანაზღაურების ვალდებულებაზე საკასაციო სასამართლოს მიერ დადგენილია პრაქტიკა, ხოლო გასაჩივრებული სააპელაციო სასამართლოს განჩინება განსხვავდება ამ კატეგორიის საქმეებზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან, ამასთან გასაჩივრებული განჩინება არ შეიცავს დადგენილი პრაქტიკის საწინააღმდეგო კანონიერ დასაბუთებას, რაც მისი გაუქმებისა და ახალი გადაწყვეტილების მიღების საფუძველია.

საკასაციო სასამართლო მოცემულ შემთხვევაში უთითებს 2007 წლის 20 ივნისის<sup>1</sup> ას-24-379-07 განჩინებაზე, რომლითაც მსგავს დავაზე დასაბუთდა, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 981-ე მუხლის მე-2 ნაწილის მე-2 წინადადებით გათვალისწინებულ ფულად ვალზე პროცენტის გადახდის ვალდებულება იმპერატიულია, რაც დაკავშირებულია ამ ნივთის (ფულის) თავისებურებებთან. ამ ქონების (ფულის) უნიკალური თვისებიდან გამომდინარე, ივარაუდება, რომ ფულად საშუალებებს ყოველთვის შეუძლია, მოუტანონ სარგებელი მის მესაკუთრეს. ამდენად, ისეთი ქონების მიღების დროს როგორცაა ფული, უსაფუძვლო გამდიდრების ინსტიტუტის მიხედვით, მისმა მიმღებმა, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, უნდა დაადასტუროს, რომ ამ ქონებამ (ფულამ) მას არანაირი სარგებელი არ მოუტანა, რაშიც მას ბრალი არ მიუძღვის ანუ მისთვის შეუძლებელი იყო ამ ქონებიდან სარგებლის მიღება. წინააღმდეგ შემთხვევაში ივარაუდება, რომ შესაძლებელი იყო ფულად სახსრებს მოეტანა მიმღებისათვის სარგებელი, რაც მან ბრალეულად არ მიიღო მისი არასათანადოდ გაძლოის შედეგად.

ყოველგვარ დასაბუთებასაა მოკლებული სააპელაციო პალატის დასკვნა, რომ კონკრეტულ შემთხვევაში არ არსებობს სამოქალაქო კოდექსის 981-ე მუხლის მეორე პუნქტით მოწესრიგებული ურთიერთობა, რადგან თ. ლ-ძეს მოპასუხისათვის 5000 აშშ დოლარი არ გადაუცია უნაცვალგებოდ, მან ეს თანხა მ. მ-შვილს გადასცა გარიგების საფუძველზე, რის საფუძველზეც მფლობელობაში მიიღო მოპასუხის კუთვნილი საცხოვრებელი ბინა. მხარეებს სადავოდ არ გაუხდიათ ის გარემოება, რომ თანხის გადაცემა უძრავი ნივთის ნასყიდობის მიზნით განხორციელდა, თუმცა ნასყიდობაზე შეთანხმება გარიგებისთვის კანონით სავალდებულო წერილობითი ფორმის დაცვის გარეშე შედგა. სამოქალაქო კოდექსის 183-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, თ. ლ-ძეს უძრავ ნივთზე საკუთრება არ შეუძენია, რის გამოც მხარეთა ზეპირი შეთანხმება ნივთის ნასყიდობაზე ბათილია.

სამოქალაქო კოდექსის 981-ე მუხლის პირველი ნაწილით, თუ მიმღებმა მიღებისას იცოდა ან უხეში გაუფრთხილებლობის გამო მისთვის უცნობი იყო სამართლებრივი საფუძვლის ხარვეზის არსებობა და ამის შესახებ მოგვიანებით შეიტყობს, ან გადაცემის თაობაზე მოთხოვნა მიღებულია სასამართლო წარმოებაში, მაშინ მიმღებს ეკისრება პასუხისმგებლობა ხარვეზის თაობაზე ცნობების მიღების ან სასამართლო წარმოებაში გადაცემის დროიდან 979-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილების, 980-ე მუხლის, ასევე ქვემოთ მოყვანილი წესების საფუძველზე.

აღნიშნული ნორმა არაუფლებამოსილ მიმღებს ზიანის ანაზღაურების ვალდებულებას აკისრებს მაშინ, როდესაც სამართლებრივი საფუძვლის გარეშე სხვისი ქონებრივი სიკეთის დაუფლებისას იცოდა ან უხეში გაუფრთხილებლობით არ იცოდა მიღებული სამართლებრივი საფუძვლის ხარვეზიანობა. შესაბამისად, მ. მ-შვილს თანხის გადაცემისთანავე უნდა სცოდნოდა უძრავი ნივთის შეძენისათვის კანონით იმპერატიულად დადგენილი სავალდებულო წინაპირობების (გარიგების წერილობითი ფორმა და საჯარო რეესტრში რეგისტრაცია) დაუცველად დადებული გარიგების საფუძველზე მიღებული ფულის არაკანონიერება. საკასაციო სასამართლო თვლის, რომ მ. მ-შვილს არ გააჩნდა რაიმე საფუძველი, ევარაუდა, რომ სადავო თანხა ნამდვილი უფლების საფუძველზე იყო გადაცემული. ამ დასკვნას ადასტურებს მოცემულ საქმეზე უდავოდ დადგენილი ფაქტობრივი გარემოება, რომ მ. მ-შვილს 2004 წლის 30 ივლისიდან მიღებული აქვს თ. ლ-ძისგან ბინის ნასყიდობის 5000 აშშ დოლარი, სადავო ბინა კი 2008 წლის 8 დეკემბრიდან საკუთრების უფლებით რეგისტრირებულია მ. მ-შვილის სახელზე.

ამდენად, მ. მ-შვილს უნდა გაეთვალისწინებინა, რომ ვალდებულების გარეშე თ. ლ-ძის ქონების, ფულის სამართლებრივი საფუძვლის გარეშე განკარგვის გამო, თ. ლ-ძეს მიადგებოდა ზიანი, ხოლო მ. მ-შვილი სხვისი ქონებით – ფულით უკანონო სარგებლობით უსაფუძვლოდ გამდიდრდა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, თ. ლ-ძის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება ზიანის ანაზღაურებაზე უარის თქმის ნაწილში, ამ ნაწილში მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება და მ. მ-შვილს თ. ლ-ძის სასარგებლოდ დაეკისროს მიყენებული ზიანის ასანაზღაურებლად 7875 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის გადახდა.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

### **გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :**

თ. ლ-ძის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.

გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 6 დეკემბრის გადაწყვეტილება ზიანის ანაზღაურებაზე უარის თქმის ნაწილში და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება.

მ. მ-შვილს თ. ლ-ძის სასარგებლოდ დაეკისროს 7875 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის გადახდა.

დანარჩენ ნაწილში გადაწყვეტილება დარჩეს უცვლელი.

მ. მ-შვილს დაეკისროს თ. ლ-ძის სასარგებლოდ ამ უკანასკნელის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – 709 ლარის გადახდა.

საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## შეცდომით ხარჯების გაწევა სხვა პირის ქონებაზე

### განჩინება

1ას-1121-1385-09

14 მაისი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ლ. ლაზარაშვილი,  
თ. თოდრია

დავის საგანი: თანხის დაკისრება

#### აღწერილობითი ნაწილი:

ნ. ნ-ძემ სარჩელით მიმართა ბათუმის საქალაქო სასამართლოს ნ. გ-შიძის მიმართ და განმარტა, რომ 2004 წლის 17 დეკემბერს გ. მ-ძისგან სანოტარო წესით დამოწმებული ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების საფუძველზე შეიძინა ქალაქ ბათუმში, ... ქუჩა 180, ბინა 44-ში მდებარე ბინა. ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულება საჯარო რეესტრში არ დაურეგისტრირებია. აღნიშნულ ბინაში ჩატარდა სარემონტო სამუშაოები.

მოსარჩელის მითითებით, 2007 წლის 19 თებერვალს სააღსრულებო ბიუროდან მიიღო წინადადება გ. მ-ძისგან შეძენილი ფართის ნებაყოფლობით გამონთავისუფლების შესახებ. აღნიშნულის შემდეგ მისთვის ცნობილი გახდა, რომ გ. მ-ძისგან შეძენილი ბინა აღმასრულებლის განკარგულებით ნ. გ-შიძის ვალის ანგარიშში აუქციონის ჩატარების გზით საკუთრებაში გადაეცა მოპასუხე ნ. გ-შიძეს, რაც დაურეგისტრირდა საჯარო რეესტრში ნ. გ-შიძის საკუთრებად.

ამასთან მოსარჩელემ განმარტა, რომ ბინა გ. მ-ძისგან 2004 წელში შეიძინა 15000 ლარად (8500 აშშ დოლარად) მისი საბაზრო ღირებულება 2007 წლის მდგომარეობით გაიზარდა და რემონტის ხარჯებმა აუდიტის დასკვნის შესაბამისად, შეადგინა 39982 ლარი, აგრეთვე, აუდიტის დასკვნაში არ იქნა გათვალისწინებული 120 აშშ დოლარად ღირებული წყლის გამათბობელი ტიტანის და 1500 აშშ დოლარად ღირებული აივნის მოაჯირი ანუ 1620 აშშ დოლარის ღირებულების სარემონტო სამუშაო.

აღნიშნული ფაქტობრივი გარემოებებზე დაყრდნობით მოსარჩელემ მოითხოვა მოპასუხისათვის 39982 ლარის, 1620 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარისა და იურიდიული მომსახურებისათვის გაწეული ხარჯის 500 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის დაკისრება.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 4 მარტის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, ნ. გ-შიძეს თ. მ-ძის სასარგებლოდ დაეკისრა 39982 ლარისა და 1620 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის გადახდა, მასვე დაეკისრა მოსარჩელის სასარგებლოდ მის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – 1291 ლარის გადახდა.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გასაჩივრა ნ. გ-შიძემ და მოითხოვა მისი გაუქმება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 29 სექტემბრის განჩინებით ნ. გ-შიძის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელი დარჩა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 4 მარტის გადაწყვეტილება.

პალატამ დადგინდად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

საქმეზე წარმოდგენილი სანოტარო ხელშეკრულების საფუძველზე დადგენილია, რომ 2004 წლის 17 დეკემბერს მოსარჩელე თ. მ-ძის მიხედვით პირმა ნ. ნ-ძემ სანოტარო წესით დამოწმებული ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების საფუძველზე გ. მ-ძისგან შეიძინა ქ. ბათუმში, ... ქუჩა 180-ში, ბინა 144-ში მდებარე 56,74 კვ.მეტრი ორთახიანი ბინა. აღნიშნულ ბინასთან ერთად თ. მ-ძე დაეუფლა ასევე აღნიშნულ ფართზე გ. მ-ძის მიერ დამატებით მიშენებულ დაურეგისტრირებულ 102,06 კვ.მ ფართს.

უძრავი ქონების შეძენა მის მიერ არ ყოფილა გატარებული საჯარო რეესტრში.

დადგენილია, რომ გ. მ-ძემ ბინის ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების გაფორმებისას ნოტარიუსთან წარადგინა არასწორი ცნობა ბინაზე ყადაღის არარსებობის შესახებ, რის გამოც გ. მ-ძე მიცემულ იქნა სისხლის სამართლის პასუხისგებაში და შეეფარდა პატიმრობა.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2002 წლის 24 ივნისის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების საფუძველზე სადავო ბინა 56,74 კვ.მ აღმასრულებლის განკარგულებით საკუთრებაში გადაეცა მოპასუხე (აპელანტ) ნ. გ-შიძეს, თუმცა ეს უკანასკნელი მთლიანად დაეუფლა როგორც საჯარო რეესტრში გ. მ-ძის სახელზე რეგისტრირებულ 56,74 კვ.მ ფართს, ასევე მის მიერვე აშენებულ დაურეგისტრირებულ 102,06 კვ.მეტრ ბინის ფართს.

ნ. გ-შიძემ ბინაზე საკუთრების უფლება მოიპოვა 2006 წლის 27 სექტემბერს.

2007 წლის 13 მარტს თ. მ-ძე გამოსახლებულ იქნა სადავო ბინიდან.

დადგენილია, რომ მოსარჩელე თ. მ-ძის მიერ 2004-2007 წლებში აღნიშნულ ბინას ჩაუტარდა რემონტი.

2007 წლის 28 აპრილის დამოუკიდებელი აუდიტორული დასკვნის შესაბამისად, ქ. ბათუმში, ... ქუჩა 180-ში მდებარე საცხოვრებელი ბინა 144-ის 5674 კვ.მ საბაზრო ღირებულება 2004 წლის დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 15 000 ლარს, ხოლო ამავე ბინაში ჩატარებული სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების საბაზრო ღირებულება შეადგენს 39 982 ლარს, მათ შორის ხელფასი – 11 583 ლარს. ამავე დასკვნით 102,05 კვ.მ ჩასატარებელია კეთილ-

მოწყობის სამუშაოები, რომლის საბაზრო ღირებულება 2007 წლის 1 აპრილის მდგომარეობით შეადგენს 150 000 ლარს.

დადგენილია ასევე, რომ, გარდა სარემონტო სამუშაოებისა, მოსარჩელეს ბინაში დამონტაჟებული აქვს 120 აშშ დოლარის ღირებულების წყლის გამაცხელებელი და 1500 აშშ დოლარად ღირებული რკინის მოაჯირი.

პალატამ განმარტა, რომ, ვინაიდან თ. მ-მე გაიღო ხარჯი იმ ბინაზე, რომლის მესაკუთრე აღმასრულებლის განკარგულების საფუძველზე გახდა ნ. გ-შიძე, შესაბამისად, ნ. გ-შიძე წარმოადგენდა უსაფუძვლოდ გამდიდრებულ პირს.

აღნიშნული განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა ნ. გ-შიძემ.

კასატორმა აღნიშნა, რომ, მოსარჩელის განმარტებით იმ ფართზე რასაც ჩაუტარა სარემონტო სამუშაოები არ ირიცხება ნ. გ-შიძის სახელზე. საჯარო რეესტრის მონაცემების თანახმად, გ-შიძის საკუთრებას წარმოადგენს 56,74 კვ.მ ბინა, რომელიც თ. მ-მის მიერ ხელმოწერილ ხელშეკრულებაში 2004 წლის 17 დეკემბერსაც უნაკლო და ხარისხიანი იყო, შესაბამისად, თ. მ-მ ვერ გაიღებდა ხარჯებს მის გასარემონტებლად.

ამასთან კასატორის აზრით, სასამართლოს არ უნდა ემსჯელო უკანონო და საჯარო რეესტრში აღურცხავი ქონების რემონტით თითქოსდა ფართთან დაკავშირებით გაღებული ხარჯების დაკისრებაზე, ვინაიდან მისი დაურეგისტრირებლობის გამო, იურიდიულად ეს ფართი ვინმეს საკუთრებაში არ ირიცხება.

კასატორის მითითებით, სასამართლო სარჩელის დაკმაყოფილების „სამართლებრივ საფუძველად მიუთითებს აუდიტის დასკვნას, სადაც არაფერია ნათქვამი სარემონტო სამუშაოების შესრულების თარიღზე, რაც სადავოდ ხდის სასამართლოს მიერ დადგენილად ცნობილ ფაქტობრივ გარემოებებს და აქედან გამომდინარე, გადაწყვეტილების სამართლებრივ საფუძველსაც, ვინაიდან, კასატორის აზრით, სარემონტო სამუშაოები შესაძლებელია შესრულებული ყოფილიყო თ. მ-მის მიერ ბინის ყიდვამდეც.

გარდა ამისა, კასატორის განმარტებით, სასამართლომ უტყუარ მტკიცებულებად მიიჩნია, რომ მოსარჩელის მიერ 39 982 ლარის ღირებულების სარემონტო სამუშაოები შესრულებულ იქნა იმ დროისათვის 15 000 ლარად შეფასებულ ბინაში, მაშინ, როდესაც საქმეში არ არსებობს არც ერთი შესაბამისი გადახდის ქვითარი, რითაც უტყუარად დადასტურდებოდა სარემონტო სამუშაოების შესრულებისათვის საჭირო მასალების შეძენა და პერიოდი.

კასატორის მითითებით, ფართზე, საჯარო რეესტრის მონაცემების თანახმად, ნ. გ-შიძის საკუთრებას წარმოადგენს 56,74 კვ.მ ბინა, ხოლო რაც შეეხება არარეგისტრირებულ ფართს, მასზე გაწეული ხარჯები არ შეიძლება დაეკისროს ნ. გ-შიძეს, ვინაიდან იგი იურიდიულად არავის სახელზე არაა დარეგისტრირებული და არაა გამორიცხული მერიის მიერ განხორციელდეს მისი დემონტაჟი.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორმა მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და საქმეზე ახალი გადაწყვეტილების მიღება.

### სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატა გაეცნო საქმეზე წარმოდგენილ საკასაციო საჩივარს და თვლის, რომ იგი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

2004 წლის 17 დეკემბერს მოსარჩელე თ. მ-მის მიხედვით პირმა ნ. გ-მე სანოტარო წესით დამოწმებული ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების საფუძველზე გ. მ-მისგან შეიძინა ქ.ბათუმში, ... ქუჩა 180-ში, ბინა 144-ში მდებარე 56,74 კვ.მეტრი ოროთახიანი ბინა. აღნიშნულ ბინასთან ერთად თ. მ-მე დაეუფლა ასევე გ. მ-მის მიერ დამატებით მიშენებულ დაურეგისტრირებულ 102,06 კვ.მ ფართს.

უძრავი ქონების შეძენა მის მიერ არ ყოფილა გატარებული საჯარო რეესტრში.

დადგენილია, რომ გ. მ-მე ბინის ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების გაფორმებისას ნოტარიუსთან წარადგინა არასწორი ცნობა ბინაზე ყადაღის არარსებობის შესახებ, რის გამოც გ. მ-მე მიცემულ იქნა სისხლის სამართლის პასუხისგებაში და შეეფარდა პატიმრობა.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2002 წლის 24 ივნისის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების საფუძველზე სადავო ბინა 56,74 კვ.მ-ს აღმასრულებლის განკარგულებით საკუთრებაში გადაეცა მოპასუხე (აპელანტ) ნ. გ-შიძეს, თუმცა ეს უკანასკნელი მთლიანად დაეუფლა როგორც საჯარო რეესტრში გ. მ-მის სახელზე რეგისტრირებულ ფართს 56,74 კვ.მ ასევე მის მიერვე აშენებულ დაურეგისტრირებულ 102,06 კვ. მეტრ ბინას.

ნ. გ-შიძემ ბინაზე საკუთრების უფლება მოიპოვა 2006 წლის 27 სექტემბერს.

2007 წლის 13 მარტს თ. მ-მე გამოსახლებულ იქნა სადავო ბინიდან.

დადგენილია, რომ მოსარჩელე თ. მ-მის მიერ 2004-2007 წლებში აღნიშნულ ბინას ჩაუტარდა რემონტი, რომლის ღირებულებამ შეადგინა 39982 ლარი.

დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები კასატორს სადავოდ არ გაუხდია.

საქმეზე დადგენილი გარემოებების გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო ეთანხმება სააპელაციო პალატის სამართლებრივ შეფასებას და თვლის, რომ ნ. გ-შიძე უსაფუძვლოდ გამდიდრდა თ. მ-მის მიერ ბინაზე გაწეული სარემონტო სამუშაოების ხარჯზე, რაც გამომდინარეობს შემდეგი სამართლებრივი საფუძველებიდან:

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 987-ე მუხლი არეგულირებს სწორედ ისეთ შემთხვევას, რომელიც სხვის ქონებაზე ყოველგვარი საფუძვლის გარეშე გაწეული ხარჯების ანაზღაურებას შეეხება. მოცემული ნორმის შესაბამისად, პირს, რომელმაც შეგნებულად ან შეუგნებლად ხარჯები გასწია მეორე პირის ქონებაზე, შეუძლია მისგან მოითხოვოს თავისი დანახარჯების ანაზღაურება, თუ მეორე პირი ამით გამდიდრდება.

კონკრეტულ შემთხვევაში, ცალსახაა ის ფაქტი, რომ თ. მ-მე ბინა ეგულებოდა რა მისი საკუთრება, შეუგნებლად გასწია სარემონტო სამუშაოები ნ. გ-შიძის ქონებაზე, რითაც მისი ღირებულება საგრძნობლად გაიზარდა.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი განამტკიცებს მხარეთა თანასწორობას სამართლებრივ ურთიერთობებში და ზემოხსენებული ნორმაც სწორედ ამისკენაა მიმართული ერთგვარად, რათა მეტ-ნაკლებად აღდგენილ იქნას ის ბალანსი, რაც სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობის გარანტიას ჰქმნის საზოგადოებაში.

საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს კასატორის მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ საქმეში არაა წარმოდგენილი მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა მხარის მიერ ბინაზე ჩატარებული რემონტის ღირებულებას თ. მ-მის მიერ მისი შეძენის შემდგომ პერიოდში.

პალატა აღნიშნულთან დაკავშირებით მიუთითებს, რომ საქმეში წარმოდგენილია აუდიტის დასკვნა, რომელზე დაყრდნობითაც რემონტის ღირებულება შეფასებულია **39982** ლარად, დასკვნას თან ერთვის ხარჯთაღრიცხვის დოკუმენტი, თუ რა ფასები და გარემოებები აიღო აუდიტმა დასკვნისთვის საორიენტაციოდ, ასევე რა საანგარიშო პერიოდზე გამოთვლილი რემონტის ღირებულება.

საქმის მასალებიდან ირკვევა, რომ ნ. გ-შიძეს აღნიშნულის საწინააღმდეგო დოკუმენტი, რაც გააქარწყლებდა ან ეჭვქვეშ დააყენებდა აუდიტორის დასკვნის ნამდვილობას, არ წარმოუდგენია.

საკასაციო პალატა კასატორს მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის **102-ე** მუხლზე და განუმარტავს, რომ სწორედ ისაა მტკიცების ტვირთის მატარებელი წარმოდგენილი დასკვნის უსწორობის თაობაზე და მასვე უნდა უზრუნველყო შესაბამისი მტკიცებულების წარმოდგენით აუდიტორის დასკვნის შედეგების ეჭვქვეშ დაყენება სასამართლოს წინაშე, რასაც მისი მხრიდან ადგილი არ ჰქონია, ხოლო სასამართლო თავის მხრივ არაა უფლებამოსილი, დაეთანხმოს და გაიზიაროს კასატორის მხოლოდ ზეპირისიტყვიერი მითითება მტკიცებულების სიყალბეზე.

სასამართლო ანალოგიურად ვერ გაიზიარებს კასატორის აპელირებას იმ გარემოებაზე, რომ თ. მ-მემ ნასყიდობის ხელშეკრულება გააფორმა უნაკლო ნივთზე, რის გამოც ის ბინას ვერ ჩაუტარებდა სარემონტო სამუშაოებს.

აღნიშნულთან მიმართებით, საკასაციო პალატა მხარეს განუმარტავს, რომ სსკ-ს **488-ე** მუხლის თანახმად, ნივთი ნივთობრივად უნაკლოდ ითვლება, თუ ის შეთანხმებული ხარისხისაა. თუ ხარისხი არ არის წინასწარ შეთანხმებული, მაშინ ნივთი უნაკლოდ ჩაითვლება, თუკი იგი ვარგისია ხელშეკრულებით გათვალისწინებული ან ჩვეულებრივი ვარგისიანობისთვის, რაც გულისხმობს, რომ ნივთი სულ ცოტა უნდა პასუხობდეს საშუალოდ ამ ნივთისათვის წაყენებულ მოთხოვნებს, კერძოდ კი ასრულებდეს იმ ფუნქციას, რისთვისაცაა ის გამოყენებადი.

ხემოთქმულის გათვალისწინებით, ნათელია, რომ ნივთის ნაკლი თუ მისი უნაკლოება არაა დაკავშირებული სარემონტო სამუშაოების გაწევასთან. შესაძლოა ბინის გარემონტება არ იყოს აუცილებელი მოთხოვნილებით ნაკარნახევი, მაგრამ მხარემ ეს ხარჯები გასწიოს თავისი კეთილი ნებით, რაც ნამდვილად არ მეტყველებს ნივთის ნაკლზე.

საკასაციო პალატა ასევე ვერ გაიზიარებს კასატორის პრეტენზიას იმასთან დაკავშირებით, რომ არარეგისტრირებულ ფართზე გაწეული სარემონტო სამუშაოების ხარჯები მას არ უნდა დაკისრებოდა, ვინაიდან იგი არავის საკუთრებაში არ ირიცხება.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის **150-ე** მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ნივთის შემადგენელი ნაწილი, რომლის გამოცალკევება შეუძლებელია მთლიანი ნივთის ან მისი ნაწილის განადგურების ანდა მათი დაზიანების მოსპობის გარეშე (ნივთის არსებითი შემადგენელი ნაწილი) ცალკე უფლების ობიექტად შეიძლება იყოს მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

აღნიშნულ ნორმაზე მითითებით, საკასაციო პალატა მხარეს განუმარტავს, რომ არარეგისტრირებული ფართი პრაქტიკაში დამკვიდრებული შეხედულების თანახმად წარმოადგენს იმ შენობა-ნაგებობის არსებით შემადგენელ ნაწილს, რომლისგანაც მისი გამოცალკევება მისი განადგურების გარეშე შეუძლებელია. შესაბამისად არარეგისტრირებულ ფართზე საკუთრების უფლებას იძენს ბინის შემძენი. მოცემულ შემთხვევაში ნ. გ-შიძემ **56,74** კვ.მ ბინის შეძენით დაეუფლა ბინაზე მიშენების სახით არსებულ **102,06** კვ.მ არარეგისტრირებულ ფართსაც და ფართთან დაკავშირებულ უფლებებზე და ვალდებულებებზე პასუხისმგებელი პირსაც თავად წარმოადგენს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ არ არსებობს ნ. გ-შიძის საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი და უცვლელად უნდა დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის **2009** წლის **29** სექტემბრის განჩინება.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის **410-ე** მუხლით და

#### **და ა დ გ ი ნ ა:**

ნ. გ-შიძის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;  
უცვლელად დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის **2009** წლის **29** სექტემბრის განჩინება;  
განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

**შეცდომით ხარჯების გაწევა სხვა პირის ქონებაზე**

**განჩინება**



**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა**  
**შემადგენლობა: პ. ქათამაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),**  
**ვ. როინიშვილი,**  
**მ. სულხანიშვილი**

**დავის საგანი:** თანხის დაკისრება

**აღწერილობითი ნაწილი:**

2004 წლის 20 იანვარს დუშეთის რაიონულ სასამართლოს სარჩელით მიმართეს შპს «ც-რმა» და ი. მ-შვილმა მოპასუხე ა. ნ-შვილის მიმართ. მოსარჩელეებმა მოითხოვეს საზიარო ნივთის გასხვისება ან უპირატესი შესყიდვის გზით საზიარო უფლების გაუქმება იმის გათვალისწინებით, რომ მოსარჩელეებს მათ მიერ გაწეული ხარჯები აუნაზღაურებოდათ ა. ნ-შვილის კუთვნილი წილიდან.

სარჩელის თანახმად, დუშეთის რაიონის სოფელ ...ში შპს «ც-რსა» და ა. ნ-შვილს თანასაკუთრების უფლებით ეკუთვნით 9240 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე არსებული 104.8 კვ.მ შენობა, რომელშიც ფუნქციონირებდა რესტორანი «დ-ი», მოგვიანებით – «ე». უძრავი ქონების 4/5-ის მესაკუთრეა შპს «ც-რი», ხოლო 1/5-ის – ა. ნ-შვილი. მხარეთა შორის არსებული ზეპირი მოლაპარაკების თანახმად, ზემომითითებულ რესტორანში სამეწარმეო საქმიანობას ახორციელებდა შპს «ც-რი», ხოლო მოპასუხე იქ მუშაობდა დირექტორად და იღებდა შესაბამის ანაზღაურებას. მხარეები ასევე ზეპირი ფორმით შეთანხმდნენ, რომ რესტორან ქართული დ-ის» რეკონსტრუქციის ხარჯებს დაფარავდნენ შპს «ც-რი» და ი. მ-შვილი, რასაც შემდგომ 18 თვის განმავლობაში ამოიღებდნენ, თუმცა, თუ ობიექტი ვერ ამუშავდებოდა, ნებისმიერი მხარის მოთხოვნით, იგი გაიყიდებოდა. გარკვეული მიზეზების გამო ობიექტი აღმოჩნდა ფინანსურად წამგებიანი. 2003 წლის 6 სექტემბერს შპს «ც-რმა» მიმართა ა. ნ-შვილს რესტორნის გასხვისების მოთხოვნით, რათა ობიექტის გაყიდვის შედეგად მიღებული თანხიდან დაფარულიყო რესტორნის რეკონსტრუქციისათვის გაწეულ ხარჯებში მოპასუხის წილი. გარდა ამისა, მოსარჩელემ მოპასუხეს შესთავაზა, გამოესყიდა საზიარო ნივთის მოსარჩელის კუთვნილი 80% ან დაეთმო თავისი 20%, თუმცა აღნიშნულ შეთავაზებას არანაირი შედეგი არ მოჰყოლია. მოთხოვნის სამართლებრივ საფუძვლად შპს «ც-რმა» მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 961-ე მუხლის პირველ ნაწილზე და 964-ე მუხლზე.

მოგვიანებით იმავე სასამართლოში შეგებებული სარჩელი წარადგინა ა. ნ-შვილმა მოპასუხეების – შპს «ც-რისა» და ი. მ-შვილის მიმართ. შეგებებულმა მოსარჩელემ მოითხოვა 1999 წლის 17 ივნისის ნასყიდობის ხელშეკრულების გაუქმება და საზიარო ნივთის ნატურით გაყოფა.

შეგებებული სარჩელის მიხედვით, ძირითადი სარჩელისა და მასზე თანდართული დოკუმენტების მიღების შემდეგ ა. ნ-შვილისათვის ცნობილი გახდა, რომ 1999 წლის 17 ივნისის ნასყიდობის ხელშეკრულებით ი. მ-შვილმა კუთვნილი უძრავი ნივთის 4/5 წილი, ა. ნ-შვილის თანხმობის გარეშე, მიჰყიდა შპს «ც-რს», რითაც დაარღვია მოპასუხის, როგორც აღნიშნული ნივთის თანამესაკუთრის უპირატესი შესყიდვის უფლება. შეგებებული სარჩელის ავტორის მოსაზრებით, დაუსაბუთებელი იყო მოსარჩელეთა მოთხოვნა მოპასუხის წილის პროპორციულად რესტორნის რეკონსტრუქციის ხარჯების ანაზღაურების შესახებ, რამდენადაც სამოქალაქო კოდექსის 173-ე მუხლის მე-3 ნაწილისა და 960-ე მუხლის შესაბამისად, მოსარჩელეებს უფლება ჰქონდათ, მოეთხოვათ მხოლოდ საერთო საკუთრებაში არსებული ნივთის მოვლისა და შენახვის ხარჯები.

დუშეთის რაიონული სასამართლოს 2004 წლის 6 დეკემბრის გადაწყვეტილებით შპს «ც-რის» სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა: მოპასუხე ა. ნ-შვილს შპს «ც-რის» სასარგებლოდ დაეკისრა სადავო უძრავი ქონების მოპასუხის წილიდან 91050 აშშ დოლარისა და 45982.9 ლარის გადახდა; შპს «ც-რის» მოთხოვნა საზიარო ნივთის რეალიზაციის გზით მასზე საზიარო უფლების გაუქმების შესახებ არ დაკმაყოფილდა; ი. მ-შვილის სარჩელი არ დაკმაყოფილდა; ა. ნ-შვილის შეგებებული სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა: დუშეთის რაიონის სოფ. ...ში მდებარე რესტორან «ე-ზე» გაუქმდა შპს «ც-რისა» და ა. ნ-შვილის საზიარო უფლება; ა. ნ-შვილს ნატურით გამოეყო დუშეთის რაიონის სოფ. ...ში რესტორან «ე-ის» კუთვნილი 1/5 იდეალური წილის შესაბამისი რეალური წილი – 265.5 კვ.მ, კერძოდ, 16 სახინკლე და ეზოს ნაკვეთიდან მისი 1/5 იდეალური წილის შესაბამისი 1807 კვ.მ რეალური წილი, 2004 წლის 2 ივლისის 1771/15 საინჟინრო-ტექნიკური ექსპერტიზის დასკვნის შესაბამისად; ა. ნ-შვილის შეგებებული სარჩელი 1999 წლის 17 ივნისის ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობის ნაწილში არ დაკმაყოფილდა.

რაიონულმა სასამართლომ რესტორნის რეკონსტრუქციის ხარჯების მოპასუხისათვის დაკისრების ნაწილში გადაწყვეტილებას საფუძვლად დაუდო შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

სასამართლომ საქმეზე დადგინებულად მიიჩნია, რომ დუშეთის რაიონის სოფელ ...ში რესტორან «ე-ის» 1/5 წილს საკუთრების უფლებით ფლობდა ა. ნ-შვილი, 4/5 წილს – ჯერ ი. მ-შვილი, ხოლო 1999 წლის 17 ივნისის ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე შპს «ც-რი»;

შპს «ც-რმა» საკუთარი სურვილითა და ხარჯებით განახორციელა რესტორნის რეკონსტრუქცია. მოპასუხე ა. ნ-შვილს თანხა არ გაუღია, თუმცა რეკონსტრუქცია მოიწონა. მხარეთა შეთანხმებით, რესტორან «ე-ის» რეკონსტრუქციის ხარჯები უნდა დაფარულიყო მისი ამოქმედებიდან 18 თვეში რესტორნიდან მიღებული შემოსავლით და მხარეთა შორის მოგება განაწილებულიყო წილების პროპორციულად, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი გაიყიდებოდა. იმ საფუძველით, რომ რესტორანი წამგებიანი აღმოჩნდა, აღნიშნული შეთანხმება ვერ შესრულდა, რის გამოც შპს «ც-რმა» ა. ნ-შვილს შესთავაზა წამგებიანი ობიექტის გასხვისება, რათა მიღებული თანხებიდან დაფარულიყო

ობიექტის რეკონსტრუქციაზე მის მიერ გაწეული ხარჯების ნაწილი. ამასთან, თუკი ა. ნ-შვილი არ მოისურვებდა ობიექტის მესამე პირზე გასხვისებას, მაშინ მას უნდა გამოესყიდა შპს „ც-რის“ კუთვნილი 80% ან შპს „ც-რისათვის“ მიეყიდა მის საკუთრებაში არსებული 20%, რასაც ა. ნ-შვილის მხრიდან რეაგირება არ მოჰყოლია.

რაიონულმა სასამართლომ საფუძვლიანად მიიჩნია შპს „ც-რის“ მოთხოვნა გაწეული ხარჯების 1/5-ის ანაზღაურების ნაწილში. მოწმეთა ჩვენებებითა და შპს „ც-რის“ მიერ წარდგენილი აუდიტის დასკვნის შესაბამისად, სასამართლომ დაადგინა, რომ რესტორნის რეკონსტრუქციისათვის საჭირო ხარჯები შპს „ც-რმა“ გასწია, ხოლო ჩატარებული სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების ღირებულება შეადგენდა 48525 აშშ დოლარსა და 229.914 ლარს, რაც მოპასუხეს არც სადავოდ გაუხდია და არც რაიმე დოკუმენტი თანხების ოდენობის გასაბათილებლად არ წარუდგენია.

რაიონულმა სასამართლომ არ გაიზიარა ა. ნ-შვილის მოსაზრება იმის შესახებ, რომ ვინაიდან მისი წილი თანასაკუთრებაში ნაკლები იყო შპს „ც-რის“ წილთან შედარებით, იგი ვერ შეძლებდა წინააღმდეგობის გაწევას საერთო საკუთრების მართვის შესახებ გადაწყვეტილების მიღებაში. ამასთან დაკავშირებით რაიონულმა სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 957-ე მუხლზე და აღნიშნა, რომ, თუ მხარეს მიაჩნდა, რომ დადგენილი მართვის წესით ილაზხებოდა მისი, როგორც მოწმის ინტერესი, უნდა გამოეყენებინა კანონით მინიჭებული უფლება, რომელიც არ გამოუყენებია.

რაიონული სასამართლოს მითითებით, საინჟინრო-ტექნიკური ექსპერტიზის დასკვნის შესაბამისად, რესტორან „დ-ის“ (შემდგომში რესტორანი „ე“) შესყიდვის დროს ა. ნ-შვილის 1/5 იდეალური წილის (104,7 კვ.მ.) ღირებულება შეადგენდა 6000 ლარს, ხოლო რეკონსტრუქციების შემდგომ გაზრდილი 1/5 იდეალური წილის (20934 კვ.მ.) ღირებულება გაიზარდა 91050 აშშ დოლარითა და 45982.9 ლარით. სასამართლოს მოსაზრებით, ა. ნ-შვილს უნდა სცოდნოდა, რომ რეკონსტრუქციის შედეგად მისი ქონება იზრდებოდა და ევარაუდა, რომ შპს „ც-რს“, სამოქალაქო კოდექსის 987-ე მუხლის შესაბამისად, წარმოეშობოდა სამართლებრივი საფუძველი ხარჯების ანაზღაურების მოთხოვნის თაობაზე.

რაიონულმა სასამართლომ სამოქალაქო კოდექსის 966-ე მუხლის შესაბამისად საფუძვლიანად მიიჩნია მოსარჩელის მოთხოვნა გაწეული ხარჯების დაფარვის შესახებ და იგი დააკმაყოფილა.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს ა. ნ-შვილმა და შპს „ც-რმა“.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 6 ივნისის გადაწყვეტილებით საქმეზე მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება: შპს „ც-რის“ სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, მოსარჩელის მოთხოვნა ობიექტის გაუმჯობესებისათვის გაწეული ხარჯების ა. ნ-შვილისათვის დაკისრების ნაწილში ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, ა. ნ-შვილს შპს „ც-რის“ სასარგებლოდ დაეკისრა 8939.60 ლარის გადახდა, შპს „ც-რის“ სარჩელი ნივთის გაყიდვის გზით საზიარო უფლების გაუქმების შესახებ არ დაკმაყოფილდა; ა. ნ-შვილის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გაუქმდა საზიარო უფლება და ა. ნ-შვილს ნატურით გამოეყო დუშეთის რაიონის სოფელ ...ში მდებარე რესტორან „ე-ის“ კუთვნილი 1/5 იდეალური წილის შესაბამისი რეალური წილი საინჟინრო-ტექნიკური და სასაქონლო ექსპერტიზის 2008 წლის 28 იანვრის დასკვნის მიხედვით, მიწის ნაკვეთის სახით ფართობით 1222.00 კვ.მ, აგრეთვე, 16 (სახინკლე) და 17 (დარბაზის) შენობები; შპს „ც-რს“ ა. ნ-შვილის სასარგებლოდ დაეკისრა სახელმწიფო ბაჟის სახით ჩარიცხული 2142.42 ლარის ანაზღაურება, მასვე დაევალა სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სახელმწიფო ბაჟის სახით 2500 ლარის გადახდა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 17 მარტის განჩინებით შპს „ც-რისა“ და ა. ნ-შვილის საკასაციო საჩივრები დაკმაყოფილდა, გაუქმდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 6 ივნისის გადაწყვეტილება ნივთის გაუმჯობესებაზე თანხის დაკისრებისა და სახელმწიფო ბაჟის განაწილების ნაწილში და საქმე ამ ნაწილში ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 6 აპრილის გადაწყვეტილებით ა. ნ-შვილის სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გაუქმდა დუშეთის რაიონული სასამართლოს 2004 წლის 6 დეკემბრის გადაწყვეტილება ა. ნ-შვილისათვის შპს „ც-რის“ სასარგებლოდ 91050 აშშ დოლარისა და 45982,9 ლარის დაკისრებისა და ამ თანხის მისი კუთვნილი წილიდან დაფარვის ნაწილში და ამ ნაწილში მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, შპს „ც-რის“ სარჩელი მის მიერ დუშეთის რაიონის სოფელ ...ში რესტორან „ე-ის“ გაუმჯობესებისათვის გაწეული ხარჯების ა. ნ-შვილზე დაკისრების თაობაზე ნაწილობრივ დაკმაყოფილდა; ა. ნ-შვილს შპს „ც-რის“ სასარგებლოდ დაეკისრა 16 455 ლარის გადახდა. ამავე გადაწყვეტილებით შპს „ც-რს“ ა. ნ-შვილის სასარგებლოდ დაეკისრა ა. ნ-შვილის მიერ სააპელაციო ინსტანციაში სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი თანხის ნაწილი – 1 841 ლარი და 80 თეთრი.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2009 წლის 17 მარტის განჩინების მიხედვით, თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 6 ივნისის გადაწყვეტილება შესულია კანონიერ ძალაში, გარდა ნივთის გაუმჯობესებაზე გაწეული თანხის დაკისრებისა და სახელმწიფო ბაჟის განაწილების ნაწილებისა. აქედან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლოს უნდა ემსჯელა მხოლოდ ამ ორ საკითხზე.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ ამავე სასამართლოს 2008 წლის 6 ივნისის გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომლითაც ა. ნ-შვილს ნატურით გამოეყო დუშეთის რაიონის სოფელ ...ში მდებარე რესტორან „ე-ის“ კუთვნილი 1/5 იდეალური წილის შესაბამისი რეალური წილი, შესული იყო კანონიერ ძალაში. აღნიშნული გადაწყვეტილებით დადგენილია, რომ ნატურით გაყოფის გზით საზიარო უფლების გაუქმების შედეგად, ა. ნ-შვილს 1222.00 მ<sup>2</sup> მიწის ნაკვეთი მასზე განთავსებული 16 და 17 შენობებით მიეკუთვნა გაუმჯობესებული სახით და მიიღო იმაზე მეტი ღირებულების ქონება, ვიდრე ეკუთვნოდა, რითაც იგი გამდიდრდა. შესაბამისად, სახეზე იყო სამოქალაქო კოდექსის 987-ე მუხლის 1-ელი და მე-2 ნაწილებით გათვალისწინებული შემთხვევა.

სააპელაციო სასამართლომ გაუმჯობესების ხარჯების კონკრეტულ ოდენობასთან დაკავშირებით, საქმეში წარდგენილი მასალები შეაფასა იმ თვალსაზრისით, რომ ა. ნ-შვილს უნდა დაკისრებოდა სწორედ შენობა-ნაგებობების ამენების, აგრეთვე, მათი ისეთი კეთილმოწყობის შედეგად გაწეული ხარჯის შესაბამისი წილი, რომლის გამოცალკევებაც ნივთის ღირებულების შემცირების გარეშე შეუძლებელი იქნებოდა. საკითხის ამგვარად შეფასებით სააპელაციო სასამართლო მივიდა იმ დასკვნამდე, რომ აუდიტორული დასკვნის დანართში წარდგენილი ხარჯთაღრიცხვის ცხრილის შესაბამისად, ა. ნ-შვილს შპს «ც-რის» სასარგებლოდ უნდა დაკისრებოდა მხოლოდ სახინკლის მშენებლობასა და 17 დარბაზზე გაწეული ხარჯების გადახდა. რაც შეეხებოდა სხვა ხარჯებს (დაცვის მომსახურების ღირებულება, ხელფასები, პროდუქციის შექმნა, ფარდები, მცირე ფასიანი ინვენტარის შექმნა და ა.შ.), ვინაიდან აუდიტორული შემოწმების დასკვნის დანართიდან არ ჩანდა, ხოლო შპს «ც-რმა» ვერ დაამტკიცა, შევიდა თუ არა ეს საქონელი ან მომსახურება ა. ნ-შვილზე გადაცემულ 1222,00 მ<sup>2</sup> ფართობის მიწის ნაკვეთში და მასზე განთავსებულ 16 (სახინკლე) და 17 (დარბაზი) შენობებში და, შესაბამისად, გამდიდრდა თუ არა ამ ნივთებით ა. ნ-შვილი, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ დარჩენილი ნივთებისა თუ მომსახურების ანაზღაურების ნაწილში მოთხოვნა დაუსაბუთებელი იყო.

ამდენად, სასამართლომ დაასკვნა, რომ ზემოაღნიშნულ ცხრილში მითითებული თანხების საერთო ჯამიდან – 82275 ლარიდან, ა. ნ-შვილს, შპს «ც-რის» სასარგებლოდ, უნდა დაკისრებოდა აღნიშნული თანხის 1/5 – 16455 ლარი, რამდენადაც ნატურით გაყოფის გზით საზიარო უფლების გაუქმების შედეგად, მას მიღებული ჰქონდა აღნიშნული ოდენობით გაუმჯობესებული მიწის ნაკვეთი.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, იმის გამო, რომ ა. ნ-შვილს გადაწყვეტილებით დაეკისრა 16455 ლარის გადახდა, მის მიერ გადასახდელი ბაჟის ოდენობა უნდა განსაზღვრულიყო აღნიშნული თანხის 4%-ით – 658,20 ლარით, ხოლო რადგანაც მას სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი ჰქონდა 2500 ლარი, სასამართლომ მიიჩნია, რომ უკვე გადახდილი და დასაკისრებელი თანხების სხვაობა, რომელიც შეადგენდა 1871,8 ლარს, ა. ნ-შვილის სასარგებლოდ, უნდა დაკისრებოდა შპს «ც-რს».

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 6 ივლისის დამატებითი გადაწყვეტილებით შპს «ც-რს» სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ დაეკისრა თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2005 წლის 10 მარტის განჩინებით ა. ნ-შვილისათვის გადავადებული სახელმწიფო ბაჟის დარჩენილი ნაწილის – 2500 ლარის გადახდა.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის მე-3 ნაწილზე, რომლის თანახმად, თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო შეცვლის გადაწყვეტილებას ან გამოიტანს ახალ გადაწყვეტილებას, იგი შესაბამისად შეცვლის ხარჯების განაწილებასაც. ამავე კოდექსის 261-ე მუხლის 1-ელი ნაწილის «გ» პუნქტის მიხედვით, გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოს შეუძლია თავისი ინიციატივით ან მხარეთა თხოვნით გამოიტანოს დამატებითი გადაწყვეტილება თუ სასამართლოს არ გადაუწყვეტია სასამართლო ხარჯების საკითხი.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მოცემულ შემთხვევაში სასამართლომ მხარეთა შორის არსებული დავა არსებითად გადაწყვიტა. ამასთან, სასამართლომ იმსჯელა ნაწილობრივ მხარეთა მიერ გადახდილ სახელმწიფო ბაჟების განაწილების საკითხზე მხოლოდ ერთ ასპექტში, კერძოდ, ა. ნ-შვილის მიერ სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ გადახდილი 2500 ლარის შესახებ.

სააპელაციო სასამართლომ ყურადღება მიაქცია იმ გარემოებაზე, რომ თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2005 წლის 10 მარტის განჩინებით ა. ნ-შვილს სახელმწიფო ბაჟის დარჩენილი ნაწილის – 2500 ლარის გადახდა გადაუვადდა სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების გამოტანამდე. ამიტომ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოს უნდა ემსჯელა ამ ბაჟის განაწილების შესახებაც.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ვინაიდან მოცემულ შემთხვევაში, პირველი ინსტანციის სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება გაუქმდა ა. ნ-შვილზე შპს «ც-რის» სასარგებლოდ 91050 აშშ დოლარისა და 45982.9 ლარის დაკისრების ნაწილში და მას შპს «ც-რის» სასარგებლოდ დაეკისრა 16455 ლარის ანუ მოთხოვნილზე გაცილებით ნაკლები ოდენობის თანხის გადახდა, ამიტომ შპს «ც-რს» სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ უნდა გადაეხადა ა. ნ-შვილისათვის გადავადებული სახელმწიფო ბაჟი.

გარდა ამისა, სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ რამდენადაც თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 6 აპრილის გადაწყვეტილებით შპს «ც-რის» სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა და ა. ნ-შვილს შპს «ც-რის» სასარგებლოდ გადასახდელად დაეკისრა 16455 ლარის გადახდა, დაუკმაყოფილებელი ნაწილის პროპორციულად შპს «ც-რის» მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟი უნდა დაკისრებოდა ა. ნ-შვილს. სარჩელის დაკმაყოფილებული ნაწილი შეადგენს მთელი სასარჩელო მოთხოვნის 7.7%-ს. შესაბამისად, ყველა ინსტანციის სასამართლოში შპს «ც-რის» მიერ სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი თანხის – 9300 ლარის 7.7% შეადგენს 716.10 ლარს. სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, ეს თანხა ექვემდებარებოდა ა. ნ-შვილის მიერ შპს «ც-რისათვის» გადახდას.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 6 აპრილის გადაწყვეტილება, ასევე ამავე სასამართლოს 2010 წლის 6 ივლისის დამატებითი გადაწყვეტილება საკასაციო წესით გასაჩივრა შპს «ც-რმა». კასატორი ითხოვს: სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 6 აპრილის გადაწყვეტილების გაუქმებას და ახალი გადაწყვეტილებით მოწინააღმდეგე მხარისათვის 60998.4 ლარის დაკისრებას, აგრეთვე, სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 6 ივლისის დამატებითი გადაწყვეტილების გაუქმებას და ახალი გადაწყვეტილებით ა. ნ-შვილისათვის დაკისრებული სახელმწიფო ბაჟის ოდენობის გადაანგარიშებას.

კასატორის მოთხოვნების საფუძვლები მდგომარეობს შემდეგში:

შპს «ც-რის» მოთხოვნა, უსაფუძვლო გამდიდრების მარეგულირებელი ნორმების გარდა, ემყარება როგორც საზიარო უფლებების, ისე ერთობლივი საქმიანობის ურთიერთობების მომწესრიგებელ ნორმებს, რაც სააპელაციო სასამართლომ არ გაითვალისწინა და არ გამოიყენა სამოქალაქო კოდექსის 932-ე, 937-ე, 940-ე, 960-ე, 966-ე მუხლები.

სასამართლომ 2009 წლის 5 ოქტომბრის აუდიტორულ დასკვნაზე დაყრდნობით, არასწორად დაადგინა უძრავი ქონების მშენებლობასა და გაუმჯობესებაზე გაწეული ხარჯების ოდენობა. მითითებული დასკვნის თანახმად, 1999 წლის 17 ივნისიდან უძრავი ქონების მშენებლობაზე და რემონტზე მტკიცებულებებით გამაგრებული ხარჯის ოდენობა შეადგენს არა სასამართლოს მიერ დადგენილ 82275 ლარს, არამედ 106072 ლარს, რომლის 20%-იც არის 21214.4 ლარი და არა 16455 ლარი, რომელიც სააპელაციო სასამართლომ გადასახდელად დააკისრა ა. ნ-შვილს. სასამართლომ შეკრიბა მხოლოდ აუდიტორულ დასკვნაში მოცემული ის პუნქტები, სადაც პირდაპირ იყო მითითებული «რესტორნის მშენებლობისათვის» ან «სახინკლის მშენებლობისათვის», მაგრამ არ გაითვალისწინა ის პუნქტები, სადაც მოცემულია ისეთი ხარჯები, რომლებიც აშკარად მიუთითებს, რომ ესა თუ ის მასალა შეძენილია უძრავი ქონების გასაუმჯობესებლად და გასარემონტებლად. ა. ნ-შვილს შპს «ც-რის» სასარგებლოდ უნდა დაეკისროს თანხის გადახდა როგორც საზიარო საგნის გაუმჯობესებაზე, ასევე ერთობლივი საქმიანობის საფუძველზე დახარჯული თანხებიდან, რაც საერთო ჯამში შეადგენს 60998.4 ლარს.

იმ პირობებში, როდესაც სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ ა. ნ-შვილი უსაფუძვლოდ გამდიდრდა, მაშინ კასატორისათვის გაუგებარია, თუ რის საფუძველზე და რომელ კონკრეტულ ნორმაზე დაყრდნობით დააკისრა მან ა. ნ-შვილს შპს «ც-რის» სასარგებლოდ 16455 ლარის გადახდა. რამდენადაც სასამართლომ იხელმძღვანელა 2009 წლის 5 ოქტომბრის აუდიტორული დასკვნით და მხედველობაში მიიღო მხოლოდ უძრავი ქონების მშენებლობასა და გაუმჯობესებაზე გაწეული ხარჯები, მაშინ მოპასუხისათვის სულ მცირე უნდა დაეკისრებინა მისთვის ნატურით გადაცემული უძრავი ქონების მშენებლობაზე და კეთილმოწყობაზე დახარჯული თანხა მთლიანად, აგრეთვე, რესტორნის გაუმჯობესებაზე დახარჯული თანხის 1/5 ნაწილი, რაც სასამართლოს არ განუხორციელებია. ამდენად, გამდიდრების ფაქტის დადგენისას სახინკლეზე დახარჯული თანხები გაანგარიშებულ უნდა იქნეს მთლიანად. 2009 წლის 5 ოქტომბრის აუდიტორული დასკვნის თანახმად (რომლითაც იხელმძღვანელა სასამართლომ) მხოლოდ სახინკლეზე დაიხარჯა (მშენებლობაზე და რემონტზე) 40091 ლარი. ამას თუ დაემატებთ მთლიანად რესტორანზე (რომლის შემადგენელ ნაწილად მოიაზრება სახინკლეც) დახარჯული თანხების 1/5-ს, ანუ 13196.2 ლარს, მივიღებთ 53287.2 ლარს, რისი გადახდაც უნდა დაეკისროს ა. ნ-შვილს.

კასატორი არ იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას იმის შესახებ, რომ შპს «ც-რმა» ვერ დაასაბუთა ერთობლივი საქმიანობის ფარგლებში ობიექტის დაცვისათვის, პროდუქტებისა და ინვენტარის შექმნისათვის და ა.შ. მის მიერ გაწეული ხარჯების 1/5-ის ანაზღაურების საფუძვლის არსებობა. ამის დასამტკიცებლად ისიც საკმარისია, რომ საქმეში არ ფიგურირებს არანაირი მტკიცებულება ინვენტარისა და სხვა მოძრავი ნივთების სახინკლიდან შპს «ც-რისათვის» გადაცემის ფაქტის დასადასტურებლად არც უძრავი ქონების გაყოფისას და არც შემდგომ პერიოდში.

კასატორს დაუსაბუთებლად მიაჩნია ასევე თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 6 ივლისის დამატებითი გადაწყვეტილება. კერძოდ, კასატორის მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლომ დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანისას არასწორად განმარტა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლი. ძირითადი გადაწყვეტილებით, ა. ნ-შვილის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა არა მთლიანად, არამედ ნაწილობრივ, სასამართლომ კი შპს «ც-რს» დააკისრა მოწინააღმდეგე მხარის მიერ სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ გადასახდელი და გადავადებული ბაჟის მთლიანი თანხის გადახდა, მაშინ, როდესაც მითითებული მუხლის შესაბამისად, თანხა უნდა ყოფილიყო იმ მოთხოვნის პროპორციული, რაც სასამართლო გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, საკასაციო საჩივრის საფუძვლების გამოკვლევის შედეგად მიიჩნევს, რომ შპს «ც-რის» საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს, უნდა გაქმდეს სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილებები და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 6 ივნისის გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესული ნაწილით, გაუქმდა საზიარო უფლება შპს «ც-რისა» და ა. ნ-შვილის თანასაკუთრებაში არსებულ უძრავ ნივთზე და ა. ნ-შვილს ნატურით გამოეყო დუშეთის რაიონის სოფელ ...ში მდებარე რესტორან «ე-ის» კუთვნილი 1/5 იდეალური წილის შესაბამისი რეალური წილი, კერძოდ, მიწის ნაკვეთი ფართობით 1 222.00 კვ.მ, აგრეთვე, 16 სახინკლე და 17 დარბაზის შენობა;

საზიარო უფლების გაუქმების შედეგად, ა. ნ-შვილს მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული 16 და 17 შენობები მიეკუთვნა გაუმჯობესებული სახით;

2009 წლის 5 ოქტომბრის 1... აუდიტორული დასკვნის მიხედვით, რესტორან «ე-ის» რეკონსტრუქციაზე, მათ შორის მოპასუხის მიწის ნაკვეთისა და მასზე განთავსებული 16 და 17 შენობების გაუმჯობესებაზე, შპს «ც-რის» მიერ გაწეული ხარჯი შეადგენს 82275 ლარს.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოპასუხე ა. ნ-შვილს უნდა დაკისრებოდა რესტორან «ე-ის» რეკონსტრუქციაზე შპს «ც-რის» მიერ გაწეული ხარჯის შესაბამისი წილი, კერძოდ, 82275 ლარის 1/5 ნაწილი, ანუ 16455

ლარი, ვინაიდან ამ ოდენობით გაუმჯობესებული მიწის ნაკვეთი მიიღო მოპასუხემ თანასაკუთრებაში არსებულ უძრავ ნივთზე საზიარო უფლების გაუქმებით.

საკასაციო სასამართლო არ იზიარებს სააპელაციო პალატის აღნიშნულ მსჯელობას, ვინაიდან მოცემული დავის სწორად გადაწყვეტისათვის მნიშვნელოვანი იყო იმის დადგენა, თუ რა ოდენობით გამდიდრდა მოპასუხე. ამისათვის კი უნდა გარკვეულიყო, თუ რა სახით არსებობდა საზიარო უფლების გაუქმების შედეგად მოპასუხისათვის მიკუთვნებული მიწის ნაკვეთი მოსარჩელის მიერ ამ მიწის ნაკვეთზე სარეკონსტრუქციო სამუშაოების დაწყებამდე და რა სახით იქნა იგი გადაცემული (დაბრუნებული) მოპასუხისათვის.

სამოქალაქო კოდექსის 987-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, პირს, რომელმაც შეგნებულად ან შეცდომით ხარჯები გასწია მეორე პირის ქონებაზე, შეუძლია მისგან მოითხოვოს თავისი დანახარაჯების ანაზღაურება, თუ მეორე პირი ამით გამდიდრდა. ამავე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით კი, გამდიდრების არსებობა განისაზღვრება იმ მომენტით, როცა მოვალეს უბრუნდება თავისი ნივთი, ან იგი ღირებულების გაზრდის შედეგად სხვაგვარად იღებს სარგებელს.

მითითებული მუხლის მთავარი დებულება ისაა, რომ სხვა პირის ქონებაზე გაწეული ხარჯები უნდა ანაზღაურდეს. ამასთან, სხვა პირის ქონებაზე შეგნებულად ან შეცდომით გაწეული ხარჯების ანაზღაურების ვალდებულება წარმოიშობა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს პირი ამით გამდიდრდა, ხოლო თუ გამდიდრების ფაქტი სახეზე არაა, მაშინ მართო ხარჯის გაწევა არ წარმოშობს კონდიქციურ ვალდებულებას. გამდიდრების ოდენობა უნდა განისაზღვროს იმ მომენტისათვის, როცა მოვალეს უბრუნდება თავისი ნივთი. ამ დროს უნდა გაირკვეს რა სახით იყო ნივთი გადაცემული და რა სახით ბრუნდება იგი უკან. ასეთ შემთხვევაში რეალურად ჩანს გამდიდრების ხარისხი. გარდა ამისა, შესაძლებელია გამდიდრება გამოიხატოს დაბრუნებული ნივთიდან ადრინდელთან შედარებით მეტი სარგებლის მიღებაში, რადგან მნიშვნელოვნადაა გაზრდილი დაბრუნებული ნივთის ღირებულება. ორივე შემთხვევაში მოვალის გამდიდრების ფაქტია მთავარი და გაწეული ხარჯები უნდა ანაზღაურდეს გამდიდრების ოდენობის შესაბამისად. კონდიქციურმა მოთხოვნამ არ უნდა გამოიწვიოს გამდიდრებული პირის ქონების იმაზე მეტად შემცირება, რითაც იგი გამდიდრდა.

მოცემულ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლომ, მართალია, მართებულად გამოიყენა სამოქალაქო კოდექსის 987-ე მუხლი, მაგრამ არ დაადგინა ამ ნორმის სწორად შეფარდებისათვის აუცილებელი ფაქტობრივი გარემოებები, კერძოდ; რა სახით არსებობდა საზიარო უფლების გაუქმების შედეგად მოპასუხისათვის მიკუთვნებული მიწის ნაკვეთი და მასზე განლაგებული შენობა-ნაგებობები (16 სახინკლე, 17 დარბაზი) მოსარჩელის მიერ რესტორნის სარეკონსტრუქციო სამუშაოების დაწყებამდე და რა სახით იქნა იგი გადაცემული მოპასუხისათვის; გამდიდრდა თუ არა და რა ოდენობით მიწის ნაკვეთისა და მასზე განლაგებული შენობა-ნაგებობების გადაცემით მოპასუხე.

სააპელაციო სასამართლომ ისე დააკისრა მოპასუხეს მოსარჩელის მიერ რესტორნის რეკონსტრუქციაზე გაწეული მთლიანი ხარჯის 1/5 ნაწილი, რომ არ გამოურკვევია, თუ რამდენად შეესაბამებოდა ეს თანხა იმ ოდენობას, რომლითაც გამდიდრდა მოპასუხე. ამ თვალსაზრისით, საყურადღებოა და სააპელაციო პალატის მიერ შეფასებას საჭიროებს კასატორის მოსაზრება იმის შესახებ, რომ აუდიტორული დასკვნის მიხედვით, რომლითაც იხელმძღვანელა სასამართლომ გადაწყვეტილების მიღებისას, მხოლოდ 16 სახინკლეზე გაწეული სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების ღირებულება ბევრად უფრო მეტია გადაწყვეტილებით დაკისრებულ თანხაზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება დაუსაბუთებელია, რაც მისი გაუქმების და საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის პირველი ნაწილის «ბ» ქვეპუნქტის თანახმად.

საქმის ხელახლა განხილვისას სააპელაციო სასამართლომ უნდა დაადგინოს საქმის სწორად გადაწყვეტისათვის აუცილებელი ფაქტობრივი გარემოებები და მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს ძირითადი გადაწყვეტილების გაუქმების გამო, უნდა გაუქმდეს ასევე ამავე სასამართლოს 2010 წლის 6 ივლისის დამატებითი გადაწყვეტილებაც, ვინაიდან იგი ეხება მხარეთა შორის სასამართლო ხარჯების განაწილების საკითხს, რომელიც უნდა გადაწყვიტოს სააპელაციო სასამართლომ საქმის ხელახლა განხილვისას სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 412-ე მუხლით და

### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. შპს «ც-რის» საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს.
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 6 აპრილის გადაწყვეტილება, ამავე სასამართლოს 2010 წლის 6 ივლისის დამატებითი გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

**საზიარო საგანზე გაწეული ხარჯების ანაზღაურების მოთხოვნა**

**ხანდაზმულობის ვადა**

## განჩინება

1ას-649-610-2011

4 ოქტომბერი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ნ. კვანტალიანი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ბ. ალაფიძე,

პ. ქათამაძე

**დავის საგანი:** საზიარო საგანზე გაწეული ხარჯების ანაზღაურება, უსაფუძვლო გამდიდრება

### აღწერილობითი ნაწილი:

ა. ჯ-მა სარჩელი აღძრა სასამართლოში ნ. გ-ისა და ა. ჯ-ის მიმართ და მოითხოვა მოპასუხეებისათვის კურორტ ბახმაროში მდებარე სახლის აღდგენისათვის გაწეული ხარჯების – 6554 ლარის თანაბრად დაკისრება შემდეგი დასაბუთებით: კურორტ ბახმაროში, მოსარჩელესა და მოპასუხეებს თანასაკუთრებაში ჰქონდათ 4-ოთახიანი საცხოვრებელი სახლი. 1999 წელს, დიდთოვლობის გამო, დაზიანდა სადავო სახლი, რომლის აღდგენაზეც, როგორც აუდიტორული დასკვნიდან ირკვევა, მოსარჩელემ დახარჯა 13110 ლარი. სახლის აღდგენის დროს მოსარჩელე იმედოვნებდა, რომ დანახარჯს მოპასუხეები აუნაზღაურებდნენ, მაგრამ უარის მიღების შემდეგ მან ნ. ჯ-ისა და მ. ბ-ისაგან (ნ. ბ-ის მეუღლისაგან) მიიღო ხელწერილი, სადაც აღნიშნული იყო, რომ მათ, უსახსრობის გამო, უარი განაცხადეს სახლის სარემონტო სამუშაოებზე და დასთანხმდნენ თავიანთი წილის გაყიდვაზე, შესაბამისად, ნ. ჯ-ეს მოსარჩელემ გადაუხადა მისი წილის პროპორციულად 70 ლარი, ხოლო მ. ბ-ს – 100 ლარი. მოსარჩელე მხარეს სადავო უძრავი ქონება საჯარო რეესტრში არ აღურიცხავს.

მოპასუხეებმა წარმოდგენილი შესაგებლებით სარჩელი არ ცნეს და აღნიშნეს, რომ მოსარჩელემ დაუკითხავად ააგო სახლი, რომლითაც მთელი გასული პერიოდი სარგებლობდა და მას არა აქვს ხარჯების ანაზღაურების მოთხოვნის უფლება.

ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 28 ოქტომბრის გადაწყვეტილებით ა. ჯ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რაც სააპელაციო წესით გასაჩივრა ა. ჯ-მა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 4 მარტის განჩინებით ოზურგეთის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება დარჩა უცვლელი. პალატამ დადგინდად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: 1990 წლის 19 თებერვლის თარიღით შედგენილი საცხოვრებელი სახლის ტექნიკური პასპორტით დასტურდება, რომ კურორტ ბახმაროში, ...ის ქუჩა 141-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის მესაკუთრეებიდან ზოგიერთი მათგანი გარდაცვლილია. ამჟამად სახლის თანამესაკუთრეები არიან ა. ჯ-ი, ნ. ბ-ი, ა. ჯ-ე, ნ. გ-ე და ნ. გ-ე. რადგან შენობა სიძველისა და დიდთოვლიანობის გამო ინგრეოდა, მოსარჩელე ა. ჯ-მა 1999 წელს შესთავაზა თანამესაკუთრეებს, ერთად დაეწყოთ სახლის აღდგენითი სამუშაოები, რაზედაც უარი მიიღო. ამის შემდეგ მან შესთავაზა ნ. ჯ-ეს, ვ. კ-ის მემკვიდრე ნ. ბ-ს და მის მეუღლე მ. ბ-ს კუთვნილი საზიარო სახლის ოთახების შესყიდვა. ამის შემდეგ მან ნ. ჯ-ისა და მ. ბ-ისაგან (ნ. ბ-ის მეუღლისაგან) მიიღო ხელწერილი, რომ მათ, უსახსრობის გამო, უარი განაცხადეს სახლის სარემონტო სამუშაოებზე და დასთანხმდნენ თავიანთი წილის გაყიდვაზე, შესაბამისად, ნ. ჯ-ეს გადაუხადა 70 ლარი, ხოლო მ. ბ-ს, 100 ლარი. რაც შეეხება მესამე თანამესაკუთრე ნ. გ-ეს, მისთვის მოსარჩელე ა. ჯ-ს არც ფული გადაუხდია და არც ხელწერილი გამოუერთმევია, რადგანაც მისი კუთვნილი სახლიდან საერთოდ არაფერი დარჩენილა. ა. ჯ-ს თანამესაკუთრეებისაგან გამოსყიდული უძრავი ქონება არ აღურიცხავს საჯარო რეესტრში კანონით დადგენილი წესით. ა. ჯ-ის განმარტებით, მან 2000 წელს ადადგინა საზიარო სახლი, რომლის აღდგენაზეც გაწეულმა ხარჯებმა მთლიანად შეადგინა 13110 ლარი, რასაც ადასტურებს საქმეში წარმოდგენილი აუდიტორული დასკვნა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს პალატამ დადგინდად მიიჩნია, რომ მხარეთა შორის ურთიერთობა გამომდინარეობს საზიარო სახელშეკრულებო უფლებებიდან, კერძოდ, ა. ჯ-ის მოთხოვნა საზიარო საგანზე გაწეული მოვლის ხარჯების ანაზღაურება მოწინააღმდეგე მხარეთა მიერ. სამოქალაქო კოდექსის 953-ე მუხლის თანახმად, თუ უფლება რამდენიმე პირს ერთობლივად ეკუთვნის, მაშინ გამოიყენება ამ თავის წესები, თუკი კანონიდან სხვა რამ არ გამომდინარეობს. სამოქალაქო კოდექსის 956-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, «თითოეულ მოწილეს უფლება აქვს, საგნის შენახვისათვის საჭირო ღონისძიებები განახორციელოს სხვა მოწილეთა თანხმობის გარეშე». სამოქალაქო კოდექსის 173-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საერთო (თანაზიარი და წილადი) საკუთრება წარმოიშობა კანონის ძალით ან გარიგების საფუძველზე, თითოეულ თანამესაკუთრეს შეუძლია, მოთხოვნები წარუდგინოს მესამე პირებს საერთო საკუთრებაში არსებული ქონების გამო. ყოველ თანამესაკუთრეს აქვს ნივთის გამოთხოვის უფლება მხოლოდ ყველა თანამესაკუთრის სასარგებლოდ. სამოქალაქო კოდექსის 463-ე მუხლის თანახმად, თუ რამდენიმე პირს ევალება ვალდებულების შესრულება, თითოეულმა უნდა მიიღოს მონაწილეობა მთლიანი ვალდებულების შესრულებაში (სოლიდარული ვალდებულება), ხოლო, კრედიტორს აქვს შესრულების მხოლოდ ერთჯერადი მოთხოვნის უფლება, მაშინ ისინი წარმოადგენენ სოლიდარულ მოვალეებს. ამავე კოდექსის 464-ე მუხლის თანახმად, სოლიდარული ვალდებულება წარმოიშობა ხელშეკრულებით, კანონით ან ვალდებულების საგნის განუყოფლობით. სამოქალაქო კოდექსის 473-ე მუხლის თანახმად, მოვალეს, რომელმაც სოლიდარული ვალდებულება შესრულა, აქვს უკუმოთხოვნის უფლება დანარჩენ მოვალეთა მიმართ წილთა თანაბრობის კვალობაზე, ოღონდ თავისი წილის გამოკლებით, თუკი ხელშეკრულებით ან კანონით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. მოცემულ საქმეზე დადგენილად არის ცნობილი, რომ ა. ჯ-მა საზიარო სახლის აღდგენა საკუთარი ხარჯებით დაიწყო 1999 წლის აგვისტოში და დაასრულა 2000 წელს. საზიარო საგნის მოვლა-

პატრონობა და შენახვისათვის საჭირო ღონისძიებები მან განახორციელა დამოუკიდებლად. ა. ჯ-ის საცხოვრებელი სახლის თანამესაკუთრებებს, ა. ჯ-ესა და ნ. გ-ეს თავიანთი უფლება საზიარო საცხოვრებელ სახლზე არ დაუთმიათ კანონით გათვალისწინებული წესით, ანუ ქონება არ გადაუფორმებიათ საჯარო რეესტრში რეგისტრაციის გზით, ე.ი საზიარო უფლება არ გაუქმებულა. პალატამ არ გაიზიარა აპელანტის მოსაზრება, რომ სადავო სახლი აპელანტ ა. ჯ-ის ინდივიდუალური საკუთრება იყო. პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ სადავო სახლი საზიარო იყო და განმარტა, რომ მოწინააღმდეგე მხარეთა მიერ მათი წილის ა. ჯ-ის სასარგებლოდ დათმობა არ დასტურდება, რადგან მოპასუხეებს კანონით დადგენილი წესით არ დაუთმიათ მათი წილი უძრავ ნივთზე, რასაც კანონი ითვალისწინებს და რისთვისაც აუცილებლად საჭირო იყო სანოტარო წესით დამოწმებული ნასყიდობის ხელშეკრულება და მესაკუთრის რეგისტრაცია საჯარო რეესტრში (სამოქალაქო კოდექსის 183-ე მუხლი). ასეთი მტკიცებულება საქმის მასალებში არ მოიპოვება, ხოლო მართო ხელწერილებზე მითითება საკმარისი დასაბუთება არ არის იმისა, რომ სახლზე საზიარო უფლება გაუქმებულია და იგი ინდივიდუალურ საკუთრებას წარმოადგენს. სამოქალაქო კოდექსის 128-ე მუხლის პირველი ნაწილის, ამავე მუხლის მესამე ნაწილისა და 129-ე მუხლის თანახმად, ა. ჯ-ს მის მიერ გაწეული ხარჯების ანაზღაურების მოთხოვნა შეეძლო 2000 წლიდან დაეყენებინა, თუმცა მას ეს უფლება არ გამოუყენებია. მან მხოლოდ 2010 წელს მიმართა სასამართლოს სარჩელით, რითაც უდავოდ გაუშვა სახელშეკრულებო ურთიერთობიდან გამომდინარე მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადა. სამოქალაქო კოდექსის 130-ე მუხლის თანახმად, ხანდაზმულობა იწყება მოთხოვნის წარმოშობის მომენტიდან. მოთხოვნის წარმოშობის მომენტად ჩაითვლება დრო, როცა პირმა შეიტყო ან უნდა შეეტყო უფლების დარღვევის შესახებ.

პალატამ დადგენილ გარემოებად მიიჩნია, რომ აპელანტმა 2000 წელსვე იცოდა, რომ მოპასუხეებისაგან ვერ მიიღებდა მის მიერ გაწეული მთლიანი ხარჯებიდან შესაბამის წილს, ანუ მან აღნიშნული 2010 წელს კი არ გაიგო, არამედ 2000 წლიდან იყო ცნობილი. სახლის აღდგენიდან სარჩელის სასამართლოში შეტანამდე გასულია 10 წელზე მეტი. საქმეში წარმოდგენილი აუდიტის დასკვნიდან დგინდება, რომ სახლი, რომელიც 1999 წელს, დიდთოვლიანობის გამო, დაინგრა, ამავე წელს, ამავე მიწაზე და ამავე გაბარიტებით იქნა აღდგენილი. ა. ჯ-მა მიუთითა, რომ სახლის მშენებლობა დაიწყო 1999 წლის აგვისტოში და დაასრულა 2000 წელს. უდავოდ დადგენილად იქნა მიჩნეული და არც აპელანტმა უარყო, რომ მას უარი განუცხადეს საზიარო საგნის ერთობლივ აღდგენაზე გაწეული ხარჯების ანაზღაურებაზე, ანუ მისთვის 1999 წელსვე იყო ცნობილი მოპასუხეების პოზიცია. პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ მოცემულ საქმეზე გასულია საერთო სასარჩელო ხანდაზმულობის ვადაც.

პალატამ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მსჯელობა იმასთან დაკავშირებით, რომ «ხანდაზმულობა» სამოქალაქო სამართალში გამოხატავს რომელიმე ურთიერთობას, მდგომარეობას, რომელიც არსებობდა იმდენად დიდი ხნის წინ, რომ ხანგრძლივი დროის გასვლა განსაზღვრული დროით გავლენას ახდენს პირთა უფლებებსა და ვალდებულებებზე. ხანდაზმულობა არის ვადა, რომლის განმავლობაში პირს, რომლის უფლებაც დაირღვა, შეუძლია, მოითხოვოს თავისი უფლების იძულებით განხორციელება ან დაეცა. ხანდაზმულობის ვადის დასაწყისი ვითარდება იმ დღეს, როდესაც წარმოიშვა მოთხოვნის უფლება. მოთხოვნის უფლება წარმოიშობა იმ დღიდან, როცა პირმა გაიგო ან უნდა გაეგო თავისი უფლების დარღვევის შესახებ, მაშინ ხანდაზმულობის ვადის დინება იწყება იმ მომენტიდან, როცა საქმის გარემოებების მიხედვით უნდა შეეტყო უფლების დარღვევის შესახებ. სამოქალაქო კოდექსის 144-ე მუხლის 1-ელი ნაწილის თანახმად კი, ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდეგ, ვალდებული პირი უფლებამოსილია, უარი თქვას მოქმედების შესრულებაზე. პალატამ განმარტა, რომ თუნდაც მოპასუხეებს უარი არ განუცხადებინათ საზიარო საგნის აღდგენაში მონაწილეების მიღებაზე 1999 წელსვე, და ისინი ამას ახლა აცხადებდნენ, მათ შეუძლიათ უარი განაცხადონ ვალდებულების შესრულებაზე სამოქალაქო კოდექსის 144-ე მუხლის თანახმად, რადგან გასულია მოთხოვნის როგორც სახელშეკრულებო ხანდაზმულობის, ისე საერთო სასარჩელო ხანდაზმულობის ვადებიც. აღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე, პალატამ მიიჩნია, რომ სააპელაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

აღნიშნულ გადაწყვეტილებაზე საკასაციო საჩივარი შეიტანა ა. ჯ-მა და მიუთითა, რომ სასამართლოებმა არ იმსჯელეს ისეთ ფაქტობრივ გარემოებებზე, როგორც არის, სახლის დანგრევის გამო, თანასაკუთრების მოსპობა, რითაც გაუქმდა საზიარო უფლება სადავო სახლზე და, რის გამოც, სასამართლოს არ უნდა გამოეყენებინა საზიარო უფლებასთან დაკავშირებული მოქმედი წესები. ვინაიდან დავა ეხებოდა უსაფუძვლოდ გამდიდრებით წარმოშობილი ხარჯების ანაზღაურებას, მის მიერ სადავო სახლზე გაწეული ხარჯები, კასატორის მოსაზრებით, უნდა ანაზღაურებულიყო სწორედ უსაფუძვლო გამდიდრებასთან დაკავშირებულ ნორმებზე დაყრდნობით. ამასთან, სასამართლოს უნდა განემარტა, რომ ა. ჯ-ის მიერ აშენებული სახლი წარმოადგენდა მის საკუთრებას და მას შეეძლო, მოეხდინა საკუთრების უფლების აღიარება ან ლეგალიზაცია, რადგან სადავო სახლი აშენებულია 2007 წლის 1 იანვრამდე. არასწორად შეფასდა მოსარჩელის მიერ მტკიცებულების სახით წარმოდგენილი ხელწერილებიც, რომლის მიხედვითაც, მოპასუხეებმა უარი განაცხადეს სახლის აღდგენაზე, მაგრამ იმავდროულად აღნიშნეს, რომ მათ პრეტენზია არ ექნებოდათ მათ წილზე თანასაკუთრებაში და მიიღეს შესაბამისი ანაზღაურება. კასატორი არ დაეთანხმა სასამართლოების მოსაზრებას სარჩელისა და მოთხოვნის ხანდაზმულობასთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ მის მიერ დაცულია ზიანის ანაზღაურების მოთხოვნისა და სასამართლოსადმი მიმართვის ხანდაზმულობის ვადა. სასამართლოს მხედველობაში უნდა მიეღო ხანდაზმულობის ვადის განსაზღვრის დროს ჩოხატაურის საკრებულოს მიერ «ბახმაროში საკურორტო სეზონის დაწყებისა და დამთავრების ვადების» შესახებ გაცემული ცნობა და საქართველოს სინოპტიკური ცენტრის მონაცემები 2000 წლის 15 ივლისიდან 2000 წლის 2 სექტემბრამდე ბახმაროში ნალექიან (თოვლჭყაპიან) დღეთა რაოდენობის შესახებ, რომელთა საფუძვლიანი შესწავლის შედეგად შესაძლებელი იქნებოდა იმის დადგენა, რომ მშენებლობა ვერ დასრულდებოდა 2000 წლის 2 სექტემბრამდე და, შესაბამისად, არ არის გასული ხანდაზმულობის ვადა. ბახმაროს კლიმატური პირობების გათვალისწინებით, სადაც საკურორტო სეზონი იწყება 15 ივლისს და მთავრდება 15 სექტემბერს, არ არსებობს ცხოვრებისა და მუშაობის პირო-

ბები სეზონის გახსნამდე. წარმოდგენილი მტკიცებულებებით დასტურდება, რომ 15 ივლისამდე მშენებლობის დაწყება და მისი დასრულება სეზონის დახურვამდე შეუძლებელია. კასატორი აღნიშნავს, რომ მას სახლზე გაწეული ხარჯების ანაზღაურების მოთხოვნა მხოლოდ მშენებლობის დასრულების შემდეგ შეეძლებოდა, როდესაც ხარჯებს რეალურად დაიანგარიშებდა, ამასთან კასატორი მიიჩნევს, რომ მოთხოვნის საფუძველი არ არსებობდა, რადგან მოპასუხეების მიერ გაცემული ხელწერილების მიხედვით, სადავო ქონებასთან დაკავშირებით რაიმე პრეტენზია არ ექნებოდათ.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საკასაციო საჩივრის საფუძველების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ა. ჯ-ის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს გასაჩივრებული განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლომ უნდა გააუქმოს გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დააბრუნოს სააპელაციო სასამართლოში, თუ საქმის გარემოებები საპროცესო ნორმების ისეთი დარღვევითაა დადგენილი, რომ ამ დარღვევების შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი და საჭიროა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა. ამავე კოდექსის 393-ე მუხლის შესაბამისად, სამართლის ნორმები დარღვეულად ითვლება, თუ სასამართლომ არასწორად განმარტა კანონი, ხოლო 394-ე მუხლის ე' პუნქტის თანახმად კი, გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძველს წარმოადგენს, თუკი გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძველიანობის შემოწმება შეუძლებელია.

გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველია კანონის არასწორი განმარტების შედეგად საქმისათვის მნიშვნელოვანი ფაქტობრივი გარემოებების არასრული გამოკვლევა და არასარწმუნოება, კერძოდ:

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად ცნო შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: უკუროტ ბაზმაროში, ...ის ქუჩა '41-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის თანამესაკუთრეები არიან ა. ჯ-ი, ნ. ბ-ი, ა.ჯ-ე, ნ. გ-ე და ნ. გ-ე. რადგან შენობა სიძველისა და დიდთოვლობის გამო ინგრეოდა, ა. ჯ-მა 1999 წელს შესთავაზა თანამესაკუთრეებს, ერთად დაეწყათ სახლის აღდგენითი სამუშაოები, რაზედაც უარი მიიღო. ამის შემდეგ მან შესთავაზა ნ. ჯ-ეს, ნ. ბ-ს და მის მეუღლე მ. ბ-ს კუთვნილი საზიარო სახლის ოთახების შესყიდვა, რაზედაც ნ. ჯ-ისა და მ. ბ-ისაგან მიიღო ხელწერილები წილზე უარის თქმის თაობაზე. ა. ჯ-ის საცხოვრებელი სახლის თანამესაკუთრეებს ა. ჯ-ესა და ნ. გ-ეს თავიანთი უფლება საზიარო საცხოვრებელ სახლზე არ დაუთმიათ კანონით გათვალისწინებული წესით, ანუ ქონება არ გადაუფორმებიათ საჯარო რეესტრში რეგისტრაციის გზით, ე.ი. საზიარო უფლება არ გაუქმებულა. ა. ჯ-მა საზიარო სახლის აღდგენა საკუთარი ხარჯებით დაიწყო 1999 წლის აგვისტოში და დაასრულა 2000 წელს. საზიარო საგნის მოვლა-პატრონობა და შენახვისათვის საჭირო ღონისძიებები მან განახორციელა დამოუკიდებლად.

სააპელაციო პალატამ ა. ჯ-ის სასარჩელო მოთხოვნა მიიჩნია ხანდაზმულად სამოქალაქო კოდექსის 129-ე-130-ე მუხლების საფუძველზე და მიუთითა, რომ ა. ჯ-მა უდავოდ გაუშვა სახელშეკრულებო ურთიერთობიდან გამომდინარე მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადა. საკასაციო პალატა არ იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მითითებულ მსჯელობას, ვინაიდან, მოდავე მხარეებს შორის სახელშეკრულებო ურთიერთობა არ წარმოშობილა და არ დგინდება მათი უფლება-მოვალეობანი ერთმანეთის მიმართ გამომდინარეობდა მხოლოდ კანონისმიერი საფუძველებიდან, რაც სრულებით გამორიცხავს სასარჩელო მოთხოვნის ხანდაზმულობის მიმართ სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლის გამოყენებას.

პალატამ დადგენილ გარემოებად მიიჩნია, რომ სადავო სახლი საზიარო იყო და ა. ჯ-მა 2000 წელსვე იცოდა, რომ მოპასუხეებისაგან ვერ მიიღებდა მის მიერ სახლის აღდგენაზე გაწეული მთლიანი ხარჯებიდან შესაბამის წილს. ვინაიდან ა. ჯ-მა სასამართლოს სარჩელით მიმართა 2010 წლის 2 სექტემბერს, სახლის აღდგენიდან სარჩელის სასამართლოში შეტანამდე გასულია 10 წელზე მეტი, ანუ მოცემულ საქმეზე გასულია საერთო სასარჩელო ხანდაზმულობის ვადა.

სამოქალაქო კოდექსის 173-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საერთო (თანაზიარო და წილადი) საკუთრება წარმოიშობა კანონის ძალით ან გარიგების საფუძველზე. ამავე კოდექსის 953-ე მუხლის თანახმად, თუ უფლება რამდენიმე პირს ერთობლივად ეკუთვნის, მაშინ გამოიყენება ამ თავის წესები, თუკი კანონიდან სხვა რამ არ გამომდინარეობს, ხოლო, სამოქალაქო კოდექსის 956-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თითოეულ მოწილეს უფლება აქვს, საგნის შენახვისათვის საჭირო ღონისძიებები განახორციელოს სხვა მოწილეთა თანხმობის გარეშე. ამდენად, ა. ჯ-ი, როგორც ნივთის თანამესაკუთრე, უფლებამოსილი იყო, საზიარო საგნის მოვლა-პატრონობა და შენახვისათვის საჭირო ღონისძიებები სხვა თანამესაკუთრეთა თანხმობის გარეშე, დამოუკიდებლად განეხორციელებინა.

სამოქალაქო კოდექსის 128-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სხვა პირისაგან რაიმე მოქმედების შესრულების მოთხოვნის უფლებაზე ვრცელდება ხანდაზმულობა, ანუ ვადა, რომლის განმავლობაშიც პირს, რომლის უფლებაც დაირღვა, აქვს შესაძლებლობა, მოითხოვოს თავისი უფლების იძულებით განხორციელება ან დაგვა. ამავე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, ხანდაზმულობის საერთო ვადა შეადგენს ათ წელს. იმისათვის, რომ დავადგინოთ მოსარჩელის მოთხოვნა ხანდაზმულია თუ არა, პირველ რიგში საჭიროა, განისაზღვროს არსებული ვადის დენის დასაწყისი. სამოქალაქო კოდექსის 130-ე მუხლი ასეთად მოთხოვნის წარმოშობის მომენტს ასახელებს, ანუ იმ მომენტს, როცა პირმა შეიტყო, ან უნდა შეეცყო უფლების დარღვევის შესახებ. სააპელაციო პალატის მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებადაა მიჩნეული, რომ კასატორმა სახლის აღდგენა დაიწყო 1999 წელს, ხოლო დაასრულა 2000 წელს. ამდენად, ჩნდება კითხვა, როდის წარმოეშვა ა. ჯ-ს მოთხოვნა, სახლის აღდგენითი სამუშაოების



დაწყებისას თუ დასრულებისას. ხანდაზმულობის დენის დაწყების, მოთხოვნის წარმოშობის, მომენტად სახლის აღდგენითი სამუშაოების დასრულების დრო – 2000 წელი უნდა მივიჩნიოთ, რადგან კასატორი, რომელსაც სრული ინფორმაცია სახლის აღდგენაზე გაწეული ხარჯების შესახებ არ ჰქონდა, მოპასუხეებს სახლის მშენებლობის დასრულებამდე დაზუსტებულ მოთხოვნას ვერ წარუდგენდა.

მოცემულ შემთხვევაში მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ გასაჩივრებული განჩინებით სახლზე აღდგენითი სამუშაოების დასრულების ზუსტი თარიღი (თვე და რიცხვი) ვერ დგინდება. სამოქალაქო კოდექსის 122-ე მუხლის თანახმად, თუ ვადის დასაწყისად აღებულია ესა თუ ის მოვლენა, მაშინ ვადის გამოთვლისას არ მიეთვლება ის დღე, რომელშიც დგება ეს მოვლენა. სამოქალაქო კოდექსი არ არეულირებს იმ შემთხვევას, როდესაც რაიმე მოვლენის დადგომის მომენტად განსაზღვრულია არა კონკრეტული დღე, არამედ ზოგადად – წელი. ასეთ შემთხვევაში აუცილებელია, მივმართოთ სამოქალაქო კოდექსის მე-5 მუხლის 1-ელი ნაწილით გათვალისწინებულ კანონის ანალოგიის პრინციპს და, შესაბამისად, სწორედ სამოქალაქო კოდექსის 122-ე მუხლი გამოვიყენოთ წლებით დადგენილი ხანდაზმულობის ვადის დენის დაწყების მომენტის განსაზღვრად, რადგან იგი ყველაზე უფრო მსგავსი ურთიერთობის მარეგულირებელი ნორმაა და, ამასთანავე, კანონი პირდაპირ არ გვაწვდის განსახილველი შემთხვევის მომწესრიგებელ კონკრეტულ ქვევის წესს. აქედან გამომდინარე, სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული 10-წლიანი ხანდაზმულობის საერთო ვადის დენა უნდა დაიწყოს 2000 წლის დასრულების შემდგომი დღიდან, ანუ 2001 წლის პირველი იანვრიდან. ვინაიდან, ზემოთქმული მსჯელობიდან გამომდინარე, მოვლენის, რომელიც ზოგადად 2000 წელს დადგა, დაწყებისა და დასრულების პერიოდად უნდა მივიჩნიოთ განსახილველი წლის დაწყებისა და დასრულების მომენტი, ამიტომ სწორედ ამ უკანასკნელიდან, ანუ 2000 წლის ბოლო დღის შემდგომი დღიდან დაიწყება ხანდაზმულების ვადის დენის ათვლა.

სამოქალაქო კოდექსის 123-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ვადა, რომელიც განსაზღვრულია კვირების, თვეების ან რამდენიმე თვის შემცველი დროით – წლით, ნახევარი წლით, კვარტლით, – მთავრდება ბოლო კვირის ან ბოლო თვის იმ დღის დამთარებისთანავე, რომელიც შეესაბამება მოვლენის დადგომის დღეს ან დღის ზემოაღნიშნულ დროს. მოცემულ მუხლსა და სამოქალაქო კოდექსის მე-5 მუხლის პირველ ნაწილზე დაყრდნობით, საკასაციო პალატა განმარტავს, რომ წლებით გამოსათვლელი ვადის დენის დასასრულის მომენტის დასადგენად უნდა ვიხელმძღვანელოთ კანონის ანალოგიის პრინციპით, რადგან მოცემული ურთიერთობის მომწესრიგებელ კონკრეტულ ნორმას სამოქალაქო კოდექსი არ იცნობს, ამასთანავე მოცემული კოდექსით რეგულირებულია ყველაზე უფრო მსგავსი ურთიერთობა, კერძოდ, ის, თუ რა მიიჩნევა თვეებით გამოსათვლელი ვადის დასრულების მომენტად. აქედან გამომდინარე, პალატა ადგენს, რომ იმ ათწლიანი ვადის დენა, რომელიც დაიწყო 2001 წლის პირველ იანვარს, დასრულდება 2011 წლის იმავე თვის იმავე რიცხვში.

ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ა. ჯ-ს ჰქონდა შესაძლებლობა თავისი სადავო გამხდარი თუ დარღვეული უფლების სასამართლო წესით დაცვა რეალურად განეხორციელებინა 2011 წლის პირველ იანვრამდე. მოსარჩელემ მოპასუხეების მიმართ სარჩელი აღძრა 2010 წლის 2 სექტემბერს. შესაბამისად, საკასაციო პალატა იზიარებს რა კასატორის მოსაზრებას, ადგენს, რომ ა. ჯ-ის სასარჩელო მოთხოვნა არ იყო ხანდაზმული და მოთხოვნის ფაქტობრივი საფუძვლების კანონიერება სასამართლოს უნდა შეემოწმებინა.

კასატორის მითითებით, იგი წარმოადგენს მოცემული სახლის ერთადერთ მესაკუთრეს, ვინაიდან დანარჩენი თანამესაკუთრეებისგან მან 1999 წელს მოახდინა წილის გამოსყიდვა, რაც დასტურდება მათ მიერ გაცემული ხელწერილებით. საკასაციო პალატა ვერ დაეთანხმება კასატორის აღნიშნულ მოსაზრებას, რადგან სამოქალაქო კოდექსის 1999 წელს მოქმედი რედაქციის მიხედვით უძრავ ნივთზე საკუთრების უფლების გადასაცემად საჭირო იყო მხარეთა შორის არა მარტო წერილობითი შეთანხმების არსებობა და მისი საჯარო რეესტრში რეგისტრაცია, არამედ რთული წერილობითი ფორმის დაცვა, რაც მხარეებს არ განუხორციელებიათ, შესაბამისად, საკასაციო პალატა ხელმძღვანელობს რა სამოქალაქო კოდექსის 59-ე მუხლის პირველი ნაწილით, მიიჩნევს, რომ თანამესაკუთრებს მათ მიერ გაცემული ხელწერილებით ა. ჯ-ისათვის არ დაუთმიათ თავიანთი წილები, თუმცა, ხელწერილებიდან გამომდინარე, უშვებდა რა სამართლებრივ შეცდომას, კასატორს შეექმნა რწმენა იმისა, რომ იგი სადავო სახლის ერთადერთი მესაკუთრე იყო, რის გამოც გასწია მნიშვნელოვანი ხარჯი, ფაქტობრივად, დანგრეული სახლის აღსადგენად.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სამოქალაქო კოდექსის მე-3 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ყოველი ადამიანი მიიჩნევა კანონის მცოდნედ, წინააღმდეგ შემთხვევაში წარმოუდგენელი ხდება, განისაზღვროს ჩარჩოები, რომლებშიც კანონის არცოდნა საპატიოდ ჩაითვლებოდა. შესაბამისად, მთლიანად მხარეზეა გადატანილი არასწორი სამართლებრივი შეფასების რისკი, მით უმეტეს განსახილველ შემთხვევაში, რადგან უძრავ ნივთზე საკუთრების უფლებაზე მსჯელობისას ვარაუდების დაშვება შეუძლებელია: არსებული პირდაპირ ვლინდება საჯარო რეესტრისა თუ ტექნიკური ინვენტარიზაციის ბიუროს ჩანაწერებიდან, აქედან გამომდინარე, მიიჩნევა, რომ ჯ-ი მოქმედებდა უხეში გაუფრთხილებლობის ფარგლებში, ანუ იგი თავისი ქმედებით არღვევდა აუცილებელი ყურადღებანიანობის მოთხოვნებს უჩვეულოდ მაღალი ხარისხით, რის გამოც მის მიერ დაშვებულ სამართლებრივ შეცდომას საპატიოდ ვერ მივიჩნევთ. შესაბამისად, პალატა ვერ გაიზიარებს კასატორის მითითებას იმასთან დაკავშირებით, რომ ხანდაზმულობის ვადის დენა უნდა დაწყებულიყო არა 1999 ან 2000 წელს, არამედ 2010 წელს, როდესაც თანამესაკუთრეები თვითნებურად შეიჭრნენ აღდგენილ სახლში. ამასთან დაკავშირებით პალატა განმარტავს, რომ კასატორმა დაუშვა არასაპატიო სამართლებრივი შეცდომა, შესაბამისად, ხანდაზმულობის ვადის დენის დასაწყისად უნდა მივიჩნიოთ არა ის მომენტი, როდესაც მან, თავისივე უხეში გაუფრთხილებლობის გამო, შეიტყო მოთხოვნის უფლების წარმოშობის შესახებ, არამედ ის მომენტი, როდესაც მას ამის შესახებ უნდა შეეტყო, ანუ, როგორც ზემოთ აღინიშნა, 2001 წლის პირველი იანვარი – სხვის ქონებაზე ხარჯის გაწევის დრო.

კასატორი არ ეთანხმება დავის სამართლებრივ შეფასებას და უთითებს, რომ მოცემული დავის გადაწყვეტისას სასამართლოს უნდა ეხელმძღვანელოს არა საზიარო უფლებების მომწესრიგებელი, არამედ უსაფუძვლო გამდიდრების მარეგულირებელი ნორმებით.

საკასაციო პალატა საქმის ფაქტობრივი გარემოებებისა და წარმოდგენილი მტკიცებულებების შეფასების შედეგად მიიჩნევს, რომ მოცემული დავა უნდა გადაწყდეს საზიარო უფლებების მარეგულირებელი ნორმების საფუძველზე, შემდეგ გარემოებათა გამო: სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებათა მიჩნეული ის, რომ სადავო სახლის თანამესაკუთრეებს დღეის მდგომარეობით წარმოადგენენ ა. ჯ-ი, ნ. ბ-ი, ა.ჯ-ე, ნ. გ-ე და ნ. გ-ე, რაც დასტურდება ტექნიკური ინვენტარიზაციის ბიუროს ჩანაწერებით. შესაბამისად, სამოქალაქო კოდექსის 953-ე, 173-ე მუხლებიდან გამომდინარე, კურორტ ბახმაროში, ...ის ქუჩა 141-ში მდებარე საცხოვრებელ სახლზე ვრცელდება თანამესაკუთრების უფლება.

საკასაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებად იქნა მიჩნეული ის, რომ დანგრეული სახლი აღადგინა კასატორმა საკუთარი ხარჯებით, დანარჩენი თანამესაკუთრეთაგან დამოუკიდებლად. შესაბამისად, ჩნდება ვარაუდი იმისა, რომ ა. ჯ-ს უსაფუძვლო გამდიდრების მარეგულირებელი ნორმებიდან გამომდინარე, აქვს შესაძლებლობა, მოითხოვოს გაწეული დანახარჯების ანაზღაურება. აღნიშნულთან დაკავშირებით, პალატა განმარტავს, რომ მითითებული საფუძველით პირის მოთხოვნის დაკმაყოფილებისათვის სახეზე უნდა იყოს გარკვეული კუმულატიური წინაპირობები, კერძოდ: ა) მოპასუხე უნდა გამდიდრდეს; ბ) მოპასუხის გამდიდრება უნდა გამოიწვიოს მოსარჩელის ქმედებამ, – ქმედებასა და შედეგს შორის უნდა არსებობდეს მიზეზობრივი კავშირი; გ) მოპასუხის გამდიდრება, როგორც შედეგი, უნდა იყოს უკანონო, ანუ მას არ უნდა ჰქონდეს კანონისმიერი შესაძლებლობა, კომპენსაციის გარეშე მითვისოს აღნიშნული ქონება. რომელიმე ამ პირობის არარსებობა გამორიცხავს უსაფუძვლო გამდიდრების საფუძველზე პირის მოთხოვნის დაკმაყოფილებას, ამიტომ ცალ-ცალკე და ერთობლივად უნდა დადგინდეს თითოეული მათგანის არსებობა.

საკასაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებათა მიჩნეული, რომ 1999 წელს სადავო სახლი, დიდთოვლობის გამო, თითქმის სრულად დაინგრა, რის შემდეგაც 2000 წელს ა. ჯ-მა დამოუკიდებლად აღადგინა. აქედან გამომდინარე, ცხადია, რომ, არა სახლის აღდგენისკენ მიმართული კასატორის ქმედებები, სადავო სახლი ამჟამად კვლავაც დანგრეული იქნებოდა, შესაბამისად, ეჭვგარეშეა ისიც, რომ თანამესაკუთრებმა ა. ჯ-ის ამ ქმედებათა შედეგად ნახეს მნიშვნელოვანი სარგებელი, ანუ, ზემოთ დასახელებული მოპასუხის გამდიდრება და მიზეზობრივი კავშირის არსებობა მოსარჩელის ქმედებასა და მოპასუხის გამდიდრებას შორის უდავოდ არსებობს, თუმცა არსებული წინაპირობების არსებობა ჯერ კიდევ არ ნიშნავს კასატორის მოთხოვნის დაკმაყოფილების გარდაუვალობას, რადგან უსაფუძვლო გამდიდრება არის სუბსიდიარული ხასიათის მატარებელი, რაც ნიშნავს იმას, რომ მხარეთა შორის არ უნდა არსებობდეს სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილების სახელშეკრულებო ან სხვა კანონისმიერი საფუძველი. როგორც ზემოთ ითქვა, მხარეთა შორის რაიმე სახის სახელშეკრულებო ურთიერთობა არ წარმოშობილა, ასევე არ დგინდება არც უსაფუძვლო გამდიდრების ნორმებით მოთხოვნის კანონიერება და არც დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულება, თუმცა ა. ჯ-ის განმარტება ამ უკანასკნელის ნიშნებს შეიცავს, კერძოდ:

დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულება გულისხმობს ისეთ შემთხვევას, როდესაც შემსრულებელი სხვის საქმეებს წარმართავს ისე, რომ საამისოდ არც მოვალეობა გააჩნია და არც უფლებამოსილება. აღნიშნულთან დაკავშირებით, პირველ რიგში ხაზგასასმელია ის, რომ კასატორ ა. ჯ-ს ჰქონდა უფლებამოსილება, დანარჩენ თანამესაკუთრეთა ნებართვის გარეშეც აღედგინა სადავო სახლი, სამოქალაქო კოდექსის 956-ე მუხლის მე-2 ნაწილიდან გამომდინარე, შესაბამისად, ვერ მივიჩნევთ, რომ იგი იყო არაუფლებამოსილი პირი და ასრულებდა «სხვის» საქმეებს, თუმცა ობიექტურად ეს ასეც რომ ყოფილიყო ამ თავის წესებს მაინც ვერ გამოვიყენებდით მოცემული დავის გადაწყვეტისას, რადგან, სუბიექტურად, ა. ჯ-ი (იხ. ა.ჯ-ის განმარტება) მოქმედებდა რწმენით, რომ იგი ასრულებდა თავის და არა სხვის საქმეს, რაც, სამოქალაქო კოდექსის 975-ე მუხლიდან გამომდინარე, გამორიცხავს 969-ე-974-ე მუხლების გამოყენების შესაძლებლობას განსახილველ დავაზე მსჯელობისას.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, დგინდება, რომ კასატორს არ ჰქონდა სახელშეკრულებო ან სხვა კანონისმიერი საფუძველი, რომელზე დაყრდნობითაც მოითხოვდა თავის მიერ გაწეული ხარჯების ანაზღაურებას, ამდენად, მოცემული დავის რეგულაცია საზიარო უფლებების მომწესრიგებელი ნორმებით უნდა განხორციელდეს, ვინაიდან, მოდავე მხარეთა შორის ურთიერთობა სწორედ ამ საფუძველით წარმოიშვა. სამოქალაქო კოდექსის 953-ე მუხლის თანახმად, თუ უფლება რამდენიმე პირს ერთობლივად ეკუთვნის, მაშინ გამოიყენება ამ თავის წესები, თუკი კანონიდან სხვა რამ არ გამომდინარეობს. ამავე კოდექსის 956-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, თითოეულ მოწილეს უფლება აქვს, საგნის შენახვისათვის საჭირო ღონისძიებები განახორციელოს სხვა მოწილეთა თანხმობის გარეშეც, ხოლო 960-ე მუხლის თანახმად თითოეული მოწილე სხვა მოწილეთა მიმართ ვალდებულია, თავისი წილის თანაზომიერად იკისროს საზიარო საგანთან დაკავშირებული ხარჯები. სამოქალაქო კოდექსის 463-ე მუხლის თანახმად, თუ რამდენიმე პირს ევალება ვალდებულების შესრულება, თითოეულმა უნდა მიიღოს მონაწილეობა მთლიანი ვალდებულების შესრულებაში (სოლიდარული ვალდებულება), ხოლო კრედიტორს აქვს შესრულების მხოლოდ ერთჯერადი მოთხოვნის უფლება, მაშინ ისინი წარმოადგენენ სოლიდარულ მოვალეებს. ამავე კოდექსის 464-ე მუხლის თანახმად, სოლიდარული ვალდებულება წარმოიშობა ხელშეკრულებით, კანონით ან ვალდებულების საგნის განუყოფლობით. სამოქალაქო კოდექსის 473-ე მუხლის თანახმად, მოვალეს, რომელმაც სოლიდარული ვალდებულება შეასრულა, აქვს უკუმოთხოვნის უფლება დანარჩენ მოვალეთა მიმართ წილთა თანაზომის კვალობაზე, ოღონდ თავისი წილის გამოკლებით, თუკი ხელშეკრულებით ან კანონით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

აღნიშნული ნორმების ანალიზით უნდა დავასკვნათ, რომ სხვა მოწილეთა თანხმობის გარეშე საგნის შენახვისათვის საჭირო ღონისძიებების განხორციელებას და გაწეული ხარჯების ანაზღაურებას კანონის ზემოაღნიშნული ნორმები ითვალისწინებს, ამდენად, ა. ჯ-ის მოთხოვნა გაწეული ხარჯების ანაზღაურების თაობაზე კანონიერია და უნდა დაკმაყოფილდეს, ვინაიდან მოცემულ საქმეზე დადგენილად არის ცნობილი, რომ ა. ჯ-მა საზიარო სახლის მოვლა-პატრონობა და შენახვისათვის საჭირო ღონისძიებები განხორციელა დამოუკიდებლად.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო მოკლებულია შესაძლებლობას დაადგინოს ფაქტები გაწეული ხარჯების ოდენობისა და მისი მოპასუხეებისათვის მათი წილის შესაბამისად გადანაწილების ფაქტების კანონიერება, რაც გასაჩივრებელი განჩინების გაუქმებისა და საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველია.

საქმის ხელახლა განმხილველმა სასამართლომ უნდა დაადგინოს გაწეული ხარჯების ოდენობა და მათი განაწილების წესი.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

#### **და ა დ გ ი ნ ა:**

ა. ჯ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.

გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 4 მარტის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

### **დელიქტური ვალდებულებანი**

#### **ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადა**

#### **განჩინება**

1ას-1046-1314-09

27 მაისი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე),  
თ. თოდრია (მომხსენებელი),  
ლ. ლაზარაშვილი

**დავის საგანი:** ზიანის ანაზღაურება

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

ნ. ბ-ავამ სარჩელით მიმართა ზუგდიდის რაიონულ სასამართლოს მ. შ-იას მიმართ და მოითხოვა დანაშაულით მიყენებული ზიანის ანაზღაურება. მან მიუთითა, რომ მოპასუხეს, სისხლის სამართლის საქმეზე, სადაც დაზარალებულად იყო ცნობილი მოსარჩელე, ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 11 აპრილის განაჩენით მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 10 წლით. ნ. ბ-ავას სამოქალაქო სარჩელი დატოვებულ იქნა განუხილველად და მოსარჩელეს განემარტა, რომ უფლება აქვს, სარჩელი წარადგინოს სამოქალაქო წესით. აღნიშნულ საქმეზე ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 23 აპრილის განაჩენით ნაწილობრივ შეიცვალა კვალიფიკაცია და სასჯელი, მ. შ-იას მიესაჯა 5 წლით თავისუფლების აღკვეთა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2008 წლის 21 ნოემბრის განჩინებით ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს დასახელებულ განაჩენზე საკასაციო საჩივარი არ იქნა დაშვებული განსახილველად.

მოსარჩელემ მიუთითა, რომ, როგორც რაიონული, ისე სააპელაციო სასამართლოს განაჩენებით დადასტურებულია მ. შ-იას მიმართ წარდგენილი ბრალდება ნ. ბ-ავას ბინის თაღლითურად დაუფლების ნაწილში.

მითითებული განაჩენებით დადგენილია, რომ მ. შ-იამ თაღლითური გზით, მართლსაწინააღმდეგოდ, მისაკუთრა ნ. ბ-ავას კუთვნილი 9450 ლარად ღირებული საცხოვრებელი ბინა და დარჩენილი 3420 ლარად ღირებული სხვადასხვა დასახელების ნივთები. 2001 წლის 15 ოქტომბერს იძულებით აუქციონზე გაიყიდა 9460 ლარად შეფასებული ნ. ბ-ავას კუთვნილი ბინა, რაც 6622 ლარად შეიძინა მ. შ-იამ, მასვე გადაეცა შესაბამისი განკარგულება აუქციონზე შეძენილ ქონებაზე უფლებამოსილების შესახებ.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ მას ამჟამად არ გააჩნია თავშესაფარი, ცხოვრობს ნათესავების სახლში, დარჩენილი უსახსროდ და უსახლკაროდ და მოითხოვა მ. შ-იას დანაშაულებრივი ქმედებით მიყენებული ზიანის ანაზღაურება – მოპასუხის უკანონოდ დაუფლებული მოსარჩელის ქ. ზუგდიდში, ... ქ. 133-ში მდებარე საცხოვრებელი ბინის

დაბრუნების მიზნით 2001 წლის 15 ოქტომბრის იძულებითი აუქციონის შედეგების ბათილად ცნობა და მოპასუხისათვის 3420 ლარის დაკისრება.

მოპასუხე მ. შ-იამ სარჩელი არ ცნო და მიუთითა, რომ სარჩელი უსაფუძვლოა და ხანდაზმული. მოპასუხემ მიუთითა, რომ მოცემულ შემთხვევაში ხანდაზმულობის ვადის განსაზღვრისათვის გამოყენებულ უნდა იქნეს სამოქალაქო კოდექსის 84-ე მუხლი.

ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 12 თებერვლის გადაწყვეტილებით ნ. ბ-ავას სარჩელი დაკმაყოფილდა, გაუქმდა 2001 წლის 15 ოქტომბრის იძულებითი აუქციონის შედეგები და განკარგულება აუქციონზე შეძენილ ქონებაზე – ქ.ზუგდიდში, ... ქ. 133-ში მდებარე საცხოვრებელ ბინაზე შესაბამისი უფლებამოსილების მ. შ-ისათვის გადაცემის შესახებ. მ. შ-ის ნ. ბ-ავას სასარგებლოდ დაეკისრა 3420 ლარის გადახდა.

აღნიშნულ გადაწყვეტილებაზე სააპელაციო საჩივარი შეიტანა მ. შ-იამ.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 18 აგვისტოს განჩინებით მ. შ-ის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა. უცვლელად დარჩა ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 12 თებერვლის გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომლითაც მ. შ-ის ნ. ბ-ავას სასარგებლოდ დაეკისრა 3420 ლარის გადახდა.

სააპელაციო პალატამ დადასტურებულად ცნო, რომ მ. შ-ის, სისხლის სამართლის საქმეზე, სადაც დაზარალებულად იყო ცნობილი ნ. ბ-ავა, ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 11 აპრილის განაჩენით მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 10 წლის ვადით. აღნიშნულ საქმეზე ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 23 აპრილის განაჩენით ნაწილობრივ შეიცვალა კვალიფიკაცია და სასჯელი, მ. შ-ის მიესაჯა 5 წლით თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2008 წლის 21 ნოემბრის განჩინებით ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს დასახელებულ განაჩენზე საკასაციო საჩივარი არ იქნა დაშვებული განსახილველად.

სააპელაციო პალატამ დადგენილად ცნო, რომ მ. შ-იამ თაღლითური გზით მართლსაწინააღმდეგოდ მისაკუთრა ნ. ბ-ავას კუთვნილი საცხოვრებელი ბინა, ღირებულებით 9450 ლარად და საცხოვრებელ ბინაში დარჩენილი 3420 ლარად ღირებულებით სხვადასხვა დასახელების ნივთები.

ასევე დადგენილად ცნო, რომ 2001 წლის 15 ოქტომბრის იძულებითი აუქციონზე გაიყიდა 9450 ლარად შეფასებული ნ. ბ-ავას კუთვნილი ბინა, რაც 6622 ლარად შეიძინა მ. შ-იამ, მასვე გადაეცა შესაბამისი განკარგულება აუქციონზე შეძენილ ქონებაზე უფლებამოსილების შესახებ.

სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 18 აგვისტოს განჩინებით სამოქალაქო საქმე '28\292-დან ცალკე წარმოებად გამოიყო მოსარჩელე ნ. ბ-ავას სასარჩელო მოთხოვნა აუქციონის შედეგების გაუქმებისა და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ზუგდიდის სამსახურის მიერ მ. შ-ის სახელზე გაცემული სარეგისტრაციო მოწმობის გაუქმების ნაწილში და განსჯადობის წესების დაცვით განსახილველად გადაეცა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას.

სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ სწორად მიუთითა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 106-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტზე, რომლის შესაბამისად დამტკიცებას არ საჭიროებენ ფაქტები იმის შესახებ, განხორციელდა თუ არა მოქმედება და ჩაიდინა თუ არა ეს მოქმედება ამ პირმა, რაც დადგენილია სისხლის სამართლის საქმეზე გამოტანილი, კანონიერ ძალაში შესული საბოლოო შემაჯამებელი გადაწყვეტილებით, როცა საქმეს იხილავს სასამართლო იმ პირის მოქმედების სამოქალაქო სამართლებრივი შედეგების შესახებ, რომლის მიმართაც გამოტანილია საბოლოო შემაჯამებელი გადაწყვეტილება.

სააპელაციო პალატამ განმარტა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1008-ე, 992-ე, 408-ე და 412-ე მუხლები.

სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა აპელანტის მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ განაჩენით დადგენილი თაღლითობის ბრალდება (სსსკ-ის 180-ე მუხლი) თავისი შინაარსითა და განმარტებით სამოქალაქო წარმოებაში იგივედება საცილო გარიგებასთან, კერძოდ კი, მოტყუებით დადებულ გარიგებასთან (სკ-ის 81-ე-84-ე მუხლები). საცილო გარიგება კი არ წარმოადგენს დელიქტს და ასეთი გარიგებისათვის დადგენილია ერთწლიანი შეცილების ვადა. ნ. ბ-ავამ კი სარჩელი სასამართლოში შეიტანა განაჩენის გამოტანიდან (2007 წლის 11 აპრილიდან) აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ (2008 წლის 21 დეკემბრამდე). სამართლებრივ საფუძვლად მითითებულია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლზე.

აღნიშნულ განჩინებაზე საკასაციო საჩივარი შეიტანა მ. შ-იამ. მან მიუთითა, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 113-ე მუხლი მოსამართლეს აძლევს უფლებას თავისი შინაგანი რწმენით გადაწყვიტოს სხვა სასამართლოს კანონიერ ძალაში შესულ გადაწყვეტილებას მიანიჭოს თუ არა პრეიუდიციული ძალა. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 106-ე მუხლის თანახმად, მხარეები თავისუფლდებიან იმ ფაქტების დამადასტურებელი მტკიცებულებათა წარმოდგენიდან თუ მხარის მიერ ჩადენილი ქმედება დადგენილია ძალაში შესული განაჩენით, როცა სასამართლო საქმეს იხილავს ამ პირის ქმედების სამოქალაქო სამართლებრივი შედეგების შესახებ. სისხლის სამართლის საქმეზე მისი ბრალდების მიმართ გამოტანილ გამამტყუნებელ განაჩენს ვერ ექნება პრეიუდიციული ძალა და მნიშვნელობა სამოქალაქო საქმეზე, ვინაიდან განაჩენით განსაზღვრული და სარჩელით მოთხოვნილი ზიანის ოდენობა 3420 ლარი დაუსაბუთებელია.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ განიხილა საქმის მასალები, საკასაციო საჩივარი, შეამოწმა გასაჩივრებული განჩინების სამართლებრივი დასაბუთებულობა და მიაჩნია, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო საჩივარში აღნიშნულია, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად გამოიყენა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 106-ე მუხლის «გ» ქვეპუნქტი. კასატორს მიაჩნია, რომ სისხლის სამართლის საქმეზე

მის მიმართ გამოტანილი გამამტყუნებელ განაჩენს არ შეიძლება ჰქონდეს პრეიუდიციული მნიშვნელობა სამოქალაქო წესით განსახილველ საქმეზე, ვინაიდან განაჩენით განსაზღვრულ და სარჩელით მოთხოვნილი ზიანის ოდენობა – **3420** ლარი დაუსაბუთებელია.

საკასაციო პალატა არ იზიარებს კასატორის ზემოაღნიშნულ მოსაზრებას და განმარტავს, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილია, რაც არ იწვევს მხარეთა შორის დავას, რომ ზუგდიდის რაიონული სასამართლოს **2007** წლის **11** აპრილის განაჩენით მ. შ-იას მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა **10** წლის ვადით. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს **2008** წლის **23** აპრილის განაჩენით ნაწილობრივ შეიცვალა კვალიფიკაცია და სასჯელი. მ. შ-იას მიესაჯა **5** წლის თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს უზენაესი სასამართლოს **2008** წლის **21** ნოემბრის განჩინებით ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს **2008** წლის **21** აპრილის განაჩენზე საკასაციო საჩივარი არ იქნა დაშვებული განსახილველად.

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ კონკრეტულ საქმეში სადავო **3420** ლარის ღირებულების სხვადასხვა დასახელების ნივთები, რომელიც დარჩენილი იყო ნ. ბ-ავას კუთვნილ ბინაში, თაღლითური გზით, მართლსაწინააღმდეგოდ, მისაკუთრა მ. შ-იამ.

საკასაციო პალატა თვლის, რომ სააპელაციო სასამართლომ სწორად გამოიყენა და განმარტა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის **106**-ე მუხლის «გ» ქვეპუნქტი. ამასთან მიმართებაში საკასაციო პალატა დამატებით განმარტავს, რომ, განსახილველი ნორმის თანახმად, მხარეები თავისუფლდებიან მტკიცებულებათა წარმოდგენისაგან იმ ფაქტების შესახებ, განხორციელდა თუ არა მოქმედება და ჩაიდინა თუ არა ეს მოქმედება იმ პირმა, რაც დადგენილია სისხლის სამართლის საქმეზე გამოტანილი, კანონიერ ძალაში შესული საბოლოო შემაჯამებელი გადაწყვეტილებით, როცა საქმეს იხილავს სასამართლო იმ პირის მოქმედების სამოქალაქო სამართლებრივი შედეგების შესახებ, რომლის მიმართაც გამოტანილია საბოლოო შემაჯამებელი გადაწყვეტილება.

ზემოაღნიშნული ნორმის შინაარსის გარკვევას გააჩნია დიდი მნიშვნელობა, რომელიც მიუთითებს იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტებსა და მათ პრეიუდიციულ მნიშვნელობაზე, კერძოდ, იურიდიულად მნიშვნელოვანი ფაქტობრივი გარემოებები, რომლითაც განსაზღვრულია მხარეთა მატერიალურ-სამართლებრივი ურთიერთობით გათვალისწინებული უფლებები და ვალდებულებები, რაც საფუძველად დაედო გადაწყვეტილების გამოტანას.

ამ ფაქტების პრეიუდიციულ მნიშვნელობას განსაზღვრავს სისხლის სამართლის საქმეზე გამოტანილი, კანონიერ ძალაში შესული საბოლოო შემაჯამებელი გადაწყვეტილება, რომლითაც დადგენილია იმ პირის მოქმედების შედეგები, რაც წარმოადგენს სამოქალაქო სამართლებრივი განხილვის საგანს. ამდენად, განსახილველი ნორმის თანახმად, ფაქტების პრეიუდიციული მნიშვნელობის შემოწმების დროს მნიშვნელობა ენიჭება არა მარტო იმ პროცესუალურ-სამართლებრივ კრიტერიუმებს, რომლითაც განისაზღვრება კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების ფორმალური მოთხოვნები (სისხლის სამართლის საქმეზე გამოტანილი, კანონიერ ძალაში შესული საბოლოო შემაჯამებელი გადაწყვეტილებით დადგენილი სამოქალაქო-სამართლებრივი შედეგების შესახებ ფაქტები; გადაწყვეტილება იმ პირის მოქმედების თაობაზე რომელიც სამოქალაქო საქმეზე მონაწილეობს), არამედ ამ გადაწყვეტილებით დადგენილი ფაქტობრივი გარემოების შინაარსს (რომელი ფაქტობრივი გარემოებების საფუძველზეც იქნა მიღებული გადაწყვეტილება). აღნიშნული ფაქტობრივი გარემოებები და მათი სამართლებრივი შეფასების შინაარსი, რომლის საფუძველზეც იქნა მიღებული გადაწყვეტილება, ვლინდება გადაწყვეტილების არა სარეზოლუციო, არამედ სამოტივაციო ნაწილიდან, რომლითაც უნდა დგინდებოდეს სისხლის სამართლის საქმეზე გამოტანილი, კანონიერ ძალაში შესული საბოლოო შემაჯამებელი გადაწყვეტილების მიღებისათვის აუცილებელი ფაქტები, რომლებიც წარმოადგენენ სამოქალაქო სამართლებრივი განხილვის საგანს.

აღნიშნულის გათვალისწინებით საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს **2008** წლის **21** აპრილის კანონიერ ძალაში შესულ გამამტყუნებელ განაჩენზე (ამ განაჩენზე შეტანილი საკასაციო საჩივარი არ იყო დაშვებული საქართველოს უზენაესი სასამართლოს **2008** წლის **21** ნოემბრის განჩინებით), კერძოდ, გასათვალისწინებელია, რომ ნ. ბ-ავას სარჩელი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს **2008** წლის **21** აპრილის კანონიერ ძალაში შესულ გამამტყუნებელ განაჩენით დატოვებული იქნა განუხილველად და მას განემარტა, რომ მას უფლება ჰქონდა, სარჩელი წარედგინა სამოქალაქო სამართალწარმოების წესით, ამდენად, ნ. ბ-ავა წარმოადგენს იმ პირს, ვის მიმართ მ. შ-იამ ჩაიდინა დანაშაული, რაც გამოიხატა ამ უკანასკნელის მიერ ნ. ბ-ავას კუთვნილი, **3420** ლარის ღირებულების სხვადასხვა დასახელების ნივთების თაღლითური გზით მართლსაწინააღმდეგოდ მისაკუთრებაში.

საკასაციო პალატა თვლის, რომ გამამტყუნებელი განაჩენით დადგენილი სადავო **3420** ლარის ღირებულების სხვადასხვა დასახელების ნივთების მ. შ-იას მიერ თაღლითური გზით მართლსაწინააღმდეგოდ მისაკუთრების ფაქტი წარმოადგენს პრეიუდიციული მნიშვნელობის ფაქტს. ამდენად, გასათვალისწინებელია, რომ ზემოაღნიშნული გამამტყუნებელი განაჩენის მიღების ერთ-ერთ საფუძველს, რომლითაც განპირობებულ იქნა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს **2008** წლის **21** აპრილის განაჩენით მ. შ-იას მიმართ განსაზღვრული კვალიფიკაციისა და სასჯელის შეცვლა, არის ამ უკანასკნელის მიერ **3420** ლარის ღირებულების თაღლითური გზით მართლსაწინააღმდეგოდ მისაკუთრების ფაქტი (ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს **2008** წლის **21** აპრილის განაჩენის მე-12-13 გვ). ამდენად, აღნიშნული იურიდიული მნიშვნელობის ფაქტი წარმოადგენს გამამტყუნებელი განაჩენით დადგენილი შედეგის ერთ-ერთ მაკვალიფიცირებელ ელემენტს, რაც კონკრეტული სამოქალაქო დავის განხილვისას შეიძლება მიჩნეულ იქნეს პრეიუდიციული მნიშვნელობის ფაქტად.

ასევე კასატორი აღნიშნავს, რომ მის მიმართ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენით დადასტურებულია, რომ **4000** აშშ დოლარზე მასა და ნ. ბ-ავას შორის დადებული სესხის ხელშეკრულება მიჩნეულია მოტყუებით დადებულ ხელშეკრულებად, ამდენად კასატორი მიიჩნევს, რომ ამ ურთიერთობაზე უნდა გამოყენებულიყო არა დე-

ლიქტით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების ნორმები, არამედ საცილო გარიგებისათვის დადგენილი ნორმები და ხანდაზმულობის ვადები.

საკასაციო პალატა არ იზიარებს კასატორის აღნიშნულ მოსაზრებას და განმარტავს, რომ სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განსახილველი ურთიერთობა ეხება არა სესხის ხელშეკრულებიდან გამომდინარე უფლებავალდებულებებს, არამედ 3420 ლარის ღირებულების ნივთების მითვისების ფაქტს, ე.ი. დანაშაულებრივი ქმედებით მიყენებული ზიანის ანაზღაურებას. ამდენად, საკასაციო პალატა თვლის, რომ განსახილველ მოთხოვნაზე უნდა გავრცელდეს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1008-ე მუხლით გათვალისწინებული ხანდაზმულობის სამწლიანი ვადა, კერძოდ, განსახილველი ნორმის თანახმად, დელიქტით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების ხანდაზმულობის ვადა არის სამი წელი იმ მომენტიდან, როცა დაზარალებულმა შეიტყო ზიანის ან ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებული პირის შესახებ.

ამასთან ერთად საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს უდავო ფაქტობრივ გარემოებებზე, რომლის თანახმად საბოლოო შემაჯამებელი გადაწყვეტილება გამოტანილ იქნა 2008 წლის 21 ნოემბერს (საქართველოს უზენაესის სასამართლოს 2008 წლის 21 ნოემბრის განჩინება). აღნიშნული განჩინებით საბოლოოდ გაირკვა ზიანის ფაქტი, ასევე ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებული პირი, ხოლო სარჩელი სასამართლოში აღძრულ იქნა 2008 წლის 22 დეკემბერს, რაც ადასტურებს იმას, რომ მოთხოვნა არ არის ხანდაზმული.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება).

საკასაციო პალატა თვლის, რომ კასატორის მიერ წარმოდგენილი არ არის დასაბუთებული პრეტენზია. კონკრეტულ შემთხვევაში დასაშვებ და დასაბუთებულ პრეტენზიაში იგულისხმება მითითება იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაშვებული იყო სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს, რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება და სამართლებრივ-მატერიალური ნორმის არასწორად გამოყენება ან განმარტება.

კასატორი ვერ უთითებს ისეთ გარემოებებზე, რომლებიც კონკრეტული სადავო ურთიერთობის ზემოაღნიშნული თავისებურებებიდან გამომდინარე, გამორიცხავდა სასამართლოს მიერ დადგენილ გარემოებებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის თანახმად.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიიჩნევს, რომ არ არსებობს საკასაციო საჩივრების დაკმაყოფილების საფუძველი, რადგან, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ მითითებული კანონი არ დარღვეულა. სააპელაციო სასამართლოს მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებას საფუძველად არ უდევს კანონის დარღვევა.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

#### **და ა დ გ ი ნ ა:**

მ. შ-იას საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;  
უცვლელად დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 18 აგვისტოს განჩინება;  
საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

### **ხანძრის ჩაქრობის დროს წარმოშობილი ზიანის ანაზღაურება**

#### **განჩინება**

1ას-1041-1309-09

14 მაისი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე),  
თ. თოდრია (მომხსენებელი),  
ლ. ლაზარაშვილი

დავის საგანი: ზიანის ანაზღაურება

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

თბილისის ისანი-სამგორის რაიონულ სასამართლოს სარჩელით მიმართეს ვ. ბ-იანმა და ვ. ვ-ევმა მოპასუხე ა. მ-იანის მიმართ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით. მოსარჩელებმა აღნიშნეს, რომ ქ.თბილისში, ... ქ. 120-ში მდებარე საცხოვრებელი სადგომი საკუთრების უფლებით აღრიცხულია სამ მესაკუთრეზე – ვ. ბ-იანის, ვ. ვ-ევისა და ა. მ-იანის სახელზე.

2004 წლის 15 თებერვალს ა. მ-იანის სხვენში გაჩნდა ხანძარი, აგრეთვე, მოსარჩლეების ბინებში დაიწვა სახლის ჭერი და სახურავი, რომელიც ყველა მესაკუთრისათვის საერთოა. მოსარჩლეებმა მიუთითეს, რომ, ვინაიდან ხანძარი გაჩნდა მოპასუხის სხვენის ნაწილში მის მიერ ელექტრომეთურნობის დამონტაჟების წესების დარღვევის გამო, იგი ვალდებულია, აანაზღაუროს მოსარჩლეებისათვის მიყენებული ზიანი. მოსარჩლეებმა აღნიშნეს, რომ მოპასუხე არ იყო წინააღმდეგი, შეეკეთებინა ჭერი, სახურავი და კედლები, მაგრამ დანაპირები არ შეასრულა.

მოსარჩლეებმა მოითხოვეს, აუდიტორული დასკვნის შესაბამისად, მოპასუხეს ვ. ბ-იანის სასარგებლოდ დაეკისროს 9140 ლარის, ხოლო რ. ა-ოვის სასარგებლოდ – 10 110 ლარის გადახდა.

ქ. თბილისის ისანი-სამგორის რაიონული სასამართლოს 2004 წლის 24 მარტის განჩინებით, ვ. ბ-იანის მოთხოვნა დაკმაყოფილდა და, სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით, წინასწარ ყადაღა დაედო ქ.თბილისში, ... ქ. 120-ში მდებარე 14/26 საცხოვრებელ ფართს, რომელიც ტექნიკური აღრიცხვის სამსახურის მონაცემებით საკუთრების უფლებით ირიცხება ა. მ-იანის სახელზე.

ქ. თბილისის ისანი-სამგორის რაიონული სასამართლოს 2004 წლის 10 სექტემბრის განჩინებით შეჩერდა საქმის წარმოება, იმ საფუძველით, რომ მოცემულ საქმეზე დაინიშნა სასაქონლო ექსპერტიზა.

ქ. თბილისის ისანი-სამგორის რაიონული სასამართლოს 2005 წლის 4 თებერვლის განჩინებით განახლდა შეჩერებული საქმის წარმოება.

ქ. თბილისის ისანი-სამგორის რაიონული სასამართლოს 2005 წლის 7 თებერვლის გადაწყვეტილებით ვ. ბ-იანისა და ვ. ვ-ევის სარჩელი დაკმაყოფილდა, ა. მ-იანს დაეკისრა მიყენებული ზიანის ანაზღაურება ვ. ბ-იანის სასარგებლოდ 9140 ლარის, ხოლო ვ. ვ-ევის სასარგებლოდ 10110 ლარის გადახდა.

რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ა. მ-იანმა.

თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატის 2005 წლის 9 ივნისის განჩინებით ა. მ-იანის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, გაუქმდა ქ. თბილისის ისანი-სამგორის რაიონული სასამართლოს 2005 წლის 7 თებერვლის გადაწყვეტილება და საქმე განსახილველად დაუბრუნდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 3 დეკემბრის საოქმო განჩინებით შ. ა-ოვა ცნობილ იქნა ვ. ვ-ევის უფლებამონაცვლედ.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 6 იანვრის გადაწყვეტილებით ვ. ბ-იანისა და შ. ა-ოვას სარჩელი არ დაკმაყოფილდა, გაუქმდა თბილისის ისანი-სამგორის რაიონული სასამართლოს 2004 წლის 24 მარტის განჩინება სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ, რომლითაც დაკმაყოფილდა ვ. ბ-იანის მოთხოვნა და, სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით, წინასწარი ყადაღა დაედო ქ.თბილისში, ... ქ. 120-ში მდებარე 14/26 საცხოვრებელ ფართს, რომელიც ტექნიკური აღრიცხვის სამსახურის მონაცემებით საკუთრების უფლებით ირიცხება ა. მ-იანის სახელზე.

აღნიშნულ გადაწყვეტილებაზე სააპელაციო საჩივარი შეიტანეს ვ. ბ-იანმა და შ. ა-ოვამ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 1 აპრილის გადაწყვეტილებით ვ. ბ-იანისა და შ. ა-ოვას სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 6 იანვრის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება; შ. ა-ოვას სარჩელი არ დაკმაყოფილდა; ვ. ბ-იანის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; ა. მ-იანს ვ. ბ-იანის სასარგებლოდ დაეკისრა 4955 ლარის ანაზღაურება.

სააპელაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: 2004 წლის 23 მარტის მდგომარეობით თბილისში, ... ქ.120-ში მდებარე საცხოვრებელი სახლი აღრიცხული იყო ვ. ბ-იანის, ვ. ვ-ევისა და ა. მ-იანის საერთო საკუთრების უფლებით.

2004 წლის 15 თებერვალს ზემოაღნიშნული საცხოვრებელი სახლის სხვენში გაჩნდა ხანძარი და დაიწვა საერთო საკუთრებაში არსებული სახლის ჭერი და სახურავი. ხანძრის გაჩენის მიზეზია ელექტროსადენების გადატვირთვა და ელექტრომეთურნობის დამონტაჟების წესების დარღვევა.

სააპელაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია ასევე, რომ ხანძრის შედეგად რ. ა-ოვისათვის მიყენებული ზიანი განსაზღვრულია 10110 ლარით, ხოლო ვ. ბ-იანისათვის – 9140 ლარით.

სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ შ. ა-ოვი, ვ. ვ-ევისაგან შეძენილი ბინის მესაკუთრედ აღირიცხა 2005 წლის დეკემბერს, თუმცა აღნიშნულ ბინას ოჯახთან ერთად ფლობდა ხანძრის გაჩენის დროსაც.

სააპელაციო პალატის გადაწყვეტილებაზე საკასაციო საჩივარი შეიტანა შ. ა-ოვამ და ვ. ბ-იანმა. კასატორებმა მიუთითეს, რომ სააპელაციო პალატამ შ. ა-ოვას სარჩელის დაუკმაყოფილებლობის ერთ-ერთ საფუძველად მიუთითა, რომ თითქოსდა ის არ იყო უფლებამოსილი, მოეთხოვა უძრავი ნივთის დაზიანებისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება და ფაქტობრივად პალატამ უარყო მოცემულ საქმეზე დადგენილი უფლებამონაცვლეობა, კერძოდ, საქმეში არსებული თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 3 დეკემბრის საოქმო განჩინებით შ. ა-ოვა ცნობილ იქნა ვ. ვ-ევის უფლებამონაცვლედ. აღნიშნულ საოქმო განჩინებაზე მოწინააღმდეგე მხარეს არ უდავია და არ გაუსაჩივრებია, შესაბამისად, განჩინება უფლებამონაცვლედ შ. ა-ოვის ჩაბმის თაობაზე შევიდა კანონიერ ძალაში და სააპელაციო პალატას არ ჰქონდა არავითარი კანონიერი საფუძველი ეს განჩინება გაეხადა საეჭვოდ და მასში მითითებული ფაქტობრივ გარემოებებში შეეტანა რაიმე ცვლილება. სააპელაციო სასამართლომ დაუსაბუთებლად მიუთითა გადაწყვეტილებაში, რომ თითქოსდა საქმის მასალებით არ დასტურდებოდა ხანძრის შედეგად ა-ოვის საყოფაცხოვრებო და სხვა მოძრავი ნივთების დაზიანების ფაქტი, რაც არ არის სწორი, ვინაიდან საქმეში წარმოდგენილი აუდიტორული დასკვნის თანახმად, რომლის საწინააღმდეგო არგუმენტები არ წარმოუდგენია მოწინააღმდეგე მხარეს, დადგენილია, რომ ხანძრის შედეგად ა-ოვას მამინ მფლობელობაში, ხოლო დღეისათვის საკუთრებაში არსებულ ბინაში დაზიანდა როგორც საცხოვრებელი ფართი, სახურავი, ბინის

სხვა ნაწილი, ასევე ამავე ბინაში არსებული კასატორის კუთვნილი საყოფაცხოვრებო ნივთები, რომლის ჩამონათვალიც თან ერთვის აუდიტორულ დასკვნას.

#### სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ განიხილა საქმის მასალები, გაეცნო საკასაციო საჩივარს და თვლის, რომ ვ. ბ-იანის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო ჟ. ა-ოვას საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 1 აპრილის გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომლითაც ჟ. ა-ოვას უარი ეთქვა დამწვარი ჭერისა და ჩამოღვრილი წყლით დაზიანებული კედლების ანაზღაურებაზე და საქმე ამ ნაწილში ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს, დანარჩენ ნაწილში გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩეს უცვლელად შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატა მხედველობაში იღებს სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს, კერძოდ, დადგენილია, რომ საქმეში არსებული მტკიცებულებების (ხანძრის შესახებ აქტის, შემთხვევის ადგილის დათვალიერების შესახებ ოქმის, სპეციალისტის დასკვნისა და სისხლის სამართლის საქმის აღძვრაზე უარის თქმის შესახებ დადგენილების) ერთობლიობაში შეფასების შედეგად სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ 2004 წლის 15 თებერვალს, ... ქ. '20-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის სხვენში გაჩენილი ხანძარი გამოწვეულია ა. მ-იანის სახლის ელემენტარული სადენების გადატვირთვისას, მათი არასწორი დამონტაჟებითა და ექსპლუატაციით, რის შედეგადაც, მეზობლების ბინებში დაიწვა ჭერი და, დაღვრილი წყლის გამო, დაზიანდა კედლები. აქედან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ არსებობს ა. მ-იანისათვის სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრების პირობები.

საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ სწორად განმარტა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1001-ე მუხლის, რომლის თანახმად, ხანძრის ჩაქრობის, მეზობელ ბინებსა და ნაგებობებზე მისი გავრცელების თავიდან აცილების დროს სხვა პირისათვის მიყენებული ზიანი უნდა ანაზღაუროს იმ პირმა, რომელსაც ბრალი მიუძღვის ხანძრის გაჩენაში. ამასთან ერთად სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ვ. ბ-იანის სარჩელი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო ჟ. ა-ოვას სარჩელის დაკმაყოფილებას უნდა ეთქვას უარი.

სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ ჟ. ა-ოვას სასარჩელო მოთხოვნა საფუძველს მოკლებულია, რადგან ხანძრის გაჩენის დროს ... ქ. '20-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის ის ნაწილი, რომელიც ამჟამად აღრიცხულია ჟ. ა-ოვას სახელზე, საკუთრების უფლებით აღრიცხული იყო ვ. ვ-ევის სახელზე, ხოლო ჟ. ა-ოვას სახელზე აღრიცხა 2005 წელს. ამდენად, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ჟ. ა-ოვა არ არის უფლებამოსილი, მოითხოვოს იმ უძრავი ნივთის დაზიანებისათვის ანაზღაურება, რომლის შესაქონრეც იგი არ იყო.

საკასაციო პალატა არ იზიარებს სააპელაციო სასამართლოს ზემოაღნიშნულ მოსაზრებას, კერძოდ, საკასაციო პალატა იზიარებს კასატორ ჟ. ა-ოვას პრეტენზიას და განმარტავს, რომ საქმეში წარმოდგენილია 2008 წლის 3 დეკემბრის საოქმო განჩინება, რომლის თანახმად მოსარჩელე ვ. ვ-ევის საპროცესო უფლებამონაცვლედ ცნობილ იქნა ჟ. ა-ოვა. ამასთან ერთად გასათვალისწინებელია სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოება, რომლის თანახმად ჟ. ა-ოვა ხანძრის გაჩენის დროს ფლობდა ხანძრის შედეგად დაზიანებულ ფართს, რომელიც ვ. ვ-ევისაგან შეისყიდა 2005 წლის დეკემბერში.

აღნიშნულთან მიმართებაში საკასაციო პალატა განმარტავს, რომ, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 92-ე მუხლის თანახმად, უფლებამონაცვლეობას საფუძველად უდევს სამართლებრივი ურთიერთობიდან ერთ-ერთი მხარის გასვლა, რაც მიუთითებს იმაზე, რომ საპროცესო უფლებამონაცვლეობა არ არსებობს მატერიალურ სამართალში უფლებამონაცვლეობის გარეშე. ამრიგად, თბილისის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 3 დეკემბრის საოქმო განჩინებით, რომელიც კონკრეტულ შემთხვევაში არ წარმოადგენს გასაჩივრების ობიექტს, დადგენილია, რომ ვ. ვ-ევის უფლებამონაცვლეა ჟ. ა-ოვა, რაც ნიშნავს ვ. ვ-ევისა და ა. მ-იანის შორის წარმოშობილი მატერიალურ-სამართლებრივი ურთიერთობაში უფლებამონაცვლეობას, ამასთან ერთად სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ჟ. ა-ოვას, როგორც ბინის მფლობელის, საყოფაცხოვრებო ნივთების დაზიანების ფაქტი არ დასტურდება.

ასევე ვ. ბ-იანის მოთხოვნის ის ნაწილი, რომელიც ეხებოდა იატაკისა და საყოფაცხოვრებო ნივთების დაზიანების ფაქტს, არ იქნა გაზიარებული. ამასთან ერთად ვ. ბ-იანის მოთხოვნის ნაწილში სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ შემთხვევის (ხანძრის) ადგილის დათვალიერების ოქმით დასტურდება ხანძრის შედეგად მხოლოდ ჭერის, ასევე, დაღვრილი წყლის გამო, კედლების დაზიანების ფაქტი, ხოლო იატაკისა და საყოფაცხოვრებო ნივთების დაზიანება, სასამართლომ მიიჩნია, რომ საქმის მასალებით არ დასტურდება.

საკასაციო პალატა იზიარებს სააპელაციო სასამართლოს ამ მოსაზრებას და განმარტავს, რომ შემთხვევის ადგილის დათვალიერების 2004 წლის 15 თებერვლის ოქმით დასტურდება, რომ ამავე დღეს ხანძრის შედეგად დაიწვა ჭერი და დაზიანდა კედლები დაღვრილი წყლის გამო. აღნიშნული ოქმით არ დგინდება სხვა ნივთების დაზიანების ფაქტი. ამდენად, არ შეიძლება გაზიარებულ იქნეს კასატორების მოსაზრება იმის შესახებ, რომ მის მიერ მითითებული აუდიტორული დასკვნით დასტურდება, სხვა დაზიანებული ნივთების ჩამონათვალი და მათი შეფასება. საკასაციო პალატა იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას იმის შესახებ, რომ კონკრეტული შემთხვევის გათვალისწინებით მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული მხოლოდ იმ ნივთების დაზიანების ფაქტი, რაც დასტურდება ხანძრის ჩაქრობის დღეს შედგენილ შემთხვევის (ხანძრის) ადგილის დათვალიერების ოქმით.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ ჟ. ა-ოვას საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, გასაჩივრებული გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს იმ ნაწილში, რომლითაც ჟ. ა-ოვას უარი ეთქვა დამწვარი ჭერისა და ჩამოღვრილი წყლით დაზიანებული კედლების ანაზღაურებაზე. საკასაციო პალატა თვლის, რომ ამ ნაწილში სააპელაციო სასამართლომ უნდა დაადგინოს ჟ. ა-ოვასათვის ხანძრის შედე-



გად მიყენებული ზიანის ფაქტის არსებობა, მისი ოდენობა და მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება. დანარჩენ ნაწილში გასაჩივრებული გადაწყვეტილება უნდა დარჩეს ძალაში.

**სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

**და ა დ გ ი ნ ა:**

- ვ. ბ-იანის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
- ჟ. ა-ოვას საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
- გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 1 აპრილის გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომლითაც ჟ. ა-ოვას უარი ეთქვა დამწვარი ჭერისა და ჩამოდვრილი წყლით დაზიანებული კედლების ნაწილში ზიანის ანაზღაურებაზე; დანარჩენ ნაწილში გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩეს უცვლელად;
- განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

**საწარმოო ტრავმის გამო დანიშნული სარჩოს გადახდევინება**

**განჩინება**

1ას-288-237-2010

21 ივნისი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ნ. კვანტალიანი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ლ. ლაზარაშვილი,  
ვ. როინიშვილი

**დავის საგანი:** სარჩოს დაკისრება

**აღწერილობითი ნაწილი:**

ბ. ს-მემ სარჩელი აღძრა სასამართლოში შპს «თ-ის» მიმართ მიუღებელი სარჩოს – 8076 ლარის ერთობლივად ანაზღაურების, 2009 წლის ივლისიდან ყოველთვიურად 330 ლარისა და საადვოკატო მომსახურების ხარჯების ანაზღაურების შესახებ შემდეგი საფუძვლებით: მოსარჩელე მუშაობდა მოპასუხე ორგანიზაციაში მესამე თანრიგის გვირაბმშენად. სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას ბ. ს-მემ მიიღო საწარმოო ტრავმა. წლების განმავლობაში მოსარჩელე მოპასუხისაგან იღებდა სარჩოს შრომითი დასახიჩრების გამო. 2006 წლის დეკემბერში მოპასუხემ მას სარჩოს გადახდა შეუწყვიტა, რითაც არღვევს მის კანონიერ ინტერესებს.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო შემდეგი დასაბუთებით: 2006 წლის ბოლოდან შპს «თ-მა» შეწყვიტა ყოველგვარი მშენებლობა დაუფინანსებლობის გამო, შესაბამისად, საზოგადოებას არ გააჩნია საპენსიო თანხების გაცემის შესაძლებლობა. მოპასუხე საზოგადოების წილთა 100%-ის მფლობელია სახელმწიფო, რის გამოც მოცემულ შემთხვევაში სათანადო მოპასუხეს წარმოადგენს სსიპ «ქონების მართვის სააგენტო».

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 2 სექტემბრის გადაწყვეტილებით ბ.ს-მის სარჩელი შპს «თ-ის» მიმართ ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, მოპასუხეს ბ. ს-მის სასარგებლოდ დაეკისრა 16 თვის მიუღებელი სარჩოს – 806,40 ლარის გადახდა, ასევე ადვოკატის მომსახურების ხარჯების ანაზღაურება.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება ბ. ს-მემ გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 9 დეკემბრის გადაწყვეტილებით ბ. ს-მის სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გასაჩივრებული გადაწყვეტილება მოპასუხისათვის ბ. ს-მის სასარგებლოდ 2009 წლის 1 ივნისიდან სარჩოს სახით ყოველთვიურად 50 ლარისა და 40 თეთრის გადახდის დაკისრების ნაწილში გაუქმდა და ამ ნაწილში მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც შპს «თ-ს» ბ. ს-მის სასარგებლოდ 2009 წლის 1 ივნისიდან დაეკისრა სარჩოს სახით ყოველთვიურად 70,40 ლარის გადახდა, დანარჩენ ნაწილში კი გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად შემდეგ გარემოებათა გამო: სააპელაციო სასამართლომ დაადგინა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებანი: შპს «თ-ის» 2006 წლის 15 ივნისის 123 ბრძანებით 2006 წლის 1 თებერვლიდან ყოფილ მესამე თანრიგის მიწისქვეშა გვირაბმშენ ბ. ს-მეს მუდმივად გაუგრძელდა პენსიასა და საშუალო ხელფასს შორის განსხვავების – ყოველთვიურად 50,40 ლარის გადახდა. სარჩელის წარდგენის მომენტში ბ. ს-მისათვის გაუცემელი სარჩოს დავალიანება შეადგენდა 16 თვეს. ამდენად, გასაჩივრებული გადაწყვეტილებით მოპასუხეს დაეკისრა მოსარჩელის სასარგებლოდ სარჩოს 16 თვის დავალიანების გადახდა 2006 წლის 15 ივნისის 123 ბრძანებით განსაზღვრული ოდენობით, სულ – 806,40 ლარის ფარგლებში და 2009 წლის 1 ივნისიდან, ანუ სარჩელის აღძვრის მომენტიდან ყოველთვიურად 50,40 ლარის ანაზღაურება. მოსარჩელემ გაზრდილი სარჩო მოითხოვა 2007 წლის მარტიდან. უდავოა, რომ მოსარჩელის მიერ დაკავებული ან იმავე თანრიგის თანამდებობა მოპასუხე საწარმოში წლებია არ არსებობს და არც 2006 წლის 15 ივნისის ბრძანების გამოცემის მომენტში არ არსებობდა. სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა აპელანტის მოსაზრება, რომ მოპასუხეს უნდა დაეკისროს მო-

სარჩელის სასარგებლოდ სარჩოს ანაზღაურება სხვა საწარმოში, კერძოდ, სს «ჰ-ში» მესამე თანრიგის გვირაბშენის საშუალო ხელფასის ოდენობის გათვალისწინებით, რადგან მოსარჩელე ზიანის ანაზღაურებას ითხოვს როგორც შპს «თ-ის» და არა როგორც სს «ჰ-ის» თანამშრომელი. სასამართლოს მოსაზრებით, აღნიშნული საწარმოები მეწარმე სუბიექტებია და მათ შეუძლიათ, დაადგინონ შრომის ანაზღაურების სრულიად განსხვავებული პირობები, შესაბამისად, ერთ საწარმოში კონკრეტული თანამდებობისათვის დანიშნული თუნდაც დიდი ოდენობის ხელფასი მეორე საწარმოში სარჩოს გამოანგარიშებისას მხედველობაში ვერ მიიღება. პალატამ დაადგინა, რომ შპს «თ-ს» შეეცვალა სახელწოდება და ეწოდა შპს «თ-ნი», შესაბამისი ცვლილება შევიდა სამეწარმეო რეესტრის მონაცემებშიც. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 9 დეკემბრის სხდომაზე აპელანტის მოწინააღმდეგე მხარის – შპს «თ-ის» უფლებამოსილმა წარმომადგენლებმა სარჩელი ნაწილობრივ, კერძოდ, 2009 წლის 1 ივნისიდან ყოველთვიურად დამატებით 20 ლარის, სულ – 70,40 ლარის მოპასუხისათვის დაკისრების ნაწილში ცნო. საქართველოს მთავრობის 2007 წლის 24 მარტის 153 დადგენილების პირველი მუხლის, შრომის კოდექსის 44-ე მუხლისა და სამოქალაქო კოდექსის 408-ე მუხლის საფუძველზე სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში უდავოა ის ფაქტობრივი გარემოება, რომ მოსარჩელის მიერ გაზრდილი ოდენობის სარჩოს დაკისრების მოთხოვნის მომენტიდან მოპასუხე საწარმოში იგივე ან იმავე თანრიგის თანამდებობა, რაზეც მოსარჩელე მუშაობდა აღარ არსებობდა. პალატის მითითებით, თითოეული საწარმო თავისი თანამშრომლების ხელფასის ოდენობას განსაზღვრავს თავისი ეკონომიკური მდგომარეობის გათვალისწინებით. ამდენად, ხელფასიდან გამოანგარიშებული სარჩოს ოდენობა სხვადასხვა საწარმოს მუშაკისათვის საწარმოო ტრავმით მიყენებული ზიანის ანაზღაურებისას სხვადასხვა იქნება. ამასთან, პალატამ აღნიშნა, რომ სამეწარმეო რეესტრის ამონაწერის თანახმად, შპს «თ-ის» ქონება ვადაგადაცილებული დავალიანების გამო დატვირთულია გირავნობით/იპოთეკით. სასამართლომ მიუთითა, რომ სადავო სარჩო საქართველოს პრეზიდენტის 1351 ბრძანებით (2006 წლის 12 დეკემბრის ცვლილებების გათვალისწინებით) დადგენილ მინიმალური ხელფასის ოდენობაზე (40 ლარზე) ნაკლები არ არის. ყოველივე აღნიშნულზე დაყრდნობით სააპელაციო პალატას მიიჩნია, რომ საქალაქო სასამართლომ მოპასუხეს შპს «თ-ის» 2006 წლის 15 ივნისის 123 ბრძანებით განსაზღვრული ოდენობის საფუძველზე სარჩო კანონიერად დააკისრა. სააპელაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 372-ე, მე-3 მუხლებით და ჩათვალა, რომ სარჩელის ცნობა წარმოადგენს დისპოზიციურობის პრინციპის კონკრეტულ გამოვლინებას, ანუ მოპასუხის მიერ თავისი მატერიალურ-სამართლებრივი უფლებების განკარგვის აქტს.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში ბ. ს-მემ გაასაჩივრა საკასაციო წესით, მოითხოვა გასაჩივრებულ ნაწილში მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის სრულად დაკმაყოფილება შემდეგი საფუძველებით: დაუსაბუთებელია სააპელაციო პალატის მსჯელობა, რომ ბ. ს-ძისათვის ასანაზღაურებელი სარჩოს ოდენობა მოპასუხე საწარმოს გარდა სხვა მსგავს ორგანიზაციაში არსებულ თანამდებობრივი სარგოს მიხედვით არ უნდა განისაზღვროს. სასამართლომ არ გაითვალისწინა, რომ კასატორმა შრომის უნარი მოწინააღმდეგე მხარის ბრალით დაკარგა და შპს «თ-ში» საწარმოო ტრავმის მიუღებლობის შემთხვევაში იგი შესძლებდა სამუშაო სხვა საწარმოში მოემუშაო, სადაც 70,40 ლარზე მეტ ანაზღაურებას მიიღებდა. სააპელაციო პალატამ არასწორად განმარტა სამოქალაქო კოდექსის 408-ე მუხლი, ვინაიდან მხედველობაში არ მიიღო, რომ მოცემულ შემთხვევაში ბ. ს-ძის მიმართ პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა შეუძლებელია, მას შრომის უნარი არ აღუდგება, რის გამოც იგი ვალდებულია, ანაზღაუროს შესაბამისი ზიანი. ამდენად, თუ კასატორი შრომის უნარს არ დაკარგავდა, ხოლო მოპასუხე საწარმოში მესამე თანრიგის გვირაბშენის თანამდებობა აღარ იარსებებდა, იგი ზემოხსენებულ თანამდებობაზე იმუშავებდა საქართველოში არსებულ სხვა საწარმოში, მათ შორის, სს «ჰ-ში». საფუძველს მოკლებულია სასამართლოს მოსაზრება, რომ სადავო სარჩოს ოდენობა სწორად განისაზღვრა, რადგან იგი საქართველოს პრეზიდენტის 1351 ბრძანებულებით გათვალისწინებულ ზღვრულ ოდენობას – 40 ლარს აღემატება. საქართველოს პრეზიდენტის აღნიშნული ბრძანებულებით ხელფასის მინიმალური ოდენობის დადგენა არ ნიშნავს, რომ ბ. ს-ძეს არა აქვს უფლება, მოითხოვოს სარჩოს სახით მიიღოს მის მიერ დაკავებული თანამდებობის შესაბამისი მოქმედი სამუშაო ადგილისათვის განსაზღვრული სარგოს გათვალისწინებით გამოანგარიშებული ოდენობის თანხა.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საკასაციო საჩივრის საფუძველების შესწავლისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ბ. ს-ძის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩეს უცვლელად შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლის პირველი ნაწილის «ა» და «ბ» ქვეპუნქტების თანახმად, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ კანონის მითითებულ დარღვევას არა აქვს ადგილი და სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას საფუძველად არ უდევს კანონის დარღვევა.

საკასაციო სასამართლო თვლის, რომ სააპელაციო პალატამ სწორი სამართლებრივი შეფასება მისცა დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს, კერძოდ:

მოცემულ საქმეზე უდავოდაა დადგენილი, რომ ბ. ს-ძემ შპს «თ-ში» (ამჟამად შპს «თ-ი») მესამე თანრიგის გვირაბშენად მუშაობისას მიიღო ტრავმა და 60%-ით მუდმივად დაკარგა შრომის უნარი, რის გამოც დაენიშნა ყოველთვიური სარჩო მის მიერ დაკავებული თანამდებობის სარგოს გათვალისწინებით.

2006 წლის 15 ივნისის 123 ბრძანებით ყოფილ მესამე თანრიგის გვირაბშენ ბ. ს-ძეს მუდმივად გაუგრძელდა პენსიასა და საშუალო ხელფასს შორის განსხვავების – ყოველთვიურად 2006 წლის 1 თებერვლიდან 50,40 ლარის გადახდა.

საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო პალატის დასაბუთებას და მიიჩნევს, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილებით ბ. ს-მეს მართებულად ეთქვა უარი სასარჩელო მოთხოვნის იმ ნაწილში დაკმაყოფილებაზე, რომელთაც მოსარჩელე მოითხოვდა მისთვის ყოველთვიური სარჩოს ოდენობის გამოანგარიშებას სს «ჰ-ში» არსებული გვირაბშენის თანამდებობრივ სარგოსთან მიმართებით, კერძოდ:

საქართველოს მთავრობის 2007 წლის 24 მარტის 153 დადგენილების პირველი მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საწარმოში, დაწესებულებაში და ორგანიზაციაში, ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მიუხედავად, შრომითი მოვალეობის შესრულებისას დასაქმებულის ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანი ანაზღაურდება ამ წესით, საქართველოს შრომის კოდექსითა და სამოქალაქო კოდექსით განსაზღვრულ შემთხვევებში.

საქართველოს შრომის კოდექსის 44-ე მუხლის მიხედვით, შრომითი ურთიერთობისას მხარის მიერ მეორე მხარისათვის მიყენებული ზიანი ანაზღაურდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ამდენად, ზემოხსენებული დადგენილებითა და შრომის კანონმდებლობით შრომითი მოვალეობის შესრულებისას დასაქმებული პირისათვის ზიანის ანაზღაურების წესი მოწესრიგდა იმდაგვარად, რომ სხეულის დაზიანებითა და ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენებით გამოწვეული ზიანი ანაზღაურდება არასახელშეკრულებო (დელიქტური) პასუხისმგებლობის ფორმით.

სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლის თანახმად, პირი, რომელიც სხვა პირს განზრახი ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიყენებს ზიანს, ვალდებულია აუნაზღაუროს მას ეს ზიანი. ამავე კოდექსის 408-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, იმ პირმა, რომელიც ვალდებულია აანაზღაუროს ზიანი, უნდა აღადგინოს ის მდგომარეობა, რომელიც იარსებებდა, რომ არ დამდგარიყო ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოება. ამავე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, თუ სხეულის დაზიანებით ან ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად დაზარალებულს წაერთვა შრომის უნარი ან შეუძლირდა იგი, ანდა იზრდება მისი მოთხოვნილებები, დაზარალებულს უნდა აუნაზღაურდეს ზიანი ყოველთვიური სარჩოს გადახდით.

კანონის ზემოხსენებული დანაწესიდან გამომდინარე, ზიანის მიმყენებელ პირს, კონკრეტულ შემთხვევაში – დამსაქმებელს ევალება ზიანის ანაზღაურების გზით ზიანის მიყენებამდე არსებული მდგომარეობის აღდგენა, რა მიზნითაც ბ.ს-მეს შრომის უნარის დაკარგვის საკომპენსაციოდ დაენიშნა ყოველთვიური სარჩო, თუმცა სააპელაციო სასამართლომ დაადგინა და კასატორს სადავოდ არ გაუხდია ის გარემოება, რომ მოსარჩელის მიერ სარჩოს ოდენობის გაზრდის მოთხოვნილი პერიოდისათვის შპს «თ-ში» გვირაბშენის თანამდებობა აღარ არსებობდა. შესაბამისად, მხარის არგუმენტი, პირვანდელი მდგომარეობის აღდგენის მიზნით, სარჩოს ოდენობის გაზრდის შესახებ საფუძველს მოკლებულია და გასაჩივრებული გადაწყვეტილებით სადავო ნაწილში მართებულად არ დაკმაყოფილდა.

სამართლებრივად დასაბუთებულია სააპელაციო სასამართლოს პოზიცია სადავო სარჩოს ოდენობის სს «ჰ-ში» არსებული გვირაბშენის თანამდებობრივი სარგოს საფუძველზე განსაზღვრის დაუშვებლობის თაობაზე. ყოველი საწარმო დასაქმებულთა ანაზღაურებას ადგენს თავისი ეკონომიკური შესაძლებლობების ფარგლებში და დაუშვებელია საწარმოსათვის მუშაკის სასარგებლოდ იმ ოდენობის სარჩოს დაკისრება, რაც სხვა – მეტი ან ნაკლები რესურსების მქონე დაწესებულების მიერაა განსაზღვრული. სარჩოს ოდენობის განსაზღვრისას სააპელაციო პალატამ მართებულად მიუთითა შპს «თბილმეტროშენში» შექმნილ ფინანსურ სიმძლეეზეც (შპს «თ-ის» ქონება ვადაგადაცილებული დავალიანებების არსებობის გამო დატვირთულია გირავნობა/იპოთეკით), რაც პირდაპირ გავლენას ახდენს სარჩოს ოდენობის განსაზღვრასა და მისი გადახდის რეალურობაზე.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 404-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, საკასაციო საჩივრის ფარგლებში შეამოწმა რა სააპელაციო პალატის გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერების საკითხი, მიაჩნია, რომ იგი უნდა დარჩეს უცვლელად, ხოლო საკასაციო საჩივარს უარი ეთქვას დაკმაყოფილებაზე.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

#### **და ა დ გ ი ნ ა:**

ბ. ს-მის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 9 დეკემბრის გადაწყვეტილება დარჩეს უცვლელად.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

### **სატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციის შედეგად დამდგარი ზიანის ანაზღაურება**

#### **განჩინება**

1ას-494-463-2010

9 ნოემბერი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ნ. კვანტალიანი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ლ. ლაზარაშვილი,

### პ. ქათამაძე

**დავის საგანი:** დანაშაულით მიყენებული მორალური და მატერიალური ზიანის ანაზღაურება

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

გ. მ-მემ სარჩელი აღძრა სასამართლოში ბ. ბ-შვილის მიმართ ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად მიყენებული მორალური ზიანის – 100000 ლარისა და მატერიალური ზიანის – მიუღებელი შემოსავლის ანაზღაურების შესახებ შემდეგი საფუძვლებით: 2003 წლის 24 იანვარს მომხდარი ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად, რაც დადასტურებულია საგამოძიებო მასალებით, მოსარჩელეს დაეჯახა ავტომანქანა, რომელსაც მოპასუხე მართავდა და გ. მ-მემ მიიღო სხეულის მძიმე დაზიანებები. აღნიშნულის გამო, მას დაუდგინდა პირველი ჯგუფის ინვალიდობა.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და განმარტა, რომ მოსარჩელის მიერ მიღებული დაზიანებები მისი ბრალით გამოწვეული არ არის, ამასთან, მან უკვე გადაუხადა გ. მ-მეს საკომპენსაციო თანხა და მოსარჩელემ წერილობით განაცხადა, რომ მის მიმართ პრეტენზია აღარ ექნებოდა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 3 ნოემბრის გადაწყვეტილებით გ. მ-მის სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რაც გ. მ-მემ გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 8 აპრილის განჩინებით გ. მ-მის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად შემდეგ გარემოებათა გამო: პალატამ აღნიშნა, რომ მოსარჩელის თავდაპირველ სასარჩელო მოთხოვნას წარმოადგენდა არაქონებრივი ზიანის ანაზღაურება 100 000 ლარის ოდენობით, საქმის მომზადების ეტაპზე მოსარჩელემ სარჩელის მოთხოვნა დააზუსტა და არაქონებრივ ზიანთან ერთად მოითხოვა მატერიალური ზიანის ანაზღაურებაც მიუღებელი ხელფასის სახით, რაც 2003 წლის 24 იანვრიდან 2009 წლის სექტემბრის ჩათვლით შეადგენდა 1724 ლარს. საქმეში წარმოდგენილი შპს „მ-ის“ 2009 წლის 2 თებერვლის 12 ცნობის თანახმად, პალატამ დაადგინა, რომ გ. მ-მე 1988 წლის 20 მაისიდან მუშაობს „ს-ში“ სამუშაოთა მწარმოებლად. 1996 წელს აღნიშნული საწარმო გარდაიქმნა შპს „მ-ად“. შრომის წიგნაკის მიხედვით, გ. მ-მე 1988 წლის 20 მაისიდან მუშაობს „ს-ში“, რომელიც 1996 წლის 31 ოქტომბერს გადაკეთდა შპს „მ-ად“. შრომის წიგნაკით გ. მ-მის სამუშაოდან განთავისუფლების თარიღი არ ფიქსირდება. პალატამ განმარტა, რომ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 და 102-ე მუხლების თანახმად, სასამართლო შებოჭილია არა მარტო მხარეთა სასარჩელო მოთხოვნებისა თუ შესაგებლის ფარგლებში, არამედ მხარეთა მითითებებით, თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძვლად მათ მოთხოვნებს ან რომელი მტკიცებულებებით უნდა იქნეს დადასტურებული ეს ფაქტები. მოცემულ შემთხვევაში აპელანტმა ვერ უზრუნველყო სამუშაოდან განთავისუფლების დამადასტურებელი ისეთი დოკუმენტის წარმოდგენა, რაც საფუძვლად დაედებოდა მიუღებელი შემოსავლის მოთხოვნას.

სასამართლომ არ გაიზიარა აპელანტის მოსაზრება, რომ პირველი ინსტანციის წესით საქმის განხილვისას სათანადოდ არ შეფასებულა საქმეში არსებული დათვალეობების ოქმის სქემა და 2003 წლის 12 თებერვლის 127 ცნობა. პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე, 106-ე მუხლებით და მიიჩნია, რომ განსახილველ შემთხვევაში პირველი ინსტანციის სასამართლომ სწორად დაადგინა საქმეზე სადავო გარემოებები, რომ, ბ. ბ-შვილის ქმედებაში სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედების არარსებობის გამო, 2003 წლის 24 იანვარს მომხდარ ავტოავარიასთან დაკავშირებით ქ.თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული პროკურატურის მიერ 2007 წლის 16 თებერვალს მიღებულ იქნა დადგენილება სისხლის სამართლის საქმეზე წინასწარი გამოძიების შეწყვეტის შესახებ. აღნიშნული დადგენილება გ. მ-მემ გაასაჩივრა თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიაში, თუმცა იგი სასამართლოს 2007 წლის 14 მარტის დადგენილებითა და თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიის 2007 წლის 30 მარტის დადგენილებით არ გაუქმებულა. ამ დადგენილების მიხედვით, სისხლის სამართლის საქმეზე წინასწარი გამოძიების შეწყვეტის საფუძველია ბ. ბ-შვილის ქმედებაში სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნების არარსებობა. აღნიშნული დადგენილების, ასევე შსს ქ.თბილისის სასამართლო საექსპერტო-კრიმინალისტიკური სამმართველოს ექსპერტ-კრიმინალისტთა 2003 წლის 12 თებერვლის გამოკვლევის შედეგად პალატამ დაადგინა, რომ ტექნიკური თვალსაზრისით 2003 წლის 24 იანვარს მომხდარი ავტოავარიის თავიდან აცილება ბ. ბ-შვილს არ შეეძლო და «ავტოსაგზაო მოძრაობის უსაფრთხოების» შესახებ კანონის მოთხოვნები არ დაურღვევია.

პალატამ მიიჩნია, რომ სამოქალაქო კოდექსის 411-ე მუხლის თანახმად, მიუღებელი შემოსავლის სახით მატერიალური ზიანის ანაზღაურების ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლები არ არსებობს, რის გამოც გ. მ-მის სარჩელი ამ ნაწილში მართებულად არ დაკმაყოფილდა. პალატამ აღნიშნა, რომ სამოქალაქო კოდექსის 992-ე, 999-ე მუხლებით პირს ზიანის ანაზღაურება ეკისრება, თუ არსებობს ზიანის მიყენებისათვის პასუხისმგებლობის დაკისრების პირობების ერთობლიობა, კერძოდ, თუ არსებობს ზიანი, იგი მიყენებულია მართლსაწინააღმდეგო მოქმედებით, მართლსაწინააღმდეგო მოქმედებასა და ზიანს შორის არსებობს მიზეზობრივი კავშირი და ზიანის მიმყენებელს მიუძღვის ბრალი. სასამართლომ ბ. ბ-შვილის მიერ მართლსაწინააღმდეგო ბრალეული მოქმედების ჩადენა ვერ დაადგინა, შესაბამისად, დელიქტური ვალდებულების წარმოშობის ერთ-ერთი

მთავარი პირობა – ზიანის მიმყენებლის ქმედების მართლსაწინააღმდეგო ბრალეული ხასიათი არ დგინდება.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება გ. მ-მემ გაასაჩივრა საკასაციო წესით, მოითხოვა მისი გაუქმება და საქმის დაბრუნება იმავე სასამართლოსათვის ხელახლა განსახილველად შემდეგი საფუძვლებით: სააპელაციო პალატამ არ გამოიყენა სამოქალაქო კოდექსის 999-ე მუხლის პირველი ნაწილი, 413-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილები, რომლებიც უნდა გამოეყენებინა, არასწორად იხელმძღვანელა სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლით და ასევე არასწორად განმარტა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 106-ე მუხლის „გ“ პუნქტი, 102-ე მუხლის მეორე ნაწილი.

პალატამ განჩინების ფაქტობრივი დასაბუთების ნაწილში გამოტოვა ძირითადი გარემოება იმის შესახებ, რომ, სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნის შესაბამისად, კასატორი თბილისის ცენტრალურ კლინიკურ საავადმყოფოში მკურნალობდა დიაგნოზით: ქალა ტვინის ტრავმა, თავის ტვინის დაჟეჟილობა, ნათხემის მარჯვენა ჰემისფეროს ინტრაცერებრალური ჰემატომა ოპერაციის შემდგომ პერიოდში, კბილების ნაწილობრივი ამოვარდნილობა, ზედა ყბის მეორე ტიპის მოტეხილობა, პნევმოთრაქსი. აღნიშნული დაზიანებანი მიეკუთვნება მძიმე ხარისხს, რაც სიცოცხლისათვის სახიფათოა. 2006 წლის 11 დეკემბერს გ. მ-მის მდგომარეობის გართულების გამო მას დაუდგინდა მარჯვენა ნათხემ ხიდის კუნთის სიმსივნე, ქალა-ტვინის მძიმე ტრავმისმიერი ნარჩენი მოვლენები, ტრავმის შედეგად განვითარებული ინტელექტის ფუნქციის გამოხატული დაქვეითება. მას ჩაუტარდა ოპერაციული, სტაციონარული მკურნალობა და ამჟამად იმყოფება სამედიცინო მეთვალყურეობის ქვეშ. აღნიშნულის მიუხედავად, მატერიალური ზიანის – 1724 ლარის მოთხოვნის ნაწილში უარის თქმის მოტივად არასწორად მიეთითა შრომის წიგნაკის არასრულად შევსებულ და შეცდომით გაცემულ ცნობაზე. სასამართლოს სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლის, ზიანის ანაზღაურების საკითხში ზოგადი ნორმის ნაცვლად, უნდა გამოყენებინა სპეციალური 999-ე მუხლის პირველი ნაწილი, რადგან ამავე კოდექსის მე-2 მუხლი სამოქალაქო სამართალში ამკვიდრებს ბრალეული პასუხისმგებლობის პრინციპს, სამოქალაქო კოდექსის 999-ე მუხლი კი, სხვა ცალკეულ მუხლებთან ერთად, გამონაკლისს წარმოადგენს და ადგენს, რომ სატრანსპორტო საშუალების (მომეტებული საფრთხის წყაროს) ექსპლუატაციის შედეგად მიყენებული ზიანი სატრანსპორტო საშუალების მფლობელმა უნდა აანაზღაუროს ბრალის არსებობის მიუხედავად. მხოლოდ დაუძლეველი ძალა ათავისუფლებს მას პასუხისმგებლობისაგან.

პალატამ არ გამოიყენა სამოქალაქო კოდექსის 413-ე მუხლი, რომელიც იძლევა 999-ე მუხლის გამოყენების საფუძველს. გასაჩივრებული განჩინებით საჩივარზე უარის თქმას საფუძველად უდევს ავტოავარიის საქმეზე წინასწარი გამოძიების შეწყვეტის შესახებ დადგენილება. საგამოძიებო და სასამართლო აქტების საფუძველზე მოპასუხე გათავისუფლდა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან, მაგრამ აღნიშნული მტკიცებულებები სამოქალაქო პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლების საფუძველი არ არის. პალატამ არასწორად განმარტა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 106-ე მუხლის „გ“ პუნქტის შინაარსი, ვინაიდან მასში იგულისხმება განაჩენით, და არა დადგენილებით, დადგენილი ფაქტები, რომლებიც დამტკიცებას არ საჭიროებენ. სასამართლო ვალდებული იყო, ფაქტები დაედგინა საერთო წესით. პალატამ იურიდიულად არ შეაფასა საქმეში არსებული შემთხვევის ადგილის დათვალისაგან ოქმების სქემა-დანართები, რომლითაც მოპასუხემ ავტომანქანა მოსარჩელეს დააჯახა ალ.ყაზბეგის გამზირზე 144 სახლის წინ ტროტუარზე. სქემაზე კარგად ჩანს მოპასუხის უხეში გაუფრთხილებლობის შედეგი. ექსპერტის 2003 წლის 12 თებერვლის ცნობა, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, მტკიცებულებას არ წარმოადგენს. ასეთად შეიძლება ჩაითვალოს მხოლოდ ექსპერტთა დასკვნები.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საკასაციო საჩივრის საფუძველების შესწავლისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ გ. მ-მის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს, სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება გაუქმდეს და საქმე დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს ხელახლა განსახილველად შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის პირველი ნაწილის «ბ» ქვეპუნქტის თანახმად, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს სააპელაციო სასამართლოში, ვინაიდან გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია.

დასახელებული ნორმის თანახმად, საკასაციო სასამართლო სააპელაციო პალატას ხელახლა განსახილველად დაუბრუნებს საქმეს, თუ საქმის განხილვისას აღმოჩნდა, რომ გადაწყვეტილების მიღებისას სასამართლომ არასრულად გამოიკვლია საქმის ის ფაქტობრივი გარემოებები, რაც არსებით გავლენას ახდენს საქმის შედეგზე, კერძოდ:

მოცემულ შემთხვევაში სადავოს არ წარმოადგენს, რომ 2003 წლის 24 იანვარს მომხდარი ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად გ. მ-მეს დაეჯახა რა ავტომანქანა, რომელსაც ბ. ბ-შვილი მართავდა, გ. მ-მემ მიიღო სხეულის მძიმე დაზიანებები. სააპელაციო სასამართლომ გ.მ-მის სარჩელი არ დააკმაყოფილა იმ საფუძველით, რომ ბ. ბ-შვილის მიერ მართლსაწინააღმდეგო ბრალეული მოქმედების ჩადენა ვერ დაადგინდა, შესაბამისად, დელიქტური ვალდებულების წარმოშობის ერთ-ერთი მთავარი პირობა, ზიანის მიმყენებლის ქმედების მართლსაწინააღმდეგო ბრალეული ხასიათი არ დგინდება.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 999-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მგზავრების გადაყვანისა და ტვირთების გადაზიდვისათვის გათვალისწინებული სატრანსპორტო საშუალების მფლობელი, თუ მისი სატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციას მოჰყვა ადამიანის სიკვდილი, დასახიჩრება ან ჯანმრთელობის მოშლა, ანდა ნივთის დაზიანება, ვალდებულია, დაზარალებულს აუნაზღაუროს აქედან წარმოშობილი ზიანი.

აღნიშნული ნორმა ითვალისწინებს სამოქალაქო სამართლის ზოგადი პრინციპიდან (პასუხისმგებლობა მიყენებული ზიანის გამო პირს ეკისრება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მისი მოქმედება არის ბრალეული) განსხვავებულ – სატრანსპორტო საშუალების მომხმარებლის ისეთ განსაკუთრებულ პასუხისმგებლობას, რა დროსაც მისი დაკისრებისათვის ბრალეულობა სავალდებულო არ არის. ამ გამონაკლისს საფუძველად უდევს ის გარემოება, რომ სატრანსპორტო საშუალება პოტენციური საფრთხის წყაროა და მისი მოხმარება განაპირობებს შედარებით მაღალი ხარისხით საზიანო შედეგების დადგომის შესაძლებლობას, ვიდრე სხვა ჩვეულებრივი საქმიანობისას. ავტოსატრანსპორტო საშუალების ამგვარი თვისების გამო იგი მომეტებული საფრთხის წყაროაა მიჩნეული და, მიუხედავად იმისა, რომ მისი მოხმარება სამართლებრივად ნებადართულია, პასუხისმგებლობა მომეტებული საფრთხის წყაროდან მომდინარე ზიანისათვის, ჩვეულებრივი სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობასთან შედარებით

უფრო მკაცრია – ზიანის ანაზღაურების ვალდებულება მომეტებული საფრთხის წყაროს მფლობელს ბრალის მიუხედავად ეკისრება. აღნიშნული გამოწვეულია იმ მატერიალური ობიექტების ფლობითა და სარგებლობით (ექსპლუატაციით ან ნებისმიერი ფორმით მისი გამოყენებით), რომელსაც განსაკუთრებული ხარისხობრივი თვისება აქვთ და ადამიანის მხრიდან მასზე სრული კონტროლის დამყარება შეუძლებელია. ამავდროულად, სამოქალაქო კოდექსის 999-ე მუხლით გათვალისწინებული ზიანის ანაზღაურების დაკისრებისას სატრანსპორტო საშუალების მფლობელის პასუხისმგებლობა უნდა გამოირიცხოს, თუ ზიანი გამოწვეულია თუნდაც ნივთის ექსპლუატაციის დროს, მაგრამ სხვა გარე ფაქტორების ზემოქმედებით და არა მომეტებული საფრთხის წყაროს თვისებებიდან გამომდინარე. პასუხისმგებლობის მთლიან ან ნაწილობრივ გამომრიცხველ გარემოებად უნდა ჩაითვალოს როგორც დაუძლეველი ძალა (სამოქალაქო კოდექსის 394-ე მუხლის პირველი ნაწილი), ასევე დაზარალებულის ბრალი.

დაუძლეველი ძალაში იგულისხმება, რომ, მიუხედავად ავტომატურად გულისყურით მართვისა, ზიანის თავიდან აცილება ვერ ხერხდება. ასეთ შემთხვევაში უნდა დადგინდეს, ზიანი გამოწვეულია თუ არა დაბრკოლებით, რომელიც არ შედიოდა ტრანსპორტის მფლობელის კონტროლის სფეროში და მას გონივრულად არ შეეძლო არც მისი წინასწარ გათვალისწინება და არც დაბრკოლების ან მისი შედეგების თავიდან აცილება, ან დაძლევა, ანუ პირი მოკლებული იყო დაბრკოლებაზე ზემოქმედების შესაძლებლობას.

სატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციის შედეგად დამდგარი ზიანის დაკისრებისას უნდა გამოირიცხოს დაზარალებულის ბრალიც. დელიქტური ვალდებულებების მომწესრიგებელი ნორმები – სამოქალაქო კოდექსი 992-ე-1008-ე მუხლები არ ითვალისწინებს შემხვედრი ბრალის საკითხს. ამასთან, სამოქალაქო კოდექსის 326-ე მუხლის თანახმად, წესები სახელშეკრულებო ვალდებულების შესახებ გამოიყენება ასევე სხვა არასახელშეკრულებო ვალდებულებათა მიმართ, თუკი ვალდებულების ხასიათიდან სხვა რამ არ გამომდინარეობს. ამავ კოდექსის 415-ე მუხლის თანახმად, თუ ზიანის წარმოშობას ხელი შეუწყო დაზარალებულის მოქმედებამაც, მაშინ ზიანის ანაზღაურების ვალდებულება და ამ ანაზღაურების მოცულობა დამოკიდებულია იმაზე თუ უფრო მეტად რომელი მხარის ბრალით არის ზიანი გამოწვეული.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო არ იზიარებს სააპელაციო პალატის დასკვნას გ. მ-ძის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის თაობაზე იმ საფუძველით, რომ ბ. ბ-შვილის მიერ მართლსაწინააღმდეგო ბრალეული მოქმედების ჩადენა ვერ დადგინდა, შესაბამისად, დელიქტური ვალდებულების წარმოშობის ერთ-ერთი მთავარი პირობა, ზიანის მიმყენებლის ქმედების მართლსაწინააღმდეგო ბრალეული ხასიათი არ დგინდება. ზიანის ანაზღაურების დაკისრების წინაპირობის – პირის ბრალეულობის არსებობა მოცემულ შემთხვევაში აუცილებელი არ არის. ამასთან, სატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციის შედეგად დამდგარი ზიანის დაკისრებისას უტყუარად უნდა დადგინდეს ზიანის ანაზღაურების დაკისრების მოთხოვნის გამომრიცხავ გარემოებათა არარსებობა.

ამდენად, საქმის ხელახლა განმხილველმა სასამართლომ, ზემოაღნიშნული დასაბუთების გათვალისწინებით, როგორც ფაქტობრივი, ისე სამართლებრივი თვალსაზრისით უნდა შეამოწმოს გ.მ-ძის სასარჩელო მოთხოვნა და თავის გადაწყვეტილებაში დაასაბუთოს გამოსაკვლევი მოთხოვნის კანონიერება.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

#### **და ა დ გ ი ნ ა:**

გ. მ-ძის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს;  
გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 8 აპრილის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;  
საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

### **სატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციის შედეგად დამდგარი ზიანის ანაზღაურება**

#### **განჩინება**

<sup>1</sup>ას-81-171-2011

18 აპრილი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ნ. კვანტალიანი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

პ. ქათამაძე,

ბ. ალავეძე

დავის საგანი: მორალური ზიანის ანაზღაურება

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

ტ. ტ-იძმა სარჩელი აღძრა სასამართლოში პ. ც-ძის მიმართ მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით შემდეგი საფუძველებით: 2007 წლის 1 მაისს საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის შედეგად მოსარჩელემ მიიღო სხეულის მძიმე დაზიანება. აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით აღიძრა სისხლის სამართლის საქმე სისხლის სამართლის

თლის კოდექსის 276-ე მუხლის მესამე ნაწილით და ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემულ იქნა პ. ც-მე, მაგრამ შემდგომში მის მიმართ წინასწარი გამოძიება შეწყდა, რაც გაასაჩივრა მოსარჩელემ, მაგრამ საჩივარი არ დაკმაყოფილდა. 2007 წლის 29 მაისის '3012/31 სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნით დადასტურდა, რომ მოსარჩელემ მიიღო სხეულის მძიმე დაზიანება, რომელიც სიცოცხლისათვის საშიშია, მაგრამ, მიუხედავად ამისა, პ. ც-მემ არ აუნაზღაურა მიყენებული ზიანი.

მოპასუხე პ. ც-მემ სარჩელი არ ცნო და მოითხოვა მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა იმ საფუძველით, რომ საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევა არ იყო გამოწვეული მისი ბრალით და, შესაბამისად, ტ.ტ-იჩისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურებაზე პასუხისმგებლობა არ ეკისრებოდა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 28 აპრილის გადაწყვეტილებით ტ. ტ-იჩის სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რაც სააპელაციო წესით გაასაჩივრა ტ. ტ-იჩმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 7 ივლისის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით ტ. ტ-იჩის სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 28 აპრილის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება; ტ. ტ-იჩის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, პ. ც-მეს ტ. ტ-იჩის სასარგებლოდ დაეკისრა მორალური ზიანის – 20000 ლარის ანაზღაურება. სარჩელი მორალური ზიანის – 480000 ლარის დაკისრების ნაწილში არ დაკმაყოფილდა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 24 ნოემბრის განჩინებით ამავე სასამართლოს 2010 წლის 7 ივლისის დაუსწრებელი გადაწყვეტილება დარჩა ძალაში შემდეგი საფუძველებით: პალატამ არ გაიზიარა პ. ც-მის მოსაზრება სასამართლო უწყების სათანადო წესით ჩაუბარებლობის თაობაზე. პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 387-ე მუხლის მეორე ნაწილით, 230-ე მუხლით და დადგენილად ცნო, რომ სასამართლო გზავნილი (უწყება და სააპელაციო საჩივარი) პ. ც-მეს ჩაჰბარდა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესით, კერძოდ, გზავნილის ჩაბარების შესახებ შეტყობინების ბარათის საფუძველზე დადასტურებულად ცნო, რომ უწყება და გზავნილი 2010 წლის 25 მაისს ჩაჰბარდა პ. ც-მის მეუღლეს – მ. ა-მეს. შესაბამისად, პალატამ მიიჩნია, რომ მხარე სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით გაფრთხილებულ იქნა მთავარი სხდომის თაობაზე. ამასთან, მიუთითა, რომ სწორედ ზემოაღნიშნული ჩაბარების დამადასტურებელი ბარათის საფუძველზე პ. ც-მემ წარმოადგინა შესაგებელი სააპელაციო საჩივარზე, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ მხარეს სათანადო წესით ჩაჰბარდა სასამართლო გზავნილი. პალატამ აღნიშნა, რომ 2010 წლის 7 ივლისის მთავარ სხდომაზე მოწინააღმდეგე მხარე არ გამოცხადებულა და არც რაიმე შუამდგომლობით მოუმართავს სასამართლოსათვის.

პალატამ არ გაიზიარა საჩივრის ავტორის მითითება იმ გარემოებაზე, რომ სააპელაციო საჩივარში მითითებული გარემოებები იურიდიულად არ ამართლებდა მოთხოვნას, რის გამოც დაუსწრებელი იყო დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა, აღნიშნულთან დაკავშირებით პალატამ აღნიშნა, რომ დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანისას სასამართლო ფაქტობრივი გარემოებების დასადგენად არ იკვლევს საქმეში არსებულ მტკიცებულებებს, არამედ სარჩელში (სააპელაციო საჩივარში) მითითებულ ფაქტობრივ გარემოებებს, მოწინააღმდეგე მხარის გამოუცხადებლობის გამო, მიიჩნევს დამტკიცებულად და მხოლოდ იმ შემთხვევაში დააკმაყოფილებს სარჩელს (სააპელაციო საჩივარს), თუ დამტკიცებულად მიჩნეული გარემოებები იურიდიულად ამართლებს სასარჩელო მოთხოვნას. პალატამ მიუთითა, რომ 2010 წლის 7 ივლისის დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღებისას, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 230-ე მუხლის მეორე ნაწილისა და 387-ე მუხლის დანაწესის საფუძველზე პალატამ დადგინდად მიიჩნია, რომ 2007 წლის 1 მაისს, დაახლოებით 22.30 საათზე, არაფხიზელ მდგომარეობაში მყოფმა პ. ც-მემ, ქ. თბილისში მდინარე მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე შპს «ჯ-ის» ოფისის მიმდებარედ მომხდარი ავტოავარიისას, ტ. ტ-იჩს მიაყენა ჯანმრთელობის მძიმე ხარისხის დაზიანება, რის გამოც იგი დაინვალიდა – ამპუტირებული აქვს ერთი ფეხი. ვინაიდან პ. ც-მე მთვრალი მართავდა ავტომობილს, მას შეეფარდა ადმინისტრაციული სახდელი. პ. ც-მის ქმედება მიზეზობრივ კავშირშია აპელანტისათვის მიყენებულ მძიმე ხარისხის დაზიანებასთან. პ. ც-მის ქმედების შედეგად მიღებული სხეულის დაზიანებით ტ. ტ-იჩს მიადგა მორალური ზიანი.

პალატამ არ გაიზიარა საჩივრის ავტორის მითითებები საქმეში არსებულ მტკიცებულებებზე (სისხლის სამართლის საქმეზე მიღებული დადგენილება და სხვა) და მიუთითა, რომ დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღებისას სასამართლო არ იკვლევს საქმეში არსებულ მტკიცებულებებს, არამედ აფასებს მხოლოდ იმ გარემოებას, სარჩელში (სააპელაციო საჩივარში) მითითებული ფაქტობრივი გარემოებები რამდენად ამართლებს იურიდიულად მოთხოვნას. შესაბამისად, პალატამ დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღებისას შეაფასა სააპელაციო საჩივარში მითითებული და დამტკიცებულად ჩათვლილი გარემოებები, გაითვალისწინა, რომ ტ. ტ-იჩს ავტოავარიის შედეგად მიადგა სხეულის მძიმე დაზიანება – ამპუტირებული აქვს ერთი ფეხი, რაც დაკავშირებულია ძლიერ სულიერ განცდებთან და მორალურ ტკივილთან. დამდგარი შედეგის გათვალისწინებით მოცემულ შემთხვევაში, შეუძლებელია ხელყოფილი სიკეთის სრული კომპენსირება და მიიჩნია, რომ მორალური ზიანის მოთხოვნა 20000 ლარის ნაწილში ამართლებდა იურიდიულად, ხოლო მორალური ზიანის სახით 480000 ლარის დაკისრების ნაწილში გაუმართლებელია, ვინაიდან არ შესაბამებოდა სამოქალაქო კოდექსის 413-ე მუხლის მოთხოვნებს. ამდენად, პალატამ მიიჩნია, რომ საჩივარში მითითებული გარემოებები არ წარმოადგენს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების კანონით გათვალისწინებულ საფუძველს. მხარემ ვერ მიუთითა მისი მთავარ სხდომაზე გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზის არსებობის შესახებ, ასევე სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 230-ე, 239-ე, 240-ე, 241-ე, 372-ე, 387-ე მუხლების თანახმად, დაუსაბუთებლად მიიჩნია საჩივრის ავტორის მითითება იმ გარემოებაზე, რომ სააპელაციო საჩივარში მითითებული გარემოებები იურიდიულად არ ამართლებდა მოთხოვნას.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გასაჩივრა პ. ც-მემ და მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ტ. ტ-ის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა შემდეგი საფუძვლებით: დაუსწრებელი გადაწყვეტილება უკანონოა და ეწინააღმდეგება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 230-ე მუხლის მოთხოვნებს, რის გამოც სასამართლო მოკლებული იყო შესაძლებლობას, მიეღო დაუსწრებელი გადაწყვეტილება და დაეკმაყოფილებინა სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ. არც პ. ც-მეს და არც მის წარმომადგენელს სასამართლო უწყება არ ჩაჰბარებიათ, ამიტომ უცნობი იყო მათთვის პროცესის გამართვის დრო, რის გამოც მხარე წარმომადგენელთან ერთად პროცესზე ვერ გამოცხადდა. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 230-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, დაუსწრებელი გადაწყვეტილება შესაძლებელია მიღებულ იქნეს მხოლოდ მაშინ, თუ მხარეს უწყება ჩაჰბარდა ამავე კოდექსის 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესით, არც მას და არც მის წარმომადგენელს სასამართლო უწყება არ ჩაჰბარებიათ. შესაბამისად, არ არსებობდა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის წინაპირობა და სამართლებრივი საფუძველი.

პ. ც-მისთვის რომ ჩაებარებინათ უწყება და მისთვის ცნობილი ყოფილიყო სასამართლო პროცესის თაობაზე, სასამართლო მაინც არ იყო უფლებამოსილი, მიეღო დაუსწრებელი გადაწყვეტილება, რადგან სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 230-ე მუხლის მე-2 ნაწილით, სასამართლო მხოლოდ მაშინაა უფლებამოსილი, მიიღოს დაუსწრებელი გადაწყვეტილება, თუ სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები იურიდიულად ამართლებენ სასარჩელო მოთხოვნას, წინააღმდეგ შემთხვევაში, სასამართლო უარს ეუბნება დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღების შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე მხარეს. დადგენილია, რომ 2007 წლის 1 მაისს, დაახლოებით 22.30 საათზე, ავტოსაგზაო შემთხვევა, რის შედეგადაც ტ. ტ-იჩმა მიიღო სხეულის მძიმე დაზიანება. ავტოსაგზაო შემთხვევის ფაქტზე აღიძრა სისხლის სამართლის საქმე ქალაქ თბილისისა და მცხეთა-მთიანეთის საპატრულო პოლიციაში და იგი პროკურორის დადგენილებით შეწყდა პ. ც-მის მიმართ, ვინაიდან პ. ც-მის ქმედებაში არ აღინიშნებოდა სისხლის სამართლის კოდექსით განსაზღვრული ქმედება, ანუ მას დანაშაული არ ჩაუდენია. აღნიშნული დადგენილება დაზარალებულმა ტ. ტ-იჩმა გასაჩივრა თბილისის საქალაქო და სააპელაციო სასამართლოების სისხლის სამართლის კოლეგიაში, რომლებმაც უცვლელად დატოვეს გასაჩივრებული დადგენილება. აღნიშნული სისხლის სამართლის საქმის ჩამოთვლილი მასალები სამოქალაქო საქმეს თან ერთვის, აგრეთვე, იგი დეტალურადაა აღწერილი თვით აპელანტის სარჩელსა და სააპელაციო საჩივარში. ამასთან, ამაზე იმსჯელა პირველი ინსტანციის სასამართლომაც, რაც აღნიშნულია თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებში. რაც შეეხება სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლით განსაზღვრულ დელიქტურ ვალდებულებათა გამო ზიანის ანაზღაურებას, იგი მხოლოდ მაშინაა შესაძლებელი, თუ პირი სხვა პირს მართლსაწინააღმდეგო განზრახვი ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიაყენებს ზიანს, რაც კონკრეტულ შემთხვევაში არ არსებობს, იმ შემთხვევაში იქნებოდა აპელანტის მოთხოვნა კანონიერი, იურიდიულად გამართლებული, თუ მოპასუხის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენი დადგებოდა, ვინაიდან ესაა სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლით განსაზღვრული ქმედება. დაუსწრებელი გადაწყვეტილებაში აღნიშნულია, რომ პ. ც-მის სიმთვრალე თურმე მიზეზობრივ კავშირშია დამდგარ მძიმე შედეგთან. პ. ც-მე ადმინისტრაციული წესითაა დასჯილი, ვინაიდან ავტომანქანას მთვრალი მართავდა, იმ შემთხვევაში, თუ დამტკიცდებოდა მიზეზობრივი კავშირი უბედურ შემთხვევასთან დაკავშირებით, მას სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის ზომას შეუფარდებდნენ. განსახილველ შემთხვევაში კი, საქმეშია პროკურორის დადგენილება პ. ც-მის მიმართ სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტის შესახებ, რომელიც კანონიერ ძალაშია შესული, თბილისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით ძალაშია დატოვებული.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საკასაციო საჩივრის საფუძვლები, შეამოწმა გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთება და მიაჩნია, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება დარჩეს უცვლელად შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 387-ე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად, თუ საქმის განხილვაზე მოწინააღმდეგე მხარე არ გამოცხადდება, სააპელაციო საჩივრის შემტანი პირის თხოვნით სააპელაციო სასამართლო გამოიტანს დაუსწრებელ გადაწყვეტილებას, რომელიც შეიძლება დაემყაროს მომჩივნის ახსნა-განმარტებას.

დასახელებული ნორმიდან გამომდინარეობს, რომ სასამართლო უფლებამოსილია, გამოიტანოს დაუსწრებელი გადაწყვეტილება იმ შემთხვევაში, თუ მხარე, რომელსაც საქმის განხილვის თარიღი კანონის მოთხოვნათა დაცვით ეცნობა, არასაპატიო მიზეზით არ გამოცხადდა სასამართლო სხდომაზე და არც აცნობა სასამართლოს სხდომაზე გამოცხადების შეუძლებლობის თაობაზე. სასამართლოში მხარის არასაპატიო გამოუცხადებლობას კანონმდებელი უკავშირებს მის მიერ საქმის განხილვისადმი ინტერესის დაკარგვის ვარაუდს, რასაც შედეგად მოჰყვება მოწინააღმდეგე მხარის მოთხოვნის დაკმაყოფილება. ამასთან, თუ საქმის განხილვაზე არ გამოცხადდება აპელანტის მოწინააღმდეგე მხარე, სასამართლოს შეუძლია სააპელაციო საჩივარში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები, დამატებითი გამოკვლევის გარეშე, მიიჩნიოს დამტკიცებულად, რაც სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილების საფუძველია.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე მუხლის 1-ელი ნაწილის თანახმად, მხარეს ან მის წარმომადგენელს სასამართლო უწყებით ეცნობება სასამართლო სხდომის ან ცალკეული საპროცესო მოქმედების შესრულების დრო და ადგილი. უწყება მხარისათვის და მისი წარმომადგენლისათვის ჩაბარებულად ჩაითვლება, თუ იგი ჩაჰბარდება ერთ-ერთ მათგანს ან ამ კოდექსის 74-ე მუხლით გათვალისწინებულ სუბიექტებს. დასახელებული ნორმიდან გამომდინარეობს, რომ სასამართლო უწყების მხარისათვის ჩაბარებულად მიჩნევისათვის აუცილებელია, რომ იგი ჩაჰბარდეს პირადად მხარეს (ან მის წარმომადგენელს) ან, ამავე კოდექსის 74-ე მუხლის 1-ელი ნაწილის მიხედ-



ვით, მასთან მცხოვრებ ოჯახის სრულწლოვან წევრს. ამდენად, განსახილველ შემთხვევაში სასამართლო გზავნილის 2010 წლის 25 მაისს პ. ც-მის მეუღლე მ. ა-მისათვის ჩაბარება გზავნილის პ. ც-მისათვის ჩაბარებად უნდა ჩაითვალოს. შესაბამისად, სააპელაციო პალატამ სავსებით მართებულად მიიჩნია, რომ მხარე სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით გაფრთხილებულ იქნა მთავარი სხდომის თაობაზე. ამასთან, საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო პალატის მითითებას, რომ სწორედ ზემოაღნიშნული ჩაბარების დამადასტურებელი ბარათის საფუძველზე პ. ც-მემ წარმოადგინა შესაგებელი სააპელაციო საჩივარზე, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ მხარეს სათანადო წესით ჩაჰბარდა სასამართლო გზავნილი.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს კასატორის არგუმენტს, რომ სააპელაციო პალატას დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღებისას უნდა გაეთვალისწინებინა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები. მხარის აღნიშნული მოსაზრება ეწინააღმდეგება დაუსწრებელი გადაწყვეტილების დანიშნულებასა და იურიდიულ ბუნებას.

დაუსწრებელი გადაწყვეტილება თავისი შინაარსით საქმის განხილვაში ერთ-ერთი მხარის მოწინააღმდეგის გარეშე მიღებული გადაწყვეტილებაა. დაუსწრებელი გადაწყვეტილების ინსტიტუტი მიზნად ისახავს სასამართლოს ეფექტურ საქმიანობას, სასამართლო დავების სწრაფად და გაჭიანურების გარეშე გადაწყვეტას, მხარეთა «იძულებას», განახორციელონ საპროცესო კანონით მინიჭებული უფლებები – საქმის განხილვაში მიიღონ აქტიური მონაწილეობა და ხელი შეუწყონ სასამართლოს გადაწყვეტილების გამოტანაში. დაუსწრებელი გადაწყვეტილება თავისი იურიდიული ბუნებით წარმოადგენს სანქციას იმ მხარისათვის, რომელიც არ ცხადდება საქმის განხილვაზე (სსკ-ის 229-ე, 230-ე, 231-ე, 232-ე მუხლები) ანდა არ ახორციელებს თავის საპროცესო უფლებებს (სსკ-ის 232.1 მუხლი), რითაც ქმნის ვარაუდს, რომ მას არა აქვს ინტერესი, შეეწინააღმდეგოს მის მიმართ აღძრულ სარჩელს (პრეზუმფცია). შესაბამისად, შეიძლება დავასკვნათ, რომ დაუსწრებელი გადაწყვეტილება ერთგვარ სასჯელს წარმოადგენს უპასუხისმგებლო მხარისათვის.

დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა დასაშვებია მხოლოდ კანონით იმპერატიულად განსაზღვრული გარემოებების და პირობების აშკარად, ეჭვის გარეშე არსებობისას. ერთ-ერთ ასეთ გარემოებას წარმოადგენს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 230-ე მუხლის მე-2 ნაწილის დანაწესი, რომლის ძალითაც, თუ სარჩელში მითითებული გარემოებები იურიდიულად ამართლებს სასარჩელო მოთხოვნას, სარჩელი დაკმაყოფილდება. წინააღმდეგ შემთხვევაში სასამართლო უარს ეტყვის მოსარჩელეს მის დაკმაყოფილებაზე. კასატორის მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლოს უნდა გამოეყენებინა აღნიშნული ნორმა და დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანაზე უარი უნდა ეთქვა აპელანტისათვის იმ დასაბუთებით, რომ პ. ც-მის მიმართ სისხლის სამართლის საქმე შეწყდა ავტოსაგზაო შემთხვევაში მისი ბრალის არარსებობის გამო.

საკასაციო სასამართლო სრულად იზიარებს სააპელაციო პალატის დასკვნას, რომ დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანისას სასამართლო ფაქტობრივი გარემოებების დასადგენად არ იკვლევს საქმეში არსებულ მტკიცებულებებს, არამედ სარჩელში (სააპელაციო საჩივარში) მითითებულ ფაქტობრივ გარემოებებს, მოწინააღმდეგე მხარის გამოუცხადებლობის გამო, მიიჩნევს დამტკიცებულად და მხოლოდ იმ შემთხვევაში დააკმაყოფილებს სარჩელს (სააპელაციო საჩივარს), თუ დამტკიცებულად მიჩნეული გარემოებები იურიდიულად ამართლებს სასარჩელო მოთხოვნას. მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია სააპელაციო საჩივარში მითითებული გარემოება, რომ 2007 წლის 1 მაისს, დაახლოებით 22.30 საათზე, არაფხიზელ მდგომარეობაში მყოფმა პ. ც-მემ, ქ. თბილისში მდინარე მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე შპს «ჯ-ის» ოფისის მიმდებარე მომხდარი ავტოავარიისას, ტ. ტ-იჩს მიაყენა ჯანმრთელობის მიმღე ხარისხის დაზიანება, რის გამოც იგი დაინვალიდა – ამპუტირებული აქვს ერთი ფეხი. ვინაიდან პ. ც-მე მთვრალი მართავდა ავტომობილს, მას შეეფარდა ადმინისტრაციული სახდელი. პ. ც-მის ქმედება მიზეზობრივ კავშირშია ავტოავარიისათვის მიყენებულ მიმღე ხარისხის დაზიანებასთან. პ. ც-მის ქმედების შედეგად მიღებული სხეულის დაზიანებით ტ. ტ-იჩს მიადაგა მორალური ზიანი.

საკასაციო სასამართლო მიზანშეწონილად მიიჩნევს, მხარეთა ყურადღება გაამახვილოს შემდეგზე:

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 999-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მგზავრების გადაყვანისა და ტვირთების გადაზიდვისათვის გათვალისწინებული სატრანსპორტო საშუალების მფლობელი, თუ მისი სატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციას მოჰყვა ადამიანის სიკვდილი, დასახიჩრება ან ჯანმრთელობის მოშლა, ანდა ნივთის დაზიანება, ვალდებულია, დაზარალებულს აუნაზღაუროს აქედან წარმოშობილი ზიანი.

აღნიშნული ნორმა ითვალისწინებს სამოქალაქო სამართლის ზოგადი პრინციპიდან (პასუხისმგებლობა მიყენებული ზიანის გამო პირს ეკისრება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მისი მოქმედება არის ბრალეული) განსხვავებულ – სატრანსპორტო საშუალების მომხმარებლის ისეთ განსაკუთრებულ პასუხისმგებლობას, რა დროსაც მისი დაკისრებისათვის ბრალეულობა სავალდებულო არ არის. ამ გამონაკლისის საფუძველად უდევს ის გარემოება, რომ სატრანსპორტო საშუალება პოტენციური საფრთხის წყაროა და მისი მოხმარება განაპირობებს შედარებით მაღალი ხარისხით საზიანო შედეგების დადგომის შესაძლებლობას, ვიდრე სხვა ჩვეულებრივი საქმიანობისას. ავტოსატრანსპორტო საშუალების ამგვარი თვისების გამო იგი მომეტებული საფრთხის წყაროაა მიჩნეული და, მიუხედავად იმისა, რომ მისი მოხმარება სამართლებრივად ნებადართულია, პასუხისმგებლობა მომეტებული საფრთხისწყაროდან მომდინარე ზიანისათვის, ჩვეულებრივი სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობასთან შედარებით უფრო მკაცრია – ზიანის ანაზღაურების ვალდებულება მომეტებული საფრთხის წყაროს მფლობელს ბრალის მიუხედავად ეკისრება. აღნიშნული გამოწვეულია იმ მატერიალური ობიექტების ფლობითა და სარგებლობით (ექსპლუატაციით ან ნებისმიერი ფორმით მისი გამოყენებით), რომელსაც განსაკუთრებული ხარისხობრივი თვისება აქვთ და ადამიანის მხრიდან მასზე სრული კონტროლის დამყარება შეუძლებელია. ამავდროულად, სამოქალაქო კოდექსის 999-ე მუხლით გათვალისწინებული ზიანის ანაზღაურების დაკისრებისას სატრანსპორტო საშუალების მფლობელის პასუხისმგებლობა უნდა გამოირიცხოს, თუ ზიანი გამოწვეულია თუნდაც ნივთის ექსპლუატაციის

დროს, მაგრამ სხვა გარე ფაქტორების ზემოქმედებით და არა მომეტებული საფრთხის წყაროს თვისებებიდან გამომდინარე. პასუხისმგებლობის მთლიან ან ნაწილობრივ გამოორიციხველ გარემოებად უნდა ჩაითვალოს როგორც დაუძლეველი ძალა (სამოქალაქო კოდექსის 394-ე მუხლის პირველი ნაწილი), ასევე დაზარალებულის ბრალი.

დაუძლეველი ძალაში იგულისხმება, რომ, მიუხედავად ავტომანქანის გულისყურით მართვისა, ზიანის თავიდან აცილება ვერ ხერხდება. ასეთ შემთხვევაში უნდა დადგინდეს, ზიანი გამოწვეულია თუ არა დაბრკოლებით, რომელიც არ შედიოდა ტრანსპორტის მფლობელის კონტროლის სფეროში და მას გონივრულად არ შეეძლო არც მისი წინასწარ გათვალისწინება და არც დაბრკოლების ან მისი შედეგების თავიდან აცილება, ან დაძლევა, ანუ პირი მოკლებული იყო დაბრკოლებაზე ზემოქმედების შესაძლებლობას.

სატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციის შედეგად დამდგარი ზიანის დაკისრებისას უნდა გამოირიცხოს დაზარალებულის ბრალიც. დელიქტური ვალდებულებების მომწესრიგებელი ნორმები – სამოქალაქო კოდექსი 992-ე-1008-ე მუხლები არ ითვალისწინებს შემხვედრი ბრალის საკითხს. ამასთან, სამოქალაქო კოდექსის 326-ე მუხლის თანახმად, წესები სახელშეკრულებო ვალდებულების შესახებ გამოიყენება ასევე სხვა არასახელშეკრულებო ვალდებულებათა მიმართ, თუკი ვალდებულების ხასიათიდან სხვა რამ არ გამომდინარეობს. ამავე კოდექსის 415-ე მუხლის თანახმად, თუ ზიანის წარმოშობას ხელი შეუწყო დაზარალებულის მოქმედებამაც, მაშინ ზიანის ანაზღაურების ვალდებულება და ამ ანაზღაურების მოცულობა დამოკიდებულია იმაზე თუ უფრო მეტად რომელი მხარის ბრალით არის ზიანი გამოწვეული. სატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციის შედეგად დამდგარი ზიანის დაკისრებისას ზემოთ მითითებულ ზიანის ანაზღაურების დაკისრების მოთხოვნის გამოორიციხვაც გარემოებათა არსებობაზე კასატორი არ უთითებს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო არ იზიარებს კასატორის მოსაზრებას ტ. ტ-ის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის თაობაზე იმ საფუძველით, რომ პ. ც-მის მიერ მართლსაწინააღმდეგო ბრალეული მოქმედების ჩადენა ვერ დადგინდა, შესაბამისად, დელიქტური ვალდებულების წარმოშობის ერთ-ერთი მთავარი პირობა, ზიანის მიმყენებლის ქმედების მართლსაწინააღმდეგო ბრალეული ხასიათი არ დგინდება. ზიანის ანაზღაურების დაკისრების წინაპირობის – პირის ბრალეულობის არსებობა მოცემულ შემთხვევაში აუცილებელი არ არის.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

#### **და ა დ გ ი ნ ა:**

პ. ც-მის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 24 ნოემბრის განჩინება დარჩეს უცვლელად.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

### **სატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციის შედეგად დამდგარი ზიანის ანაზღაურება**

#### **განჩინება**

1ას-39-38-10

15 ივლისი, 2010 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: თ. თოდრია (თავმჯდომარე, მომხსენებელი),**

**ვ. როინიშვილი,**

**მ. სულხანიშვილი**

**დავის საგანი: ზიანის ანაზღაურება**

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

2008 წლის 18 ივლისს ქობულეთის რაიონულ სასამართლოს სარჩელით მიმართა ვ. შ-მის წარმომადგენელმა მ. ა-შვილმა პ. ფ-ის მიმართ ზიანის ანაზღაურების შესახებ. მოსარჩელემ მიუთითა, რომ ფლობს ავტომანქანა «ბმე-ს» სახელმწიფო ნომრით 1 ..., რომლითაც 2008 წლის 31 მარტს მოძრაობდა ქობულეთში ... 1... საცხოვრებელი სახლის წინ, რა დროსაც დაეჯახა საწინააღმდეგო მიმართულებით მოძრავი მიკროავტობუსი სახ. ნომრით ..., რომელსაც მართავდა გ. მ-მე, ხოლო მიკროავტობუსი წარმოადგენდა პ. ფ-ის საკუთრებას. აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით აღიძრა სისხლის სამართლის საქმე, მაგრამ იმ მოტივით, რომ არავინ დაზიანებულა შეწყდა საქმის წარმოება. სისხლის სამართლის საქმეზე ჩატარებული წინასწარი გამოძიებით დადგინდა იქნა, რომ ავტოავარია მოხდა მიკროავტობუსის მძღოლის გ. მ-მის დაუდევრობით, ასევე დადგინდა იქნა, რომ მიკროავტობუსი გადაცემული ჰქონდა მოპასუხეს გ. მ-მისათვის სამუშაოდ. მოსარჩელემ განმარტა, რომ მისი ავტომანქანა ავტოავარიის შედეგად აღდგენას აღარ ექვემდებარება და მას მიადგა 4000 აშშ დოლარის ოდენობით ზიანი. აღნიშნულ ავტომანქანით გადაჰყავდა მგზავრები, იყენებდა ტაქსად, რითაც არჩენდა ოჯახს, ეს იყო მისი შემოსავლის ერთადერთი წყა-

რო. მოსარჩელემ მოითხოვა მოპასუხე პ. ფ-იას დაეკისროს მის სასარგებლოდ ავტოავარიის შედეგად მიყენებული ზიანი – 4000 აშშ დოლარი, ასევე მოითხოვა მოპასუხეს დაეკისროს მიუღებელი შემოსავლის 800 ლარის გადახდა.

მოპასუხე პ. ფ-იამ სარჩელი არ ცნო და შესაგებელში მიუთითა, რომ ვ. შ-მეს არ აქვს ზიანის მოთხოვნის უფლება, ვინაიდან დაზიანებული ავტომობილი მის საკუთრებაში არ ირიცხება. იგი არ არის სათანადო მოპასუხე, ვინაიდან მას უშუალოდ ზიანი არ მიჰყენებია. დაუსაბუთებელია სარჩელში ასევე 4000 აშშ დოლარის ზიანისა და მიუღებელი შემოსავლით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა.

საქმე განსჯადობის მიხედვით განსახილველად გადაეცა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 1 ოქტომბრის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით მოპასუხის გამოუცხადებლობის გამო, ვ. შ-მის სარჩელი დაკმაყოფილდა, მოპასუხე პ. ფ-იას მოსარჩელე ვ. შ-მის სასარგებლოდ დაეკისრა 4000 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის, ექსპერტიზის ხარჯების – 300 ლარის, მიუღებელი შემოსავლის – 800 ლარის, საადვოკატო მომსახურების – 700 ლარისა და პუბლიკაციის ხარჯების – 117 ლარის გადახდა.

აღნიშნულ დაუსწრებელ გადაწყვეტილებაზე საჩივარი შეიტანა პ. ფ-იამ და მოითხოვა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმება და მიუთითა, რომ სასამართლო უწყება სსსკ-ის 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესით არ ჩაჰბარებია. 2009 წლის 9 თებერვალს ქუთაისის საქალაქო სასამართლოს განჩინებით პ. ფ-იას საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში განსახილველად.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 11 ივნისის გადაწყვეტილებით ვ. შ-მის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, პ. ფ-იას ვ. შ-მის სასარგებლოდ დაეკისრა მიყენებული ზიანის ასანაზღაურებლად 4000 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის გადახდა, რაც იმ დროისათვის შეადგენდა 5900 ლარს, ასევე დაეკისრა მოსარჩელის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – 160 ლარის, საექსპერტო მომსახურების ხარჯის – 300 ლარის, სულ 6360 ლარის გადახდა. მოსარჩელე ვ. შ-მეს უარი ეთქვა მიყენებული ზიანის – 800 ლარისა და ადვოკატის მომსახურების ხარჯის – 700 ლარის ანაზღაურებაზე უსაფუძვლობის გამო.

აღნიშნულ გადაწყვეტილებაზე სააპელაციო საჩივარი შეიტანა პ. ფ-იამ.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 20 ნოემბრის გადაწყვეტილებით პ. ფ-იას სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გაუქმდა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 11 ივნისის გადაწყვეტილება ვ. შ-მის სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილების ნაწილში და ამ ნაწილში მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, ვ. შ-მის სასარჩელო მოთხოვნა პ. ფ-იასათვის ავტოავარიით მიყენებული ზიანის – 5900 ლარის, სახელმწიფო ბაჟის – 160 ლარისა და ექსპერტიზის ხარჯების – 300 ლარის ანაზღაურების თაობაზე არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად ცნო, რომ «ფორდ ტანზიტის» მარკის ავტომანქანა, სახელმწიფო ნომრით 1..., მისმა მესაკუთრემ პ. ფ-იამ სარგებლობის მიზნით, გადასცა გ. მ-მეს, პალატამ მიიჩნია, რომ მათ შორის არსებობდა თხოვნის ხელშეკრულება და ამ სამართლებრივი ურთიერთობის საფუძველზე გ. მ-მე წარმოადგენდა მართლზომიერ, პირდაპირ მფლობელს, ხოლო პ. ფ-ია არაპირდაპირ მფლობელს. პალატამ განმარტა, რომ, სკ-ის 999-ე მუხლის მე-4 ნაწილის ბოლო წინადადების მიხედვით, მოსარგებლე წარმოადგენს ამავე კოდექსის 155-ე მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრულ სუბიექტს, რომელიც, მართალია, ფაქტობრივად ფლობს ნივთს (მჭერი), მაგრამ ხვდა პირის, კერძოდ, ნივთის ფლობის უფლებამოსილების მიმნიჭებელი პირის სასარგებლოდ.

სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ, ვინაიდან, საქართველოს შსს საქსპერტო-კრიმინალისტიკური მთავარი სამმართველოს რეგიონული სამსახურის 2008 წლის 30 აპრილის '247/ა ექსპერტის დასკვნით დადგენილია, რომ 2008 წლის 31 მარტს, ქ. ქობულეთში, ... ქუჩაზე მოძრავ «ბ.მ.კ-ს» მარკის ავტომობილს, რომელსაც მართავდა ვ. შ-მე, სახელმწიფო ნომრით - ..., შეეჯახა საპირისპირო მიმართულებით მოძრავი «ფორდ ტანზიტის» მიკროავტობუსს, რომელსაც გ. მ-მე მართავდა, სახელმწიფო ნომრით 1 ... და ამ შეჯახების დროს დაზიანდა ვ. შ-მის ავტომანქანა, ამასთან, მძღოლ გ. მ-მის ქმედება არ შეესაბამებოდა საგზაო მოძრაობის უსაფრთხოებათა შესახებ საქართველოს კანონის 27.1. მუხლის მოთხოვნებს, რომელთა დაცვის შემთხვევაში მას ტექნიკური თვალსაზრისით შეეძლო ავტოსაგზაო შემთხვევის თავიდან აცილება, ხოლო მძღოლ ვ. შ-მეს საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნები არ დაურღვევია და ტექნიკური თვალსაზრისით არ შეეძლო მომხდარი ავტოსაგზაო შემთხვევის თავიდან აცილება, პალატამ მიიჩნია, რომ განსახილველ შემთხვევაში არსებობს სკ-ის 992-ე, 999-ე მუხლის 1-ელი ნაწილით გათვალისწინებული საფუძვლები, რომლის მიხედვითაც ვ. შ-მისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურებაზე პასუხისმგებელია გ. მ-მე.

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა მოწინააღმდეგე მხარის მოსაზრება იმის შესახებ, რომ, 999-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, ვ. შ-მის ავტომანქანაზე მიყენებული ზიანის ანაზღაურების ვალდებულება გააჩნია «ფორდ ტანზიტის» მიკროავტობუსის მესაკუთრეს პ. ფ-იას და იგი წარმოადგენს სათანადო მოპასუხეს ავტოავარიის შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურების თაობაზე წარმოებულ განსახილველ დავაში. სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ იმის გათვალისწინებით, რომ მოსარჩელე ვ. შ-მემ უარი განაცხადა სააპელაციო სასამართლოს მთავარ სხდომაზე არასათანადო მოპასუხის – პ. ფ-იას, სათანადო მოპასუხით, გ. მ-მის შეცვლაზე, სსსკ-ის 85-ე მუხლის შესაბამისად, აღნიშნული გარემოება მისი სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველია.

აღნიშნულ გადაწყვეტილებაზე საკასაციო საჩივარი შეიტანა ვ. შ-მის წარმომადგენელმა მ. ა-შვილმა და მიუთითა, რომ, სკ-ის მე-2 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ერთი და იმავე დონის სამართლის ნორმათა კოლიზიის დროს გამოიყენება სპეციალური და უფრო ახალი კანონი. ამ კოდექსით გათვალისწინებულ ზოგად ნორმებსა და სპეციალურ ნორმებს შორის კოლოზიის შემთხვევაში გამოიყენება სპეციალური ნორმები. სკ-ის 992-ე მუხლი არის ზოგადი ნორმა, რომელიც მოიცავს დელიქტური ვალდებულებების ზოგად პრინციპებს, ხოლო 999-ე მუხლი არის სპეციალური ნორმა, რომელიც უშუალოდ სატრანსპორტო საშუალების ექსპლოატაციის შედეგად დამდგარი ზიანის ანაზღაურების პრინციპებს არეგულირებს. სკ-ის 999-ე მუხლის ოთხივე ნაწილის განხილვისას კი შეიძლება

ითქვას, რომ პირველი ნაწილი არის სატრანსპორტო საშუალების შედეგად დამდგარი ზიანის ანაზღაურების ზოგადი ნორმა, ხოლო დარჩენილი სამი კი ატარებს სპეციალურ ნორმათა ხასიათს, რომლებიც ცვლიან პირველი ნაწილის დისპოზიციით დადგენილი პირების პასუხისმგებლობის საკითხს.

კასატორი მიუთითებს, რომ სამოქალაქო კოდექსის დელიქტურ ვალდებულებათა თავი შეიცავს ისეთ მუხლებს, სადაც გათვალისწინებულია იმ პირთა პასუხისმგებლობის საკითხი, რომლებიც არ არიან უშუალოდ მიზეზობრივ კავშირში დამდგარ შედეგთან და მათი ქმედება არაა მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მაინც დგება მათი პასუხისმგებლობა (სკ-ის 994-ე, 997-ე, 998-ე, 1001-ე, 1003-ე, 1005-ე და ა.შ.) სწორედ ასეთ შემთხვევას მიეკუთვნება სკ-ის 999-ე მუხლის მე-4 ნაწილი.

კასატორმა მიუთითა, რომ მან სარჩელს დაურთო პ. ფ-იას მიერ წინასწარ გამოძიებაში მიცემული ჩვენება, რომელშიც ის აღნიშნავს, რომ 2008 წლის 30 მარტს ავტომანქანა ათხოვა გ. მ-ძეს, რომლისთვისაც არ უკითხავს ჰქონდა თუ არა მართვის მოწმობა, იმავე ჩვენებაში აღნიშნავს, რომ ავტოსატრანსპორტო შემთხვევის დღეს გაიგო, რომ გ. მ-ძეს მართვის მოწმობა ჩამორთმეული ჰქონდა. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ამ საკითხზე საერთოდ არ უმსჯელია. პ. ფ-იას გადაცემული ჰქონდა გ. მ-ძესათვის ავტომობილი თხოვების გზით, სააპელაციო სასამართლო გადაწყვეტილებაში აღნიშნავს, რომ ავტომობილის გადაცემის შემდგომ გ. მ-ძე მართლობიერი მფლობელი გახდა და, 999-ე მუხლის 1-ელი ნაწილის თანახმად, პასუხისმგებლობაც გ. მ-ძეს უნდა დაეკისროს.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ განიხილა საქმის მასალები, გაეცნო საკასაციო საჩივარს და მიიჩნია, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 20 ნოემბრის გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე პალატას შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 999-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, თუ პირი სატრანსპორტო საშუალებას იყენებს მფლობელის ნებართვის გარეშე, იგი ვალდებულია, მფლობელის ნაცვლად აანაზღაუროს ზიანი. ამასთან, მფლობელი ვალდებულია, აანაზღაუროს მიყენებული ზიანი, თუ სატრანსპორტო საშუალების გამოყენება შესაძლებელი გახდა მისი ბრალის გამო. ამ ნაწილის პირველი წინადადება არ გამოიყენება, თუ მოსარგებლე მფლობელის მიერ დანიშნულია სატრანსპორტო საშუალების სამართავად ან, თუ ეს სატრანსპორტო საშუალება მას გადაცემული ჰქონდა მფლობელისაგან.

განსახილველი ნორმის მიზნებიდან გამომდინარე, სატრანსპორტო საშუალების მფლობელად მიიჩნევა პირი, ვინც იურიდიული საფუძველით ახორციელებს ამ ნივთზე ფაქტობრივ ბატონობას. იმ შემთხვევაში თუ პირი, რომელიც იყენებს სატრანსპორტო საშუალებას მისი მფლობელის ნებართვის გარეშე (არამართლობიერი მფლობელი), მიაყენებს ზიანს ამ სატრანსპორტო საშუალების გამოყენებით, სამოქალაქო პასუხისმგებლობა დაეკისრება ამ უკანასკნელს და არა სატრანსპორტო საშუალების მფლობელს. ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ პირს, რომელიც მართავდა სატრანსპორტო საშუალებას, არ გააჩნდა მისი ფლობის უფლება (მაგალითად, სატრანსპორტო საშუალების მფლობელს არ გადაუცია მოსარგებლისათვის იგი, ანდა გადაცემული ტრანსპორტი მოსარგებლემ გამოიყენა მფლობელის ნების საწინააღმდეგოდ). ამასთან, მფლობელი ვალდებულია, აანაზღაუროს მიყენებული ზიანი, თუ სატრანსპორტო საშუალების გამოყენება შესაძლებელი გახდა მისი ბრალის გამო. (მაგალითად, სატრანსპორტო საშუალების კარები დატოვა ღიად, გასაღები დატოვა მასში). აღნიშნული მიუთითებს იმაზე, რომ მან ვერ უზრუნველყო მის მფლობელობაში არსებული სატრანსპორტო საშუალების სათანადო დაცვა, რაც გახდა სხვა პირთა მიერ სატრანსპორტო საშუალების დაუფლების საფუძველი. სხვა შემთხვევა, როდესაც მფლობელის ნების საფუძველზეა მოსარგებლისათვის გადაცემული სატრანსპორტო საშუალება. განსახილველი ნორმით გათვალისწინებულია შემთხვევები, როდესაც მფლობელის ნებით პირი დანიშნულია სატრანსპორტო საშუალების სამართავად ან, თუ ეს სატრანსპორტო საშუალება მას გადაცემული ჰქონდა მფლობელისაგან. უნდა ვიფიქროთ, რომ მფლობელის ნებით სატრანსპორტო საშუალების გადაცემით, მისი მიმღები პირი ხდება მართლობიერი მფლობელი, მაგრამ კანონი განსახილველი ნორმით მფლობელის ნების საფუძველზე სატრანსპორტო საშუალების მიმღებ პირად გულისხმობს მოსარგებლეს, რომელსაც არ ეკისრება სამოქალაქო პასუხისმგებლობა მის მიერ მიყენებული ზიანისათვის მსგავსად საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 999-ე მუხლის მე-4 ნაწილის პირველი წინადადებით გათვალისწინებული შემთხვევისა (პირი, რომელსაც არ გააჩნდა ნებართვა სატრანსპორტო საშუალებას გამოყენებაზე).

ამდენად, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 999-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, უნდა გავითვალისწინოთ ორი გარემოება, რომლის არსებობის შემთხვევაში პასუხისმგებლობა შეიძლება დაეკისროს სატრანსპორტო საშუალების მფლობელს და არა მოსარგებლეს, ანუ პირს, რომელიც მართავდა სატრანსპორტო საშუალებას, კერძოდ, როდესაც მოსარგებლე მფლობელის მიერ დანიშნულია სატრანსპორტო საშუალების სამართავად ან, თუ ეს სატრანსპორტო საშუალება მას გადაცემული ჰქონდა მფლობელისაგან. ორივე შემთხვევაში, გამოყენებისას, მოსარგებლის მიერ მიყენებული ზიანისათვის ზიანის ანაზღაურებაზე პასუხისმგებლობა შეიძლება დაეკისროს სატრანსპორტო საშუალების მფლობელს და არა მოსარგებლეს.

ამ შემთხვევაში მნიშვნელობა ენიჭება მომეტებული საფრთხის წყაროთი მიყენებული ზიანის ინსტიტუტის თავისებურებას, რომლის შესაბამისად სამოქალაქო პასუხისმგებლობა შეიძლება დაეკისროს პირს (მფლობელს), რომელიც არ წარმოადგენს ზიანის მიმყენებელს, ბრალი არ მიუძღვის ზიანის მიყენებაში.

ამრიგად, განსახილველი ნორმები ითვალისწინებენ მომეტებული საფრთხის წყაროთი ზიანის ანაზღაურების სამართლებრივ დანაწესებს, განსაზღვრავს იმ პირის პასუხისმგებლობას, რომელიც ვალდებულია, მომეტებული საფრთხის წყაროთი მიყენებული ზიანის ანაზღაურებაზე. როგორც აღინიშნა, ეს პასუხისმგებლობა უფრო მკაცრი

პასუხისმგებლობა, რომელიც შეიძლება დადგეს ბრალის გარეშე, მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ განსახილველი ნორმები არ ართმევენ დაზარალებულს უფლებას, ზიანის ანაზღაურება მოითხოვოს, იმ პირისაგან, ვისაც უშუალოდ ბრალი მიუძღვის ზიანის მიყენებაში საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლის თანახმად. კონკრეტულ შემთხვევაში, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 999-ე მუხლის პირველი და მე-4 ნაწილის მე-3 წინადადების დანაწესები აკონკრეტებენ ისეთ შემთხვევებს, როდესაც პასუხისმგებლობა შეიძლება დაეკისროს სატრანსპორტო საშუალების მფლობელს.

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 999-ე მუხლის მოთხოვნები, შესაბამისად, არასწორად გამოიყენა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 85-ე მუხლის დანაწესი და არასწორად მიიჩნია პ. ფ-ია არასათანადო მოპასუხედ. კონკრეტულ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები, არ გამოირიცხავენ მფლობელ პ. ფ-იასადმი გ. მ-ძის სატრანსპორტო საშუალებით მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის საკითხს.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის «ე» ქვეპუნქტის თანახმად, გადაწყვეტილება ყოველთვის ჩაითვლება კანონის დარღვევით მიღებულად, თუ გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ საქმე უნდა განიხილოს პ. ფ-იას წინააღმდეგ აღძრული სარჩელის ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლიანობის ფარგლებში და მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

### **და ა დ გ ი ნ ა:**

ვ. შ-ძის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;  
გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 20 ნოემბრის გადაწყვეტილება და საქმე ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდეს იმავე პალატას;  
განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## **ავტოსატრანსპორტო შემთხვევის დროს ავტომანქანის მესაკუთრის ბრალის გარეშე პასუხისმგებლობა განჩინება**

1ას-254-239-2010

20 ივლისი, 2010 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა**  
**შემადგენლობა: ლ. ლაზარაშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),**  
**ნ. კვანტალიანი,**  
**ვ. როინიშვილი**

**დავის საგანი:** ავტოსატრანსპორტო შემთხვევით მიყენებული ზიანის ანაზღაურება

### **აღწერილობითი ნაწილი:**

2009 წლის 17 ივნისს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას სასარჩელო განცხადებით მიმართა ქ. ს-მა მოპასუხეების – ვ. ბ-შვილისა და ლ. ნ-ძის მიმართ. მოსარჩელემ მოითხოვა ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად, კუთვნილი ავტომანქანის დაზიანების გამო, მოპასუხეებისაგან ზიანის ანაზღაურება სოლიდარულად 9 419 ლარის ოდენობით.

სარჩელის თანახმად, ქ. ს-ის საკუთრებაშია ავტომანქანა მერსედესი, სახელმწიფო ნომრით ..., რომელიც კანონიერ მფლობელობაში ჰქონდა გადაცემული შ. ხ-შვილს და ეს უკანასკნელი სარგებლობდა ავტომანქანით. 2009 წლის 8 ივნისს შ. ხ-შვილს დაეჯახა ლ. ნ-ძის საკუთრებაში მყოფი ავტომანქანა მერსედესი სახელმწიფო ნომრით ..., რომელსაც მართავდა ვ. ბ-შვილი. საპატრულო პოლიციის მიერ შედგენილი საჯარიმო ქვითრიდან ირკვევა, რომ ავტოსაგზაო შემთხვევა მოხდა ლ. ნ-ძის საკუთრებაში მყოფი ავტომანქანის მიზეზით. მოსარჩელის განმარტებით, მის საკუთრებაში არსებული ავტომანქანის აღდგენას სჭირდება 9 419 ლარი.

მოპასუხე ვ. ბ-შვილმა სარჩელი არ ცნო. სარჩელი ასევე არ ცნო ლ. ნ-ძემ, რაც იმით დაასაბუთა, რომ მას ბრალი არ მიუძღვოდა ზიანის მიყენებაში. შესაბამისად, იგი მიიჩნევდა, რომ მოსარჩელის წინაშე ზიანის ანაზღაურების ვალდებულება არ წარმოშობია.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 18 ივნისის განჩინებით სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით ყადაღა დაედო მოპასუხე ლ. ნ-ძის სატრანსპორტო საშუალებას.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 1 ოქტომბრის გადაწყვეტილებით ქ. ს-ის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, მოპასუხე ვ. ბ-შვილს ქ. ს-ის სასარგებლოდ დაეკისრა 9 419 ლარის გადახდა, სარჩელის მოთხოვნა ლ. ნ-ძის მიმართ არ დაკმაყოფილდა; ამავე განჩინებით თბილისის საქალა-

ქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის **2009 წლის 18** ივნისის განჩინებით გამოყენებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება გაუქმდა.

საქალაქო სასამართლომ მიუთითა საქმის მასალებით დადგენილ შემდეგ უდავო ფაქტობრივ გარემოებებზე:

**2009 წლის 8** ივნისს, დაახლოებით **19.30** საათზე, მოხდა ავტოსაგზაო შემთხვევა. ავტომანქანა მერსედესს სახელმწიფო ნომრით ...-ს მართავდა მოპასუხე ვ. ბ-შვილი, ხოლო მოსარჩელის კუთვნილ ავტომანქანა მერსედესს სახელმწიფო ნომრით ... – შ. ხ-შვილი;

**2000 წელს** გამოშვებული ავტომანქანა მერსედეს-ბენცი, სახელმწიფო ნომრით ..., რეგისტრირებულია ქ. ს-ის სახელზე;

**1995 წელს** გამოშვებული ავტომანქანა მერსედეს ბენცი სახელმწიფო ნომრით ... საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოში რეგისტრირებულია მოპასუხე ლ. ნ-ძის სახელზე;

საპატრულო პოლიციის თანამშრომლის მიერ საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის ადგილზე შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი **1**ზდ **09645**, სადაც დაფიქსირდა ვ. ბ-შვილის მიერ საგზაო მოძრაობის წესების დარღვევა. აღნიშნული ოქმი ვ. ბ-შვილს არ გაუსაჩივრებია და ძალაშია.

საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასების შედეგად საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელის კუთვნილი ავტომანქანის დაზიანება გამოწვეულია მოპასუხე ვ. ბ-შვილის მართლსაწინააღმდეგო ბრალეული მოქმედებით, რის გამოც მას მოსარჩელისათვის მიყენებული ზიანის ასანაზღაურებლად უნდა დაკისრებოდა **9 419** ლარის გადახდა. ზიანის ანაზღაურების ვალდებულება არ უნდა დაკისრებოდა მოპასუხე ლ. ნ-ძეს, ვინაიდან არ დგინდებოდა მისი ბრალი ზიანის მიყენებაში.

საქალაქო სასამართლოს ზემოთითხილებული დასკვნა დაეფუძნა შემდეგ მოტივებს:

სამოქალაქო კოდექსის **999-ე** მუხლის **1-ელი** ნაწილის შესაბამისად, მგზავრების გადაყვანისა და ტვირთის გადაზიდვისათვის გათვალისწინებული სატრანსპორტო საშუალების მფლობელი, თუ მისი სატრანსპორტო საშუალების ექსპლოატაციას მოჰყვება ადამიანის სიკვდილი, დასახიჩრება ან ჯანმრთელობის მოშლა, ანდა ნივთის დაზიანება, ვალდებულია დაზარალებულს აუნაზღაუროს აქედან წარმოშობილი ზიანი. სატრანსპორტო საშუალების მფლობელი შეიძლება იყოს როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირი, რომელიც კანონიერი საფუძველით ფლობს სატრანსპორტო საშუალებას. სატრანსპორტო საშუალების მფლობელი შეიძლება იყოს როგორც მისი მესაკუთრე, ისე – დამკირავებელი და სხვა. სატრანსპორტო საშუალების მფლობელად არ ჩაითვლება პირი, რომელიც მართავს სატრანსპორტო საშუალებას სატრანსპორტო მფლობელთან შრომითი ურთიერთობის საფუძველზე.

საქალაქო სასამართლოს მოსაზრებით, რამდენადაც მოცემულ შემთხვევაში ვ. ბ-შვილი თხოვრების საფუძველზე ფლობდა ლ. ნ-ძის კუთვნილ ავტომანქანას და ექსპლოატაციას უწყევდა მას, იგი აღნიშნული ავტომანქანის მფლობელად თვითონვე მოიაზრებოდა. აქედან გამომდინარე, სამოქალაქო კოდექსის პირველ ნაწილში გათვალისწინებული სატრანსპორტო საშუალების მფლობელად და ზიანის დადგომაში პასუხისმგებელ პირად გვევლინებოდა ვ. ბ-შვილი. ამასთან, ვ. ბ-შვილს ლ. ნ-ძისაგან ავტომანქანა გადაცემული ჰქონდა თხოვრების ხელშეკრულების საფუძველზე და ამ ტრანსპორტის პირდაპირ მფლობელად ითვლებოდა.

საქალაქო სასამართლომ საქმის მასალებზე დაყრდნობით მიიჩნია, რომ მოსარჩელისათვის მიყენებული ზიანის ოდენობა შეადგენდა **9 419** ლარს, რომლის ანაზღაურება უნდა დაკისრებოდა მოპასუხე ვ. ბ-შვილს.

საქალაქო სასამართლომ უსაფუძვლოდ მიიჩნია მოთხოვნა მოპასუხე ლ. ნ-ძის მიმართ სოლიდარულად ზიანის ანაზღაურების ვალდებულების დაკისრების შესახებ, რაც შემდეგნაირად დაასაბუთა:

სამოქალაქო კოდექსის **998-ე** მუხლის მიხედვით, თუ ზიანის დადგომაში მონაწილეობს რამდენიმე პირი, ისინი პასუხს აგებენ, როგორც სოლიდარული მოვალეები. ზიანისათვის პასუხს აგებს არა მარტო უშუალოდ მიმყენებელი, არამედ ისიც, ვინც დაიყოლია ან მისი ხელშეწყობი იყო, ასევე ისიც, ვინც შეგნებულად ისარგებლა სხვისთვის მიყენებული ზიანით.

საქალაქო სასამართლოს მოსაზრებით, არ არსებობდა გარემოებები, რაც ზემოაღნიშნული ნორმის თანახმად ლ. ნ-ძისათვის სოლიდარული ვალდებულების დაკისრების საფუძველი გახდებოდა. ზიანის დადგომაში ლ. ნ-ძის მონაწილეობა არ დგინდებოდა. მხოლოდ ის გარემოება, რომ მისი კუთვნილი სატრანსპორტო საშუალების ექსპლოატაციას მოჰყვება მოსარჩელის კუთვნილი ავტომანქანის დაზიანება, არ წარმოადგენდა მისთვის ზიანის ანაზღაურების დაკისრების საფუძველს.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გასაჩივრა ქ. ს-მა, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის სრულად დაკმაყოფილება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის **2010 წლის 5** იანვრის გადაწყვეტილებით ქ. ს-ის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის **2009 წლის 1** ოქტომბრის გადაწყვეტილება შეიცვალა ლ. ნ-ძისათვის თანხის დაკისრებაზე უარის თქმის ნაწილში და ამ ნაწილში მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, ქ. ს-ის სარჩელი ლ. ნ-ძისათვის ვ. ბ-შვილთან ერთად სოლიდარულად მის სასარგებლოდ **9 419** ლარის დაკისრების შესახებ დაკმაყოფილდა, გაუქმდა საქალაქო სასამართლოს **2009 წლის 1** ოქტომბრის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-5 პუნქტი, რომელიც შეეხებოდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის **2009 წლის 18** ივნისის განჩინებით გამოყენებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმებას.

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ **2000 წელს** გამოშვებული ავტომანქანა მერსედეს-ბენცი, სახელმწიფო ნომრით ..., რეგისტრირებულია ქ. ს-ის სახელზე; **1995 წელს** გამოშვებული ავტომანქანა მერსედეს ბენცი სახელმწიფო ნომრით ... რეგისტრირებულია მოპასუხე ლ. ნ-ძის სახელზე; **2009 წლის 8** ივნისს, **19.30** საათზე, მოხდა ავტოსაგზაო შემთხვევა. ავტომანქანა მერსედესს სახელმწიფო ნომრით ...-ს მართავდა მოპასუხე ვ.

ბ-შვილი, ხოლო მოსარჩელის კუთვნილ ავტომანქანა მერსედესს სახელმწიფო ნომრით ... – შ. ბ-შვილი; საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევა გამოიწვია ვ. ბ-შვილის მიერ საგზაო მოძრაობის წესების დარღვევამ; მოსარჩელის კუთვნილი ავტომანქანის დაზიანების შედეგად შესაცვლელი ნაწილების ღირებულება შეადგენს 9419 ლარს; ვ. ბ-შვილს მართვის ქვეშ მყოფი ავტომანქანა გადაცემული ჰქონდა ლ. ნ-მისაგან თხოვების საფუძველზე.

სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა აპელანტის მოსაზრება იმის შესახებ, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს პასუხისმგებლობის საკითხის განსაზღვრისას უნდა გამოეყენებინა სამოქალაქო კოდექსის 999-ე მუხლის მე-4 ნაწილი. აღნიშნული ნორმის შესაბამისად, თუ პირი სატრანსპორტო საშუალებას იყენებს მფლობელის ნებართვის გარეშე, იგი ვალდებულია მფლობელის ნაცვლად ანაზღაუროს ზიანი. ამასთან, მფლობელი ვალდებულია ანაზღაუროს მიყენებული ზიანი, თუ სატრანსპორტო საშუალების გამოყენება შესაძლებელი გახდა მისი ბრალის გამო. ამ ნაწილის პირველი წინადადება არ გამოიყენება, თუ მოსარგებლე მფლობელის მიერ დანიშნულია სატრანსპორტო საშუალების სამართავად, ან თუ ეს სატრანსპორტო საშუალება მას გადაცემული ჰქონდა მფლობელისაგან. ამდენად, მითითებული ნორმის პირველი წინადადება გამორიცხავს მფლობელის პასუხისმგებლობას, თუკი ნივთი მისი მფლობელობიდან გავიდა მისი ნებართვისა და ბრალის გარეშე. მფლობელის პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების საწინააღმდეგო დანაწესს ამკვიდრებს ამავე მუხლის ბოლო წინადადება. იგი დისპოზიციური ხასიათის დებულებაა, რომლის მიხედვით, მფლობელის პასუხისმგებლობის წარმოშობის ერთ-ერთ წანამდგარს წარმოადგენს მფლობელის მიერ ნივთის მოსარგებლისათვის გადაცემა. ამასთან, ნორმის მიზნიდან გამომდინარე, მნიშვნელობა არა აქვს, მფლობელობა პირდაპირია თუ არაპირდაპირი. მთავარია, რომ ნივთის გადაცემა მფლობელის მიერ უნდა ხორციელდებოდეს მართლზომიერ საფუძველზე.

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში ვ. ბ-შვილის მიერ ავტომანქანით სარგებლობა ხდებოდა ლ. ნ-მისაგან მინიჭებულ ლეგიტიმურ საფუძველზე, თხოვების ხელშეკრულებიდან გამომდინარე.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ სამოქალაქო კოდექსის 999-ე მუხლი სპეციალური ურთიერთობის მომწესრიგებელი ქვევის წესია და ერთგვარად საგამონაკლისო ხასიათის ნორმაცაა, იმდენად რამდენადაც განსაზღვრავს ბრალის გარეშე პასუხისმგებლობის წარმოშობის საფუძველებს. სწორედ ამითაა განპირობებული, რომ პასუხისმგებლობა ზიანისთვის ყოველთვის ეკისრება სატრანსპორტო საშუალების მფლობელს, მიუხედავად იმისა, თუ ვინ იყო ზიანის უშუალო მიმყენებელი, ვისი ბრალით იყო გამოწვეული ზიანი. პასუხისმგებლობის ამ წესით განსაზღვრა და პასუხისმგებელ სუბიექტთა სამოქალაქო კოდექსის 999-ე მუხლის მე-4 ნაწილით დადგენილი კლასიფიკაცია განპირობებულია იმ გარემოებით, რომ ავტოსატრანსპორტო საშუალება წარმოადგენს მომეტებული საფრთხის წყაროს, რა დროსაც ადამიანის მხრიდან მისი გამოყენების შემთხვევაში სრული და გარანტირებული კონტროლის განხორციელება შეუძლებელია და ექსპლოატაციისას ადამიანისა თუ ნივთისადმი რაიმე სახის ზიანის მიყენების გარკვეული შესაძლებლობა ყოველთვის არსებობს. სამოქალაქო კოდექსის 999-ე მუხლის გამოყენება სწორედ იმ შემთხვევაში ხდება, როდესაც ზიანი გამოწვეულია ნივთის იმ თვისებებით, რის გამოც იგი მომეტებული საფრთხის წყაროს განეკუთვნება, ანუ, სატრანსპორტო საშუალების მფლობელს მხოლოდ მაშინ დაეკისრება პასუხისმგებლობა, თუკი დარღვეულია მისი ექსპლოატაციის წესები. განსახილველ შემთხვევაში უდავოდ დგინდებოდა, რომ ზიანი ავტომანქანის მართვისას, გარე ფაქტორების ზემოქმედების გარეშე, ვ. ბ-შვილის, ანუ მოსარგებლის მიერ საგზაო მოძრაობის წესების დარღვევამ გამოიწვია. აღნიშნული უკვე იძლეოდა დასკვნის საფუძველს, რომ ურთიერთობა უნდა მოწესრიგებულიყო სწორედ სამოქალაქო კოდექსის 999-ე მუხლის შესაბამისად.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ პასუხისმგებლობის სუბიექტთა დიფერენცირება სწორედ სამართალურთიერთობის იურიდიული ელემენტების გათვალისწინებით უნდა მომხდარიყო. ასე მაგალითად, იჯარის ხელშეკრულებისას ავტოსატრანსპორტო საშუალებით მიყენებული ზიანის შემთხვევაში პასუხისმგებლობა უნდა დაკისრებოდა მოიჯარეს, იმდენად რამდენადაც იჯარის ხელშეკრულებით მოიჯარე მესაკუთრისამებრ ფლობს ნივთს, აღიჭურვება ნივთის მესაკუთრის უფლებებში და რაც ძალზე მნიშვნელოვანია, ამგვარი ურთიერთობის ფარგლებში მისთვის გარანტირებულია (კანონის საფუძველზე) ნივთით სარგებლობის შედეგად მატერიალური სიკეთის მიღების შესაძლებლობა (სამოქალაქო კოდექსის 581-ე მუხლი). იჯარის ხელშეკრულება ორმხრივი ხელშეკრულებაა, მეიჯარესა და მოიჯარეს შორის თანმხვედრი უფლებებითა და მოვალეობებით. შესაბამისად, რადგან მოიჯარე უფლების თვალსაზრისით უთანაბრდება მესაკუთრეს, მანვე უნდა ზღოს მომეტებული საფრთხის წყაროს მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურების ტვირთი, განსხვავებით თხოვების ხელშეკრულებისაგან, რომელიც თავისი იურიდიული ბუნებით ცალმხრივი ხელშეკრულებაა და ამ ხელშეკრულების ფარგლებში მოთხოვნის უფლება გააჩნია მხოლოდ გამნათხოვრებელს, ხოლო მონათხოვრეს აკისრია მხოლოდ ვალდებულებები (სამოქალაქო კოდექსის 615-ე-622-ე მუხლები). ასეთ შემთხვევაში, როდესაც სამართალურთიერთობას ჰყავს ერთადერთი მოთხოვნის მქონე სუბიექტი, ნივთის განათხოვრების შედეგად დამდგარი ზიანის რისკის მატარებელი სწორედ გამნათხოვრებელია, ანუ მოთხოვნის კრედიტორი.

ზემოაღნიშნული მსჯელობიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ დაასკვნა, რომ ვ. ბ-შვილზე ავტომანქანის განათხოვრებით ნივთის მესაკუთრე ლ. ნ-მის შეუნარჩუნდა ავტოსატრანსპორტო საშუალების ექსპლოატაციით მოსალოდნელი რისკიც და მის შედეგზე პასუხისმგებლობაც და მფლობელობის გადაცემით იგი მონათხოვრე ბ-შვილზე არ გადასულა. ასეთ ვითარებაში, მართალია, არ არსებობდა სოლიდარული პასუხისმგებლობის საფუძველები, მაგრამ, იმდენად, რამდენადაც ვ. ბ-შვილს არ გაუსაჩივრებია საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება, სააპელაციო სასამართლო მოკლებული იყო შესაძლებლობას, მის მიმართ გადაესინჯა გადაწყვეტილება. სააპელაციო სასამართლომ გაითვალისწინა ის გარემოებაც, რომ ერთი და იგივე ქმედებისათვის დაუშვებელი იყო ორმაგი პასუხისმგებლობა, კერძოდ, სარჩელით მოთხოვნილი თანხა არ შეიძლებოდა დამოუკიდებლად ორ სხვა-

დასხვა პირს დაკისრებოდა სრული მოცულობით (ლ. ნ-ძესაც 9 419 ლარი და ვ. ბ-შვილსაც 9 419 ლარი პერსონალურად). შესაბამისად, ლ. ნ-ძეს ვ. ბ-შვილთან ერთად სოლიდარულად უნდა დაკისრებოდა 9 419 ლარი.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა ლ. ნ-ძემ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და საქმეზე ახალი გადაწყვეტილების მიღება, რომლითაც ქ. ს-ის მოთხოვნა ლ. ნ-ძისათვის თანხის სოლიდარულად დაკისრების შესახებ არ დაკმაყოფილდება.

კასატორის მოსაზრებით, სასამართლოს მოცემული დავის გადაწყვეტისას არ უნდა გამოეყენებინა სამოქალაქო კოდექსის 999-ე მუხლის მე-4 ნაწილი, რამდენადაც ავტოსაგზაო შემთხვევის მომხდენი სატრანსპორტო საშუალების იურიდიული მფლობელი სწორედ ვ. ბ-შვილია. ამ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლოს უნდა გამოეყენებინა სამოქალაქო კოდექსის 158-ე მუხლი, რომლის მე-2 ნაწილიდან გამომდინარე, ლ. ნ-ძე არის ნივთის მესაკუთრე და არა მფლობელი, რაც გამორიცხავს სამოქალაქო კოდექსის 999-ე მუხლის მე-4 ნაწილის გამოყენებას.

კასატორი აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლომ პასუხისმგებლობა დააკისრა მესაკუთრეს, რაც არასწორია, რადგან პასუხისმგებლობა უნდა დაეკისროს იმ სატრანსპორტი საშუალების იურიდიულ მფლობელს, რომლის ექსპლუატაციასაც მოჰყვა შემთხვევა და შესაბამისად, არ არსებობს სამოქალაქო კოდექსის 999-ე მუხლის მე-4 ნაწილის გამოყენების იურიდიული საფუძველი. ლ. ნ-ძე არ წარმოადგენს ზიანის მიყენებაზე პასუხისმგებელ პირს, ვინაიდან მისი პასუხისმგებლობა ზიანის მიყენებაზე დადგებოდა მაშინ, ავტომანქანა მართვის მოწმობის არმქონე პირისათვის რომ გადაეცა. კასატორი აღნიშნავს, რომ მისი მხრიდან არ არსებობს ზიანის შემადგენლობა: ზიანის მიყენების ფაქტი, გამოწვეული მისი მართლსაწინააღმდეგო მოქმედებით, ბრალი და მართლსაწინააღმდეგო მოქმედებასა და ზიანს შორის მიზეზობრივი კავშირი.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის, საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ლ. ნ-ძის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე საკასაციო სასამართლო დადასტურებულად მიიჩნევს სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილ შემდეგ გარემოებებს:

2000 წელს გამოშვებული ავტომანქანა მერსედეს-ბენცი, სახელმწიფო ნომრით ..., რეგისტრირებულია მოსარჩელე ქ. ს-ის სახელზე;

1995 წელს გამოშვებული ავტომანქანა მერსედეს ბენცი, სახელმწიფო ნომრით ..., რეგისტრირებულია მოპასუხე ლ. ნ-ძის სახელზე;

2009 წლის 8 ივნისს, 19.30 საათზე, მოხდა ავტოსაგზაო შემთხვევა, რის შედეგად დაზიანდა ქ. ს-ის კუთვნილი ავტომანქანა. მას მართავდა შ. ხ-შვილი, ხოლო ლ. ნ-ძის კუთვნილ ავტომანქანა მერსედეს – მოპასუხე ვ. ბ-შვილი; საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევა გამოიწვია ვ. ბ-შვილის მიერ საგზაო მოძრაობის წესების დარღვევამ; მოსარჩელის კუთვნილი ავტომანქანის დაზიანების შედეგად შესაცვლელი ნაწილების ღირებულება შეადგენს 9419 ლარს;

დადგენილია ასევე, რომ ვ. ბ-შვილი საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის დროს ავტომანქანით სარგებლობდა ლ. ნ-ძისაგან მინიჭებულ ლეგიტიმურ საფუძველზე, თხოვრების ხელშეკრულებიდან გამომდინარე.

სამოქალაქო კოდექსის 999-ე მუხლის მე-4 ნაწილის პირველი წინადადების თანახმად, თუ პირი სატრანსპორტო საშუალებას იყენებს მფლობელის ნებართვის გარეშე, იგი ვალდებულია, მფლობელის ნაცვლად აანაზღაუროს ზიანი. ამავდრომის მესამე წინადადების თანახმად, ამ ნაწილის პირველი წინადადება არ გამოიყენება, თუ მოსარჩელე მფლობელის მიერ დანიშნულია სატრანსპორტო საშუალების სამართავად, ან თუ სატრანსპორტო საშუალება მას გადაცემული ჰქონდა მფლობელისაგან.

აღნიშნული ნორმის მიზნებიდან გამომდინარე, სატრანსპორტო საშუალების მფლობელად მიიჩნევა პირი, რომელიც იურიდიული საფუძველით ახორციელებს ნივთზე ფაქტობრივ ბატონობას. იმ შემთხვევაში, თუ პირი, რომელიც იყენებს სატრანსპორტო საშუალებას მისი მფლობელის ნებართვის გარეშე (არამართლობიერი მფლობელი), სხვას მიაყენებს ზიანს ამ სატრანსპორტო საშუალების გამოყენებით, სამოქალაქო პასუხისმგებლობა დაეკისრება ამ პირს (არამართლობიერი მფლობელს) და არა სატრანსპორტო საშუალების მფლობელს. სწორედ ასეთ რეგულირებას შეიცავს 999-ე მუხლის მე-4 ნაწილის პირველი წინადადება. ამასთან, მფლობელი ვალდებულია აანაზღაუროს მიყენებული ზიანი, თუ სატრანსპორტო საშუალების გამოყენება შესაძლებელი გახდა მისი ბრალის გამო, რასაც ითვალისწინებს 999-ე მუხლის მე-4 ნაწილის მეორე წინადადება. სხვა შემთხვევა, როდესაც მფლობელის მიერ მოსარგებლისათვის სატრანსპორტო საშუალების გადაცემა მართლობიერია და სატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციას მოჰყვება ზიანი. ასეთ შემთხვევაში 999-ე მუხლის მე-4 ნაწილის მესამე წინადადება მიჯნავს მფლობელის ნებით სატრანსპორტო საშუალების სამართავად დანიშნული პირის მიერ ზიანის მიყენებას და მფლობელის მიერ პირისათვის სხვა საფუძველით გადაცემული სატრანსპორტო საშუალებით ზიანის მიყენებას. უნდა ვიგულისხმოთ, რომ მფლობელის ნებით სატრანსპორტო საშუალების გადაცემით მისი მიმღები ხდება მართლობიერი მფლობელი, მაგრამ კანონი განსაზღვრული ნორმით მფლობელის ნების საფუძველზე სატრანსპორტო საშუალების მიმღებ პირად ვიგულისხმობს მოსარგებელს, რომელსაც ამ ნორმის თანახმად არ ეკისრება პასუხისმგებლობა მის მიერ მიყენებული ზიანისათვის, 999-ე მუხლის მე-4 ნაწილის პირველი წინადადებით გათვალისწინებული შემთხვევის მსგავსად.

ამდენად, სამოქალაქო კოდექსის 999-ე მუხლის მე-4 ნაწილის მესამე წინადადების თანახმად შესაძლებელია გამოვყოთ ორი შემთხვევა, როდესაც პასუხისმგებლობა ეკისრება სატრანსპორტო საშუალების მფლობელს: როდესაც



საც მოსარგებლე მფლობელის მიერ დანიშნულია სატრანსპორტო საშუალების სამართავად, ან თუ ეს სატრანსპორტო საშუალება მას გადაცემული ჰქონდა მფლობელისაგან. ამ შემთხვევაში მნიშვნელობა ენიჭება მომეტებული საფრთხის წყაროთი ზიანის მიყენების ინსტიტუტის თავისებურებას, რომლის შესაბამისად, სამოქალაქო პასუხისმგებლობა შეიძლება დაეკისროს პირს (მფლობელს), რომელიც არ წარმოადგენს ზიანის მიმყენებელს, არ მიუძღვის ბრალი ზიანის დადგომაში.

ზემოაღნიშნული განმარტების საფუძველზე საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ სამოქალაქო კოდექსის 999-ე მუხლის მე-4 ნაწილის მე-3 წინადადების საფუძველზე სწორად მიიჩნია ლ. ნ-ძე, როგორც ავტოსატრანსპორტი საშუალების მფლობელი, მოცემულ შემთხვევაში ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებულ პირად.

საკასაციო სასამართლო არ ზიარებს სააპელაციო სასამართლოს განმარტებას იმასთან დაკავშირებით, რომ მოცემულ საქმეზე არ არსებობდა ლ. ნ-ძისა და ვ. ბ-შვილის სოლიდარული პასუხისმგებლობის საფუძველები. ავტოსატრანსპორტო შემთხვევით დაზარალებულ პირს არ ეკრძალება, სამოქალაქო კოდექსის 408-ე მუხლის პირველი ნაწილით ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა ერთობლივად წაუყენოს როგორც ავტოსატრანსპორტო საშუალების მფლობელს, რომელიც ზიანის მიმყენებელია 999-ე მუხლის მე-4 ნაწილის მესამე წინადადების საფუძველზე, ისე – სატრანსპორტო საშუალების მოსარგებლეს, რომელიც ბრალეულად მოქმედებდა და ზიანის მიმყენებელია 992-ე მუხლის საფუძველზე. ამ შემთხვევაში სახეზეა მოვალეთა სიმრავლე ვალდებულებაში, ვალდებულებათა ერთიანობა, როდესაც ყოველ მოვალეს თავისი საკუთარი ვალდებულება აკისრია კრედიტორის წინაშე, მაგრამ ისინი ერთმანეთთან ისეა დაკავშირებული, რომ ქმნის სოლიდარულ ვალდებულებას. თუმცა აღნიშნული გარემოება არ წარმოადგენს საკასაციო საჩივრის დავის საგანს, მოცემულ გარემოებას არ გამოუწვევია საქმეზე არასწორი გადაწყვეტილების გამოტანა, რამდენადაც ვ. ბ-შვილს არ გაუსაჩივრებია საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება და სააპელაციო სასამართლოს მის მიმართ არ გადაუხსინჯია გადაწყვეტილება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო არ აკმაყოფილებს ლ. ნ-ძის საკასაციო საჩივარს და უცვლელად ტოვებს სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებულ გადაწყვეტილებას.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

#### **დ და ა დ გ ი ნ ა:**

ლ. ნ-ძის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;  
უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 5 იანვრის გადაწყვეტილება;  
საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

### **სამედიცინო დაწესებულების მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურება**

#### **განჩინება**

1ას-1268-1526-09

25 მაისი, 2010 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა**  
**შემადგენლობა: ნ. კვანტალიანი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),**  
**ლ. ლაზარაშვილი,**  
**თ. თოდრია**

**დავის საგანი:** ზიანის ანაზღაურება

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

ნ. და დ. ნ-ძეებმა სარჩელი აღძრეს სასამართლოში შპს «დ. ს-ის» მიმართ მოპასუხის ქმედებით მიყენებული მატერიალური ზიანის – 41273 ლარისა და მორალური ზიანის – 1000000 ლარის დაკისრების შესახებ შემდეგი საფუძველებით: 2005 წლის 15 აპრილს 19.30 საათზე მოსარჩელებმა გამოიძახეს შპს „კ-ის“ ბრიგადა, რომელმაც მათ მამას – ო. ნ-ძეს აღმოუჩინა სამედიცინო დახმარება. ამავე ბრიგადის ექიმის შეთავაზების საფუძველზე ავადმყოფი გადაყვანილი იქნება მოპასუხე კლინიკაში, სადაც ჩაუტარდა კორონოგრაფიული გამოკვლევა, ხოლო ამავე სამედიცინო დაწესებულების გადაწყვეტილებით აღნიშნული პროცედურიდან სამი საათის შემდეგ – სტენტირების მცდელობა, რაც სრულად და სათანადოდ არ განხორციელდა. აღნიშნულის შემდეგ ავადმყოფის მდგომარეობა დამძიმდა, გაუჩერდა გული, ხოლო ღამის სამ საათზე განუვითარდა მწვავე ინფარქტი. კლინიკაში შეყვანიდან 14 საათის დაგვიანებით, ისე რომ ო. ნ-ძეს არავითარი მანიპულაცია არ ჩატარებია, 2005 წლის 16 აპრილს 10.00 საათზე ავადმყოფი მძიმე მდგომარეობით გადაყვანილ იქნა კარდიოლოგიურ კლინიკა შპს „ლ-ში“, სადაც მას ამავე დღის ორ საათზე მწვავე სტენოკარდიული შეტევის ფონზე გაუკეთდა სასწრაფო ოპერაცია. მოპასუხემ ავადმყოფს ვერ გაუწია სათანადო სამედიცინო მომსახურება, რის გამოც, შემდგომ დასჭირდა არაერთი ქირურგიული ოპერა-

ცია, ავადმყოფს ჩამოუყალიბდა ასპირაციული პნევმონია, რაც გამოწვეულ იქნა მოპასუხე კლინიკის ბრალით. ოპერაციებისა და მკურნალობის ხარჯებმა შეადგინა **53909** ლარი, საიდანაც პროგრამული დაფინანსების წილი არის **12636**, ხოლო დანარჩენი ხარჯები მთლიანად დაფარეს ნ. და დ. ნ-მეებმა.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო შემდეგი დასაბუთებით: შპს «დ-ში» ო. ნ-მე გადაყვანილ იქნა ჩივილებით გულის არემი ტკივილზე, ზოგად სისუსტეზე. კლინიკაში შესვლისთანავე მისი მეუღლისა და კლინიკის წარმომადგენლების ხელმოწერით შესდგა პაციენტის თანხმობის ფორმა კორონაროგრაფიისა და ბალონური ანგიოპლასტიკის, სტენტირების პროცედურისათვის. აღნიშნული თანხმობის ფორმაში კი სრულად არის ჩამოყალიბებული დაავადების სიმპტომები, რისკ-ფაქტორები და გამოკვლევის ფორმა. იქვე აღნიშნულია გამოკვლევისა და მკურნალობის პერიოდში არსებული გართულებები, მათ შორის მიოკარდიუმის ინფარქტი, რომელიც თან ახლავს ანგიოპლასტიკას **0,3%** დასაშვები ოდენობით. ავადმყოფს ჩაუტარდა გულის მკვებავი სისხლძარღვების – კორონალური არტერიების რენტგენოკონტრასტული გამოკვლევა – კორონაროგრაფია. გულის იშემიური დაავადებისა და ინვაზიური დიაგნოსტიკა მოიცავს გულის მკვებავი სისხლძარღვების – კორონალური არტერიების რენტგენოკონტრასტულ გამოკვლევას – კორონოგრაფიასა და კარდიოლოგიურ მანიპულაციას – სტენტის ჩადგმას. პაციენტის ოჯახის წევრმა, მეუღლემ გამოთქვა თანხმობა ამგვარი მეთოდებით გამოკვლევისა და მკურნალობის შესახებ, შესაბამისად, დაეთანხმა რისკსაც. გაფრთხილების ფურცელში ასევე აღნიშნული იყო, რომ ქირურგიული ოპერაციის აუცილებლობის შემთხვევაში პაციენტი გაიგზავნებოდა გულის ქირურგთან ოპერაციისათვის, რაც მოხდა კიდევაც და მოსარჩელებს სწორედ აქედან წარმოუშვათ სარჩელში მითითებული ხარჯი, რაც მოპასუხე კლინიკისათვის წინასწარ სავარაუდო ვერ იქნებოდა. დაუსაბუთებელია მოსარჩელის მითითება, რომ კლინიკაში შეყვანიდან **14** საათის განმავლობაში ავადმყოფს არ ჩატარებია არავითარი მანიპულაცია, ვინაიდან გამოკვლევისა და სტენტის ჩადგმას არც მოსარჩელები უარყოფენ, განვითარებული მწვავე ინფარქტის შემდგომ კი ავადმყოფს გაუკეთდა მასაჟები, მიეცა სხვადასხვა საშუალებები, ჩატარდა შესაბამისი ღონისძიებები და დილის **10.00** საათზე იგი გადაყვანილ იქნა ქირურგთან ოპერაციის ჩასატარებლად. უსაფუძვლოა მოსარჩელის არგუმენტი ასპირაციული პნევმონიის ჩამოყალიბებასთან დაკავშირებით, ვინაიდან კარდიოლოგიური კლინიკა „ლ-ის“ ამონაწერიდან ნათლად ჩანს, რომ **2005** წლის **19** აპრილს ავადმყოფს ჩაუტარდა ფიბრონოსკოპია, რომლის საფუძველზეც გამოითქვა აზრი, რომ საქმე ჰქონდათ ასპირაციულ პნევმონიასთან, რაც მხოლოდ ვარაუდია და არა დადგენილი გარემოება. ავადმყოფ ო. ნ-მეს მკურნალობა ჩაუტარდა არსებული სტანდარტებისა და მოქმედი ნორმების შესაბამისად, რაც ასევე დადასტურებულია სსიპ „ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის სამსახურის“ **2005** წლის **19** სექტემბრის <sup>1</sup>კ<sup>403</sup> ექსპერტიზის დასკვნით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის **2007** წლის **17** ივლისის განჩინებით ნ. და დ. ნ-მეების სარჩელი მორალური ზიანის – **100000** ლარის დაკისრების მოთხოვნის ნაწილში დარჩა განუხილველად, ამავე სასამართლოს **2008** წლის **25** ნოემბრის გადაწყვეტილებით კი სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რაც ნ. და დ. ნ-მეებმა გაასაჩივრეს სააპელაციო წესით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის **2009** წლის **30** ივლისის განჩინებით ნ. და დ. ნ-მეების სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილა, ხოლო გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად შემდეგ გარემოებათა გამო: სააპელაციო პალატა დაეთანხმა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და დადგენილად მიიჩნია ასევე ის გარემოება, რომ შპს „ლ-ში“ პაციენტ ო. ნ-მის მკურნალობაზე გაწეული ხარჯები, **41273** ლარი, გადაიხადა ო. ნ-მის შვილმა – დ. ნ-მემ. აღნიშნული გარემოება დასტურდება მოსარჩელეთა ახსნა-განმარტებებით და მოპასუხის შესავებით. სასამართლოს მითითებით, მოსარჩელები მოპასუხე შპს „ლ-გან“ სადავო თანხის ანაზღაურებას მოითხოვენ იმ საფუძველით, რომ მოპასუხე სამედიცინო დაწესებულების მიერ პაციენტ ო. ნ-მისათვის არაკვალიფიციურად და არასწორად ჩატარებულმა სამედიცინო ქმედებებმა გამოიწვია პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობის გართულება, აღნიშნულის გამო აუცილებელი გახდა შპს „ლ-ში“ მის მკურნალობაზე დამატებითი ხარჯების გაღება, რითაც მოსარჩელებს მიადგათ ზიანი. პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო კოდექსის **992**-ე მუხლით და მიიჩნია, რომ მითითებული ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, ზიანის ანაზღაურების მოვალეობის წარმოშობისთვის უნდა არსებობდეს შემდეგი პირობები – ზიანი, მართლსაწინააღმდეგო მოქმედება და მიზეზობრივი კავშირი მართლსაწინააღმდეგო მოქმედებასა და დამდგარ ზიანს შორის. ამ პირობების ერთობლიობა წარმოადგენს იურიდიულ შემადგენლობას და თუნდაც ერთ-ერთი მათგანის არარსებობა გამორიცხავს ზიანის მიყენებისათვის პასუხისმგებლობის დაკისრების შესაძლებლობას.

სასამართლომ არ გაიზიარა აპელანტების მოსაზრება, რომ, სამოქალაქო კოდექსის **1007**-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, მოპასუხე შპს „ლ-მა“ ვერ დაამტკიცა, რომ მას ბრალი არ მიუძღვის ზიანის დადგომაში. საქმეში წარმოდგენილი საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასამართლოს ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის **2005** წლის **19** სექტემბრისა და **2007** წლის **5-10** სექტემბრის დასკვნებით უდავოდ დადგენილია, რომ ო. ნ-მის გამოკვლევა და მკურნალობა ტარდებოდა სწორად, მედიცინაში სადღეისოდ მოქმედი რეკომენდაციების შესაბამისად. სისხლის სამართლის საქმეზე წინასწარი გამოძიების შეწყვეტის შესახებ ქ.თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული პროკურატურის **2007** წლის **17** დეკემბრის დადგენილებით შეწყდა წინასწარი გამოძიება სისხლის სამართლის **1... საქმეზე** ო. ნ-მის გარდაცვალების ფაქტზე სისხლის სამართლის კოდექსის **130**-ე მუხლის მეორე ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულისათვის, ვინაიდან არ არსებობდა სისხლის სამართლის კანონით დადგენილი ქმედება. აღნიშნული დადგენილების თანახმად, სასამართლომ საქმეზე ჩატარებული გამოძიებით უდავოდ დაადგინა, რომ ო. ნ-მის მკურნალობა ჩატარდა მედიცინაში მოქმედი რეკომენდაციების სრული დაცვით, ავადმყოფის გარდაცვალება არ არის გამოწვეული სამედიცინო პერსონალის მხრიდან არაკვალიფიციურად, არასწორად ჩატარებული მკურნალობის შედეგად, მათი მხრიდან ადგილი არ ჰქონია გადაუდებელი სამედიცინო დახმარების გაუწევრობას. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის **106**-ე მუხლის „გ“ ქვე-

პუნქტის საფუძველზე პალატამ მიიჩნია, რომ ზემოაღნიშნული მტკიცებულებებით დადგენილი გარემოებების გამაქარწყლებელი მტკიცებულებები მოსარჩელეებს არ წარმოუდგენიათ. ამდენად, შპს „დ-მა“ სათანადო მტკიცებულებებზე მითითებით დაადასტურა, რომ პაციენტ ო. ნ-ძის მკურნალობისას მცდარი სამედიცინო ქმედებები არ განუხორციელებია, შესაბამისად, მოპასუხეს სადავო ზიანის დადგომამი ბრალი არ მიუძღვის, რაც გამოიწვავს ზიანის მიყენების გამო სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრების შესაძლებლობას.

სასამართლომ არ გაიზიარა აპელანტების არგუმენტი, რომ სამედიცინო მომსახურების თაობაზე არ არსებობდა პაციენტ ო. ნ-ძის ინფორმირებული თანხმობა, რითაც დაირღვა „პაციენტის უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მოთხოვნა, ვინაიდან ასეთი თანხმობის მიღება სავალდებულო იყო. აღნიშნული ნორმის პირველი პუნქტის თანახმად, სამედიცინო მომსახურების გაწევის აუცილებელი პირობაა პაციენტის, ხოლო მისი ქმედუქუნარობის ან გაცნობიერებული გადაწყვეტილების მიღების უუნარობის შემთხვევაში, ნათესავის ან კანონიერი წარმომადგენლის ინფორმირებული თანხმობა. ინფორმირებული თანხმობა წინ უძღვის სამედიცინო მომსახურებას. პალატამ მიუთითა სისხლის სამართლის საქმეზე წინასწარი გამოძიების შეწყვეტის შესახებ ქ.თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული პროკურატურის 2007 წლის 17 დეკემბრის დადგენილებით დადგენილ გარემოებებზე, რომ 2005 წლის 15 აპრილს მოპასუხე შპს „დ. ს-ში“ გადაყვანამდე ო. ნ-ძეს, სხვა მედიკამენტებთან ერთად, გაუკეთდა პრეპარატი „მორფინი“. ამდენად, მოპასუხე სამედიცინო დაწესებულებაში მოთავსებამდე პაციენტი ო. ნ-ძე იმყოფებოდა ძლიერმოქმედი და ნარკოტიკული საშუალებების ზემოქმედების ქვეშ, რის გამოც თანხმობის ფორმა «კორონაროვენტრიკულოგრაფიის და ბალონური ანგიოპლასტიკის სტენტირების პროცედურების ჩატარების შესახებ» წარედგინა პაციენტის მეუღლეს, რომელმაც თანხმობა დაადასტურა ხელმოწერით. აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში სამედიცინო მომსახურების თაობაზე პაციენტი ო. ნ-ძის მეუღლისაგან ინფორმირებული თანხმობის მიღება შეესაბამება „პაციენტის უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მოთხოვნებს. ამასთან, სამედიცინო მომსახურების თაობაზე პაციენტის ინფორმირებული თანხმობის არარსებობის შემთხვევაშიც მოპასუხე შპს „დ-სს“ ზიანის ანაზღაურების მოვალეობა ვერ დაეკისრება, ვინაიდან ამ ქმედებასა და დამდგარ ზიანს შორის მიზეზობრივი კავშირი არ არსებობს. რაც შეეხება აპელანტების მითითებას კომისიური სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნაში აღნიშნულ ფაქტებზე – მედიცინის მუშაკების მიერ სამედიცინო დოკუმენტაციის არასრულად და ხარვეზებით წარმოების შესახებ, პალატამ ამ შემთხვევაშიც ჩათვალა, რომ მოპასუხე სამედიცინო დაწესებულების მუშაკთა მითითებული ქმედებები არ არის მიზეზობრივ კავშირში დამდგარ შედეგთან – პაციენტ ო. ნ-ძის გარდაცვალებასთან. აღნიშნული კი წარმოადგენს ზიანის მიყენებისათვის პასუხისმგებლობის დაკისრების ერთ-ერთ აუცილებელ წინაპირობას. პალატამ მიიჩნია, რომ პაციენტი ო. ნ-ძისათვის ჩატარებული მკურნალობის შესახებ არსებული სამედიცინო დოკუმენტაცია წარმოადგენდა ექსპერტების კვლევის საგანს, რაც ასახულია ზემოაღნიშნულ ექსპერტიზის დასკვნებში, რომლებიც, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, სასამართლომ გამოიკვლია და შეაფასა. სასამართლომ ჩათვალა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 83-ე, 86-ე, 215-ე, 219-ე და 140-ე მუხლებზე მითითებით მართებულად უთხრა უარი მოსარჩელეებს სარჩელის დაზუსტების, თანამოპასუხედ ჩაბმისა და დამატებითი მტკიცებულებების გამოთხოვის შესახებ შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე.

საპელაციო სასამართლოს განჩინება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში ნ. და დ. ნ-ძეებმა გაასაჩივრეს საკასაციო წესით და მოითხოვეს მისი გაუქმება, ამასთან, კასატორებმა შეამცირეს მოთხოვნა და მოითხოვეს მოწინააღმდეგისათვის 28637 ლარის დაკისრება შემდეგი საფუძველებით:

სასამართლოს მსჯელობა წინააღმდეგობრივია, ვინაიდან იგი მიუთითებს, რომ მხარეთა შორის სახელშეკრულებო ურთიერთობა არ არსებობდა და დავა უნდა მოწესრიგდეს დელიქტურ ვალდებულებათა მარეგულირებელი ნორმების საფუძველზე, თუმცა თავის დასაბუთებას აფუძნებს ასევე სახელშეკრულებო ურთიერთობათა მომწესრიგებელ ნორმებზეც. სასამართლომ არასწორად განმარტა სამოქალაქო კოდექსის 371-ე მუხლი, როდესაც საექვოდ მიიჩნია დ. ნ-ძის მიერ მამის ოპერაციის ხარჯების გაღების ფაქტი იმ მოტივით, რომ სალაროს შემოსავლის ორდერში მხოლოდ პაციენტი ო. ნ-ძეა მითითებული. სასამართლომ დადგენილად ცნო, რომ ო. ნ-ძე არაქმედუნარიანი იყო ოპერაციის ჩატარების მომენტისათვის, რის გამოც მისგან ინფორმირებული თანხმობა მიღებულ ვერ იქნა, შესაბამისად, პალატას უნდა ემსჯელა, შესძლებდა თუ არა ქმედუქუნარო მდგომარეობაში მყოფი პაციენტი ოპერაციის ხარჯების პირადად გადახდას. პალატამ არასწორად განმარტა სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლი და მიუთითა, რომ ზიანის ანაზღაურების ვალდებულების წარმოშობისათვის საჭიროა დადგინდეს პირის მიერ მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენა, მისი ბრალი და მიზეზობრივი კავშირი ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის. სასამართლომ არ გამოიყენა სადავო ურთიერთობის მარეგულირებელი სპეციალური ნორმები – სამოქალაქო კოდექსის 1006-ე-1007-ე მუხლები, რომლებიც მიუთითებენ სამედიცინო დაწესებულებაში მკურნალობისას და არა უშუალოდ სამედიცინო დაწესებულების მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურების წესზე.

სასამართლომ მხარეთა შორის სადავო გარემოებათა მტკიცების ტვირთი არასწორად გაანაწილა, რითაც დაარღვია მხარეთა შეჯიბრებითობის პრინციპი, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე, 103-ე მუხლები, ვინაიდან, სამოქალაქო კოდექსის 1007-ე მუხლის თანახმად, პაციენტს ზიანის ანაზღაურების უფლება არ წარმოეშობა, თუ სამედიცინო დაწესებულება დაამტკიცებს, რომ მას ზიანის დადგომამი ბრალი არ მიუძღვის. ამდენად, სწორედ მოწინააღმდეგე მხარე იყო ვალდებული, საკუთარი ბრალის არარსებობა ემტკიცებინა, ხოლო მხარის მიერ აღნიშნული გარემოების დაუდასტურებლობისას ამოქმედდებოდა ზიანის ანაზღაურების საერთო წესები. პალატამ კი მოწინააღმდეგე მხარის ბრალულობის მტკიცების ტვირთი კასატორს არასწორად დააკისრა. გასაჩივრებული განჩინებით საქმეზე წარმოდგენილი მტკიცებულებანი – სამედიცინო დოკუმენტაცია, მოწინააღმდეგე მხარის ანაწინე-ზი და კლინიკა «დ-ის» ამონაწერი ერთობლიობაში არ გამოკვლეულა. ამ უკანასკნელი მტკიცებულებით დასტურ-

დება, რომ პაციენტი ო. ნ-ძის მდგომარეობა სწორედ არაკვალიფიციური და არასწორი სამედიცინო მანიპულაციების შედეგად დამიძა. სასამართლომ საერთოდ არ იმსჯელა საქმეზე დართულ კომპიუტერულ დისკზე ჩაწერილ მასალებზე. სააპელაციო პალატამ უფლებებელი სამოქალაქო კოდექსის 1007-ე მუხლი, როდესაც მიუთითა, რომ ამ ნორმით გათვალისწინებული ზიანის ანაზღაურების საფუძვლები მოცემულ შემთხვევაში არ არსებობდა, რადგან ნ. და დ. ნ-ძეები დავობდნენ საკუთარი უფლებების დაცვასთან დაკავშირებით. სასამართლო, ერთი მხრივ, ადასტურებს მოსარჩელე მხარის არგუმენტაციას, როდესაც ადგენს, რომ პაციენტი არ იყო ინფორმირებული ჩასატარებელი სამედიცინო მომსახურების შესახებ, რითაც მისი უფლებები დაირღვა. ამავდროულად, პალატა საექვოდ ხდის არა თვით პაციენტის ინფორმირებულობის ფაქტს და ამით მისი უფლების დარღვევას, არამედ მხოლოდ იმას, რომ აღნიშნული არ შეიძლება სადავოდ გახდეს მესამე პირთა მიერ. სასამართლომ არ გაითვალისწინა, რომ დავა თავდაპირველად დაიწყო ო. ნ-ძის სიცოცხლეში მოპასუხე სამედიცინო დაწესებულების მხრიდან ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო და სარჩელში ნათლად აისახა, რომ მოპასუხის ბრალით ავადმყოფსა და მის შვილებს მიაღდათ მნიშვნელოვანი მატერიალური და მორალური ზიანი. შესაბამისად, მოსარჩელები, როგორც აწ გარდაცვლილი ო. ნ-ძის პირველი რიგის მემკვიდრეები მოქმედებდნენ არა მხოლოდ თავისი, არამედ მამის სახელითაც. მოცემულ შემთხვევაზე ვერ გავრცელდება სამოქალაქო კოდექსის 1330-ე მუხლი, რადგან მოპასუხისაგან მოთხოვნილი ზიანი არ არის მამკვიდრებლის პირადი ხასიათის უფლება. აღსანიშნავია, რომ თუკი სასამართლო ნ. და დ. ნ-ძეებს არასათადო მოსარჩელებად ჩათვლიდა, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 84-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მას შეეძლო, შეეცავლა ისინი სათანადო მხარით. სასამართლომ იმსჯელა სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის მხოლოდ იმ ნაწილზე, რომლითაც ო. ნ-ძისათვის ჩატარებული მკურნალობა დადებითად არის მიჩნეული და საერთოდ არ შეაფასა მისი დასკვნითი ნაწილი, სადაც პირდაპირაა მითითებული, რომ პაციენტის მდგომარეობა გაუარესდა მოპასუხის ქმედებათა შედეგად და დადგინდა მიზეზობრივი კავშირი. დაუსაბუთებელია პალატის მსჯელობა, რომ ო. ნ-ძეს გაუკეთდა პრეპარატი «მორფინი» და იგი ძლიერი ნარკოტიკული ნივთიერების ზემოქმედების ქვეშ იმყოფებოდა, რის გამოც მისი თანხმობის მიღება ოპერაციაზე, «პაციენტის უფლებების შესახებ» კანონის შესაბამისად, ვერ მოხერხდა. სასამართლოს არ დაუსაბუთებია, თუ რას ემყარება აღნიშნული მოსაზრება, ვინაიდან არ დადგენილა აღნიშნული პრეპარატის დოზა და არც ის გარემოება, იმყოფებოდა თუ არა პაციენტი ამის შედეგად ქმედუუნარო ან შეზღუდული ქმედუნარიანობის მდგომარეობაში, რისი გადაწყვეტაც, სამოქალაქო კოდექსის მე-12 მუხლის 1-ელი ნაწილის მე-5 პუნქტით, სასამართლოს პრეროგატივას წარმოადგენდა. სააპელაციო საჩივრით გასაჩივრებულ იქნა პირველი ინსტანციის სასამართლოს 2008 წლის 11 აპრილის განჩინება თანამოპასუხის ჩაბმისა და მტკიცებულებათა გამოთხოვის თაობაზე უარის თქმის შესახებ. აღნიშნული განჩინების კანონიერებაზე მსჯელობისას სააპელაციო პალატა შემოიფარგლა მხოლოდ იმაზე მითითებით, რომ დაეთანხმა პირველი ინსტანციის სასამართლოს დასაბუთებას, რაც არასწორია.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ დ. და ნ. ნ-ძეების საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს და სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება დარჩეს უცვლელად შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლის 1-ელი ნაწილის «ა» და «ბ» ქვეპუნქტების თანახმად, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ კანონის მითითებულ დარღვევას არა აქვს ადგილი და სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა.

მოცემულ დავაზე სააპელაციო სასამართლომ სრულად გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები ო. ნ-ძის მოპასუხის კლინიკაში ჩატარებული სამედიცინო დახმარების, გართულებული მდგომარეობის გამო, შპს «ლ-ში» გადაყვანისა და მისი გარდაცვალების ფაქტზე სისხლის სამართლის საქმის აღძვრისა და შეწყვეტის ფაქტები. ამ გარემოებებთან დაკავშირებით კასატორს დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია არ წარმოუდგენია, რის გამოც, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის თანახმად, მათი გაზიარება საკასაციო სასამართლოსათვის სავალდებულოა.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს კასატორის მოსაზრებას გასაჩივრებული განჩინებით სამოქალაქო კოდექსის 1007-ე მუხლის არასწორად განმარტებისა და გამოყენების თაობაზე. აღნიშნული ნორმით სამედიცინო დაწესებულებაში მკურნალობისას (ქირურგიული ოპერაციის ან არასწორი დიაგნოზით დამდგარი შედეგი და სხვ.) პირის ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანი ანაზღაურდება საერთო საფუძვლებით. ზიანის მიმყენებელი თავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან, თუ დაამტკიცებს, რომ ზიანის დადგომაში მას ბრალი არ მიუძღვის.

საკასაციო სასამართლო უპირველესად მხარეთა ყურადღებას ამახვილებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით გათვალისწინებულ მტკიცების ტვირთის გადანაწილების პრინციპზე და მნიშვნელობაზე, კერძოდ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის 1-ელი ნაწილის თანახმად, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს, ხოლო ამავე კოდექსის 103-ე მუხლის 1-ელი ნაწილის მიხედვით, მტკიცებულებებს სასამართლოს წარუდგენენ მხარეები.

აღნიშნული ნორმების ანალიზი ერთმნიშვნელოვნად გვაძლევს დასკვნის საფუძველს: სადავოდ მიჩნეული უფლების კანონიერება უნდა დამტკიცდეს; დარღვეული უფლების დაცვა მხარეს კონკრეტული ფაქტებზე დაყრდნობით შეუძლია და ამ ფაქტების მითითება მხარის მოვალეობაა; საქმის სწორად გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე ფაქტები, რომელიც სადავოა, დამტკიცებას საჭიროებს; ფაქტების დამტკიცების ტვირთი ფაქტების მითითებულ მხარეებს ეკისრებათ; გამონაკლისს წარმოადგენს მატერიალური სამართლით გათვალისწინებული შემთხვევა, როდესაც ფაქტების დამტკიცების ტვირთი ამა თუ იმ ნორმით განსხვავებულადაა მოწესრიგებული. მტკიცების ტვირთის გადანაწილებას არა მარტო საპროცესო-სამართლებრივი მნიშვნელობა აქვს, არამედ არსები-

თი მატერიალურ-სამართლებრივი მნიშვნელობაც გააჩნია, ვინაიდან მხარის მიერ ამ საპროცესო მოვალეობის შეუსრულებლობას ან არაჯეროვნად განხორციელებას, შედეგად მოჰყვება ამავე მხარისათვის უარყოფითი – არახელსაყრელი შედეგი. ამასთან, ყურადსაღებია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 206-ე მუხლის დანაწესი, რომლის ძალითაც ზემოთ აღწერილი ვალდებულებები კანონით გათვალისწინებულ ეტაპზე უნდა განხორციელდეს და ამ მოქმედებების დადგენილ ვადაში შეუსრულებლობა ართმევს მხარეს უფლებას, სამართალწარმოების შემდგომ ეტაპზე შეასრულოს ასეთი მოქმედება.

მოცემული საკასაციო პრეტენზიით კასატორი სადავოდ მიიჩნევს შემდეგს: სააპელაციო სასამართლომ არასწორად არ დაადგინა «პაციენტთა უფლებების შესახებ» საქართველოს კანონის 4 ბ. 10 ა.ა. და 22-ე მუხლების დარღვევა, ვინაიდან მოპასუხის მხრიდან არ განხორციელებულა სავალდებულო ინფორმირებული თანხმობა; სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 172-ე მუხლის მოთხოვნათა დარღვევით არ დააკმაყოფილა მხარის შუამდგომლობა ექსპერტის დაკითხვის თაობაზე; არ გამოიკვლია ექსპერტის დასკვნა საქმეში არსებულ მტკიცებულებებთან ერთად, რომელიც ადასტურებს მცდარ სამედიცინო ქმედებას; სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 106-ე მუხლის «გ» ქვეპუნქტით არასწორად დაადგინა სისხლის სამართლის საქმეზე მიღებული გადაწყვეტილების პრეიუდიციულობა; არასწორად გადაანაწილა მტკიცების ტვირთი, ვინაიდან მოპასუხეს უნდა ემტკიცებინა, რომ ო. ნ-ძის გარდაცვალება საექიმო შეცდომის შედეგი არ არის.

სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება ეფუძნება საქმეში წარმოდგენილი საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის სამსახურის კომისიური სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის 2005 წლის 19 სექტემბრისა და 2007 წლის 5-10 სექტემბრის დასკვნებს, რომლებითაც დადგენილია, რომ კორონარის სტენტირება ჩატარებულია სწორად და შეესაბამება თანამედროვე სამედიცინო რეკომენდაციებს. მანიპულაციის პროცესში დაირღვა კორონარული სისხლის მიმოქცევა (განვითარდა გულის გაჩერება, რომლის მუშაობა აღსდგა გულის დახურული მასაჟით), ჩატარებული მანიპულაციის შედეგად კორონარული სისხლძარღვის გამავლობის აღდგენა ვერ მოხერხდა, ადგილი ჰქონდა დაავადების მიმდინარეობას არასტაბილური ჰუმოდინამიკის ფონზე, რის გამოც საჭირო გახდა კორონაროშუნტირება. წარმოდგენილი სამედიცინო დოკუმენტაციის მიხედვით ო. ნ-ძის გამოკვლევა და მკურნალობა ტარდებოდა სწორად მედიცინაში სადღეისოდ მოქმედი რეკომენდაციების შესაბამისად.

მოცემულ დავაზე მოპასუხე სამედიცინო დაწესებულებამ სარჩელის უარყოფაზე თავისი პოზიცია ზემოაღნიშნულ დასკვნას დააყრდნო და სრულიად უარყო არა მარტო მისი ბრალეულობა, არამედ მისგან რაიმე მართლსაწინააღმდეგო ქმედების განხორციელებაც. სამოქალაქო კოდექსის 1007-ე მუხლით გათვალისწინებული სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრება ზიანის კვალიფიკაციისათვის აუცილებელ ოთხივე წინაპირობის არსებობას მოითხოვს: უნდა დადგინდეს მართლსაწინააღმდეგო ქმედება, ზიანი, მიზეზობრივი კავშირი მართლსაწინააღმდეგო ქმედებასა და ზიანს შორის და ბრალი. ნორმის მიზნიდან გამომდინარე, მართლსაწინააღმდეგო ქმედებად მიიჩნევა სამედიცინო დაწესებულების მიერ არასწორად განხორციელებული დიაგნოსტიკა და მკურნალობა, რამაც გამოიწვია ზიანი. ექიმის (სამედიცინო პერსონალის) საქმიანობას აწესრიგებს კანონმდებლობა, პროფესიული და ეთიკური სტანდარტები.

საქართველოს კანონმდებლობაში საექიმო შეცდომების აღმნიშვნელი სხვადასხვა ტერმინები იხმარება. ტერმინი «მცდარი საექიმო ქმედება» შემდეგი სახით არის განმარტებული კანონში «ჯანმრთელობის დაცვის შესახებ» მე-3 მუხლის ო ქვეპუნქტით: მცდარი სამედიცინო ქმედება – ექიმის მიერ უნებლიედ პაციენტის მდგომარეობისათვის შეუსაბამო დიაგნოზი ან/და სამკურნალო ღონისძიების ჩატარება, რაც მიყენებული ზიანის უშუალო მიზეზი გახდა;

საექიმო შეცდომაში იგულისხმება ექიმის მიერ საზოგადოდ აღიარებული სამედიცინო და ეთიკური სტანდარტების, კანონმდებლით განსაზღვრული წესების დარღვევა, რამაც განაპირობა პაციენტის მდგომარეობისათვის შეუსაბამო სადიაგნოზო და/ან სამკურნალო ღონისძიებების ჩატარება, რაც, თავის მხრივ, პაციენტისათვის ზიანის მიყენების უშუალო მიზეზი გახდა. მნიშვნელოვანია ის, რომ ექიმის მიერ პაციენტისათვის ზიანის მიყენება არ უნდა იყოს წინასწარ განზრახული; წინააღმდეგ შემთხვევაში ექიმის ქმედება პროფესიულ შეცდომად აღარ ჩაითვლება.

ამავდროულად, პაციენტსა და ექიმს შორის წარმოშობილი ურთიერთობის სპეციფიკიდან გამომდინარე, ექიმი პასუხისმგებელია მხოლოდ მცდარ სამედიცინო მოქმედებაზე და მისი საქმიანობის მიმართ ბრალეულობის ვარაუდი (პრეზუმფცია) არ მოქმედებს. ექიმს ეკისრება იმის მტკიცების ტვირთი, რომ პაციენტის მიმართ ჩატარდა მართლზომიერი და უშეცდომო მკურნალობა, იგი პასუხს აგებს არასწორ მკურნალობაზე და მხოლოდ ასეთი მკურნალობის თანამდეგ უარყოფით შედეგზე.

მიუხედავად იმისა, რომ ექიმის მოქმედება მიზნად ისახავს პაციენტის გამოჯანმრთელებას, ექიმი მხოლოდ უარყოფით შედეგზე პასუხს არ აგებს. თუ ექიმი სამედიცინო სტანდარტების შესაბამისად მოქმედებს, მაშინ ის არ არღვევს არც ერთ ვალდებულებას და ბრალი არ მიუძღვის. ექიმი მხოლოდ იმ შემთხვევაშია ვალდებულების დარღვევისათვის პასუხისმგებელი, როდესაც ზიანი, რომელიც პაციენტს მიაღდა, გამომდინარეობს მკურნალობის დროს დაშვებული ბრალეული შეცდომიდან. ამით გარკვეულია მკურნალობის დროს დაშვებულ შეცდომასა და პაციენტისათვის მიყენებულ ზიანს შორის მიზეზობრივი კავშირის აუცილებლობა.

ექიმის პასუხისმგებლობის საფუძველი არის არა მკურნალობის უარყოფითი შედეგი, არამედ სამედიცინო მეცნიერების სტანდარტებიდან გადახვევა. ამასთან, ექიმის მიერ რაიმე საკითხის ინდივიდუალური არცოდნა ან პროფესიული სისუსტე გამამართლებელ გარემოებებს არ წარმოადგენს. ექიმის სავალდებულო გულისხმიერების დარღვევა ისიც, როდესაც ექიმი არღვევს თავის განათლებისა და კვალიფიკაციის ამაღლების ვალდებულებას და აქედან გამომდინარე, სამედიცინო მეცნიერების თანამედროვე ცოდნა აღარ გააჩნია.

მოცემულ შემთხვევაში მოპასუხე სარჩელისაგან თავდაცვის საშუალებად გამოყენებულ მატერიალურ-სამარ-  
თლებრივ შესაგებელში სარჩელში მითითებულ მართლსაწინააღმდეგო ქმედების ფაქტს უარყოფს და აღნიშნუ-  
ლის დამადასტურებელ მტკიცებულებად უთითებს ზემოხსენებულ ექსპერტის დასკვნებზე, რომლებიც ცალსახად  
გამორიცხავენ მოპასუხის მხრიდან მართლსაწინააღმდეგო ქმედებას – მკურნალობის არაკვალიფიციურად და  
არასწორად ჩატარებას. ამ მტკიცებულების საწინააღმდეგოდ კასატორს რაიმე მტკიცებულება არ წარმოუდგენია,  
რის გამოც სასამართლომ სავსებით კანონიერად (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4, 102-ე მუხლები) არ დააკ-  
მაყოფილა მისი სასარჩელო მოთხოვნა.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს კასატორის მითითებას სასამართლოს მიერ ექსპერტის დასკვნის არა-  
სათანადოდ გამოკვლევის თაობაზე და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 172-ე მუხლის მოთხოვნათა დარღვე-  
ვით ექსპერტის დაკითხვის თაობაზე მისი შუამდგომლობის დაუკმაყოფილებლობაზე. საკასაციო სასამართლო  
ეთანხმება კასატორს, რომ საქმეში წარმოდგენილი ექსპერტის დასკვნების კვლევით ნაწილში მითითებულია, რომ  
ავადმყოფ ო. ნ-ძის გარდაცვალებასთან დაკავშირებით მიწოდებულ სამედიცინო დოკუმენტაციაში (იხ. 1225/35  
ექსპერტის დასკვნის გვ. 12) არსებული დარღვევები, თუმცა კომისიური ექსპერტიზის დასკვნით წარმოდგენილი  
სამედიცინო დოკუმენტაციის მიხედვით ო. ნ-ძის გამოკვლევა და მკურნალობა ტარდებოდა სწორად. ექსპერტის  
აღნიშნული დასკვნით ნათლად ირკვევა, რომ სამედიცინო დოკუმენტაციის არასწორად წარმოებას ო. ნ-ძის გარ-  
დაცვალებაზე რაიმე გავლენა არ მოუხდენია.

რაც შეეხება კასატორის არგუმენტს მისი შუამდგომლობის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 172-ე მუხლის  
მოთხოვნათა დარღვევით დაუკმაყოფილებლობის თაობაზე, სასამართლო ვერ გაიზიარებს. მითითებულ შუამ-  
დგომლობაში მოსარჩელე დ. ნ-ძე ითხოვს მის მიერ დასახელებული პირებისა და, მათ შორის, ექსპერტების მოწმის  
სახით დაკითხვას. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 170-ე-172-ე მუხლები ადგენს აუცილებლობის შემთხვევაში  
ექსპერტისაგან ზეპირი განმარტებების მიღებას მის მიერ წარმოებულ გამოკვლევასა და მიღებულ დასკვნასთან მი-  
მართებით. ამასთან, ექსპერტის ზეპირი განმარტება არ არის მოწმის ჩვენების იდენტური და მისგან ამ განმარტე-  
ბის მიღების აუცილებლობა შუამდგომლობით უნდა დასაბუთდეს, რასაც მოცემულ შემთხვევაში არ განხორციე-  
ლებულა. შესაბამისად, პირველი ინსტანციის სასამართლოს 2008 წლის 11 აპრილის განჩინება მხარის ამ შუამ-  
დგომლობის დაუკმაყოფილებლობასთან დაკავშირებით კანონიერია და დასაბუთებული.

ასევე უსაფუძვლოა კასატორის მითითება, რომ ექსპერტის დასკვნით დადგენილია მოპასუხის ბრალეულობა,  
ვინაიდან მასში აღნიშნულია, რომ ო. ნ-ძის გარდაცვალების უშუალო მიზეზია გულის ქრონიკული იშემიური დაა-  
ვადების გამწვავების გამო ჩატარებული ოპერაციების შემდგომ პერიოდში ჩამოყალიბებული სეფსისის შედეგად  
განვითარებული პოლიორგანული უკმარისობა. მითითებული მტკიცებულება მართლაც ასეთ დასკვნას შეიცავს,  
მაგრამ მისი შეფასების კასატორისეული ვერსია ყოვლად დაუსაბუთებელია, ვინაიდან ექსპერტის დასკვნა უთი-  
თებს რა გარდაცვალების უშუალო მიზეზზე, ამავდროულად, გამორიცხავს საექიმო შეცდომას – ექიმის მიერ  
მკურნალობის ან ოპერაციის არასწორ ჩატარებას.

საკასაციო სასამართლო, კასატორის არგუმენტის საწინააღმდეგოდ სრულიად ეთანხმება სააპელაციო პალატის  
დასაბუთებას სავალდებულო ინფორმირებული თანხმობასთან დაკავშირებით მოპასუხის მხრიდან «პაციენტთა  
უფლებების შესახებ» საქართველოს კანონის 4 ბ. 10 ა.ა. და 22-ე მუხლების დარღვევის არარსებობის თაობაზე. აღ-  
ნიშნული კანონის 4<sup>ე</sup> ქვეპუნქტით, ინფორმირებული თანხმობა არის პაციენტის, ხოლო მისი ქმედუუნარობის შემ-  
თხვევაში, ნათესავის ან კანონიერი წარმომადგენლის თანხმობა ამა თუ იმ სამედიცინო მომსახურებაზე, მას შემ-  
დეგ, რაც მათ მიეწოდათ ინფორმაცია. ამავე კანონის 22-ე მუხლის 1-ელი ნაწილით, სამედიცინო მომსახურების  
გაწევის აუცილებელი პირობაა პაციენტის, ხოლო მისი ქმედუუნარობის ან გაცნობიერებული გადაწყვეტილების  
მიღების უუნარობის შემთხვევაში, ნათესავის ან კანონიერი წარმომადგენლის ინფორმირებული თანხმობა. ინ-  
ფორმირებული თანხმობა წინ უძღვის სამედიცინო მომსახურებას.

ამდენად, სავსებით სწორია კასატორის მითითება პაციენტის წინასწარი ინფორმირებული თანხმობის თაობა-  
ზე, მაგრამ საქმეში დადგენილი ფაქტობრივი გარემოებებით მოპასუხის მიერ კანონის ამ მოთხოვნის დარღვევა  
დადასტურებული არ არის. სააპელაციო პალატამ სისხლის სამართლის საქმეზე წინასწარი გამოძიების შეწყვეტის  
შესახებ ქ. თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული პროკურატურის 2007 წლის 17 დეკემბრის დადგენილების  
საფუძველზე დადგენილად მიიჩნია ფაქტობრივი გარემოება, რომ 2005 წლის 15 აპრილს მოპასუხე შპს „დ. ს-ში“  
გადაყვანამდე ო. ნ-ძეს, სხვა მედიკამენტებთან ერთად, გაუკეთდა პრეპარატი „მორფინი“. ამდენად, მოპასუხე სა-  
მედიცინო დაწესებულებაში მოთავსებამდე პაციენტი ო. ნ-ძე იმყოფებოდა ძლიერმოქმედი და ნარკოტიკული სა-  
შუალებების ზემოქმედების ქვეშ, რის გამოც თანხმობის ფორმა «კორონაროვენტრიკულოგრაფიის და ბალონური  
ანგიოპლასტიკის სტენტირების პროცედურების ჩატარების შესახებ» წარედგინა პაციენტის მეუღლეს, რომელმაც  
თანხმობა დაადასტურა ხელმოწერით. სასამართლოს მიერ გასაჩივრებული განჩინებით დადგენილი ამ ფაქტობ-  
რივი გარემოების საწინააღმდეგოდ კასატორს დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია არ წარმოუდგენია. სამოქ-  
ალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად კი, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკი-  
ცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებუ-  
ლი არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება).

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო პალატის დასკვნას, რომ მოცე-  
მულ შემთხვევაში სამედიცინო მომსახურების თაობაზე პაციენტი ო. ნ-ძის მეუღლისაგან ინფორმირებული თან-  
ხმობის მიღება შეესაბამება „პაციენტის უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მოთხოვნებს.  
ამასთან, სამედიცინო მომსახურების თაობაზე პაციენტის ინფორმირებული თანხმობის არარსებობის შემთხვევა-  
შიც მოპასუხე შპს „დ-სს“ ზიანის ანაზღაურების მოვალეობა ვერ დაეკისრება, ვინაიდან ამ ქმედებასა და დამდგარ  
ზიანს შორის მიზეზობრივი კავშირი არ არსებობს.

ამდენად, მოცემულ დავაზე კასატორის მიერ მითითებული პაციენტის უფლების დარღვევის ფაქტები დამტკიცებული არ არის, რაც მის მოთხოვნაზე უარის თქმის საფუძველია.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 1 თებერვლის განჩინებით კასატორ დ. და ნ. ნ-ძეებს გადაუვადდათ სახელმწიფო ბაჟის – 1431 ლარის გადახდა საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 48-ე მუხლის შესაბამისად. აღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორებს უნდა დაევალოთ სახელმწიფო ბაიუჯეტის სასარგებლოდ ზემოხსენებული თანხის გადახდა.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

#### **და ა დ გ ი ნ ა:**

დ. და ნ. ნ-ძეების საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.  
თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 30 ივლისის განჩინება დარჩეს უცვლელად.

ნ. და დ. ნ-ძეებს დაეკისროთ გადავადებული სახელმწიფო ბაჟის – 1431 ლარის გადახდა.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

### **სამედიცინო დაწესებულების მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურება**

#### **განჩინება**

<sup>1</sup>ას-260-244-11

27 ივნისი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ნ. კვანტალიანი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

პ. ქათამაძე,

ბ. ალავეძე

**დავის საგანი:** სამედიცინო შეცდომით მიყენებული მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურება

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

ნ. უ-შვილმა სარჩელი აღძრა სასამართლოში შპს «... ცენტრის» მიმართ მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურების თაობაზე შემდეგი დასაბუთებით: უ-შვილს 2004 წლის 26 აპრილს 12 სამკურნალო პროფილაქტიკურ ცენტრში ჩაუტარდა გეგმიური აცრა «MMღ» ვაქცინით. შესაბამისი სამედიცინო-საადრეცხვო დოკუმენტაციის არარსებობის გამო 2004 წლის 10 ნოემბერს მოსარჩელეს კვლავ ჩაუტარდა აცრა იმავე ვაქცინით. განმეორებითი აცრის შედეგად მოსარჩელის მდგომარეობა მკვეთრად გაუარესდა, ხოლო გამოკვლევისას დაუდგინდა დიაგნოზი მარჯვენა ყბა-ყურის სანერწყვე ჯირკვლის მიდამოს ლიმფადენიტი, ინფექციური ალერგიული კარდიტი, ვეგეტო-ასთენიური სინდრომი, ქოლედისკინეზია, იოდდეფიციტით გამოწვეული ფარისებრი ჯირკვლის I ბ ხარისხის ჰიპერპლაზია. ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო დასჭირდა ოპერაციის ჩატარება და განმეორებითი აცრის შემდეგ მკვეთრად გაუუარესდა ჯანმრთელობა, ვინაიდან განუვითარდა სინუსური ბრადიარითმია, ღერძის ვერტიკალური მდებარეობა, ინტერვალის დამოკლების სინდრომი, პარკუჭთაშორისი გამტარიანობის შეფერხება, გამოსატული თ კბილთა დეპრესიულობა. ნ. უ-შვილის ჯანმრთელობა გაუარესდა მოპასუხე სამკურნალო დაწესებულების მიერ ჩატარებული მოსარჩელის განმეორებითი ვაქცინაციით, რის შედეგადაც მოსარჩელეს მიაღწია მატერიალური და მორალური ზიანი.

მოპასუხემ არ ცნო სარჩელი შემდეგი დასაბუთებით: საქმეში წარმოდგენილი ექსპერტიზის დასკვნის თანახმად ნ. უ-შვილის ჯანმრთელობა არ გაუარესებულა მოსარჩელის მიერ ჩატარებული ხელმეორე ვაქცინაციით, რაც გამორიცხავს სარჩელის დაკმაყოფილების შესაძლებლობას.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 2 მარტის გადაწყვეტილებით ნ. უ-შვილის სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რაც სააპელაციო წესით გაასაჩივრა ნ. უ-შვილმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 16 დეკემბრის განჩინებით ნ. უ-შვილის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, გასაჩივრებული განჩინება დარჩა უცვლელად. სააპელაციო პალატამ დადგინდად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: ნ. უ-შვილს 2004 წლის 26 აპრილს შპს «... ცენტრში» ჩაუტარდა გეგმიური აცრა MMღ ვაქცინით. 2004 წლის 10 ნოემბერს მოსარჩელე კვლავ აცრეს MMღ ვაქცინით იმავე სამედიცინო დაწესებულებაში. შპს «... ც-ის» 19/91 ამბულატორიული ბარათის მიხედვით, 2004 წლის დეკემბერში ნ. უ-შვილს დაუდგინდა დიაგნოზი: მარჯვენა ყურისწინა და ყბისქვეშა მწვავე ლიმფადენიტი. 2005 წლის 11 იანვარს მოსარჩელეს ჩაუტარდა ოპერაცია, მარჯვენა ყურისწინა ჯირკვლის გაკვეთა. ნ. უ-შვილს ქ. თბილისის ... პროფილაქტიკურ ცენტრში ჩატარებული გამოკვლევის შედეგად დაუდგინდა დიაგნოზი: ინფექციურ-ალერგიული კარდიტი, ვეგეტო-ასთენიური სინდრომი, ქოლედისკინეზია, იოდდეფიციტით გამოწვეული ფარისებრი ჯირკვლის I ბ ხარისხის ჰიპერტენზია. მოპასუხე მხარეს სადავოდ არ გაუხდია, რომ ნ. უ-შვილს 2006 წლის 26 აპრილს ჩატარებული გამოკვლევის შედეგად დაუდგინდა შემდეგი დიაგნოზი: სინუსური ბრადიარით-

მია, ღერძის ვერტიკალური მდებარეობა, ინტერვალის დამოკლების სინდრომი, პარკუჭთაშორისი გამტარიანობის შეფერხება, გამოხატული თ კბილთა დეპრესიულობა. სამედიცინო ცენტრ «... ც-ში» 2008 წლის 28 იანვარს ჩატარებული გამოკვლევების შედეგად პაციენტს კარდიალური პათოლოგიის კლინიკური გამოვლინება არ გააჩნდა, ხოლო ინსტრუმენტული გამოკვლევის შედეგად აღმოჩნდა შემოკლებული PQ სინდრომი და მიტრალური სარქველის უმნიშვნელო პროლაფსი, რაც დადგინდა სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის ცენტრის 1390/32 დასკვნითა და მხარეთა ახსნა-განმარტებით.

მოსარჩელის ჯანმრთელობა შპს « ... ცენტრის» მოქმედებითა და ნ. უ-შვილის განმეორებითი ვაქცინაციით არ გაუარესებულა, კერძოდ, 1390/32 სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე დადგინდა, რომ ნ. უ-შვილის დაავადება მარჯვენა ყურისწინა და ყბისქვეშა მწვავე ლიმფადენიტი ბაქტერიული წარმოშობის იყო რაც არ გამოუწვევია მოსარჩელის განმეორებით ვაქცინაციას. ნ. უ-შვილის ჯანმრთელობის მდგომარეობა გააუარესა დაგვიანებულმა სამედიცინო დახმარებამ, ხოლო შპს « ... ცენტრში» და გ. ჟ-იას სახ. პედიატრიულ კლინიკაში მიმართვის შემდეგ მოსარჩელეს დაენიშნა და ჩაუტარდა დაავადების ადეკვატური მკურნალობა. 1390/32 სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე გაირკვა, რომ მოსარჩელის დაავადება შემოკლებული PQ სინდრომი და მიტრალური სარქველის უმნიშვნელო პროლაფსი არ იყო დაკავშირებული მოსარჩელის ორგანიზმში MIML ვაქცინის განმეორებით შეყვანასთან.

სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლის შესაბამისად, ზიანის ანაზღაურდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იარსებებს დელიქტი. დელიქტის დროს უნდა არსებობდეს შემდეგი სამი პირობის კუმულატიური ერთობლიობა: ერთმა პირმა მართლსაწინააღმდეგო მოქმედებით უნდა მიაყენოს მეორეს გარკვეული სახის ზიანი; პირის მოქმედება უნდა იყოს ბრალეული (გაუფრთხილებელი ან განზრახი); უნდა არსებობდეს მიზეზ-შედეგობრივი კავშირი პირის მოქმედებასა და დამდგარ შედეგს – ზიანს შორის. სამოქალაქო კოდექსის 1007-ე მუხლი კი, აწესებს მტკიცების ტვირთის განაწილების წესს, რომლის თანახმადაც სამედიცინო დაწესებულება ვალდებულია, ამტკიცოს, რომ პაციენტისთვის მიყენებული ზიანი არ წარმოადგენს მისი ბრალეული მოქმედების შედეგს. საქმეში არსებული სასამართლო სამედიცინო საექსპერტო დასკვნიდან გამომდინარე, არსებობს ზიანი, მაგრამ არ დასტურდება, რომ აღნიშნული ზიანი სამედიცინო დაწესებულების, ანუ შპს « ... ცენტრის» ბრალეული მოქმედებით იყო გამოწვეული.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა ნ. უ-შვილმა და მოითხოვა მისი გაუქმება შემდეგი დასაბუთებით: სააპელაციო სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა – „პაციენტის უფლებების შესახებ» და „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ». პალატამ მტკიცებულებად მიიჩნია ექსპერტიზის უარყოფითი დასკვნა, რომელშიც აღნიშნულია, რომ „განმეორებითი ვაქცინაცია იწვევს თუ არა რაიმე სახის გართულებას, ამაზე მსჯელობა შეუძლებელია». აღნიშნული დასკვნით, არ დასტურდება, თუ რამ გამოიწვია პაციენტის ჯანმრთელობის გაუარესება. პალატამ არ განიხილა სხვა მტკიცებულებები და არც გადაწყვეტილებაში ასახა რაიმე ფორმით, შესაბამისად სამართლებრივად არ შეფასდა და არ გამოკვლეულა, რომ პაციენტს პირველადი ვაქცინაცია ჩაუტარდა აგრისათვის განსაზღვრულ ასაკში. პროფილაქტიკური აცრების ეროვნული კალენდრის მიხედვით საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 04.06.2003 წლის 1122/ნ და 2004 წლის ნოემბრის 1276/ო ბრძანებით დეტალურად არის დადგენილი ასაცრელ პაციენტთა ზღვრული ასაკი, აცრების რაოდენობა ამ ღონისძიებების პროცედურები და სამედიცინო პერსონალის პასუხისმგებლობა მცდარი სამედიცინო მოქმედებისათვის, რომელთაც არ ჰქონდათ მიღებული კანონის შესაბამისი პაციენტის ინფორმირებული თანხმობა. გადაწყვეტილებაში არ ასახა და სამართლებრივად არ შეფასდა ასევე საქმეში წარმოდგენილი სამედიცინო დახმარების ხარისხის კონტროლის დასკვნას სამედიცინო პერსონალის ბრალეული შეცდომის შესახებ. სამედიცინო პერსონალის მიერ არასრულწლოვანის მიმართ დარღვეული უფლებების აღდგენა კონკრეტული შემთხვევისათვის მხოლოდ სასამართლოს მიერ ყველა ფაქტობრივი გარემოებების გამოკვლევისა და სწორი შეფასებითა და დასაბუთებული კანონიერი გადაწყვეტილებითა შესაძლებელი. სამედიცინო ექსპერტის დასკვნა არ შეიძლება ყოფილიყო აბსოლუტური ხასიათის მტკიცებულება, ვინაიდან საექსპერტო დასკვნითი ნაწილი ეწინააღმდეგება თვით საექსპერტო კვლევისა და მოტივაციის შინაარსს, ამასთანავე ექსპერტებმა არ შეასრულეს სასამართლო განჩინებით მითითებული დავალება, საექსპერტო კვლევა ჩატარებინათ პაციენტის თანდასწრებით.

### სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საკასაციო საჩივრის საფუძველების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება დარჩეს უცვლელად შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლის პირველი ნაწილის «ა» და «ბ» ქვეპუნქტების თანახმად, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ კანონის მითითებულ დარღვევას არა აქვს ადგილი და სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას საფუძველად არ უდევს კანონის დარღვევა. საკასაციო პალატის დასკვნით, სააპელაციო სასამართლომ სამართლებრივად სწორად შეაფასა დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). კასატორებს დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია არ წარმოუდგენიათ, ხოლო სააპელაციო სასამართლომ დადგენილად ცნო შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

ნ. უ-შვილს 2004 წლის 26 აპრილს შპს « ... ცენტრში» ჩაუტარდა გეგმიური აცრა MIML ვაქცინით. 2004 წლის 10 ნოემბერს მოსარჩელე კვლავ აცრეს MIML ვაქცინით იმავე სამედიცინო დაწესებულებაში. შპს « ... ცენტრის» 119/91



ამბულატორიული ბარათის მიხედვით, 2004 წლის დეკემბერში ნ. უ-შვილს დაუდგინდა დიაგნოზი: მარჯვენა ყურისწინა და ყბისქვეშა მწვავე ლიმფადენიტი. 2005 წლის 11 იანვარს მოსარჩელეს ჩატარდა ოპერაცია – მარჯვენა ყურისწინა ჯირკვლის გაკვეთა. ნ. უ-შვილს ქ.თბილისის ... პროფილაქტიკურ ცენტრში ჩატარებული გამოკვლევის შედეგად დაუდგინდა დიაგნოზი: ინფექციურ-ალერგიული კარდიტი, ვეგეტოასთენიური სინდრომი, ქოლედის-კენეზია, იოდდეფიციტით გამოწვეული ფარისებრი ჯირკვლის I «ბ» ხარისხის ჰიპერტენზია. მოპასუხე მხარეს სადავოდ არ გაუხდია, რომ ნ. უ-შვილს 2006 წლის 26 აპრილს ჩატარებული გამოკვლევის შედეგად დაუდგინდა შემდეგი დიაგნოზი: სინუსური ბრადიარითმია, ღერძის ვერტიკალური მდებარეობა, ინტერვალის დამოკლების სინდრომი, პარკუჭთაშორისი გამტარიანობის შეფერხება, გამოხატული თ კბილთა დეპრესიულობა. სამედიცინო ცენტრ «... ცენტრში» 2008 წლის 28 იანვარს ჩატარებული გამოკვლევების შედეგად პაციენტს კარდიალური პათოლოგიის კლინიკური გამოვლინება არ გააჩნდა, ინსტრუმენტული გამოკვლევის შედეგად კი აღმოჩნდა, შემოკლებული სინდრომი და მიტრალური სარქველის უმნიშვნელო პროლაფსი.

საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს დასკვნას სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ და განმარტავს:

სამედიცინო შეცდომით მოქალაქის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის ზიანის მიყენების გამო სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობის წარმოშობის პირობები იგივეა, როგორც ყველა დელიქტურ ვალდებულებებში: ზიანი, მართლწინააღმდეგობა, ბრალი და მიზეზობრივი კავშირი. ამასთან, თითოეული ამ კომპონენტების თავისებურება სამედიცინო საქმიანობის ხასიათით განისაზღვრება. იმავე პირობების არსებობას მოითხოვს სამოქალაქო კოდექსის 1007-ე მუხლი, რომლის ძალითაც სამედიცინო დაწესებულებაში მკურნალობისას (ქირურგიული ოპერაციის ან არასწორი დიაგნოზით დამდგარი შედეგი და სხვ.) პირის ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანი ანაზღაურდება საერთო საფუძვლებით. ზიანის მიმყენებელი თავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან, თუ დაამტკიცებს, რომ ზიანის დადგომაში მას ბრალი არ მიუძღვის. ნორმის მიზნიდან გამომდინარე, მართლსაწინააღმდეგო ქმედებად მიიჩნევა სამედიცინო დაწესებულების მიერ არასწორად განხორციელებული დიაგნოსტიკა და მკურნალობა, რამაც გამოიწვია ზიანი.

ზიანის ანაზღაურების დაკისრებისათვის აუცილებელია, დადგინდეს საექიმო შეცდომა. «ჯანმრთელობის დაცვის შესახებ» საქართველოს კანონის მე-3 მუხლის «ო» ქვეპუნქტით, მცდარ სამედიცინო ქმედებად განმარტებულია ექიმის მიერ უნებლიედ, პაციენტის მდგომარეობისათვის შეუსაბამო სადიაგნოზო და ან სამკურნალო ღონისძიებების ჩატარება, რაც მიყენებული ზიანის უშუალო მიზეზი გახდა. პაციენტთა უფლებების შესახებ» საქართველოს კანონის მე-10 მუხლით, პაციენტს ან მის კანონიერ წარმომადგენელს უფლება აქვს, მიმართოს სასამართლოს და მოითხოვოს: ა) კომპენსაცია ქონებრივი და არაქონებრივი ზიანისა, რომლებიც გამოწვეულია: აა) პაციენტის უფლებების დარღვევით; აბ) მცდარი სამედიცინო ქმედებით.

კანონის აღნიშნული დანაწესების ანალიზით უნდა დავასკვნათ, რომ ექიმის მიერ პაციენტისათვის ზიანის მიყენება არ უნდა იყოს წინასწარ განზრახული, წინააღმდეგ შემთხვევაში ექიმის ქმედება პროფესიულ შეცდომად აღარ ჩაითვლება, ვინაიდან ასეთი მოქმედება სისხლის სამართლის კოდექსის სათანადო ნორმებითაა რეგულირებული; ექიმის მიერ ჩატარებული სადიაგნოზო, თუ სამკურნალო ღონისძიება პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობისათვის შეუსაბამო, მიუღებელი უნდა იყოს; ექიმი პასუხისმგებელია მხოლოდ მცდარ სამედიცინო მოქმედებაზე და მისი საქმიანობის მიმართ ბრალეულობის ვარაუდი (პრეზუმფცია) არ მოქმედებს; პაციენტისათვის მიყენებული ზიანი გამოწვეული უნდა იყოს ექიმის არასწორი მოქმედებით.

ამდენად, პაციენტს ზიანის ანაზღაურების უფლება აქვს იმ შემთხვევაში, თუ: 1. სამედიცინო საქმიანობის მიზანი მიღწეული არ არის (ადამიანის ჯანმრთელობის აღდგენა და სიცოცხლის შენარჩუნება) და 2. მედიცინის მუშაკის ქმედება არ შეესაბამება სამედიცინო მაჩვენებლებს.

სამედიცინო პერსონალის ქმედებით ან უმოქმედობით გამოწვეული პაციენტის ფიზიკური ან ფსიქიკური მდგომარეობის გაუარესების ან სიკვდილის შემთხვევაში, პაციენტს, მის ნათესავს ან კანონიერ წარმომადგენელს შეუძლია, მოითხოვოს პაციენტისათვის მიყენებული როგორც მორალური, ასევე მატერიალური ზიანის ანაზღაურება. მატერიალური ზიანი მოიცავს იმ ხარჯებს, რომლებიც უკვე გაწეულია პაციენტის მიერ და ასევე იმ ხარჯებს, რომლებსაც სამომავლოდ საჭიროებს პირი. მორალური (არაქონებრივი) ზიანის ანაზღაურება გათვალისწინებულია როგორც სამოქალაქო კოდექსის 413-ე მუხლით, ასევე «ჯანმრთელობის დაცვის შესახებ» საქართველოს კანონის 103-ე მუხლით.

ანაზღაურებას ექვემდებარება ზიანი, რომელიც მიყენებულია მართლსაწინააღმდეგო ქმედებით. სამედიცინო მუშაკის ქცევის, როგორც მართლსაწინააღმდეგო ქცევის კვალიფიკაციისას, აუცილებელია არასათანადო სამედიცინო დახმარების აღმოჩენის ფაქტის დადგენა. ზიანის მიმყენებლის მართლსაწინააღმდეგო ქმედება მოიცავს არა მარტო მის აქტიურ მოქმედებებს, არამედ უმოქმედობასაც. არასათანადო სამედიცინო მომსახურება ხასიათდება არა მხოლოდ დიაგნოსტიკური და სამკურნალო ჩარევების მეთოდურად და ტექნიკურად განხორციელებით, არამედ სამედიცინო დანიშნულებით დიაგნოსტიკური და სამკურნალო ღონისძიებების სავალდებულო მოცულობის შეუსრულებლობით, რომელიც ავადმყოფის სათანადო დაკვირვებითა და მოვლით უზრუნველყოფილი არ არის.

პაციენტისათვის მიყენებული ზიანისას, როგორც წესი, ექიმის განზრახი ბრალი არ გვაქვს. ასეთ შემთხვევებში საკმარისია, დადგინდეს ექიმის გაუფრთხილებლობა, რაც გულისხმობს მის მიერ ნაკისრი ვალდებულებების აუცილებელი გულისხმიერებისა და ყურადღების გარეშე განხორციელებას. გულისხმიერებასა და ყურადღებანიობაში იგულისხმება ექიმის მიერ საჭირო სამედიცინო მოქმედებების ზედმიწევნით ხარისხიანად, აღიარებული სამედიცინო სტანდარტების შესაბამისად შესრულება.

მკურნალობის შედეგად გამოწვეული ზიანის ანაზღაურება მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება დაკმაყოფილდეს, თუკი პირისათვის მიყენებული ზიანი გამოწვეულია უშუალოდ მცდარი სამედიცინო მოქმედებით, ანუ გა-

მოკვეთილია მიზეზობრივი კავშირი მართლსაწინააღმდეგო ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის. ის გარემოება, რომ ზიანი გამოიწვია სამედიცინო პერსონალის ქმედებამ, უტყუარად უნდა დადგინდეს. უმედეგო მკურნალობა ან მკურნალობის უარყოფითი შედეგი თავისთავად (უალტერნატივოდ) არ იწვევს სამედიცინო პერსონალის პასუხისმგებლობას. ზიანი გამოწვეული უნდა იყოს მკურნალობისას დაშვებული შეცდომებით, ანუ, თუ მკურნალობა სწორადაა ჩატარებული, თუნდაც მას უარყოფითი შედეგი მოჰყვება, არ იწვევს ექიმის პასუხისმგებლობას.

სამედიცინო პერსონალისათვის სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრებისას უდიდესი მნიშვნელობა აქვს იმ გარემოების გამორიცხვას, რომ ზიანის წარმოშობას ან გაზრდას ხელი ხომ არ შეუწყობდა რაღაც მხარეების მოქმედებამაც. სამოქალაქო კანონმდებლობით, ზიანის მიმყენებელმა პასუხი უნდა აგოს მხოლოდ საკუთარი ბრალეული მოქმედებისათვის, ანუ მისი პასუხისმგებლობა უნდა შემოიფარგლოს მის მიერ განხორციელებული მართლსაწინააღმდეგო ქმედებით. აღნიშნული გამომდინარეობს სამოქალაქო კოდექსის 415-ე მუხლის 1-ელი ნაწილიდან, რომლის თანახმად, თუ ზიანის წარმოშობას ხელი შეუწყობდა რაღაც მხარეების მოქმედებამაც, მაშინ ზიანის ანაზღაურების ვალდებულება და ამ ანაზღაურების მოცულობა დამოკიდებულია იმაზე, თუ უფრო მეტად რომელი მხარის ბრალით არის ზიანი გამოწვეული. პაციენტის ბრალს გამორიცხავს კანონით გათვალისწინებულ მოქმედებათა ზედმიწევნით კეთილსინდისიერად განხორციელება. აღნიშნულში უპირველესად, იგულისხმება დიაგნოსტიკის, მკურნალობის, პროფილაქტიკის ან სამედიცინო რეაბილიტაციის მიზნით ნებისმიერი მანიპულაციის თუ პროცედურის ჩატარებამდე სამედიცინო მომსახურების გამწვევისათვის ინფორმაციის მიწოდება. პაციენტი ვალდებულია, მისცეს სრულყოფილი ინფორმაცია თავისი პირადი მონაცემებისა და ჯანმრთელობის მდგომარეობის თაობაზე, წარუდგინოს ზემოაღნიშნულის ამსახველი სამედიცინო დოკუმენტაცია და შეასრულოს მკურნალობისათვის დანიშნული ყველა პროცედურა.

მოცემულ დავაში 1390/32 სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე დადგინდა, რომ ნ. უ-შვილის დაავადება მარჯვენა ყურისწინა და ყბისქვეშა მწვავე ლიმფადენიტის სახით ბაქტერიული წარმოშობის იყო და არ არის გამოწვეული განმეორებითი ვაქცინაციით. ასევე დადგინდა, რომ ნ. უ-შვილის ჯანმრთელობა გაუარესდა დაგვიანებული სამედიცინო დახმარების გამო, ხოლო შპს «... ცენტრში» და გ. ჟ-ას სახელობის პედიატრიულ კლინიკაში მიმართვის შემდეგ მოსარჩელეს დაენიშნა და ჩაუტარდა დაავადების ადეკვატური მკურნალობა. სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე გაირკვა, რომ მოსარჩელის დაავადება შემოკლებული სინდრომი და მიტრალური სარქველის უმნიშვნელო პროლაფსი, არ იყო დაკავშირებული მოსარჩელის ორგანიზმში MMღ ვაქცინის განმეორებით შეყვანასთან.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს კასატორის მოსაზრებას სასამართლოს მიერ ექსპერტის დასკვნის არაკანონიერად გაზიარებასთან დაკავშირებით. სამედიცინო ექსპერტის დასკვნა არ შეიძლება ყოფილიყო აბსოლუტური ხასიათის მტკიცებულება, ვინაიდან საექსპერტო დასკვნითი ნაწილი ეწინააღმდეგება თვით საექსპერტო კვლევისა და მოტივაციის შინაარსს.

განსახილველი კატეგორიის დავების სპეციფიკიდან გამომდინარე, სამედიცინო დახმარების მოქმედებასა და შედეგების მიზეზ-შედეგობრივი კავშირის დადგენისათვის, მნიშვნელოვანია ექსპერტის დასკვნა. სპეციალური ცოდნით აღჭურვილი ექსპერტის დასკვნის დახმარებით სასამართლომ უნდა დაადგინოს მედიცინის მუშაკის ქმედებისა და უარყოფითი შედეგებს შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირის არსებობა ან არ არსებობა. ამავდროულად, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის თანახმად, სასამართლოსათვის არც ერთ მტკიცებულებას (მათ შორის ექსპერტის დაკვანას) წინასწარ დადგენილი ძალა არ აქვს, ხოლო, ამავე კოდექსის 102-ე მუხლის თანახმად, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებებს. მოცემულ შემთხვევაში ექსპერტის დასკვნით დგინდება, რომ «ნ. უ-შვილის ჯანმრთელობის გაუარესება მარჯვენა ყურისწინა და ყბისქვეშა მწვავე ლიმფადენიტის სახით არ არის გამოწვეული ვაქცინის განმეორებით შეყვანით, ვინაიდან იგი ბაქტერიული წარმოშობისაა». ამავე დასკვნის შედეგების 1-ელი პუნქტით ექსპერტები ასკვნიან, რომ «MMღ ვაქცინით აცრა პირველად ტარდება 12-15 თვის ასაკში, მეორედ 4-6 წლის ასაკში, მესამედ 11-14 წლის ასაკში. აღნიშნული ასაკობრივი ჯგუფების გარდა სხვა ასაკში ან განმეორებით ვაქცინაციის ჩატარება მიზანშეწონილი არ არის. განმეორებით ვაქცინაცია იწვევს თუ არა რაიმე სახის გართულებებს, ამაზე მსჯელობა შეუძლებელია». საკასაციო სასამართლო იზიარებს კასატორის მითითებას, რომ ექსპერტმა ვერ შეძლო პასუხი გაეცა კითხვისათვის – იწვევს თუ არა რაიმე სახის გართულებებს განმეორებით ვაქცინაცია, თუმცა აღნიშნული არ არის საფუძველი ამავე მტკიცებულებით დადგენილი სხვა ფაქტების გაუზიარებლობისა, ვინაიდან ექსპერტის დასკვნის საწინააღმდეგო რაიმე მტკიცებულება კასატორს არ წარმოუდგენია. ამავდროულად, საქმის მასალებით უდავოდ დადგენილია, რომ სადგო განმეორებით აცრა ჩატარდა 2004 წლის 10 ნოემბერს, ხოლო სამედიცინო დაწესებულებას მხარემ მიმართა 2004 წლის 24 დეკემბერს, მაშინ, როდესაც სამედიცინო დოკუმენტაციაში (ამბულატორიული ბარათი) არსებული ჩანაწერით ბავშვის დედის გადმოცემით დაავადება დაიწყო 2004 წლის 1-2 დეკემბერს.

ყოველგვარ დასაბუთებასაა მოკლებული კასატორის მოსაზრება, რომ საექსპერტო დასკვნითი ნაწილი ეწინააღმდეგება თვით საექსპერტო კვლევისა და მოტივაციის შინაარსს, ვინაიდან კონკრეტულ გარემოებაზე, რაშიც ვლინდება ექსპერტის დასკვნის კვლევითი და სამოტივაციო ნაწილების წინააღმდეგობრიობა, კასატორი ვერ უთითებს. ასეთი ვითარება ვერც საკასაციო სასამართლოს მიერ აღნიშნული მტკიცებულების, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მეორე ნაწილით დადგენილ ფარგლებში, გამოკვლევითა და მისი იურიდიული ძალის შეფასებით ვერ დადგინდა.

საკასაციო სასამართლო იზიარებს კასატორის მითითებას, რომ ნ. უ-შვილის აცრის ჩატარებისას დარღვეულია სამედიცინო დოკუმენტაციის წარმოება (ჩატარებული აცრის სათანადო წესით რეგისტრაცია, ექიმის მიერ პაციენტის მდგომარეობის შესახებ ჩანაწერების არაკვალიფიციური შესრულება, ვაქცინი არასათანადო საბუღალტრო აღ-

რიცხვა), რაც დასტურდება საქმეში წარმოდგენილი სამედიცინო დახმარების ხარისხის კონტროლის ინსპექციის უფროსის ინფორმაციით, თუმცა აღნიშნული მოცემულ სამოქალაქო დავაზე სასამართლო გადაწყვეტილებით მიღებულ შედეგს ვერ შეცვლის შემდეგ გარემოებათა გამო:

სამედიცინო დოკუმენტაციის არარსებობა ან არასწორად წარმოება გავლენას ახდენს მედიცინის მუშაკის მტკიცების ტვირთზე, ვინაიდან ექიმმა, მიუხედავად სამედიცინო დოკუმენტაციის არასათანადოობისა, უნდა ამტკიცოს მისი ქმედების (დიაგნოზის, მკურნალობის, ქირურგიული ჩარევისა თუ ჩაურევლობის და სხვა) სისწორე. ამდენად, სამედიცინო დოკუმენტაციის არასრულყოფილი წარმოება უალტერნატივოდ იწვევს მედიცინის მუშაკის ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას, ხოლო სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობისათვის კი აუცილებელია ზიანის ანაზღაურების დაკისრების ზემოაღნიშნული წინაპირობების არსებობა, რაც მოცემულ შემთხვევაში არ დგინდება. სამედიცინო დოკუმენტაციის დადგენილი წესით წარმოება მედიცინის მუშაკის მტკიცების ტვირთს ამსუბუქებს. ექიმის მიერ ამა თუ იმ სავალდებულო სამკურნალო მოქმედების სათანადო განხორციელების დასადასტურებლად ექიმს შეუძლია, სამედიცინო დოკუმენტაცია გამოიყენოს. წინააღმდეგ შემთხვევაში, მან უნდა ამტკიცოს, რომ ასეთი მოქმედება მან ნამდვილად განახორციელა. ამდენად, როგორც ზემოთ აღინიშნა, სამედიცინო შეცდომა მხოლოდ მაშინ იწვევს სამოქალაქო-სამართლებრივ პასუხისმგებლობას, თუ ამ შეცდომას მოყვა ზიანი, ხოლო სამედიცინო დაწესებულებაში არსებული დარღვევა ცალსახად სამოქალაქო-სამართლებრივ პასუხისმგებლობას ვერ წარმოშობს, ვინაიდან ზიანის ანაზღაურების დაკისრებისათვის აუცილებელია, ზიანი ვალდებულების დარღვევის შედეგი უნდა იყოს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებულნი განჩინება კანონიერია და მისი გაუქმების სამართლებრივი საფუძველი არ არსებობს.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

#### **და ა დ გ ი ნ ა:**

ნ. უ-შვილის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.  
თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 16 დეკემბრის განჩინება დარღვეს უცვლელად.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

### **სამედიცინო დაწესებულების მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურება**

#### **განჩინება**

1ას-1009-946-2010

7 აპრილი, 2011 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა**  
**შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),**  
**ვ. როინიშვილი,**  
**თ. თოდრია**

**დავის საგანი:** ზიანის ანაზღაურება

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

ნ. წ-შვილმა სარჩელი აღძრა სასამართლოში სს «ალ.წ-ძის ... ცენტრის» მიმართ მორალური და მატერიალური ზიანის ანაზღაურების შესახებ იმ საფუძველით, რომ მოპასუხე სამედიცინო დაწესებულებამ ნ. წ-შვილს გაუწია არაკვალიფიციური და არასწორი სამედიცინო მომსახურება. აღნიშნულის შედეგად მოსარჩელის ჯანმრთელობა მნიშვნელოვნად გაუარესდა, რითაც მას მიადგა მატერიალური და მორალური ზიანი.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 26 იანვრის გადაწყვეტილებით ნ. წ-შვილის სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რაც მოსარჩელემ გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 19 მარტის განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლო დაეთანხმა პირველი ინსტანციის სასამართლოს დასკვნებს საქმის ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით.

სამოქალაქო კოდექსის 992-ე და 1007-ე მუხლების თანახმად, სააპელაციო პალატამ განმარტა, რომ ზიანის ანაზღაურების მოვალეობის წარმოშობისათვის უნდა არსებობდეს ზიანის მიყენების გამო პასუხისმგებლობის დაკისრების პირობები, კერძოდ, პირს ზიანის ანაზღაურება დაეკისრება, თუ დადგინდება ზიანის არსებობა, ზიანი მიყენებული იქნება მართლსაწინააღმდეგო მოქმედებით, მართლსაწინააღმდეგო მოქმედებასა და დამდგარ ზიანს შორის იარსებებს მიზეზობრივი კავშირი და ზიანის მიმყენებელს მიუძღვის ბრალი. ამ პირობების ერთობლიობა

წარმოდგენს იურიდიულ შემადგენლობას და თუნდაც ერთ-ერთი მათგანის არარსებობა გამოირიცხავს ზიანის მიყენებისათვის პასუხისმგებლობის დაკისრების შესაძლებლობას.

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა აპელანტის მოსაზრება, რომ მოპასუხე სს «ალ. წ-ძის ... ცენტრმა» ვერ დაამტკიცა, რომ მას სადავო ზიანის დადგომამში ბრალი არ მიუძღვის.

საქმეში წარმოდგენილი საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2006 წლის 3 მაისის 13/112 და 2007 წლის 5 ნოემბრის 1... ექსპერტიზის დასკვნებით პალატამ უდავოდ დაადგინა, რომ პაციენტ ნ. წ-შვილის გამოკვლევა და მკურნალობა ტარდებოდა სწორად.

ამდენად, სააპელაციო პალატამ ჩათვალა, რომ მოპასუხე სს «ალ. წ-ძის ... ცენტრმა» სათანადო მტკიცებულებებზე მითითებით დაადასტურა, რომ პაციენტ ნ. წ-შვილის მკურნალობა არასწორად არ ჩატარებია. აღნიშნული კი მიუთითებს, რომ მოპასუხეს ზიანის დადგომამში ბრალი არ მიუძღვის, რაც გამოირიცხავს ზიანის მიყენების გამო მოპასუხისათვის სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრების შესაძლებლობას.

პალატის მითითებით, სააპელაციო საჩივრის ერთ-ერთი საფუძველია ის, რომ სამედიცინო მომსახურების თაობაზე არ არსებობდა პაციენტ ნ. წ-შვილის ინფორმირებული თანხმობა, რითაც დაირღვა «პაციენტის უფლებების შესახებ» საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მოთხოვნა, ვინაიდან ასეთი თანხმობის მიღება სავალდებულო იყო.

2003 წლის 14 დეკემბერს უროლოგიის ეროვნულ ცენტრსა და ნ. წ-შვილს შორის გაფორმებულ 11390/3 ხელშეკრულებაში, მოსარჩელე ნათლად და ცალსახად ხელს აწერს ტექსტზე: «გაფრთხილებული ვარ მოსალოდნელ ოპერაციულ და ანესთეზიოლოგიურ გართულებებზე და თანახმა ვარ ოპერაციაზე».

აღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ ჩათვალა, რომ მოცემულ შემთხვევაში სამედიცინო მომსახურების თაობაზე შესაძლო ოპერაციულ და ანესთეზიოლოგიურ გართულებებზე პაციენტის ინფორმირებული თანხმობის მიღება შეესაბამება «პაციენტის უფლებების შესახებ» საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მოთხოვნებს. ამასთან, სამედიცინო მომსახურების თაობაზე პაციენტის ინფორმირებული თანხმობის არარსებობის შემთხვევაშიც, მოპასუხე სს «ალ. წ-ძის სახელობის უროლოგიის ეროვნულ ცენტრს» ვერ დაეკისრება ზიანის ანაზღაურების მოვალეობა, ვინაიდან ამ ქმედებასა და დამდგარ ზიანს შორის მიზეზობრივი კავშირი არ არსებობს.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება ნ. წ-შვილმა გაასაჩივრა საკასაციო წესით, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება შემდეგი საფუძველებით:

სააპელაციო სასამართლომ არასათანადოდ შეაფასა ის გარემოება, რომ უროლოგიის ეროვნული ცენტრის მკურნალი ექიმის გაუფრთხილებლობით ნ. წ-შვილს შარდის ბუშტის ბოლო გამორეცხვა ჩაუტარდა კონცენტრირებული ანტისეპტიკური ხსნარით, რომელიც პაციენტების მკურნალობისათვის არ არის გათვალისწინებული. აღნიშნულის შედეგად მას დაუზიანდა შარდის ბუშტი. უროლოგიის ეროვნული ცენტრის მიერ 2003 წლის 15 აგვისტოს გაცემული სამედიცინო დოკუმენტით, ფორმა 1077-ით დასტურდება, რომ „ავადმყოფს უტარდებოდა ანტიბაქტერიოლოგიური მკურნალობა და შარდის ბუშტის ინსტილაციები ნარკოსეპტით, რის გამოც აღნიშნული იყო შარდის ბუშტის ქიმიური დამწვრობა».

სანქტ-პეტერბურგის სასამართლო-სამედიცინო საკონსულტაციო დასკვნით, ნ. წ-შვილის ამჟამინდელი მდგომარეობა განპირობებულია არასწორად ჩატარებული მკურნალობით.

მოპასუხე დაწესებულებაში ნ. წ-შვილს ოპერაცია ჩაუტარდა ისე, რომ პაციენტი მოსალოდნელ ოპერაციულ და ანესთეზიოლოგიურ გართულებებზე გაფრთხილებული არ ყოფილა. იგი ამჟამად შრომისუუნაროა და საქართველოს შსს დაცვის პოლიციის დეპარტამენტის 2004 წლის 4 მაისის ბრძანებით დათხოვილ იქნა სამსახურიდან. შსს ორგანოებში მუშაობისას მოსარჩელის ყოველთვიური სარგო შეადგენდა 89,08 ლარს. ნ. წ-შვილს დაენიშნა პენსია – თვეში 76,14 ლარი. „სამხედრო და შსს ორგანოების სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილ პირთა საპენსიო უზრუნველყოფის შესახებ» საქართველოს კანონის თანახმად, ნ. წ-შვილს საპენსიო ვადა ეწყება 20 წლის ნამსახურეობის შემთხვევაში, აქედან გამომდინარე მოპასუხის მართლსაწინააღმდეგო ქმედების შედეგად მოსარჩელე ვერ მიიღებს სხვაობას თანამდებობრივ სარგოსა და პენსიას შორის, სულ – 2 536,29 ლარს.

კასატორს ყოველდღიურად ესაჭიროება 5 კათეტერი. ერთი ცალის ღირებულება შეადგენს 3 ლარს. ყოველთვიურად იგი მოიხმარს 540 ლარის ღირებულების 180 ცალ კათეტერს. არსებულ უროლოგიურ დაავადებასთან დაკავშირებით მოსარჩელე საჭიროებს ყოველთვიურად 159 ლარის ღირებულების კონსულტაციებს და მკურნალობას უროლოგის, ნევროლოგის და თერაპევტის ზედამხედველობით. სხვადასხვა სახის ანალიზებში მხარემ დახარჯა 619 ლარი, მედიკამენტების შეძენაში კი – 2035,77 ლარი, ოპერაციისა და მისი შემდგომი პერიოდისათვის გაწეულმა ხარჯმა შეადგინა 924,17 ლარი.

სააპელაციო სასამართლოს მოცემული დავა უნდა გადაეწყვიტა სამოქალაქო კოდექსის 992-ე, 1007-ე მუხლების შესაბამისად. ამავე კოდექსის 411-ე, 414-ე, 408-ე მუხლების საფუძველზე განესაზღვრა ზიანის ოდენობა, ხოლო 413-ე მუხლი ითვალისწინებს კასატორისათვის მორალური ზიანის – 1000000 ლარის ანაზღაურების შესაძლებლობას.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ განიხილა საკასაციო საჩივარი, გაეცნო საქმის მასალებს და თვლის, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო კოდექსის 1007-ე მუხლის თანახმად, სამედიცინო დაწესებულებაში მკურნალობისას პირის ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანი ანაზღაურდება საერთო საფუძველებით. ზიანის მიმყენებელი თავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან თუ დაამტკიცებს, რომ ზიანის დადგომამში მას ბრალი არ მიუძღვის.

მითითებული მუხლის ანალიზი ცხადყოფს, რომ ნორმაში მითითებული შემთხვევების არსებობისას არაბრალეულობის მტკიცების ტვირთი აწევს სამედიცინო დაწესებულებას. ასეთ დროს პაციენტის ჯანმრთელობის და-

ზიანების ფაქტის არსებობა ქმნის იმის პრეზუმფციას, რომ მის ჯანმრთელობას ზიანი სამედიცინო დაწესებულებას ბრალით მიადგა და საწინააღმდეგოს დადასტურება სამედიცინო დაწესებულებას აწევს.

მოსარჩელე ნ. წ-შვილის მითითებით, ს.ს. «ალ. წ-მის ... ცენტრში» მკურნალობის შედეგად მის ჯანმრთელობას სერიოზული ზიანი მიადგა. ასეთ შემთხვევაში სამკურნალო დაწესებულებამ უნდა ამტკიცოს მისი ბრალეულობის გამომრეცხავი გარემოებების არსებობა. ის, რომ მოსარჩელის ჯანმრთელობა სერიოზულად დაზიანებულია, მხართა შორის დავას არ იწვევს.

სააპელაციო სასამართლო დადგენილ სადავო ფაქტობრივ გარემოებებში უთითებს, რომ 2003 წლის ივლისის თვეში ნ. წ-შვილს უტარდებოდა ანტიბაქტერიული მკურნალობა, შარდის ბუშტის ინსტალაციები დიოქსინით და არაკონცენტრირებული ნარგოსეპტით, რასაც არ გამოუწვევია შარდის ბუშტის შეჭმუხვნა. პალატა მიიჩნევს, რომ სასამართლოს მიერ გაკეთებული ეს დასკვნა არ ემყარება მტკიცებულებათა ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას. ფაქტია, რომ ნ. წ-შვილი მკურნალობდა მოპასუხესთან, ფაქტია ისიც, რომ მას ჯანმრთელობის მდგომარეობის გართულების გამო დასჭირდა ოპერაციული ჩარევა და ოპერაციის შედეგად პაციენტი განკურნებული არ არის. აღნიშნული გარემოებანი, ზემოთ მითითებული ნორმის საფუძველზე, უკვე იძლევა იმ დასკვნის გაკეთების საფუძველს, რომ პაციენტის ეს მდგომარეობა გამოწვეულია არასწორი მკურნალობის შედეგად. საწინააღმდეგო უნდა დადასტურდეს საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით.

საქმეში წარმოდგენილია სამედიცინო დოკუმენტაცია ფორმა 1077 გაცემული 2003 წლის 15 აგვისტოს. აღნიშნული მტკიცებულება რატომღაც სასამართლოს შეფასებული არ აქვს. ცნობის მე-7 პუნქტი შეიცავს არა მხოლოდ ანაწინააღმდეგო, არამედ დიაგნოსტიკურ გამოკვლევებს, ავადმყოფობის მიმდინარეობისა და ჩატარებული მკურნალობა მდგომარეობის თაობაზე მონაცემებს, და ა.შ. აღნიშნულ გრაფაში მითითებულია, რომ «ავადმყოფს უტარდებოდა მკურნალობა და შარდის ბუშტის ინსტილაციები დიოქსიზონით, ნარგოსეპტით, რის გამოც აღნიშნული იყო ქიმიური დამწვრობა შარდის ბუშტის ყელის». აღნიშნული რა თქმა უნდა, არ წარმოადგენს ანაწინააღმდეგო. იგი წარმოადგენს მკურნალი ექიმის მითითებებს მოსარჩელის ჯანმრთელობის მდგომარეობისა და მისი მიმდინარეობის შესახებ. აღნიშნული ჩანაწერიდან ცალსახად ჩანს, რომ მოსარჩელეს ნამდვილად განუვითარდა შარდის ყელის დამწვრობა და ეს გამოწვეულია შარდის ბუშტის ინსტილაციების შედეგად. აღნიშნული მტკიცებულება ცალსახად გამორიცხავს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას სამკურნალო დაწესებულების არაბრალეულობის თაობაზე. გაუგებარია, ამ მტკიცებულების არსებობის პირობებში ექსპერტიზის ჩატარების მიზანშეწონილობაც.

ექსპერტიზის ჩატარება მიზანშეწონილიადაც რომ იქნეს მიჩნეული, საქმეში წარმოდგენილი, სასამართლოს გადაწყვეტილებაში მითითებული ექსპერტის დასკვნები სასამართლოს არ შეუფასებია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 172-ე მუხლის შესაბამისად. სასამართლოს არ უმსჯელია აღნიშნული მტკიცებულებები გამორიცხავენ თუ არა ზემოთ მითითებულ ცნობაში არსებულ ჩანაწერებს და სამკურნალო დაწესებულებების ბრალეულობას.

2006 წლის 3 მაისის დასკვნაში მითითებულია, რომ პაციენტს განუვითარდა შარდის ბუშტის შეჭმუხვნა, რამაც აუცილებელი გახადა პაციენტისათვის ოპერაციის ჩატარება. ზემოთ მითითებული ორივე მტკიცებულებიდან (ფორმა 1077 და ექსპერტის დასკვნიდან) ცალსახად იკვეთება, რომ შარდის ბუშტის შეჭმუხვნას ნამდვილად ჰქონდა ადგილი. საყურადღებოა ის გარემოება სააპელაციო სასამართლოს ყურადღება არ გაუმახვილებია იმ ფაქტზე, რომ ექსპერტის დასკვნა ხშირ შემთხვევაში შეიცავს ისეთი მითითებებს, რაც ცალსახად გამორიცხავს კატეგორიული დასკვნის გაკეთების შესაძლებლობას. ამისი მაგალითია თუნდაც ექსპერტის ისეთი სახის მითითება, რომ შარდის ბუშტის ქიმიური დაზიანება ცუდად შესწავლილი დარგია, ხოლო არსებული ინფორმაცია არასაკმარისია რაიმე დასკვნის გასაკეთებლად.

სასამართლომ არც ის ფაქტორი გაითვალისწინა, რომ ექსპერტი ხშირად გვერდს უვლის სასამართლოს მიერ დასმული კითხვებისათვის პასუხის გაცემას. დასკვნის თანახმად, ოპერაცია და ოპერაციის შემდგომი მკურნალობა ჩატარებულია მოქმედი ნორმებისა და სტანდარტების შესაბამისად. ექსპერტი თავს არიდებს ოპერაციამდელი მკურნალობის შეფასებას და ამ საკითხთან დაკავშირებით დასკვნას არ იძლევა, მიუხედავად იმისა, რომ მას ეს კითხვა სასამართლოს განჩინებით დასმული აქვს. დასკვნის მიხედვით ტერმინი – შარდის ბუშტის დამწვრობა არაკორექტულია. არსებობს დიაგნოზი შარდის ბუშტის დაზიანება, რაც შედარებით ცუდად შესწავლილი დარგია. ამავე დასკვნის თანახმად, «მნელია საუბარი შარდის ბუშტის ქიმიურ დაზიანებაზე პრეპარატ «ნარგოსეპტის» ინტრავენიკული ინსტილაციის ხანმოკლე კურსით... არსებული ინფორმაცია არასაკმარისია რაიმე დასკვნის გასაკეთებლად».

უნდა ითქვას, რომ სხდომაზე დაკითხული ექსპერტების ახსნა-განმარტებანიც არ არის ცალმხრივი და ერთმნიშვნელოვანი, რაზეც სასამართლოს ყურადღება არ გაუმახვილებია. ექსპერტი ლ. ჩაჩუა შეკითხვაზე- «შეიძლება თუ არა მთელი უტყუარობით იმ დასკვნის გაკეთება, რომ კონცენტრირებული ნარგოსეპტით გამოწვეული იქნებოდა შარდის ბუშტის შეჭმუხვნა» იძლევა ასეთი სახის პასუხს – «შეიძლება შეჭმუხვნაზე უფრო მძიმე შედეგი გამოიწვიოს». ექსპერტი დ. ქ-შვილი კი ასე აზუსტებს პასუხს ნარგოსეპტთან მიმართებაში-თუ პროცენტი მაღალია შეიძლება გამოიწვიოს ლორწოვანის დაზიანება, დაახლოებით 2 თვე გრძელდება განახლება. თუ პროცენტი სცილდება 10 კვირას მაშინ ლაპარაკია შარდის ბუშტის ქიმიურ დაზიანებაზე. აღნიშნული პასუხები არაკატეგორიულია და იგი უფრო მეტად დაფუძნებულია ექსპერტთა ვარაუდზე, ვიდრე ცალსახა მეცნიერულ მოსაზრებებზე.

ყოველივე ზემოთ მითითებული გარემოებანი სააპელაციო სასამართლოს არასრულყოფილად აქვს შეფასებული. არ არის გამახვილებული ყურადღება ექსპერტის იმ მითითებაზეც, რომ ოპერაცია განაპირობებული იყო შარდის ბუშტის შეჭმუხვნის ფაქტის გამო. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მოცემულ შემთხვევაში გადაწყვეტია არა შარდის ბუშტის დამწვრობასა თუ ქიმიურ დაზიანებაში ნარგოსეპტის ფაქტორის დადგენა, არამედ სამკურნალო დაწესებულების ბრალეულობის საკითხის გამორიცხვა და თუ დადგენილია, რომ ნამდვილად შარდის ბუშტის შეჭმუხვნას ადგილი ჰქონდა (ეს მითითებულია ექსპერტის დასკვნაშიც) და ეს მოხდა სტაციონარში მკურნა-

ლობის დროს, სამკურნალო დაწესებულება ბრალეულად ჩაითვლება თუ არ დადგინდა ბრალის გამომრიცხავი გარემოებები.

პალატა კიდევ ერთხელ განმარტავს, რომ სააპელაციო სასამართლომ უნდა გამოიკვლიოს მტკიცებულებები, რომელთაც სამკურნალო დაწესებულება უთითებს მისი არაბრალეულობის დასადასტურებლად და თუ ეს მტკიცებულებანი გამორიცხავენ მოპასუხის ბრალს, სარჩელი უნდა ჩაითვალოს უსაფუძვლოდ. წინააღმდეგ შემთხვევაში უნდა დაკმაყოფილდეს ნ. წ-შვილის მოთხოვნა. აღნიშნული საკითხის გადაწყვეტას უკავშირდება სასარჩელო განცხადებაში მითითებული სხვა მოთხოვნების გადაწყვეტაც და მათი გადაწყვეტაც უნდა მოხდეს ერთდროულად.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე პალატა მიზანშეწონილად მიიჩნევს, რომ უნდა გაუქმდეს გასაჩივრებული გადაწყვეტილება და ხელახლა უნდა იქნეს განხილული სააპელაციო სასამართლოს მიერ.

საქმის ხელახალი განხილვისას უნდა დადგინდეს სამკურნალო დაწესებულების ბრალეულობის ან მისი გამომრიცხავი გარემოებანი.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

#### **და ა დ გ ი ნ ა:**

ნ. წ-შვილის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს.

გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 19 მარტის განჩინება და საქმე დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს ხელახლა განსახილველად.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.